პაატა კოლუაშვილი
გიორგი ზიბზიბაძე

აგრარული საწარმოს ეკონომიკა

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკის განყოფილების მიერ

თბილისი 2010

პაატა კოღუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე

აბრარული საწარმოს ეკონომიკა

უაკ (UDC) 631.1(075.8)

კ 799

სახელმძღვანელო მომზადებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი პროგრამული მიმართულების მიხედვით. წიგნი მაქსიმალურადაა დაახლოებული დასავლური აგროწარმოების ეკონომიკის სასწავლო ლიტერატურის ანალოგებთან. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის (აგროეკონომიკა, აგრობიზნესის მართვა) ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის. მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა აგრარულ საწარმო'ში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების განვითარების ეკონომიკურ პრობლემებს, წარმოების დანახარჯების, ეკონომიკური და ზღვრული ანალიზის, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების და სხვა აქტუალურ საკითხებს. სახელმძღვანელო ასევე, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აგრომეწარმეებსა და აგრომენეჯერებს.

სარედაქციო კოლეგია, პროფესორები: როზ. ასათიანი, პ. კოღუაშვილი, თ. კუნჭულია, ა. სილაგაძე, ბ. რამიშვილი, ო. ქე'შელა'შვილი, ე. ხარაი'შვილი

რეცენზენტები: პროფ. რ. მანველიძე
პროფ. ს. თურმანიძე
პროფ. ნ. ხასაია

სახელძღვანელო დაიბეჭდა ბანკ „რესპუბლიკის" საქველმოქმედო ფონდი „ცისკრის" ფინანსური ხელშეწყობით. ავტორები მადლობას უძღვნიან ბატონ ლა'შა პაპა'შვილს, გამოჩენილი გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

ტექნიკური რედაქტორი: ი. ბელთაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. ქოჩლაძე, ნ. ჩიხლაძე

პაატა კოღუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე, 2010

გამომცემლობა „საარი" 2010

ISBN 978-99940-60-90-0

ავტორები:

პაატა კოღუაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს\კ ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, სახაგრომრეწვში განყოფილების უფროსად, მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე პრემიერ-მინისტრად აგრარულ საკითხებში, სახელმწიფო მეთაურის წარმომადგენლად აგროსამრეწველო კომპლექსში, სახელმწიფო კანცელარიის მთავარ მრჩევლად აგრარული რეფორმის საკითხებში. იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წევრი. მისი ინიციატივით მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილებები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოთა რეორგანიზაციის წესის შესახებ“. მონაწილეობდა კანონპროექტების: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების,“ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის“, „ინდივიდუალური დაგეგმვის საფუძვლების“, „მეწარმეთა შესახებ“, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ და სხვათა შემუშავებაში. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას (სსაუ, თსუ). აგროსასურსათო პოლიტიკის პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 110 სამეცნიერო შრომა, ორი სახელმძღვანელო და ხუთი მონოგრაფია. აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

გიორგი ზიბზიბაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში მთავარ სპეციალისტად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს\კ ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, სექტორის გამგედ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში სოფლის მეურნეობის ქვეგანყოფილების უფროსად, შემდეგ განყოფილების უფროსად, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის სამმართველოს უფროსად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დარგობრივი ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. მრავალი წლის მანძილზე მონაწილეობდა ქვეყნის აგრარული მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, პროგნოზებისა და პროგრამების შემუშავებაში. ამჟამად აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია. საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს „სოფლის მეურნეობის ეკონომიკასა“ და „აგრარულ პოლიტიკაში“. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მთავარი სფეროა აგრობიზნესის რეგულირებისა და აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები. ავტორია 45 სამეცნიერო შრომისა და ორი სახელმძღვანელოსი. „ღირსების“ ორდენის კავალერი.

შინაარსი

წინათქმა 8

I თავი. აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების კვლევის საგანი, ამოცანები და მეთოდები.

1.1. აგრარული საწარმოს ეკონომიკის ამოცანები და კვლევის მეთოდები 11

1.2. საწარმოთა კლასიფიკაცია. აგრარულ საწარმოთა ძირითადი ამოცანები 13

II თავი. აგრარული წარმოების თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები

2.1. აგრარული საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლები 16

2.2. წარმოების ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპები 19

2.3. წარმოების ოპტიმიზაციისა და წარმოების ფაქტორების განაწილების ძირითადი პრინციპები 21

2.4. აგრარულ საწარმოთა ინვესტირების თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები . 24

2.5. აგრარულ საწარმოთა ფინანსირების თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები 29

2.6. ქონების შეფასების ეკონომიკური პრინციპები და მეთოდები აგრარულ საწარმოებში 33

2.7. ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადების განსაზღვრის ეკონომიკური საკითხები 36

2.8. მრავალწლიანი ნარგავების ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის დადგენა.... 39

III თავი. აგრარული წარმოების ძირითადი შაძტორები

3.1. მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება. მიწის რესურსების სტრუქტურა 44

3.2. მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების ძირითადი მიმართულებები 46

3.3. მიწის რენტა და მიწის საბაზრო ფასი 48

3.4. შრომითი რესურსები და მათი გამოყენება აგრარულ საწარმოში 49

3.5. შრომითი რესურსების სტრუქტურა და აგროწარმოების შრომითი უზრუნველყოფა 50

3.6. შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები. შრომის ნორმირება და ანაზღაურება აგრარულ საწარმოში 52

3.7. ძირითადი კაპიტალი და მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა 54

3.8. ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება 57

3.9. საბრუნავი კაპიტალი და მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა 58

IV თავი. აგრარული წარმოების გაადგილება. აგრარულ საწარმოთა კოოპერაცია

4.1. აგრარული საწარმოს რაციონალური გაადგილების ძირითადი პრინციპები... 63

4.2. აგრარულ საწარმოთა კოოპერაცია 65

თავი V. მიწათმოქმედების განვითარების ეკონომიკური საკითხები აგრარულ საწარმოში

5.1. აგრარული საწარმოს დაგეგმვის ეკონომიკური არსი, მიზანი და მეთოდები.. 69

5.2. მიწათმოქმედება, როგორც აგრარული წარმოების ძირითადი დარგი 72

5.3. წარმოების ფაქტორების ოპტიმიზაციის ძირითადი ეკონომიკური საკითხები მიწათმოქმედებაში 74

5.4. მიწათმოქმედების დარგების შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა ... 76
5.5. მიწათმოქმედების დარგების განვითარების დაგეგმვა. დაგეგმვის საფეხურები და ეტაპები ... 80
5.6. მატერიალურ-ტექნიკურ და შრომით რესურსებზე აგროსაწარმოს მოთხოვნილების გაანგარიშება ... 85
5.7. ბიზნეს-გეგმა აგრარულ საწარმოთა დაგეგმვის ერთიან სისტემაში ... 91
VI თავი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები აგრარულ სექტორში
6.1. მეცხოველეობა, როგორც აგრარული წარმოების ძირითადი დარგი ... 101
6.2. მეცხოველეობის დარგების დაგეგმვა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯგუფის წლიური ბრუნვა ... 103
6.3. ცხვრის ფარის წლიური ბრუნვა ... 106
6.4. პირუტყვის საკვები ბალანსის გაანგარიშება ... 108
6.5. წარმოების ფაქტორების ოპტიმიზაციის პრინციპები მეცხოველეობაში ... 110
6.6. მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფის ეკონომიკური საკითხები ... 113
6.7. პირუტყვის მოვლა-შენახვის ეკონომიკური საკითხები ... 115
6.8. მესაქონლეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები ... 117
6.8.1. მერძეული მიმართულების მესაქონლეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები ... 117
6.8.2. მერძეული ჯგუფის პირუტყვის კვების ეკონომიკური საკითხები ... 120
6.8.3. ძირითადი ჯგუფის პირუტყვის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის განსაზღვრა ... 122
6.8.4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდისა და სუქების ეკონომიკური საკითხები ... 123
6.8.5. მერძეული მესაქონლეობის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდის სუქების შიდამეურნეობრივი კონკურენტუნარიანობის დადგენა ... 126
6.9. მეღორეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები ... 128
6.9.1. დარგის ზოგადი დახასიათება ... 128
6.9.2. წარმოების დამთავრებული ციკლის და ვიწროდ სპეციალიზებული წარმოების ეკონომიკური შეფასება ... 130
6.9.3. ღორის სუქების ეკონომიკური ეფექტიანობა ... 133
6.10. მეცხვარეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები ... 135
6.10.1. დარგის ზოგადი დახასიათება ... 135
6.10.2. ცხვრის შენახვის ფორმები და დარგის ეკონომიკური ეფექტიანობა ... 136
6.11. მეფრინველეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები ... 139
6.11.1. დარგის ზოგადი დახასიათება ... 139
6.11.2. მეფრინველეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა ... 139
VII თავი. წარმოების დანახარჯების არსი და სტრუქტურა. პროდუქციის თვითღირებულება აგრარულ სექტორში
7.1. წარმოების დანახარჯების არსი და კლასიფიკაცია ... 146
7.2. წარმოების დანახარჯების სტრუქტურა ... 147
7.3. აგრარული პროდუქციის თვითღირებულება, მისი სახეები და განსაზღვრის მეთოდები ... 148

7.4. პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები 150

7.5. პროდუქციის თვითღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია და მის შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები 152

VIII თავი. აბრარული საწარმოს მთლიანი პროდუქცია, სტრუქტურა და კვლაცწარმოების ეკონომიკური საკითხები. სასაქონლო პროდუქცია და მისი რეალიზაციის არხები

8.1. მთლიანი პროდუქცია და მისი სტრუქტურა. მთლიანი პროდუქციის კვლაცწარმოების სპეციფიკა და მაჩვენებლები აგრარულ საწარმოში 156

8.2. აგრარული მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია, გასაღების ბაზარი და როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. პროდუქციის რეალიზაციის არხები, გზები და მეთოდები 159

8.3. აგრარული საწარმოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და ხარისხი 163

8.4. აგრარული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები 165

8.5. აგრარული მარკეტინგის ეფექტიანობა 169

IX თავი. აბრარული საწარმოს საძმიანობის ეკონომიკური და ზღვრული ანალიზი

9.1. ეკონომიკური ანალიზის არსი, მიზანი და ამოცანები 172

9.2. ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაცია აგრარულ საწარმოში 176

9.3. ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ორიენტირები აგრარულ საწარმოში 178

9.4. აგრარულ საწარმოთა საწარმოო-ეკონომიკური ფუნქციონირების ზღვრული ანალიზი 182

9.5. აგროწარმოებაში დამატებითი დაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი 185

9.6. შედარებითი უპირატესობის გამოყენების პრინციპი აგროწარმოებაში 191

X თავი. აბრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა

10.1. ეკონომიკური ეფექტიანობის არსი და ძირითადი მიმართულებები 197

10.2. აგრარულ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდური საფუძვლები 199

10.3. აგროტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა აგრარულ საწარმოში 201

10.4. მინერალური სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა 202

10.5. მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა 204

10.6. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვისა და ჭარბობიდან ზედმეტი წყლის მოცილების (დაშრობის) ეკონომიკური ეფექტიანობა 206

10.7. ცალკეული სახის ზოოვეტერინარული ღონისძიების ეკონომიკური ეფექტიანობა 209

10.8. აგრარული პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები 212

10.9. კაპიტალურ დაბანდებათა (ინვესტიციების) გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა აგრარულ საწარმოში 215

10.10. აგრარული პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა 220

XI თავი. ბარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის საკითხები აბრარულ სარმოში

11.1. გარემოსდაცვითი მოთხოვნების არსი და მათი განხორციელების ძირითადი მიმართულებები ... 226

11.2. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის შეფასება ... 230

11.3. გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება და ამ საქმიანობის ორგანიზაცია აგრარულ საწარმოში ... 232

11.4. შეზღუდული ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრინციპები ... 235

XII თავი. აბრარული საწარმოს საბარეო სავაჭრო ურთიერთობები

12.1. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა არსი და ფორმები ... 239

12.2. საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები და მისი გაფორმების წესები ... 240

12.3. შემხვედრი ვაჭრობის კონტრაქტები ... 243

12.4. საგარეო სავაჭრო ოპერაციათა საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმები და მეთოდები ... 245

12.5. საგარეო ვაჭრობის რეჟიმები ... 247

დამატებით გამოსაყენებელი ლიტერატურა ... 250

კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ილია ჭავჭავაძე

სახელმძღვანელოს „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა“ უნდა დარქმეოდა. მაგრამ სააბოლოოდ „აგრარული საწარმოს ეკონომიკა“ ეწოდა. *agros* – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მინდორს ანუ ადგილს, სადაც ველურ თუ კულტურულ ლანდშაფტებში წყლის, ნახშირორჟანგისა და მზის ენერგიის ხარჯზე ცოცხალი ცილა იქმნება. ადგილს, სადაც ხარობს მცენარე განმეორებელი ქლოროფილით – ერთად-ერთი ღამაკავშირებელი რგოლი მზესა და ღედამიწაზე სიცოცხლეს შორის.

მიწის დამუშავება, მცენარეთა ჯიშების გამოყვანა, ცხოველთა მოშენება და მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა წესებისა და მეთოდების გამოყენებით შეადგენს ადამიანის უძველესი კულტურის ერთ ძირითად ელემენტს. ამასთან, იგი არის არა მხოლოდ ბუნების საგნების დამუშავება და მოპოვება, არამედ ადამიანის მიზანმიმართული ზემოქმედება საკუთარ სულიერ უნარზე. ფრენსის ბეკონი მოძღვრებას სულის მართვისა და აღზრდის შესახებ უწოდებს „სულის გეორგიკას“, სულის გარდაქმნას მიწის დამუშავების მსგავსად.

ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა წინააზიურ სივრცეში ყალიბდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ რეგიონებს (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის, მექვენახეობა-მეღვინეობის, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული.

საქართველოში მიწათმოქმედება არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მიწა ერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცეა, მისი არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი პირობა.

ილია ჭავჭავაძის აზრით: „ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეჰქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. ჩვენი ძალღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია.“

ქართველი ერის გენეტიკური ქმნადობის ევოლუციურ პროცესში ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და მკვიდრდებოდა მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის პრინციპებიც, მისი მოვლა-პატრონობის უნიკალური წესები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების შექმნას, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროწარმოების ის ტრადიციები რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

უნიკალური და მრავალფეროვანი ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი – ქმნის ქართული მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობის შეუკარდებით უპირატესობას.

მატერიალური წარმოების სხვა დარგებისაგან განსხვავებით (სადაც

ძირითადად, დაგროვილი ენერგია იხარჯება), სოფლის მეურნეობაში ახალი ენერგიის შექმნა და დაგროვება ხდება. ეს ენერგია მით უფრო მეტი რაოდენობით იქმნება, რაც უფრო მაღალია მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების აგრარულ წარმოებაში დანერგვის ტემპი.

ადამიანის ნამღვილი მკვებავი და მარჩენალი მიწა კი არა მცენარეაო, წერდა აკადემიკოსი დ. ტიმირიაზევი და იქვე დასძენდა: „მზის ყოველი სხივი, რომელიც არ იქნა დაჭერილი მწვანე საფარის მიერ (მინდორში, ტყეში, ველზე და ა.შ.), არის სიმდიდრე, რომელიც დაიკარგა სამუდამოდ, რის გამოც ჩვენი მომავალი, უფრო განათლებული შთამომავლობა აუცილებლად უსაყვედურებს თავის წინაპრებს". მართლაც რომ დიდებული ნათქვამი და დამაფიქრებელი გაფრთხილებაა. მინდორია აგრარული წარმოების ძირითადი მიზნის – ბიომასის ანუ ცოცხალი ცილის წარმოების ადგილი, რომლის შემდეგ ის განიცდის სხვადასხვა ფერის, გემოს, შემადგენლობის პროდუქტებად ტრანსფორმირებას მრავალი ტექნოლოგიური მეთოდისა და ხერხის გამოყენებით.

აგრარული წარმოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა მთელი სიცხადით გამოიკვეთა აგროპროდუქციის წარმოების მალიმიტირებელი ეკოლოგიური საზღვრები, რომლის იქით გადაბიჯება კატასტროფის ტოლფასი შეიძლება გახდეს.

ასეთ ვითარებაში მაღლდება აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის როლი. იგი შეისწავლის აგრარული სექტორის საწარმოების კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას. აგრეთვე, არსებულ და ალტერნატიულ საწარმოო-ეკონომიკურ პირობებში საწარმოთა ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრის მეთოდებსა და ხერხებს, აგროსაწარმოში ცალკეული დარგების განვითარების ეკონომიკურ საკითხებს, შიდასამეურნეო და გარე ფაქტორების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

აგრარული საწარმოს ეკონომიკა საშუალებას იძლევა მოცემულ ტექნიკურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოში შემუშავდეს და შეფასდეს აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ყველაზე მისაღები ეკონომიკური მოდელი. ასეთი სახის მოდელი ასახავს ურთიერთკავშირს წარმოების პროცესის ცალკეულ ელემენტებს შორის, აძლევს მას რაოდენობრივ-ხარისხობრივ შეფასებას და ქმნის რაციონალური გაღაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციულ ბაზას.

საქართველოს აგრარულ ეკონომიკაში დღეისათვის შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, ძირითადად, ორი ფაქტორი – აგრომეწარმეებისვის ფინანსების ხელმიუწვდომლობა და საბაზრო ეკონომიკის არასაკმარისი ცოდნა განაპირობებს. აქედან, თუ პირველის გადაწყვეტა ასე თუ ისე შეიძლება, მეორე ფაქტორის დაძლევა განათლების მიღებისა და დაგროვილი ცოდნის ათვისებითაა შესაძლებელი. მხოლოდ პროდუქტიული ცოდნის მუშაკს ხელეწიფება შრომა (ყული) დააბანდოს იმ საქმეში, რომელიც კარგად იცის და რაშიც მოგებას ნახავს. ამ მოთხოვნას, სამწუხაროდ, ბევრი აგრომეწარმე არ უწევს ანგარიშს, რაც არც თუ იშვიათად, სავალალო შედეგით მთავრდება.

ამ სტრიქონების წამკითხველი შეიძლება შეგვეკამათოს – ნუთუ ჩვენს აგრომეწარმეებს ცოდნა და გამოცდილება აკლიათო? დიახაც, აკლიათ და საკმაოდაც. ვისაც არ სჯერა, შეუძლია ჩაატაროს გამოკითხვა თუნდაც ერთი ათეული ფერმერის მაგალითზე საწარმოს განვითარების საკითხებზე და დარწმუნდეს, თუ რამდენად იცნობენ ისინი ბიზნესის აქსიომატურ დებულებებს, მეწარმეობაში წარმატების მიღწევის მსოფლიოში აპრობირებულ წესებს და პრინციპებს, წარმოების ოპტიმიზაციის ხერხებს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ეკონომიკურ საფუძვლებს და მეწარმეობის განვითარების სხვა პრობლემებს, რომელთა ცოდნა ან არცოდნა, შესაბამის წარმატებას ან წარუმატებლობას განაპირობებს.

მეწარმეს უნდა ჰქონდეს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა და ანალიზის უნარი. ის უნდა აზროვნებდეს ეკონომიკურად, რათა აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სხვაგვარად ის მრავალი ალტერნატივიდან (რომლის წინაშე ყოველდღიურ ცხოვრებაში დგას) რაციონალურ არჩევანს ვერ გააკეთებს.

სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია, შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. დაეუფლონ აგრარული საწარმოს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის შერჩევისა და შესწავლული წარმოების რესურსების რაციონალური შეთანაწყობის პრაქტიკას, გაეცნონ კონკურენტუნარიანი საწარმოს ორგანიზებისა და მართვის მეთოდებს, ხელი შეუწყოს მათ ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში, ეკონომიკური პრინციპებისა და წესების დაუფლებაში, რომელთა სათანადო დონეზე ათვისების გარეშე წარმატების მიღწევა ნებისმიერი სახის მეწარმეობაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

დისციპლინის შესწავლის პროცესში სტუდენტები გაეცნობიან აგრარული საწარმოს ფუნქციონირების თეორიულ საყუძვლებს და კანონზომიერებებს. აითვისებენ დაგეგმვის, საწარმოო და აგროსოფეტურინარული ღონისძიებების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენის მეთოდებს და ხერხებს, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების, წარმოების განვითარების ეკონომიკური და ზღვრული ანალიზის მეთოდებს და მათთვის სხვა საინტერესო საკითხებს. აგრეთვე, აგრარულ საწარმოში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების განვითარების ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორიცაა დაგეგმვა და საწარმოო პროგრამის ოპტიმიზაცია, ჯოგის ბრუნვა, პირუტყვის საკვები ბალანსის, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საწვავის და სხვა საბრუნავი საშუალებების გაანგარიშება. ასევე ინვესტირების, დაყვინანსების და სხვა საწარმოო-ეკონომიკური პრობლემების არსს.

წიგნს საყუძვლად უდევს „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ (პ. კოლუაშვილი, გ. სიბზიბაძე. თსუ, 2010 წელი) სახელმძღვანელო. თუმცა მკითხველისათვის შეუმჩნეველი არ დარჩება მის ცალკეულ ნაწილებზე თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის გავლენა. სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე ანალოგი არ აქვს.

პაატა კოლუაშვილი, გიორგი სიბზიბაძე

ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მრავალწახნაგოვანია, მას რამდენიმე ცენტრალური იდეა მართავს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ მრავალ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში. ეს პრინციპებია:

1. **ადამიანები ალტერნატივის წინაშე დგანან.**
2. **ნივთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნივთის ხელში ჩასაგდებად.**
3. **რაციონალური ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრულ ანალიზს იყენებს.**
4. **ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ.**
5. **ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს.**
6. **ბაზრები, როგორც წესი, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა.**
7. **მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება.**
8. **ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე.**
9. **ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს.**
10. **საზოგადოება მოკლევადიან პერიოდში დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე.**

გ. მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები,“ ჰარვარდის უნივერსიტეტი, „დიოგენე“, თბილისი, 2008

I თავი. აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების კვლევის საგანი, ამოცანები და მეთოდები.

1.1. აგრარული საწარმოს ეკონომიკის ამოცანები და კვლევის მეთოდები

შესწავლის ობიექტის მიხედვით აგრარული ეკონომიკა პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ზოგადად და აგრარული საწარმოს ეკონომიკა კონკრეტულად. პირველის შესწავლის საგანი სოფლის მეურნეობაა, ხოლო მეორის, ცალკე აღებული აგრარული (სასოფლო-სამეურნეო) საწარმო.

აგრარული ეკონომიკის შემადგენელი ორივე ნაწილი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, რადგან პრაქტიკულად ერთსა და იმავე ამოცანებს წყვეტენ, მაგრამ წარმოების მაროვის განსხვავებულ დონეებზე. კერძოდ, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, იკვლევს ობიექტური ეკონომიკური კანონებისა და კანონზომიერებების გამოვლინების თავისებურებებს და სპეციფიკას სოფლის მეურნეობაში. აგრარული საწარმოს ეკონომიკა კი იკვლევს უშუალოდ აგრარულ საწარმოს, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ძირეულ რგოლს. მისი ფუნქციონირების სამეურნეო-ეკონომიკურ სისტემას, საწარმოო ფაქტორებს, მათი გამოყენების გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვის, დაფინანსების ფორმებსა და მეთოდებს.

აგრარული საწარმოს ეკონომიკა, მოწდებულია გამოიკვლიოს საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობანი, როგორც საწარმოს შიგნით ცალკეულ შემადგენელ სტრუქტურულ დანაყოფებს შორის, ისე საწარმოთა შორის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აგრარული წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის ძირითადი ამოცანა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლების შემუშავებაა. ეს პროცესი ქრონოლოგიურად წრებრუნვაში შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

– ეკონომიკურად დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება;

– დაბალანსებული გეგმების შემუშავება;

– საწარმოო, ინვესტიციური, მარკეტინგული და სხვა საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

– აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველზე საერთო სამეურნეო-ეკონომიკური ანალიზის ჩატარება და ახალი, უფრო ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა ცდილობს გადაწყვიტოს საზოგადოების განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა:

– რა პროდუქცია (მომსახურება) აწარმოოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსებიდან ამაგე საზოგადოების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილების მიზნით;

– რა სახის და რა რაოდენობის რესურსები იქნეს გამოყენებული ამ მიზნით;

– რა ორგანიზაციული ფორმით იქნება მოწყობილი წარმოება;

– როგორ განაწილდეს სამართლიანად წარმოებული დოვლათი და სხვ.

იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება ეს პრობლემური საკითხები, განასხვავებენ სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებს.*) მათ შორის ძირითადია: ტრადიციული, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და საბაზრო-ეკონომიკური. მათ ერთმანეთისაგან ძირითადად განასხვავებს ის ფაქტი, თუ როგორია წარმოების ფაქტორების (რესურსების) განკარგვის თავისუფლების ხარისხი.

პრობლემების გადაწყვეტა უფრო სრულყოფილად საბაზრო სისტემის პირობებში ხდება, რომელიც დაფუძნებულია საკუთრების პლურალიზმზე, კონკურენციაზე, საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის პროდუქციის

*) ეკონომიკური სისტემა – ქვეყანაში დადგენილი მოქმედი პრინციპების, წესებისა და კანონმდებლობით განმტკიცებული ნორმების ერთობლიობა, რაც პროდუქტის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს.

(მომსახურების) თავისუფალ გაცვლაზე. ამ სისტემაში ბაზრის სუბიექტები თავად საზღვრავენ მათ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების განაწილებისა და გამოყენების მიმართულებას. საბაზრო-ეკონომიკურ სისტემა მოიცავს სახელმწიფო სექტორსაც და ამა თუ იმ ზომით, ფორმით და ხარისხით რეგულირდება სახელმწიფოსგან, რაც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს ეკონომიკის ხასიათს, საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ქცევას.

აგრარულ საწარმოს ეკონომიკას, სხვა დისციპლინების მსგავსად, აქვს კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რაც გამოიხატება ისეთი ძირეული საკითხების დამუშავებასა და ეკონომიკურ დასაბუთებაში, როგორიცაა: მოცემული ეკონომიკური სისტემის პირობებში აგროწარმოების მართვის რაციონალური სისტემის ფორმირება და სოფლად საქონელწარმოებელთა ფუნქციონირების სამეურნეო-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება; მიწაზე მეურნეობრიობის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შერჩევა ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით; საწარმოო ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების მეთოდებისა და ხერხების შემუშავება; საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით; შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, საწარმოთა პირისონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმების შერჩევა და სხვ.

აგრარულ საწარმოთა ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა, აგროსამეურნეო მარკეტინგი და მენეჯმენტი, რეგიონული ეკონომიკა და სხვ. მისი პროფესიული შესწავლისათვის საჭიროა ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის დარგების საფუძვლიანი ცოდნა.

მეცნიერული კვლევის მეთოდი, ზოგადად, გარე სამყაროს შეცნობის სხვადასხვა საშუალებაა.

აგრარული საწარმოს ეკონომიკის კვლევის ძირითადი მეთოდი დიალექტიკური მეთოდია, რაც ნიშნავს, რომ საწარმოო და ანთროპოგენური საქმიანობის ყველა მოვლენა უნდა განვიხილოთ დინამიკაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ფონზე.

ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მეთოდებად აღიარებულია: სტატისტიკურ-ეკონომიკური, მონოგრაფიული, აბსტრაქტულ-ლოგიკური (დედუქციური, ინდუქციური, ჰიპოთეტური), ექსპერიმენტული, ეკონომიკურ-მათემატიკური და სხვ.

– სტატისტიკურ-ეკონომიკური მეთოდი (რომელიც თავის მხრივ იყოფა ანალიზურ, კორელაციურ, რეგრესულ და სხვა ხერხებად) – გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მასობრივი მოვლენების და ეკონომიკური პროცესების გასაანალიზებლად (სათანადო დასკვნების გაკეთების მიზნით);

– მონოგრაფიული მეთოდი გამოიყენება ცალკეული მოვლენის, მიღწევის, პროცესის შესასწავლად, რათა გამოვლენილ იქნეს საგნის, პროცესის ტიპური მახასიათებლები, ნიშნები და ტენდენციები, შემდგომში მათი განზოგადებისა და სხვა ანალოგებზე გასავრცელებლად;

– აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი გამოიყენება რთული ეკონომიკური პროცესების ან მოვლენათა შესასწავლად, სადაც ფაქტების სიმცირის გამო, ძირითადად, გამოიყენება აბსტრაქციულ-ლოგიკური დასკვნები;

– ექსპერიმენტული მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა საჭიროა დასაბუთებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებების ან კონკრეტული ღონისძიების (მათ შორის აგროტექნიკური, ზოოვეტერინარული და ა.შ.) ეკონომიკური ეფექტი.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული გახდა კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს და ამოიხსნას რთული მრავალფაქტორიანი ეკონომიკური ამოცანები.

ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას განსაზღვრავს პრობლემის (მოვლენის ან პროცესის) შესწავლის მიზანი, ხასიათი, სირთულე, მასშტაბურობა. თუმცა, არც თუ იშვიათად, საჭირო ხდება სხვადასხვა მეთოდის კომბინირებული გამოყენება. ამ დროს მიღებული შედეგები ავსებს ერთმანეთს და ამდენად, მათი სანდოობის ხარისხიც შესაბამისად მაღალია.

კვლევის თითოეული მეთოდის შესაძლებლობის სათანადო ცოდნა, მიღებული

შედეგების ჯეროვანი გაანალიზება, განზოგადება და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება საშუალებას იძლევა დროულად აღმოვაჩინოთ პრობლემა, დავადგინოთ წარმოებაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების გამომწვევი რეალური მიზეზები და დაეხმაროთ შესაბამისი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

1.2. საწარმოთა კლასიფიკაცია. აგრარული საწარმოს ძირითადი ამოცანები

საწარმო, ზოგადად, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტია. ის მოიცავს ყველა სახის ქონებას და ვალდებულებებს, რაც აუცილებელია საწარმოს ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, მიწის ნაკვეთს, შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობას, ნედლეულს, პროდუქციას, უფლებებსა და მოვალეობებს და ა.შ. საწარმო მთლიანად ან მისი ცალკეული ნაწილი ექვემდებარება ყიდვა-გაყიდვას, დაგირავებას, არენდით გაცემას და სხვა გარიგებებს, რომლებიც ქონებრივი უფლებების დადგენას, ცვლილებას ან შეწყვეტას უკავშირდება. საწარმოს საფუძველი პროფესიულ დონეზე ორგანიზებული შრომითი კოლექტივია, რომელსაც შეუძლია არსებული რესურსების ხარჯზე აწარმოოს მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქცია, სამუშაო ან მომსახურება ანუ შეასრულოს სამეურნეო სუბიექტის ფუნქცია.

საწარმოთა კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხდება, მათ შორის რეგისტრაციის ტიპის მიხედვით (რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული), ფორმალური (დარეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი) და არაფორმალური (არარეგისტრირებული – მუშაკთა გაერთიანება კულტურის, სპორტისა და სხვა ნიშნით), კომერციული და არაკომერციული, სახელმწიფო და მუნიციპალური და ა.შ.

დეტალურად განვიხილოთ აგრარული საწარმოს ორგანიზაციის ფორმები და სახეები, მიზნები და ამოცანები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარული საწარმოს ძირითადი ამოცანები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

– მაქსიმალური ოდენობით მოგების მიღება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების, ნედლეულის) ერთეულზე შრომისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში;

– მდგრადი ფინანსური უზრუნველყოფის მიღწევა ანუ ლიკვიდურობის იმ დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას საკუთარი სახსრების ხარჯზე;

– პროდუქციის (მომსახურების) მიწოდებაზე გაფორმებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;

– გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შემსუბუქება ანუ მიწის, წყლისა და ჰაერის დაბინძურების შემცირება, შრომითი კოლექტივის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

ამ და სხვა ამოცანების დასახვა და რეალიზაცია ხდება არსებული საწარმოო-ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს გათვალისწინებით. ამ მიზნით გამოყოფენ წარმოების შიდა და გარე ფაქტორებს. პირველს მიაკუთვნებენ საწარმოო ფაქტორებით საწარმოს აღჭურვის მაჩვენებლებს, ფინანსურ მდგომარეობას, მუშაკთა კვალიფიკაციას, საწარმოს იმიჯს, ტრადიციებს და ა.შ., რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის წარმოების დონეზე, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, წარმოების რენტაბელობაზე და მოგების ოდენობაზე აისახება. შიდა ფაქტორების რეგულირება, მართვა ძირითადად ცალკე აღებული საწარმოს მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული.

საწარმოს მუშაობის საბოლოო შედეგი დიდად არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე, რომელთა მართვა საწარმოზე არ არის დამოკიდებული. ფაქ ტორთა ამ ჯგუფში ერთიანდება საერთო ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო პირობები, ინფლაციის დონე ქვეყანაში, საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის

განვითარების ღონე, სამეწარმეო საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები, მეთოდები და ა.შ.

აგრარულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობა სამ ძირითად სფეროდ შეიძლება გაერთიანდეს. ესაა:

– საწარმოო ფაქტორების (რესურსების) შეძენა;

– პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოება;

– წარმოებული პროდუქციის (ნედლეულის) რეალიზაცია.

ამ მიმართულებათა ორგანიზაცია და კოორდინირება საწარმოს მენეჯმენტით ხორციელდება. მიწაზე მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. რადგან თითოეულ მათგანს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს.

საკუთრების მიხედვით განასხვავებენ კერძო, მუნიციპალურ, სახელმწიფო, არენდულ და სხვა სახის საწარმოებს, ხოლო სიდიდის მიხედვით: მსხვილ, საშუალო ზომისა და მცირე საწარმოებს. სოფლის მეურნეობაში საწარმოთა სიდიდის ანუ წარმოების კონცენტრაციის განსაზღვრის საკითხს უდიდესი ყურადღება ექცევა. მიწაზე მეურნეობრიობის სპეციფიკური თავისებურებები უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა წარმოების მაღალი ღონის კონცენტრაციის საშუალებას. სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც საჭიროებს ინდივიდუალურ სამუშაო ოპერაციებს (ვაზი, ხეხილი, ბოსტნეული და ა.შ.) ხასიათდება მაღალი შრომატევადობით და სამუშაოთა მექანიზაციის შეღარებით დაბალი ღონით, რის გამოც მათი მოვლა-მოყვანისთვის უპირატესობა უფრო წვრილ და საშუალო სიდიდის საწარმოებს ენიჭება (მით უფრო, თუ ისინი დაყუძნებულია საკუთარ შრომაზე და მიწაზე).

მცირე საწარმოთა ორგანიზება, როგორც წესი, ხდება ერთპიროვნული მფლობელობის (ინდმეწარმე) ან პარტნიორობის (ამხანაგობის) ფორმით. საქართველოში მცირე საწარმოთა კატეგორიის განსაზღვრისთვის იყენებენ წარმოებაში დაკავებული მუშახელის რაოდენობას და წარმოებული პროდუქციის ოდენობას. „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონით სოფლის მეურნეობაში მცირე საწარმოდ მიჩნეულია ისეთი საწარმო, სადაც დასაქმებულია 20 კაცი და რომელშიც წლიური ბრუნვა შეადგენს 150 ათას ლარს (მრეწველობაში, შესაბამისად 40 კაცი და 500 ათასი ლარი).

მცირე საწარმოებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური ზრდის გააქტიურებისა და პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში. მცირე საწარმოები ხასიათდება დიდი მობილურობით და საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირებით, არამწარმოებლური ხარჯების შემცირებით და წარმოებული პროდუქციის შედარებით დაბალი თვითღირებულებით. აქ შედარებით გაიოლებულია საწარმოს მართვა, პროფილის შეცვლა და მუდმივად ცვლად საბაზრო პირობებთან სწრაფი ადაპტაცია. მცირე მეწარმეობა წარმოადგენს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს. მეწარმეობის ამ ორგანიზაციულ ფორმას აქვს არსებითი ნაკლოვანებებიც. კერძოდ, ხასიათდება შემოსავლების არასტაბილურობითა და საკუთარი კაპიტალის დაკარგვის შედარებით მაღალი რისკით. მცირე მეწარმეობაზე ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკური დეპრესიები და ინფლაციური პროცესები. აღნიშნულის გამო განვითარებულ ქვეყნებში მცირე მეწარმეობისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, როგორც წესი, ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მეწარმეობის ორგანიზაციის ერთ-ერთ გაერცელებულ ფორმას არენდა (იჯარა) წარმოადგენს; არენდული საწარმო მეწარმეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც ყალიბდება ქონების მესაკუთრესა (მიწის, შენობა-ნაგებობის, ტექნიკის და ა.შ.) და ამ ქონების დამქირავებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. არენდის ხელშეკრულების ძირითადი პირობებია არენდის ობიექტების (რომელიც შეიძლება იყოს მთლიანი საწარმო, ორგანიზაცია, სტრუქტურული ქვედანაყოფი, მეცხოველეობის ფერმა და ა.შ.) ღირებულება, არენდის პერიოდი, საარენდო გადასახადი, ამორტიზაციის ანარიცხების გამოყენების წესი, დაქირავებული ქონების აღდგენის, ექსპლუატაციის და

დაბრუნების პირობები. არენდაში ქონების გამცემი ვალდებულებას იღებს გადასცეს დროებით სარგებლობისა და ფლობის უფლებით ხელშეკრულებით დაფიქსირებული ქონება გარკვეული გადასახადის პირობით, ხოლო არენდის მიმღები ვალდებულებას იღებს გადაიხადოს დათქმულ დროს გადასახადი და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები.

სოფლის მეურნეობაში ასევე გვხვდება შერეული საკუთრების საწარმოები სააქციო საზოგადოებების სახით, რომლებშიც სახელმწიფოს აქვს გარკვეული წილი, აქციების დანარჩენი ნაწილი კი კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეკუთვნით. ფართო გავრცელებას ნახულობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ისეთი ფორმები როგორიცაა მარკეტინგული, სერვისული, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების და სხვ.

კითხვები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. განმარტეთ აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის ძირითადი ამოცანა. ჩამოთვალეთ მისი ძირითადი მიზნები.
2. რა არის ზოგადად მეცნიერული კვლევის მეთოდი? განმარტეთ დიალექტიკური მეთოდის არსი.
3. როგორია აგრარული საწარმოს ძირითადი ამოცანები საბაზრო ეკონომიკის პირობებში?
4. როგორი შეიძლება იყოს აგრარული საწარმო საკუთრებისა და წარმოების მოცულობის (სიდიდის) მიხედვით?
5. როგორია მცირე აგრარული საწარმოს ეკონომიკური პარამეტრები? ჩამოთვალეთ მცირე საწარმოს დადებითი მხარეები?
6. განმარტეთ არენდული საწარმოს ეკონომიკური არსი და ახსენით არენდის ხელშეკრულების პირობები.
7. ჩამოთვალეთ აგრარული საწარმოს განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები.
8. რატომ არ ითვლება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობად და როდის ჩაითვლება ის ასეთად?

ტესტი

1) აგრარული საწარმოს ძირითადი მიზანია:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდა
ბ) წარმოების ძირითადი საშუალებების ეფექტური გამოყენება
გ) მოგების მაქსიმიზაცია დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში
დ) წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება

2) აგრარული საწარმო წარმოადგენს საწარმოო დანიშნულების სამეურნეო ორგანიზაციას, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ძირითადად ეწევა:

ა) თვითდაფინანსების პირობებში
ბ) თვითმმართველობისა და თვითკონტროლის პირობებში
გ) სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში
დ) კომერციული ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში

3) აგრარული საწარმოს ფუნქციონირების საბოლოო შედეგზე არ მოქმედებს:

ა) ეკონომიკური გარემო
ბ) სამართლებრივი გარემო
გ) საგადასახადო ტვირთის სიმძიმე
დ) სამართლებრივი სტატუსი

II თავი. თანამედროვე აბრარული წარმოების ზოგადი თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები

2.1. აბრარული საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლები

აგრარული საწარმოს ეკონომიკა ზოგადად დაფუძნებულია წარმოების ეკონომიკური თეორიის ძირითად პრინციპებზე, რომელთა საფუძველზე სწავლობს და ასაბუთებს დარგთაშორის კავშირურთიერთობებს, დამოკიდებულებას საწარმოო პროცესებსა და ამ პროცესების შემადგენელ ელემენტებს შორის, წარმოების ფაქტორების მოხმარებასა და მიღებულ შედეგებს შორის, რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების მიზნით აძლევს მათ რაოდენობრივ-ხარისხობრივ შეფასებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მიზნით გამოყენებული სხვადასხვა ხერხი და მეთოდი (მათ შორის ეკონომიკური მოდელირება) მიმდინარე პროცესებს ვერ ასახავს დროში აბსოლუტური სიზუსტით, რაც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების ტემპებით, პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების დონისა და მოხმარებულ ფაქტორებზე გაწეული დანახარჯების მუდმივი ცვალებადობით. ეკონომიკურ სისტემაში უცვლელი რჩება მხოლოდ წარმოებისა და დანახარჯების თეორიის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საწარმოო პროგრამა, ოპტიმალური ტექნოლოგიები და სხვა პარამეტრები წარმოების სხვადასხვა დარგში მოცემული კონკრეტული საწარმოო-ეკონომიკური და ტექნიკურ-ორგანიზაციული პირობების გათვალისწინებით.

ნებისმიერი საწარმოს დონეზე რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ეკონომიკური გათვლები ხორციელდება როგორც მოლიანად საწარმოს, ასევე მისი ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების, დარგების (სასოფლო-სამეურნეო კულტურების) და საქმიანობის სფეროების (ინვესტიციური, ინოვაციური, ფინანსური და ა.შ.) მიხედვით. ასეთი სახისა და მიმართულების ეკონომიკური გაანგარიშება შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე გეგმური. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მოკლევადიანი ანუ სტატიკური (ერთი რომელიმე პერიოდისთვის) და დინამიკური (რომელიც მოიცავს საქმიანობის რამდენიმე პერიოდს).

როგორც წესი, ეკონომიკური პარამეტრების გასაანგარიშებლად საჭიროა შესაბამისი (რეალური) ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან ნორმატიული (გეგმური), გამოხატული ღირებულებით ან ნატურალურ მაჩვენებლებში (წმინდა ნატურალურ მაჩვენებლებთან ერთად ამ კატეგორიაში მოიაზრება ასევე ტექნიკური მაჩვენებლები – ტონა/კილომეტრი, რბილი ხვნის ჰექტარი, საკვები ერთეული და ა.შ.). საბოლოო ანგარიშით, ყველა სახის ეკონომიკური გაანგარიშება შეიძლება დაიყვანოთ წარმოებული პროდუქციის ღირებულებასა და მასზე გაწეულ დანახარჯებზე, რომელიც წარმოადგენს ბაზისს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების (წმინდა პროდუქცია, წმინდა შემოსავალი, მოგება, რენტაბელობა და ა.შ.) გასაანგარიშებლად ანუ საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის ობიექტური შეფასებისა და მის საფუძველზე რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

ზოგადად, აგრარული წარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოებასა და მის შემდგომ ტექნოლოგიურ გადამუშავებაზე, უპირველ მაღალი ღირსების მქონე საკვები პროდუქტების მიღებაზე. რის გამოც, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აგრარულ საწარმოს მეცნიერება განიხილავდა, როგორც ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული ცოცხალი ორგანიზმების სისტემას, რომელსაც არსებულ გარემოში თვითრეგულირების და თვითგადარჩენის უნარი აქვს. ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები და ფუნქციონალური ქვედანაყოფები მართლაც იმყოფება მუდმივ სიმბიოზურ ურთიერთკავშირში (მემცენარეობა – მეცხოველეობასთან, მარცვლეულის

წარმოება – მელორეობასთან, მეფრინველეობასთან და ა.შ.), რომლის შენარჩუნებას მთლიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ, მეორე მხრივ, აგრარული საწარმოს ფუნქციონირების მთავარი ეკონომიკური მიზანი მოგების მიღებაა, რომლის გარეშე ის ვერ განვითარდება და ადვილად დამარცხდება დარგთაშორის კონკურენტულ ბრძოლაში. თუ ამ კუთხით შევხედავთ აგრარულ საწარმოს, ის წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემას, რომელსაც არსებულ საბაზრო გარემოში განვითარებისთვის (გადარჩენისთვის), საწარმოო ფაქტორების რაციონალური გამოყენება ესაჭიროება.

აგრარულ საწარმოთა განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები ზოგადად ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების ჯგუფებად იყოფა.

პირველი ჯგუფის ფაქტორები (საშუალო წლიური ტემპერატურა, ნალექების საერთო რაოდენობა და მისი განაწილება წლის განმავლობაში, ნიადაგის ნაყოფიერება, სიმაღლე ზღვის დონიდან და ა.შ.) ხელს უწყობს მრავალმხრივი საწარმოო პროგრამების განხორციელებას და ფართო სპეციალიზაციის მქონე საწარმოთა განვითარებას, ხოლო მეორე ჯგუფის ფაქტორები (საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, წარმოების ტექნოლოგიური დონე, საწარმოს ეკონომიკური განვითარების პირობები და ა.შ.) შედარებით ვიწროდ სპეციალიზებული საწარმოო დარგობრივი სტრუქტურების განვითარებას.

საწარმოს განვითარებაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების როლი მით უფრო დიდია, რაც მაღალია წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ასეთ პირობებში ბუნებრივი ფაქტორების როლი მართალია თანდათან იზრდება, მაგრამ მათი გავლენის ხარისხი (განსაკუთრებით საწარმოო სპეციალიზაციის ხასიათზე და დონეზე), მაინც არსებითი რჩება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ წლებში, განვითარებულ ქვეყნებში ცხადად გამოიკვეთა მიდრეკილება მსხვილი, სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფორმირებისა და განვითარებისაკენ. ამასთან, მხედველობაში არ მიიღებოდა ის შესაძლო ნეგატიური პროცესები, რომლებიც, როგორც წესი, თან სდევს მსხვილ სპეციალიზებულ საწარმოებს გარემოს ინტენსიური დაბინძურების თვალსაზრისით.

აგრარულ საწარმოს განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებიდან შეიძლება გამოვყოთ წარმოების გაადგილების პირობები, რომელშიც, როგორც წესი, მოიაზრება ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური, მიწათსარგებლობის (ექსპოზიცია, კონტურიანობა, ნაკვეთიანობა) პირობები და ზოგადად, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარების დონე. ამ მხრივ გამოსაყოფია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის ტემპები, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის დინამიკა, პროდუქციის ფასებისა და საწარმოო ფაქტორების ღირებულების შეფარდება და ა.შ.

ცხადია, რომ ბიოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მიღწევების აგროწარმოებაში დანერგვა გაზრდის შრომის მწარმოებლურობას და შეამცირებს წარმოების დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე. ამასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი აგრარული წარმოების სხვადასხვა დარგებში განსხვავებული ტემპით იკვლევს გზას, რაც, ბუნებრივია, ცვლის ამ დარგებში პროდუქციის წარმოების ფარდობით ეფექტიანობას დროში. გარდა ამისა, ეს პროცესი დაკავშირებულია პროდუქციის ფასებისა და დანახარჯების თანაფარდობასთან, საბოლოო ანგარიშით კი, მოსახლეობის შემოსავლებთან (სხვა სიტყვებით, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი ასტიმულირებს მოთხოვნას). ფაქტია ისიც, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილებაც და რაც მთავარია, იზრდება მოთხოვნა უფრო მაღალი ხარისხის მქონე საკვებ პროდუქტებზე (ხორცი და ხორც-პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები და ა.შ.). მეორე მხრივ, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ზრდა ნიშნავს დასაქმების დონის ზრდას და მაღალ ხელფასს, რაც შედარებით ნაკლებად შრომატევადი დარგების განვითარებას, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვას და პროდუქციის წარმოების გადიდებას უწყობს ხელს (ანუ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი ასტიმულირებს მიწოდებას).

აგრარულ საწარმოთა განვითარებაზე

მოქმედი ფაქტორებიდან გამოსაყოფია მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. საწარმოები, რომელთაც გააჩნია მიწით შედარებით მაღალი უზრუნველყოფა და შეზღუდული შრომითი რესურსები, ირჩევენ შედარებით დაბალინტენსიურ საწარმოო პროგრამას (ტექნოლოგიას) შრომის მაღალი მწარმოებლურობით, ხოლო მიწით ნაკლებ და შრომითი რესურსებით შედარებით კარგად უზრუნველყოფილი საწარმოები, პირიქით, ნერგავენ ინტენსიური კულტურების წარმოებას, რომლებიც გამოირჩევა მაღალი შრომატევადობით და შემოსავლიანობით. ამასთან, საჭირო კაპიტალზე მაღალი ხელმისაწვდომობის პირობებში საწარმოს შეუძლია ორიენტაცია აიღოს ისეთი დარგების განვითარებაზე, რომლებიც შეიძლება მხოლოდ მინიმალურად იყოს დაკავშირებული მიწის სავარგულთან (დახურული გრუნტის მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა და ა.შ.).

ამავე კონტექსტშია განსახილველი აგრარული საწარმოს სპეციალიზაციის ფაქტორებიც.

წარმოების სპეციალიზაცია განაპირობებს საწარმოო დარგებისა და განსახორციელებელი პროგრამების დივერსიფიცირებას (შემოსავლების გამოთანაბრების მიზნით სამეურნეო წლის განმავლობაში), საწარმოო ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებას, მიწის მღგრადი ნაყოფიერების უზრუნველყოფას და ა.შ. თუმცა, ამ ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენის ხარისხი, ეროვნული. მეურნეობის განვითარების კვალობაზე, არსებით ცვლილებებს განიცდის (მაგალითად, ცნობილია, რომ სადაზღვევო სისტემის, საბაზრო ინფრასტრუქტურის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების კვალობაზე წარმოების დივერსიფიკაციის მნიშვნელობა თანდათან მცირდება).

აგრარულ საწარმოთა მრავალდარგოვრივ სტრუქტურას განაპირობებს ნიადაგის ნაყოფიერება და ცალკეული დარგებისა და კულტურების წარმოების ურთიერთკავშირები, შრომითი და სხვა ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით (მხედველობაშია შრომითი რესურსის თანაბარზომიერი გამოყენება და წლის განმავლობაში ფულადი შემოსავლების თანაბარი შემოდინება). აღნიშნულ ფაქტორებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ აგრარულ საწარმოებში, სადაც აწარმოებენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. ასეთი საწარმოები გამოირჩევა არა მარტო ქიმიური საშუალებების შეზღუდვით (ან სრული აკრძალვით), არამედ დარგთა შეზღუდული შეთანაწყობითაც.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება აღასტურებს, რომ წარმოების მეტისმეტად მაღალი სპეციალიზაციისა და ინტენსიობის ხარჯზე მიკლეედიან პერიოდში მიღებული ეკონომიური სარგებლობა (მოგება) შესაძლოა ნაკლები აღმოჩნდეს იმ აუცილებელ დანახარჯებზე, რომლებიც საჭირო იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში ბუნებაზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანის საკომპენსაციოდ.

აგრარული წარმოების პრაქტიკაში წარმოების ძირითადი ფაქტორებიდან მიწა ყველაზე ადრე გახდა შეზღუდული, რასაც მისმა გეოგრაფიულ-სივრცობრივმა შეზღუდულობამაც შეუწყო ხელი (მხედველობაშია ის ფაქტი, რომ ჩვენს პლანეტაზე მიწის ფართობი მკაცრად შემოფარგლულია და იგი 149.1 მლნ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოსადეგი მხოლოდ 12%-ა. ასეთი მკაცრი შეზღუდულობით არც ერთი სხვა წარმოების ძირითადი ფაქტორი არ გამოირჩევა, პირიქით, როგორც შრომით რესურსს, ასევე ნივთობრივ კაპიტალს ზრდის ტენდენცია ახასიათებს).

მიწის ფართობის შეზღუდულობისა და აგრარული წარმოების სხვა სპეციფიკური თავისებურებების გამო, აგრარულ პრაქტიკაში, როგორც წესი, ყოველთვის დგას არსებული საწარმოო ბაზის საფუძველზე წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა, რაც გულისხმობს, რომ პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი წარმოების ფაქტორები ან უკვე არსებობს ადგილზე ან შეიძლება მათი დამატებით შეძენა წარმოების მოდერნიზაცია-გაფართოების ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება წარმოებაში ინვესტიციების განხორციელებისა და მათი დაფინანსების საკითხს. ამდენად, ცხადია, რომ აგრარული პროდუქციის წარმოების

გადიღების, ინვესტიციებისა და ფინანსირების საკითხი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტით განხილვა ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დროს, ეკონომიკურად არ იქნება გამართლებული.

2.2. წარმოების ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპები

წარმოების ეკონომიკური თეორიის მნიშვნელობა, გამოიხატება იმით, რომ იგი იძლევა შესაბამის კრიტერიუმებს ნებისმიერი წარმოების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისთვის. მისი ძირითადი დებულებები მისაღებია, როგორც ამა თუ იმ წარმოების ფაქტორის გამოყენების ოპტიმალური ინტენსივობის დონის დასადგენად, ასევე მრავალი ცვლადი ფაქტორის ოპტიმალური კომბინაციის და შეზღუდული რესურსების პირობებში ოპტიმალური საწარმოო მიმართულების დადგენისთვის. ამ მიზნით გამოიყენება სტატიკური, უწყვეტი არაწრფივი საწარმოო მოდელი, რომლის მიზანია მოცემული საწარმოო ფუნქციის პირობებში ამა თუ იმ წარმოების ფაქტორის გამოყენების ოპტიმალური დონის განსაზღვრა.*)

განვიხილოთ მოკლევადიან პერიოდში აღნიშნულ მოდელში მოქმედი ძირითადი კანონსომიერებანი, კერძოდ:

– როცა განიხილება მონოფაქტორული საწარმოო ფუნქცია (ანუ კავშირი წარმოების მოცულობასა და მხოლოდ ერთ დამოუკიდებელ ცვლად ფაქტორს შორის), წარმოების ფაქტორის გამოყენების ოპტიმალური დონე მიიღწევა მაშინ, როცა ზღვრული დანახარჯი (ამ შემთხვევაში იგულისხმება წარმოების ფაქტორის ფასი), ტოლია ამ ფაქტორის ერთეულის გამოყენებით მიღებული ზღვრული სარგებლიანობისა (ანუ შემოსავლისა);

– თუ განიხილება შემთხვევა მრავალი ცვლადი ფაქტორის გამოყენებით, მაშინ ამ ფაქტორთა ოპტიმალურ კომბინაციად უნდა ჩაითვალოს ფაქტორების ისეთი კომბინაცია, რომლის დროსაც მიღწეული იქნება დანახარჯების მინიმუმი წარმოების გათვალისწინებულ (პროგნოზულ) მოცულობაზე. ამ დებულების მიხედვით წარმოების ფაქტორების გამოყენებაში ოპტიმუმი მიღწეულია მაშინ, როცა მოცემული ფაქტორების შეცვლის კოეფიციენტი ტოლი იქნება მათი ფასების შებრუნებული თანაფარდობისა.

წარმოების განვითარების სხვადასხვა დონეს (ძირითადად, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი განაპირობებს) წარმოების ფაქტორების გამოყენების სხვადასხვა წონასწორული მდგომარეობა შეესაბამება. ამდენად, თუ განვიხილავთ წარმოების მოცულობას, როგორც დამოუკიდებელ ცვლად სიდიდეს, მაშინ მისი გადიდების (გაფართოების) ოპტიმუმი მიღწეულ იქნება მა'მინ, როცა ზღვრული შემოსავალი (ანუ წარმოებული ერთეული პროდუქციის ფასი) ტოლი იქნება ამ ნამატის გამომწვევი ზღვრული დანახარჯისა;

– წარმოების ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ოპტიმალური საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურა საწარმოში მიღწეულია მაშინ, როცა ალტერნატიულად გამოსაყენებელი საწარმოო რესურსები კონკურენტ დარგებს შორის განაწილებულია ისე, რომ თითოეულ მათგანში (დარგში) მათი გამოყენებით მიღებული ზღვრული შემოსავლები თანაბარია;

– იმ საწარმოებისათვის, რომელთაც აქვთ ფართო საწარმოო სპეციალიზაცია, იყენებენ მრავალი სახის წარმოების ფაქტორებს და სხვადასხვა სახის ალტერნატიულ ტექნოლოგიებს, საჭიროა განისაზღვროს საერთო მეურნეობრივი ოპტიმუმი ანუ აუცილებელია ერთდროულად წარმოების თითოეული ფაქტორის გამოყენების ოპტიმალური დონის, ფაქტორთა კომბინაციის ოპტიმუმის (პროდუქციის ერთეულზე მინიმალური დანახარჯები), საწარმოო დარგების ოპტიმალური სიდიდის და მათი ოპტიმალური კომბინაციის განსაზღვრა (დადგენა).

წარმოების ეკონომიკური თეორია გვასწავლის, რომ უწყვეტი არაწრფივი მოდელის პირობებში (რომელიც ხასიათდება კლებადი ზღვრული შემოსავლებით)

*) უფრო ვრცლად და პრაქტიკული მაგალითებით იხ. XI თავში.

წარმოების ოპტიმალური ორგანიზაცია (მაქსიმალური მოგებით) მიღწეულია მაშინ, თუ წარმოებაში ჩადებული თითოეული რესურსის გამოყენებით მიღებული ზღვრული შემოსავლის და მასზე გაწეული დანახარჯის თანაფარდობა ყველა საწარმოო მიმართულების დარგში თანაბარი იქნება. ხოლო ზღვრული შემოსავლიანობა წარმოებაში დაბანდებულ ყოველ ლარზე ტოლი ან მეტი იქნება ერთზე.

წარმოების მოდელირებისა და პროგრამირების თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები საშუალებას იძლევა საკმარისი სიზუსტით გაკეთდეს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული გაანგარიშებანი ანუ საწარმოს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი მაქსიმალურად მიუახლოვდეს რეალურ პირობებს. თუმცა ამ მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მოდელში წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნილების, წარმოების დანახარჯების და შედეგების რიცხობრივი (მათემატიკური) ნაწერის სიზუსტეს ენიჭება. არსებით მნიშვნელობას იძენს წარმოების შედეგების ანუ ეფექტის გაყოფა ძირითად და თანმდევ ეფექტებად, პროდუქციის განაწილება სასაქონლო და არასასაქონლო სახეებად და ა.შ.

ანალოგიური მიდგომითაა საჭირო დანახარჯების კლასიფიკაცია მათი გამოყენების ხასიათის მიხედვით (ცვლადი, მუდმივი, პირდაპირი, არაპირდაპირი და ა.შ.). გასათვალისწინებელია, რომ მუდმივ დანახარჯებს არ აქვთ რაიმე გავლენა საწარმოს ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრაზე, მაგრამ სამაგიეროდ ცვლადი დანახარჯები იცვლება წარმოების მოცულობის პროპორციულად, რითაც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს დარგობრივი სტრუქტურისა და მიმართულების განსაზღვრაზე.

ნებისმიერ აგრარულ საწარმოში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგები, ასევე მათი ქვედარგები – მარცვლეულის წარმოება, შებოსტნეობა, მევენახეობა და ა.შ. ხასიათდება წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნასა და პროდუქციის გამოსავლიანობას შორის გარკვეული თანაფარდობით. იმის მიხედვით, თუ რამდენად რაციონალური თანაფარდობა მოინახება დარგთა და კულტურათა საწარმოო ფაქტორებზე მოთხოვნასა და ფაქტორის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობას შორის, ბევრად იქნება დამოკიდებული საწარმოს ფაქტობრივი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა.

აგრარულ საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი მაჩვენებლები. პირველს, ძირითადად, მოსავლიანობა და პროდუქტიულობა მიეკუთვნება, რაც შეეხება ღირებულებით მაჩვენებლებს, მათ მიეკუთვნება ის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავს მხოლოდ პირდაპირ ცვლად დანახარჯებს ან საერთოდ ყველა სახის დანახარჯს.

აგრარულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების თეორიის მიხედვით (რომელიც დაფუძნებულია ღირებულების განსაზღვრის ზღვრული სარგებლიანობის პრინციპებზე), დარგის შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულია მარგინალური შემოსავალი ანუ სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამოსაგებსა და მის წარმოებაზე გაწეულ პირდაპირ ცვლად დანახარჯებს შორის. იგივე მაჩვენებელი (მარგინალური შემოსავალი) ფართოდ გამოყენებას პოულობს აგრეთვე ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მეცხოველეობის დარგების, ტექნოლოგიების ურთიერთშედარებისა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად.

გარდა შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებისა, საჭიროა გავიანგარიშოთ წარმოების აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებიც, რისთვისაც აუცილებელია პროდუქციის სრული თვითღირებულების და მოგების მაჩვენებლების გაანგარიშება. ამდენად, საწარმოო დარგების განვითარების გეგმური და ფაქტობრივი მდგომარეობის ეკონომიკური შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ:

– მარგინალური შემოსავალი;

– მოგება (მარგინალურ შემოსავალს მინუს მუდმივი დანახარჯები);

– წარმოების დანახარჯები (ცვლად დანახარჯებს პლუს მუდმივი დანახარჯები);

– მოსავლიანობა (პროდუქციის გამოსავალი ფართობის ერთეულზე ნატურალურ გამოსახულებაში);

– პროდუქტიულობა (პროდუქციის გამოსავალი პირუტყვის, ფრინველის ერთეულზე).

მათგან პირველი ორი – საწარმოს შეყვარდებით და აბსოლუტურ ეფექტიანობას ახასიათებს, მესამე (საწარმოო დანახარჯები) – პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ხოლო ბოლო ორი (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა) – შესაბამისი დარგების ტექნიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია.

2.3. წარმოების ოპტიმიზაციისა და წარმოების შაძტორების განაწილების ძირითადი პრინციპები

ნებისმიერ საწარმოში შეზღუდული მიწის რესურსის ორი ან მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ქვეშ გამოყოფისას საჭიროა განისაზღვროს თითოეულისთვის გამოსაყოფი ფართობის რაოდენობა. ამ მიზნით კი, უპირველესად, აუცილებელია კონკურენტი კულტურების ფართობებსა და მოსავლიანობას შორის თანაფარდობის დადგენა. ამ დროს შესაძლებელია სამ ვარიანტთან გვქონდეს საქმე: ა) მოსავლიანობა შეიძლება მუდმივი იყოს, მიუხედავად ფართობის აბსოლუტური სიდიდისა; ბ) მოსავლიანობა შეიძლება იზრდებოდეს დაკავებული ფართობის ზრდის კვალობაზე; გ) მოსავლიანობა შეიძლება მცირდებოდეს ფართობის ზრდის შემთხვევაში. აქედან პირველი და მეორე ვარიანტი შედარებით იშვიათია, რადგან რაღაც პერიოდში დადგება ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის შემცირების მომენტი (განსაკუთრებით ფართობის განუწყვეტელი ზრდის პირობებში). უფრო ნორმალურად ითვლება ვარიანტი, რომლის დროსაც ფართობის ზრდის კვალობაზე ადგილი ექნება მოსავლიანობის შემცირების ტენდენციას. ასეთ პირობებში კი გარდუვალად დგება საკითხი რამდენიმე კონკურენტ კულტურათა წყვილებს შორის (წყვილები ისეთი კულტურების ერთობაა, რომელთა მოვლა-მოყვანა მოითხოვს ერთი და იგივე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, დაახლოებით ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის, საბრუნაო საშუალებების გამოყენებას და ა.შ.) არჩევანის გასაკეთებლად. იმისათვის, რომ გაკეთდეს ეკონომიკურად მომგებიანი არჩევანი, საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა რაოდენობის შემოსავალს იძლევა თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა ან კულტურათა წყვილები ერთად. ყველაზე მარტივი მეთოდი, რომლითაც არჩევანი კეთდება, კულტურის მოსავლიანობასა და მიღებული პროდუქციის ფასს ეფუძნება.

დავუშვათ, საწარმო ორიენტირებულია მხოლოდ ორი კულტურის – სამარცვლე სიმინდისა და სამარცვლე სოიას წარმოებაზე. სიმინდის მოსავლიანობა 20 ცენტნერს, ხოლო სოიასი – 10 ცენტნერს შეადგენს ჰექტარზე. ცენტნერი სიმინდის მარცვლის სარეალიზაციო ფასი 50 ლარია, ხოლო სოიასი – 100 ლარი.

კულტურათა მოსავლიანობისა და წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასებს შორის აღწერილი თანაფარდობის დროს შემოსავალი ფართობის ერთეულიდან ერთი და იგივეა და ამდენად მეწარმისთვის მნიშვნელობა არ ექნება აწარმოოს სოია თუ სიმინდის მარცვალი მანამდე, ვიდრე ეს თანაფარდობა იქნება შენარჩუნებული (20×50 = 10×100). სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ერთი ცენტნერი სოიას მარცვლის ფასი ორჯერ აღემატება ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლის ფასს, რითაც აკომპენსირებს ორჯერ ნაკლებ მოსავლიანობას სიმინდთან შედარებით.

ზოგადად, აღწერილი სიტუაცია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ერთი კულტურის მეორე კულტურით ჩანაცვლების კოეფიციენტი ტოლია მათი ფასების შებრუნებული შეფარდებისა. ჩვენ მაგალითში მას ასეთი ჩანაწერი ექნება: კულტურათა ერთმანეთით შეცვლის კოეფიციენტი **C = (20:10) = (100:50) = 2**, რაც ნიშნავს, რომ სამარცვლე სოიასათვის გამოყოფილი უკანასკნელი ჰექტრიდან მიღებული ზღვრული შემოსავალი ზუსტად უდრის იმ შემოსავალს, რომელსაც იძლევა სამარცვლე სიმინდისათვის გამოყოფილი ამდენივე ფართობი.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში არც თუ იშვიათად საქმე გვაქვს შემთხვევებთან, როცა ფართობის ერთეულზე

ღანახარჯების, პროდუქციის გამოსავლიანობისა და ფასების თანაფარდობის მუდმივობის პირობებში ერთ-ერთ კულტურას უფრო მეტი ან ნაკლები შემოსავლის მოცემა შეუძლია, ვიდრე მის კონკურენტ კულტურას. ეს ხდება მაშინ, როცა კონკურენტი კულტურების პროდუქციის ფასების შებრუნებული შეფარდება ამ კულტურათა შეცვლის კოეფიციენტზე მეტი ან ნაკლები აღმოჩნდება. ასე მაგალითად, თუ სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა 20 ცენტნერიდან 15 ცენტნერამდე დაეცემა, ხოლო სამარცვლე სოიასი 10 ცენტნერზე შენარჩუნდება, მაშინ მათი შეცვლის კოეფიციენტი ნაცვლად 2,0-სა 1,5 იქნება, რაც ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საწარმოსათვის უმჯობესია შეზღუდული მიწის რესურსი მთლიანად დაუთმოს სოიას კულტურას, რადგან ცენტნერი სოიას მარცვლის გაყიდვით შეეძლება იყიდოს 2 ცენტნერი სიმინდი (ნაცვლად 1,5 ცენტნერი სიმინდისა საკუთარ საწარმოში).

პრაქტიკაში შესაძლებელია იყოს საპირისპირო შემთხვევაც. კერძოდ, ვთქვათ სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა 20 ცენტნერიდან გაიზარდა 23 ცენტნერამდე, რაც ნიშნავს, რომ სოიას მოსავლიანობის უცვლელობის პირობებში მათი შეცვლის კოეფიციენტი 2,3-ს ტოლი იქნება (23:10) ანუ მეტი იქნება მათი ფასების შებრუნებულ შეფარდებაზე (100:50). ამ შემთხვევაში საწარმოსათვის უმჯობესია მთელი მიწის რესურსი სამარცვლე სიმინდს დაუთმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო წააგებს, რადგან სოიას ერთ ცენტნერში საწარმო ბაზარზე მხოლოდ 2 ცენტნერ სიმინდს მიიღებს, მაშინ როცა საკუთარ საწარმოში (თუ სოიას სიმინდით შეცვლის) ფართობის ერთეულზე 23 ცენტნერის მიღება შეუძლია.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში კულტურათა მოსავლიანობა, რა თქმა უნდა, არ რჩება უცვლელი, ისევე როგორც ფართობები და შემოსავლიანობის მაჩვენებლები. გარდა ამისა, მოქმედებაშია კლებადი ნაყოფიერების კანონი და სხვა ფაქტორები, რაც განაპირობებს შეზღუდული საწარმოო ფაქტორების განაწილების სხვადასხვა, ეკონომიკური თვალსაზრისით მისაღები ვარიანტების გამოყენების აუცილებლობას. ამ მიზნით გამოვიყენოთ განხილულ მაგალითში მოცემული ზოგიერთი მონაცემი. დავუშვათ, რომ საწარმოს გააჩნია მხოლოდ ორი ძირითადი კონკურენტი კულტურა – სამარცვლე სიმინდი და სამარცვლე სოია და შეზღუდული მიწის რესურსი, სულ 100 ჰექტრის ოდენობით. საწარმოო პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იყო აღნიშნული კულტურების წარმოების 2.1. ცხრილში ნაჩვენები შემდეგი ვარიანტები.

ცხრილიდან ჩანს, რომ მიწის შეზღუდული რესურსი საწარმოში ორი კულტურისთვის სამ შესაძლო ვარიანტადაა განაწილებული და შესაბამისად, ამ კულტურათა მოსავლიანობისა და ფასების შეფარდებათა შემდეგ კოეფიციენტებთან შეიძლება გვქონდეს საქმე: 1) როცა სამარცვლე სიმინდის ქვეშ გამოყოფილია 25, ხოლო სამარცვლე სოიასათვის 75 ჰა, მაშინ მათი ფასების შეცვლის კოეფიციენტი ტოლია 2:1 (100:50) ანუ ნაკლებია მათი მოსავლიანობის შეფარდების კოეფიციენტზე 2,5:1 (20:8); 2) როცა კულტურების ფართობები თანაბარია (50 ჰა), მაშინ სიმინდისა და სოიას ფასების შეცვლის კოეფიციენტი (100:50) და მათი მოსავლიანობის შეფარდების კოეფიციენტი (20:10) თანაბარია; 3) როცა სამარცვლე სიმინდს უკავია 75 ჰა, ხოლო სამარცვლე სოიას 25 ჰა, მაშინ მათი ფასების შეცვლის კოეფიციენტი (100:50) მეტია ამ კულტურათა მოსავლიანობის შეფარდების კოეფიციენტზე (18:10).

ცხრილი 21

სამარცვლე სიმინდი					სამარცვლე სოია				
ფართობი	მოსავლიანობა (ც/ჰა)	სულ პროდუქცია (ცენტნერი)	ერთი ცენტნერის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	სულ საერთო შემოსავალი (ლარი)	ფართობი	მოსავლიანობა (ც/ჰა)	სულ პროდუქცია (ცენტნერი)	ერთი ცენტნერის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	სულ საერთო შემოსავალი (ლარი)
25	20	500	50	25000	75	8	600	100	60000
50	20	1000	50	50000	50	10	500	100	50000
75	18	1350	50	67500	25	10	250	100	25000

2.1 ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ მაქსიმალური შემოსავალი მიიღება მაშინ, როცა ამ კულტურებს მიწის თანაბარი რესურსი (50 ჰა) გამოეყოფა, რაც სრულიად კანონზომიერია, თანახმად წარმოების თეორიის ძირითადი დებულებისა.

პირველი ვარიანტის დროს (სიმინდი – 25 ჰა, სოია – 75 ჰა) საწარმოს შეუძლია შემოსავალი გაზარდოს სიმინდის ნათესის ფართობის გაზრდით სოიას ნათესის ხარჯზე (ანუ როცა კულტურათა ფასების შებრუნებული შეფარდების (100:50) კოეფიციენტი ნაკლებია მათი მოსავლიანობის შეფარდების კოეფიციენტზე, მოგების გადიდება შეიძლება მოსავლიანობების შეფარდების წილადის მრიცხველში მოცემული კულტურის წარმოების გადიდებით).

რაც შეეხება კულტურათა ურთიერთკავშირის მესამე ვარიანტს (ანუ როცა ფასების შეცელის კოეფიციენტი მეტია მათი მოსავლიანობის შეფარდების კოეფიციენტზე) მოგების გადიდება შეიძლება მოსავლიანობის შეფარდების წილადის მნიშვნელში მოცემული კულტურის წარმოების გადიდების ხარჯზე.

აღწერილი წესების გამოყენება მიზანშეწონილია როგორც მოსავლიანობის ცვალებადობის დროს, ასევე მაშინაც, როცა მოსავლიანობა ერთი და იგივე დონეზე რჩება. ეს წესები არ გამოიყენება მაშინ, როცა ადგილი აქვს სხვადასხვა რაოდენობის დანახარჯებს სხვადასხვა კულტურის წარმოებაზე. ასეთ შემთხვევებში პროდუქციის ფასის მაგივრად გამოიყენება თითოეული კულტურიდან მოსალოდნელი მარგინალური შემოსავლის მაჩვენებელი. ოპტიმიზაციის ძირითადი პრინციპის მოთხოვნა ამ დროს უცვლელი რჩება. კერძოდ, საჭიროა საწარმოში ისე განაწილდეს შეზღუდული რესურსი (მიწა), რომ თითოეული დარგი, კულტურა იძლეოდეს ერთნაირი მოცულობის მარგინალურ შემოსავალს წარმოების ფაქტორის უკანასკნელ დამატებულ ერთეულზე. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ოპერაციის შესრულება. კერძოდ:

ა) განისაზღვროს მარგინალური შემოსავალი წარმოების ფაქტორის თითოეულ დამატებულ ერთეულზე (ანუ რესურსიდან რომელიც ემატება ამა თუ იმ დარგს მისი გაფართოების კვალობაზე);


ბ) დადგინდეს დონე, რომლის შემდეგ მარგინალური შემოსავალი იწყებს დაცემას დარგის გაფართოების (წარმოების გადიდების) შედეგად;

გ) განლაგდეს დარგები მომგებიანობის მიხედვით (ანუ მოხდეს დარგების რანჟირება წარმოების ფაქტორის ერთეულზე მიღებული მარგინალური შემოსავლის მიხედვით);

დ) განისაზღვროს მარგინალური შემოსავლის შემცირების გაელენა ცალკეული დარგების მომგებიანობაზე, დადგინდეს დონე, რომელზეც ხდება ორ ან რამდენიმე დარგში მარგინალური შემოსავლების გამოთანაბრება;

ე) დადგინდეს, რა რაოდენობის წარმოების საშუალებები შეიძლება იყოს გამოყენებული თითოეულ დარგში, როცა მარგინალური შემოსავლის დონე მათში ერთნაირია.

ჩამოთვლილი პირობებიდან ყველაზე უპირველესი მარგინალური შემოსავლების განსაზღვრაა. იგი გამოითვლება თითოეული კულტურისათვის ერთ ჰა ფართობზე და გამოისახება გრაფიკზე შესაბამისი მრუდების სახით.



ნახ. 2.1. მარგინალური შემოსავლების გრაფიკი

როგორც ეხედავთ, კოორდინატთა ღერძზე გადათვლილია მარგინალური შემოსავლები, ხოლო აბსცისთა ღერძზე – თითოეული კულტურის მიერ დაკავებული ფართობი. გრაფიკზე გამოსახული მონაცემები საკმარისია ყველა დანარჩენი ზემოაღნიშნული ოპერაციების შესასრულებლად. მხოლოდ საჭიროა ნათესი ფართობებისა და შემოსავლების ისეთი კომბინაციების მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ჰექტრიდან მაქსიმალური ოდენობის მარგინალური შემოსავლის მიღებას, კერძოდ,

როდის იწყებს დაცემას მარგინალური შემოსავალი თითოეული კულტურის გაფართოების კვალობაზე. მისი განსაზღვრა შეიძლება უშუალოდ გრაფიკიდან თითოეული კულტურისათვის. მაგალითად, „ა“ კულტურის შემთხვევაში მარგინალური შემოსავალი, რომელიც საწყის წერტილში შეადგენს ერთ ჰექტარზე 100 ლარს, ამავე დონეზე რჩება მისი ფართობის 10 ჰა-ით გაფართოებამდე. შემდეგ კი, ფართობის შემდგომი გაფართოების კვალობაზე, თანდათან ეცემა და 45 ჰა-ზე აღწევს 40 ლარს ერთ ჰექტარზე.

სხვა კულტურები (გარდა „დ“ კულტურისა) ასევე ხასიათდება მარგინალური შემოსავლის დაცემით, მანამ, ვიდრე მათი ფართობი მაქსიმალურ 110 ჰა-ს მიაღწევდეს.

მოცემული გრაფიკიდან ასევე შეიძლება განისაზღვროს მიწის რესურსის ისეთი განაწილება, როცა ყველა კულტურა ერთნაირ დამატებით მოგებას მისცემს საწარმოს (1 ჰა-ზე 64 ლარს). ამ შემთხვევაში „ა“ კულტურისათვის დასამატებელი ფართობი შეადგენს 38 ჰა-ს, „ბ“ კულტურისათვის, შესაბამისად, 87 ჰა-ს, „გ“ კულტურისათვის – 75 ჰა-ს და „დ“ კულტურისათვის – 108 ჰა-ს.*)

2.4. აბრარულ საწარმოთა ინვესტირების თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები

აგრარულ საწარმოს, ისევე, როგორც მატერიალური წარმოების სხვა დარგების ძირეულ რგოლებს, ფუნქციონირება მუდმივად უხდება სწრაფად ცვლად ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პირობებში და ეკონომიკურ-სამართლებრივ გარემოში. ეს ნიშნავს, რომ საწარმო ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს მოსალოდნელ ცვლილებებზე, ჰქონდეს მოქმედების შესაბამისი ტაქტიკა და სტრატეგია. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, ნებისმიერი წარმოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ინვესტიციური საქმიანობის სწორად დაგეგმვა წარმოადგენს.

ვიწრო გაგებით ინვესტირება ნიშნავს ფულის ან კაპიტალის ჩადებას საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. განასხვავებენ საწარმოო ანუ რეალურ და პორტფელურ (ფინანსურ) ინვესტიციებს.

საწარმოო ინვესტიციების ქვეშ გულისხმობენ ფულად დანახარჯებს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მარტივ და გაფართოებულ კვლავწარმოებაზე, ანუ ის მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალურ დანახარჯებს (მაშინ, როცა კაპიტალური დაბანდებების ქვეშ იგულისხმება ინვესტიციები, რომლებიც მიმართულია წარმოების ძირითადი საშუალებების ძველი მასშტაბით აღდგენაზე, შეძენასა და რეკონსტრუქციაზე). საწარმოო ინვესტიციები ძირითადად ახალ მშენებლობას, რეკონსტრუქციას, მოქმედი საწარმოს გაფართოებას და ტექნიკურ გადაიარაღებას ითვალისწინებს, მაშინ როცა პორტფელური ინვესტიციები ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, სახაზინო ვალდებულებების) შეძენაზეა ორიენტირებული. ორივე სახის ინვესტიცია მოგების მიზნით კეთდება. პირველის ძირითადი წყაროა წარმოების გაფართოებიდან` მიღებული მოგება, ხოლო მეორისა – დივიდენდი.

ფართო გაგებით, ინვესტირების ქვეშ მოიაზრება ფულადი საშუალებების გადადგილება საგადამხდელო სფეროდან საინვესტიციო სფეროში ანუ მიმოქცევის სფეროში არსებული ფინანსური სახსრების გამოყენება მატერიალური რესურსების შესაქმნელად, ძირითადი კაპიტალის, ფასიანი ქაღალდების შესაძენად და ა.შ.

ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოცემულ საწარმოში უკეთესი საწარმოო და ეკონომიკური შედეგების მიღწევა, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ინვესტიციური პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების და განხორციელების ძირითადი კრიტერიუმი პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობა უნდა იყოს. თუმცა, ამასთან, ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს ინვესტიციის გავლენა საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხზე, საგადასახადო ტვირთის სიმძიმეზე, საინვესტიციო

*) მოცემული მაგალითი აღებულია ტ. პეჯჯისის სახელმძღვანელოდან „ყურმრული მეურნეობის ორგანიზაცია“, თბ., „ფარხაული“ 1977.

ობიექტის სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობაზე და ა.შ. რაც მთავარია, ანგარიშგასაწევია საერთო რისკი, რომელიც პრაქტიკულად ყველა საინვესტიციო პროექტის თანმდევია. ყველა აღწერილი კრიტერიუმი დროში და სივრცეში რაოდენობრივ-რიცხობრივ გაზომვას ექვემდებარება ანუ მათი გამოხატვა შესაძლებელია ფულად ერთეულებში, მაგრამ ამავდროულად გასათვალისწინებელია ისეთი არაინვენტარიზებადი და არამატერიალური მახასიათებლებიც, რომელთა აღრიცხვა და კონკრეტული საზომით გამოხატვა პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძოდ, ახალი ინვესტიციის ობიექტის ამოქმედებას შეიძლება ახლდეს მეტი კომფორტი, შრომის პროცესის შემსუბუქება, დამღლელი მონოტონური შრომის შეცვლა და ა.შ. საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები მთელი კომპლექსი კრიტერიუმებისა, რათა მაქსიმალური სიზუსტით შეფასდეს ობიექტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას შესაძლოა რამდენიმე შემთხვევასთან გვქონდეს საქმე, რომლის დროსაც წინასწარ ცნობილია მისაღები მმართველობითი გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები. ასე მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ინვესტიციის ეკონომიკური ანალიზი დაიყვანება ამა თუ იმ საინვესტიციო ობიექტის შეძენა-გამოყენების დანახარჯების ცვლილებების განსაზღვრასთან, სრულიად საკმარისი ხდება საშუალო წლიური დანახარჯის გაანგარიშება და მათგან იმ ვარიანტის არჩევა, რომელიც ნაკლები საშუალო წლიური დანახარჯებით ხასიათდება ანუ ასეთ შემთხვევაში ოპტიმალურად ჩაითვლება ის საინვესტიციო პროექტი, რომელიც იწვევს ობიექტის შეძენა-გამოყენების დროს დანახარჯების მინიმუმს. პრაქტიკულად იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ხდება ახალი ობიექტის მოქმედ (წარმოებაში არსებულ) ობიექტთან შედარება ან, როცა საჭიროა დავადგინოთ წარმოებაში არსებული ძირითადი საშუალების ახლით შეცვლის ოპტიმალური ვადა და ა.შ.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად მართო საშუალო წლიური დანახარჯების გაანგარიშება საკმარისი არ არის. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ საინვესტიციო პროექტებს, რომლებსაც ახასიათებს შეძენა-გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ამონაგების დიდი რყევები (ცვალებადობა დროში). ასეთ შემთხვევაში ანუ როცა ფულადი დანახარჯები ინვესტიციის ობიექტის შეძენისას ან შემდეგ ექსპლუატაციისას უფრო მეტ გავლენას ახდენს მის (ობიექტის) ეფექტიანობაზე, ვიდრე შემდგომი პერიოდის ხარჯები და შემოსავლები, ობიექტის ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად საჭირო ხდება ისეთი დინამიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორიცაა წმინდა დისკონტირებული შემოსავალი, შემოსავლიანობის შიდა ნორმა, ეკვივალენტური ანუიტეტი. გარდა ამისა, როგორც დამატებითი მახასიათებელი, გამოითვლება ასევე ობიექტის გამოსყიდვის ვადა. ამ მაჩვენებლის გამოყენებისას შეიძლება საქმე გვქონდეს შემდეგ ვარიანტებთან:

ა) თუ დგება საკითხი საერთოდ საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობის თაობაზე, მაშინ პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთების ძირითადი კრიტერიუმი წმინდა დისკონტირებული შემოსავალია, რომლის მნიშვნელობა ტოლი ან მეტი უნდა იყოს ნულზე.

თუ ეფექტიანობის ანალიზი კეთდება შემოსავლიანობის შიდა ნორმის მიხედვით, მაშინ კრიტერიუმი უნდა იყოს ამ მაჩვენებლის მეტობა კაპიტალის პროცენტზე (საბანკო სესხის პროცენტი), ხოლო თუ ანალიზი კეთდება ინვესტიციის ობიექტის ამოგების (გამოსყიდვის) ვადის მაჩვენებლის მიხედვით, მაშინ უფრო ეფექტურია ის პროექტი, რომლის ამოგების ვადა ნაკლებია მისი შესაძლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადაზე.

ბ) არის შემთხვევები, როცა ძირითადი ამოცანაა საინვესტიციო პროექტებიდან ყველაზე უფრო ეფექტიანი პროექტის ამორჩევა. ამ შემთხვევაში კაპიტალზე ხელმისაწვდომობის შედარებით შეუზღუდაობის პირობებში (ანუ როცა კაპიტალი არაა დეფიციტური) ყველაზე კარგ პროექტად ითვლება ის, რომელსაც აქვს

წმინდა დისკონტირებული შემოსავლის ყველაზე მაღალი დადებითი მნიშვნელობა ან ის ვარიანტი, რომელსაც გააჩნია შემოსავლიანობის შიდა ნორმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ამასთან, თუ საინვესტიციო პროექტის არჩევისას გადამწყვეტია მხოლოდ კაპიტალური დაბანდების ობიექტთან დაკავშირებული დანახარჯები (ანუ პროექტებს აქვს ერთი და იგივე მწარმოებლურობა), მაშინ ყველაზე უფრო მოქნეებიან ვარიანტად ითვლება ის პროექტი, რომელსაც ახლავს დისკონტირებული დანახარჯების მინიმუმი;

გ) როცა არსებობს ორი ურთიერთშემავსებელი პროექტი (რომელთა ურთიერთქმედების შედეგად მიიღება ეკონომიკური ეფექტი), შეიძლება განვიხილოთ მათი შეფასების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის: 1) დავნერგოთ ორივე პროექტი; 2) თითოეული ცალ-ცალკე; 3) არც ერთი. ასეთ დროს ვარიანტების შესადარებლად გამოიყენება ზემოაღნიშნული კრიტერიუმები. ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას კაპიტალური დაბანდების განცალკევებულად განხილვა არამართებულია. განსაკუთრებით მაშინ, როცა კაპიტალზე ხელმისაწვდომობა გარკვეულად შეზღუდულია და ამდენად, განხორციელებული ინვესტიციებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საწარმოს საქმიანობის სხვა სფეროებზე. ასეთ შემთხვევაში უფრო სასარგებლოა შეფასების ჩამოთვლილი კრიტერიუმები განვიხილოთ საწარმოს დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის სისტემაში, სხვადასხვა კომბინაციებისა და მიზნების გათვალისწინებით.

კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხზე კაპიტალურ დაბანდებათა გაელენის ხარისხის დადგენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საკმაოდ დიდი მოცულობის ფინანსური რესურსის ჩანგრძლივი ვადით „გაყინვას“ წარმოებაში. ამ შემთხვევაში საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხს განსაზღვრავს ფინანსური რესურსების ის რაოდენობა, რომელიც საწარმოს აქვს ინვესტირების პერიოდში საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინვესტიციო პროექტების დაფინანსების და საწარმოს ლიკვიდურობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტის ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი მაჩვენებლები: ა) როგორია მოზიდული სახსრების წილი ობიექტის საერთო დაფინანსებაში და მისი დაფარვის პირობები; ბ) როგორია საინვესტიციო პროექტიდან ფულადი შემოსავლების დინამიკა დროში; გ) როგორია კრედიტის სახე, დაფარვის ვადები, მოსალოდნელი რისკი და შესაძლო ზარალი.

ბუნებრივია, რომ რაც მეტია საერთო დაფინანსებაში სესხების წილი და მათზე გადასახადები (პროცენტების სახით), აგრეთვე რაც მცირეა კრედიტების დაბრუნების ვადა და მაღალია მათზე გადასახდელი პროცენტი, მით უფრო მნიშვნელოვანია საწარმოს ლიკვიდურობის მინიმალური დონის უზრუნველყოფა, ანუ აუცილებელია საწარმოს ჰქონდეს საკმარისი ფინანსური რესურსები სავალდებულო გადასახადებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი მიდგომა ინვესტიციებისადმი, რომელთაც ამონაგები ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების პირველ წლებში საერთოდ არ ახასიათებს (ან ახასიათებს არათანაბარი შემოსავლები, მაგალითად: მრავალწლიანი ნარგავები, პირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირება, გარდამავალი მშენებლობა და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ფულადი შემოსავლების დეფიციტის გადასაფარად საჭირო ფინანსური სახსრების დარეზერვება, რათა საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში ჩავარდნას არ ჰქონდეს ადგილი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კრედიტის სახის გათვალისწინებაც. ასე მაგალითად, ზოგიერთი სახის სესხი ითვალისწინებს გადახდას თანაბარი ნაწილებით მთელი საკრედიტო პერიოდის განმავლობაში (სესხის ნაწილის და პროცენტის დაფარვა თანაბარი ნაწილებით წლების მიხედვით), ან ზოგიერთი სესხის წილის მუდმივ დაფარვას და დარჩენილ სესხზე კლებადი პროცენტის დარიცხვას (არის სესხის სახე, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის განვადებას და მთელი სესხის ერთდროულად გადახდას სასესხო პერიოდის ბოლოსათვის და ა.შ.). აღწერილ შემთხვევებში, ბუნებრივია, სხვადასხვა იქნება კრედიტზე გადასახდელების განაწილებაც წლის განმავლობაში. ყველა შემთხვევაში აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს კრედიტის

დაფარვის წყაროები, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს წლის განმავლობაში ფულადი სახსრების არათანაბარ შემოდინებასთან.

გარდა აღნიშნულისა, კრედიტზე გადასახადის ოდენობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კრედიტის ხანგრძლივობაზე (ვადებზე). თუ კრედიტით სარგებლობის ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის ვადა,. ამასთან, თუ საერთო დაფინანსებაში კრედიტის წილი შედარებით დიდია, ხოლო ყოველწლიური შემოსავლების სიდიდე უმნიშვნელო, მაშინ იმ ინვესტიციებისათვისაც კი, რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობა ეჭვს არ იწვევს. კრედიტის საგადასახადო ვალდებულებები საკრედიტო ვადაში უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე საინვესტიციო ობიექტის გამოყენებიდან გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები, რაც ნიშნავს, რომ საწარმოს ლიკვიდურობა არ იქნება უზრუნველყოფილი (ბუნებრივია, თუ საქმე ეხება მხოლოდ ამ ერთი საინვესტიციო პროექტის იზოლირებულ განხილვას), ანუ საჭირო იქნება დამატებით საკუთარი ფინანსური სახსრების მობილიზება სხვა დარგებიდან მოგების, დაგროვებისა და სხვა შესაძლო წყაროების ხარჯზე.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის დაფარვის ვადა მნიშვნელოვნად აღემატება კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის ვადას, საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხი მაღლდება (საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობისა და კრედიტის კეთილსაიმედო პირობების შემთხვევაში).

ნებისმიერი კაპიტალური დაბანდება (ინვესტირება) გარკვეულწილად რისკის ფაქტორის მატარებელია. აქ შეიძლება განხილულ იქნეს ინვესტიციებთან დაკავშირებული როგორც შედარებით მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანია რისკები. აქედან პირველი შესაძლოა დაკავშირებული იყოს წარმოების საშუალებებზე ან წარმოებულ პროდუქციაზე ფასების არაპარიტეტული გადახრით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებით და სხვა ფაქტორებით, რომელთაც შეუძლია ძალიან სწრაფად ამოწუროს საწარმოს ლიკვიდურობის მთელი რეზერვი და გახადოს ის არაგადახდისუნარიანი. ამავე მიმართულებით მოქმედებს ხანგრძლივადიანი რისკის ფაქტორებიც, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევებთან და ქვეყანაში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან (ინფლაციური პროცესების განვითარება, საგადასახადო ტვირთის დამძიმება და ა.შ.). ამ სახის (გრძელვადიანი) რისკის ხარისხი პირდაპირ დაკავშირებულია კაპიტალური დაბანდების ობიექტის გამოსყიდვის ვადასთან, ობიექტის გამოყენების სხვა ალტერნატიული ვარიანტის არსებობასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევებთან და სხვა ფაქტორებთან. ყველა შემთხვევაში, რაც უფრო მოკლეა ინვესტირების ობიექტის გამოსყიდვის ვადა ან ყართოა შესაძლებლობები ობიექტის სხვა ალტერნატიული მიმართულებით გამოყენებისათვის, მით უფრო ნაკლებია ობიექტის შეძენასთან დაკავშირებული რისკის ფასი.

ყველა აღწერილ ფაქტორთან (კრედიტის სახე, დაფარვის პირობები და ა.შ.) ერთად, მნიშვნელოვანია თვით საინვესტიციო ობიექტის მობილურობა, სხვა დანიშნულებით გამოყენების (სპეციალიზაციის მიზანშეწონილი შეცვლის) თვალსაზრისით. როცა ინვესტიციის ობიექტს არ ახასიათებს აღნიშნული თვისება, ბუნებრივია, იზრდება ინვესტიციების რისკის ფასი და მოსალოდნელი ზარალის ოდენობა. რის გამოც კაპიტალურ დაბანდებათა (განსაკუთრებით გრძელვადიანი) სხვადასხვა ვარიანტის შერჩევისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ კაპიტალურ დაბანდებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები და საინვესტიციო ობიექტის მოქნილობა ანუ მისი სხვა მხრივ გამოყენების შესაძლებლობები.

კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის ზემოთ განხილული კრიტერიუმები და მაჩვენებლები გარკვეულწილად კაპიტალურ დაბანდებათა ობიექტის ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდსაც უკავშირდება. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, იცვლება კონკრეტული საწარმოო-ეკონომიკური პირობებისა და ობიექტის ექსპლუატაციის ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

კაპიტალური დაბანდების ობიექტის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრისას შეიძლება

სამ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე:

– ობიექტის გამოყენების (ექსპლუატაციის) ხანგრძლივობის განსაზღვრა მის შეუცვლელად ან ახლით შეცვლის პირობებში;

– ობიექტის გამოყენების ხანგრძლივობის განსაზღვრა იდენტური ან არაიდენტური ობიექტით შეცვლის პირობებში;

– ობიექტის გამოყენების ოპტიმალური ვადის განსაზღვრა ფულადი სახსრების შეზღუდული ან შეუზღუდაობის პირობებში.

საწარმოო პრაქტიკაში მიღებულია, რომ როცა ობიექტის ახლით შეცვლა არ ხდება, მაშინ გადამწყვეტ კრიტერიუმად გვეელინება ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების დინამიკა ობიექტის ექსპლუატაციის გახანგრძლივების პერიოდში.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობისა და ზღვრული მოგების ცვალებადობის პირობებში ობიექტის ოპტიმალური ექსპლუატაციის ვადა, მისი გამოყენების ტექნიკურ-ტექნოლოგიურად შესაძლო დროით განისაზღვრება. ამდენად, თუ ობიექტის ექსპლუატაციის პერიოდში ზღვრული დანახარჯები იზრდება და/ან მცირდება ზღვრული შემოსავლები, მაშინ უფრო ეფექტიანია ობიექტის გამოყენების შეწერება იმ მომენტისათვის, როცა დაფიქსირდება ზღვრული დანახარჯების მეტობა ზღვრულ შემოსავლებზე.

გასათვალისწინებელია საინვესტიციო ობიექტის იდენტური და არაიდენტური ობიექტით შეცვლის შემთხვევებიც. არაიდენტური ობიექტით შეცვლის დროს ერთმანეთს უდარდება ძველი და ახალი ობიექტებიდან მიღებული შემოსავლები. შეცვლის ოპტიმალური მომენტი დგება მაშინ, როცა ზღვრული მოგება ძველი ობიექტის შემდგომი გამოყენებიდან ნაკლები იქნება ახალი ობიექტის გამოყენებიდან მიღებულ მაქსიმალურ საშუალო წლიურ მოგებაზე.

მეთოდურად სწორია, როცა ჯერ განისაზღვრება ახალი ობიექტის გამოყენების ოპტიმალური ხანგრძლივობა, მისი გამოყენებიდან მიღებული მაქსიმალური საშუალო წლიური მოგება და შემდგომ მისი შედარება ძველი ობიექტის გამოყენებიდან მიღებულ ზღვრულ მოგებასთან ამ ობიექტის გამოყენების ვადის ერთი წლით გადიდებისას.

რაც შეეხება ექსპლუატაციაში მყოფი ობიექტის იდენტური ობიექტით შეცვლის საკითხს, ამ შემთხვევაში პრობლემა დაიყვანება ახალი ობიექტის მინიმალური საშუალო წლიური დანახარჯებისა და ექსპლუატაციაში არსებული ობიექტის ზღვრული დანახარჯების შედარებაზე.

არაიდენტური ობიექტით ძველი ობიექტის შეცვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ეფექტები, რომლებიც თან ახლავს ახალი ობიექტის შედარებით მაღალმწარმოებლურობას და მისგან მიღებული (წარმოებული) პროდუქციის უფრო მაღალ ხარისხს. რაც მეტია ეს ეფექტები, მით უფრო ადრე შეირჩევა ძველი ობიექტის შეცვლის მომენტი. ამასთან, რაც უფრო მაღალია ობიექტის ღირებულება (შეძენის ფასი) და რაც უფრო სწრაფად ეცემა ძველი ობიექტის სარეალიზაციო (სალიკვიდაციო) ღირებულება (გახანგრძლივებული ექსპლუატაციის გამო), მით უფრო გვიან დგება ძველი ობიექტის ახლით შეცვლის ოპტიმალური მომენტი.

ფულად საშუალებებზე (კაპიტალზე) ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან მათი დამატებით მოზიდვის მზარდი ზღვრული დანახარჯები, როგორც წესი, ადიდებს კაპიტალური დაბანდების ობიექტის საერთო დანახარჯებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ალტერნატიული დანახარჯების გადიდებით ან სესხების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გადიდებით. ამ შემთხვევაშიც ძველი ობიექტის (ანუ ექსპლუატაციაში მყოფი) შეცვლის ოპტიმალური ვადა გადაინაცვლებს ამ ობიექტის ექსპლუატაციაში დატოვების მიმართულებით, რადგან ახალი ობიექტის გამოყენების საშუალო წლიური დანახარჯები სხვა თანაბარი პირობებში აუცილებლად გაიზრდება.

დაბოლოს, ინვესტიციებთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე (ანუ ინვესტირების განხორციელების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე) მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემა და ინვესტიციურ საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა. საწარმოებისათვის გათვალისწინებული შეღავათიანი საგადასახადო და საკრედიტო სისტემა, ძირითად საშუალებათა დაჩქარებული ამორტიზაციის შესაძლებლობა, სახელმწიფო ინოვაციური

პოლიტიკა და სხვა სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები ასტიმულირებს ინვესტიციურ საქმიანობას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყანაში კეთილდღეობის მიღწევის ოთხივე ძირითადი ფაქტორის (დასაქმების ზრდა, ეკონომიკური ზრდა, ვალუტის სიმყარე და საგარეო-ეკონომიკური წონასწორობა) განმსაზღვრელია.

2.5. აბრარულ საწარმოთა ფინანსირების თეორიულ-ეკონომიკური საფუძვლები

დაფინანსების ქვეშ, ფართო გაგებით, იგულისხმება ფულადი კაპიტალის მოზიდვისა და დაბანდების სფერო, ხოლო ვიწრო გაგებით – კაპიტალის მოზიდვა და განაწილება საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული საწარმოო და ინვესტიციური საქმიანობისათვის. დაფინანსებას შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოში ფულადი სახსრების ნაკადების რეგულირებაც, ნასესხები ფულადი სახსრების დაფარვის ჩათვლით.

საწარმოში განასხვავებენ შიდა და გარე დაფინანსების ფორმებს. შიდა დაფინანსების დროს კაპიტალი გამოიყოფა თვით საწარმოს მიერ, ხოლო გარე დაფინანსებისას საწარმოო ერთეული ფინანსდება ან კრედიტის ხარჯზე ან საწარმოს მფლობელის საკუთარი სახსრების ხარჯზე.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ნასესხები კაპიტალის საკუთარი სახსრებით ჩანაცვლებასთან ან როცა მოკლევადიანი დაბანდება გადადის გრძელვადიანში, მაშინ საქმე გვაქვს დაფინანსების ფორმის შეცვლასთან.

შიდასამეურნეო დაფინანსების ფორმას მიაკუთვნებენ ფულად სახსრებს, რომლებიც მიიღება სარეზერვო ფონდების ფულადი სახსრების შიდა გადანაწილებიდან ანუ იმ სახსრების გამოყენებას, რომელიც თავიდან გამიზნული იყო არა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის, არამედ სხვადასხვა მიზნებისათვის.

აგრარული საწარმოს ეკონომიკური განვითარების პროცესში ეითარდება საწარმოთაშორისი ურთიერთობანი არა მარტო წარმოების საშუალებებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრებთან, არამედ კაპიტალის ბაზრებთანაც. საწარმოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამეურნეო საქმიანობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მას მოუტანს მაქსიმალურ მოგებას მინიმალური დანახარჯების პირობებში. ცნობილია ისიც, რომ წარმოების პროცესი საწარმოო ფაქტორების შეძენისა და წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციის საშუალებით უშუალოდაა დაკავშირებული ფინანსური სახსრების ბრუნვასთან. ამ პროცესში მუდმივად მიმდინარეობს, ერთის მხრივ, საქონელსა და მომსახურებაში ფინანსური რესურსების ჩართვა და საწარმოო მიზნებით გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის დროს დაბანდებული ფულადი სახსრების გამოთავისუფლების პროცესი (ამონაგების სახით). ამ პროცესების ურთიერთკავშირი გვიხასიათებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის სფეროს. დაფინანსების ეკონომიკური თეორია ამ პროცესს განსაზღვრავს მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის მხრივ, რაც კონკრეტული საწარმოს დონეზე გულისხმობს ფინანსური რესურსების მოზიდვის, განაწილებისა და რაც შეიძლება უკეთესი სარგებლობით გამოყენებას.

საწარმოში გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრების გამოყენების თაობაზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საწარმოთა პრაქტიკაში განიხილება შემდეგი ძირითადი ალტერნატივები:

– საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრების მიმართვა მოხმარებაზე;

– ჩაიდოს საკუთარ წარმოებაში თუ საწარმოს გარეთ (გადაწყვეტილება დამოკიდებულია როგორც საწარმოთა მფლობელების მოთხოვნაზე, ასევე კაპიტალის დაბანდების რენტაბელობის დონეზე საკუთარ წარმოებასა და საწარმოს ფარგლებს გარეთ);

– გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრების განაწილება მოხდეს საწარმოს შიგნით დარგებსა და სფეროებს შორის, მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების მიხედვით.

თუ შემოვიყვარგლებით საწარმოს დაფინანსების საკითხით და პრობლემას განვიხილავთ იზოლირებულად, მაშინ დაფინანსების სფერო შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინვესტიციების სფეროს გარკვეული დამატება, მაგრამ წარმოებაში ეს სფეროები, როგორც წესი, განიხილება კომპლექსში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების დახმარებით.

დაფინანსების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების დროს შესაძლოა განსახილველად დაისვას შემდეგი პრობლემური საკითხები: პირველ რიგში, როცა განისაზღვრება მოცემული ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილების საკითხი დაბანდებების შესაძლო ვარიანტებს შორის (რომლებსაც მოაქვს მაქსიმალური შემოსავალი) და მეორე, როცა საჭირო ხდება განისაზღვროს ფინანსური საშუალებების ჯამი, რომელიც უნდა განაწილდეს დაბანდებების კონკურენტულ ვარიანტებს შორის (საწარმოსათვის მაქსიმალური შესაძლო მოგების მიღების პირობით).

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია აგრარულ საწარმოთა თავისუფალი ფინანსური სახსრების განაწილების ისეთი ვარიანტის შერჩევა, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება ინვესტიციებთან დაკავშირებული დანახარჯების მინიმალური დონე. უფრო სრულყოფილად და ზუსტად ასეთი ვარიანტის შერჩევა შესაძლებელია კომპლექსურად ინვესტიციური და საწარმოო პროგრამების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტით, საწარმოს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენებით, რომელშიც ჩართული იქნება დაფინანსების ყველა შესაძლო ვარიანტი, მათი მოცულობის, სახის და მიმართულების მიხედვით.

პრაქტიკაში გამოყენებას ნახულობს სხვა, უფრო მარტივი მეთოდებიც, რომელთა შორის ყველაზე მარტივია კაპიტალური დაბანდებების განხორციელებაზე გაწეული ხარჯებისა და მათგან მოსალოდნელი მოგების მოცულობათა დაპირისპირება. რაც მეტია დადებითი სალდო (მოგების სასარგებლოდ) ამ ორ მაჩვენებელს შორის, მით უფრო ეფექტიანია ფინანსური რესურსების გამოყოფა ფულადი სახსრების განაწილების საგეგმო ვარიანტზე, თუმცა ასეთი მარტივი მიდგომით დაფინანსების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობის მიღმა რჩება დროის ფაქტორის გაელენა, რომლის გათვალისწინება აუცილებელია დაფინანსების სფეროში. ამიტომ ბუნებრივია, უფრო ზუსტი იქნება წინა ქვეთავში განხილული კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლის დინამიკური მეთოდების გამოყენება (წმინდა დისკონტირებული შემოსავალი, საშუალო ანუიტეტისა და შემოსავლიანობის შიდა ნორმა).

კაპიტალური დაბანდებების განხორციელება, შეიძლება ნეგატიურად აისახოს საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხზე და წარმოშვას საწარმოს გადახდისუნარიანობის პრობლემა. რის გამოც, დაფინანსების თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას იძენს მაქსიმალურად შესაძლო ფულადი სახსრების ის მოცულობა, რომელსაც უნდა ფლობდეს საწარმო მოცემულ პირობებში გეგმური ვალდებულებების მომსახურებისათვის (საწარმოს სტაბილურ და უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირების პირობებში).

ამ მიზნით, საერთოდ, განასხვავებენ გრძელვადიან, საშუალოვადიან და მოკლევადიან ფინანსური დატვირთვის ზღვარს. აქედან პირველი გაიანგარიშება როგორც საწარმოს მოგების, საწარმოთა მფლობელების მიერ წარმოებაში დამატებით განხორციელებული დაბანდებების, შენობა-ნაგებობების ამორტიზაციისა და ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელთა საერთო ჯამი. რაც შეეხება მოკლევადიანი ფინანსური დატვირთვის ზღვარს, ის წარმოადგენს საშუალოვადიანი ფინანსური დატვირთვის ზღვრის მაჩვენებელს, დამატებული საწარმოში არსებული ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხების ჯამი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაქსიმალურად დასაშვები ფინანსური დატვირთვის ზღვარის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, რასაც ძირითადად კაპიტალის შედარებით დაბალი ბრუნვადობის და კაპიტალური დაბანდების

შედარებით დაბალი რენტაბელობის დონე (მოგების მოცულობა პროცენტებში საწარმოში დაბანდებული საერთო კაპიტალიდან) განაპირობებს.

საწარმოს ლიკვიდურობის და თავისუფალი ფინანსური რესურსების რეზერვების შექმნის აუცილებლობის პრობლემა ბუნებრივად მოითხოვს ნებისმიერი კაპიტალური დაბანდების განხორციელებისადმი ფრთხილ და წინდახედულ დამოკიდებულებას, რადგან ინვესტირებისას ფინანსური რესურსები დიდი ხნით „იბმება“ წარმოებაში ანუ გარკვეულწილად კარგავს თავის ღირებულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს საწარმოს ლიკვიდურობისა და ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაციის ურთიერთკავშირის საკითხი, რამდენადაც მიჩნეულია, რომ ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაცია საშუალებას იძლევა დროულად გამონთაიისუფლდეს წარმოებაში „დაბმული“ კაპიტალი. ამ საკითხში გასარკვევად საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ბუღალტრული გატარება და ფულადი სახსრების რეალური მოძრაობა.

კერძოდ, ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაცია (რომელიც ქვეყანაში მიღებული ნორმატიული აქტით განსაზღვრული ამორტიზაციის ნორმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს) საშუალებას იძლევა სწრაფად შემცირდეს ძირითადი კაპიტალის მხოლოდ საბალანსო ღირებულება და მივაღწიოთ მოგებიდან გადასახადების გარკვეული შემცირება (მოგების საგადასახადო ბაზის შემცირების გამო), მაგრამ წარმოებაში ჩადებული კაპიტალის გამოთავისუფლება ამ ბუღალტრული ჩანაწერით (გატარებით) არ ხდება, რადგან მისი რეალური გამოთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდება წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. (ეკონომიკური თვალსაზრისით, ძირითად კაპიტალში ჩართული ინვესტიციების ის ნაწილი, რომელიც არ დაბრუნდება წარმოების შედეგების რეალიზაციის შემდეგ და არ იქნება ამოღებული ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულებიდან, განიხილება, როგორც საწარმოს ზარალი და ჩამოიწერება მოგება-ზარალის საერთო ანგარიშზე).

კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების დროს კონკრეტული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას (მაგალითად, ძველი ინვესტიციის ობიექტის ახალი ობიექტით შეცვლის თაობაზე ან ძირითადი კაპიტალის გამოყენების ოპტიმალური ვადის დადგენის შესახებ და ა.შ.) გასათვალისწინებელია რეალური ფულადი ნაკადები და არა ბუღალტრული გატარებები, რომლებიც, ძირითადად, გამომდინარეობს საფინანსო-საგადასახადო ორგანოების მოთხოვნებიდან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საერთოდ მიღებული წესების დასაცავად.

აგრარულ საწარმოთა დაფინანსების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზისას, ყურადღებას საჭიროებს კრედიტის მოზიდვის საზღვრები და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები.

თუ საწარმო მეურნეობრიობას ეწევა საკუთარ მიწებზე, მას შეუძლია წარადგინოს გარანტია საჭირო რაოდენობით ჰიპოთეკური სესხის მიღებისათვის ანუ მათ აქვთ საწარმოს დაკრედიტების უფრო მაღალი ზღვარი იმ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას არენდით აღებულ მიწებზე ეწევიან. ამ უკანასკნელებს არ შეუძლიათ ქონებრივი გარანტიების წარდგენა მნიშვნელოვანი ოდენობით კრედიტის მისაღებად ანუ მათ (არენდატორებს) სხვა თანაბარ პირობებში ყოველთვის გააჩნიათ დაკრედიტების შედარებით დაბალი ზღვარი.

ნებისმიერ შემთხვევაში აგრარულ საწარმოში ფინანსური რესურსების მოზიდვასა და გამოყენებას თან ახლავს სათანადო რისკი, რომელიც ორ ქვეჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1) ეკონომიკური ხასიათის რისკი, რომელიც გამომდინარეობს სოფლის მეურნეობაში კაპიტალის შედარებით დაბალი ბრუნვადობის ხარისხისაგან (ერთი საწარმოო ციკლის დიდი ხანგრძლივობის გამო), რასაც შეუძლია გამოიწვიოს საწარმოს გადახდისუუნარობა (არალიკვიდურობა), მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენებით; 2) ქონებრივი ხასიათის რისკი, რომელიც უფრო ხშირად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად საშუალებებზე დაბალი რეალური საბაზრო ფასით (ობიექტის ლიკვიდაციის შემთხვევაში). აქ მხედველობაშია ასევე მისაღები ინფლაციის,

ვალუტის გაცვლითი კურსის რყევები და სხვა არსებითი მომენტები, რომელთა წინასწარ პროგნოზირება საწარმოსათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

რისკის თავიდან აცილების ზოგადკლასიკური პრინციპების გარდა (ნებისმიერი სახის რისკის დაზღვევა), აგროწარმოებაში მიღებულია მოზიდული ანუ ნასესხები კაპიტალის საკუთარ კაპიტალად გადაქცევის პერიოდის მაქსიმალური შემცირება, რაც ნიშნავს, რომ დაფინანსების სხვადასხვა ვარიანტების ეკონომიკური ეფექტიანობის გამოთვლისას გათვალისწინებული უნდა იყოს ურთიერთკავშირი ნასესხები კაპიტალის მოცულობასა და იმ პერიოდს შორის, რომელიც საჭიროა ნასესხები კაპიტალის საკუთარ კაპიტალად გადასაქცევად. ბუნებრივია, რაც მეტია ნასესხები კაპიტალის წილი ობიექტის დაფინანსებაში, მით უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი კაპიტალის ყოველწლიური ნამატის დონე ვალის რაც შეიძლება დროულად დაფარვისა და საწარმოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობის მისაღწევად. ამ პროცესის დაჩქარება აგრარულ საწარმოში ძირითადად მოგების (წმინდა შემოსავლის) მოცულობასა და მის განაწილებაზეა დამოკიდებული.

საწარმოთა პრაქტიკაში მიღებულია რაციონალური დაფინანსების ზოგადი პრინციპები, რომელთა დაცვა გარკვეულწილად ამცირებს რისკის საშიშროებას და მოსალოდნელი ზარალის სიდიდეს, კერძოდ:

– კაპიტალის ჩადება ამა თუ იმ ობიექტში (საქმიანობის სფეროში) უნდა იყოს რენტაბელური და დანახარჯების მიხედვით ოპტიმალური;

– საწარმო, რომელიც ახორციელებს დაფინანსებას, უნდა იყოს გარანტირებულად გადახდისუნარიანი დროის ნებისმიერი მომენტისათვის (საწარმოს ფუნქციონალური დატვირთვის დარღვევის გარეშე ანუ საწარმოს ძირითადი ფუნქციის სრულად შენარჩუნების პირობებში);

– კრედიტის დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ინვესტიციების ობიექტის საწარმოო ექსპლუატაციის ვადებს;

– კრედიტის აღება გამართლებული იქნება მხოლოდ საკუთრებაში არსებული კაპიტალის შეღავათიანი გამოყენების პირობებში.

ეს პრინციპები არ ატარებს აქსიომატურ ხასიათს. ისინი ყველა ცალკე აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება ადგილობრივი საწარმოო-ეკონომიკური სპეციფიკის, წარმოების რენტაბელობის, ლიკვიდურობის ხარისხის და საწარმოო თუ ქონებრივი რისკების გათვალისწინებით.

ნებისმიერი გადაწყვეტილება ყოველთვის ორიენტირებულია მომავალში შესასრულებლად, რაც ნიშნავს, რომ ყველა გადაწყვეტილება აგებულია გარკვეულ ვარაუდებზე და პროგნოზებზე. აღნიშნულის გამო გადაწყვეტილების ფაქტობრივი შესრულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები იშვიათად ემთხვევა გადაწყვეტილების დროს მიღებულ შესაბამის პრინციპულ მაჩვენებლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერ მმართველობით გადაწყვეტილებას თან სდევს გარკვეული უნდობლობა და ეჭვი მისი რეალური შედეგების მიმართ. მოსალოდნელი შედეგების გადახრა (ამპლიტუდა) პროგნოზული შედეგებიდან მით უფრო დიდია, რაც მეტია ამა თუ იმ გადაწყვეტილების ალტერნატული ვარიანტები. საბოლოო შედეგებში დაურწმუნებლობა და განუსაზღვრელობა ვარიანტებისა წარმოშობს ეკონომიკურ რისკს ნებისმიერ სამეწარმეო საქმიანობაში.

განასხვავებენ განუსაზღვრელობის ორ სახეს. პირველს მიეკუთვნება შემთხვევები, როცა პროგნოზული მოვლენის (პროცესის) გადახრის ხარისხი რეალურისაგან შეიძლება შეფასდეს ალბათობის მიხედვით ანუ როცა არსებობს გარკვეული სტატისტიკური ბაზა ან ემპირიული დაკვირვებანი, რომლებიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ამა თუ იმ მოსალოდნელი შედეგის დადგომის ალბათობა. მეორეს მიეკუთვნება ისეთი სიტუაციები (შემთხვევები), როცა პრაქტიკულად შეუძლებელია ამა თუ იმ შედეგის დადგომის ალბათობის გათვლა ანუ როცა არ არსებობს რაიმე სტატისტიკური ბაზა, დაკვირვება (როცა საქმე გვაქვს მოვლენის (ქმედების, ოპერაციის) იშვიათობასთან ან საერთოდ განუმეორებლობასთან.

აგროწარმოებაში რისკის რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასებისთვის დაკვირვებები წინასწარ ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის საინტერესო მოვლენა (პროცესი) რამდენჯერმე მეორდება საწარმოო ციკლის განმავლობაში (პირუტყვის

დაცემა, წველადობა, ბერწიანობა, მაკეობა და ა.შ), მაგრამ ამ მხრივ შედარებით რთულადაა საქმე მიწათმოქმედებაში, სადაც ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში ესა თუ ის მოვლენა (თესლის გაღივება და აღმოცენების პროცენტული მაჩვენებელი) მხოლოდ ერთხელ მეორდება. რისთვისაც აქ დაკვირვების შედეგების მისაღებად მრავალწლიანი საშუალო მაჩვენებლებს იყენებენ, რაც იძლევა საშუალებას გარკვეული მიახლოებით გაითვალონ მოვლენის განმეორების (ნალექების რაოდენობის და განაწილების, საგაზაფხულო წაყინვების, სეტყვის და ა.შ.) ალბათობა.

განასხვავებენ რისკების დაზღვევის სხვადასხვა სახეს. რისკისგან თავდაცვის ყველაზე მარტივი მეთოდი – საქმიანობის, სამუშაოს, ქონების და ა.შ. წინასწარ დაზღვევაა. ბუნებრივია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება დაზღვევის დანახარჯებისა და დაზღვევისგან მიღებული შედეგების შედარების საფუძველზე.

2.6. ძონების შეფასების ეკონომიკური პრინციპები და მეთოდები აბრარულ საწარმოში

საწარმოს ქონების შეფასების გარეშე შეუძლებელია მატერიალური წარმოების ნებისმიერი სფეროს განვითარების დაგეგმვა და საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასება. ზოგადად ყულადი შეფასება ესაა განსაზღვრული ქმედების ან საქონლის (ზოგადად ნებისმიერი ქონების) ღირებულებით საზომში გამოსახვა.

ქონების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს საბუღალტრო ბალანსის (კვარტალური, წლიური) შედგენის დროს, რამდენადაც ქონების ყულადი შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კრიტერიუმები, ქონებისა და ღირებულების სხვადასხვა გაგება (ფაქტობრივი, ალტერნატიული, შეძენის მომენტისათვის და ა.შ.). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბუღალტრული ბალანსის შედგენისას ქონების შეფასებითი საქმიანობა რეგლამენტირდება სახელმწიფო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც აწესებს ერთიან მიდგომებს საწარმოს ქონების შეფასებაში, მიუხედავად მისი საწარმოო-ეკონომიკური მიმართულებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა. ასეთი მიდგომა გამორიცხავს სუბიექტივიზმს საწარმოთა ქონების შეფასებაში და პრობლემებს საფინანსო-საგადამხდელო ორგანოებთან ურთიერთობაში.

ასევე საჭიროა ქვეყანაში ღირებულებათა სახეებისა და მათი შეფასების ერთიანი მეთოდების განხილვა, რისთვისაც, უნდა გვქონდეს ღირებულებათა კლასიფიკაცია და თითოეულის მნიშვნელობა ეკონომიკური თვალსაზრისით.

ზოგადად, ღირებულება, ესაა საქონლის ფასი, ფულადი სახსრების დანახარჯი საქონლის შესაძენად, სამუშაოებისა და მომსახურების შესასრულებლად ანუ ღიულათის წარმოებისათვის.

შრომითი ღირებულების თეორიის მიხედვით, ღირებულება არის საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა. საქონლის (ქონების) ეკონომიკური შეფასების საფუძველში ჩადებულია საქონლის გაცვლის პირობები და საქონლის სარგებლიანობა, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა საფუძველს, რომ განვასხვავოთ ამა თუ იმ საქონლის (ობიექტის) საცვლელი და სახმარი ღირებულება. აქედან, პირველი, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა პირობებში, გამოიხატება საბაზრო ფასით და ახასიათებს საკუთრების ობიექტთან ურთიერთობებს, მსგავს ობიექტებზე (საქონელზე) ხელმისაწვდომობის შეზღუდულობის ხარისხს, სახმარი ღირებულება კი გამოხატავს ქონების საკუთრებიდან მოსალოდნელ სარგებლობას, მისი მყიდველის ერთი რომელიმე ან რამდენიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. სახმარი ღირებულება, რომელიც საქონლის სარგებლიანობას ეფუძნება, დამოკიდებულია მისი შემფასებლის მიზანზე, გემოვნებაზე, შესაფასებელი საქონლის თვისებებზე და იმ პირობებზე, რომელშიც მომავალში უნდა მოხდეს მისი გამოყენება.

აქედან დასკვნა. არსებობს ღირებულების არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური შეფასებაც. პირველი გამოხატავს ამა თუ იმ საქონლის (ნივთის, საგნის და ა.შ.) ფასეულობას, მიუხედავად

იმისა. თუ ვინ ფლობს მას. ესაა მისი საბაზრო ფასი (თუ. რა თქმა უნდა, საქონლის მიწოდება ბაზარზე არ არის შეზღუდული მისი დეფიციტურობით და საქონლის გამყიდველთა (მფლობელთა) სხვა განსაკუთრებული ინტერესებით). რაც შეეხება მეორეს, ანუ სუბიექტურ შეფასებას. ის, როგორც სახელწოდება გვირჩევნებს, გამოხატავს საქონლის სარგებლიანობას ყოველი ცალკე აღებული კონკრეტული სუბიექტისათვის (მომხმარებლისთვის) და ეფუძნება თითოეულის პირად შეფასებას, მის გემოვნებას, შეხედულებას. წარმოდგენას და სხვა პირადულ თვისებებს.

ნებისმიერი საქონლის შეფასება, როგორც წესი, უკავშირდება მის საკუთარ ღირებულებას (გამომდინარე სამომხმარებლო ბაზარზე მასზე არსებული ფასიდან, რომელიც ახასიათებს მის საბაზრო ღირებულებას) ან მისი სარგებლიანობის განსაზღვრას (კონკრეტული ეკონომიკური მიზნის მისაღწევად (რომელიც ახასიათებს მის სამეურნეო ღირებულებას).

არც თუ იშვიათად, საქმე გვაქვს ობიექტებთან, რომლებიც არაა წარმოდგენილი ბაზარზე (მაგალითად, ზეზე მდგომი ხე, ოვენის რესურსები წყალსატევებში და სხვა ბუნებრივი რესურსები). მათი შეფასება წარმოებს მათი შეცვლის ღირებულების განსაზღვრის საშუალებით. თუ არასასაქონლო (არასაბაზრო) ობიექტის შესაფასებლად სახეზე გვაქვს სარგებლიანობის მიხედვით ტოლფასი ანუ შესადარისი ობიექტები, რომელთაც აქვთ საბაზრო ღირებულება, მაშინ შეცვლის ღირებულებას შეიძინის ან რეალიზაციის შესადარის ღირებულებას უწოდებენ.

არის შემთხვევები, როცა ბაზარზე არაა შესადარისი სარგებლიანობის მქონე ობიექტები, ამ დროს საქონლის (ობიექტის) შეცვლის ღირებულების დასადგენად გამოიყენება ანალოგიური საქონლის წარმოების მიმდინარე დანახარჯები, რის გამოც ასეთი წესით დადგენილ ღირებულებას დანახარჯებით შეცვლის ღირებულებასაც უწოდებენ. ამ დროს მხედველობაში იღებენ საქონლის სარგებლიანობას, ტექნიკურ მონაცემებს, მოქმედების ეკვივალენტურობას, დანახარჯების სტრუქტურის შესაბამისობას.

საკუთარი წარმოების შემცვლელი ობიექტის და მისი რეალიზაციის შესაძლო შემთხვევაში შეცვლის ღირებულება განისაზღვრება როგორც შემცვლელი ობიექტის გაყიდვის შეფასებითი ღირებულება, რომელიც თავისი სარგებლიანობით შეესაბამება ყველაზე იდენტური და იაფი საქონლის საბაზრო ღირებულებას. შემცვლელი პროდუქტის შესყიდვის შემთხვევაში შესაფასებელი ობიექტის ღირებულება ფასდება, როგორც შეძენის შეფარდებითი ღირებულება, რომელიც შეესაბამება ყველაზე იაფი შესაძენი (შემცვლელი) საქონლის ღირებულებას თანაბარი სარგებლიანობის პირობებში.

შეცვლის ხარჯვითი ღირებულება (ანუ აღდგენითი ღირებულება) განისაზღვრება, როგორც სარგებლიანობის მიხედვით იდენტური ობიექტის წარმოებაზე გაწეული ყველაზე ნაკლები (იაფი) დანახარჯების ჯამი.

შეცვლის ღირებულების განსაზღვრისას ყველაზე დაბალ ღირებულებაზე ორიენტირება გამოწვეულია იმით, რომ ობიექტის (საქონლის) შეცვლა ყველაზე იაფი შემცვლელით, თანაბარი სარგებლიანობის პირობებში, ეკონომიკური თვალსაზრისით ითვლება ყველაზე მისაღებ ოპტიმალურ ვარიანტად.

· საწარმოთა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ობიექტის მიმართ საჭიროა განისაზღვროს როგორც მისი საკუთარი, ასევე შეცვლის ღირებულება. ამ დროს ჯერ განისაზღვრება საკუთარი ობიექტის მაქსიმალური ღირებულება, ხოლო შემდეგ შესაფასებელი ობიექტის. შიდასამეურნეო გამოყენების შემთხვევაში, ამოირჩევა ყველაზე დაბალი ამ ღირებულებათა შორის. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ საწარმოში გამოყენებული შუალედური ან თანმდევი პროდუქციის ღირებულება, ეკონომიკური სარგებლის მხრივ, არ შეიძლება იყოს მათი იდენტური შემცვლელის ყველაზე იაფი ვარიანტის დანახარჯებზე უფრო მაღალი.

იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი ობიექტი (საქონელი) შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე, მისი ღირებულება არ შეიძლება შეფასდეს მის ფასზე ქვემოთ.

ობიექტის საკუთარი ღირებულების განსაზღვრის ამოსავალი სიდიდეა მისი საბაზრო ფასი, რომელიც დგინდება ან რეალიზაციის ან შესყიდვის ფასით. ყველა შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს აღგილი და დრო, სადაც ყიდვა-გაყიდვის

ოპერაცია განხორციელდა, რადგან ღირებულებაში შეიტანება ასევე გამოყენების ადგილზე მიტანის ხარჯები დროის გარკვეული მომენტისათვის.

შედარებით რთულია არასასაქონლო პროდუქციის ღირებულების განსაზღვრა, განსაკუთრებით უხეში საკვების და თანმდევი პროდუქციისა, რადგან მათი ღირებულების განსაზღვრა მათი სამეურნეო-ეკონომიკური სარგებლიანობით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ ამ სახის პროდუქცია არ გაიყიდება ან არ გამოიყენება საწარმოში პირუტყვის საკვებად, არამედ ჩაიხვნება ნიადაგში, მაშინ მისი სარგებლიანობის შეფასება უნდა მოხდეს როგორც სასუქისა.

არის შემთხვევები, როცა შესაძლებელია ასეთი პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციაც და შიდასამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებაც (როგორც წარმოების საშუალების). ამ დროს საქმე გვაქვს ერთდროულად საკუთარი პროდუქციის როგორც საბაზრო, ისე შიდასამეურნეო ღირებულებასთან და ყოველთვის არჩეული უნდა იყოს მათგან ყველაზე მაღალი ღირებულება.

ობიექტის საბაზრო ღირებულება, როგორც სიტყვა გვიჩვენებს, საბაზრო ფასებით განისაზღვრება. თუ საქმე გვაქვს საქონლის შეძენასთან, მაშინ შესაფასებლად გამოიყენება მისი შესყიდვის ფასი, ხოლო თუ რეალიზაციასთან – მაშინ სარეალიზაციო ფასი.

ეკონომიკურ გაანგარიშებებში, როგორც წესი, გამოიყენება საქონლის შეძენის და რეალიზაციის ღირებულებები გარიგების მომენტისათვის (შეძენა-გაყიდვის მომენტი).

შენობა-ნაგებობების შესაფასებლად განისაზღვრება მათი აღდგენითი ღირებულება ან ამ ობიექტის ღირებულება დროის მიმდინარე მომენტისათვის.

გარდა საბაზრო ღირებულებისა, პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასები, რომლებიც დაფუძნებულია დანახარჯების კალკულაციაზე და რომლებითაც რეგულირდება ეკონომიკური ურთიერთობები საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო დანახარჯების პრინციპით ობიექტის (საქონლის) შიდასამეურნეო ღირებულების განსაზღვრა არ არის საკმარისი ეკონომიკურად გამართლებული მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება ობიექტის ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი, რომლის გარეშე ამა თუ იმ ობიექტის შიდასამეურნეო ღირებულება არ იქნება ზუსტი. ამიტომ ხშირად მიმართავენ საწარმოს დარგობრივ-საწარმოო სტრუქტურის დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს, სადაც ამა თუ იმ რესურსის ზღვრული სარგებლიანობა განისაზღვრება უფრო ზუსტად, სხვადასხვა ვარიანტების გათვალისწინებით.

თესლის, სარგავი მასალის, პირუტყვის საკვებისა და სხვა შიდა მოხმარების საბრუნავი საშუალებების სამეურნეო ღირებულება შესაძლებელია განისაზღვროს ბევრად უფრო მარტივი მეთოდებით. კერძოდ, მარგინალური ანალიზის დახმარებით (ანუ საბრუნავი საშუალებების ზღვრული სარგებლიანობის შეფარდებით მათი გამოყენების ზღვრულ დანახარჯებთან). ამ დროს ზღვრული დანახარჯები, როგორც წესი, მიიღება პირდაპირ-პროპორციული ცვლადი დანახარჯებისა და ამ საშუალებათა ალტერნატიული გამოყენების ზღვრული დანახარჯებისაგან. ასეთი წესით გაანგარიშებული ზღვრული მოგების სიდიდე გვეუბნება ამა თუ იმ შესაფასებელი წარმოების საბრუნავი საშუალების სამეურნეო ღირებულებად.

რაც შეეხება წარმოების ძირითადი კაპიტალის (საშუალებების) სამეურნეო ღირებულების დადგენას, აქ საჭიროა განისაზღვროს: 1) ობიექტის საბაზრო ღირებულება მიმდინარე მომენტისათვის (ანუ მოცემულ მომენტში მისი გაყიდვის შესაძლო ღირებულება და ლიკვიდაციო ღირებულება. მაგალითად, ძირითადი ჯოგის პირუტყვის დაკვლიდან, შენობა-ნაგებობების დაშლიდან და ა.შ.); 2) ობიექტის სამეურნეო გამოყენებიდან მოსალოდნელი მოგების დონე მისი ექსპლუატაციის დარჩენილ პერიოდში.

აგროწარმოების პრაქტიკაში გამოყენებული ისეთი ძირითადი კაპიტალის მიმართ, როგორიცაა მანქანა-იარაღები, შენობა-ნაგებობები, მათი ექსპლუატაციის დარჩენილ პერიოდში მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით გაანგარიშებული ღირებულება გამოითვლება როგორც სხვაობათა ჯამი ობიექტის საშუალო წლიურ დანახარჯებსა და ამ

ობიექტის გამოყენების დარჩენილ პერიოდში ყოველი წლის ბოლოს დანახარჯებს შორის. ხოლო ცოცხალი ძირითადი საშუალებების (პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები), მათი ექსპლუატაციის დარჩენილ პერიოდში მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით გაანგარიშებული ღირებულება განისაზღვრება როგორც სხვაობათა ჯამი ობიექტის შემდგომი გამოყენების ყოველწლიური ზღვრული მოგებისა და ობიექტის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში მაქსიმალურ საშუალო წლიურ მოგებას შორის (რაც ასახავს ხელიდან გაშვებულ მოგებას ოპტიმალური შეცვლის დრომდე ობიექტის გამოუყენებლობის გამო).

ქონების ეკონომიკური შეფასებისას უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, ქონების საკუთარი ღირებულება და მისი სხვა ობიექტით შეცვლის ღირებულება, ხოლო მეორე მხრივ, საბაზრო და სამეურნეო ღირებულება. ღირებულებათა ასეთი კლასიფიკაცია განაპირობებს საწარმოში არსებული ქონების შეფასების სხვადასხვა მიდგომებს, რაც, თავის მხრივ, აყენებს საკითხს, თუ როგორ შეეარჩიოთ ქონების შეფასების ყველაზე სწორი მეთოდი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამ მიზნით არსებობს კანონზომიერებანი, რომლებიც გამომდინარეობს საწარმოს ოპტიმალური საწარმოო სტრუქტურის და მაქსიმალური მოგების მიღების ამოცანებიდან (მიზნებიდან). მათი გათვალისწინება არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (საგნის, ნივთის, საწარმოო რესურსის და ა.შ.) ქონების ღირებულების განსაზღვრისათვის. მათ შორის:

1) თუ გათვალისწინებულია შესაფასებელი ქონების საწარმოში შემდგომი ექსპლუატაცია, საჭიროა შეეფასოთ მისი გამოყენებიდან მოსალოდნელი, მაქსიმალურად შესაძლო მოგების ოდენობა, ხოლო თუ გადაწყვეტილია მისი შემდგომი ექსპლუატაციის შეწერება, მაშინ მინიმალურად შესაძლო ხელიდან გაშვებული სარგებელი;

2) თუ შესაფასებელი ობიექტი შესაძლებელია გაიყიდოს იმ ფასად, რომელიც აღემატება მის ღირებულებას, მაშინ მის ღირებულებას განსაზღვრავს ეს გასაყიდი ფასი.

2.7. ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადების განსაზღვრის ეკონომიკური საკითხები

ძირითადი კაპიტალის გამოყენებისა და შეცვლის ოპტიმალური ვადების განსაზღვრა ხდება საშუალო წლიური დანახარჯების დინამიკის მიხედვით (მხედველობაშია იდენტური საშუალებით შეცვლის შემთხვევები). ამ დროს შეცვლის ოპტიმალური ვადის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი საშუალო წლიური დანახარჯის მინიმალური მნიშვნელობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა ამოწურულია მაშინ, როცა მასზე გაწეული საშუალო წლიური დანახარჯი (გაანგარიშებული მისი გამოყენების მთელ პერიოდზე) იქნება მინიმალური. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობა იცვლება ანუ დამოკიდებულია მისი ექსპლუატაციაში ყოფნის სხვადასხვა პერიოდთან, მაშინ მისი გამოყენების ოპტიმალური ვადა განისაზღვრება საშუალო წლიური მაქსიმალური მოგებით.

აგრარულ წარმოებაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალი (მიწის გარდა) ერთმანეთისაგან განსხვავდება ექსპლუატაციის მთელ პერიოდში თავდაპირველი (საწყისი) მწარმოებლურობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგალითად, თუ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები და სხვა ტექნიკური საშუალებები მათი გამოყენების ტექნიკურად დაშვებულ მთელ პერიოდში ხასიათდება შედარებით უცვლელი მწარმოებლურობით, მათგან განსხვავებით ცოცხალი ბიოლოგიური ძირითადი საშუალებები (მრავალწლიანი ნარგავები, პროდუქტიული და მუშა-პირუტყვი) ხასიათდება მკვეთრად ცვალებადი მწარმოებლურობით (შესაბამისად, მოსავლიანობით, პროდუქტიულობით და შრომისუნარიანობით) ექსპლუატაციის როგორც საწყის, ასევე ბოლო პერიოდებში. ეს თავისებურება განაპირობებს

მათ ექსპლუატაციაში შენარჩუნების ოპტიმალური ვადის განსაზღვრის სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ტრაქტორების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციაში ყოყნის ოპტიმალური ვადების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო წლიური დანახარჯის მინიმუმი, ხოლო ცოცხალი ძირითადი საშულებებისთვის კი ძირითად კრიტერიუმად გამოიყენება მაქსიმალური საშუალო წლიური მოგება ან მარგინალური შემოსავალი.

რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია შეცვლის ხარისხზე (ანუ შეცვლა ხდება იდენტური თუ არაიდენტური ძირითადი საშუალებებით). აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევასთან გვქონდეს საქმე. კერძოდ, როცა ახალ ძირითად საშუალებას აქვს მწარმოებლურობის, შემოსავლებისა და დანახარჯების იგივე დინამიკა, რაც მის წინამორბედს ჰქონდა, მაშინ შეცვლის ოპტიმალური ვადა ემთხვევა წარმოებაში მისი გამოყენების ოპტიმალურ ვადას.

იმ შემთხვევაში, როცა ახალ ძირითად საშუალებას (კაპიტალს), ძველისაგან განსხვავებით, ახასიათებს უფრო მაღალი მწარმოებლურობა და შედარებით დაბალი ფასი, მაშინ მისი შეცვლის ოპტიმალური ვადა იქნება უფრო მოკლე, ვიდრე მისი გამოყენების ოპტიმალური ვადა იდენტური საშუალებით შეცვლის პირობებში. იმ შემთხვევაში კი, როცა ახალი ძირითადი საშუალება განსხვავდება შესაცვლელისაგან შედარებით დაბალი მწარმოებლურობით და უფრო მაღალი ფასით, მაშინ ძველი ძირითადი საშუალების შეცვლის ოპტიმალური ვადა იქნება უფრო გრძელი, ვიდრე იდენტური საშუალებით შეცვლის დროს.

ძირითადი საშუალების შეცვლის ოპტიმალური ვადის დადგენის მიზნით ერთმანეთთან უნდა შედარდეს ახალი ძირითადი საშუალების მინიმალური წლიური დანახარჯი ძველი ძირითადი საშუალების ზღვრულ წლიურ დანახარჯთან ან ძველი საშუალების მინიმალურ საშუალო წლიურ დანახარჯთან მისი შემდგომი გამოყენების შესაძლო პერიოდში.

თუ ახალი ძირითადი კაპიტალის მინიმალური საშუალო წლიური დანახარჯი ნაკლები იქნება ძველი ობიექტის ზღვრულ წლიურ დანახარჯზე, მაშინ ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით მისი შეცვლა სასარგებლოა, ხოლო წელი,რომელშიც მოხდება ძველი ობიექტის ზღვრული წლიური დანახარჯის გადამეტება ახალი ობიექტის მინიმალურ საშუალო წლიურ დანახარჯებზე – იქნება შეცვლის ოპტიმალური ვადა (ძველი ობიექტის ზღვრული მინიმალური დანახარჯი ამ შემთხვევაში გაიანგარიშება, როგორც საშუალო წლიური დანახარჯი მისი გამოყენების მთელ დარჩენილ პერიოდში).

ამავე მიზნით შეიძლება შედარდეს ერთმანეთს ახალი ძირითადი საშუალების მაქსიმალური საშუალო წლიური წმინდა შემოსავალი ძველი ძირითადი საშუალებიდან მიღებულ ზღვრულ წმინდა შემოსავალთან. იმ შემთხვევაში, როცა ახალი ობიექტის გამოყენებიდან მიღებული მაქსიმალური საშუალო წმინდა შემოსავალი გადააჭარბებს ძველი ძირითადი საშუალების გამოყენებიდან მიღებულ ზღვრულ წმინდა შემოსავალს, შეცვლა იქნება ეკონომიკურად გამართლებული, ხოლო წელი (დრო), რომელშიც მოხდება ახალი ობიექტის გამოყენებიდან მიღებული მაქსიმალური წმინდა შემოსავლის გადაჭარბება ძველი ძირითადი საშუალების ზღვრულ წმინდა შემოსავალზე – იქნება შეცვლის ოპტიმალური ვადა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, სადაც გამარტივების მიზნით ძირითადი საშუალების (უფრო ზუსტად, კაპიტალის) ერთი სახეობა იცვლება იდენტური მონაცემების მქონე – მეორე ძირითადი საშუალებით (ტრაქტორით).

მოცემულ პრაქტიკულ მაგალითში ტრაქტორის ღირებულება შეადგენს 25 ათას ლარს. ტრაქტორის რემონტზე დანახარჯების მოცულობა, დინამიკა და ნარჩენი ღირებულება აღებულია მაქსიმალური მიახლოებით პრაქტიკასთან, თუმცა ყველა ცალკე აღებულ ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება განსხვავებულ მონაცემებთან გვქონდეს საქმე. ფაქტია, რომ ყველა შემთხვევაში პირველი კაპიტალური რემონტი ტრაქტორის ნარჩენი ღირებულების გაზრდას და საბოლოო ანგარიშით საშუალო წლიური დანახარჯის მკვეთრ გაზრდას გამოიწვევს.

საშუალო წლიური დანახარჯები

განისაზღვრება ანუიტეტის გაანგარიშების ფორმულის დახმარებით. ჩვენ შემთხვევაში (იღენტური ტრაქტორით შეცვლა) ტექნიკის გამოყენების ოპტიმალური ვადა მიიღება საშუალო წლიური დანახარჯების მინიმალური მნიშვნელობის დროს:

$$\text{სწდ}_T = \left[Ш_a - \left(б_ц \cdot \frac{1}{ж^T} \right) + \sum_{t=1}^{T} р_t \cdot \frac{1}{ж^T} \right] \times \cdot \frac{ж^T (ж-1)}{ж^T - 1}$$

=მინიმუმი

სადაც სწდ$_T$ – საშუალო წლიური დანახარჯია T პერიოდში; Ш$_a$ – ტექნიკის შეძენის ფასი; б$_ц$ – ნარჩენი ღირებულება t წელიწადში; ж^T – სესხზე სარგებლის პროცენტული კოეფიციენტი; р$_t$ – რემონტის ხარჯი; T – გამოყენების დრო (წელი).

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ პირველი, შედარებით მსხვილი დანა-ხარჯი რემონტზე წარმოიშობა ტრაქტორის ექსპლუატაციის მე-4 წელს, რაც ასახვას პოულობს როგორც ნარჩენი ღირებულების სიდიდეზე, ისე საშუალო წლიური დანახარჯების დინამიკაზე.

გაანგარიშება გვიჩვენებს ასევე, რომ ბანკის სესხზე 5%-იანი სარგებლის პირობებში საშუალო წლიური დანახარჯების მინიმუმი მიღწეული იქნება მე-17 წელს და ის შეადგენს 8130 ლარს. თუმცა გაანგარიშების 17-წლიან პერიოდში საშუალო წლიური დანახარჯები არ განიცდის არსებით ცვლილებებს, მაგრამ უსათუოდ გასათვალისწინებელია ის რისკი, რომელიც თან ახლავს ტექნიკის მუშა მდგომარეობაში დიდხანს შენახვას (მისი ნორმატიული მწარმოებლურობის შენარჩუნების თვალსაზრისით) და მასზე ფასების პერმანენტულ ზრდას.

ცხრილი 22.

საშუალო სიმძლავრის ტრაქტორის გამოყენების ოპტიმალური ვადები სასესხო კაპიტალზე 5%-იანი სარგებლის პირობებში

წლები t პერიოდში	ნარჩენი ღირებულება, ლარი	დანახარჯები რემონტზე, ლარი	სხვა მიმდინარე დანახარჯები, ლარი	დისკონტირებული დანახარჯი t პერიოდში, ლარი	დისკონტირებული დანახარჯების ჯამი, ლარი	დისკონტირებული ნარჩენი ღირებულება, ლარი	მთლიანი დანახარჯი, ლარი (ვრც-გრ.7)	საშუალო წლიური დანახარჯი (მე-8 გრაფის ანუიტეტი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
0				25000	25000			
1	20000	–	4800	4570	29570	19050	10520	11050
2	17500	420	4800	4730	34300	15880	18420	9906
3	15000	–	4800	4150	38450	12960	25490	9360
4	14800	2000	4800	5600	44050	12170	31880	8990
5	12100	400	4800	4080	48130	9480	38650	8930
6	10500	–	4800	3580	51710	7840	43870	8640
7	9800	4000	4800	6250	57960	6960	51000	8820
8	9000	400	4800	3520	61480	6090	55390	8570
9	7900	–	4800	3090	64570	5090	59480	8370
10	7800	2300	4800	4360	68930	4790	64140	8310
11	5300	400	4800	3040	71970	3100	68870	8290
12	5100	3500	4800	4620	76590	2840	73750	8320
13	4900	2300	4800	3760	80350	2600	77750	8280
14	4300	400	4800	2630	82980	2170	80810	8160
15	3900	2300	4800	3410	86390	1880	84510	8140
16	3200	1900	4800	3070	89760	1470	87990	8210
17	2900	2800	4800	3320	92880	1260	91620	8130

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმო, რომელსაც აქვს შეზღუდული რაოდენობის სატრაქტორო პარკი, უნდა ამჯობინებდეს ტრაქტორის შეცვლას მე-6 ან მე-12 წელს მაინც, ხოლო საწარმოს, რომელსაც აქეს გარკვეული რეზერვი ამ მიმართულებით, შეუძლია გააგრძელოს ტექნიკის გამოყენება და მიაღწიოს მასზე მინიმალურ საშუალო წლიურ დანახარჯებს (ჩვენს მაგალითში მე-17 წელს). აქედან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საშუალო წლიური დანახარჯები, მართალია, გვეულინება ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციაში ყოფნის განმასაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად, მაგრამ არსებით როლს თამაშობს აგრეთვე ტექნიკის დატვირთვის დონე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, ფასების დინამიკა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. გარდა ამისა, ტექნიკის გამოყენების ოპტიმალური ვადების განსაზღვრაზე მოქმედებს ბანკის სესხზე არსებული პროცენტის სიდიდე, რაც კრედიტის სიიაფეს ან სიძვირეს განაპირობებს. ამიტომ, რაც მაღალია სარგებლის პროცენტის ოდენობა, უფრო ხანგრძლივია ტექნიკის ექსპლუატაციაში დარჩენის პერიოდი (სხვა თანაბარ პირობებში) და, პირიქით. ეს კარგად ჩანს ფორმულიდანაც, თუ მასში 5%-ის ნაცვლად უფრო მაღალ ან დაბალ სიდიდეს შევიტანთ. კაპიტალის შეზღუდულობა და სარგებლის პროცენტის ზრდა სამაგიეროდ ხელს უწყობს ნახმარი ტექნიკის მეორადი ბაზრის განვითარებას, რომლითაც პირველ რიგში სარგებლობენ ის საწარმოები, რომელთაც აქვთ ტექნიკის წლიური დატვირთვის შედარებით დაბალი დონე. ნახმარ ტექნიკას, ბუნებრივია, უფრო დაბალი ფასი ექნება და წარმოებაში „დაბმული“ კაპიტალის შედარებით მოკლე პერიოდი.

2.8. მრავალწლიანი ნარგავების ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის დადგენა

მრავალწლიანი ნარგავების სპეციალიზებულ (მეღვინეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) საწარმოებში პრაქტიკულად ყოველთვის დგება ვაზის, ხეხილის ან სხვა ნარგავების ექსპლუატაციაში ყოფნის ოპტიმალურად მომგებიანი, ანუ ეკონომიკურად მიზანშეწონილი ვადის განსაზღვრის საკითხი. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბიოლოგიური სიბერის დადგომის კვალობაზე მცირდება პროდუქციის გამოსავალი ყართობის ერთეულიდან და უარესდება მისი ხარისხი, რასაც ბუნებრივად მოსდევს ამონაგების შემცირება და ხარჯების ზრდა პროდუქციის ერთეულზე.

მრავალწლიანი ნარგავების ექსპლუატაციაში ყოფნის ეკონომიკურად მიზანშეწონილობის საკითხი შეიძლება დადგეს ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარეც (სხვა სახეობის და ჯიშის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა, ახალი, უფრო პროგრესული, მაღალმოსავლიანი, დაავადებათა გამძლე ჯიშების გამოყვანა და ა.შ.), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ერთი რომელიმე სახის მრავალწლიანი ნარგავების მორალური ცვეთა და მათი შეცვლის აუცილებლობა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მრავალწლიანი ნარგავების, როგორც ბიოლოგიური ძირითადი კაპიტალის, ერთ-ერთი არსებითი განსხვავება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული სხვა ძირითადი კაპიტალისაგან, რაც მრავალწლიანი ნარგავების ექსპლუატაციის სხვადასხვა ასაკში განსხვავებულ მოსავლიანობაში გამოიხატება.

ამ თვისების გამო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სხვა ძირითადი საშუალებებისგან განსხვავებით (რომელთა გამოყენების ოპტიმალური პერიოდის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია საშუალო წლიური დანახარჯის მინიმუმი), ბიოლოგიურ ფონდებში (მრავალწლიანი ნარგავები, მერძეული ჯოგის პროდუქტიული პირუტყვი და ა.შ.) ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის დასადგენად მიჩნეულია წმინდა შემოსავლის (მოგების) ან მარგინალური შემოსავლის საშუალო წლიური მოცულობა (თანაბრად განაწილებული წლების მიხედვით, ანუიტეტის საშუალებით, ექსპლუატაციის საერთო პერიოდზე).

ამ საკითხის უფრო თვალსაჩინო განხილვის მიზნით, ვაზის ნარგაობის მაგალითზე შესაბამისი მასალები მოცემულია ცხრილში 2.3.

ვაზის იდენტური ნარგაობით შეცვლის ოპტიმალური ვადის გაანგარიშება

წლები	ამონაგები (ლარი)	ცვლადი დანახარჯები (ლარი)	მარგინალური შემოსავალი (ლარი)	დისკონტირებული მარგინალური შემოსავალი (ლარი)	დისკონტირებული მარგინალური შემოსავლის ჯამი (ლარი)	საშუალო წლიური მარგინალური შემოსავალი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
0	–	–	-5600	-5600	–	–
1	–	500	-500	-463	-6063	-6548
2	–	300	-300	-257	-6320	-3544
3	1500	750	750	-595	-5725	-2221
4	4500	1500	3000	2208	-3517	-1062
5	7000	1600	5400	3678	161	40
6	7000	1600	5400	3407	3568	771
7	7000	1600	5400	3154	6722	1291
18	7000	1600	5400	1353	28056	2974
19	7000	1600	5400	1253	29309	3048
20	6700	1630	5070	1090	30399	3070
21	6200	1680	4520	899	31299	3098
22	5500	1740	3760	693	31991	3135
23	4700	1800	2900	495	32488	3118
24	3800	1860	1940	306	32794	3083
25	2800	1930	870	127	32921	3060

შენიშვნა: 1 ჰა ვაზის გაშენების ხარჯები – 5600 ლარი;
ბანკის კრედიტზე სარგებელი – 8%.

*) დისკონტირებული მარგინალური შემოსავლის გაანგარიშება (მე-5 სვეტი) ხდება ფორმულით $Ფ_ν = Ფ_0 \frac{1}{(პ+1)^ν}$, სადაც $Ფ_0$ – არსებული ფულადი კაპიტალია, $Ფ_ν$ – მომავალში მისაღები ფულადი კაპიტალის ღირებულება, $(პ+1)^ν$ – ბანკის პროცენტული კოეფიციენტი, ხოლო $ν$ – წლის რიგითი ნომერი.

**) დისკონტირებული მარგინალური შემოსავლის ჯამი (მე-6 სვეტი) იანგარიშება მე-5 სვეტში მოცემული სიდიდეების დაჯამებით.

***) საშუალო წლიური მარგინალური შემოსავალი იანგარიშება ანუიტეტის კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით: $ა = \frac{(პ-1)\cdot პ^ν}{პ^ν - 1}$. მაგალითად, მესამე წლისათვის ანუიტეტის კოეფიციენტი იქნება: $ა = \frac{(1.08-1)\cdot 1.08^3}{1.08^3 - 1} = \frac{0.8 \cdot 1.2597}{0.2597} = 0.3885$. მიღებული კოეფიციენტის გამრავლებით 5725-ზე (მესამე წლის მიღებული მარგინალური შემოსავლის ჯამი) მიიღებთ საშუალო მარგინალური შემოსავლის სიდიდეს მესამე წლისათვის (0.3885×5725)≈2221.

მოტანილ მაგალითში ვაზი მსხმოიარობას იწყებს მე-4 წლიდან. მე-6 წლიდან მე-19 წლის ჩათვლით ყურძნის რეალიზაციიდან ამონაგები რჩება სტაბილურად უცვლელი, მე-20 წლიდან კი იწყებს თანმიმდევრულ კლებას.

შემოსავლებისგან განსხვავებით, ვაზის გაშენებისა და მოვლა-მოყვანის ხარჯებს აქვს სრულიად საპირისპირო დინამიკა. კერძოდ, დანახარჯები იწყება ვაზის გაშენებისთანავე (ყართოხობის აგებგება, პლანტაჟი, ნერგის შეძენა და ა.შ.), რომლებიც თანდათან იზრდება მე-5 წლამდე. შემდეგ სტაბილური რჩება მე-19 წლამდე, ხოლო მე-20 წლის შემდეგ იწყებს თანმიმდევრულ მატებას.

შემოსავლებისა და ცვალებადი დანახარჯების ასეთი დინამიკის პირობებში

გაანგარიშებული და დისკონტირებული საშუალო წლიური მარგინალური შემოსავლის მაქსიმუმი (3135 ლარი) მიიღწევა 22-ე წელს, შემდეგ ის იწყებს თანმიმდევრულ კლებას.

ამ პერიოდის დადგომისას ვაზის ნარგაობა წესით უნდა ამოიძირკვოს და გაშენდეს ახალი, თუ საწარმოო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, არ გამოირიცხება ისიც, რომ სხვადასხვა აგროტექნიკური და ბიოლოგიური მეთოდებით (მძიმე გასხელა, გაახალგაზრდავება, ტექნოლოგიური სიახლე და ა.შ.) შეიძლება ვენახის (ან სხვა მრავალწლიანი ნარგაობის) ფართობიდან მარგინალური შემოსავლის მაქსიმუმის შენარჩუნება 30-მდე და უფრო მეტი ხნის განმავლობაში.

ანალოგიურად შეიძლება გაიანგარიშოთ ხეხილოვანი და სხვა მრავალწლიანი ნარგავების, მერძეული ჯოგის პირუტყვისა და სხვა ბიოლოგიური ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადა.

კითხვები შეჯენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. რა არის აგრარული წარმოება ზოგადად? ჩამოთვალეთ და განმარტეთ მასზე მოქმედი ფაქტორები.
2. ახსენით აგროწარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის ეკონომიკური არსი. რა განაპირობებს ძირითადად აგროწარმოების სტრუქტურას?
3. რა ძირითადი ეკონომიკური კანონზომიერები მოქმედებს აგროწარმოებაში მოკლევადიან პერიოდში?
4. წარმოების ეკონომიკური თეორიის მიხედვით როდის მიიღწევა ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა აგრარულ საწარმოში?
5. რა არის მარგინალური შემოსავალი და რისთვის გამოიყენება ის აგრარულ წარმოებაში? ჩამოთვალეთ და განმარტეთ აგროწარმოების ფაქტობრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.
6. რა მნიშვნელობა აქვს აგრარული საწარმოს წარმოების სტრუქტურის ოპტიმიზაციას და რა მეთოდებით უნდა განვსაზღვროთ ის?
7. რის ხარჯზე იზრდება აგრარული საწარმოს მოგება, როცა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა (პროდუქტთა) ფასების შებრუნებული შეფარდების კოეფიციენტი ნაკლებია მათი მოსალიანობების შეფარდების კოეფიციენტზე?
8. ახსენით ინვესტიციების განხორციელების ძირითადი მიზანი.
9. დაახასიათეთ კაპიტალური დაბანდების ობიექტის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრის შემთხვევები.
10. განმარტეთ კაპიტალური დაბანდების ობიექტით სარგებლობის ვადა იდენტური და არაიდენტური ობიექტებით შეცვლის დროს.
11. ჩამოთვალეთ და განმარტეთ აგრარულ საწარმოში გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრების გამოყენების ალტერნატივები. როგორ უნდა დავადგინოთ აგრარული საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა?
12. გაიანგარიშეთ საწარმოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ფინანსური დატვირთვის ზღვარი.
13. როგორია აგრარული საწარმოს დაფინანსების ზოგადი პრინციპები?
14. ჩამოთვალეთ და განმარტეთ აგრარული საწარმოს ქონების შეფასების ეკონომიკური პრინციპები და მეთოდები.
15. რა არის ობიექტის საკუთარი ღირებულება? საბაზრო ღირებულება? რისთვის გვჭირდება მათი დადგენა?

ტესტი

1) მონოფაქტორული საწარმოო ფუნქციის პირობებში აგრარულ საწარმოში წარმოების ფაქტორების გამოყენების ოპტიმუმი მიღწეულია მაშინ, როცა:

ა) ზღვრული დანახარჯი მეტია ზღვრულ სარგებლიანობაზე
ბ) ზღვრული დანახარჯი ნაკლებია ზღვრული პროდუქტის ღირებულებაზე

გ) ზღვრული დანახარჯი ტოლია ზღვრულ სარგებლიანობისა
დ) ზღვრული დანახარჯი ნაკლებია მუდმივ ხარჯებზე

2) აგრარული საწარმოს განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

ა) პიროვნული ფაქტორი
ბ) ნიეთობრივი ფაქტორი
გ) სოციალური ფაქტორები
დ) ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები

3) მარგინალური შემოსავალი არის:

ა) პროდუქციის ერთეულზე მიღებული შემოსავალი
ბ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები
გ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და ცვლადი ხარჯების სხვაობა
დ) საწარმოს მთლიანი მოგება

4) რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურიდან ყველაზე მომგებიანი არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა ვიცოდეთ:

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა
ბ) წარმოებული პროდუქტის სარეალიზაციო ფასი
გ) წარმოებული პროდუქტის ხარისხი
დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და ერთეულის სარეალიზაციო ფასი

5) აგრარულ საწარმოში მოგება ოპტიმალურია, როცა:

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეცვლის კოეფიციენტი ნაკლებია მათი ფასების შებრუნებულ შეფარდებაზე
ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეცვლის კოეფიციენტი მეტია მათი ფასების შებრუნებულ შეფარდებაზე
გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეცვლის კოეფიციენტი ტოლია მათი ფასების შებრუნებულ შეფარდებისა
დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეცვლის კოეფიციენტი ტოლია ერთის

6) აგრარულ საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხი მაღლდება, როცა:

ა) კრედიტის დაფარვის ვადა ნაკლებია კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის ვადაზე
ბ) კრედიტის დაფარვის ვადა აღემატება კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის ვადას
გ) კრედიტის დაფარვის ვადა ტოლია კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის ვადის
დ) საწარმო იყენებს გრძელვადიან და შედარებით დაბალი სარგებლის პროცენტის მქონე კრედიტს

7) უფრო მაღალმწარმოებლური (არაიდენტური) ობიექტით ძველი ობიექტის შეცვლის მომენტი უფრო ადრე უნდა შეირჩეს მაშინ, როცა:

ა) ახალი ობიექტი მაღალმწარმოებლურია ძველთან შედარებით
ბ) ახალი ობიექტისგან მიღებული პროდუქცია უფრო მაღალი ხარისხისაა ძველთან შედარებით
გ) ძველი ობიექტის სალიკვიდაციო ღირებულება ზრდის ტენდენციით ხასიათდება
დ) ახალი ობიექტი შედარებით მაღალმწარმოებლურია და მიღებული პროდუქცია უკეთესი ხარისხისაა ძველთან შედარებით

8) აგრარულ საწარმოს დაფინანსების ზოგად პრინციპებს არ მიეკუთვნება:

ა) საწარმო, რომელიც ახორციელებს დაფინანსებას, უნდა იყოს გარანტირებულად გადახდისუნარიანი დროის ნებისმიერი მომენტისათვის
ბ) კრედიტის დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ობიექტის ექსპლუატაციის ვადას
გ) კრედიტის აღება გამართლებულია მაშინ, როცა საწარმოს არ გააჩნია საკუთარი კაპიტალი
დ) კაპიტალის ჩადება ამა თუ იმ ობიექტში თუ საქმიანობის სფეროში უნდა იყოს რენტაბელური და დანახარჯების მიხედვით ოპტიმალური

9) აგრარულ საწარმოს ქონების შეფასებითი საქმიანობის სახელმწიფო რეგლამენტირების მიზანია:

ა) აგრარული საწარმოს საწარმოო-ეკონომიკური მიმართულების დადგენა
ბ) ბუღალტრული ბალანსების თავისდროული შედგენა
გ) საწარმოს ქონების პირველდაწყებითი ღირებულების დადგენა
დ) საწარმოს ქონების შეფასებაში სუბიექტივიზმის გამორიცხვა

III თავი. აგრარული წარმოების ძირითადი ფაქტორები

3.1. მიწა როგორც წარმოების ძირითადი საშუალება. მიწის რესურსების სტრუქტურა

წარმოების ფაქტორთა ნამონათვალში მიწას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის გამოიყენება ეროვნული მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგსა თუ სფეროში. მაგრამ, თუ მრეწველობის, ტრანსპორტის და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში მიწა გამოიყენება შენობების, გზების და სხვა ნაგებობათა განსათავსებლად, აგრარულ წარმოებაში ის გამოიყენება, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პრაქტიკულად უალტერნატივო ძირითადი საშუალება.

მიწა, როგორც წარმოების საშუალება, არსებითად განსხვავდება წარმოების სხვა ძირითადი საშუალებებისაგან. მიწა ბუნების მრავალსაუკუნოვანი პროდუქტია. ამადენად მას, განსხვავებით წარმოების სხვა ფაქტორებისაგან, არ გააჩნია ღირებულება. ის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში არ იცვითება არც არ ერიცხება ამორტიზაცია და ამდენად უშუალოდ არ მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში.

მიწის ფართობები (სხვადასხვა ნაკვეთები) მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ნაყოფიერებით. ესაა ნიადაგში მცენარეებისათვის საჭირო საკვებ ნივთიერებათა შესათვისებელ ფორმაში არსებობა, წარმოშობილი დიდი ხნის წინ, მასში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური და სხვა გარდაქმნების და ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიწის ნაყოფიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს არსებითი განმასხვავებელი ნიშანთვისებაა, რომელიც მუდმივად ადამიანისა და ბუნების ზემოქმედებას განიცდის. მასზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და საბოლოო ანგარიშით, აგრარულ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

საერთოდ, მიწის ნაყოფიერების სამ სახეს განასხვავებენ: ბუნებრივს, ხელოვნურს და ეკონომიკურს. პირველი შეიქმნა ბუნებრივი ძალების – მზის, წყლის, ქარის ზეგავლენით. ის განისაზღვრება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებით და ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ამა თუ იმ ხარისხით მიწათმოქმედების ამა თუ იმ დარგის გაადგილებისას.

ხელოვნური ნაყოფიერება ადამიანის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ზემოქმედებს რა მიწაზე, ადამიანი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სასიკეთოდ თუ საზიანოდ, ზემოქმედებს მიწის ნაყოფიერებაზე (მიწის დამუშავებით, განოყიერებით, მორწყვით და ა.შ.). ასეთ ნაყოფიერებას ხელოვნურ ნაყოფიერებას უწოდებენ. რაც შეეხება ეკონომიკურ ნაყოფიერებას – ის მიწის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერების ერთობლიობას წარმოადგენს. მისი ეფექტი ფართობის ერთეულიდან წარმოებული პროდუქციის რაოდენობით და ხარისხით განისაზღვრება.

ფართობის ერთეულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოსავლიანობა გვიჩვენებს მიწის აბსოლუტურ ნაყოფიერებას, ხოლო იმავე ფართობზე მიღებული პროდუქციის მოცულობა, მიწის ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით – მიწის შეფარდებით ნაყოფიერებას.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში გამოიყენება ასევე პროდუქციის გამოსავალი წარმოებაზე გაწეული ფულად-მატერიალური დანახარჯების ერთეულზე. ამ მაჩვენებელში უფრო ეკონომიკური ნაყოფიერება აისახება, ვიდრე ბუნებრივი ან ხელოვნური ცალ-ცალკე.

მიწა თავისი განუმეორებელი ჭენომენით – ნიადაგის ნაყოფიერებით – ვერასოდეს ვერ გადაიქცეოდა აგრარული წარმოების მთავარ ფაქტორად ადამიანის აქტიური მონაწილეობის გარეშე. ასეთად ის მხოლოდ შრომასთან და კაპიტალთან ურთიერთქმედების პროცესში გადაიქცა.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, ეკონომიკური რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ აგრარული საწარმოს რაციონალური მართვის, წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციისა და სხვა ფაქტორების კომპლექსური მოქმედების პირობებში. წინააღმდეგ

შემთხვევაში ანთროპოგენური ზემოქმედება, ეროზიული პროცესების უმართაობა, არასწორი აგროტექნიკა და სხვა არასწორი ზემოქმედება მინიმუმამდე ამცირებს მიწის ნაყოფიერებას და, საბოლოო ანგარიშით, გამოუსადეგარს ხდის მას სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის.

ადამიანები მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და მისი კიდევ უფრო ამაღლების მიზნით ოდითგანვე ატარებდნენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა მელიორაცია, დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების გაკულტურება, ტერასების მოწყობა, ფერდობების გატყიანება, ქარსაფარების გაშენება და ა.შ.

მიწის გამოყენების მიზნების გათვალისწინებით განასხვავებენ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიებს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ქალაქის, მრეწველობის, ავტოტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ტყის ფონდის, წყლის ფონდის და სხვა მიწები, რომელთა დანიშნულება არაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ამ ფუნქციის რეალიზება ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, რომელთაც მიაკუთვნებენ მიწებს, რომლებზეც გაადგილებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურები, იწარმოება მიწათმოქმედების პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ძირითად საფუძველს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები წარმოადგენს. ეს მიწები სისტემატურად (ყოველწლიურად) გამოიყენება აგრარულ პროდუქციის წარმოების მიზნით. მასში ჩართულია სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგაევებით დაკავებული მიწები, სათიბები და საძოვრები.

სახნავი მიწა – დამუშავებაში მყოფი მიწაა, რომელზეც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების მოვლა-პატრონობა, მათ შორის მარცვლოვანი, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების, მრავალწლიანი ბალახების და სხვ. ის შეიძლება იყოს სარწყავი და ურწყავი, ეროზირებული, დაქვიანებული, დაჭაობებული და ა.შ.

ნასვენი მიწა – სახნავია, რომელიც იხვნებოდა და ითესებოდა, მაგრამ აღარ მუშავდება ამა თუ იმ მიზეზით ბოლო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (მას ხშირად დროებით სავარგულსაც უწოდებენ).

მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები – ესაა მიწები, რომლებზეც წარმოებს ხეხილის, ვაზის, ციტრუსების, ჩაის პლანტაციების, ტუნგოს, დაყნის და სხვა მრავალწლიანი ნარგაევების მოვლა-მოყვანის სამუშაოები. სახნავ მიწებს და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწებს ზოგადად დამუშავებაში მყოფ მიწებსაც უწოდებენ, რომლებზეც წარმოებს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანა სასურსათო, ტექნიკური და სხვა მიზნებისათვის.

სათიბი – სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ის კატეგორიაა, რომელიც გამოიყენება თივის დასამზადებლად. ის იყოფა ბუნებრივ და ხელოვნურ, სუფთა, გაუმჯობესებულ სათიბებად და ა.შ.

საძოვარი მიწები – სისტემატურად გამოიყენება პირუტყვის ძოვებისათვის. განასხვავებენ ბუნებრივ და გაუმჯობესებულ (კულტურულ), ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებს და ა.შ.

ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროცენტული შეფარდება სავარგულების საერთო რაოდენობასთან იძლევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურას, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვადასხვა რეგიონებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონებში.

სავარგულების ჩამოთვლილი სახეებიდან სახნავი და მრავალწლიანი ნარგაევები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და მათ მაღალინტენსიურ სავარგულებს უწოდებენ, ხოლო სათიბ-საძოვრები შედარებით დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა და მათ დაბალინტენსიურ სავარგულებს მიაკუთვნებენ. იმისდა მიხედვით, თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მიწების გამოყენების და საერთოდ, მიწაზე მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობა.

32. მიწის ბამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების ძირითადი მიმართულებები

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მასზე წარმოებული ნატურალური პროდუქციის მოცულობით ან ღირებულებით. ამასთან, მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული რესურსის, თავისებურებების (მიწის შეზღუდულობა, დაქვეითებული ნაყოფიერების აღდგენისათვის საჭირო დიდი პერიოდი და ა.შ.) გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული მიწის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის. კერძოდ, თანამედროვე პირობებში აუცილებელია ყართობის ერთეულზე არა მარტო მეტი პროდუქციის მიღება, ხარისხის ამაღლება და დანახარჯების შემცირება, არამედ მიწის მდგრადი გამოყენება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და გარემოს რაც შეიძლება ნაკლებ დაბინძურებაში ურდა გამოიხატოს.

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართული სავარგულის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალი ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლით განისაზღვრება. ამ უკანასკნელთაგან გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გამოყენების ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა სახნავი მიწის ერთეულზე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გამოსავალი ნატურალურ ერთეულებში. იგივე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ყოველ ჰექტარზე. ამასთან, რამდენადაც ნატურალური მაჩვენებლები არ ასახავს პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ მხარეს, მიწის სავარგულის გამოყენების დონის განსაზღვრისას უფრო ღირებულებით მაჩვენებლებს მიმართავენ.

ამ შემთხვევაში მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ყველა დასახელების ნატურალური პროდუქცია საჭიროა გადაყვანილ იქნეს ღირებულებით ფორმაში შესადარისი ფასის გამოყენებით (განსაკუთრებით მაშინ, როცა გვინდა მიწის გამოყენების მაჩვენებელთა დინამიკაში გაანალიზება). მიწის გამოყენების ეფექტიანობის გაანგარიშება კი უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მისი შემადგენელი ელემენტების (სახნავი, სათიბი და ა.შ.) ერთეულზე საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლის და წმინდა შემოსაველის (მოგების) გამოსავლიანობის მიხედვით.

ამავე მიზნით გამოიყენება მიწის რესურსებში განხორციელებული დანახარჯების გამოსყიდვის (წარმოებული საერთო პროდუქციის მატერიალურ დანახარჯებთან შეფარდებით), წარმოების რენტაბელობის და სხვა მაჩვენებლები.

არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება სხვადასხვა საწარმოში განსხვავებული ნაყოფიერების მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა და ურთიერთშედარება. ამ მიზნით იყენებენ საერთო პროდუქციის, საერთო და წმინდა შემოსაველის გამოსავალიანობის მაჩვენებლებს ერთ თანაზომად კადასტრულ ჰექტარზე გაანგარიშებით. მას ანგარიშობენ ფორმულით:

$$Ე_გ = (პ_ღ : Ფ_ა),$$

სადაც $Ე_გ$ – მიწის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელია; $პ_ღ$ – ყართობის ერთეულიდან მიღებული საერთო პროდუქციის ღირებულება; $Ფ_ა$ – თანაზომადი კადასტრული ყართობი.

თანაზომადი კადასტრული ყართობი განისაზღვრება ფორმულით:

$$Ფ_ა = [(Ფ_{სახ} \cdot ბ_1) + (Ფ_{სათ} \cdot ბ_2) + (Ფ_{საძ} \cdot ბ_3)] : 100,$$

სადაც $Ფ_ა$ – თანაზომადი კადასტრული ყართობია; $Ფ_{სახ}$, $Ფ_{სათ}$, $Ფ_{საძ}$ – შესაბამისად სახნავის, საოიბის და საძოვრის ყართობები; $ბ_1$, $ბ_2$, $ბ_3$ – შესაბამისად სახნავის, სათიბის და საძოვრის შეფასების ბალები.

ანალოგიურად შეიძლება გაითვალოს მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა საერთო შემოსავლის, წმინდა შემოსაველის და სხვა მაჩვენებლების გამოყენების შემთხვევაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება ყართობის ერთეულზე შესაძლებელია მხოლოდ

მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის ხარჯზე მიიღწევა.

ფართო გაგებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ დამატებით დაბანდებებს ფართობზე, ის მრავალ სხვა მიმართულებასაც მოიცავს, რომელთა შორის გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა, შრომის ორგანიზაციის დახვეწა და ა.შ. არც თუ იშვიათად ამ ღონისძიებებს უფრო მეტი ეფექტის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე დამატებით დაბანდებებს უშუალოდ წარმოებაში (მეტი ტექნიკის, სასუქის და სხვა საშუალებების შეძენა). . .

წარმოების ტექნოლოგიურ-ორგანიზაციულ დახვეწაში იგულისხმება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მიმართ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება ზონალური პირობების გათვალისწინებით (მათ შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს თესლბრუნვების დანერგვა, რომლის მიზანია ნიადაგში ორგანულ ნივთიერებათა დადებითი ბალანსის შენარჩუნება და მიწის ნაყოფიერების ამაღლება).

მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას უკავია. მათ შორის გამოსაყოფია ფერდობების გატყევება, მრავალწლიანი ბალახების თესვა, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და სხვ.

მიწის ნაყოფიერების ამაღლებას ემსახურება აგრეთვე მუავე ნიადაგების მოკირიანება, ტუტე ნიადაგების მოთაბაშირება და სხვა ქიმიურ-მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწის მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა. დამტკიცებულია, რომ ნიადაგის თავისდროული მორწყვით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა საშუალოდ 1,5-ჯერ, ხოლო დაჭაობებული ფართობიდან ზედმეტი წყლის მოცილებით – 1,3-ჯერ იზრდება.

სოფლის მეურნეობაში მიწის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ერთი რომელიმე ფაქტორის გამოყენებაზე აქცენტის გაკეთება (ანუ ძირითადი ფაქტორის რანგში აყვანა) ვერ გაზრდის ეფექტს, როგორი არსებითიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის (მაგალითად, მორწყვა, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ.). საჭიროა ყველა მათგანის აღრიცხვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე მათი გავლენის ხარისხის შესწავლა და შესაბამისი ზომების მიღება ყველა მათგანის აგროტექნიკურ ვადებში განხორციელებისთვის.

მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს განეკუთვნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიწის დაცვისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების დამუშავება და განხორციელება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, არც თუ იშვიათად, ბრუნვიდან დაუსაბუთებელი ამოღება (მშენებლობის, გზების, წყალსაცავების, კომუნიკაციების და სხვა საჭიროებისთვის). ქალაქმშენებლობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ბუნებრივია, მოითხოვს დამატებით მიწას, მაგრამ ამ მიზნებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყონდი უკიდურეს პირობებში, ანუ მხოლოდ ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს.

ყველა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უფრო სრულ და ეფექტიან გამოყენებას, შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

– სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ყოველი პექტარი სავარგულის ჩართვა. ბრუნვიდან მიწის სავარგულების ამოღების მინიმიზაცია;

– მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლება მელიორაციული ღონისძიებების (მათ შორის ქიმიური მელიორაცია), თესლბრუნვების დანერგვის, მიწის ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებების გატარების საფუძველზე;

– მიწის დაცვა და მისი ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების შენარჩუნება

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ნიადაგდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებით;

– მიწის ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების რაციონალური გამოყენება მაღალმოსავლიანი, გვალვისა და დაავადებებისადმი გამძლე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების დანერგვის, მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების სრული კომპლექსის გატარების საყუძველზე;

– ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ნათეს-ნარგაობათა სტრუქტურის სრულყოფა, სპეციალიზაციის გაღრმავება, მეურნეობრიობისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა და სხვა იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც პირდაპირ (უშუალოდ) არ მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაზე, მაგრამ ხელს უწყობს ბრუნვაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის უფრო რაციონალურ გამოყენებას და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

33. მიწის რენტა და მიწის საბაზრო ფასი

მიწის საკუთრების წარმოშობასთან ერთად გაჩნდა მიწათსარგებლობის სპეციფიკური გადასახადი, რომელსაც არენდის (იჯარის) გადასახადი ეწოდება, თუმცა მას ამაედროულად შემორჩა ძველი დასახელება – მიწის რენტა, რომლითაც ის შევიდა ეკონომიკური თეორიის ისტორიაში.

პირველად რენტის ეკონომიკური ბუნება *დ. რიკარდომ*[*] ახსნა. მან შენიშნა, რომ ბაზარზე მარცვლეულის ფასი დანახარჯებზე არ იყო დამოკიდებული. იმის მიუხედავად, მაღალნაყოფიერ მიწაზე იყო წარმოებული (სადაც დანახარჯები ყოველთვის მინიმალურია), თუ შედარებით დაბალნაყოფიერზე (სადაც დანახარჯები უფრო მაღალია პროდუქციის ერთეულზე), მარცვლეულის ფასი ერთნაირი იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ის საქონელმწარმოებლები, რომლებიც მეურნეობრიობას მაღალნაყოფიერ მიწაზე ეწეოდნენ, დებულობდნენ დამატებით შემოსავალს იმათთან შედარებით, ვინც უფრო დაბალნაყოფიერ მიწაზე საქმიანობდა. ამ დამატებით შემოსავალს *დ. რიკარდომ* მიწის რენტა უწოდა.

მისი წარმოქმნის ერთ-ერთი გზა მაღალნაყოფიერ და დაბალნაყოფიერ მიწებზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობაა. მიწის რენტა წარმოადგენს გადასახადს მიწის, როგორც წარმოების რესურსით, სარგებლობისთვის, მაგრამ, წარმოების სხვა ფაქტორებით სარგებლობის გადასახადისგან (შრომის ანაზღაურება, სესხის საპროცენტო განაკეთი) განსხვავებით, აქვს სპეციფიკური თავისებურება, რომელიც გამომდინარეობს მიწის, როგორც რესურსის, შეზღუდულობიდან. კერძოდ, მიწათმოსარგებლე იძულებულია დაამუშაოს დაბალნაყოფიერი სავარგული, მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის შეზღუდულობის გამო.

მიწის არენდით მოსარგებლე მიწის რენტას უხდის მიწის მესაკუთრეს და, ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თუ მიწის მესაკუთრე თავად დაამუშავებს მიწას, მიწის რენტა, როგორც დამატებით შემოსავალი, გაქრება, რაც სწორი არაა. ამ შემთხვევაში მიწის რენტა საწარმოს საერთო შემოსავალშია ჩართული და ის მესაკუთრის საკუთრება ხდება, საიდანაც სწორი საგადასახადო რეჟიმის პირობებში მისი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მოხვდება.

მიწის რენტა (საარენდო გადასახადი) წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასის საყუძველს. როცა მიწის მესაკუთრე დააპირებს მიწის ნაკვეთის გაყიდვას, ის დაინტერესებული იქნება მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით მიიღოს, როგორც მინიმუმი, იმდენივე ყოველწლიური შემოსავალი, რასაც ის მიწის რენტის სახით იღებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიწის ფასი ეს კაპიტალიზებული მიწის რენტაა, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

[*] ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

$$Ფ_ბ = (ბ_ა : ნ_კ) \cdot 100,$$

სადაც $Ფ_ბ$ – მიწის ნაკვეთის ფასია; $ბ_ა$ – ამ ნაკვეთიდან მიღებული არენდის გადასახადი (რენტა); $ნ_კ$ – ბანკის სესხის პროცენტი.

მიწის საბაზრო ფასი პირდაპირპროპორციულია არენდის გადასახადისა და უკუპროპორციული კაპიტალიზაციის ნორმისა. მაღალი კაპიტალიზაციის ნორმა სხვა თანაბარ პირობებში დაბლა სცემს მიწის ფასს და, პირიქით. მიწის რეალურ ფასზე გავლენას ახდენს ნაკვეთის სიდიდე, აღგილმდებარეობა, მიწის ნაყოფიერება, წყლით უზრუნველყოფა, მიწაზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა და სხვა მრავალი ფაქტორი.

3.4. შრომითი რესურსები და მათი გამოყენება აგრარულ სფეროში

შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის გამოყენების პროცესი მოიცავს თავად შრომას (როგორც ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობას), შრომის საგანს, შრომის საშუალებებს და შრომის შედეგებს. შრომას მოჰყავს მოქმედებაში წარმოების საშუალებები და ახდენს წარმოების მიზნის რეალიზაციას.

შრომა ეკონომიკური კატეგორიაა და ამდენად, მისი ხასიათი განისაზღვრება ეკონომიკური ურთიერთობებით. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, მართალია, ხელს უწყობს წარმოების საშუალებების სრულყოფას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შრომა, ჯერ კიდევ, ინარჩუნებს წარმოების პროცესში განმსაზღვრელ როლს, ხოლო ადამიანი – თავის ადგილს შრომის პროცესში.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები სულ უფრო მყარ საყუძველს ქმნის აგრარული შრომის სამრეწველო შრომის ნაირსახეობად გარდაქმნისათვის. მიუხედავად ამისა, აგრარულ წარმოებაში დასაქმებულთა შრომა მუდამ განსხვავებული იქნება მატერიალური წარმოების სხვა დარგებში დასაქმებული მუშაკების შრომისაგან, რადგან აქ შრომის სპეციფიკას თვით აგრარული წარმოების სპეციფიკა და თავისებურება განაპირობებს.

სოფლის მეურნეობაში შრომა მიმართულია ცოცხალი ორგანიზმების – მცენარეთა და ცხოველთა მოვლა-პატრონობაზე. ამისათვის სასოფლო-სამეურნეო შრომას ბიოლოგიური კანონების და კანონზომიერებათა შესაბამისი ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება ესაჭიროება.

შრომის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ათეულობით ფაქტორი (ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მიწის ხარისხი, ექსპოზიცია და ა.შ.), რის გამოც სხვადასხვა კლიმატურ პირობებში დახარჯული ერთი და იმავე რაოდენობისა და ხარისხის შრომა მკვეთრად განსხვავებული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

სასოფლო-სამეურნეო შრომის სპეციფიკა მრავალი მიმართულებით შეიძლება დახასიათდეს. მათ შორის გამოსაყოფია შრომის სეზონური ხასიათი. შრომის პროცესისა და შედეგების დროში დაუმთხვეველობა იწვევს შრომით რესურსზე სხვადასხვა მოთხოვნას წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიებზე (ხვნა-თესვის, მოსავლის აღების და სხვა პერიოდებში).

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შეუძლებელია შრომის ვიწრო სპეციალიზაცია. აქ ყველა არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის ათეულობით სახის სამუშაოს თანაბარი ცოდნაა საჭირო. ანალოგიური მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც, სადაც საჭიროა მწყემსის, მწველავის, მოზარდის მომვლელის, რძის გადამუშავების და სხვა მრავალი პროფესიის შეთავსება ერთმანეთთან. მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩართვა შრომისუნარიან პირებთან ერთად შეუძლიათ მოზარდებს, ასაკოვან პენსიონერებს, სხვა კატეგორიის პირებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სეზონური სამუშაოების პიკურ პერიოდებში.

სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების სოციალურად აქტიურ ნაწილს სამუშაო ძალა წარმოადგენს, რაც გულისხმობს ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობას, რომელიც გააჩნია ადამიანს და რომელიც მას შეუძლია

მიზნობრივად გამოიყენოს საქონლის ან მომსახურების (ახალი ღირებულების) შექმნისათვის.

შრომითი რესურსები შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილია, რომელსაც, თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეუძლია ჩაერთოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, ანუ შექმნას მატერიალური დოვლათი, ან გასწიოს მომსახურება. გარდა ამისა, შეიძლება გაკეთდეს ის დასკვნაც, რომ შრომითი რესურსის რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობასა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოფიციალურად დადგენილ შრომისუნარიანობის ასაკზე (ქალებისა და მამაკაცებისთვის).

საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობის მიხედვით შრომით რესურსებს მიეკუთვნება მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, რომელიც მამაკაცებისთვის დადგენილია 16-დან 65 წლამდე, ხოლო ქალებისთვის – 16-დან 60 წლამდე. შრომით რესურსებში შედის როგორც მუდმივი, ასევე დროებით მომუშაველები.

ბოლო პერიოდში შრომითი რესურსების ცნების მაგივრად გამოიყენება ტერმინი „ეკონომიკურად აქტიური" მოსახლეობა. მასში იგულისხმება ყველა პირი, რომელსაც აქვს მუდმივი შემოსავლის წყარო (მიუხედავად იმისა, თვითონ მუშაობს თუ არა) და შემოსავლის არმქონე უმუშევრები (თუ მათ მუშაობის სურვილი აქვთ).

3.5. შრომითი რესურსების სტრუქტურა და აბროზარმოების შრომითი უზრუნველყოფა

შრომითი რესურსების დახასიათება შესაძლებელია მრავალი აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლით. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი შრომითი რესურსების სტრუქტურაა. ის წარმოადგენს ცალკეულ მუშაკთა კატეგორიის პროცენტულ შეფარდებას საწარმოში არსებულ მუშაკთა საერთო რაოდენობასთან. საერთოდ, მიღებულია, რომ აგრარულ საწარმოში უშუალოდ საწარმოო პროცესებით დაკავებული მუშაკების რაოდენობა საშუალოდ 86-90 პროცენტს შეიძლება შეადგენდეს. შრომითი რესურსების სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მთავარია საწარმოს სიდიდე და სპეციალიზაცია, კოოპერირების და ინტეგრირების ღონე, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სამუშაოთა მექანიზაციის ღონე და ა.შ.

რადგან საწარმოში ადგილი აქვს მუშაკთა დენადობას (მიღებას, გათავისუფლებას), ანგარიშობენ ამ პროცესის ამსახველ მაჩვენებლებს. უპირველეს ყოვლისა, გაიანგარიშება მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობის მაჩვენებელი წლის განმავლობაში, რისთვისაც მუშაკთა საშუალო სიობრივ რაოდენობას თვეების მიხედვით აჯამებენ და ჰყოფენ წელიწადში თვეების რიცხვზე (12). ანალოგიურად გაიანგარიშება (საჭიროების შემთხვევაში) საშუალო თვიური რიცხოვნობაც (კერძოდ, თვის ყოველი კალენდარული დღის მუშაკთა სიობრივი რიცხვის დაჯამებით და მიღებული შედეგის თვეში დღეთა რაოდენობაზე გაყოფით).

ანგარიშობენ ასევე მუშაკთა საშუალო წლიურ რიცხოვნობას. ამისათვის იღებენ წლის განმავლობაში მუშაკთა მიერ გამომუშავებულ კაც-დღეთა რაოდენობას და ჰყოფენ მას სამუშაო დროის საერთო ფონდზე (ეს უკანასკნელი დგინდება ყოველი კონკრეტული საწარმოსათვის, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით).

აგრარულ საწარმოში მუშაკთა სტაბილურობის მაჩვენებელს ანგარიშობენ წლის განმავლობაში მეურნეობიდან მუშაკთა გასვლის და საწარმოში ახალი მუშაკების მიღების კოეფიციენტების გამოთვლით. პირველს ანგარიშობენ წლის განმავლობაში საწარმოდან გათავისუფლებულ მუშაკთა რიცხოვნობის შეფარდებით საწარმოს მუშაკთა საერთო სიობრივ რიცხოვნობასთან, ხოლო მეორეს – საწარმოში მიღებული ახალი მუშაკების რიცხვის შეფარდებით საწარმოში არსებულ საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან.

მუშაკთა დენადობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საწარმოდან წლის განმავლობაში გასული მუშაკების რაოდენობას უფარდებენ იმავე პერიოდში საწარმოში არსებულ საშუალო სიობრივ მუშაკთა რიცხვს.

აგრარულ საწარმოში მუშაკთა რიცხოვნობის სტაბილურობის კოეფიციენტს ანგარიშობენ ფორმულით:

$$\vartheta_{ს_ვ} = \left(1 - \frac{\vartheta_ბ}{\vartheta_{ს წბ}} + \frac{\vartheta_მ}{\vartheta_{ს წმ}}\right) \cdot 100$$

სადაც $\vartheta_{ს_ვ}$ – მუშაკთა რიცხოვნობის სტაბილურობის მაჩვენებელია პროცენტებში; $\vartheta_ბ$ და $\vartheta_მ$ – შესაბამისად, გათავისუფლებული და ახლად მიღებული მუშაკების რიცხოვნობა საანგარიშო პერიოდში; $\vartheta_{ს წბ}$ და $\vartheta_{ს წმ}$ – მუშაკთა საშუალო წლიური რიცხოვნობა ბაზისურ და ფაქტობრივ (მიმდინარე) პერიოდში.

აგრარულ საწარმოში წარმოების ეფექტიანობის ამაღლება დიდადაა დამოკიდებული შრომითი რესურსებით რაციონალურ (ოპტიმალურ) უზრუნველყოფაზე, რადგან შრომითი რესურსის დეფიციტი საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობას (ანუ სამუშაოთა დაგეგმებით შესრულებას ან საერთოდ შეუსრულებლობას) და შესაბამისად, დანაკარგებს იწვევს, ხოლო ზედმეტი მუშახელი კი პირიქით, შრომის მწარმოებლურობის დაცემას (პროდუქციის გაძვირებას) იწვევს. აღნიშნულის გამო აგრარულ საწარმოში ანგარიშობენ შრომით უზრუნველყოფას და შრომითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მაჩვენებლებს. პირველი წარმოადგენს მუშაკთა რაოდენობის პროცენტულ ფარდობას 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, ხოლო მეორე – საწარმოში ფაქტობრივად არსებული მუშახელის ფარდობას საწარმოო პროგრამის შესასრულებლად საჭირო მუშახელის რაოდენობასთან. რამდენადაც პირველი მაჩვენებელი (მუშახელის ფარდობა ფართობის ერთეულზე) ძლიერ განსხვავებულია საწარმოთა შორის (ის არ ითვალისწინებს განსხვავებას წარმოების ინტენსიფიკაციაში, სავარგულების სტრუქტურაში და ა.შ.), უფრო მართებული და მიღებულია შრომითუზრუნველყოფის კოეფიციენტის გაანგარიშება, რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს შრომით უზრუნველყოფისა და შრომითი რესურსების გამოყენების რეალურ მდგომარეობას ცალკეულ აგრარულ საწარმოში.

სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენება დაკავშირებულია შრომის სეზონურობასთან. მისი სრულად გადალახვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია სავსებით შესაძლებელია. ამ მიზნით გამოიყენება დამხმარე საწარმოთა განვითარება, დარგებისა და კულტურების შეთანაწყობა (სიმწიფის სხვადასხვა პერიოდების და განსხვავებული მახასიათებლების მქონე კულტურების წარმოებით), წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის აღგილზე სამრეწველო გადამუშაება, შენახვა, რეალიზაცია და ა.შ.

შრომის სეზონური ხასიათის გამო აგრარულ საწარმოში მუშახელზე მოთხოვნილება საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით ანუ შრომის ყველაზე დაძაბულ პერიოდებში. მას ანგარიშობენ შემდეგი ფორმულით:

$$\vartheta_ჩ = ს_ვ : (ბ_ნ \cdot ს_ხ)$$

სადაც $\vartheta_ჩ$ – მუშახელის რაოდენობაა; $ს_ვ$ – სამუშაოს მოცულობა (ჰა, ტონა); $ბ_ნ$ – გამომუშავების ნორმა (ჰა, ტონა); $ს_ხ$ – აგროტექნიკური სამუშაოს ოპტიმალური ხანგრძლივობა დღეებში.

ამრიგად, აგროსაწარმოში მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მუშახელის მოთხოვნილება დგინდება თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და პირუტყვის სახის მიხედვით გაანგარიშებული ტექნოლოგიური რუკების საფუძველზე.

3.6. შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები. შრომის ნორმირება და ანაზღაურება აბრარულ საწარმოში

შრომითი რესურსების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მაჩვენებელი შრომის მწარმოებლურობაა, რომელიც იანგარიშება დროის ერთეულში (საათი, დღე) წარმოებული პროდუქციის რაოდენობით. ამ მიზნით, წარმოებული პროდუქცია (ფულად ან ნატურალურ გამოსახულებაში) უფარდდება მისი წარმოებისათვის გაწეულ შრომით დანახარჯებს ან საწარმოში მყოფ მუშაკთა საშუალო წლიურ რიცხოვნობას.

აგრარული საწარმოს პრაქტიკაში შრომის მწარმოებლურობის სხვა არაპირდაპირ მაჩვენებლებსაც იყენებენ. ეს არის შრომითი დანახარჯი ერთ ჰექტარ სავარგულზე, ერთ სულ პირუტყვზე, შრომითი დანახარჯები ცალკეული სამუშაო ოპერაციების (ხვნა, კულტივაცია, მოსავლის აღება და ა.შ.) მიხედვით და ა.შ. ეს მაჩვენებლები წარმოების შუალედურ სტადიებზე შრომის დანახარჯებს გვიხასიათებს და საშუალებას იძლევა წლის განმავლობაში ოპერატიულ რეჟიმში მიღებულ იქნეს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება შრომით დანახარჯებში არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოსაფხვრელად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გვიხასიათებს მუშახელის გამოყენების ეფექტიანობას – ესაა შრომითი რესურსის გამოყენების ხარისხი. მას ანგარიშობენ საწარმოში მყოფი მუშაკების მიერ წლის განმავლობაში ფაქტობრივად გამომუშავებული კაც-დღეების შეფარდებით სამუშაო დროის წლიურ ფონდთან.

აგრარულ საწარმოში შრომის მწარმოებლურობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორისაა, როგორც საწარმოო-ეკონომიკური, ასევე ბუნებრივ-კლიმატური პირობები. აქედან პირველი, თავის მხრივ, შეიძლება გაიყოს წარმოების ორგანიზაციულ-ეკონომიურ ფაქტორებად (წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, სპეციალიზაციის გაღრმავება, მუშახელის ოპტიმიზაცია, შრომის ნორმირების სრულყოფა და ა.შ.), ტექნიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებად (სასოფლო-სამეურნეო შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონის ამაღლება, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესება და ა.შ.) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებად (მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის მოტივაციის სრულყოფა, შრომითი დისციპლინის და პასუხისმგებლობის დონის ამაღლება და ა.შ.).

რაც შეეხება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, მათგან გამოსაყოფია ნიადაგის ნაყოფიერება, საშუალო წლიური ტემპერატურა, ნალექების საერთო რაოდენობა და განაწილება წლის განმავლობაში და ა.შ. მხედველობაშია მისაღები, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ეროი და იგივე შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების პირობებში საბოლოო ეკონომიკური შედეგი აბსოლუტურად განსხვავებული შეიძლება აღმოჩნდეს ფაქტობრივად არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

აგრარულ საწარმოში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება წარმოუდგენელია შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის გარეშე. ხელით შრომის ჩანაცვლება მექანიზაციის საშუალებებით შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ამასთან, არსებითი განმსაზღვრელი მაინც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის და პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლებია, რადგან როგორიც არ უნდა იყოს შრომითი დანახარჯების ეკონომია, ფართობისა და პირუტყვის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის შემცირება დაბლა სწევს შრომის მწარმოებლურობას და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს, საბოლოო ანგარიშით კი, საწარმოს გაყართოებული კელაეწარმოების შესაძლებლობებს.

აგრარულ საწარმოში შრომის მწარმოებლურობის ანალიზი შრომის ორგანიზაციის ისეთ ძირითად ელემენტებს უკავშირდება, როგორიცაა შრომის ნორმირება და შრომის ანაზღაურება. შრომის ნორმირების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მუშახელის გეგმური მოთხოვნილების განსაზღვრა, შრომის ანაზღაურების

ფონდისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება. ამ მიზნით აგრარულ საწარმოში ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების სხვადასხვა ნორმებს. მათ შორის: სამუშაო დროის ნორმა (რაც საჭიროა ერთეული პროდუქციის წარმოების ან ამა თუ იმ სამუშაო ერთეულის შესასრულებლად), გამომუშავების ნორმა (პროდუქციის, სამუშაოს წარმოების მოცულობა, რომელიც უნდა შესრულდეს ერთი მუშაკის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ერთ საათში, დღეში), მომსახურების ნორმა (ერთი მუშაკის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში პირუტყვის, ტექნიკის ან სხვა ობიექტების მომსახურება) და ა.შ.

აგრარულ საწარმოში შრომის ნორმირება უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ნებისმიერი ნორმა დაფუძნებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და ტექნიკურ დასაბუთებაზე; ნორმა უნდა შეესაბამებოდეს წარმოების კონკრეტულ საწარმოო-ეკონომიკურ პირობებს და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს; ნორმირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები.

ნორმირებისათვის გამოიყენება: ანალიზური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ნორმების დამუშავებას სამუშაო დღის შემადგენელი ელემენტების შესწავლის საფუძველზე; ანალიზურ-ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ნორმების დადგენას უშუალოდ სამუშაო ადგილზე დაკვირვებისა და სხვა გამოკვლევების საფუძველზე. ცალკეული შრომითი პროცესების შესასწავლად გამოიყენება ფოტოგრაფირების, ქრონომეტრაჟის და ფოტოქრონომეტრაჟის ხერხები.

ფოტოგრაფირების (სამუშაო დღის) არსი მდგომარეობს სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის დანახარჯების თანმიმდევრულ დაფიქსირებაში (ხვნა, თესვა, კულტივაცია, მოსავლის აღება, პირუტყვის კვება და სხვა სამუშაო ოპერაციები). ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სამუშაო დროის დანაკარგები და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

ქრონომეტრაჟი ფოტოგრაფირებისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ დროს ხდება შრომის პროცესში შრომის იმ დანახარჯების გაზომვა დროში, რომელიც პერიოდულად მეორდება. ქრონომეტრაჟის დროს შრომის დანახარჯის ნორმა დგინდება არა მთელ შრომით პროცესზე, არამედ მის ცალკეულ ოპერაციებზე.

როგორც სიტყვა გვიჩვენებს, ფოტო-ქრონომეტრაჟი შრომითი პროცესების კომბინირებულ შესწავლას ისახავს მიზნად სამუშაო დღის ფოტოგრაფირების და შრომის პროცესის ცალკეული ელემენტების ქრონომეტრაჟის გზით (აგრარულ საწარმოებში უფრო ხშირად ეს მეთოდი გამოიყენება შრომის ნორმირებისათვის).

შრომის ნორმირებასთან ერთად შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს აგრარულ საწარმოში შრომის ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია წარმოადგენს. შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების თანაფარდობაზე არსებითად არის დამოკიდებული ნებისმიერი საწარმოს, მათ შორის აგრარული საწარმოს ფუნქციონირების საბოლოო ეკონომიკური შედეგი. განასხვავებენ შრომის ანაზღაურების შემდეგ სახეებს:

– ნომინალური შრომის ანაზღაურება. ის ახასიათებს შრომის ანაზღაურების დონეს ფულის ერთეულის ინფლაციის გათვალისწინების გარეშე (ანუ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დინამიკის გათვალისწინების გარეშე) და ითვალისწინებს მხოლოდ მუშაკის განათლებას, კვალიფიკაციას, შრომის სირთულეს და ა.შ.;

– რეალური შრომის ანაზღაურება. ესაა საქონლისა და მომსახურების რაოდენობა, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნეს ნომინალური შრომის ანაზღაურებით. სხვა სიტყვებით, ესაა ნომინალური ხელფასის მსყიდველობითი უნარი (რიგ ქვეყნებში ინფლაციის დროს მიმართავენ შრომის ანაზღაურების ინდექსაციას ანუ მის კორექტირებას საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის გათვალისწინებით, რათა შენარჩუნებულ იქნეს ნომინალური შრომის ანაზღაურების მსყიდველობითი უნარი);

– მინიმალური შრომის ანაზღაურება. დგინდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ და, როგორც წესი, არ უნდა იყოს ოფიციალურად დამტკიცებულ საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

3.7. ძირითადი კაპიტალი და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

აგრარულ წარმოებაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ქვეშ იგულისხმება: შენობები (სამეურნეო და ადმინისტრაციული დანიშნულების, პროდუქციის შესანახი საწყობები, მეცხოველეობის ფერმების შენობები და ა.შ.); ნაგებობები (სარწყავი და დამშრობი ნაგებობანი, სათბურები, ნაკელსაცავები, სასილოსე ორმოები, გზები და ა.შ.); გადამცემი მოწყობილობები (ელექტრო- და წყალგაყვანილობა და სხვ.); მანქანები და სხვადასხვა მოწყობილობა (ტრაქტორები, ელექტროძრავები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, მეცხოველეობის სამექანიზაციო საშუალებები, გამზომი ხელსაწყოები და ა.შ.); სატრანსპორტო საშუალებები (ყველა ტიპის და მოდიფიკაციის ავტომობილები, ელექტროკარები, მისაბმელები და ა.შ.); საწარმოო-სამეურნეო ინვენტარი (სხვადასხვა ავეჯი, ტარა-მასალები, ცისტერნები სხვადასხვა თხევადი და მყარი მასალების შესანახად და სხვ.); პროდუქტიული პირუტყვი (ძროხები, დედა-ღორები, დედა-ცხვრები და ა.შ.); მუშა-პირუტყვი (ხარები, ცხენები და სხვ.); მრავალწლიანი ნარგავები (ვენახები, ხეხილის ბაღები, მინდორსაცავი ნარგავები და სხვ.).

ძირითადი კაპიტალის დამახასიათებელი საერთო თვისებაა ის, რომ იგი ერთზე მეტი საწარმოო ციკლის განმავლობაში ემსახურება პროდუქციის შექმნას, ამ ხნის მანძილზე, ძირითადად, არ იცვლის ნატურალურ (ფიზიკურ) ფორმას და თავისი ღირებულება, ცვეთის კვალობაზე, თანდათან გადაჰქონდეს შექმნილ პროდუქციაზე (გარდა პროდუქტიული და მუშა-პირუტყვისა).

საწარმოო პროცესში მონაწილეობის ხარისხის მიხედვით ძირითადი კაპიტალი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად საწარმოო და არასაწარმოო კაპიტალად ჯგუფდება. პირველს განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები (მეცხოველეობის ფერმები, ყარაულები, პროდუქციის შესანახი საწყობები და ა.შ.), მანქანა-იარაღები, მრავალწლიანი ნარგავები, პროდუქტიული და მუშა-პირუტყვი და სხვ., რომლებიც უშუალოდ მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში, ხოლო მეორეში ერთიანდება ძირითადი საშუალებები, რომლებიც, მართალია, პირდაპირ (უშუალოდ) არ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მაგრამ ქმნის კეთილსაიმედო პირობებს (გარემოს) წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მათ მიეკუთვნება საბინაო-კომუნალური მეურნეობა, განათლების და ჯანდაცვის ორგანიზაციები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კვების ობიექტები, სკოლამდელი დაწესებულებები და ა.შ.

ძირითად კაპიტალში გამოყოფენ აქტიურ და პასიურ ჯგუფებს. როგორც სახელი გვიჩვენებს, პირველს მიაკუთვნებენ მანქანა-იარაღებს, ტრანსპორტს, პროდუქტიულ პირუტყვს, მრავალწლიან ნარგავებს და ა.შ., ხოლო მეორეს – შენობა-ნაგებობებს, სამეურნეო და საწარმოო ინვენტარს და სხვა არააქტიურ ძირითად საშუალებებს.

აქტიური და არააქტიური ძირითადი კაპიტალის თანაფარდობა, აგრეთვე თითოეული სახის ძირითადი კაპიტალის ღირებულების პროცენტული ფარდობა ძირითადი კაპიტალის საერთო ღირებულებასთან იძლევა ძირითადი კაპიტალის სტრუქტურას.

ძირითადი კაპიტალის სტრუქტურაზე გაელენას ახდენს საწარმოთა სპეციალიზაცია, წარმოების ინტენსიფიკაციის დონე, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა პირობები. მაგალითად, საწარმოებს, რომლებიც იყენებენ მორწყვას, ძირითადი კაპიტალის განსხვავებული სტრუქტურა ექნებათ იმ საწარმოებისგან, რომლებსაც სარწყავი არხები და რწყვისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკა საერთოდ არ ესაჭიროებათ. ასე მაგალითად, თუ მეცხოველეობის საწარმოო მიმართულების საწარმოს ძირითადი კაპიტალის სტრუქტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პროდუქტიულ პირუტყვსა და შენობა-ნაგებობებს აქვს, მეფრინველეობა-მეხბოლეობის საწარმოო მიმართულების საწარმოში – მრავალწლიანი ნარგავების ღირებულებას და ა.შ.

განასხვავებენ ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემდეგ სახეებს:

– ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ობიექტის შექმნაზე ან შეძენაზე

გაწეული ხარჯების ჯამს, მისი საექსპლუატაციოდ მომზადების ყველა სხვა ხარჯის ჩათვლით (მაგალითად, შენობის აგება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადასამუშავებლად, გადამმუშავებელი ხაზის შეძენა, ტრანსპორტირება, მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება). თანამედროვე პირობებში ძირითადი კაპიტალის შეძენის ან შექმნის სხვა მრავალი გზაც არსებობს (ადგილზე წარმოება, დამზადება, უსასყიდლოდ გადაცემა და ა.შ.), რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა, ცალკე აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში;

– ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს სხვაობას პირველდაწყებით ღირებულებასა და ამორტიზაციის ანარიცხების დაგროვილ სიდიდეს შორის. იგი კაპიტალის ღირებულების ის ნაწილია, რომელიც ჯერ კიდევ არ გადასულა შექმნილი პროდუქციის ღირებულებაში. მისი საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ ძირითადი კაპიტალის ცვეთის ინტენსივობის ხარისხზე, მის განახლებაზე, კაპიტალურ რემონტზე, მოდერნიზაციაზე და ა.შ.;

– ძირითადი კაპიტალის საბალანსო ღირებულება, ესაა ღირებულება, რომელიც დაფიქსირებულია საწარმოს საბუღალტრო ანგარიშებზე. მისი ის ნაწილი, რომლის მიმართ განხორციელდა გადაფასება, ანგარიშებზე აისახება აღდგენითი ღირებულებით (ანუ თანამედროვე პირობებში კვლავწარმოებისათვის საჭირო ღირებულება), ხოლო სხვა დანარჩენისათვის – პირველდაწყებითი ღირებულებით.

სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება, ანუ ექსპლუატაციის შემდეგ მათი რეალიზაციის შესაძლო ღირებულება.

ძირითადი კაპიტალის დროულ და ობიექტურ გადაფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი კვლავწარმოების ორგანიზაციისათვის.

წარმოების პროცესში ძირითადი კაპიტალი (მიწის რესურსის გამოკლებით) თანდათან ცვდება, კარგავს ღირებულებას და ბოლოს გამოდის ექსპლუატაციიდან. მისი აღდგენა ხორციელდება ამორტიზაციის ფონდის საშუალებით, სადაც თავს იყრის ფულადი სახსრები ძირითადი კაპიტალის საამორტიზაციო ანარიცხების სახით. (ამორტიზაცია – ესაა შექმნილ პროდუქციაზე, ცვეთის შესაბამისად, ძირითადი კაპიტალის ღირებულების თანდათან გადატანის პროცესი).

არსებობს ძირითადი კაპიტალის ცვეთის ორი სახე – ფიზიკური და მორალური. ფიზიკურია ცვეთა, როცა ძირითადი კაპიტალი წარმოების (მუშაობის) პროცესში კარგავს მისთვის დამახასიათებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, ხოლო მორალური ცვეთა შეიძლება განვითარდეს მაშინაც კი, როცა ძირითადი კაპიტალი ფიზიკურად კარგია, მაგრამ მისი შემდგომი ექსპლუატაცია წარმოებისთვის არამიზანშეწონილია ეკონომიკურად, რადგან გამოჩნდა უფრო პროგრესული, რესურსდამზოგავი და უფრო მაღალმწარმოებლური ძირითადი კაპიტალი.

მორალური ცვეთის ინტენსივობის დონე მით მაღალია, რაც უფრო სწრაფად ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ძირითადი კაპიტალის საამორტიზაციო ასაკისა და ამორტიზაციის ნორმის სწორად განსაზღვრის საკითხი.

ძირითადი კაპიტალის საამორტიზაციო ასაკი, ანუ მის ჩამოწერამდე სამსახურის ვადა თანამედროვე პირობებში, საჭიროა განხილულ იქნეს როგორც ეკონომიკურად მისაღები პერიოდი ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულების დასაფარად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მორალური ცვეთის გამო მოსალოდნელი დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, საწარმოსთვის სულ უფრო მომგებიანი ხდება დაფაროს ძირითადი კაპიტალის ღირებულება რაც შეიძლება მოკლე ვადებში, ანუ დაწესდეს საამორტიზაციო ანარიცხების შედარებით მაღალი ნორმები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამორტიზაციის განაკვეთები არსებითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებასა და მოგების სიდიდეზე (მაღალი განაკვეთი ამცირებს, ხოლო დაბალი განაკვეთი ადიდებს მოგების მაჩვენებელს სხვა თანაბარ პირობებში), რაც, ბოლოო ანგარიშით, მოგებიდან ბიუ გადასახადს უკავშირდება. რამდ

საამორტიზაციო ანარიცხის სიდიდე დამოკიდებულია ამორტიზაციის ნორმის გაანგარიშების მეთოდზე. ძირითად კაპიტალზე ამორტიზაციის დარიცხვა ქვეყანაში წინასწარ დადგენილი ერთიანი წესის და ნორმების შესაბამისად ხორციელდება (ის დიფერენცირებულია ძირითადი კაპიტალის გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით).

ამორტიზაციის წლიურ ნორმას საზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$А_{ნ} = (Ф_{ალ} - Ф_{ლ}) : Ф_{სა} \cdot 100,$$

სადაც $А_{ნ}$ – ამორტიზაციის წლიური ნორმაა %-ში; $Ф_{ალ}$ – ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულება; $Ф_{ლ}$ – ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება; $Ф_{სა}$ – ძირითადი კაპიტალის სამსახურის საშუალო ვადა (წლებში).

ცალკეულ შემთხვევებში, როცა საჭიროა რომელიმე პრიორიტეტული საწარმოს (დარგის) სახელმწიფო მხარდაჭერა, ხელისუფლება შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე ნებას რთავს საწარმოს, განახორციელოს ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაცია (ასეთი გამონაკლისები უფრო ხშირად კეთდება წარმოებაში კომპიუტერული ტექნიკის, ახალი მასალების დანერგვისათვის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად). მაგალითად, საწარმოს ეძლევა უფლება ექსპლუატაციის პირველ წელს ჩამოწეროს (მიაკუთვნოს პროდუქციის თვითღირებულებას, ანუ შეამციროს საგადასახადო ბაზა) ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულების 50%, მაშინ როცა ძირითადი კაპიტალის საშუალო სამსახურის ვადა სამი წელია.

დაჩქარებული ამორტიზაციის დროს განაკვეთის სიდიდე შეიძლება 2-3-ჯერაც გაიზარდოს, რითაც საწარმოებს უჩნდება შესაძლებლობა მიიღოს ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შემცირების ხარჯზე.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციიდან გასვლის, მათი განახლების და ცვეთის რეალური მოცულობის დადგენას.

ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციიდან გასვლის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$К_{ა} = (Ф_{1} : Ф_{2}) \cdot 100,$$

სადაც $К_{ა}$ – ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციიდან გასვლის კოეფიციენტია; $Ф_{1}$ – ექსპლუატაციიდან წლის განმავლობაში გასული ძირითადი კაპიტალის ღირებულება; $Ф_{2}$ – წლის დასაწყისში არსებული ძირითადი კაპიტალის ღირებულება.

ძირითად კაპიტალის განახლების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$К_{ან} = (Ф_{ა} : Ф_{წა}) \cdot 100,$$

სადაც $К_{ან}$ – ძირითადი კაპიტალის განახლების კოეფიციენტია; $Ф_{ა}$ – ექსპლუატაციაში ახლად შეყვანილი ძირითადი კაპიტალის ღირებულება; $Ф_{წა}$ – ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის ბოლოსთვის.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ანალიზის ჩატარების დროს საყურადღებოა არა მარტო მიღებული კოეფიციენტების რაოდენობრივი მაჩვენებლები, არამედ სხვაობა ამ კოეფიციენტებს შორის. მაგალითად, ძირითადი კაპიტალის განახლების მაღალი კოეფიციენტის და ექსპლუატაციიდან გასული ძირითადი კაპიტალის დაბალი კოეფიციენტის პირობებში საწარმოში იზრდება ძველი, ასაკოვანი ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, რაც უარყოფითად აისახება წარმოების საბოლოო შედეგებზე.

ძირითადი კაპიტალის ეკონომიკური ანალიზის საგანს შეადგენს ასევე ძირითადი კაპიტალის რეალური ტექნიკური დონის შეფასება, რაც შიდა თუ გარე ბაზარზე კონკურენტი საწარმოების ძირითად კაპიტალთან შედარების გზით ხორციელდება.

3.8. ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება

ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება შეიძლება განხორციელდეს არენდისა და ლიზინგის გზით. არენდა ესაა მფლობელის მიერ ძირითადი კაპიტალით სარგებლობის იურიდიული უფლების სხვა სუბიექტზე – არენდატორზე გადაცემა. გადაცემული ქონების მიმართ მხარეთა დამოკიდებულება განისაზღვრება არენდის ხელშეკრულებით. მასში მითითებულია საარენდო გადასახადის ფორმა და რაოდენობა, მისი გადახდის დრო და პირობები.

ფულადი სახსრების დეფიციტისას არენდატორს შეუძლია არენდის გადასახადის დაფარვა ნატურით ან სხვა სამსახურის გაწევით (ხელშეკრულების მიხედვით).

არენდის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ქონების გამოსყიდვის შესაძლებლობა. ასეთი გამოსყიდვა წარმოადგენს განვადებით გაყიდვის ფორმას.

არენდის მოდიფიკაციის და ინვესტიციური საქმიანობის დაფინანსების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია ქონების ლიზინგი.

ლიზინგი არენდის ერთ-ერთი სახეა, მაგრამ არენდის სხვა სახეებისგან განსხვავებით, სარგებლობაში გადაეცემა არა ის ქონება, რომელიც უკვე იყო არენდატორის განკარგულებაში, არამედ ახალი, სალიზინგო ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შეძენილი ქონება ლიზინგის მიმღებისათვის სარგებლობაში გადასაცემად.

არენდის სხვა სახეებისგან ლიზინგი ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მასში ჩართულია სამი მხარე:

– ლიზინგის მიმცემი ორგანიზაცია – რომელიც ყიდულობს ქონებას თავის საკუთრებაში და სარგებლობაში გადასცემს მას სხვა ორგანიზაციას გარკვეული საარენდო გადასახადის პირობით;

– ლიზინგის მიმღები (არენდატორი) – საწარმო ან მეწარმე, რომელიც დაინტერესებულია ქონების გამოყენებით და შემდგომ მისი შეძენით;

– გამყიდველი, ანუ საწარმო, რომელიც აწარმოებს ქონებას (ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ა.შ.).

რიგ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ფინანსური ლიზინგი ანუ ლიზინგი ქონების გამოსყიდვით. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ძირითადი კაპიტალი პრაქტიკულად სრულად ამორტიზირდება და ლიზინგის მიმცემი ანაზღაურებს მათ ღირებულებას სალიზინგო გადასახადების საშუალებით. ფინანსური ლიზინგის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არენდის დრო, როგორც წესი, ემთხვევა ძირითადი კაპიტალის სამსახურის ვადას.

ლიზინგი ეს ხანგრძლივვადიანი არენდაა – 5-დან 20 წლამდე. მის გარდა, პრაქტიკაში გვხვდება ასევე ჰაირინგი, ანუ საშუალოვადიანი არენდა – 1-დან 5 წლამდე და რენტინგი, ანუ მოკლევადიანი არენდა – ერთ წლამდე. მოკლევადიანი არენდით აღებული ტექნიკის გამოსყიდვის შესაძლებლობა, როგორც წესი, არ გაითვალისწინება. ლიზინგის დახმარებით საწარმოს ეძლევა ეფექტური საშუალება სწრაფად და მინიმალური ინვესტიციური რისკის ფასად განახორციელოს ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის შეცვლა.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. ანალიზის საგანს შეადგენს როგორც წარმოების ძირითადი კაპიტალის უზრუნველყოფისა და აღჭურვის, ასევე მათი გამოყენების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები.

წარმოების კაპიტალუზრუნველყოფას (ფონდუზრუნველყოფას) ანგარიშობენ ძირითადი საწარმოო კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულების შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთელ ფართობთან:

$$Ф_{ჯ} = (Ф_{ჯ} : Ფ_{ს}),$$

სადაც $Ф_{ჯ}$ ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელია; $Ф_{ჯ}$ – ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება ლარებში; $Ф_{ს}$ – სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი ჰა-ში.

შრომის კაპიტალშეიარაღების მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის აღნიშნული ფორმულის მნიშვნელში სავარგულის მაგიერად საჭიროა შევიდეს საწარმოში

(მეურნეობაში) დასაქმებული მუშაკების საშუალო წლიური რიცხოვნობა. ანალოგიურად გაიანგარიშება ენერგოუზრუნველყოფის და ენერგოშეიარაღების, ელექტროუზრუნველყოფის, ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად დღეისათვის მიჩნეულია კაპიტალუკუგებისა და კაპიტალტევადობის მაჩვენებლები. პირველი შეიძლება განისაზღვროს როგორც საერთო პროდუქციის, ასევე საერთო და წმინდა შემოსავლის შეფარდებით ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან:

$$Ფ_უ = (პ_ხ : Ფ_ღ),$$

სადაც $Ფ_უ$ კაპიტალუკუგების მაჩვენებელია; $პ_ხ$ – საერთო პროდუქცია; $Ფ_ღ$ – ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება.

კაპიტალტევადობის მაჩვენებელი კაპიტალუკუგების შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ძირითადი კაპიტალის მოდის წარმოებული საერთო პროდუქციის ერთეულზე. მისი გაანგარიშება შეიძლება საერთო და წმინდა შემოსავლის მიხედვითაც, თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე მაჩვენებელი ხასიათდება ნაკლოვანებით, რადგან გაანგარიშებაში მონაწილეობს მხოლოდ ძირითადი საშუალებები (თესლი, საკვები, ამორტიზაცია, საწვავი და სხვა მატერიალური დანახარჯები გაანგარიშებაში არ მონაწილეობს).

ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დახასიათებისთვის გამოიყენება ასევე კაპიტალის გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება ძირითადი საწარმოო კაპიტალის შეფარდებით მოგების წლიურ ჯამთან. ამაზე მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადია მოგების ნორმის მაჩვენებელი. ის წარმოადგენს მოგების შეფარდებას საწარმოო კაპიტალის (ძირითადი და საბრუნავი) საშუალო წლიურ ღირებულებასთან:

$$მ_ნ = \frac{მ}{Ფ_ჯ + Ფ_ბ},$$

სადაც $მ_ნ$ მოგების ნორმაა; $მ$ – წლიური მოგება; $Ფ_ჯ$ – ძირითადი კაპიტალი; $Ფ_ბ$ – საბრუნავი კაპიტალი.

მაგალითად, თუ მოგების ნორმა შეადგენს 25%-ს, ეს ნიშნავს, რომ 100 ლარის ღირებულების საწარმოო კაპიტალზე საწარმო ღებულობს 25 ლარის მოგებას.

ამავე მიზნით გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოსავალი ფართობისა და მუშახელის ერთეულზე, გამომუშავება ერთ ტრაქტორზე, პირუტყვის პროდუქტიულობა და სხვა ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლები.

3.9. საბრუნავი კაპიტალი და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური და საწარმოო ციკლის უწყვეტობის მიზნით, ძირითად კაპიტალთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა საბრუნავ კაპიტალს გააჩნია. მას მიაკუთვნებენ წარმოებისთვის ისეთ აუცილებელ მარაგებს, როგორიცაა თესლი და სარგავი მასალა, პირუტყვის საკვები, მინერალური სასუქები, საწვავ-საცხები მასალები, მარაგნაწილები, დაუმთავრებელი წარმოება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში და ა.შ. (მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში დაუმთავრებელ წარმოებად ითვლება დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მომავალი წლის მოსაელისთვის. მაგალითად, საშემოდგომო ხორბლის თესლი, მინერალური სასუქი, საინკუბაციო კვერცხი და ა.შ.).

საბრუნავი კაპიტალი, განსხვავებით ძირითადი კაპიტალისაგან, მხოლოდ ერთჯერადად მონაწილეობს წარმოების პროცესში, მთლიანად იცელის ნატურალურ-ნივთობრივ ფორმას (მაგალითად, თესლი, რომელიც მთლიანად მინერალიზდება ნიადაგში ან სასუქი, რომელიც ასევე გარდაიქმნება მცენარის საკვებ ელემენტებად) და თავისი ღირებულება მთლიანად გადააქვს ახლად შექმნილ

პროდუქციაზე.

საბრუნავი კაპიტალი მოიცავს მიმოქცევის საშუალებებსაც, რომლებსაც განეკუთვნება სარეალიზაციოდ გამზადებული საქონელი, ფულადი საშუალებები სალაროსა და ბანკის ანგარიშებზე (რომლებიც გამიზნულია ძირითადად საქონლის მიმოქცევის მომსახურებისთვის).

საბრუნავი კაპიტალი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. ზოგიერთი მათგანი წარმოების პროცესის პირდაპირ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ზოგი კი წარმოების პროცესზე არაპირდაპირ, ანუ ირიბად მოქმედებს. პირველს მიეკუთვნება ისეთი საბრუნავი საშუალებები, როგორიცაა თესლი და სარგავი მასალა, მინერალური სასუქები, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისგან დაცვის ქიმიური საშუალებები, სუქებაზე დაყენებული მოზარდი პირუტყვი და ა.შ., ხოლო მეორე ჯგუფს – ისეთი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი კაპიტალის ფუნქციონირებას და მათ უწყვეტ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნას. ასეთებს განეკუთვნება საწვავ-საცხები მასალები, მარაგნაწილები რემონტისთვის, ინსტრუმენტები და ა.შ.

საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა იცვლება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით. მაგალითად, მარცვლეულის წარმოების მიმართულების საწარმოში შედარებით დიდი ხვედრითი წილი უკავია საწვავს, თესლს, სათადარიგო ნაწილებს, მეცხოველეობის მიმართულების საწარმოებში – პირუტყვის საკვებს, სუქებაზე დაყენებულ პირუტყვს და ა.შ. წლის კონკრეტულ პერიოდში იცვლება საბრუნავი კაპიტალის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პიკურ პერიოდებში მეტია ხარჯები საწვავზე, მარაგნაწილებზე, თესლზე და პირიქით.

საბრუნავი კაპიტალის საწარმოო მარაგისა და დაუმთავრებელი (გარდამავალი) წარმოების სიდიდე დამოკიდებულია საწარმოო ციკლის*) ხანგრძლივობაზე, შესრულებულ სამუშაოთა ხასიათზე და წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე. საბრუნავი ფონდების გამოყენების ციკლური ხასიათი და თავისებურება გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბრუნავი ფონდების მარაგების შექმნის დროს.

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია მათი მინიმალური ოდენობის განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე პიკურ (დაძაბულ) პერიოდში.

საბრუნავი ფონდების მოთხოვნილების გაანგარიშება წარმოებს პროდუქციის ერთეულზე მათი დანახარჯების ნორმატივის მიხედვით. მაგალითად, თესლსა და სარგავ მასალაზე მოთხოვნილება იანგარიშება დასათესი ან დასარგავი ფართობის და ფართობის ერთეულზე თესლისა და სარგავი მასალის ნორმატიული ხარჯის მიხედვით, პირუტყვის საკვებზე კი საშუალოდ ერთ სულზე (ან პროდუქტიულობის მიხედვით) საკვების დანახარჯების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საბრუნავი კაპიტალის ფორმირება ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, საწარმოო ციკლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ადგილზე დიდი ოდენობით და დიდი ხნით საბრუნავი კაპიტალის საწარმოო რეზერვის შენახვა. ამასთან, სეზონურობა, რაც ახასიათებს სოფლის მეურნეობას, განაპირობებს წლის სხვადასხვა პერიოდებში მათ არათანაბარ მოთხოვნას და მიწოდებას. საკმაოდ დიდი ნაწილი საბრუნავი კაპიტალისა ადგილობრივი წარმოებისაა, რაც ხანგრძლივი ვადით მათი შენახვისა და დაცვის აუცილებლობას განაპირობებს.

საბრუნავი კაპიტალის ფორმირებისათვის გამოიყენება როგორც საკუთარი, ისე გარედან მოზიდული საშუალებები, ძირითადად ბანკის მოკლევადიანი კრედიტები.

აგრარულ საწარმოს უზრუნველყოფას მატერიალური საბრუნავი საშუალებებით ახასიათებს მატერიალური უზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც გამოიანგარიშება მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულების შეფარდებით მათ ნორმატიულ მოთხოვნასთან. აღნიშნული კოეფიციენტით შესაძლებელია ეს მაჩვენებელი განისაზღვროს როგორც მთლიანად, ასევე ცალკე თითოეული სახეობის (თესლი,

*) აგრარულ წარმოებაში საწარმოო ციკლი მინიმუმ 4-6 თვეს შეადგენს.

საწყავი, სასუქი და ა.შ.) მიხედვითაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებელი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია ასევე მატერიალური უკუგების მაჩვენებელი, რომელსაც ანგარიშობენ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციისა და საერთო შემოსავლის შეფარდებით საბრუნავი კაპიტალის ღირებულებასთან. მისი შებრუნებული მაჩვენებელი (მატერიალური ტევადობის) გვიჩვენებს ღირებულებაში გამოხატული საბრუნავი კაპიტალის იმ მოცულობას, რომელიც გამოყენებული იყო წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების როგორც ძირითადი, ასევე საბრუნავი კაპიტალის ეფექტურობის განსაზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს რენტაბელობა, ანუ მოგების ნორმა. იგი გვიჩვენებს, თუ რა ოდენობის მოგებას ღებულობს საწარმო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებით. ასე მაგალითად, თუ რენტაბელობის დონე შეადგენს 40%-ს, ეს ნიშნავს, რომ ყოველი 100 ლარის საწარმოო კაპიტალის ღანახარჯზე საწარმო (მეწარმე) იღებს 40 ლარის მოგებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად გზას საბრუნავი კაპიტალის რაციონალური გამოყენების ხარჯზე პროდუქციის მასალატევადობის შემცირება წარმოადგენს. საბრუნავი კაპიტალის მაღალი ხარისხი და დაბალი თვითღირებულება საშუალებას იძლევა საწარმოო პროცესი შესრულდეს შეღარებით ნაკლები ფულად-მატერიალური დანახარჯების პირობებში, რაც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში აისახება.

საბრუნავი კაპიტალის ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მათი დანაკარგების (ბრუნვის პროცესში) მინიმუმამდე, ანუ ბუნებრივი დანაკარგების დონემდე შემცირებაა. ეს უნდა განხორციელდეს მათი შენახვისა და დაცვისთვის ნორმალური პირობების შექმნით. ამავე მიმართულებით დიდ მნიშვნელობას იძენს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებელი (ბრუნვადობის დაჩქარებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ახალი წარმოების ორგანიზების ან ძველის გაფართოებისთვის).

აგრარულ საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის რაციონალური თანაფარდობის განსაზღვრა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძირითადი კაპიტალის მიმართ საბრუნავი კაპიტალის როგორც უმარისობა, ასევე სიჭარბე ნეგატიურად აისახება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგებზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის წლის განმავლობაში თანმიმდევრული წრებრუნვის სამ სტადიას გადის. ესაა ფულადი, საწარმოო და სასაქონლო სტადიები. პირველ სტადიაზე საწარმო იძენს მისთვის საჭირო საბრუნავ კაპიტალს (თესლს, სასუქს და ა.შ.), ანუ ეწევა ფულად ხარჯებს. მეორე სტადიაზე ეს საბრუნავი კაპიტალი ერთვება წარმოებაში, ანუ გადის საწარმოო სტადიას, რომლის დამთავრების შემდეგ საბრუნავი კაპიტალი გარდაიქმნება პროდუქციად. მესამე სტადიაზე საბრუნავი კაპიტალი რეალიზდება და ის კვლავ ღებულობს ფულად ფორმას.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ ძირითადი წარმოების ფაქტორები სოფლის მეურნეობაში. მიეცით მოკლე დახასიათება.
2. რით განსხვავდება მიწა წარმოების სხვა ძირითადი საშუალებებისაგან?
3. რა არის მიწის რენტა? არენდის გადასახადი? მიწის ფასი?
4. განმარტეთ მატერიალური რესურსების ეკონომიკური არსი. მათი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის წარმოებაში.

5. განმარტეთ კაპიტალუზრუნველყოფის, კაპიტალშეიარაღების და კაპიტალუკუგების მაჩვენებლები.
6. ახსენით კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ბუნება და მათი ფინანსური წყაროები.
7. რა განსხვავებაა შრომით რესურსებსა და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის? რას გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი?
8. განმარტეთ ინფრასტრუქტურის ეკონომიკური არსი და დანიშნულება აგრარულ საწარმოში.
9. ჩამოთვალეთ ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის მაჩვენებლები.
10. როგორია წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები?
11. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ აგრარულ წარმოებაში გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახეები.
12. პიპოტეტური მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ აგროსაწარმოში მუშაკთა რიცხოვნობის სტაბილურობის მაჩვენებელი და საჭირო მუშახელის რაოდენობა შრომის ყველაზე დაძაბული პერიოდისათვის.
13. განმარტეთ ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ეკონომიკური არსი. გაიანგარიშეთ ამორტიზაციის ნორმა ხეხილის ბაღისათვის, რომლის საბალანსო ღირებულება 20 ათასი ლარია, ხოლო ექსპლუატაციის ვადა – 25 წელი.
14. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ აგრარულ წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ღონისძიებები.

ტესტი -

1) სოფლის მეურნეობაში წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზანია:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარტივი კვლავწარმოება.
ბ) პროდუქციის წარმოების გადიდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ერთეულზე.
გ) ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაცია.
დ) მოგების გადიდება მოხმარებული წარმოების ფაქტორების ერთეულზე.

2) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწა მიზნობრივად გამოიყენება:

ა) როგორც წარმოების ძირითადი საშუალება პროდუქციის გადიდებისათვის.
ბ) ტყე-პარკებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობისათვის.
გ) აგროტურიზმის განვითარებისათვის.
დ) გზებისა და შენობა-ნაგებობების გაადგილებისათვის.

3) მიწის რენტა არის:

ა) საფასური მიწის ნაკვეთის შეძენისათვის.
ბ) გადასახადი მიწის ნაკვეთით სარგებლობისთვის.
გ) საფასური მიწის გასხვისებისთვის.
დ) გადასახადი მიწაზე მეურნეობრიობისათვის.

4) მიწის ფასი არის:

ა) მიწის შექმნაზე გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯი.
ბ) მასზე შექმნილი პროდუქციის ფულადი ღირებულება.
გ) კაპიტალიზებული რენტა.
დ) საარენდო ქირის გადასახადი.

5) სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ძირითად ფონდებს მიეკუთვნება:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.
ბ) შენობა-ნაგებობები და მანქანა-იარაღები.
გ) მინერალური სასუქები და საწვავ-საცხები მასალები.
დ) წვრილი ინვენტარი და ხელსაწყოები.

6) საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია:

ა) წარმოების რენტაბელობის დონე.
ბ) კაპიტალუკუგება და კაპიტალტევადობა.
გ) პროდუქციის გამოსავალი მიწის ფართობის ერთეულზე.
დ) პროდუქციის წარმოება ერთ პირობით სულ პირუტყვზე.

7) აგრარულ წარმოებაში გამოყენებული შრომის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს:

ა) მეურნეობის სიდიდე.
ბ) სამუშაოთა მექანიზაციის დონე.
გ) მუშახელის რაოდენობა.
დ) არცერთი.

8) მიწის ფასის სიდიდე დამოკიდებულია:

ა) მიწის ნაყოფიერებაზე
ბ) ბაზრის მიმართ მიწის ნაკვეთის სიახლოვეზე
გ) რენტისა და ბანკის სარგებლის პროცენტის სიდიდეზე
დ) მიწის, როგორც წარმოების რესურსის შეზღუდულობაზე

9) შრომის მწარმოებლურობა არის:

ა) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება გამოყენებული წარმოების საშუალებების ღირებულებასთან
ბ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება ძირითადი ფონდების ღირებულებასთან
გ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება მისი წარმოებისათვის დახარჯულ დროსთან
დ) პროდუქციის წარმოების მოცულობა სასოფლო-სამეურნეო საკარგულის ერთეულზე

10) ამორტიზაციის წლიური ნორმის გასაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ:

ა) ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულება
ბ) ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება
გ) ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციის საშუალო ვადა წლებში
დ) ყველა პასუხი სწორია

IV თავი. აგრარული წარმოების გაადგილება. აგრარულ საწარმოთა კოოპერაცია და ინტეგრაცია

4.1. აგრარული საწარმოს რაციონალური გაადგილების ძირითადი პრინციპები

სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების სწორი გაადგილება გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი უზრუნველყოფს დამატებითი წმინდა შემოსავლის მიღებას, რაც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თავისდროული და ხარისხობრივი აღდგენის გარკვეული გარანტია.

წარმოების რაციონალურ გაადგილებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ტექნიკური პროგრესიც, რადგან დარგთა და კულტურათა სწორი გაადგილება ასტიმულირებს მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღებზე, სპეციალურ ტექნიკაზე და სხვა ძირითად და საბრუნავ კაპიტალზე, რითაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიური, კომბინირებული საკვებისა და მრეწველობის სხვა დარგების და ქვედარგების განვითარების მძლავრ იმპულსს იძლევა რეგიონში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაადგილება არა მარტო უზრუნველყოფს მიწის, ფულად-მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, არამედ მინიმუმამდე ამცირებს პროდუქციის არარაციონალური გადაზიდვებით გამოწვეულ დანახარჯებს.

აგრარული წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, დარგთა და კულტურათა გაადგილება სოფლის მეურნეობაში არსებითად განსხვავდება მრეწველობის სხვა დარგების და ქვედარგების გაადგილებისგან.

მრეწველობაში სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანაწილებასთან ერთად ადგილი აქვს ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით (მზა პროდუქციის ცალკეული ნაწილების და დეტალების) შრომის დანაწილებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება მისი ცალკეული დარგებისა და კულტურების ტერიტორიულ-სიერცობრივი განაწილების რთულ პროცესს წარმოადგენს, რომლის შეფასება შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ამა თუ იმ კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოება რეგიონში და თითოეული რეგიონის (რაიონის) წილი საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში.

აგროწარმოების გაადგილების დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ-კლიმატური პირობების ყოველმხრივ შესწავლას და გათვალისწინებას, რადგან კულტურათა მოსავლიანობა, როგორც წესი, მაღალია იქ, სადაც არსებობს კეთილსაიმედო ბუნებრივი პირობები, კლიმატი, ნიადაგი და წყალი. ეს პირობები განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტექნოლოგიას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ტრაქტორების ტიპებს და საბოლოო ანგარიშით, წარმოებული პროდუქციის ერთეულზე შრომითი და მატერიალური დანახარჯების მოცულობას.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებითად განსაზღვრავს აგროკულტურათა სტრუქტურას, პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობას, საწარმოო შენობა-ნაგებობების ტიპს და სხვ.

როცა აგროწარმოების გაადგილების საკითხს ვიხილავთ, უნდა ვიცოდეთ, რომ პირველი და ყველაზე ძირითადი შემზღუდველი ფაქტორი რეგიონის (რაიონის) ბუნებრივ-კლიმატური პირობებია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება იყოს ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებისათვის (დავუშვათ, ყურძენი) საჭირო ყველა ფაქტორი, მაგრამ არ იყოს სათანადო სიმაღლე ზღვის დონიდან, წლიურად საჭირო საშუალო ტემპერატურა და ა.შ. ასეთ პირობებში დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი მევენახეობის განვითარებაზე კურსის აღება ეკონომიკურად არამიზანშეწონილია.

აგროწარმოების გაადგილების დროს მხედველობაშია მისაღები ასევე სამომხმარებლო ბაზრების ადგილმდებარეობა, გადამმუშავებელი საწარმოთა განლაგება, სატრანსპორტო კვანძების (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და ა.შ.) არსებობა და სხვა ის პირობები, რომლებიც

არსებითად განსაზღვრავს არა მარტო აგროწარმოების მიმართულებას (ტრანსპორტაბელური, მალფუჭებადი პროდუქციის წარმოება), არამედ ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების სტაციებზე არსებული დანაკარგების საერთო მოცულობასაც (რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ხარჯების მოცულობას წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე).

მალფუჭებადი და არატრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოების გაადგილება, როგორც წესი, ხდება მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლოს. ხილისა და ბოსტნეულის – საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა გაადგილების ზონაში (თავის მხრივ, შაქრის ქარხნების, სპირტის წარმოების, საკონსერვო და სხვა საწარმოების გადგილებას ერთ-ერთი პრინციპი აგროწარმოებასთან დაახლოებაა).

ამავე პრინციპით გაადგილდება მარცვლეულის ელევატორები, ხილ-ბოსტნეულის საცავები და სასაწყობო მეურნეობები.

ამა თუ იმ რეგიონში კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქმნის უკეთეს შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების რაციონალური გაადგილებისთვის, საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის ღონის ამაღლებისთვის. რაც მთავარია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა იძლევა ბაზარზე პროდუქციის დროული მიტანის საშუალებას, რითაც უზრუნველყოფს დანაკარგების შემცირებას, ხარისხის შენარჩუნებას და პროდუქციის ერთეულზე მეტი მოგების მიღებას.

აგროწარმოების გაადგილების დროს წინასწარ ანგარიშობენ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს და დანახარჯებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$Д_{т} = (Э_{т} + Ф) \cdot Ф_{кд},$$

სადაც $Д_{т}$ სატრანსპორტო დანახარჯია მომხმარებლამდე მიტანილი პროდუქციის ერთეულზე); $Э_{т}$ – სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება; $Ф$ – კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის კოეფიციენტი; $Ф_{кд}$ – ხვედრითი კაპიტალური დაბანდებები პროდუქციის ერთეულზე.

აგროწარმოების გაადგილებაზე მოქმედებს სხვა მრავალი ფაქტორიც, მათ შორის, ქვეყანაში მიღებული ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების პოლიტიკა, შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპები და სხვ.

ეს ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილებას და წარმოების ეფექტიანობის დონეს. არსებობს აგროწარმოების გაადგილების შემზღუდავი ფაქტორებიც. მაგალითად, წყალსაცავების, ნაკრძალების, პარკების და ბუნების დამცავი სხვა ობიექტების სიახლოვე (განსაკუთრებით მსხვილი სამრეწველო დანიშნულების პლანტაციებისათვის, მელიორეობის მსხვილი ფერმებისათვის, მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის, რაც ელინდება წარმოების ცალკეულ საშუალებათა გამოყენების შეზღუდვაში), ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და სხვ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე ადრე მოქმედი შემზღუდავი ცალკეული ფაქტორის როლი თანდათან მცირდება. მაგალითად, ინფრასტრუქტურისა და საერთო ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების კვალობაზე, სატრანსპორტო სისტემის გავლენა თანდათან სუსტდება (ჩნდება ალტერნატიული სატრანსპორტო არხები, თანაბრდება მოსახლეობის შემოსავლიანობის დონე და ა.შ.). უფრო მეტიც, თანდათან სუსტდება წარმოების გაადგილების გავლენა მეურნეობრიობის შედეგებზე (ეს თეზისი მტკიცდება განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების მაგალითზე).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე ამა თუ იმ რეგიონში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიწათსარგებლობის ტიპი და საწარმოთა სიდიდე. მცირე ნაკეთებად დაყოფილი სავარგულები არ იძლევა საშუალებას თანამედროვე მაღალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისთვის, ხოლო მეტად დიდი ზომის საწარმოს ექსპლუატაცია იწვევს ქარისმიერი ეროზიის წარმოშობის და ეკოსისტემის ცოცხალი ორგანიზმების (ბიომრავალფეროვნების) განადგურების საფრთხეს.

4.2. აბრარულ საწარმოთა კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ორიენტრიებული არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე, განვითარების გარკვეულ ეტაპზე გარდუვალად დგებიან სხვადასხვა ფორმის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების დამყარების აუცილებლობის წინაშე. ეს კავშირები შეიძლება იყოს როგორც შიდა სამეურნეო, ისე სამეურნეოთაშორისო. აქედან, პირველი წარმოადგენს კავშირუთიერთობას, რომელიც მყარდება საწარმოს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს (სუბიექტები) შორის, მეორე კი აგრობიზნესის მონაწილეთა შორის წარმოშობილ ისეთ ურთიერთობას, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის, შენახვა-გადამუშავების და რეალიზაციის საკითხებთან. როგორც პირველის, ისე მეორის მიზანი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაა, საწარმოო ფაქტორების უკეთ გამოყენებისა და წარმოების დანახარჯების შემცირების საფუძველზე.

ზოგადად, კოოპერირება ნიშნავს საწარმოო და სამეურნეო კავშირურთიერთობებს სხვადასხვა დარგის საწარმოთა შორის (აგრობიზნესი პირობითად სხვადასხვა დარგებისა და სფეროების საწარმოთა კოოპერირებაა სახელმწიფო მასშტაბით).

რაც შეეხება კოოპერირებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში – ესაა სოფლად საქონელმწარმოებელთა ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანების პროცესი მათი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ინტერესების უფრო სრულად რეალიზების მიზნით. ეს პროცესი გამოხატულებას პოულობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც საწარმოს გაძღოლის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმის – კოოპერატივის, შექმნაში, მისი წევრების საპაიო შენატანების საფუძველზე.

კოოპერირება პრაქტიკულად კონცენტრაციის სიკეთით სარგებლობას გულისხმობს. კერძოდ, ცნობილია, რომ რაც შეუძლებელია (ან ძნელია) ერთეულისათვის, ის შეღარებით ადვილია კოლექტივისათვის. მხედველობაშია ისეთი პრობლემების დარეგულირება, როგორიცაა კრედიტების ხელმისაწვდომობა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ბითუმად შეძენა, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის რეალიზაცია (შენახვა, გადამუშავება), აგრარულ ბაზარზე კონკურენტუნარიანობა და ა.შ. ინტეგრაციის ამ ფორმის მიმზიდველობას აძლიერებს ისიც, რომ საქონელმწარმოებელი სარგებლობს კონცენტრაციის პრაქტიკულად ყველა სიკეთით, მისი სამეურნეო დამოუკიდებლობის სრულად შენარჩუნების პირობებში. აღნიშნულის გამო კოოპერირებას სოფლად თანამედროვე პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია – ესაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და მათი კავშირების სისტემა, რომელიც იქმნება სოფლად საქონელმწარმოებელთა მიერ მათი ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ინტერესების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს – ის საწარმოს გაძღოლის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც იქმნება სოფლად საქონელმწარმოებელთა მიერ საპაიო შენატანების გაერთიანების საფუძველზე, ერთობლივი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად, მათი წევრების მატერიალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იქმნება საქონელმწარმოებელთა მიერ, ანუ იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, რომლებიც ჩაბმული არიან აგრარული პროდუქციის წარმოებაში, საიდანაც მათი შემოსავალი უნდა იყოს მთელი შემოსავლის 50%-ზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნება შემდეგი ძირითადი ფუძემდებლური პრინციპებით:

– კოოპერატივის წევრობის ნებაყოფლობითობა;

– მოგება-ზარალის განაწილება ყველა წევრზე სამეურნეო (ან სხვა) საწარმოო საქმიანობაში პირადი მონაწილეობის გათვალისწინებით;

– სამეურნეო საქმიანობაში იმ პირთა მონაწილეობის შეზღუდვა, რომლებიც არ არიან მოცემული კოოპერატივის წევრები;

– კოოპერატივის მართვა დემოკრატიული პრინციპებით (ერთი ხმა – ერთი

წევრის);

– კოოპერატივის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა ყველა წევრისათვის.

ეს და სხვა პრინციპები გამომუშავდა კოოპერაციული მოძრაობის წარმოშობის გარიჟრაჟზე (ერთნახევარი საუკუნის წინ) და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიო პრაქტიკაში.

სოფლის მეურნეობაში განასხვავებენ საწარმოთა კოოპერირების ორ ფორმას: ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს (აქედან პირველი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე ჩამოყალიბდა, თუმცა, ორივე ფორმა ამა თუ იმ ზომით წარმატებით გამოიყენება როგორც აგროწარმოებაში, ასევე მრეწველობის სხვადასხვა დარგებში).

ჰორიზონტალური კოოპერირების განვითარების ორგანიზაციულ ფორმად გამოდის სამეურნეოთაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა მიმართულების იყოს (საწარმოო, საბინაო, საკრედიტო, სარეწაო, მომარაგების, მარკეტინგული და ა.შ.).

სამეურნეოთაშორისო კოოპერირების ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ შემდეგი ძირითადი პრინციპებით: პირველი და უმთავრესი პრინციპი, ესაა ნებისმიერ კოოპერატივში გაერთიანების ნებაყოფლობა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად; სამეურნეოთაშორისო გაერთიანებაში შესული მეურნე სუბიექტებისა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნება; პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გაღიდება, ხარისხის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება; გაერთიანების თითოეული მონაწილე სუბიექტის მატერიალური დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შეიძლება ფუნქციონირებდეს: მარკეტინგული, საკრედიტო, პროდუქციის შემსყიდველი, სერვისული და პროდუქციის გადამამუშავებელი კოოპერატივები.

მარკეტინგული კოოპერატივის დანიშნულებაა სოფლად საქონელმწარმოებელთა (გლეხურ-ფერმერულ) მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. მათ შეუძლიათ დაამზადონ, შეფუთონ და სარეალიზაციოდ მოამზადონ პროდუქცია და ნედლეული (ასეთი კოოპერატივების ფორმირება განსაკუთრებით ხელსაყრელი და ეკონომიკურად მიზანშეწონილია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე პირობებში, როცა საქონელმწარმოებლები თვითონ ეწევიან ცალ-ცალკე პროდუქციის რეალიზაციას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებას და პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო სხვა საქმიანობას, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მათთვის ფრიად არახელსაყრელია). მარკეტინგულ კოოპერატივს შეუძლია არა მარტო რეალიზაცია გაუკეთოს ნედლეულს, არამედ მიაღწიოს მის გადამუშავებას და მზა პროდუქციის სახით რეალიზაციას, რაც კოოპერატივის ამონაგების მნიშვნელოვნად გაღიდების შესაძლებლობას იძლევა.

პროდუქციის შემსყიდველი კოოპერატივები არა მარტო შეიძენენ საქონელმწარმოებლებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულს, არამედ იძენენ და საქონელმწარმოებლებზე ყიდიან მინერალურ სასუქებს, საწვავს, სხვადასხვა პესტიციდებს, ინვენტარს და ა.შ. მათი მიზანია, უზრუნველყოფენ კოოპერატივის წევრები შედარებით იაფი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (მათ შეუძლიათ საბითუმო ფასებში იყიდონ საჭირო საშუალებები დიდ პარტიებად და მიაღწიონ ფულადი დანახარჯის ეკონომიას საჭირო რესურსის ერთეულზე) და დაუზოგონ მათ დრო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

საკრედიტო კოოპერატივები (კავშირები) ფინანსური კოოპერატივებია, რომლებსაც ფლობენ და აკონტროლებენ წევრები და რომლებიც ფუნქციონირებენ თავისივე წევრებისათვის. საკრედიტო კავშირის მიზანია სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის საჭიროებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი კრედიტის მიცემის საშუალებით ხელი შეუწყოს თავის წევრთა მეურნეობის განვითარებას და გაუადვილოს წევრებს თავისუფალი ფულადი სახსრების დაზოგვა და დაგროვება.

სერვისული კოოპერატივების მიზანია, გაუწიონ კოოპერატივის წევრებს სხვადასხვა მომსახურება, რომელთა მიღება მათ ცალ-ცალკე არ შეუძლიათ. კერძოდ, კრედიტის აღება, ქონების დაზღვევა, ელექტრო და სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა, მორწყვა, დაშრობა და ა.შ. მათვე შეუძლიათ შეითავსონ პროდუქციის გასაღების, მომარაგების, ქიმიზაციის (მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ერთობლივი ჩატარება) და სხვა ფუნქციები.

პროდუქციის გადამმუშავებელი კოოპერატივები, ძირითადად, მოწოდებულია მონაწილეთა მიერ წარმოებული პროდუქციის გადამუშავებაზე. ამ სახის კოოპერატივები უმთავრესად იქმნება მცენარეული ზეთის, რძის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ხილისა და სხვა პროდუქციის გადამუშავების სფეროში.

პროდუქციის გადამმუშავებელი კოოპერატივები საშუალებას იძლევა მომხმარებლის მიერ გაღებული თანხა მოხვდეს საქონელმწარმოებლებთან და არა შუამავალთან, აგენტთან ან სხვა პირთან.

კოოპერატივის გაიდეალება მაინც არ შეიძლება, რადგან განვითარების გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ წარმოების ორგანიზაციის ამ ფორმასაც აქვს არსებითი ხასიათის პრობლემები. კერძოდ, თანამედროვე პირობებში მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად სულ უფრო აუცილებელი ხდება მენეჯმენტის, მარკეტინგის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების და სხვა ღონისძიებათა დანერგვა, რაც, საბოლოო ანგარიშით, წინააღმდეგობაში მოდის სოფლად კოოპერაციის ბუნებასთან. მხედველობაშია ის ფაქტი, რომ თუ ადრე კოოპერატივის დემოკრატიულად მართვისათვის მიღებული იყო ყველა მონაწილის თანაბარი ხმა (ერთ წევრი – ერთი ხმა), კოოპერატივის მასშტაბის ზრდასთან ერთად, ასეთი მიდგომა ხშირად მიუღებელი ხდება მსხვილი საქონელმწარმობლებისათვის (რომლებიც, როგორც წესი, კოოპერატივში უმცირესობას წარმოადგენენ), ამიტომ ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა (მათ შორის საქართველოსიც) ითვალისწინებს ცალკეული წევრებისათვის სამი ხმის უფლების მიცემას. ეს კი გარკვეულად ცვლის კოოპერატივის დანიშნულებას, რადგან ის ორიენტირებული ხდება არა წევრების, არამედ ინვესტორის ინტერესებზე. ასეთ ვითარებას ობიექტურად წარმოშობს პრობლემები კელავწარმოების დაფინანსებაში. თუ მეწარმეობის სხვა ფორმას შეუძლია პრობლემის დარეგულირება აქციების გაყიდვის გზით, კოოპერატივი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მას იოლად ვერ შეელევა, ანუ განვითარების კვალობაზე, კოოპერატივს თანდათან უძნელდება კონკურენცია მსხვილ საწარმოებთან.

პრობლემებია მენეჯმენტშიც. თუ სხვა ფორმის საწარმოებს შეუძლია კვალიფიციური მენეჯერის მოძებნა და საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვა, კოოპერატივის წესდებით მმართველი შერჩეული უნდა იყოს წევრებისაგან, რაც ერთობ რთული საქმეა, იმის გამო, რომ კარგი საქონელმწარმოებელი ყოველთვის ვერ იქნება კარგი მენეჯერი, მით უმეტეს, როცა წარმოებას ემატება პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციის პრობლემები.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. როგორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების ეკონომიკური არსი?
2. ჩამოთვალეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების ძირითადი პრინციპები.
3. რა განმასხვავებელი თავისებურება გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებას (სხვა დარგებისგან განსხვავებით)?
4. რა ეკონომიკური სარგებლის მიღება შეიძლება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაადგილებისა და რაციონალური სპეციალიზაციისგან?
5. განმარტეთ კოოპერირების არსი სოფლის მეურნეობაში და მნიშვნელობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

6. განმარტეთ კოოპერირების ფორმები და კოოპერირების დონის შეფასების კრიტერიუმები.

ტესტი

3) სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე მოქმედი ფაქტორებია:

ა) ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკა
ბ) ეკონომიკური ზრდის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები
გ) რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების სახელმწიფო პოლიტიკა
დ) ყველა პასუხი სწორია

5) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუძემდებლური პრინციპებია:

ა) კოოპერატივის წევრობის ნებაყოფლობითობა
ბ) მოგება-ზარალის განაწილება ყველა წევრზე, საწარმოო საქმიანობაში პირადი წილის გათვალისწინებით
გ) კოოპერატივის მართვა დემოკრატიული პრინციპებით
დ) ყველა პასუხი სწორია

V თავი. მიწათმოქმედების განვითარების ეკონომიკური საკითხები აბრარულ საწარმოში

5.1 აბრარული საწარმოს დაგეგმვის ეკონომიკური არსი, მიზანი და მეთოდები

წარმოების დაგეგმვა, როგორც წარმოების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, საწარმოო პროცესების რაციონალური მართვის ქმედითი მექანიზმი, კონკრეტული მიზნის მიღწევის მეთოდი და საშუალებაა.

კონკურენტულ ეკონომიკაში წარმოების რაციონალური დაგეგმვა გვეკლინება, როგორც წარმოების განვითარების ფაქტორი. საწარმოს მომავალი განვითარება შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ მხოლოდ მიახლოებითი ხარისხით, რადგან მუდმივად ცვლად ეკონომიკურ, ფინანსურ, სამეურნეო-სოციალურ და ინფორმაციულ გარემოში აბსოლუტური სიზუსტით შეუძლებელია განიჭვრიტოს (განისაზღვროს) ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემოს ყველა ელემენტის მოძრაობა (დინამიკა).

ზოგადად, მართვის საბაზრო კონცეფცია გულისხმობს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის პროცესში მათი განვითარებისთვის საჭირო საწარმოო-ეკონომიკური პრობლემების საბაზრო მექანიზმებით რეგულირების შესაძლებლობას. კონცეფციის ძირითადი საყრდენი სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიული დაგეგმვაა, რომელიც შრომით პოტენციალზე დაყრდნობით ორიენტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. იგი უზრუნველყოფს სამეურნეო სუბიექტის შესაბამის რეაქციას საწარმოო, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს ნებისმიერ ცვლილებაზე და იძლევა საშუალებას გრძელვადიან პერსპექტივაში დასახული მიზნების რეალიზაციისათვის.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აგრარულ საწარმოთა დაგეგმვა საბაზრო პირობებში წარმოადგენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, იმის თაობაზე, თუ როდის, რა გზებით და საშუალებებით უნდა იქნეს მიღწეული მიზანი.

საწარმოს დაგეგმვის პროცესი მომავალში მოქმედებათა ალტერნატიულ ვარიანტებს შორის უკეთესის არჩევის პროცესია. ის წარმოადგენს მუდმივად ცვლად გარემოში მოქმედებათა სხვადასხვა ვარიანტების შედარებითი შეფასების და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადების პროცესს.

რამდენადაც აგრარულ საწარმოთა ფუნქციონირება ყოველთვის დაკავშირებულია წარმოების სხვადასხვა რესურსის გამოყენებასთან, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს გეგმა – ესაა საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენების ერთი რომელიმე ვარიანტი.

საწარმოს დაგეგმვის ძირითადი მიზანია წარმოების ფაქტორების გამოყენების ოპტიმიზაცია და მათი რაციონალური მოხმარების (გამოყენების) ხარჯზე მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღება.

საწარმოთა დაგეგმვა გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება, რომელთა შორის ძირითადად გამოყოფენ: კომპლექსურობას, უწყვეტობას, ადეკვატურობას, მიზანმიმართულობას, პრიორიტეტულობას, პროპორციულობას, ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპების შეთანაწყობას და ა.შ. აქედან რამდენიმე პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რაც მათ ერთდროულ გათვალისწინებას გულისხმობს დაგეგმვის პროცესში. მაგალითად, პრიორიტეტულობისა და კომპლექსურობის პრინციპები, რომლებიც გულისხმობს დასაგეგმი ობიექტის ყოველმხრივ განხილვას სხვა მოვლენებთან და პროცესებთან კავშირში (ანუ, როცა რომელიმე დარგის პრიორიტეტს განვსაზღვრავთ, საჭიროა იმავდროულად სხვა, მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებაც).

დაგეგმვის უწყვეტობის პრინციპის მიხედვით საჭიროა პროგნოზებისა და გეგმების დამუშავება დროის სხვადასხვა მონაკვეთისათვის და მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ასე მაგალითად, მოკლევადიანი გეგმა უნდა გამომდინარეობდეს, როგორც წესი, გრძელვადიანი პერიოდისათვის შემუშავებული გეგმიდან. ეს უკანასკნელი კი უნდა განიცდიდეს კორექტირებას მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის, საბაზრო კონიუნქტურისა

და სხვა რეალური ცვლილებების გათვალისწინებით.

გეგმის მიზანმიმართულობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ ნებისმიერ გეგმას ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი ანუ მიმართული (ორიენტირებული) იყოს დროსა და სივრცეში განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. ამ პრინციპს ეხმიანება დაგეგმვის ორიენტაციის პრინციპიც, რაც გულისხმობს გეგმის ორიენტაციას სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, წარმოების განვითარებაზე და ა.შ.

ადეკვატურობის პრინციპის მიხედვით დაგეგმვის პროცესი არ უნდა დაშორდეს არსებულ რეალურ გარემოს, პირიქით, გეგმა უნდა ასახავდეს წარმოებაში არსებულ ობიექტურ სურათს, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული გეგმური გაანგარიშებების შედეგები. დაბალანსებისა და პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით მიიღწევა სასურველი პროპორციების დაღწევა და მათი დაბალანსებული ურთიერთკავშირი.

დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – დარგობრივი და ტერიტორიული ასპექტების შეთანაწყობის მიხედვით დარგობრივი განვითარების გეგმები უნდა დამუშავდეს მოცემული კონკრეტული ტერიტორიის ინტერესების, აღგილზე არსებული წარმოების რესურსების რაციონალური გამოყენების ინტერესების გათვალისწინებით. ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებისათვის.

დაგეგმვის პრაქტიკაში მრავალი მეთოდი გამოიყენება. მათ შორისაა პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი, რომელიც დაყრდნობულია საწარმოს ფუნქციონირების რეალური მიზნის არჩევასა და მისი რეალიზაციისათვის სხვადასხვა ვარიანტის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დამუშავებაზე. ამ მეთოდის გამოყენება გულისხმობს სხვადასხვა მიზნების (მეცნიერულ-ტექნიკური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ.) ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ კავშირსა და თანაყარდობაშია.

საანგარიშო კონსტრუქციული მეთოდი გულისხმობს გეგმური მაჩვენებლების დადგენას სათანადო გაანგარიშებების საყრდენზე, რომელიც დაყრდნობულია საგეგმო სისტემის არსებულ ინფორმაციაზე. მაგალითად, მიწათმოქმედებაში ტექნოლოგიური რუკების შედგენა, როცა საგეგმო მაჩვენებლებს განსაზღვრავენ არსებული მატერიალური, შრომითი და სხვა რესურსებიდან გამომდინარე, კონკრეტული საწარმოს პირობების გათვალისწინებით ანუ როცა ხდება საგეგმო ობიექტის მომავლის პროეცირება მისი შემადგენელი ნაწილების და მოცულობის (სიდიდის) მიხედვით (სამუშაოს მოცულობა, რესურსის დანახარჯი ჰექტარზე, მოსავლიანობა და ა.შ.).

დაგეგმვის საბალანსო მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა საგეგმო მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება შემოსავლებისა და გასაელების შედარების საყუძველზე. ეს მეთოდი პრაქტიკულად გამოსახავს ტოლობას საგეგმო წლის დასაწყისში არსებულ და დამატებით შემოსულ რესურსსა და წლის განმავლობაში მოხმარებულ და საგეგმო წლის ბოლოსათვის დარჩენილ რესურსს შორის. ის შეიძლება სქემატურად ასე წარმოვიდგინოთ: ნაშთი წლის დასაწყისისათვის პლუს შემოსავალი უდრის წლის განმავლობაში მოხმარებულ რესურსს დამატებული წლის ბოლოს დარჩენილი ნაშთი (ეკონომიკური ბალანსები, თავის მხრივ, იყოფა მატერიალურ, ღირებულებით და შრომით ბალანსებად).

საბალანსო მეთოდის აუცილებელი ნაწილია დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი. ეს მეთოდი გამოხატაეს დაგეგმვის პროპორციულობისა და ოპტიმალურობის პრინციპს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გეგმური მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების მიხედვით. მათ შორის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები (საწვავი, თესლი, სასუქი და სხვ.), შრომის დანახარჯები (გამომუშავების ნორმა, შრომის ანაზღაურების განაკვეთები და სხვ.) და ტექნოლოგიური ნორმები (ბუნებრივი დანაკარგის ნორმა, საკვებში პროტეინის შემცველობა და სხვ.). რაც შეეხება ნორმატივებს – ეს ეკონომიკური გათვლებისათვის საჭირო წინასწარ რეგლამენტირებული სიდიდეებია (მაგალითად, ამორტიზაციის ანარიცხების ნორმატივი, საგადასახადო განაკვეთები და ა.შ.). უმეტეს შემთხვევებში ნორმატივები დგინდება სახელმწიფო ორგანოების მიერ.

დაგეგმვის მეთოდებიდან გამოსაყოფია ეკონომიკური მოდელირების მეთოდი, რომლის არსი საგეგმო პროცესის ისეთი ანალოგის შექმნაა, რომელშიც ასახულია დაგეგმვის ყველა ძირითადი მიზანი. ჩვეულებრივ, ასეთი მოდელი წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის, მოვლენის (ობიექტის) ფორმალურ აღწერას მათემატიკური დამოკიდებულებისა და თანაფარდობის სახით.

მისი გამოყენების ძირითადი ამოცანაა:

– საწარმოს ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ერთდროულად მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებაზეც და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზეც;

– საწარმოო ფაქტორებზე მოთხოვნილების ოპტიმიზაცია, საწარმოს ქვედანაყოფებისათვის თითოეული კონკრეტული პერიოდისათვის (თვე, კვარტალი, წელი) საწარმოო დავალების შემუშავება და მათ შესასრულებლად სათანადო რესურსების უზრუნველყოფა და ა.შ.

რამდენიმე სიტყვით ინდიკატური დაგეგმვის შესახებ. ის გულისხმობს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პარამეტრების დამუშავებას, არა როგორც აუცილებელი და დირექტიული შესრულებისათვის, არამედ როგორც ინდიკატორები და ორიენტირები განვითარებისათვის. ინდიკატური დაგეგმვის მიზანია განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა, მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და რეკომენდაცია ხელისუფლებისათვის. ინდიკატური დაგეგმვა განიხილება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მოკლე და საშუალოვადიანი გეგმების დამუშავებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაგეგმვის სისტემა გეგმის ხანგრძლივობისა და საგეგმო მაჩვენებლების დეტალიზაციის ხარისხის მიხედვით მოიცავს გრძელ, საშუალო და მიმდინარე – მოკლევადიან დაგეგმვას. პერსპექტიული დაგეგმვა მოიცავს 5-დან 20 წლამდე პერიოდს. ასეთი გეგმები მოწოდებულია საწარმოს გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრისათვის საწარმოს ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ჩათვლით.

პერსპექტიული დაგეგმვის ერთ-ერთ ეტაპს გრძელვადიანი პროგნოზირება წარმოადგენს. ის საშუალებას იძლევა გამოვაელინოთ განვითარების ალტერნატიული ვარიანტები და შევაფასოთ არსებული შესაძლებლობები და დავასაბუთოთ უყურო მისაღები ვარიანტის არჩევა. სამეურნეო სუბიექტის დონეზე პერსპექტიული გეგმების შედგენის დროს შესაძლებელია განისაზღვროს ფასები, სამუშაო ძალის ღირებულება, მოგებისა და რენტაბელობის დონე, მოსალოდნელი რისკები ბაზარზე და ა.შ.

საშუალოვადიანი დაგეგმვა ხორციელდება ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში, ხოლო მიმდინარე დაგეგმვა მოიცავს პერიოდს ერთ წლამდე. მასში მოიაზრება ნახევარწლიური, კვარტალური, თეიური, დეკადური და დღიური კალენდარული გეგმები.

საგეგმო გადაწყვეტილებების შინაარსის მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული დაგეგმვის სახეებს. პირველი, როგორც წესი, ორიენტირებულია გრძელვადიან პერიოდზე. მისი მთავარი მიზანია იმ მეთოდებისა და საშუალებების გამონახვა, რომელიც საშუალებას მისცემს საწარმოს განვითარდეს სწრაფად ცვლად კონკურენტულ გარემოში, განუსაზღვრელობისა და რისკის პირობებში.

ტაქტიკური დაგეგმვა მიმართულია ახლო პერსპექტივაში საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული გეგმების დამუშავებაზე. მისი საფუძველია საწარმოში გამოყენებული საშუალებებისა და რეზერვების გამოვლენა და მათი ამოქმედება წარმოების გაფართოებისა და შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად. მისი ობიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა მიმართულება, მაგრამ უმჯობესია მათგან მხოლოდ ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოების დაგეგმვა.

ტაქტიკური დაგეგმვის ერთ-ერთი სახეა ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვა. მისი მთავარი მიზანი ტაქტიკური დაგეგმვის მაჩვენებელთა კონკრეტიზაციაა საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების ყოველდღიური რიტმული მუშაობისთვის.

5.2. მიწათმოქმედება, როგორც აბრარული წარმოების ძირითადი დარგი

წარმოებული პროდუქციის სახეების, გამოყენებული წარმოების ფაქტორების, ტექნოლოგიებისა და მუშაკთა პროფესიონალური შემადგენლობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ორ ძირითად დარგად – მიწათმოქმედებად და მეცხოველეობად ჰყოფენ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირველი ძირითადი დარგი, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, მიწათმოქმედებაა. მისი მთავარი ამოცანა მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების გადიდება და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფაა. ამ ამოცანის შესრულებას დარგი ძირითადად აქ კულტივირებული ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საშუალებით (ფოტოსინთეზის გზით) ახერხებს (მცენარე დედამიწაზე ორგანული ნივთიერების წარმოქმნის პირველადი წყაროა, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ადამიანი და ცხოველი). დღეისათვის დედამიწაზე არსებული დაახლოებით 500 ათასი მცენარეული სახეობიდან ადამიანის მიერ ამა თუ იმ ზომით 23 ათასამდე სახეობაა შესწავლილი. მათ შორის კულტურულ ლანდშაფტებში 6 ათასამდე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მხოლოდ 120-მდე სახეობაა გამოყენებული.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქტების მოცულობა და ხარისხი მიწათმოქმედების განვითარების დონით და მდგომარეობით განისაზღვრება. ანუ, რაც უფრო განვითარებულია აგრარული წარმოების ეს დარგი, მით მაღალია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დონე და საკუთარი წარმოების სურსათით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი საყრდენი დარგი მიწათმოქმედებაა, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებისა და ამ კუთხით სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხს.

თავის მხრივ, მიწათმოქმედება რამდენიმე ძირითად ქვედარგად (მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა და ა.შ.) იყოფა, საიდანაც ადამიანი იღებს საჭირო კვების პროდუქტებს, აგრეთვე ნედლეულს, ძირითადად, კვების, მსუბუქი და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოებისთვის.

მთლიანობაში მიწათმოქმედება წარმოადგენს საწარმოო ბაზას მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის (მესაქონლეობა, მედორეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) განვითარებისთვის, რამდენადაც აქ იწარმოება პირუტყვისა და ფრინველისათვის საჭირო კონცენტრირებული საკვები მარცვლეულის სახით, ასევე უხეში, მწვანე და წენიანი საკვები.

მიწათმოქმედების ყველა ქვედარგის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც დაკავშირებულია მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიასთან, შენახვის უნართან, პროდუქციის გამოყენების ხასიათთან და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, თითოეული მათგანის გააღგილებას, მასშტაბს, მიმართულებას და სხვა მახასიათებლებს განსაზღვრავს ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა არსებობა და სხვა პირობები.

საერთოდ, მიღებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ერთგვაროვანი ნიშნებით შემდეგი დაჯგუფება: ა) ერთწლიანი კულტურები; ბ) მრავალწლიანი კულტურები. პირველში ერთიანდება მარცვლოვანი კულტურები (ხორბალი, სიმინდი, ქერი და ა.შ.), ზეთოვანი კულტურები (მზესუმზირა, სოია და სხვ.), ბოსტნეულ-ბაღჩეული (კიტრი, პომიდორი, ნესვი, საზამთრო და სხვ.), ეთერზეთოვანი კულტურები, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვა ერთწლიანი კულტურები, ხოლო მეორეში – ხილ-კენკროვანი კულტურები (თესლოვანი და კურკოვანი, სხვადასხვა კენკროვნები), ვენახი, ჩაი და სუბტროპიკული კულტურები (მანდარინი, ლიმონი და ა.შ.).

მრავალწლიანი კულტურებიდან ცალკე გამოყოფენ ტექნიკური დანიშნულების ისეთ კულტურებს, როგორიცაა ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და სხვ.

მიღებულია ასევე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უფრო მსხვილ ჯგუფებად დაყოფაც. კერძოდ: მარცვლეული,

ზეთოვანი კულტურები, ბოსტნეული და კარტოფილი, ხილი და კენკრა, ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები ხასიათდება წარმოების განსხვავებული ორგანიზაციით, რაც, საბოლოო ანგარიშით, არც თუ იშვიათად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, წარმოების მასშტაბს და მიმართულებას. ასე მაგალითად, მიღებულია, რომ სათოხნი კულტურების (შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული და ა.შ.) წარმოება ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილია მცირე ზომის ფერმერულ საწარმოებში, მაშინ როცა მარცვლეულის წარმოება პირიქით, უფრო მსხვილ საწარმოებშია ეფექტიანი. ასეთ მიდგომას ამ კულტურათა შრომატევადობა განსაზღვრავს, რაც, თავის მხრივ, წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას უკავშირდება. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ხორბლის წარმოება (რომელიც პრაქტიკულად სრულად მექანიზებულია) უფრო მაღალეფექტიანია დიდ ფართობებზე, ვიდრე კარტოფილისა ან ბოსტნეულის, რომელთა მექანიზაციის დონე ბევრად უფრო დაბალია მარცვლეულთან შედარებით.

მიწათმოქმედებაში გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დიდი სიმრავლე და მათი მოვლა-მოყვანის ბიოლოგიური თავისებურებანი არსებითად განსაზღვრავს ამ დარგის სპეციფიკას როგორც წარმოების ფაქტორების მრავალფეროვნების, ისე მათი გამოყენების თვალსაზრისით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ბიოლოგიური, ისე წარმოების ეკონომიკურ-ორგანიზაციული ნიშნებით. მიუხედავად ამისა, მათი წარმოების წესს და მიზანს ყოველთვის საზოგადოების მოთხოვნები განსაზღვრავს. აღნიშნულის დადასტურებაა უკანასკნელ წლებში ამერიკისა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (ასევე საქართველოში) დაწყებული მოძრაობა ალტერნატიული მიწათმოქმედების განვითარებისათვის (ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის).

ალტერნატიული მიწათმოქმედება, რომლის ობიექტური აუცილებლობა გარემოს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობითაა ნაკარნახები, გამოირჩევა მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური საშუალებების, მინერალური სასუქების, მედიკამენტების და სხვა ქიმიური წარმოშობის მასალების გამოყენების სრული აღკვეთით ან მნიშვნელოვანი შეზღუდვით. აღნიშნული კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მიწათმოქმედების დარგების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე, ასევე ალტერნატიული წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე. ყველა შემთხვევაში, ხდება ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების ინტეგრირება, რომლის უგულებელყოფას, შესაძლოა, მძიმე ეკონომიკური შედეგები მოჰყვეს.

მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში განსაკუთრებულ როლს მეცნიერულად დასაბუთებული მიწათმოქმედების სისტემები ასრულებს, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ-ორგანიზაციულ და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსს. მათი მიზანია მიწის რესურსების დაცვა და ნაყოფიერების ამაღლება. განსაკუთრებული როლი აკისრია ნიადაგის დამუშავების და განოყიერების, მცენარეთა დაავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო სისტემას და მიწის მელიორაციას (ქიმიური მელიორაციის ჩათვლით).

მიწათმოქმედების სისტემების განვითარების ხანგრძლივი ისტორია მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული სისტემები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ინტენსიურობის დონეს უნდა ესადაგებოდეს, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, როგორც მიწის გამოყენების რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებში, ასევე მიწის ეკონომიკური და ბუნებრივი ნაყოფიერების კვლავწარმოებაში. ასე მაგალითად, თუ განვითარების ადრეულ სტადიებზე ჭარბობდა მიწის ნაყოფიერების აღდგენის ბუნებრივი პროცესები, ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში გადამწყვეტი ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები გახდა.

თანამედროვე მიწათმოქმედების სისტემები დაფუძნებულია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევებზე და, როგორც წესი, ორიენტირებულია მიწის ნაყოფიერების ამაღლებაზე, გამოყენებული მიწის ფართობის ერთეულზე მეტი პროდუქციის მიღებაზე ფულად-მატერიალური დანახარჯების შემცირების პირო-

ბებში და გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამავე მიზნებს ემსახურება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია ისეთ აქტუალურ მიმართულებებზე, როგორიცაა მიწის კადასტრი, მეცნიერების განვითარება, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიის და გაუღაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ქარსაფარი ზოლების გაშენება და სხვ.

მიწის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება არის მნიშვნელოვანი გარანტი ინტეგრირებული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიზნების შესრულებისა, ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის საჭირო დონეზე შენარჩუნების პირობებში.

53. წარმოების ფაქტორების ოპტიმიზაციის ძირითადი ეკონომიკური საკითხები მიწათმოქმედებაში

მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგში მიმდინარე საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესები განსხვავდება მრავალფეროვნებით და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისადმი სპეციფიკური მოთხოვნებით, რაც გათვალისწინებულ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, შრომითი და სხვა რესურსების განაწილებისა და გამოყენების რაციონალური ორგანიზაციის ფორმების შერჩევისას. კერძოდ, მიწათმოქმედების დარგები ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

– ფაროობის ერთეულზე იხარჯება ცოცხალი და განივთებული შრომის სხვადასხვა რაოდენობა კულტურის ვეგეტაციის მიმდინარეობის სხვადასხვა პერიოდებში;

– შესასრულებელი აგროტექნიკური სამუშაოები და ტექნოლოგიური ოპერაციების აბსოლუტური უმრავლესობა წინასწარ განსაზღვრული აგროვადებითაა ლიმიტირებული, ანუ სამუშაო თუ ტექნოლოგიური ოპერაცია შესრულებული უნდა იქნეს თვის, სეზონის თუ წლის მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთში;

– საწარმოო პროცესების ხანგრძლივობა დროში დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებზე, რაც ხშირად განსაზღვრავს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების ოპტიმალურ ვადებს;

– მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებში ჩასატარებელი აგროტექნიკური სამუშაოები და ტექნოლოგიური ოპერაციები არსებითად განსხვავდება მექანიზაციის დონით და, აქედან გამომდინარე, ტექნიკური და ცოცხალი შრომის დანახარჯების თანაფარდობით ყართობის ერთეულზე;

– მიწათმოქმედების დარგებში გამოყენება სპეციფიკური მანქანა-იარაღები, რომელთა დატვირთვა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაოებზე და ისიც ხანმოკლე ვადებში.

ჩამოთვლილი და სხვა თავისებურებანი გვაიძულებს, წარმოების ფაქტორების გამოყენების ოპტიმალური ვარიანტი შეირჩეს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ანუ უნდა მოინახოს ისეთი ოპტიმალური საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა შეზღუდული წარმოების რესურსის გამოყენების მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ მხრივ ერთ-ერთ ამოცანას წარმოებაში შრომის ორგანიზაციის საკითხების დარეგულირება და არსებული შრომითი რესურსების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება წარმოადგენს (თითოეული მუშაკის ფიზიკური, პროფესიონალური და ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გათვალისწინებით). შედარებით სრულად ამ პრობლემას წყვეტს დაგეგმვის კომპლექსური მეთოდები, რომლებიც საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაზეა დაფუძნებული.

თუ შემოვიფარგლებით მარტო შრომითი და ტექნიკური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციით (ვთქვათ, მინდვრის სამუშაოთა ჩატარების დროს), მაშინ საკმარისი იქნება შრომითი რესურსის (მხედველობაშია ძირითადად მექანიზატორთა კადრები) რაოდენობისა და ტექნიკური პოტენციალის ოპტიმალური შეთანაწყობა. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა

მოითხოვს დადგინდეს კავშირი შრომითი და ტექნიკური რესურსების გადიდებას, საწარმოო პროგრამის შესრულებიდან მიღებული საეროო მარგინალურ შემოსავალსა და მინდვრის სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული ყოველწლიური დანახარჯების ჯამს შორის.

წარმოების ეკონომიკური თეორიის თანახმად, საწარმოს შრომითი და ტექნიკური რესურსების ოპტიმალური თანაფარდობა მიიღწევა მაშინ, როცა ზღვრული დანახარჯები და ზღვრული მოგება (რომელიც მიიღება დამატებითი შრომითი და ტექნიკური საშუალებების წარმოებაში ჩართვით) თანაბარი იქნება.

მინდვრის სამუშაოებში შრომისა და ტექნიკური რესურსების მოცულობის გაანგარიშების დროს გასათვალისწინებელია გარკვეული რისკი, რაც ამინდის პირობების უეცარ გაუარესებასთანაა დაკავშირებული.

შრომით რესურსებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ასევე მინერალური და ორგანული სასუქების შეძენის, შენახვისა და ნიადაგში შეტანის ოპტიმიზაციის საკითხები. ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ამა თუ იმ მინერალური და ორგანული სასუქის სახის და მისი ოპტიმალური დოზის შერჩევა, მინერალური და ორგანული სასუქების სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის ოპტიმალური განაწილება, ნიადაგში მათი შეტანის ოპტიმალური ვადის განსაზღვრა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის აბსოლუტური სიდიდე დამოკიდებულია სასუქების (როგორც მინერალურის, ისე ორგანულის) გამოყენების ზღვრული სარგებლიანობის პრინციპზე. კერძოდ, გარკვეული ზღვრის შემდეგ სასუქის მატება იწვევს ფართობის ერთეულზე მოსავლის შემცირებას. ზღვრული სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად, სასუქის ოპტიმალური დოზა უნდა განისაზღვროს სასუქის ერთეულის ფასის (ღირებულების) და ნიადაგში მისი შეტანით მიღებული მოსავლის ნამატის ღირებულების ურთიერთშეფარდებით. ოპტიმალური ვარიანტი მიღწეულია მაშინ, როცა მოსავლის ნამატის ფულადი ღირებულება გაუთანაბრდება ამ ნამატის გამომწვევი სასუქის ღირებულებას (წყალსაცავებთან გაადგილებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში სასუქის ოპტიმალური დოზის გაანგარიშებისას, გარდა ეკონომიკური კრიტერიუმისა, გასათვალისწინებელია ეკოლოგიური ხასიათის შეზღუდვებიც).

ანალოგიური მიდგომით, ანუ ზღვრული სარგებლიანობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით, უნდა განაწილდეს მინერალური და ორგანული სასუქები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შორის.

მიწათმოქმედებაში გამოყენებულ წარმოების რესურსებს შორის გამორჩეული ადგილი მცენარეთა მავნებელ-დაავადებათაგან დაცვის ქიმიურ საშუალებებს მიეკუთვნება. მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

– ქიმიური საშუალებების (შხამ-მასალები, პესტიციდები და სხვ.) ოპტიმალური დოზის, ანუ მცენარის ქიმიური დამუშაების ინტენსიურობის განსაზღვრას;

– დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებისა და ტექნოლოგიის შერჩევას;

– ღონისძიების ჩატარების ოპტიმალური ვადების დადგენას.

ყველა შემთხვევაში საჭიროა განისაზღვროს და შედარდეს ერთმანეთთან თითოეული ღონისძიების ჩატარებაზე გაწეული ხარჯები და მისგან მიღებული ეფექტის რაოდენობრივი მაჩვენებლები, ანუ მოსავლიანობა, მოსავლის ალებასა და მის შემდგომ დამუშავებაზე საგარაუდო დანახარჯების ეკონომია, პროდუქციის ხარისხის შესაძლო გაუმჯობესება და სხვა თანმდევი ეფექტიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ბიოლოგიური, მექანიკური და ქიმიური მეთოდების შედარება და ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მისაღები ვარიანტის შერჩევა ზღვრული სარგებლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

5.4. მიწათმოქმედების დარგების შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა

მიწათმოქმედების ცალკეული დარგები და სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ისევე როგორც პირუტყვისა და ფრინველის სახეობები), წარმოების ტექნოლოგიები და სხვადასხვა სახის კონკრეტული საწარმოო-ეკონომიკური ღონისძიებები ერთმანეთთან კონკურენტულ ურთიერთობაშია. აღნიშნულს წარმოების ფაქტორების მკაცრი შეზღუდულობა განაპირობებს. სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ან ცალკეული დასანერგი ღონისძიების (ეკონომიკური, აგროტექნიკური, ზოოვეტერინარული და ა.შ.) კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს წარმოების საბოლოო შედეგს.

კონკურენტუნარიანობა და მიწათმოქმედების დარგების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება დანახარჯებისა და მიღებული შედეგების შეფარდებით, რომელთა დონე უშუალოდ არის დამოკიდებული ცალკეული კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაზე. ამიტომ აუცილებელია შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა დადგინდეს წარმოების ტექნოლოგიის თითოეული ტიპის მიხედვით, ანუ საჭიროა შესაბამისი დანახარჯების და შედეგების აღრიცხვა და დაპირისპირება. დანახარჯებში იგულისხმება ცვლადი დანახარჯები და დანახარჯები ძირითად წარმოების ფაქტორებზე (კაპიტალსა და წარმოებაში მომუშავე დაქირავებულ მუშახელზე).

რაც შეეხება წარმოების შედეგებს, ის უნდა განვიხილოთ როგორც ძირითადი, ისე თანმდევი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები, აგრეთვე არასასაქონლო პროდუქცია, რომელიც განკუთვნილი იყო შიდასამეურნეო მოხმარებისათვის (როგორც წარმოების საშუალება სხვა დარგებისათვის).

საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური ანალიზის თეორიის მიხედვით,ზღვრული სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად საწარმოს მარგინალური შემოსავალია მიჩნეული. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და პირდაპირ ცვლად დანახარჯებს შორის. იგი გამოიყენება საწარმოს საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრის დროს როგორც ძირითადი კრიტერიუმი ცალკეული დარგებისა და ტექნოლოგიების არჩევისა და შედარებისთვის. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა განსაკუთრებით ვლინდება მოკლევადიან საგეგმო გაანგარიშებებში, როცა საჭირო ხდება ისეთი საწარმოო პროგრამის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს უფრო მეტ შემოსავალს საწარმოს მუდმივი დანახარჯების დასაფარად (სრული თვითღირებულებისა და მოგების მაჩვენებელთა გაანგარიშება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია ამა თუ იმ პროდუქციაზე მისაღები სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა ან ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების დაგეგმვა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში).

მარგინალური შემოსავლის მაჩვენებლის გაანგარიშებასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს ჩანაცვლებული, ანუ ალტერნატიული ხარჯების სუსტი აღრიცხვა და გათვალისწინება. მათი მხედველობაში მიღება საშუალებას იძლევა შერჩეულ იქნეს შეზღუდული მატერიალური, ფინანსური, ინსტიტუციური, შრომითი და სხვა საჭირო რესურსების ან სიმძლავრეების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი.

ჩანაცვლებული, ანუ ალტერნატიული დანახარჯები წარმოებაში გამოყენებული ისეთი დანახარჯებია, რომლებითაც სხვა ალტერნატიული გზით (სხვა წარმოებაში დასაქმება, კაპიტალის სხვა დარგში გადატანა, ბანკში შენახვა და შესაბამისი დივიდენდის მიღება და ა.შ.) შესაძლებელია მისი მფლობელისთვის უფრო მეტი (ან უფრო ნაკლები) სარგებლობის, ანუ მოგების მიღება. ასე მაგალითად, თუ მეცხოველეობის ფერმის მეპატრონე თავის საკუთარ კაპიტალს დებს წარმოებაში (ანუ უარს ამბობს ბანკის კრედიტზე), პრაქტიკულად კარგავს იმ შემოსავალს, რომელიც მას შეეძლო მიეღო აღნიშნულ წარმოებაში ჩადებული თანხის შეტანით ბანკში ან აქცია-ობლიგაციებში დაბანდებით და ა.შ. ამ შემთხვევაში მეწარმის

მიერ საკუთარ წარმოებაში ჩადებული თანხა, ფაქტობრივად, წარმოადგენს ხელიდან გაშვებულ სარგებელს, ანუ ჩანაცვლებულ დანახარჯს, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საწარმოს (ფერმის) ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების დროს.

მოტანილი მაგალითის ანალოგი შეიძლება იყოს შრომითი რესურსის, ანუ სამუშაო ძალის გამოყენებაც (მაგალითად, თუ ერთი დარგის უპირატესი განვითარება იწვევს მეორე ალტერნატიულ დარგში შრომითი რესურსის დეფიციტს, ანუ წარმოების მასშტაბის შემცირებას.

ძირითად და საბრუნავ საშუალებებში განხორციელებული ჩანაცვლებული, ანუ ალტერნატიული დანახარჯების გაანგარიშებისას საჭიროა თითოეული საწარმოო ფაქტორის მოცულობის, თითოეული მათგანის (რესურსის) წარმოებაში „დაბმის“ ვადის და სასესხო კაპიტალის პროცენტის (სარგებლის) დადგენა. ასე მაგალითად, თუ 5000 ლარის ღირებულების ხარისხიანი სათესლე მასალა შეძენილ იქნა კომერციული ბანკის კრედიტით წლიური 12 პროცენტის გადახდის პირობით, ამასთან, 6 თვით ადრე მის გამოყენებამდე, მაშინ ტოლფასდი ჩანაცვლებული კაპიტალის დანახარჯი შეადგენს: 5000•12%•8:12=400 ლარს (თესლის დანახარჯის ბრუნვის ხანგრძლივობა აღებულია 8 თვე).

საწარმოო პროგრამის შერჩევის დროს სხვადასხვა დარგის წარმოების მოცულობათა შეფარდება იქნება ოპტიმალური, როცა ამ დარგებში გამოყენებული ცალკეული წარმოების ფაქტორის გამოყენების ზღვრული პროდუქტი (ეფექტი) თანაბარია. რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგები და მასში გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიები ერთმანეთს კონკურენციას უწევს მარგინალური შემოსავლებით, საწარმოს ოპტიმალური საწარმოო-ორგანიზაციული სტრუქტურა მიიღწევა მაშინ, როცა მარგინალური შემოსავალი წარმოებაში გამოყენებული შეზღუდული რესურსის ერთეულზე იქნება ერთი და იგივე ამ რესურსის გამოყენების ყველა შესაძლო ალტერნატივისათვის.

მარგინალური შემოსავლის მიხედვით მარცვლოვან კულტურათა შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენის მაგალითი მოცემულია ცხრილში 5.1, რომელიც შედგენილია პირობითი საწარმოს მაგალითზე.

ცხრილი 5.1

საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები	განზ. ერთ.	საშემოდგომო ხორბალი	სიმინდი მარცვლად	საგაზაფხულო ქერი
მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე	ც	35	40	28
ერთი ცენტნერის სარეალიზაციო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	ლარი	76,50	61,90	63,40
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	ლარი	2678,00	2476,00	1775,00
პირდაპირი ცვლადი დანახარჯები	ლარი	1206,00	1161,00	1035,00
მათ შორის: თესლზე	ლარი	213,00	189,00	196,00
მინერალურ და ორგანულ სასუქებზე	ლარი	352,00	290,00	284,00
მცენარეთა დაცვის საშუალებებზე	ლარი	203,00	186,00	149,00
მანქანა-ტრაქტორების საექსპლუატაციო ხარჯი	ლარი	261,00	306,00	286,00
პროდუქციის პირველადი დამუშავება (შრობა)	ლარი	109,00	104,00	101,00
ნათესის ნებაყოფლობითი დაზღვევა	ლარი	0	20	20
ბმული კაპიტალის % (ალტერნატიული ხარჯი)	ლარი	68,00	66,00	59,00
მარგინალური შემოსავალი 1 ჰა-ზე	ლარი	1472,00	1359,00	738,00
შრომითი დანახარჯი 1 ჰა-ზე	სთ	24,7	22,8	22,8

მარგინალური ეფექტი, რომელიც მარცვლეულის წარმოებაში გამოყენებულ ყველაზე შეზღუდულ რესურსზე მიიღწევა, არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ სამარცვლე კულტურის არჩევას. ასეთი

შეზღუდული რესურსი (სხვა რესურსებთან შედარებით), პირველ რიგში, მიწის რესურსია, ხოლო შემდგომ შრომითი რესურსები (ან ტექნოლოგია და სხვ.). მოყვანილ მაგალითში მარცვლეული კულტურების კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად გვევლინება მარგინალური შემოსავალი ერთ ჰექტარ სახნავ მიწაზე და ერთ კაც-საათზე გაანგარიშებით (შრომის მწარმოებლურობა). ასეთივე წესით შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ხილის, ვაზის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აგრეთვე ცალკეული დარგების, ტექნოლოგიების, აგროტექნიკური და სხვა ღონისძიებათა შედარებითი კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებლები.

პრაქტიკულად, ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მრავალწლიან კულტურებშიც, რომელთა წარმოების აგროტექნიკა და სამუშაოთა ორგანიზაცია პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამაგიეროდ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება მიწის დასამუშავებელი აგრეგატებით, გამოყენებული პესტიციდებით, სამუშაოთა მექანიზაციის დონით და შრომატევადობით. არსებითი განსხვავება აღინიშნება ასევე მიღებული მოსავლის გამოყენების თვალსაზრისით, შენახვის უნარით და ა.შ. ყოველივე აღნიშნული კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ცვალებადი დანახარჯების მოცულობაში და თითოეული სახის მრავალწლიანი კულტურიდან მიღებული მარგინალური შემოსავლის სიდიდეში.

ცხრილი 5.2

მარგინალური შემოსავლების გასაანგარიშებლად საჭირო საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები	ვაზი	მ.შ. სუფრის საადრეო ჯიშები	ხეხილი	მ.შ. საგვიანო კურკოვანი ჯიშები
1	2	3	4	5
მოსავლიანობა, ც/ჰა	60	70	70	65
სარეალიზაციო ფასი, ც/ლარი	50	60	45	60
სულ ამონაგები რეალიზაციიდან, ლარი	3000	4210	3150	3900
ცვლადი დანახარჯები სულ, ლარი	1520	2160	1580	2325
მ.შ. მინერალური და ორგანული სასუქები, ლარი	110	110	100	100
მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები, ლარი	100	100	90	120
სატრანსპორტო ხარჯები, ლარი	100	150	90	115
მანქანა-ტრაქტორების საექსპლუატაციო ხარჯები, ლარი	250	300	300	400
სეზონური მუშების შრომის ანაზღაურება, ლარი	600	900	700	900
ნარგაობათა დაზღვევა, ლარი	160	200	150	260
ბმული კაპიტალის % (საბანკო სესხზე 10%-ის პირობებში)	200	400	150	400
მარგინალური შემოსავალი ერთ ჰა-ზე, ლარი	1480	2070	1570	1575
შრომითი დანახარჯები სულ წლის განმავლობაში, კაც-დღე	178	199	190	192
მ.შ. პერიოდების მიხედვით: საგაზაფხულო-საზაფხულო	110	110	100	100
საშემოდგომო სამუშაოები	60	80	80	80
სამარცვლე სიმინდის აღება ერთ ჰა-ზე (კაც-დღე)	8	10	10	12
სულ ანაზღაურება (5 ლარი კაც-დღეზე)	40	50	50	60
მარგინალური შემოსავალი, ლარი-კაც-დღე	37	40.8	31.4	26.7

ცხრილ 5.2-დან ჩანს, რომ ვაზისა და ხეხილის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები დამოკიდებულია მათ მოსავლიანობასა და პროდუქციის ერთეულის ფასზეც, ხოლო მარგინალური შემოსავალი – ცვალებადი დანახარჯების სიდი-

ღეზე (ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით).

ცხრილში მოცემულია მანქანა-იარაღების საექსპლუატაციო და სატრანსპორტო საშუალებათა დანახარჯები, რომლებიც შედგება საწვავ-საცხები მასალების, მიმდინარე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ღირებულებისაგან. ცვალებად დანახარჯებში გათვალისწინებულია ასევე ნარგაობათა დაზღვევის და სეზონური მუშების შრომის ანაზღაურებაც. აგრეთვე ბმული კაპიტალის ოდენობაც, რომელიც შედგება როგორც საბრუნავ საშუალებებზე – მინერალურ სასუქებზე და მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებებზე გაწეული დანახარჯების, ასევე ნარგაობათა გაშენებზე გაწეული კაპიტალური დაბანდებების შესაბამისი წლიური წილისაგან.

ცვალებადი დანახარჯების გათვალისწინებით, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, შედარებით მაღალი მარგინალური შემოსავალი აქვს ხეხილს (1570 ლარი) და ამ მაჩვენებლით თუ ვიმსჯელებთ, ხილის წარმოება უფრო კონკურენტუნარიანი ანუ ეფექტიანი უნდა იყოს, ყურძენთან შედარებით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყურძნისა და ხილის მოსავლის აღების პერიოდი ფაქტობრივად ემთხვევა სამარცვლე სიმინდის აღების პერიოდს. ამდენად, შრომითი რესურსის შეზღუდულობის პირობებში ვაზს შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა ხეხილთან შედარებით, იმის გათვალისწინებით, რომ ვაზის მარგინალური შემოსავალი მეორე შეზღუდულ რესურსზე (მუშახელზე სამუშაოთა დაძაბულ პერიოდში) მეტია, ვიდრე ხეხილის.

რაც შეეხება ერთი კულტურის ფარგლებში სხვადასხვა ჯიშებს (საადრეო, საგვიანო და ა.შ.), აქაც განმსაზღვრელი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობისა ორივე შეზღუდულ რესურსზე (მიწაზე და მუშახელზე) მარგინალური შემოსავალი უნდა იყოს. ვაზის შემთხვევაში ასეთი – საადრეო ვაზის ჯიშებია, ხოლო ხეხილის მაგალითზე – თესლოვანი ხილის საგვიანო ჯიშები.

განხილულ მაგალითში მრავალწლიან კულტურათა ეკონომიკური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებელი მარგინალური შემოსავლის ოდენობაა შეზღუდული რესურსის (მიწის) ერთეულზე და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველაზე დაძაბულ პერიოდში ერთ დახარჯულ კაც-დღეზე გაანგარიშებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს მაჩვენებლები დაახლოებით თანაბარია, მაშინ მარგინალური შემოსავალი გაანგარიშებული უნდა იყოს სხვა შეზღუდულ რესურსზეც (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და ა.შ.).

კონკრეტული საწარმოს შიგნით სასოფლო-სამეურნეო კულტურები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ საწარმოო რესურსებისა და არსებული სიმძლავრეებისთვის. კონკურენციაში გასამარჯვებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი მარგინალური შემოსავლის ოდენობაა. ოპტიმალურად ჩაითვლება ის საწარმოო სტრუქტურა, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მარგინალური შემოსავლის მაქსიმუმი საწარმოში არსებული მიწის, შრომითი და სხვა შეზღუდული რესურსების ერთეულზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება ცალკეული კულტურების შეგასამეურნეო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების შედარება. ამ დროს შეიძლება გამოვიდეთ შესადარებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციაზე წონასწორული ფასების განსაზღვრის პრინციპიდანაც.

ასე მაგალითად, თუ საწარმოში ყველაზე შეზღუდული რესურსი, რომლისთვისაც ერთმანეთს ეცილება ცალკეული კულტურების ჯგუფი, არის მიწის სავარგული, ხოლო შრომა და ნივთობრივი კაპიტალი – ნაკლებად შეზღუდული, მაშინ წონასწორული ფასის გაანგარიშება შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

$$Ш_{ა} = (Д_{ია} + Ш_{ჭა}) : მ_{ა},$$

სადაც $Ш_{ა}$ არის ა კულტურის წონასწორული ფასი ერთ ცენტნერ პროდუქციაზე (ლარი); $Д_{ია}$ – პირდაპირი ცვალებადი დანახარჯი ა კულტურის პროდუქციის წარმოებაზე (ლარი/ჰა-ზე); $Ш_{ჭა}$ – მარგინალური შემოსავალი ბ კულტურიდან (ლარი/ჰა-ზე); $მ_{ა}$ – ა კულტურის მოსავლიანობა ცენტნერებში.

დავუშვათ, კონკრეტულ საწარმოში კარტოფილის ყოველ ჰექტარზე მარგინალური შემოსავალი შეადგენს 412 ლარს (თანმდევი პროდუქციის ჩათვლით). ამავე საწარმოში მისი კონკურენტი კულტურის – შაქრის ჭარხლის წარმოებაზე ცვალე-

ბადი დანახარჯებია 220 ლარი ერთ ჰექტარზე, 350 ცენტნერი მოსავლიანობის პირობებში. ასეთი მონაცემებით შაქრის ჭარხლის ყოველი ცენტნერი პროდუქციის წონასწორული ფასი იქნება – (220+412):350=1.8 ლარი/ცენტ., რაც იმას ნიშნავს, რომ თუ შაქრის ჭარხლის ერთი ცენტნერის ფასი დავარდება 1,8 ლარზე ქვემოთ, მაშინ მისი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა იქნება უფრო ნაკლები კარტოფილის წარმოებასთან შედარებით.

არის შემთხვევები, როცა კულტურათა კონკურენტუნარიანობის გამოსავლენად საჭირო ხდება არა მხოლოდ ერთი რომელიმე წარმოების ფაქტორის (დაკუშვათ, მიწის) მიხედვით შედარება, არამედ სხვა დანარჩენი ფაქტორების (მაგალითად, შრომითი რესურსების, ძირითადი კაპიტალისა და ა.შ.) გათვალისწინებაც.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში ხშირად დგება საკითხი კულტურათაშორისი კონკურენტუნარიანობის უფრო დეტალური ანალიზის ჩატარების შესახებ, რისთვისაც ანგარიშობენ არა მარტო კულტურათა თანაზომად (წონასწორულ) ფასს, არამედ თანაზომად მოსავლიანობასაც, წინასწარ ცნობილი ფასისა და მარგინალური შემოსავლის პირობებში. იგი გვიჩვენებს ამა თუ იმ კონკურენტმა კულტურამ მოსავლიანობის რა დონეს უნდა მიაღწიოს, რომ ფართობის ერთეულიდან მიღებულ იქნეს იგივე ოდენობის მარგინალური შემოსავალი, რაც მიიღება ეტალონური (შესადარებელი) კულტურის ფართობის ერთეულიდან.

კონკურენტული კულტურის თანაზომადი მოსავლიანობის გასაანგარიშებლად იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$თმ_{კ} = მ_{ეკ} + \frac{მშ_{ეკ} - მშ_{კ}}{ფ_{კ}},$$

სადაც $თმ_{კ}$ – კონკურენტი კულტურის თანაბარზომადი მოსავლიანობაა; $მ_{ეკ}$ – კონკურენტი კულტურის ფაქტობრივი მოსავლიანობა; $მშ_{ეკ}$ – ეტალონური კულტურის მარგინალური შემოსავალი; $მშ_{კ}$ – კონკურენტი კულტურის მარგინალური შემოსავალი; $ფ_{კ}$ – კონკურენტი კულტურის ერთი ცენტნერის სარეალიზაციო ფასი.

ასე მაგალითად, თუ სამარცვლე სიმინდის ფაქტობრივი მოსავლიანობა ($მ_{ეკ}$) ტოლია 28 ცენტნერის, ხოლო სხვაობა ხორბლის მარგინალურ შემოსავალსა და სიმინდის მარგინალურ შემოსავალს შორის 200 ლარს შეადგენს, მაშინ თუ სიმინდის ერთი ცენტნერის ფასი 50 ლარია, მისი თანაზომადი მოსავლიანობა ტოლი იქნება $28 + \frac{200}{50} = 32$ ცენტნერის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამარცვლე სიმინდს კონკურენციის გაწევა ხორბალთან შეეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოსავლიანობა 32 ცენტნერის ტოლი ან მეტი იქნება. ამ მაჩვენებლის გაანგარიშებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული მარცვლეული, ბოსტნეული, ბაღჩეული და სხვა კულტურების შიდა დარგობრივ კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისა და ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის შერჩევის დროს.

5.5. მიწათმოქმედების დარგების განვითარების დაგეგმვა. დაგეგმვის საშუალებები და ეტაპები

ვიდრე აგროწარმოების ძირითადი მაპროფილირებელი დარგების განვითარების პროექტის დამუშავებას შეუდგებოდეთ, აუცილებელია, პირველ რიგში, დავადგინოთ აგროსაწარმოს განკარგულებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბ-საძოვრები), მათი ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების ანუ კულტტექნიკური სამუშაოების მოცულობები, სავარგული მიწების სხვადასხვა კატეგორიებში ტრანსფორმირების პერსპექტივები (დაბალპროდუქტიული მიწების მქონე მიწების მაღალკატეგორიის მიწების ჯგუფში გადაყვანა და ა.შ. საკურადღებოა დამუშავებაში არსებული მიწების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები) ხარისხობრივი მდგომარეობის დადგენა, რადგან მასზეა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დონე.

გარდა მიწის ხარისხობრივი მდგომარეობისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე მრავალი სხვა ფაქტორიც მოქმედებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ბუნებრივ-კლიმატურ, აგროტექნიკურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პირობებს უკავია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგინდეს რაოდენობრივ-ხარისხობრივი კავშირები სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის, ანუ განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის საწარმოო ფუნქცია.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად დღეისათვის, ძირითადად, ცნობილია ექსპერტული და ექსტრაპოლაციური მეთოდები. აქედან პირველი მეთოდის საფუძველს წარმოადგენს საშუალო მოსავლიანობის დინამიკა საწარმოში, არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. (საერთოდ, დადგენილია, რომ ამ მეთოდით გაანგარიშებული საპროგნოზო მონაცემები ემთხვევა მოწინავე საწარმოთა მონაცემებს და, არც თუ იშვიათად, აჭარბებს მათ 8-10%-ით). ექსპერტული მეთოდი უფრო ზუსტი და მისაღები იქნება, თუ მას ექსტრაპოლაციური მეთოდით შევავსებთ, რაც გულისხმობს უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით მრავალწლიანი მოსავლიანობის დინამიკური რიგის გამოთანაბრებას და მიღებული შედეგის საპროგნოზო პერიოდისათვის გათვალისწინებას. ზოგადად ეს დამოკიდებულება გამოიხატება მათემატიკური ფორმულით:

$$Y = a + bx,$$

სადაც Y – გამოთანაბრებული საშუალო მოსავლიანობაა გასული 5 წლის პერიოდში; a – საბაზისო მოსავლიანობა ანუ იმ წლის მოსავლიანობა, რომელიც მიჩნეულია ათვლის წერტილად დროში; b – მოსავლიანობის საშუალო ნამატი ყოველწლიურად; x – რიგითი ნომერი საბაზისო მოსავლიანობად მიჩნეული წლის მიმართ.

მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტა ხდება ნორმალური განტოლების შედგენით და ამოხსნით. კერძოდ:

$$\sum Y = an + b\sum x \quad \text{ანუ}$$
$$\sum xy = a\sum x + b\sum x^2,$$

სადაც n – მოსავლიანობის წელთა რიცხვის მაჩვენებელია.

განტოლების ამოხსნისათვის საჭირო რიცხობრივი მონაცემები მოცემულია ცხრილში 5.3, საიდანაც ჩანს, რომ $\sum x = 0$, $\sum x^2 = 10{,}0$, $\sum Y = 150{,}3$, ხოლო $\sum xy = 17{,}6$.

ამ მონაცემებით მათემატიკურად შესაძლებელია a და b საწყისი პარამეტრების პოვნა. კერძოდ:

$$a = \sum Y : n = 150.3 : 5 = 30, \text{ ხოლო}$$

$$b = \sum xy : x^2 = 17.6 : 10 = 1{,}76$$

მოსავლიანობის დინამიკური რიგის გამოსათანაბრებლად საჭირო განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$Y = 30{,}0 + 1{,}76x.$$

მაგალითში a – ახასიათებს მოსავლიანობის დონეს საბაზისო მესამე წლისათვის ($\sum n : 5 = 3$), რომელიც აღებულია საწყის წერტილად, ხოლო კოეფიციენტი b გვიჩვენებს, რომ გასულ 5 წელიწადში მოსავლიანობა საშუალოდ წლიურად ჰექტარზე 1,76 ცენტნერით იზრდებოდა (17,6:10).

ამრიგად, პირველი წლის გამოთანაბრებული მოსავლიანობა (როცა $x = -2$) იქნება:

$$Y_1 = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (-2) = 26{,}6 \text{ ც/ჰა},$$

ხოლო მომდევნო წლებისათვის, შესაბამისად:

$$Y_2 = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (-1) = 28{,}3 \text{ ც/ჰა},$$
$$Y_3 = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (0) = 30{,}0 \text{ ც/ჰა},$$
$$Y_4 = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (+1) = 31{,}7 \text{ ც/ჰა},$$
$$Y_5 = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (+2) = 33{,}4 \text{ ც/ჰა},$$

მოსავლიანობის ყოველწლიური მატების გამოვლენილი ტენდენციის ექსტრაპოლირებით, პერსპექტივაში, შესაძლებელია მივიღოთ მოსავლიანობის საპროგნოზო დონე მომავალში. კერძოდ, მომავალი 5-წლიანი პერიოდისათვის ის იქნება:

$$Y = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (+7) = 42{,}3 \text{ ც/ჰა},$$

ხოლო უფრო შორეული 10-წლიანი პერიოდისათვის კი:

$$Y = 30{,}0 + 1{,}76 \cdot (+12) = 51{,}1 \text{ ც/ჰა}.$$

სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობის გაანგარიშება

წლები	რიგითი ნომერი	ფაქტობრივი მოსავლიანობა, ც/ჰა	გადახრა ცენტრალური (მესამე) წლიდან	გადახრის კვადრატი	წარმოებული ვარიანტი	გამოთანაბრებული მოსავლიანობა, ც/ჰა
	N	y	x	x^2	xy	
2001	1	21.2	-2	4	-58.4	26.6
2002	2	26.2	-1	1	-26.2	28.3
2003	3	28.5	0	0	0	30.0
2004	4	30.6	+1	1	30.6	31.7
2005	5	35.8	+2	4	71.6	33.4
სულ	5	150.3	0	10	17.6	–

ანალოგიური მიდგომით შეიძლება გავიანგარიშოთ სხვა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობები პერსპექტივაში.

საპროგნოზო მოსავლიანობის გასაანგარიშებლად ზემოაღწერილი მეთოდი უმჯობესია გამოვიყენოთ საწყისი და საპროგნოზო პერიოდების საწარმოო პირობების ექსპერტულ შეფასებასთან ერთად.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში, არც თუ იშვიათად, მიმართავენ საპროგნოზო მოსავლიანობის მოდელირების კორელაციურ-რეგრესიულ მეთოდს, რომელიც ეფუძნება რაოდენობრივი კავშირის დადგენას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის. საწარმოო ფუნქციას ამ შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:

$$Y = b_0 + \sum_{i=0}^{n} b_i x_i ,$$

სადაც b_0 – განტოლების თავისუფალი წევრია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოსავლიანობა რხება უცვლელი წარმოების ფაქტორების უცვლელობის პირობებში; b_i – რეგრესიის კოეფიციენტი, რომელიც გვისვენებს საწარმოო ფაქტორების რაოდენობრივ გავლენას მოსავლის მატებაზე; x_i – საწარმოო ფაქტორები.

საპროგნოზო მოსავლიანობის დასაბუთების მიზნით დასაღგენია ცალკეული ფაქტორების ნორმატივები თითოეული ცალკე აღებული კონკრეტული ზონის კონკრეტული საწარმოსათვის, რომელთა საყურადღებოდ გაიანგარიშება მოსავლიანობის მატება საპროგნოზო პერიოდში.

მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობის მოდელირებისას, განვლილი ხუთი წლის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, მიღებულია შემდეგი განტოლება:

$$Y = 24,5 + 0,05x_1 + 0,08x_2 + 0,02x_3 + 0,2x_4$$

სადაც x_1 – ერთ ჰექტარზე სიმინდის ნათესზე ცოცხალი შრომის დანახარჯებია კაც-საათებში; x_2 – ძირითადი კაპიტალის ღირებულება ერთ ჰექტარზე, ლარებში (ანუ ძირითადი საშუალებების დანახარჯი); x_3 – გამოყენებული მინერალური სასუქების რაოდენობა ერთ ჰექტარზე (მოქმედი ნივთიერება კგ-ში); x_4 – სახნავი მიწის ბონიტეტის ბალი მარცვლოვანი კულტურების მიმართ.

მოცემულ მაგალითში მოსავლიანობის დონე თითოეული რესურსის ცვლილებასთან შემდეგ რაოდენობრივ დამოკიდებულებაში იმყოფება: შრომით დანახარჯზე (ერთ კაც-საათზე) მოდის მოსავლიანობის ნამატი 0,02 ცენტნერის ოდენობით (ჰექტარზე); დახარჯული ძირითად საშუალებების ყოველ ლარზე – 0,005 ცენტნერი, მინერალური სასუქის ყოველ კილოგრამზე – 0,02 ცენტნერი და სახნავი მიწის ყოველ ბონიტეტურ ბალზე – 0,1 ცენტნერი ჰექტარზე. როგორც ეხედავთ, მოცემულ მაგალითში მოსავლიანობის მატება რაოდენობრივად ყველაზე მეტად ამ უკანასკნელ ფაქტორზე (მიწის ნაყოფიერებაზეა) დამოკიდებული.

ამ კონკრეტული მაჩვენებლების შესაბამის განტოლებაში ჩასმით თითოეული კონკრეტული წლისათვის მივიღებთ მოსავლიანობის მატების პროგნოზულ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, თუ სამარცვლე სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკით საწარმოში მომავალი

საგეგმო წლისათვის საშუალოდ ერთ ჰექტარზე გათვალისწინებულია 50 კაც-საათი შრომითი დანახარჯი, 200 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, 300 კგ მინერალური სასუქის შეტანა, სახნავი ფართობის 60 ბონიტეტური ბალის პირობებში; მაშინ სამარცვლე სიმინდის საპროგნოზო (ნორმატიული) მოსაელიანობა შეადგენს 38,5 ცენტნერს ერთ ჰექტარზე, ანუ

$$Y = b_0 + \sum_{i=0}^{n} b_i x_i = 24{,}5 + (0{,}02 \cdot 50) +$$

$$+ (0{,}005 \cdot 200) + (0{,}02 \cdot 300) + (0{,}1 \cdot 60)$$

საპროგნოზო მოსაელიანობის მოდელში შესაძლოა შეიტანონ სხვა მრავალი ფაქტორი. კერძოდ ისეთი, როგორიცაა ფართობის მორწყვის ან ზედმეტი წყლის მოცილების, კულტტექნიკური ღონისძიებების განხორციელების, თესლის ხარისხის გაუმჯობესების, პროგრესული განყოფერების და სხვ. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ სამარცვლე სიმინდის მოსაელიანობის მოდელირებისას თითოეული ფაქტორის გაღლენის ხარისხი მოსაელიანობაზე.

იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ, რომელთა შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლები არ არის მყარი და საიმედო, საპროგნოზო მოსაელიანობა ღგინდება სხვა რომელიმე კულტურასთან ან ნებისმიერი მოწინავე საწარმოს მაჩვენებლებთან შედარებით.

ამავე მიდგომით შეიძლება განისაზღვროს პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობაც. კერძოდ, საწარმოში მიღწეულ პროდუქტიულობის მაჩვენებელს ემატება ჯიშური შემადგენლობის გაუმჯობესებით, კვების დონის და ხარისხის ამაღლებით, კვებისა და მოვლა-შენახვის სისტემის სრულყოფით და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ნამატი. თუმცა ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ანალოგიურ საწარმოო-ეკონომიკურ პირობებში მყოფ მოწინავე საწარმოთა მაჩვენებლები.

როცა უკვე ცნობილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაელიანობისა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის საპროგნოზო მაჩვენებლები, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საპროექტო მონაცემები, საწარმოში განისაზღვრება ნათეს-ნარგაობათა ფართობები, პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა. ამ დროს საწარმოს ძირითადი საწარმოო მიმართულების შენარჩუნების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია საქმე გვქონდეს ძირითადი, დამატებითი და დამხმარე დარგების შეთანაწყობის მრავალნაირ ვარიანტთან.

გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მეურნეობის დარგები და სასოფლო-სამეურნეო კულტურები ერთი საწარმოს ფარგლებში ერთმანეთთან კონკურირებენ საწარმოო სიმძლავრეებისა და წარმოების ფაქტორებისათვის მარგინალური შემოსავლების მიხედვით. ამასთან, საწარმოს ოპტიმალური საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად გვეელინება საწარმოში არსებული დარგების მარგინალური შემოსავლების ჯამი დროის გარკვეულ პერიოდში. კერძოდ, ოპტიმალურია ისეთი საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მარგინალური შემოსავლის მაქსიმუმს ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში (საწარმოში არსებული მიწის, შრომის და სხვა შეზღუდული საწარმოო რესურსების გათვალისწინებით).

აგროწარმოების სამეურნეო პრაქტიკაში საწარმოთა წინაშე იშვიათად დგას პრინციპულად ახალი საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრის პრობლემა. უფრო ხშირად დგება არსებული საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის ამოცანა საწარმოს საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის გათვალისწინებით. მისი გადაწყვეტა, როგორც წესი, ხდება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობათა გაანალიზების საფუძველზე, არსებული ან მოსალოდნელი ტექნიკური ან ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

ეკონომიკური გათვლების ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ და მიზანშეწონილ მეთოდად (რომელიც გამოიყენება აგრარული საწარმოს დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის) გვეელინება პროგრამული დაგეგმვა ან ამ მეთოდის გამარტივებული ვარიანტები.

პროგრამული დაგეგმვის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ ხდება საწარმოს ცალკეულ დარგებში ცალკეული წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება, ხოლო შემდეგ ამ მაჩვენებლების საფუძველზე დარგების დაყოფა-

რანჟირება და ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის დადგენა ეფექტიანობის რანგის გათვალისწინებით (პროგრამული დაგეგმვის მეთოდი შემუშავებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 50-იან წლებში, როგორც წრფივი დაპროგრამების გამარტივებული მეთოდი. მან ფართო გავრცელება პოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმავე საუკუნის 60-იანი წლებიდან).

პროგრამული დაგეგმვის რამდენიმე ძირითად საფეხურს გამოყოფენ, კერძოდ:

– საწარმოო ფაქტორებით საწარმოს აღჭურვილობის დონის დადგენა ანუ იმის განსაზღვრა, თუ რა სახის და ოდენობის წარმოების რესურსები გააჩნია კონკრეტულ საწარმოს ფართობის ერთეულზე ან პირეტყვის ერთ სულზე გადაანგარიშებით;

– წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების დადგენა საწარმოო დარგების ჭრილში და თითოეული მათგანისაგან მოსალოდნელი მარგინალური შემოსავლის გაანგარიშება;

– საწარმოს ფაქტობრივი ჯამური მარგინალური შემოსავლის გაანგარიშება და თითოეული წარმოების ფაქტორის გამოყენების ხარისხის განსაზღვრა (ანუ საჭიროა გაკეთდეს საწარმოს ფაქტობრივი ორგანიზაციულ-დარგობრივი სტრუქტურის დეტალური ანალიზი);

– საწარმოში გაადგილებული დარგების რანჟირება თითოეული წარმოების ფაქტორის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით (ანუ თითოეულ დარგს უნდა მიენიჭოს კუთვნილი რანგი მიწის, შრომითი და სხვა ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობის გათვალისწინებით);

– საწარმოს საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის ყველა შესაძლო ვარიანტის გათვლა. ამ მიზნით უნდა აღებულ იქნეს დარგი, რომელსაც აქვს პირველი რანგი ანუ აქვს საწარმოს განკარგულებაში არსებული ყველაზე შეზღუდული რესურსის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმალური მაჩვენებლები და გამოყოს მას რესურსი გაყართოების მაქსიმალურ დონემდე. შემდეგ იღებენ რანგით მეორე და ა.შ. დარგს ამა თუ იმ წარმოების ფაქტორის ამოწურვამდე.

თითოეული ამორჩეული დარგის მიხედვით განისაზღვრება მოსთხოვნილებანი წარმოების ფაქტორებზე, ძირითადი და თანმდევი პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები და მარგინალური შემოსავლები, როგორც ფაქტობრივი მონაცემების, ისე იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც თან ახლავს (გამომდინარეობს) წარმოების მექანიზაციის ან ინტენსიობის დონის ამაღლების სხვადასხვა ალტერნატიულ ვარიანტს.

აღნიშნული გაანგარიშების ჩატარების შემდეგ საჭიროა განისაზღვროს ცალკეული დარგების რანგი (ანუ შეჯარდებითი უპირატესობა სხვა დარგის მიმართ), წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით.

საწარმოო დარგების რანგის განსაზღვრის შემდეგ გაიანგარიშება საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტები ჯერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის, შემდეგ კი სხვა შეზღუდული წარმოების ფაქტორების გამოყენების მიხედვით. ამ შემთხვევაში გათვლა წარმოებს შემდეგნაირად: განსაკუთრებით ეფექტიანი დარგი (წარმოების ფაქტორების ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით) უნდა გაყართოვდეს შესაძლებლობების ფარგლებში, რომლის ზედა ზღვარი შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორების შეზღუდულობით, თესლბრუნვების მოთხოვნებისა და სხვა ობიექტური პროცესებით. მომდევნო ადგილს იკავებს რანგით მეორე კულტურა და ასე გრძელდება, ვიდრე არ ამოიწურება შეზღუდული წარმოების რესურსები ანუ წარმოების შემდგომი გაფართოების საშუალება.

ამ სქემით მიღებული საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით გაიანგარიშება ჯამური მარგინალური შემოსავალი, ასევე გამოითვლება წარმოების სხვა ფაქტორები და განისაზღვრება საწარმოს ალტერნატიული საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურები.

საბოლოო ანგარიშით, საწარმოო სტრუქტურის ყველა გათვლილი ვარიანტი შედარდება ერთმანეთს და საწარმოში ფაქტობრივად არსებულ საწარმოო სტრუქტურას, ჯამური მარგინალური შემოსავლების და წლის განმავლობაში პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ოპტიმალურად ჩაითვლება ის საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურა, რომელსაც სხვა თანაბარ პირობებში აქვს ყველაზე მაღალი მარგინალური შემოსავლების ჯამი.

დარგებისა და კულტურების რანგის განსაზღვრა
წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით

საწარმოო დარგები	განსომილება	სასოფლო-სამეურნეო საკარგული			მათ შორის სახნავი			შრომითი რესურსი		
		ფართობი/ერთეული	მარგინალური შემოსავალი, ლარი/ჰა	რანგი	ფართობი/ერთეული	მარგინალური შემოსავალი, ლარი/ჰა	რანგი	კაც-საათი/ერთეული	მარგინალური შემოსავალი, ლარი/ჰა	რანგი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ხორბალი	ჰა	1	500	4	1	500	5	4	125	2
სამარცვლე სიმინდი	ჰა	1	460	5	1	460	6	6	76.7	5
ლობიო	ჰა	1	300	8	1	300	8	5	60	6
ქარტოფილი	ჰა	1	390	7	1	390	7	8	49	7
მზესუმზირა	ჰა	1	650	3	1	650	3	6	108	3
ბოსტნეული (პომიდორი)	ჰა	1	900	2	1	900	2	9	100	4
მერძეული მესაქონლეობა	სული	0.6	1200	1	0.45	1580	1	7	130	1
მოზარდი პირუტყვის სუქება	სული	0.4	400	6	0.28	520	4	3.5	28	8

5.6. მატერიალურ-ტექნიკურ და შრომით რესურსებზე აგროსაწარმოს მოთხოვნილებების გაანგარიშება

ა) მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილების გაანგარიშება

მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობის გაანგარიშება წარმოებს ფართობის ერთეულიდან მიღებული მოსავლისა და მასთან ერთად გამოტანილი საკვები ნივთიერებების მხედველობაში მიღებით. ასე მაგალითად, თუ ცნობილია, რომ საწარმომ გეგმით უნდა აწარმოოს 1000 ტონა მარცვლეული და ამდენივე იონჯის თივა, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ნორმატივებში ვნახულობთ აზოტის, კალიუმის და ფოსფორის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ერთი ცენტნერი მარცვლისა და თივის წარმოებისათვის (ანუ დასახელებული საკვები ნივთიერებების (ქიმიური ელემენტების) იმ რაოდენობას, რომელიც ნიადაგიდან გამოიტანება მოსავალთან ერთად). მარცვლისა და თივის რაოდენობის შესაბამის ნორმატივებზე გამრავლებით მივიღებთ მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობას (ნორმატივების თანახმად. ერთი ცენტნერი მარცვლის წარმოებას ესაჭიროება საშუალოდ 3 კგ აზოტი, 1,3 კგ ფოსფორი და 2,5 კგ კალიუმი, ხოლო ერთი ცენტნერი იონჯის თივის წარმოებას, შესაბამისად, 2 კგ აზოტი, 0,6 კგ ფოსფორი და 1,5 კგ კალიუმი).

ამავე მიდგომით გაიანგარიშება მოთხოვნილება მინერალურ სასუქზე სხვა დანარჩენი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის, სათიბ-საძოვრებისათვის და ა.შ.

მინერალურ სასუქზე მოთხოვნილება უნდა დაზუსტდეს იმის მიხედვით, თუ როგორია მცენარეთა მიერ მათი ათვისების ხარისხი შეტანის წლისათვის. საერთოდ მიღებულია, რომ აზოტოვანი სასუქის ათვისების დონე 60%-ს, ფოსფორისა 20%-ს, ხოლო კალიუმის სასუქებისა 70%-ს

არ აღემატება. აღნიშნულის გათვალისწინებით თუ გავიანგარიშებთ აზოტოვან სასუქზე მოთხოვნილებას, ჩვენ მაგალითში ის შეადგენს

$$N = (1000 \cdot 3) + (1000 \cdot 2) = 5000 \text{ კგ-ს},$$

მაგრამ აზოტის ათვისების კოეფიციენტის გათვალისწინებით საერთო აზოტის მოთხოვნილება შეადგენს

$$(5000 \cdot 100) : 60 = 8330 \text{ კგ-ს}.$$

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში მიღებულია ასევე მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილების გაანგარიშება ნიადაგების კარტოგრაფიული შესწავლის მასალების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით წინასწარ დგინდება ყართობის ერთეულზე შესატანი მინერალური სასუქების რაოდენობა, მრავლდება საწარმოში არსებულ ნათეს-ნარგაობის ყართობზე და გაიანგარიშება საერთო მოთხოვნილება.

ბ) საწვავ-საცხებ მასალებზე მოთხოვნილების გაანგარიშება

საწვავ-საცხებ მასალებზე საწარმოს საერთო მოთხოვნილება იანგარიშება დადგენილი ნორმატივების მიხედვით (ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიხედვით). კერძოდ, იანგარიშება საწვავის ხარჯი:

– ერთ ეტალონურ პექტარზე (ტრაქტორებისათვის);

– მარცვლეულის, კარტოფილის და სხვა ერთწლიანი კულტურების მოსავლის აღების ერთ ჰექტარზე (მარცვლეულის ასაღები კომბაინებისათვის);

– სპეციალური მანქანებისათვის (ავტობუსები, მსუბუქი მანქანები, სპეცტრანსპორტი და ა.შ.);

– ყოველი 100 კმ გარბენისთვის (სატვირთო ავტომანქანებისთვის).

როცა უკვე ცნობილია საწვავის ხარჯვის ნორმები ჩამოთვლილი სამუშაოების ერთეულზე, შემდეგ საჭიროა შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების დადგენა. ვთქვათ, გვინდა გავიანგარიშოთ საწვავის ხარჯი ავტომანქანებზე. ამისათვის ჯერ ვადგენთ თითოეული ავტომანქანის გასარბენი კილომეტრების რაოდენობას, რისთვისაც ვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$ბ_{ან} = \frac{ბ_ა}{Ტ_ა \cdot ბ_ტ \cdot ტპ_ა},$$

სადაც $ბ_{ან}$ – თითოეული მარკის ავტომანქანის გარბენაა კილომეტრებში; $ბ_ა$ – მოცემული ავტომანქანის წლიური გადაზიდვების საერთო მოცულობა ტონა-კილომეტრებში; $Ტ_ა$ – მანქანის ტვირთამწეობა ტონებში; $ბ_ტ$ – გარბენის კოეფიციენტი (საშუალოდ მიღებულია 0,5-0,7); $ტპ_ა$ – ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი (საშუალოდ მიღებულია 0,7-0,8).

დავუშვათ, საწარმოს სატვირთო გადაზიდვებს ემსახურება 4 სატვირთო ავტომობილი, რომელთა წლიური გადაზიდვების მოცულობა 250 ათ. ტონაკილომეტრს შეადგენს. ფორმულაში შესაბამისი რიცხობრივი მონაცემების ჩასმით მივიღებთ:

$$ბ_{ათ} = \frac{ბ_ა}{Ტ_ა \cdot ბ_ტ \cdot ტპ_ა} = \frac{250}{4 \cdot 0{,}6 \cdot 0{,}7} = 148 \text{ ათ.კმ}.$$

გარბენის საწვავის შესაბამის ნორმატივზე გამრავლებით მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო მარკის ავტომანქანისთვის საჭირო საწვავის რაოდენობას. ანალოგიურად გაიანგარიშება საწვავი (დიზელი, ბენზინი) სხვა სახის ტექნიკური საშუალებებისათვის. რაც შეეხება საცხებ მასალებს, მის დასადგენად გამოიყენება შესაბამისი ნორმატივები ძირითადი სახეობის საწვავის მიმართ. კერძოდ, დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავებისათვის (ის საშუალოდ შეადგენს ძირითადი საწვავის 8,0-8,2%-ს, ხოლო ბენზინზე მომუშავე ავტომანქანებისათვის კი ძირითადი საწვავის 5,8-6,1%-ს. თუ დავუშვებთ, რომ ავტომანქანას, რომელიც დიზელზე მუშაობს, ას კილომეტრზე სჭირდება 10 ლ დიზელის საწვავი, მაშინ მისთვის საჭირო იქნება 0,8-0,82 კგ საცხები მასალა (ნიგროლი და ა.შ.).

გ) ტრაქტორებზე და მარცვლის ასაღებ კომბაინებზე მოთხოვნილების განსაზღვრა

განსხვავებით სხვა ტექნიკური საშუალებებისაგან, ტრაქტორებზე მოთხოვნილების გაანგარიშების სირთულეს განაპირობებს ტრაქტორების მიერ შესასრულებელი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს სპეციფიკა. კერძოდ, ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა სიღრმე, ნიადაგის სიმძიმე (კუთრი წინააღმდეგობა),

აგრეგატის სახე და ა.შ., რის გამოც, საჭირო ხდება სხვადასხვა სამუშაოს ერთიან საზომში ანუ რბილი ხვნის ეტალონურ პექტრებში გადაყვანა შესაბამისი კოეფიციენტების მიხედვით.

სოფლის მეურნეობაში არსებობს ასობით დასახელების მექანიზებული სამუშაო, რომლებიც საჭიროებს რბილ ხვნაში გადაყვანას შესაბამისი კოეფიციენტებით (რისთვისაც სარგებლობენ სპეციალური ნორმატიულ-საცნობარო მასალებით). ეტალონად მიჩნეულია ძველად მოხნული მიწების ხვნა 20-22 სმ სიღრმეზე, რომელიც გატოლებულია 1-თან. ყველა სხვა სახის მექანიზებული სამუშაოს (თიბვა, წამლის შეყრქვევა, კულტივაცია, ყარცხვა და ა.შ.) თავისი შესაბამისი კოეფიციენტი გააჩნია, სამუშაოს სირთულისა და სიმძიმის გათვალისწინებით.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რბილი ხვნის პექტრებში გადასაყვანი ერთიანი კოეფიციენტი დგინდება პრაქტიკულად ყველა საწარმოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების, აგროტექნიკისა და მექანიზაციის გამოყენების დონის და სხვა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სატრაქტორო სამუშაოთა მთელი მოცულობა ეტალონურ პექტრებში განისაზღვრება ჯამური კოეფიციენტის გამრავლებით ნათეს-ნარგაობის საერთო ფართობზე.

თუ ცნობილია ტრაქტორებით შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (რბილი ხვნის ჰექტრებში), მაშინ ტრაქტორის წლიური დატვირთვის შესაბამის ნორმაზე გაყოფით მიიღება საწარმოში წლის განმავლობაში საჭირო ტრაქტორების რაოდენობა (მარკების მიხედვით, ფიზიკურ ერთეულებში).

გარდა სატრაქტორო სამუშაოებისა, ტრაქტორები სოფლის მეურნეობაში ასრულებენ სხვადასხვა სახის სამეურნეო სამუშაოებს, უფრო ხშირად კი მუშაობენ სატრანსპორტო გადაზიდვებზე.

იმ შემთხვევაში, როცა ტრაქტორები საწარმოში მიწათმოქმედების სამუშაოების გარდა ასრულებენ სატრანსპორტო გადაზიდვებსაც, მაშინ ტრაქტორებზე მოთხოვნილების გაანგარიშებას აწარმოებენ შემდეგი სქემით:

დავუშვათ, საწარმოში მიწათმოქმედების სატრაქტორო სამუშაოები შეადგენს სულ 12,0 ათას პირობით ჰექტარს, საიდანაც სათოხნ კულტურებზე (სიმინდი, კარტოფილი, სოია და ა.შ.) მოდის 6,0 ათასი ჰექტარი. გარდა აღნიშნული სამუშაოებისა, იგივე ტრაქტორები ასრულებენ სატრანსპორტო გადაზიდვებს, რომლებიც პირობით პექტრებში გადაყვანით შეადგენს 1,0 ათას პა-ს ანუ სათოხნ კულტურებში შესრულებული სატრაქტორო სამუშაოების ჩათვლით შესასრულებელია სულ 7,0 ათასი პექტარი. თუ საწარმოს გააჩნია ტრაქტორები, რომელთა სეზონური გამოშუშავება 1000 პირობით ეტალონურ პექტარს შეადგენს, მაშინ საწარმოს მოთხოვნილება ამ მარკის ტრაქტორებზე განისაზღერება 7 ერთეულით (7000 : 1000).

დარჩენილი სატრაქტორო სამუშაოების (5,0 ათასი პა) შესრულება შესაძლებელია საწარმოში არსებული საერთო დანიშნულების ტრაქტორებით. ასე მაგალითად, თუ საწარმოს გააჩნია ტრაქტორები, რომელთა წლიური დატვირთვა 2500 პა-ს შეადგენს, მაშინ საწარმოს ამ მიზნით სულ ორი ერთეული დასჭირდება (5000 : 2500).

ანალოგიურად შეიძლება გაითვალოს საწარმოს მოთხოვნილება მარცვლის ასაღებ კომბაინებზე. კერძოდ, თუ ცნობილია საწარმოში არსებული კომბაინით ასაღები სათოხნი კულტურების საერთო ფართობი და ერთი კომბაინის საშუალო წლიური დატვირთვა ჰექტრებში, მაშინ საჭირო კომბაინების გაანგარიშება ხდება ასაღები ფართობის ერთი კომბაინის დატვირთვის ნორმაზე გაყოფით. ასე მაგალითად, თუ საწარმოს გააჩნია კომბაინით ასაღები ფართობი სულ 1000 პა და მარცვლის ასაღები კომბაინები, რომელთა საშუალო წლიური დატვირთვა საშუალოდ 250 პა-ს შეადგენს, მაშინ საწარმოს სულ დასჭირდება ამ მარკის კომბაინების 4 ერთეული (1000:250).

როცა საწარმოში ამა თუ იმ მანქანა-იარაღზე რაოდენობრივი მოთხოვნილება იანგარიშება, საჭიროა გავითვალისწინოთ,

რომ მოთხოვნილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ მანქანა-იარაღებით ყველაზე ძაძაბულ პერიოდში შესასრულებელ სამუშაოების მოცულობაზე. ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა კი განისაზღვრება აგროტექნიკური მოთხოვნებით.

აგროტექნიკურად დადგენილი სამუშაო ვადის გაგრძელება იძლევა მექანიკურ საშუალებებზე გაწეული ხარჯების ეკონომიას, მაგრამ, ამასთან ერთად, იწვევს მოსავლიანობის შემცირებას (ხარისხის დაქვეითება, მომწიფებული მარცვლეების ჩაცვენა ნიადაგში, არახელსაყრელი ამინდის პირობები და ა.შ.). რაც უფრო მოკლეა აგროტექნიკით გათვალისწინებული მოსავლის აღების ვადა, მით მეტი მარცვლის ასაღები კომბაინი უნდა ჰქონდეს საწარმოს. ტექნიკური საშუალებების რაოდენობის ზრდა, მართალია, ამცირებს ცალკეული ტრაქტორისა თუ კომბაინის წლიურ დატვირთვას, მაგრამ იმავდროულად ზრდის საამორტიზაციო ხარჯების მოცულობას.

დავუშვათ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სამუშაოს მთელ მოცულობაზე საამორტიზაციო ხარჯები იზრდება X სიდიდით, ხოლო თუ არ გაუზრდით პარკს და გავაგრძელებთ სამუშაოს ვადებს აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადებზე ზევით, საქმე გვექნება დანაკარგებთან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს Y სიდიდით. ამ შემთხვევაში სამუშაო ვადის გახანგრძლივების ყველაზე უფრო ოპტიმალური მაჩვენებელი იქნება

$$X+Y = \text{მინიმუმს}$$

ანუ როცა მიიღწევა, როგორც საამორტიზაციო ხარჯების, ასევე მოსავლის დანაკარგის მინიმუმი.

მაგალითად, აგრარული საწარმო თჯოთმავალი კომბაინებით იღებს მარცვლეული კულტურების მოსავალს 2600 ჰექტარზე. მათ შორის 2100 ჰა ხორბალს. კომბაინის სადღეღამისო მწარმოებლობა 14 ჰა-ს შეადგენს. აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაო ვადების (10 დღე) დროს აუცილებელი იქნება 2100:(14•10)=15 კომბაინის მუშაობა. საწარმოს სულ აქვს 10 კომბაინი, რომლებიც ხორბლის აღებას უსრულებენ მხოლოდ 15 დღის განმავლობაში. როგორ აისახება მოსავლის აღების ვადის გაჭიანურება საწარმოს ეკონომიკაზე?

მოსავლის აღების აგროტექნიკით დადგენილი ვადების (10 დღე) დაცვის დროს მოსავალი შეადგენს 20 ცენტნერს ჰექტარზე. ექსპერტული გათვლებითა და მრავალწლიანი დაკვირვებით მოსავლის აღების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, ხორბლის მოსავლიანობა იცვლება შემდეგნაირად: აღებიდან პირველი 10 დღეში მოსავალი შენარჩუნებულია 100%-ით, 15 დღეში – 95%-ით.

კომბაინის საბალანსო ღირებულება 4400 ლარს შეადგენს, რომლის საამორტიზაციო ანარიცხი, ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით, 550 ლარს შეადგენს ყოველწლიურად, ხოლო ერთი ცენტნერი ხორბლის ფასი 40 ლარია.

დატვირთვა ერთ კომბაინზე, 10 კომბაინით მუშაობის დროს, შეადგენს 260 ჰექტარს (2600:10), ხოლო 15 კომბაინით მუშაობის დროს კი 173 ჰექტარს (2600:15). საამორტიზაციო ანარიცხი ერთ ჰა-ზე იქნება შესაბამისად:

$$\left.\begin{array}{l} 550:173 = 3{,}17 \text{ ლარი} \\ 550:260 = 2{,}12 \text{ ლარი} \end{array}\right\}$$

სხვაობა 1,05 ლარი (3,17-2,12)

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოსავლის აღების 15 დღემდე გახანგრძლივება ამცირებს მოსავლიანობას ერთი ცენტნერით ანუ 40 ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო კომბაინების რაოდენობის 15-მდე გაღიდებით თითოეულ ჰა-ზე მიიღებს 38,95 ლარის ეკონომიას (40,00-1,05).

ასაღები ფართობის ერთ ჰექტარზე ხვედრითი საამორტიზაციო ანარიცხების და სხვადასხვა ვადებში მოსავლის აღებით გამოწვეული ხორბლის დანაკარგების კორელაციური კავშირი ნაჩვენებია ცხრილში 5.5.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხორბლის მოსავლის აღების ვადის გაგრძელება აგროტექნიკით გათვალისწინებულ ფარგლებს ზევით ეკონომიკურად არამიზანშეწონილია საწარმოსათვის. არაა გამართლებული ასევე მოსავლის აღებაც მეტად შემჭიდროებულ ვადებში.

მოსავლის აღების დღეთა	საჭირო კომბაინები სულ	წლიური დატვირთვა ერთ კომბაინზე, პა	ხვედრითი საამორტიზაციო ანარიცხები ერთ პა-ზე, ლარი	დანაკარგი ერთ პა-ზე მოსავლის აღების პერიოდში		საამორტიზაციო ანარიცხების და დანაკარგების ღირებულების ჯამი
			(X)	ც	ლარი (Y)	(X+Y)
7	21	123	4,47	–	–	4.47
8	19	135	4,07	–	–	4.07
9	17	156	3,52	–	–	3.52
10	15	173	3,17	–	–	3.17
11	14	184	2,98	0,1	4	6.98
12	13	196	2,78	0,2	8	10.78
13	12	215	2,55	0,4	16	18.55
14	11	234	2,35	0,7	28	30.55
15	10	260	2,12	1,0	40	42.12

დ) ავტომანქანებზე მოთხოვნილების გაანგარიშება

საწარმოში საჭირო ავტომანქანებზე მოთხოვნილების გასაანგარიშებლად საჭიროა გადასაზიდი ტვირთების მოცულობისა და ტვირთების გადასატანი მანძილის განსაზღვრა. ამ ორი მაჩვენებლის ერთმანეთის გადამრავლებით ვღებულობთ საწარმოში წლის (ან სხვა რომელიმე პერიოდში) შესასრულებელი სატრანსპორტო სამუშაოების მთლიან მოცულობას, რომელიც გამოისახება ტონა-კილომეტრებში.

გადასაზიდი ტვირთების მოცულობის დადგენის ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს საწარმოში წარმოებული საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, საჭირო მინერალური და ორგანული სასუქების, საწვავ-საცხები მასალების და სხვა ტვირთების რაოდენობა. მნიშვნელოვანია ასევე საწარმოს საწარმოო პროგრამით განსაზღვრული სხვადასხვა სამუშაოები, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მომსახურე დარგებში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ა.შ.

საერთო ტვირთზიდვის მოცულობა განისაზღვრება შიდასამეურნეო და მეურნეობათაშორისი გადაზიდვების (პროდუქციისა და ნედლეულის გადამმუშავებელ ქარხნებში მიწოდება, ელევატორებში ჩატვირთვა და ა.შ.) მოცულობათა დაჯამებით. მასვე ემატება სხვა ტვირთებიც, კერძოდ, სამშენებლო მასალების გადაზიდვები და სხვადასხვა მომსახურება.

როცა საწარმოში ტვირთების საშუალო მოცულობა განსაზღვრულია, შემდეგ ეტაპზე უნდა დადგინდეს იმ ტვირთების მოცულობა, რომელიც შეიძლება შესრულდეს მისაბმელიანი ტრაქტორებით, ცოცხალი გამწევი ძალის საშუალებით (ხარი, ცხენი, კამეჩი).

საწარმოსათვის საჭირო ავტომანქანების რაოდენობას განსაზღვრავენ ტონა-კილომეტრებში გათვლილი ტვირთების მთელი მოცულობის ერთი მანქანის დატვირთვის საშუალო წლიურ ნორმაზე გაყოფით.

დაეუშვათ, პირობით საწარმოში ტვირთზიდვის საერთო მოცულობა შეადგენს 430 ათას ტონა-კილომეტრს. მათ შორის ცოცხალი გამწევი ძალით და ტრაქტორებით შესაძლებელია შესრულდეს შიდასამეურნეო ტვირთების გადაზიდვები 60 ათასი ტონაკილომეტრის მოცულობით, ხოლო დანარჩენი 370 ათასი ტონაკილომეტრი უნდა შესრულდეს ორი სხვადასხვა მარკის ავტომანქანით. საწარმოში არსებული ავტომანქანების ტვირთამწეობა შეადგენს – I მარკის ავტომანქანისთვის · 3,5 ტონას (წლიური დატვირთვა – 34 ათას ტონაკილომეტრი), ხოლო მეორე მარკის ავტომანქანისთვის, შესაბამისად, 5 ტონას და 50 ათას ტონაკილომეტრს.

შესასრულებელი სამუშაოების საერთო მოცულობიდან 170 ათასი ტონა-კილომეტრი უნდა შესრულდეს პირველი მარკის, ხოლო 200 ათასი ტონა-კილომეტრი – მეორე მარკის ავტომანქანით. ამ შემთხვევაში 3,5 ტონა ტვირთამწეობის მქონე ავტომანქანებზე მოთხოვნილება

გაიანგარიშება ასეთი სქემით:

170 ათ. ტ/კმ : 34 ათ. ტ/კმ = 5, ხოლო 5 ტონა ტვირთამწეობის ავტომანქანებზე შესაბამისად იქნება 200 ათ. ტ/კმ : 50 ათ. ტ/კმ = 4 ანუ საწარმოს 370 ათასი ტონა-კილომეტრის ტვირთბრუნვის შესასრულებლად სულ ესაჭიროება 5 ერთეული I მარკის და 4 ერთეული II მარკის ავტომანქანა.

ე) მოთხოვნილების გაანგარიშება მუშახელზე

საწარმოსათვის საჭირო მუშახელის გასაანგარიშებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ცოცხალი შრომის დანახარჯების გაანგარიშება კაც-დღეებში (კაც-საათებში) თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის და მთლიანად დარგისათვის. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს: ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ფართობები, კულტურათა სახეები და მათი მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკები.

შრომის დანახარჯებს ანგარიშობენ ჯართობის ერთეულზე და გამოსახავენ კაც-საათებში, რომელთა კაც-დღეებში გადასაყვანად კაც-საათების რაოდენობას ჰყოფენ 8-ზე (8-საათიანი სამუშაო დღის არსებობის პირობებში). ასეთი წესით გაანგარიშებული შრომის საერთო დანახარჯები მოიცავს წლის ყველა პერიოდს, მაშინ როცა მუშახელზე მოთხოვნას ძირითადად გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომის სეზონი განსაზღვრავს. ამ პერიოდზე მოდის მთელი მოთხოვნილების დაახლოებით 70% (თუმცა წარმოების სპეციალიზაციის და სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი შესაძლოა მკვეთრად იცვლებოდეს).

ამდენად, მიწათმოქმედებაში შესასრულებელი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელის რაოდენობის განსასაზღვრად ჯერ დასადგენია აღნიშნული პერიოდის სამეშაოთა წილი შრომის საერთო დანახარჯებში, ხოლო შემდეგ მიღებული შედეგის გაყოფა სეზონზე სამუშაო დღეთა საშუალო რაოდენობაზე. მაგალითად, თუ ცნობილია, რომ სეზონზე სამუშაო დღეთა რაოდენობა ტოლია 250-ის, ხოლო საშუალო სეზონური მოთხოვნილება მუშახელზე შეადგენს 15 000 კაც-დღეს, მაშინ საჭირო მუშახელის რაოდენობა ტოლი იქნება 42 კაცის (15000•70:100):250 = 42.

მეცხოველეობის დარგში საჭირო მუშახელის გაანგარიშება მიწათმოქმედების დარგთან შედარებით, გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა. კერძოდ, აქ მუშახელის რაოდენობა, პრაქტიკულად, ყველა დარგის მიხედვით განისაზღვრება პირუტყვის საშუალო წლიური სულადობის გაყოფით ერთი მუშაკის დატვირთვის ნორმაზე. ამასთან ერთად, მერძეული ჯოგისათვის მუშახელის გაანგარიშება წარმოებს მწველავებზე და მესაქონლეებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით.

საწარმოში ხდება ასევე მუშახელის გაანგარიშება დამხმარე სამრეწველო საწარმოებისა და ცალკეული ორგანიზაციებისათვის, რომელთა რიცხოვნობა დამოკიდებულია ძირითადი წარმოების მოცულობაზე, დამხმარე სამრეწველო საწარმოთა სტრუქტურაზე, სიმძლავრეებზე და სხვა კონკრეტულ მაჩვენებლებზე.

მუშახელის მოთხოვნილების გაანგარიშების ტექნიკა აქაც ძირითადად იგივეა, ანუ შრომის დანახარჯის და ერთი მუშაკის საშუალო დატვირთვის შეჯარდება.

მძღოლებისა და მექანიზატორების მოთხოვნილების გაანგარიშების დროს გასათვალისწინებელია სატრანსპორტო (სამექანიზაციო) სამუშაოთა მოცულობა და ცვლიანობის კოეფიციენტი.

ასე მაგალითად, თუ საწარმოს აქვს 4 სატვირთო ავტომანქანა მუშა მდგომარეობაში, მაშინ ცვლიანობის 1,5 კოეფიციენტის გათვალისწინებით სულ საჭირო იქნება 6 მძღოლი (ასეთივე წესით იანგარიშება მექანიზატორთა რაოდენობაც).

საბოლოოდ საწარმოში დგება შრომითი რესურსების ბალანსი, რომელიც ასახავს მეურნეობაში ფაქტობრივად არსებული მუშახელის და გეგმიურად საჭირო მუშახელის რაოდენობას. დეფიციტის არსებობის შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი მუშახელის მოძებნა ადგილზე არსებული შრომითი რესურსების ან საწარმოს გარედან მოწვეულთა ხარჯზე.

5.7. ბიზნეს-გეგმა აგრარულ საწარმოთა დაგეგმვის ერთიან სისტემაში

ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც გადმოცემულია მეწარმის იდეა და მისი რეალიზაციის გზები და საშუალებები. მასში დახასიათებულია შემოთავაზებული ბიზნეს-იდეის საბაზრო, საწარმოო, ორგანიზაციული და ფინანსური ასპექტები, წარმოების მიმდინარე და პერსპექტიული მიზნები და ამოცანები. შეფასებულია მომავალი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე საწარმოო რესურსები (მათ შორის ფინანსური) მეწარმის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

აგრარულ წარმოების პრაქტიკაში ბიზნეს-გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა ჩნდება მიმზიდველი იდეა ახალი ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად ან როცა მოქმედი წარმოება, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროებს პროფილის შეცვლას და ახალი სახის პროდუქციის წარმოებაზე გადასვლას.

ბიზნეს-გეგმა შეიძლება დამუშავდეს უშუალოდ მეწარმის (ამხანაგობის, საზოგადოების და ა.შ.) მიერ (ან მისი დაკვეთით) მომავალ ბიზნეს-საქმიანობაში სახსრების დაბანდების ეფექტიანობაზე დამაჯერებელი მონაცემების მიღების მიზნით. უფრო ხშირად კი ბიზნეს-გეგმას ამუშავებენ გარედან საჭირო დაფინანსების მიღების მიზნით (ანუ ინვესტორებისათვის ახალი წარმოების გახსნის ან ძველი წარმოების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის დროს).

ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა დამოკიდებულია წარმოების ხასიათსა და მომსახურების იმ სფეროზე, რომელსაც იგი მიეკუთვნება. აგრარული მიმართულების ბიზნეს-გეგმები, რომლებიც პროდუქციის წარმოება-განაწილების ყველა სტადიას მოიცავს (რეალიზაციისა და მოხმარების ჩათვლით), უფრო ვრცელია და რთულად დასასაბუთებელი, ვიდრე ბიზნეს-გეგმები, რომლებიც მხოლოდ წარმოებული პროდუქციის გაყიდვაზეა ორიენტირებული.

ყველა შემთხვევაში ბიზნეს-გეგმა, რომელიც ინვესტორისათვის მუშავდება, უნდა შეიცავდეს აუცილებელ ეკონომიკურ მონაცემებს მისი ობიექტურად შეფასებისათვის. ამ მიზნით ბიზნეს-გეგმა უნდა სცემდეს პასუხს კითხვებზე: რამდენად კარგია ახალი წარმოების შექმნის იდეა და რამდენად რეალურია ის, ვისთან მოუწევს კონკურენცია და რა შანსები აქვს მეწარმეს გამარჯვებისათვის და ა.შ.

ბიზნეს-გეგმას არსებითი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, თვით მეწარმისათვის (განსაკუთრებით, ახალდამწყები ბიზნესმენისათვის). კერძოდ, ბიზნეს-გეგმის დამუშავება ეხმარება მეწარმეს ნათლად წარმოიდგინოს მიზანი და მისი შესრულების საშუალებები, ის სიძნელეები და რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას დასახული მიზნის რეალიზაციის დროს, დროულად დასახოს ღონისძიებები მათ დასაძლევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიზნეს-გეგმა მეწარმეს აძლევს საშუალებას ინფორმაციას, თუ რა სასტარტო კაპიტალი დასჭირდება მას, რა იქნება სესხის მომსახურებისათვის საჭირო თანხა, რა ფინანსური რისკია მოსალოდნელი მოცემულ ბიზნესში და ა.შ.

ბიზნეს-გეგმა დამწყები ბიზნესმენისათვის წარმოადგენს სავიზიტო ბარათს, რომლის მიხედვითაც მისი პარტნიორები (კრედიტორები), იმსჯელებენ პროექტის მიმზიდველობაზე და რეალობაზე. ის აძლევს დამწყებ მეწარმეებს მენეჯერის თვისებებს, ასწავლის მათ, თუ როგორ შეაფასონ საბაზრო კონკურენცია, როგორ დაგეგმონ პროდუქციის რეალიზაცია და საფინანსო საქმიანობა საბაზრო კონიუნქტურის ცვლილების სხვადასხვა სცენარის პირობებში.

ბიზნეს-გეგმა საწარმოს სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილია, რომელიც, როგორც წესი, 3-5 წლიან პერიოდს მოიცავს. ამასთან, სტრატეგიული გეგმისაგან განსხვავებით, ის მოიცავს საწარმოს განვითარების საერთო მიზნებს და მათგან მხოლოდ ერთ ძირითადს, რომელიც დაკავშირებულია ახალი ბიზნესის შექმნასა და განვითარებასთან. ის პრაქტიკულად წარმოადგენს ახალ საქმეში გათვალისწინებული ინვესტიციების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას (თუმცა უფრო ფართოდ და დეტალურად).

ბიზნეს-გეგმის დამუშავებაში გამოყოფენ მოსამზადებელ და ძირითად ეტაპებს.

პირველ ეტაპზე ხდება შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება პროდუქტზე (მომსახურებაზე) პოტენციური მოთხოვნის, საწარმოო და ფინანსური რესურსების საჭიროების შესახებ, განისაზღვრება ძლიერი და სუსტი მხარეები, წამოწყების მიზანი და ამოცანა. ამ ეტაპზე წინასწარ ბიზნეს-გეგმის შედგენამდე უნდა შეფასდეს ახალი წარმოების კონცეფციის სიცოცხლისუნარიანობა ანუ უნდა მომზადდეს მცირე საფუძველი ბიზნეს-გეგმის დასამუშავებლად.

საერთოდ, ბიზნეს-გეგმა შედგება შემდეგი ძირითადი განყოფილებებისაგან:

– **სატიტულო ფურცელი.** მოიცავს ბიზნეს-გეგმის დასათაურებას, მისი დამმუშავებლების, საწარმოს სრულ დასახელებას, მისამართს და თარიღს, პროექტის ღირებულებას და სხვა მონაცემებს (იხ. დანართი);

– **შესავალი ნაწილი.** იგი, როგორც წესი, მზადდება მას შემდეგ, რაც უკვე შედგენილია მთელი ბიზნეს-გეგმა. მასში გადმოცემულია (მოკლედ) წარმოების განვითარების არსი, მისი უპირატესობანი, ნაჩვენებია მარკეტინგული და ფინანსური კვლევის შედეგები, ნაჩვენებია ძირითადი საწარმოო-ეკონომიკური შედეგები (წარმოება, დანახარჯები, რეალიზაცია, მოგება, რენტაბელობა, დაბანდებათა გამოსყიდვის ვადა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასში ხაზგასმული იყოს საინვესტიციო მიმზიდველობა, საიმედოობა და პროექტის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სიახლეები. შესავალი ნაწილის შინაარსის მიხედვით პოტენციურ ინვესტორს უნდა შეეძლოს შეაფასოს პროექტი, დაინახოს მასში მიმზიდველობა, რათა ყურადღებით და კრიტიკულად წაიკითხოს ის;

– **საწარმოს დახასიათება.** მასში გადმოცემული და გაანალიზებულია დარგის განვითარების საერთო მდგომარეობა მიმდინარე მომენტში, ტენდენციები. პროდუქციის (მომსახურების) სახეები და ნომენკლატურა, საწარმოს სიმძლავრეები (მიწის ფართობი, პირუტყვის სულადობა, ტექნიკა და ა.შ.). ამ განყოფილებაში ნაჩვენებია ასევე სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობი ფაქტორები, უპირატესობანი კონკურენტებთან შედარებით, ფუნდუსრუნველყოფა და სხვა ის მაჩვენებლები, რომლებიც სრულ წარმოდგენას შეუქმნის პოტენციურ ინვესტორს საწარმოს შესახებ;

– **საწარმოო გეგმა.** აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში უფრო ხშირად მუშავდება მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარების ბიზნეს-გეგმები, რომლებიც პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზეა ორიენტირებული. ასეთ პირობებში ბიზნეს-გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განყოფილებას საწარმოო გეგმა წარმოადგენს. იგი უნდა მოიცავდეს დარგის საწარმოო ბაზას, იმას, თუ რა საშუალებებია საჭირო პროდუქციის წარმოებისათვის, როგორი იქნება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, ჯოგის (ფარის, კოლტის) ბრუნვა და ა.შ.;

– **მარკეტინგული გეგმა.** იგი მოიცავს დარგის განვითარების საერთო მიმოხილვას, კონკურენტების შეფასებას და მარკეტინგული სტრატეგიის შერჩევას (განსაზღვრას). მასში მოცემული უნდა იყოს სამომხმარებლო ბაზრის ტევადობა, მისი დინამიკა (ზრდის თუ შემცირების ტენდენცია), პროდუქციის მომხმარებლები და მათი მიდრეკილებები. საჭიროა გაკეთდეს დასკვნა ბაზრის მიმზიდველობის შესახებ და განისაზღვროს წარმოებული პროდუქციის მოცემულ ბაზარზე გასაღების პოტენციური წილი. პროგნოზი საჭიროა გაკეთდეს კონკურენტების პროდუქციის რაოდენობის, ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით, ანალოგიური პროდუქციის მწარმოებლების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სხვა მონაცემების მხედველობაში მიღებით.

. ამავე განყოფილებაში უნდა აღიწეროს მარკეტინგის სტრატეგია ანუ თუ როგორ გაიყიდება პროდუქცია – საკუთარი საფირმო მაღაზიების თუ საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციის საშუალებით, როგორი იქნება ფასწარმოქმნის პოლიტიკა და საპროექტო რენტაბელობა, როგორ და რა არხებით წარიმართება რეკლამა, რა ფინანსური სახსრები იქნება ამ მიზნით გამოყოფილი, როგორი იქნება პროდუქციის რეალიზაციის თანდათან გადიდების ტაქტიკა და სტრატეგია. მარკეტინგულმა კვლევამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს პროდუქციაზე შესაძლო მოთხოვნის, ფასების, დანახარჯების, მოგების და სხვა საპროექტო ეკონომიკური პარამეტრების შესახებ.

მარკეტინგული გეგმა ბიზნეს-გეგმის

უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის გაცნობის შემდეგ პოტენციური ინვესტორი უნდა დარწმუნდეს მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაციის სინამდვილეში. საყურადღებოა, რომ მოქმედ საწარმოებში მარკეტინგული გეგმა ერთი წლით ადრე დგება. საჭიროების შემთხვევაში ის განიცდის ყოველთვიურ და შესაძლოა ყოველკვირეულ კორექტირებასაც (ბაზარზე მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით);

– **ორგანიზაციული სტრუქტურა (გეგმა).** ამ განაკვეთში ნაჩვენებია შესაქმნელი საწარმოს საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. მმართველობითი აპარატის სტრუქტურა და ურთიერთდამოკიდებულება აპარატის წევრებს შორის, ანაზღაურების სისტემა და განაკვეთები. ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მმართველობითი აპარატის მოქნილობას და ოპტიმალურობას, რაც რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი აუცილებელი წანამძღვარია;

– **მოსალოდნელი რისკების შეფასება.** მეწარმე ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს მოსალოდნელ პრობლემებს და წინასწარ შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრატეგია მათ დასაძლევად. საშიშროება და გამოწვევები შესაძლებელია წარმოების კონკურენტების მხრიდან, საწარმოს მართვაში დაშვებული საკუთარი შეცდომებიდან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესიდან (მორალურად უვარგისი გახადოს ძირითადი ფონდები, ტექნოლოგია და ა.შ.). გასათვალისწინებელია ასევე ინფლაციის, საგადასახადო პოლიტიკის, ექსპორტ-იმპორტის რეჟიმის ცვლილებები და სხვა ფაქტორები, რომლებიც არა მარტო დაფიქსირებული უნდა იყოს ამ განაყოფში, არამედ მოცემული უნდა იქნეს ღონისძიებები თითოეული მათგანის წარმოშობის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად. იგულისხმება ალტერნატიული პროგრამების არსებობა, ქონებისა და მოსავლის დაზღვევა, წარმოების დივერსიფიკაცია და ა.შ.;

– **ფინანსური გეგმა.** ბიზნეს-გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განყოფილებაა. იგი განსაკუთრებით ყურადსაღები და აქტუალურია პოტენციური ინვესტორისათვის, რამდენადაც ის ასაბუთებს ახალი წარმოების მოთხოვნებს ინვესტიციებზე და საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რამდენად მიზანშეწონილია პროექტის დაფინანსება ეკონომიკური თვალსაზრისით. იგი უნდა მოიცავდეს შემოსავალ-გასავლის ნაერთ პროგნოზს, მოგების, რენტაბელობის, ფულადი ნაკადების ფინანსურ ანალიზს პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით. ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების და დანახარჯების სწორად გათელა დროში. ბიზნეს-გეგმის ფინანსური შეფასება წარმოებს ისეთი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა წმინდა დისკონტირებული ღირებულება, რენტაბელობის შიდა ნორმა, დაბანდებათა გამოსყიდვის ვადა, სესხების დაფარვის ვადა და ა.შ.

გარდა ინვესტორისა, ბიზნეს-გეგმის ეს განყოფილება მნიშვნელოვანია თვით მეწარმისათვის, რამდენადაც იგი წარმოადგენს პრაქტიკულად ყველა მანამდე განხილული განყოფილების შედეგებს. იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ საიდან მიიღებს ფირმა ფინანსებს, რაზე დაიხარჯება, როგორი იქნება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა საგეგმო პერიოდის ბოლოსათვის და ა.შ.

– **დანართი.** ბიზნეს-გეგმის დანართად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი ტექსტის ნაწილს, მაგრამ ბიზნეს-გეგმაში არის მითითებული. ესაა ხელშეკრულებების ასლები, მარკეტინგული კვლევის შედეგები, დამმარე ცხრილები, გაანგარიშებები და ა.შ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნეს-გეგმის დამუშავების ეტაპები და მისი სტრუქტურა მკაფიოდ არ არის დადგენილი, რადგან მატერიალური წარმოების ნებისმიერ დარგს და სფეროს თავისი სპეციფიკა და თავისებურებანი გააჩნია. ამ მხრივ გამონაკლისი არც აგრარული წარმოებაა, სადაც მრეწველობასთან, ვაჭრობასთან და სხვა დარგებთან შედარებით, სრულიად განსხვავებული საწარმოო პირობები არსებობს. აღნიშნულის გამო, აქ ფინანსური გეგმის თვეების მიხედვით შედგენა, უმეტესწილად, მოუხერხებელია (საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის გამო), მაშინ როცა მრეწველობის სფეროში ფულადი შემოსავალ-გასავლის პროგნოზები, ნაღდი ფულის მოძრაობა და სხვა მაჩვენებლები, როგორც წესი,

თვეების მიხედვით კეთდება.

ბიზნეს-გეგმის ძირითადი შემადგენელი ნაწილების ქვემოთ თანდაროული ნიმუშები მაქსიმალური მიახლოებით ასახავს მეცხოველეობის დარგებში ბიზნეს-გეგმის შედგენის ტექნოლოგიას და მის სტრუქტურას, დამუშავების ეტაპებს და თანმიმდევრობას.

ბიზნეს-გეგმა დამწყები მეწარმისათვის გარკვეული ორიენტირია, განსაკუთრებით არსებობის პირველი, ყველაზე ძნელი წლებისათვის. მასში მოცემული მანვენებლების გაანალიზების საფუძველზე მეწარმეს შეუძლია იმსჯელოს მიდის საქმე ისე, როგორც გათვალისწინებული იყო თუ არა. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნეს-გეგმა აუცილებელია მეწარმისათვის საჭირო ინვესტორის მოძებნის შემდეგაც.

ბიზნეს-გეგმის წარმატებით რეალიზაციას დიდად უწყობს ხელს მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლის სათანადო სისტემის შექმნა და მასში საჭირო ცვლილებების დროული შეტანა. კონტროლს უნდა დაექვემდებაროს როგორც საწარმოო პროცესი, ასევე პროდუქციის ხარისხი და მასზე ფასწარმოქმნა, გაყიდვების რაოდენობა; დანახარჯები წარმოებაზე, ფულადი შემოსავლები, გასავლები და სხვა პროცესები, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავს წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ქვეყანაში ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს ცვლილებებმა (აგრეთვე თვით საწარმოს შექმნით მომხდარმა ცვლილებებმა) შეიძლება დააყენოს ბიზნეს-გეგმის გადასინჯვის საკითხი. მეწარმემ უნდა გააცნობიეროს დარგსა თუ საბაზრო კონიუნქტურაში მომხდარი ცვლილებები, ჩამოყალიბებული ტენდენციები და შეიტანოს საჭირო კორექტივები ბიზნეს-გეგმაში. ეს საშუალებას მისცემს მას მთავარი მიზნის შეცვლის გარეშე შეცვალოს საწარმოს წარმატების მიღწევის გზები და აამაღლოს წარმოების განვითარების შანსი ახალ პირობებში.

დანართი 1

სატიტულო ფურცლის ნიმუში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სანახშირე“

მისამართი: ზესტაფონის რაიონი, სოფელი სანახშირე

ტელეფონი:

დამფუძნებლები: ზურაბ ზიბზიბაძე, დიმიტრი ჩიხლაძე, ალეკო გურგენაშვილი, ლევან ლობჟანიძე

წარმოდგენილი პროექტის არსი: საზოგადოება ძირითადად ორიენტირებულია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე. მოცემული ბიზნეს-გეგმა დამუშავებულია მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიზნით.

პროექტის ღირებულება: საჭიროა 100 ათასი ლარი სესხი 5 წლის ვადით. თანხა გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების, ჯიშიანი პირუტყვის და ფუტკრის ოჯახების შესაძენად, აგრეთვე მიწის სავარგულის იჯარისათვის და სხვადასხვა საოპერაციო ხარჯებისათვის.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია კონფიდენციალურია და წარმოადგენს შპს „სანახშირეს“ საკუთრებას. მისი გადაღება ან გამოქვეყნება საზოგადოების წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.

დანართი 2

ძირითადი საშუალებების შეძენისა და მშენებლობისათვის საჭირო თანხების გაანგარიშება 2007 წლისათვის

ძირითად საშუალებათა დასახელება	შესაძენი ქონების რაოდენობა (ერთეული)	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ საჭირო თანხა (ათ. ლარი)	მათ შორის	
				სესხი (ათ. ლარი)	საკუთარი (ათ. ლარი)
1	2	3	4		
ძროხები					
ბულა მწარმოებლები					
სანაშენე დედა ღორი					
ფუტკრის ოჯახები					
ტრაქტორი					
სატრანსპორტო საშუალებები					
საძროხე 100 სულზე					
და სხვ.					

დანართი 3

კაპიტალური, საოპერაციო და კომერციული ხარჯების გაანგარიშება

(ათ. ლარი)

დანახარჯების მუხლები	2007	2008	2009	2010	2011	საშუალოდ 2007-2011 წწ.
1	2	3	4	5	6	7
ჯიშიანი პირუტყვის შეძენა						
მათ შორის ძროხები						
დედალღორები						
ფუტკრის ოჯახები						
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა						
სულ კაპიტალური ხარჯები						
ხელფასი						
სათადარიგო ნაწილების, მედიკამენტების შეძენა						
წვრილი ინვენტარი						
ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია						
კომუნალური და სხვა ხარჯები						
სულ საოპერაციო ხარჯები						
კომერციული ხარჯები						
სულ კაპიტალური, საოპერაციო და კომერციული ხარჯები						

დანართი 4

საწარმოში დაკავებულ მუშაკთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ფონდის გაანგარიშება

დანახარჯების მუხლები	ზომის ერთეული	2007	2008	2009	2010	2011	საშუალოდ 2007-2011 წწ.
1	2	3	4	5	6	7	8
ხელმძღვანელი	კაცი						
სპეციალისტები (ვეტექიმი, ზოოტექნიკოსი და ა.შ.)	კაცი						
დაცვის სამსახური	კაცი						
საშუალო ხელფასი თვეში	ლარი						
ხელფასის წლიური ფონდი	ლარი						
დარიცხვა ხელფასზე	ლარი						
სულ ხელფასის ფონდი დარიცხვით	ლარი						

დანართი 5

პირუტყვის სულადობის და ფუტკრის ოჯახების დინამიკა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების პროგნოზი 2007-2011 წლებში

ჯიშისა და კოლტის ბრუნვა. პროდუქციის გამოსავალი	2007	2008	2009	2010	2011	საშ. 2007-2011 წწ.
1	2	3	4	5	6	7
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი:						
სულადობა წლის დასაწყისში						
მათ შორის ძროხა						
შეძენილი იქნება წლის განმავლობაში სულ						
მათ შორის ძროხა						
უშობელი და დეკეული						
გადაყვანილი იქნება ძროხების ჯგუფში						
მიღებული იქნება ნამატი						
დაიკლება სულ						
მათ შორის გამოწუნებული ძროხა						
პირუტყვის დაცემა და იძულებითი დაკვლა						
სულადობის გასავალი სულ						
სულადობა წლის ბოლოსათვის						
მათ შორის ძროხა						
ხორცის რეალიზაცია (ტონა)						
შედორებობა						
ღორის სულადობა წლის დასაწყისში						
მათ შორის დედაღორი						
სანაშენე ნუსვების შეძენა						
გადაყვანილი იქნება ნეზვები დედაღორებში						
მიღებული იქნება სულ გოჭი						
დაიკვლება სახორცედ (გამოწუნებული დედაღორის ჩათვლით)						

დანართი 5 (გაგრძელება)

დაცემა და იძულებითი დაკვლა						
ღორის სულადობა წლის ბოლოსათვის						
მათ შორის დედაღორი						
ღორის ხორცის რეალიზაცია (ტონა)						
რძის წარმოება						
ძროხების საშუალო წლიური სულადობა						
წველადობა ერთ ძროხაზე, კგ						
რძის წარმოება სულ, საბაზისო ცხიმიანობაზე გადაანგარიშებით (ტ)						
მათ შორის გამოყენებული იქნება:						
ხბოების გამოსაკვებად (ტ)						
ბაზარზე სარეალიზაციოდ (ტ)						
მეფუტკრეობა						
ფუტკრის ოჯახების რაოდენობა წლის დასაწყისში						
ფუტკრის ოჯახების ბაზარზე შესყიდვა						
ფუტკრის ნაყარის მიღება						
ფუტკრის ოჯახების რაოდენობა წლის ბოლოს						
მათ შორის თაფლის მომცემი ოჯახები						
თაფლის წარმოება ერთ ოჯახზე (კგ)						
მათ შორის სარეალიზაციოდ (კგ)						
სულ თაფლის რეალიზაცია (ტ)						
მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქცია სულ ნატურაში (ტ)						
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი						
ღორის ხორცი სულ, ტ						
სასაქონლო რძე სულ, ტ						
სასაქონლო თაფლი სულ, ტ						

დანართი 6

მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მისაღები ამონაგები 2007-2011 წლებში

	2007			2008			2009			2010			2011		
	ტონა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ამონაგები (ათ. ლარი)	ტონა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ამონაგები (ათ. ლარი)	ტონა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ამონაგები (ათ. ლარი)	ტონა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ამონაგები (ათ. ლარი)	ტონა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ამონაგები (ათ. ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
საქონლის ხორცი															
ღორის ხორცი															
რძე															
თაფლი															
სულ ამონაგები რეალიზაციიდან															

მოგება-ზარალის ანგარიში მეცხოველეობაში (ლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	სულ 2007-2011 წწ.	საშ. 2007-2011 წწ.
1	2	3	4	5	6		7
პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგები	12000	18000	21000	24000	26000	101000	20200
რეალიზებულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯები სულ	10000	15000	17000	20000	21000	83000	16600
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება							
კომბინირებული საკვები							
სხვა სახის საკვები							
სხვა პირდაპირი ხარჯები							
საერთო საწარმოო ხარჯები							
საერთო სამეურნეო ხარჯები							
საბალანსო მოგება							
მოგების გადასახადი							
სუფთა მოგება							
მოგების ნაზარდი ჯამი							
დისკონტირებული შემოსავლები	10908	14868	15771	16392	16146	74085	14817
დისკონტირებული დანახარჯები	9090	12390	12767	13660	13040	60947	12190

როცა დადგენილია (ბიზნეს-გეგმით) ყოველწლიური ფულადი შემოსავლები და ინვესტიციები (დანახარჯები), საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობა ანუ გამოითვალოს პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება, რენტაბელობის დონე და ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა (წლებში).

მე-7 დანართის ცხრილში მოცემული რიცხობრივი მონაცემების თანახმად, პროექტის საშუალო წლიური წმინდა დისკონტირებული ღირებულება 2627 ლარს შეადგენს (14817-12190), ხოლო პროექტის რენტაბელობის დონე 21.5%-ს (2627:12190). ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ბიზნეს-გეგმის ეკონომიკური ეფექტიანობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. განმარტეთ აგრარული საწარმოს დაგეგმვის არსი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები.
2. დაახასიათეთ აგრარული საწარმოს პრაქტიკაში არსებული დაგეგმვის მეთოდები. განასხვავეთ დირექტიული და ინდიკატური დაგეგმვის ფორმები ერთმანეთისაგან.
3. ახსენით, როგორ წყდება აგროწარმოებაში გამოყენებული საბრუნავი საშუალებების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრის პრობლემა. რა არის ზღვრული სარგებლიანობა და რა გამოყენება აქვს მას თანამედროვე აგრარულ წარმოებაში?
4. რა პრინციპებს ემყარება მიწათმოქმედების დარგების შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობა?
5. რა მნიშვნელობა აქვს მარგინალური ეფექტის გაანგარიშებას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის?
6. კონკრეტული მეურნეობის მაგალითზე გაიანგარიშეთ მრავალწლიან კულტურათა ეკონომიკური ეფექტიანობა მარგინალური შემოსავლის მიხედვით ყველაზე შეზღუდულ რესურსზე.

7. რა არის კონკურენტული კულტურის თანაზომადი მოსაელიანობა და როგორ იანგარიშება ის?
8. გაიანგარიშეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაელიანობის საპროგნოზო მაჩვენებლები უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით.
9. პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე გაიანგარიშეთ აგრარული საწარმოს მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე და საწვავ-საცხებ მასალებზე.
10. გაიანგარიშეთ აგრარული საწარმოს მოთხოვნილება ტრაქტორებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე.
11. ახსენით ბიზნეს-გეგმის არსი, მისი დანიშნულება და სტრუქტურა.
12. დაახასიათეთ მიწათმოქმედების დარგების გაძღოლის ძირითადი ეკონომიკური პრინციპები.
13. რას პრინციპი განსაზღვრავს აგრარულ საწარმოში ოპტიმალურ საწარმოო სტრუქტურას?
14. რატომაა საჭირო ალტერნატიული დანახარჯებია გათვალისწინება აგრარულ საწარმოში მარგინალური შემოსავლის გაანგარიშების დროს?

ტესტი

1) ალტერნატიული მიწათმოქმედების განვითარება ნაკარნახევია:

ა) მსოფლიო სასუსათო კრიზისით
ბ) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვით
გ) გარემოს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობით
დ) ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი მიზნებით

2) ალტერნატიული დანახარჯების გათვალისწინება საშუალებას იძლევა აგრარულ წარმოებაში შერჩეულ იქნეს:

ა) შეზღუდული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტი
ბ) ბუნებრივი რესურსების საუკეთესო ვარიანტი
გ) საინვესტიციო პროექტების საუკეთესო ვარიანტი
დ) საწარმოს საუკეთესო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

3) აგრარულ წარმოებაში ოპტიმალურად ითვლება ის საწარმოო დარგობრივი სტრუქტურა, რომელსაც სხვა თანაბარ პირობებში აქვს:

ა) საერთო პროდუქციის წარმოების მაღალი დონე
ბ) სასაქონლო პროდუქციის წარმოების მაღალი დონე
გ) მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების დაბალი დონე
დ) მარგინალური შემოსავლების ყველაზე მაღალი ჯამი

4) აგრარული საწარმოს შრომითი რესურსების ბალანსი ასახავს:

ა) საწარმოში დასაქმებულთა ასაკობრივ სტრუქტურას
ბ) საწარმოში დასაქმებულთა კვალიფიკაციას
გ) საწარმოში მუშახელის დეფიციტს ან სიჭარბეს
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

5) აგრარული წარმოების პრაქტიკაში ბიზნეს-გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა:

ა) არსებული საწარმო საჭიროებს პროფილის შეცვლას
ბ) ჩნდება ახალი იდეა ახალი ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად
გ) საჭიროა აუცილებელი ღონისძიებების გატარება ბანკროტობისაგან
დ) საჭიროა მოქმედი საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა-მოდერნიზაცია

ნ) ბიზნეს-გეგმის შემადგენელი ფინანსური გეგმა ყურადსაღები და აქტუალურია:

ა) საგადასახადო სამსახურებისათვის
ბ) ფინანსური პოლიციისათვის
გ) პოტენციური ინვესტორისათვის
დ) თვით საწარმოსათვის (მეწარმისათვის)

VI თავი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები აბრარულ საწარმოში

6.1. მეცხოველეობა, როგორც აბრარული წარმოების ძირითადი დარგი

მეცხოველეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია მეტ-ნაკლებად წარმოდგენილი. იგი იძლევა ადამიანისათვის საჭირო ისეთ კვების პროდუქტებს, როგორიცაა: ხორცი, რძე, კვერცხი, თაფლი და სხვ., მსუბუქი მრეწველობისათვის – მატყლს, ტყავს, აბრეშუმის პარკს, ბეწვს და სხვა სახის ნედლეულს, საიდანაც ყართო მოხმარების სხვადასხვა საქონელი იწარმოება.

ეს დარგი იძლევა მნიშვნელოვან ნედლეულს ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოებისათვის, ხოლო პირუტყვის სამრეწველო გადამუშავების შემდეგ მიღებული ანარჩენები (სისხლი, რქები, ჩლიქები და სხვ.), სათანადო დამუშავების შემდეგ, გამოიყენება სხვადასხვა სასარგებლო საგნების (ნივთების) დასამზადებლად.

მეცხოველეობა ამარაგებს სოფლის მეურნეობას მეტად საჭირო ორგანული სასუქით, რომელიც თავისი ღირსებით ბევრად აღემატება მინერალურ სასუქებს.

მეცხოველეობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასოგადოების საერთო კეთილდღეობას. საყურადღებოა, რომ მეცხოველეობის პროდუქტები ადამიანის კვების რაციონში კალორიულობის მიხედვით 30 პროცენტს, ხოლო ცილების მიხედვით – 60 პროცენტზე მეტს შეადგენს.

არცთუ შორეულ წარსულში მეცხოველეობის დარგის განვითარების გარეშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება წარმოუდგენელიც კი იყო. ცოცხალი გამწევი ძალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურაში საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა დომინანტურ მდგომარეობას. დღესაც, რიგ განვითარებად ქვეყნებში, ცოცხალი გამწევი ძალა (ცხენი, ხარი, კამეჩი) კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობაში (შრომატევადი სამუშაო ოპერაციების შესასრულებლად).

მეცხოველეობა ერთგვარ სიმბიოზურ კავშირშია მემცენარეობასთან (რომელიც, როგორც დარგი, მასზე ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა). ეს უკანასკნელი მეცხოველეობის განვითარების საფუძველს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თავისი უნიკალური საკვების მომნელებელი სისტემით, გადაამუშავებს რა მცენარის სხვადასხვა ნაწილებს, იძლევა მცენარეული მასალისაგან ფრიად განსხვავებულ და უფრო მაღალი ღირებულების მქონე კვების პროდუქტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პირუტყვი ახერხებს მწვანე მასიდან შექმნას ხორცი, რძე და სხვა აუცილებელი პროდუქტები. მემცენარეობასთან შედარებით მეცხოველეობა უფრო შრომატევადი და კაპიტალტევადი დარგია (პირიტყვი და ფრინველი სასაჭიროებს შენობა-ნაგებობებს, ბაგების, მოვლაპატრონომას მთელი წლის განმავლობაში და ა.შ.). ამასთან, ამ დარგის „მარგი ქმედების კოეფიციენტი" გაცილებით დაბალია მემცენარეობასთან შედარებით, რაც ძირითადად პირუთვეისა და ფრინველის შედარებით დაბალ ბუნებრივ რეპროდუქციას უკავშირდება. გარდა ამისა, მეცხოველეობა თავისი სპეციფიკით არსებითად განსხვავდება მიწათმოქმედებისგან მობილურობით, ნაკლები სეზონურობით, გარემოსთან კავშირურთიერთობით და ა.შ. (პირუტყვი, მცენარისგან განსხვავებით, მოიხმარს ჟანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანგს, ანუ არის გარემოს დამბინძურებელი).

მეცხოველეობის დარგების განვითარება, ანუ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება პრაქტიკულად სამრეწველო საწარმოში საქმიანობის მსგავსია, განსაკუთრებით მსხვილ მერძეულ კომპლექსებში, პირუტყვის სასუქ მოედნებზე, მეფრინველეობის ფაბრიკებში და ა.შ. ამ დარგში წარმოებულ პროდუქტებზე, როგორც წესი, დიდი მოთხოვნილებაა, რის გამოც მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე განხორციელებულ კაპიტალურ დაბანდებებს გამოსყიდვის შედარებით ხანმოკლე პერიოდი ესაჭიროება.

მეცხოველეობის, როგორც დარგის,

უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი იძლევა მიწათმოქმედების დარგებთან რაციონალური შეთანაწყობის და სპეციალიზაციის სწორად განსაზღვრის, შრომითი რესურსების, წარმოების ანარჩენების და სხვა საწარმოო რესურსების (მათ შორის მიწის, საწარმოო ფონდების) უფრო მიზანმიმართული გამოყენების საშუალებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყლიანობის ამაღლებასა და წარმოების რენტაბელურ განვითარებაში აისახება.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის დარგები უზრუნველყოფს:

– შედარებით დაბალი ხარისხის მქონე ორგანული მცენარეული რესურსის უფრო მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებად გადამუშავებას;

– შრომითი რესურსების გამოთანაბრებულ დატვირთვას წლის განმავლობაში;

– მემცენარეობის დარგების მომარაგებას ორგანული სასუქით;

– თესლბრუნვაში საკვები კულტურების ჩაროვას (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი), რომლებიც, როგორც წესი, კარგი წინამორბედებიან მიწათმოქმედების სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის;

– საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მისი ლიკვიდურობის ხარისხის გაუმჯობესებას წლის განმავლობაში ამონაგების რეგულარულად შემოსვლის საფუძველზე.

მეცხოველეობის დარგებს მრავალი ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ, მათ შორის პირუტყვის სახეობისა და წარმოებული პროდუქციის, პირუტყვის შენახვის წესის, გამოყენებული საკვების და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მათგან, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია სახეობრივი ნიშნის მიხედვით პირუტყვის დაყოფა მცოხნელებად და არამცოხნელებად. პირველს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა მიეკუთვნება, რომელთაც აქვთ შესაბამისი მოძრელებელი აპარატი უხე'ში და წვნიანი საკვების მაღალყუათიან კვების პროდუქტებად გადამუშავებისთვის, ხოლო არამცოხნელებს – ღორი და ფრინველი, რომლებიც უფრო დიდ მოთხოვნას კონცენტრირებულ საკვებს უყენებენ. პირუტყვის ასეთი დაყოფა გარკვეულწილად განაპირობებს საწარმოს ნათესი ფართობის სტრუქტურაში მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსნებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხვედრით წონებს. ყველა შემთხვევაში, საწარმოში არამცოხნელი პირუტყვის არსებობა განაპირობებს საკუთარი თუ შეძენილი მარცვლეული საკვები ბაზის შექმნას, ხოლო მცოხნელი პირუტყვის არსებობა ძირითადად საკუთარი საკვები ბაზის განვითარებას ეყუძნება (უხეში და წვნიანი საკვების შორ მანძილზე ტრანსპორტირების დიდი დანახარჯების არამიზანშეწონილობის გამო). ამდენად, თუ არსებობს ადგილზე ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გამოყენებით უხეში და წვნიანი საკვების წარმოების საშუალება, უპირატესობა, როგორც წესი, მცოხნავ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო მარცვლეულისა და მისი გადამუშავების ნარჩენების არსებობის შემთხვევაში – არამცოხნელ პირუტყვს – ღორსა და ფრინველს. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ საკვები ბაზა ყოველთვის იყო (და დარჩება მომავალშიც) მეცხოველეობის განვითარების საფუძველი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასევე პირუტყვის ფუნქციონალური დაყოფა. ძირითადად გამოყოფენ მერძეულ პირუტყვს (ძირითადი ჯოგი), მოზარდის გამოზრდას და სუქებას. პირველი დანარჩენი ორისგან განსხვავდება იმით, რომ მერძეული ჯოგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში, მაშინ როცა პირუტყვის მოზარდის გამოზრდას და სუქებაზე დაყენებას აქვს სეზონური ხასიათი.

მეცხოველეობაში რამდენიმე ძირითადი დარგი და მიმართულება გამოიყოფა, მათ შორის: 1) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული ჯოგი, მეხორცული მიმართულება და შერეული (სარძეო-სახორცე და სახორცე-სარძეო); 2) მეღორეობა – მეხორცული, ნახევრად მეხორცული და საქონე; 3) მეცხვარეობა – ნაზმატყლიანი, ნახევრად ნაზმატყლიანი, საქურქე, სახორცე და სამატყლე; 4) მეფრინველეობა – მეკვერცხული, სახორცე და შერეული.

6.2. მეცხოველეობის დარგების დაგეგმვა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის წლიური ბრუნვა

მეცხოველეობის დარგების არჩევანს და მათი განვითარების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების ოპტიმალურ სიდიდეს მეცხოველეობის პროდუქციაზე სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნა, თითოეული დარგის ეფექტიანობის მიღწეული დონე, საწარმოს სპეციალიზაცია და ბუნებრივ-კლიმატური პირობები განსაზღვრავს.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და სტრუქტურა კონტროლდება პროდუქციის გამოსავლიანობით, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ჯოგის წლიური ბრუნვის კვალიფიციურ შედგენაზე.

ჯოგის წლიური ბრუნვის უწყისის შედგენა საწარმოს საშუალებას აძლევს დაადგინოს როგორც პირუტყვის საშუალო წლიური რაოდენობა, ასევე პროდუქციის საერთო გამოსავალი. პირველი მაჩვენებლის გაანგარიშება საჭიროა პირუტყვის საკვებისა და მეცხოველეობის შენობა-ნაგებობებში პირუტყვ-ადგილების გასაანგარიშებლად, ხოლო მეორე – მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შესაძლო მოცულობის დასადგენად.

პირუტყვის მოძრაობაზე მოქმედებს ისეთი სპეციფიკური პირობები, როგორიცაა პირუტყვის მაკეობის ბიოლოგიური პერიოდი, ბერწიანობა და ა.შ.

განასხვავებენ ჯოგის როგორც მარტივ, ისე გაფართოებულ კვლავწარმოებას. როგორც ტერმინები გვიჩვენებს, პირველის დროს პირუტყვის სულადობა უცვლელია საგეგმო წლის დასაწყისში და მის ბოლოს, ხოლო გაფართოებული კვლავწარმოებისას ჯოგის სულადობის ზრდაა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული კონიუნქტურის შესაბამისად.

ჯოგის ბრუნვის უწყისის შედგენა იწყება სათანადო კითხვების მქონე ცხრილში (უწყისში) საგეგმო წლის დასაწყისში არსებული პირუტყვის სულადობის დაფიქსირებით. შემდეგ ახდენენ პირუტყვის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით პირუტყვის მოძრაობას ანუ წლის განმავლობაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით ამცირებენ ან ადიდებენ მათ სულადობას (ყველა სახეობის პირუტყვის ჯოგში წლის განმავლობაში მიიღება ნამატი, მოზარდი გადადის ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში, ხდება ხანდაზმული, დაბალპროდუქტიული პირუტყვის გამოწუნება, არის იძულებითი დაკლის, პირუტყვის დაცემის შემთხვევები და ა.შ.).

მას შემდეგ, რაც 6.1 ცხრილში შეტანილი იქნება ყველა ამოსავალი (საწყისი) მაჩვენებელი, უფრო მოსახერხებელია ჯოგის ბრუნვის შედგენა დაიწყოს ხანდაზმული ძროხების გამოწუნებით. ამ დროს მხედველობაში მიიღება წლის დასაწყისში საწარმოში არსებული უშობლების რაოდენობა ან ფურების გამოწუნების წინასწარ დადგენილი ნორმატიული სიდიდე.

ჩვენ პირობით მაგალითში ძროხების გამოწუნების მაჩვენებელი 50 სულის ტოლია, რომლებიც, როგორც წესი, უნდა წავიდეს რეალიზაციაში (გრაფა 6-ში).

შემდეგ ეტაპზე წარმოებს ძროხებისა და უშობლებისაგან ნამატის მიღების მაჩვენებლის გაანგარიშება გეგმური (ნორმატიული) კოეფიციენტის გათვალისწინებით. ჩვენს მაგალითში ის შეადგენს 90%-ს ანუ სულ წლის განმავლობაში 300 ფურისა და 50 უშობლის ანგარიშზე მიღებული იქნება 315 სული ნამატი, რომელიც თანაბარი რაოდენობით აისახება შესაბამის გრაფაში (დეკემბერი 6 თვემდე და მოზარდი 6 თვემდე).

როცა საქმე გვაქვს პირუტყვის სულადობის მარტივ კვლავწარმოებასთან, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს პირუტყვის ასაკობრივი ჯგუფების ისეთი მოძრაობა, რომ წლის ბოლოს შენარჩუნებული იქნეს ისეთივე სულადობა, როგორიც ის იყო საწარმოში წლის დასაწყისისათვის.

სულადობის გათვლა, როგორც წესი, იწყება უმცროსი ასაკის ჯგუფებიდან. ასე მაგალითად, 6 თვემდე დეკემბრების ჯგუფში თუ სულადობა წლის დასაწყისში არის 50, წლის განმავლობაში ნამატის ხარჯზე ის გაიზრდება კიდევ 157 სულით, მაშინ, მარტივი კვლავწარმოების პირობებში, წლის ბოლოსათვის კვლავ 50 სული იქნება შენარჩუნებული, ხოლო დანარჩენი 157 სული ან უფროს ჯგუფში გადავა ან რეალიზებული იქნება.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის წლიური ბრუნვა

პირუტყვის სახეები და მათი ჯგუფები	სულადობა წლის დასაწყისში	შემოსავალი		გასავალი				სულადობა წლის ბოლოს	ჯოგის სტრუქტურა %-ში	პირუტყვის საშუალო წლიური სულადობა	მოზარდეულის საშუალო ასაკი თვეებში	
		ნამატი და შესყიდვა	დაბალი ჯგუფებიდან გადასვლები	უფროს ჯგუფებში გადმოყვანა	რეალიზაცია						უფროს ჯგუფებში გადაყვანის დროს	რეალიზაციის დროს
					სულადობა სულ	ერთი სულის ცწონა, ც	სულ ცოცხალი წონა, ც					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ყურები	300	–	50	–	50	3.5	175	300	43.9	300	–	–
ჯიშობლები	50	–	50	50	–	–	–	50	7,3	38	29	–
ერთიდან ორ წლამდე დეკეულები	30	–	107	50	157	2.3	230	30	4,4	83	20	18
ერთ წლამდე დეკეულები	100	–	142	107	35	1.6	48	100	14,6	87	12	11
6 თვემდე დეკეულები	50	157	–	142	15	0.5	7.5	50	7,3	91	6	1
მოზვერები 6 თვემდე	45	158	–	142	16	0.5	8	45	6,6	72	6	1
მოზვერები ერთ წლამდე	80	–	142	125	17	1.6	27.5	80	11,7	70	12	10
მოზვერები ერთიდან ორ წლამდე	28	–	125	–	125	2.4	300	28	4,2	64	–	16
სულ	683	315	616	616	315	–	796	683	100	–	–	–

თუ საწარმო ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ჯგუფის პირუტყვის 17-18 თვის ასაკში რეალიზაციას, მაშინ მათი უმეტესობა, ბუნებრივია, გადავა უფროს ჯგუფებში, ხოლო შედარებით არასტანდარტული კი რეალიზებული იქნება. თუ დავუშვებთ, რომ ამ ჯგუფში არსებული პირუტყვის 10% რეალიზებული იქნება, მაშინ 6 თვემდე დეკეულების მოძრაობა აისახება ცხრილის შესაბამის სტრიქონში, მოცემული გაოელების შესაბამისად, ანუ სულადობის 10% (15 სული) ჩაიწერება რეალიზაციის შესაბამის გრაფაში, ხოლო დანარჩენი (142 სული) კი მე-5 გრაფაში. ამასთან, იგივე მანვენებელი განმეორდება მომდევნო ასაკოვანი ჯგუფის (1 წლამდე) დეკეულების შემოსავლების ნაწილში (დაბალი ჯგუფიდან გადმოყვანის გრაფაში). ჩანაწერის სისწორის გადასამოწმებლად გამოიყენება მარტივი ხერხი. კერძოდ, წლის დასაწყისში არსებულ სულადობას დამატებული ნამატი ტოლი უნდა იყოს წლის ბოლოს არსებულ სულადობას მიმატებული გასავალი).

ერთ წლამდე დეკეულების ჯგუფში წლის დასაწყისში 100 ერთეული პირუტყვი ირიცხებოდა. უმცროსი ჯგუფიდან გადმოყვანილი 142 სულიდან წლის ბოლოსათვის, პირობის თანახმად, შენარჩუნებული უნდა იქნეს 100 სული. ამდენად, უფროს ჯგუფში შეიძლება გადაიდეს მხოლოდ 107 სული ანუ ის სულადობა, რომელიც იყო წლის განმავლობაში 6

თვემდე და ერთ წლამდე დეკეულების ჯგუფში. აღნიშნული სულადობა იმავდროულად ჯდება ერთიდან ორ წლამდე დეკეულების ჯგუფის მე-4 გრაფაში. რაც შეეხება დანარჩენ სულადობას (35 სული), ის გაითვალისწინება მომავალში სარეალიზაციოდ სხვადასხვა მიმართულებით (ნანაწერის სიზუსტე აქაც უნდა გადამოწმდეს ზემოაღნიშნული წესით:

100+142=100+107+35.

ერთიდან ორ წლამდე დეკეულების ასაკობრივ ჯგუფში წლის დასაწყისში, როგორც ცხრილიდან ჩანს, ირიცხებოდა 30 სული პირუტყვი. წლის განმავლობაში უმცროსი ჯგუფებიდან გადმოყვანილი იყო 107 სული, რომელთაგან წლის ბოლოსათვის შენარჩუნებული უნდა იყოს 30 სული, ხოლო 50 სული კი უნდა გადაყვანილ იქნეს უშობლების ჯგუფში (ანუ იმდენივე, რამდენიც იყო აქ საწყის პერიოდში). დანარჩენი სულადობა, პირობის თანახმად, რეალიზებული უნდა იყოს 18 თვის ასაკში.

უშობლების ჯგუფში წლის დასაწყისში არსებული სულადობა გადაყვანილი უნდა იყოს ფურების ჯგუფში, გამოწუნებული სულადობის ნაცვლად. უშობლების ჯგუფში გადაყვანილი დეკეულების სულადობა რჩება წლის ბოლოსათვის, რომელთა გათვალისწინებით ძროხების სულადობა შენარჩუნებული იქნება წლის ბოლოსათვის.

იგივე მიდგომით წარმოებს მოზვერთა ასაკობრივი ჯგუფის პირუტყვის მოძრაობაც. კერძოდ, ცხრილის მიხედვით, 6 თვემდე ასაკობრივი ჯგუფის მოზვერების სულადობა შეადგენდა წლის დასაწყისში 45 სულს. წლის განმავლობაში მას დაემატება 158 სული მიღებული ნამატიდან (50%), რომელთაგან 16 სული ანუ 10%, პირობის თანახმად, უნდა წავიდეს რეალიზაციაში, 45 სული შენარჩუნებული იქნება წლის ბოლოსათვის, ხოლო 142 სული კი გადავა ერთ წლამდე მოზვერების ჯგუფში.

ერთ წლამდე მოზვერების ასაკობრივ ჯგუფში წლის დასაწყისში ირიცხებოდა 80 სული მოზვერი, წლის განმავლობაში ამ ჯგუფში შემოვიდა 142 სული დაბალი ჯგუფიდან. საერთო სულადობიდან ამ ჯგუფში წლის ბოლოსათვის დარჩება 80 სული (უყიროს ჯგუფში გადავა 125 სული ანუ რამდენიც იყო ერთ წლამდე მოზვერების ჯგუფში წლის დასაწყისში (80+45), დანარჩენი 17 სული კი რეალიზებული იქნება ათი თვის ასაკში.

რაც შეეხება ერთიდან ორ წლამდე მოზვერების ასაკობრივ ჯგუფს, სადაც წლის დასაწყისში იყო 28 სული, წლის განმავლობაში დაემატება უმცროსი ჯგუფებიდან 125 სული. სულ ამ სულადობიდან წლის ბოლოს შენარჩუნებული უნდა იქნეს 28 სული, ხოლო დანარჩენი 125 სული კი რეალიზებული უნდა იყოს 16 თვის ასაკში (იგულისხმება, რომ საწარმოში გამოიყენება ხელოვნური განაყოფიერება და არ არის ბუღა-მწარმოებლების გამოყენების პრაქტიკა).

ჯოგის ბრუნვის სისტემის დასაღგენად რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. კერძოდ, რიცხვითი მონაცემები, დაბალი ჯგუფებიდან მაღალ ჯგუფებში გადაყვანის მონაცემები, აგრეთვე ნამატისა და რეალიზაციის მაჩვენებლები (ისევე, როგორც პირუტყვის სულადობის მაჩვენებლები წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მარტივი კვლაევწარმოების დროს) ტოლი უნდა იყოს. ამასთან, ჯოგის მარტივი კვლავწარმოების დროს, თუ ადგილი აქვს პირუტყვის შესყიდვის ფაქტს, ამ შემთხვევაში რეალიზებული პირუტყვის რაოდენობა ტოლი უნდა იყოს ადგილზე მიღებული ნამატისა და შესყიდული პირუტყვის რაოდენობის ჯამისა.

პირუტყვის საშუალო წლიური სულადობის დადგენა, ისევე როგორც ხორცის გამოსავალი ცოცხალი პირუტყვიდან, ცხრილში მოცემული კონკრეტული მაჩვენებლების მიხედვით წარმოებს. კერძოდ, ფურების საშუალო სულადობა (როგორც ყველაზე სტაბილური კატეგორია პირუტყვის სულადობისა წლის განმავლობაში) განისაზღვრება, როგორც საშუალო სიდიდე წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული სულადობისა, რაც შეეხება მოზარდეულის საშუალო წლიურ სულადობას, მისი გაანგარიშება წარმოებს შემდეგი სქემით:

მოზარდის საშუალო წლიური სულადობის დასადგენად ჯერ განისაზღვრება მათი საშუალო თვიური სულადობა, შემდეგ დაჯამდება და გაიყოფა 12-ზე. ამ მიზნით უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამდენი თვის განმავლობაში იმყოფებოდა თითოეული სული პირუტყვი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, რომლის დადგენა ხდება ბოლო ორი სვეტის მიხედვით. ის გვიჩვენებს იმ ასაკს, რომლის დროსაც

პირუტყვი გადადის შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში და ასაკს, რომელშიც მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს. ამ უკანასკნელი მაჩვენებლის გაანგარიშება ემყარება წინასწარ ეკონომიკურ გათვლებს, წარმოების სპეციალიზაციას, პირუტყვის ჯიშს, სახეს, გამოზრდის ინტენსივობას, კვების ტიპს და ა.შ. სხვაობა ასაკებს შორის (რომლითაც პირუტყვი გადადის ჯგუფში და ასაკი, რომლის დროსაც ის გამოდის ჯგუფიდან) არის პირუტყვის ჯგუფში ყოფნის პერიოდი. თუ, მაგალითად, ერთ წლამდე მოზვერები ამ ჯგუფში გადადის 6 თვის ასაკში, ხოლო რეალიზაციას უკეთებენ 11 თვის ასაკში, მაშინ ამ შემთხვევაში ჯგუფში მათი დაყოვნების პერიოდი 5 თვეს შეადგენს.

ისევე, როგორც ჯოგის ბრუნვის შედგენისას, პირუტყვის საშუალო წლიური სულადობის გაანგარიშების დაწყება უმჯობესია პირუტყვის დაბალი ჯგუფებიდან. ამასთან, ჯგუფში პირუტყვის სულადობა, უყროს ჯგუფში გადასვლამდე, აიღება მე-5 გრაფიდან, ხოლო წლის განმავლობაში რეალიზებული პირუტყვის სულადობა – მე-6 გრაფიდან (ჯგუფში დაყოვნების პერიოდი – მე-12 და მე-13 გრაფებიდან). ასე მაგალითად, ექვს თვემდე დეკეულების ჯგუფიდან წლის განმავლობაში 142 სული გადავიდა მომდევნო უყროს ჯგუფში (მე-5 გრაფა), სადაც დაყოვნდა 6 თვეს (დაბადებიდან გადასვლამდე). ამავე ჯგუფში 15 სული დაყოვნდა ერთი თვე (დაბადებიდან რეალიზაციამდე – მე-13 გრაფა). ამ მონაცემებით 6 თვემდე დეკეულების საშუალო წლიური სულადობა შეადგენს 72 სულს (142•6+10•1):12.

ერთ წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან 107 სული გადავა უყროს ჯგუფში (გრაფა 5), სადაც დაყოვნდება 6 თვე (6-დან 12-მდე). ამავე ჯგუფში 35 სული იქნება რეალიზებული (გრაფა 6), სადაც მათი დაყოვნება შეადგენს 5 თვეს (6-დან 11-მდე) ანუ საშუალო წლიური სულადობა იქნება 85 სული (142•6+35•5):12.

ერთიდან ორ წლამდე დეკეულების ჯგუფიდან 50 სული გადავა უყროს ჯგუფში, სადაც დაყოვნდება 8 თვე (12-დან 20-მდე) – გრაფა 12. ამასთან, 52 სული იქნება რეალიზებული ჯგუფში 6 თვის დაყოვნების შემდეგ (12-დან 18-მდე) – გრაფა 13. ხოლო საშუალო წლიური სულადობა იქნება 62 სული (50•8+57•6):12.

უშობლების ჯგუფიდან 50 სული წლის განმავლობაში გადავა ძროხების ჯგუფში, სადაც დაყოვნდება 9 თვე და საშუალო წლიური სულადობა იქნება 38 სული (50•9):12.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო წლიური სულადობის გაანგარიშების აღწერილი მეთოდი გამოიყენება სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვისაც. რაც შეეხება პირუტყვის ცოცხალი მასიდან ხორცის გამოსაელიანობას, ის განისაზღვრება რეალიზებული სულადობის (გრაფა 6) თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ერთი სული პირუტყვის ცოცხალ წონაზე გამრავლებით (გრაფა 7). ჩვენ პირობით მაგალითში პირუტყვის ცოცხალი მასიდან ხორცის მთლიანი გამოსავალი 796 ცენტნერს შეადგენს.

6.3. ცხვრის ფარის წლიური ბრუნვა

დავუშვათ, რომ წინასწარი საგეგმო მონაცემებით გათვალისწინებულია წლის დასაწყისში საწარმოში არსებული ცხვრის სულადობის გაზრდა 1000 სულამდე. წინასწარ ცნობილია ისიც, რომ დედა-ცხვრისა და მწარმოებლების გამოწუნების კოეფიციენტი 25-ის ტოლია. ტარიგების განაყოფიერების საშუალო ასაკი 18 თვეა, მაკეობის ხანგრძლივობა 5 თვე, ხოლო ბატკნის გამოსავალი წლის დასაწყისში არსებულ ყოველ 100 დედა-ცხვარზე – 110 სული.

როგორც 6.2 ცხრილიდან ჩანს, წლის დასაწყისში „დედა-ცხვრების“ ჯგუფში სახეზეა 600 სული. წლის განმავლობაში, პირობის თანახმად, გამოწუნებული იქნება 150 სული (25%), რაც შეიტანება ცხრილის მე-6 გრაფაში (რეალიზაცია). გამოწუნებული დედა-ცხვრების სანაცვლოდ უმცროსი ჯგუფიდან 150 სული გადაიყვანება დედა-ცხვრების ჯგუფში. რადგან ცხვრის სულადობის მარტივ კვლავწარმოებასთან გვაქვს საქმე, წლის ბოლოს სახეზე კვლავ 600 სული ცხვარი იქნება შენარჩუნებული. ანალოგიურად განისაზღვრება ცხვარი-მწარმოებლების სულადობის ბრუნვაც.

ცხვრის ფარის წლიური ბრუნვა

ასაკობრივი სქესობრივი ჯგუფები	სულადობა წლის დასაწყისში	შემოსავალი		გასავალი				სულადობა წლის ბოლოს	ფარის სტრუქტურა %-ში	საშუალო წლიური სულადობა	მოზარდეულის საშუალო ასაკი თვეებში	
		ნაშატი	უმცროსი ჯგუფიდან გადაყვანა	უფროსის ჯგუფებში გადაყვანა	რეალიზაცია						უფროსის ჯგუფებში გადაყვანის დროს	რეალიზაციის დროს
					სულადობა, სულ	ერთი სულის წონა, კგ	სულ ცოცხალი წონა, ც					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ცხვარი-მწარმოებლები	6	–	6	–	6	–	–	6	0.7	6	–	–
დედა ცხვრები	600	–	150	–	150	30	45	600	65,9	600	–	–
ერთ წლამდე მოზარდი	230	660	–	230	430	15	64.5	230	25,0	480	12	17
ერთ წელზე უხნესი ცხვარი და ტარიგი	–	–	230	156	–	–	–	74	8,4	180	18	–
სულ	836	660	386	386	586	–	109.5	910	100	–	–	–

ცხვრის დანარჩენი სულადობის მიმართ გათვალისწინებულია შემდეგი მოძრაობა: წლის დასაწყისში „ერთ წლამდე მოზარდეულის“ ჯგუფში არსებული სულადობა, 230 სულის ოდენობით, გადაიყვანება მომდევნო (ერთ წელზე უხნესი მოზარდი) ჯგუფში. ამის შესაბამისად, ცხვრის ფარის ბრუნვის ცხრილში აწარმოებენ შესაბამის ჩანაწერებს ერთდროულად ერთ წლამდე და ერთ წელზე უხნესი მოზარდეულის ჯგუფებში (ესაა ძირითადად წინა წლის გაზაფხულის დოლის სულადობა, რომელთა ასაკი საგეგმო წლის დასაწყისისათვის საშუალოდ 8-9 თვეს შეადგენს).

მიმდინარე წლის ნამატი 660 სულის ოდენობით (600(1,1), საიდანაც 330 სული ედალი და 330 სული მამალია ნაანგარიშები, ჩაიწერება ნამატის საშემოსავლო მე-3 გრაფაში, რომელთაგან 230 ტარიგი რჩება წლის ბოლოსათვის, დანარჩენი კი (430 სული) რეალიზდება მიმდინარე წლის ბოლოსათვის 6-7 თვის ასაკში (შესაბამისი მონაცემები აისახება ცხრილის მე-6 გრაფაში, ერთ წლამდე მოზარდის ჯგუფში).

როგორც ცხრილიდან ჩანს, წლის დასაწყისში საწარმოს არ გააჩნია ერთ წელზე უხნესი ცხვრის მოზარდის ჯგუფი. ამ ჯგუფში გადაყვანილი 230 სულიდან წლის განმავლობაში „დედა-ცხვრების“ და „ცხვარ-მწარმოებლების“ ჯგუფში გადაიყვანება 156 სული გამოწუნებული და სახორცედ რეალიზებული ცხვრის სულადობის სანაცვლოდ. ამ მოძრაობის ამსახველი ციფრობრივი მაჩვენებლები ჩაიწერება „ერთ წელზე უხნესი ცხვრებისა და ტარიგების“ ჯგუფში (რომლის გასავალში ჩაიწერება 156 სული და „დედა-ცხვრების“ და „ცხვარ-მწარმოებლების“ ჯგუფების საშემოსავლო ნაწილში, შესაბამისად, 150 და 6 სული. ერთ წელზე უხნესი ცხვრის მოზარდეულის დანარჩენი სულადობა (74 სული) წავა რეალიზაციაში.

საშუალო წლიური სულადობის გაანგარიშება წარმოებს შემდეგნაირად: დედა-ცხვრებისა და ცხვარ-მწარმოებლების გამოწუნება ხდება ამ ჯგუფში ერთ წელზე უხნესი ცხვრებისა და ტარიგების შესაბამისი რაოდენობით გადაყვანის პარალელურად. ამდენად, ამ ჯგუფის ცხვრის საშუალო წლიური სულადობა წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული ცხვრის სულადობის საშუალო არითმეტიკული იქნება.

ერთ წელზე უხნესი ცხვრების ჯგუფის (სარემონტო მოზარდის) საშუალო წლიური სულადობა განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჯგუფში მოზარდი გადაიყვანება ერთწლიან ასაკში. გაზაფხულის დოლისათვის ტარიგები ნაყოფიერდება საშუალოდ 18 თვეში, მაკეობის პერიოდი 5 თვეს შეადგენს, ამდენად. 156 ტარიგი დედა-ცხვრებში გადაყვანამდე იქნება ამ ჯგუფში 11 თვე (ანუ 18-12+5). ერთ წელზე უხნესი ცხვრის დანარჩენი სულადობა (74 სული) რეალიზებული იქნება 18 თვის ასაკში, რაც ნიშნავს, რომ ისინი ამ ჯგუფში იქნებიან 6 თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ერთ წელზე უხნესი ცხვრის საშუალო წლიური სულადობა შეადგენს 180 სულს (156(11+74(6):12.

ერთ წლამდე ცხვრის საშუალო წლიური სულადობის დადგენის დროს გასათვალისწინებელია, რომ უყროს ჯგუფში გადაყვანილი მოზარდი დაყოფრდება ამოსაყვან ჯგუფში დაბადებიდან ერთ წლამდე, ხოლო სარეალიზაციო მოზარდეული – დაბადებიდან რეალიზაციამდე (ანუ დაახლოებით 7 თვე). აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთ წლამდე ცხვრის მოზარდის საშუალო წლიური სულადობა იქნება 480 სული

(230•12+430•7):12.

ამაყე მიდგომით შეიძლება გაკეთდეს ღორის, ბოცვერის და პირუტყვის სხვა სახეობების წლიური ბრუნვის უწყისი.

პირუტყვის სახეების მიხედვით წლიური ბრუნვის გაანგარიშების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ოპტიმალური დონის დადგენა.

ხორცის გამოსავალი განისაზღვრება რეალიზებული პირუტყვის სულადობის გამრავლებით ერთი სულის საშუალო წონაზე (თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით). რძის გამოსავალი დგინდება ძროხების საშუალო წლიური სულადობის საგეგმო პროდუქტიულობაზე გამრავლებით, მატყლის გამოსავალი – ერთ სულზე ნაპარსის გამრავლებით ცხვრის საშუალო წლიურ სულადობაზე (წლის დასაწყისში) და ა.შ. განისაზღვრება ასევე მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოო დანახარჯები სხვადასხვა მიმართულებით (მაგალითად, რძე ხბოების საკვებად და ა.შ.). სასაქონლო პროდუქცია, როგორც სხვაობა მეცხოველეობის მთლიან პროდუქციასა და საწარმოს შიდა მოხმარებისათვის საჭირო პროდუქციას შორის.

6.4. პირუტყვის საკვები ბალანსის გაანგარიშება

საწარმოში არსებული პირუტყვის ყველა სახეობისა და ასაკობრივი ჯგუფის სულადობრივი კვების წლიური ნორმები გაიანგარიშება პირუტყვის პროდუქტიულობისა და კვების ტიპის, აგრეთვე არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშების საფუძველი პირუტყვის საშუალო წლიური სულადობაა.

საკვებზე წლიური მოთხოვნილება წარმოადგენს სახნავ მიწებზე საკვები კულტურების ფართობების გაანგარიშების საფუძველს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს საკვებმოპოვების სხვა წყაროებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია: ბუნებრივი საკვებსავარგულები (სათიბები, საძოვრები), მეცხოველეობიდან მიღებული თანმდევი პროდუქტები (ნაცა, საკვები ძირხვენების ანარჩენები, ნამჯა და ა.შ.), კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ნარჩენები (ყომი, ბარდა, ბაღაი და სხვ.).

პირუტყვის საკვები ბალანსი – ესაა თანაფარდობა სახეების მიხედვით საკვებზე მოთხოვნილებასა და საწარმოში მისი წარმოების მოცულობებს შორის. საკვები ბალანსის დამუშავების (შედგენის) მიზანია – გამოვავლინოთ საწარმოს შესაძლებლობები არსებული პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილებასა და უზრუნველყოფას შორის.

საკვები ბალანსის შედგენა წინ უნდა უსწრებდეს მიწათმოქმედების საერთო პროდუქციის განაწილებას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს გაანგარიშებებში რიგი დეფექტების დროულ აღმოჩენას.

იმ შემთხვევაში, როცა საკვების ბალანსი გვიჩვენებს დიდ დეფიციტს ან საკვების სიჭარბეს მოთხოვნილებასთან

შედარებით, საჭირო ხდება საკვებწარმოების გეგმაში კორექტივების შეტანა. კერძოდ, საკვების დანაკლისის შემთხვევაში ხდება მისი დამატებითი რეზერვების გამოვლენა, იცვლება საკვები კულტურების ფართობები. ამასთან, მცირე დანაკლისის შესება შესაძლებელია სხვა, უფრო მაღალმოსავლიანი კულტურების ჩანაცვლებით (მაგალითად, საკვები ძირხვენების დანაკლისის გადაფარვა შესაძლებელია სილოსის წარმოების გადიდებით, თივით, ჩალით და სხვა სახის საკვებით), რაც შეეხება კონცენტრირებული საკვების დეფიციტს მისი შევსება შეიძლება მხოლოდ ბალახის ფქვილის წარმოების გადიდებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საწარმოსათვის არაა კარგი ასევე საკვების სიჭარბეც, რადგან ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გექონდეს საკვები კულტურების ქვეშ ფართობების გაუმართლებელ გადიდებასთან, სასურსათო ან ტექნიკური კულტურების ფართობების შემცირების ხარჯზე, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოს საერთო ეფექტიანობაზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი საკვები ბალანსის შედგენა, რომელიც ზუსტად შეესაბამება არსებული პირუტყვის სულადობის მოთხოვნებს და საწარმოს მისცემს საშუალებას საკვების, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საბრუნავი საშუალების, მაღალეფექტური გამოყენებისათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უხეშ საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშების პირობითი მაგალითი ნაჩვენებია ცხრილში 6.3.

ანალოგიური მიდგომით გაიანგარიშება სხვადასხვა სახეობათა (ღორი, ცხვარი, ფრინველი) საკვებზე მოთხოვნილება.

ცხრილი 6.3

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშება

(ცენტნერი)

პირუტყვის სახეები და ასაკობრივი ჯგუფები	საშუალო წლიური სულადობა	უხეში საკვები				საკვები ერთეულის ნორმები	
		თივა		სენაჟი			
		ერთ სულზე	სულ	ერთ სულზე	სულ	ერთ სულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
ძროხები	300	5	1500	6	1800	36.5	10950
უშობლები	50	2.5	125	4	200	19.6	980
ღეკეულები 1-დან 2 წლამდე	30	2.5	75	3.5	105	15.1	453
ღეკეულები ერთ წლამდე	100	2.5	250	2.5	250	14.5	1450
ღეკეულები 6 თვემდე	50	3	150	3	150	9.5	475
მოზვერები 6 თვემდე	45	3	135	3	135	9.5	428
მოზვერები ერთ წლამდე	80	2.5	200	3.5	280	14.5	1160
მოზვერები 1-დან 2 წლამდე	28	2.5	70	4.	112	15.1	423
სულ	683	–	2505	–	2782	–	16319
სადაზღვევო ფონდი (%)	–	10	250.0	–	278	–	–
საკვებზე მოთხოვნა სადაზღვევო ფონდის ჩათვლით	–	–	2755	–	3060	–	–
გამოყოფა სულ	–	–	2835	–	3100	–	–
საკვებით უზრუნველყოფის %	–	–	102.9	–	101.3	–	–

6.5. წარმოების ფაქტორების ოპტიმიზაციის პრინციპები მეცხოველეობაში

მეცხოველეობის დარგების გაადგილება და სპეციალიზაცია, წარმოების ორგანიზაციული ფორმა, სტრუქტურა და სხვა მახასიათებლები ფრიად განსხვავებულია როგორც ერთი რეგიონის (რაიონის) მასშტაბით, ასევე ცალკეულ რეგიონებს შორის. მას ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებს: პირველი – ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ეკონომიკურ-ეკოლოგიური გარემო, მეორე – საწარმოს (მეურნეობის) კონკრეტული საწარმოო-ტექნიკური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობები, მესამე – ეროვნული მეურნეობის განვითარების საერთო დონე. საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო.

აქედან პირველი ფაქტორი უშუალოდ მოქმედებს მეცხოველეობის საწარმოო მიმართულებაზე და წარმოების მოცულობაზე, რადგან მასზეა დამოკიდებული კვები ბაზის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს პირუტყვის სახეს, მისი მოვლა-პატრონობის მეთოდს, კვების ტიპს და ა.შ. ასე მაგალითად, თუ ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა საშუალებას ბუნებრივ საკვებ-სავარგულებზე წარმოებული იქნეს საკვები-კულტურების მაღალი მოსავალი, ასეთ პირობებში უპირატესობა ეძლევა მერძეულ მესაქონლეობას და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის ინტენსიურ სუქებას და, პირიქით, თუ ბუნებრივი საკვებ-სავარგულები ნაკლებ პროდუქტიულია, მაშინ უპირატესობა მეცხვარეობასა და მსხვილფეხა პირუტყვის ექსტენსიურ სუქებას მიეკუთვნება.

მეცხოველეობის იმ დარგებისათვის, რომლებიც არაა მიბმული საკუთარ საკვებ ბაზასთან გაადგილების ძირითადი ფაქტორი არა ბუნებრივ-კლიმატური, არამედ ეკონომიკური პირობებია. ესაა, უპირველეს ყოვლისა, წარმოებული პროდუქციისა და მასზე დახარჯული საკვების ფასების თანაფარდობა, ინფრასტრუქტურა, პროდუქციის რეალიზაციის არხები და ა.შ. გარდა ამისა, შესაძლებელია იყოს როგორც პირველი, ასევე მეორე პირობაც, მაგრამ ეკოლოგიური ობიექტების (წყალსაცავების, პარკების და ა.შ.) სიახლოვე არ იძლეოდეს მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის გაადგილებისა და განვითარების საშუალებას.

მეორე ფაქტორის ანუ კონკრეტული საწარმოს საწარმოო-ტექნიკური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობების გავლენა თვით მეცხოველეობის დარგების განსხვავებულობიდან გამომდინარეობს. მაგალითად, მერძეული მესაქონლეობა, როგორც წესი, გამოირჩევა უფრო მაღალი პროდუქტიუობით (საკარგულის ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსაელიანობის მიხედვით) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდასა და სუქებასთან შედარებით, მაგრამ წარმოების პროცესების მაღალი შრომატევადობის გამო შრომის მწარმოებლობის მაჩვენებლით ჩამორჩება მას (სუქებას). აქედან გამომდინარე, როცა საწარმოს არ გააჩნია საკმარისი სასოფლო-სამეურნეო საკარგულები, მაგრამ ჰყავს შედარებით ჭარბი მუშახელი, აქ არჩევანი უფრო მერძეულ მესაქონლეობაზე იქნება შეჩერებული და პირიქით.

მეცხოველეობის დარგების განვითარების გეგმას და მასშტაბს განსაზღვრავს ან ფაქტობრივად უკვე არსებული შენობა-ნაგებობები ანუ პირუტყვ-ადგილების რაოდენობა ან ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა – ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის. დაბოლოს, ცხოვრებისეული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს ეროვნული მეურნეობის განვითარების დონე. მხედველობაშია სუბსიდიებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება მეცხოველეობის სხვადასხვა დარგების განვითარების სტიმულირებისათვის.

ეროვნული მეურნეობის განვითარების დონე განსაზღვრავს, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნილებას შეღარებით ძვირადღირებულ მეცხოველეობის პროდუქტებზე.

ანგარიშგასაწევია ასევე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების (განსაკუთრებით სელექციური მიღწევების) წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობები, რაც პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებისა და

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების განვითარების არსებითი ფაქტორია.

ეროვნული მეურნეობის განვითარების დონესთანაა დაკავშირებული ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობა და ეკოლოგიური კანონმდებლობის მოთხოვნები ამა თუ იმ დარგის განვითარების მიმართ (მხედველობაში გვაქვს მეცხოველეობის შენობა-ნაგებობების დაშორება დასახლებული პუნქტებიდან და მათი ტიპი, პირუტყვის სიმჭიდროვის ნორმები საკვები ფართობის ერთეულზე და ა.შ.). რაც უფრო მკაცრია ეს მოთხოვნები, მით უფრო შეზღუდულია მეცხოველეობის დარგების განვითარება და პირიქით.

მეცხოველეობის ეკონომიკის საერთო ზოგად საკითხებს განეკუთვნება პირუტყვისა და ფრინველის სულადობის კვლავწარმოება, საკვების დამზადება და წარმოების ორგანიზაცია.

ისევე, როგორც ნებისმიერ წარმოებაში, მეცხოველეობაშიც წარმოების საბოლოო შედეგს არსებითად განსაზღვრავს გამოყენებული პირუტყვის და ფრინველის ჯიშობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამდენად, აქ პირუტყვის კვლავწარმოებას (განახლებას) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ეკონომიკური თვალსაზრისით პროდუქტიული პირუტყვის კვლავწარმოება (ისევე, როგორც ნებისმიერი ძირითადი კაპიტალისა) შეიძლება განხორციელდეს იმავე მონაცემების (პროდუქტიულობის თვალსაზრისით) მქონე პირუტყვით და გაუმჯობესებული ანუ უფრო მაღალპროდუქტიული პირუტყვით. ამასთან, პირუტყვის სულადობის განახლება შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი სულადობის, ისე შეძენილი პირუტყვის ხარჯზე. როგორც ერთი, ისე მეორე ხასიათდება დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

საკუთარი კვლავწარმოება – ძირითადი ჯოგის განახლების ისტორიულად მიღებული და გამოცდილი ფორმაა, რომლის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არაა დამოკიდებული სხვაზე, მოზარდზე არსებული ფასების მერყეობაზე. ამასთან, გამორიცხავს რისკს, რომელიც შეიძლება თან ახლდეს ნაყიდ პირუტყვს, დაავადებათა თვალსაზრისით, განსაკუთრებით ინფექციურ დაავადებათა საწარმოში შეტანისა და ეპიდემიის თვალსაზრისით.

საკუთარი კვლავწარმოებისა და შეძენილი პირუტყვით კვლავწარმოების ეკონომიკური შეფასებისას პირველ ადგილზეა დანახარჯები, რომლებიც საჭიროა დედა პირუტყვის (ძროხების) შესანახად, მიღებული მოზარდის (ნამატის) გამოზრდის ცვალებადი დანახარჯები და ის ჩანაცვლებული (ალტერნატიული) დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოზარდისა და დედა-პირუტყვის შენახვისათვის საჭირო ფაქტორების გამოყენებასთან.

მერძეულ საწარმოში მოზარდი დეკეულების გამოზრდის ცვალებადი დანახარჯები, პირველი ხბოს მიღებამდე, მოიცავს შემდეგს: უშობლის ღირებულება; საკვების შეძენაზე გაწეული ხარჯები; სხვა პირდაპირი ცვლადი დანახარჯები (ზოოვეტერინარული მომსახურება, წყალი, ელექტროენერგია, მედიკამენტები, მიმდინარე რემონტი, საწვავ-საცხები მასალები, წარმოებაში ჩადებული საკუთარი კაპიტალის პროცენტი და ა.შ.).

უშობლის ღირებულება შეფასებული უნდა იქნეს ხორცად ან საჯიშედ შესაძლო რეალიზაციის ფასებში ანუ, როგორც ხელიდან გაშვებული სარგებელი მისი საწარმოში საჯიშედ დატოვების გამო. ამასთან, დანახარჯებში გასათვალისწინებელია სხვა ალტერნატიული დანახარჯებიც. კერძოდ, მოთხოვნილება პირუტყვისათვის საჭირო სადგომზე (პირველი ხბოს მოგებამდე), საკუთარი საკვების და მუშახელის შრომის ანაზღაურება (ანუ ყველა ის დანახარჯი, რომელიც არ გაიწევდა იდენტური პირუტყვის ყიდვის შემთხვევაში.

საკუთარი კვლავწარმოებით პირუტყვის სულადობის განახლების შემდეგ ვარიანტებთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

1) საწარმოს გააჩნია მეცხოველეობის შენობები, რომლებიც თავისი მონაცემებით გამოუსადეგარია მერძეული პირუტყვისათვის. აქვს საკვების ზედმეტი მარაგი, რომელიც არაა საჭირო ძირითადი ჯოგისათვის. არაა საჭირო დამატებითი მუშახელის ჩართვა წარმოებაში და დამატებითი ხარჯების გაწევა. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული დანახარჯები არ წარმოიშობა და საკუთარი კვლავწარმოების ხარჯზე პირუტყვის სულადობის განახლება მაღალეფექტიანია.

2) უშობლების გამოზრდა საწარმოში ხდება იმ რესურსების ხარჯზე, რომლებიც გამოიყენება მერძეული ჯოგის

პირუტყვის შესანახად. ასეთ პირობებში აღვილი აქვს მნიშვნელოვანი ოდენობით ალტერნატიულ დანახარჯს. კერძოდ, საკვების გადანაწილება დაკავშირებული იქნება წველადობის შემცირებასთან ანუ რძის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების შემცირებასთან. რაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს დარგის მარგინალური შემოსავლის შემცირებას ერთ საკვებ ერთეულზე გაანგარიშებით. იმ შემთხვევაში, თუ უფრო შეზღუდულ რესურსს არა საკვები, არამედ პირუტყვადგილები წარმოადგენს, ამ შემთხვევაში ალტერნატიული დანახარჯები განისაზღვრება დარგის მარგინალური შემოსავლის კლებით (შემცირებით) ერთ პირუტყვადგილზე გაანგარიშებით.

ყველა შემთხვევაში დეკეულების ადგილზე გამოზრდის ცვალებადი დანახარჯები, ალტერნატიული დანახარჯების ჩათვლით, უნდა შედარდეს ამავე ხარისხისა და მონაცემების მქონე ნაყიდ პირუტყვის ფასთან და ყველა სხვა მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით იქნეს მიღებული გადაწყვეტილება უკეთესი ვარიანტის შესარჩევად (იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე დეკეულების გამოსაზრდელად გათვალისწინებული იქნება დამატებითი პირუტყვადგილების მშენებლობა, მაშინ საერთო დანახარჯებში გათვალისწინებული უნდა იყოს მუდმივი პირდაპირი დანახარჯებიც. მათ შორის მშენებლობაში ჩაღებული კაპიტალის პროცენტი, შენობის კაპიტალური რემონტის ხარჯები და ძირითადი ფონდის ამორტიზაცია).

პირუტყვის შეძენის ხარჯზე სულადობის კლავწარმოება განსაკუთრებით მიღებულია მეფრინველეობასა და მეღორეობაში. ეს დაკავშირებულია მაღალპროდუქტიული ჯიშების ჰიბრიდული სელექციის განვითარებასა და ფრინველისა და ღორის მაღალინტენსიურ გამრავლებასთან (აღსანიშნავია, რომ ფრინველისა და ღორის გამრავლების ინტენსივობა საშუალოდ, შესაბამისად, 300-ჯერ და 20-ჯერ აღემატება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრების კლავწარმოების ინტენსიურობას).

შეძენის ხარჯზე სულადობის კლავწარმოების ძირითადი უპირატესობა იმ დანახარჯების ეკონომიაში გამოიხატება, რომლებიც აუცილებელია საკუთარი წარმოების ხარჯზე რეპროდუქტორი სიმძლავრეების შექმნისათვის. აქედან გამომდინარე, შესაძენი პირუტყვის ფასის უცვლელობის პირობებში, რაც მაღალია საწარმოში გამოყენებული საწარმოო ფაქტორების ამოგება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მით უფრო გამართლებულია პირუტყვის შესყიდვის ხარჯზე სულადობის კლავწარმოება. ის უფრო მომგებიანი იქნება იმ საწარმოსათვის, რომელიც განიცდის მუშახელის ნაკლებობას და საკვების დეფიციტს და პირიქით.

პირუტყვის შეძენა შეიძლება როგორც ადრეულ ასაკში (მაგალითად, ახლად დაბადებული ხბოები, გოჭები, ბატკნები და ა.შ.), ასევე მოზრდილ ასაკში. ორივე შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკური გათვლები ანუ ადრეულ ასაკში ნაყიდი მოზარდის გამოზრდის ხარჯების (რომელიც შედგება პირუტყვის შეძენის, პირდაპირი ცვალებადი დანახარჯების და შეზღუდული რესურსების ალტერნატიული დანახარჯებისაგან) და შედარებით მოზრდილი პირუტყვის გამოზრდის ხარჯებისაგან. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ფაქტორების ალტერნატიულ დანახარჯებს. მაგალითად, საწარმოსათვის, რომელსაც აქვს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებელი, უფრო ხელსაყრელი იქნება პირუტყვის შეძენა მოზრდილ ასაკში, რადგან ამ დროს, პირველ ვარიანტთან შედარებით, დანახარჯებში სხვაობა არ იქნება იმდენი, რომ მოახდინოს ხელიდან გაშვებული სარგებლის კომპენსირება არაძირითად დარგში წარმოების შეზღუდული რესურსების გამოყენებისაგან და პირიქით.

საწარმოსათვის, რომელსაც აქვს თავისუფალი სიმძლავრეები, მიწის რესურსი და ჰყავს მუშახელი (ანუ ექნება შედარებით დაბალი ალტერნატიული დანახარჯები), უმჯობესი იქნება პირუტყვის სულადობის კლავწარმოება საკუთარი წარმოების ხარჯზე.

საწარმო, რომლიც სპეციალიზებულია ღორების სუქებაზე, გოჭების ბაზარზე შესყიდვა ხელსაყრელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ არ გააჩნია დედა-ღორებისთვის საჭირო საკმარისი შენობები, ხოლო ახალი მშენებლობის განხორციელებისას წარმოშობილი მუდმივი და ცვლადი დანახარჯები (გოჭების გამოზრდა) მაღალი იქნება მათი შეძენის ფასზე.

6.6. მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფის ეკონომიკური საკითხები

პირუტყვის კვების ოპტიმალური რაციონის ფორმირებას ორი ძირითადი პრინციპი უდევს საყუძვლად. ესაა დანახარჯების მინიმუმი საკვებ ერთეულზე გაანგარიშებით და კვების ოპტიმალური ინტენსივობა, რომელიც განისაზღვრება საკვების არა რაოდენობრივი, არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ამასთან, საკვები უნდა პასუხობდეს მოთხოვნებს არა მარტო მასში აუცილებელი მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების და სხვა ელემენტების მიხედვით, არამედ მოთხოვნებს, რომელსაც პირუტყვი უყენებს საკვებს მისი განვითარების სხვადასხვა სტადიაში ყოფნის დროს (მოზარდი, მაკეობა და ა.შ.).

პირუტყვისათვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის საკვების დამზადება საწარმოში შესაძლებელია როგორც ბაზარზე შეძენით, ასევე საკუთარი წარმოების ხარჯზე. პირველი გულისხმობს მზა კომბინირებული საკვების ან მისი ცალკეული კომპონენტების შეძენას, ხოლო მეორე – საწარმოს ძირითად დარგებში არსებული თანმდევი პროდუქციის მობილიზებას (ჩალა, ნამჯა, კოპტონი და სხვ.) და საკვების წარმოებას სახნავ მიწებზე და საკვებ საკარგულებზე (სათიბ-საძოვრებზე).

საკუთარი ან ნაყიდი საკვების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად გვეელინება საკუთარი წარმოების საკვების ზღვრული დანახარჯების შედარება საკვების ამოგების მაჩვენებელთან და შესაძენი საკვების ფასთან. ამასთან, როცა საკვებწარმოების გადიდების მიზნით ნათესი ფართობის სტრუქტურაში ადგილი აქვს საკვები კულტურების ფართობის წილის გადიდებას, საჭიროა გათვალისწინებული იყოს ალტერნატიული ხარჯები, რაც აუცილებლად წარმოიშობა სხვა თანაბარ პირობებში სასაქონლო კულტურების ფართობების შემცირების გამო.

პირუტყვის საკვების ღირსებას განსაზღვრავს მასში ცილებისა და ენერგიის შემცველობა, საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია, მინერალური ნივთიერებების, ამინომჟავების და სხვა სასარგებლო ნივთიერებების შემცველობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკვების შეძენის დროს საწარმოს წინაშე ყოველთვის დგება შემდეგი ხასიათის ეკონომიკური საკითხები:

– საკვების რომელი სახე იქნება უფრო ეფექტიანი წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით;

– საკვების ცალკეული კომპონენტების შეძენის შემთხვევაში, მათი როგორი კომბინაცია იქნება უფრო ეფექტიანი პროდუქციის ერთეულზე მინიმალური დანახარჯების თვალსაზრისით;

– საწარმოსათვის უმჯობესია ცალ-ცალკე კომპონენტების შეძენა თუ მზა საკვების შეძენა, საკუთარ წარმოებასთან შედარებით.

ცალკეული სახის საკვები ერთმანეთს უდარდება (უპირისპირდება) მათი ფასების გადაანგარიშებით (გაღაყვანით) ენერგეტიკულ ერთეულებში (საკვებ-ერთეულზე, სახამებლის ერთეულზე, მონელებად პროტეინზე).

საკვების შესადარისობის ძირითად განმსაზღვრელ კრიტერიუმად გვეელინება მასში ცილისა და ენერგიის შემცველობის თანაფარდობა. საკვების კვებითი ღირებულება და ფასი, ერთ ლარზე საკვები ნივთიერებების გადაანგარიშება ნაჩვენებია ცხრილში 6.4.

ცალკეული სახის საკვების ოპტიმალური კომბინაციების და რაციონების გათვლა ყველაზე საუკეთესოდ კეთდება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენებით. ის საშუალებას იძლევა დადგინდეს საკვების ოპტიმალური კომბინაციები და რაციონები პირუტყვისა და ფრინველის სრული კომპლექსის გათვალისწინებით, მინიმალური დანახარჯების პირობებში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია უფრო მარტივი და მიახლოებითი გაანგარიშებებით დადგინდეს საკვების (საკვებნარევის) შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობა. კერძოდ, თუ ცნობილია პირუტყვის ღღიური მოთხოვნილება მონელებად ცილაზე და ენერგიაზე, მაშინ 6.4 ცხრილის საყუძველზე შეიძლება გამოითვალოს სხვადასხვა მარტივი საკვებნარევის ვარიანტები ორუცნობიანი განტოლების შედგენისა და ამოხსნის გზით.

საკვებნარევების შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად საჭირო მონაცემები

	შემცველობა ერთ ცენტნერში		მონელებადი ცილის ფარდობა სახამებლის ერთეულთან	ფასი ლარი/ც	საკვები ნივთიერებების რაოდენობა ერთ ლარზე გაანგარიშებით	
	მონელებადი ცილა კგ-ში	სახამებლის ერთეული			ერთ კგ მონელებად ცილაზე	სახამებლის 1 ერთეულზე
სოიოს კოპტონი	41.9	72	1:1.7	45	0,93	1,6
ხორბლის ანარჩენები	11,5	50	1:4.4	38	0,30	1,3
ხორბალი	9.0	75	1:8.3	60	0,15	1,2
ქერი	8,3	70	1:8.4	38	0,22	1,8
სიმინდი	7.5	81	1:10.8	50	0,15	1,6
მშრალი ჭყოი (ბარდა)	3,4	51	1:15	40	0,85	1,3

დავუშვათ, რომ პირუტყვის მოთხოვნილება დროის გარკვეულ მონაკვეთში შეადგენს 15 კგ მონელებად ცილას და 65 კგ სახამებლის ერთეულს (საკვების ერთეული, რომელიც გამოიყენება დღეს დასავლეთის ქვეყნებში). საკვების ოპტიმალური კომბინაციის შესარჩევად საჭიროა შეირჩეს საკვების ის სახეები, რომელთაც ახასიათებს მონელებადი ცილისა და სახამებლის უფრო დიდი შემცველობა ღირებულების ერთეულზე (ერთ ლარზე გაანგარიშებით). 6.4 ცხრილიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ყველაზე საუკეთესო სოიოს კოპტონი და ქერია. ოპტიმალური კომბინაციის შერჩევის მიზნით უნდა ამოიხსნას შემდეგი სახის განტოლებები:

სახამებლის ერთეულისათვის –

$$70\,x + 72\,y = 65;$$

მონელებადი ცილისათვის –

$$8{,}3\,x + 41{,}9\,y = 15$$

(ამ განტოლებებში x – ქერის აღმნიშვნელია, ხოლო y – სოიოს კოპტონის).

განტოლებათა სისტემის ამოხსნის შედეგია: $x = 0{,}7$ ც, ხოლო $y = 0{,}22$ ც. საკვების ოპტიმალური კომბინაციის ღირებულების გასაანგარიშებლად მიღებულ მონაცემებს ვამრავლებთ მათ შესაბამის ფასებზე ანუ 0,7 ც (38,0 ლარი/ც + 0,22 ც (45,0 ლარი/ც = 36,5 ლარი ანუ 0,92 ც საკვებნარევის ღირებულება შეადგენს 36,5 ლარს (ერთი სრული ცენტნერისა კი, შესაბამისად, 39,6 ლარს).

ცილისა და სახამებლის ღაახლოებით ასეთივე თანაფარდობით ხასიათდება მარცვლეულის ანარჩენებიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ცენტნერი საკვებნარევის სრულფასოვნად შესაცვლელად (კვებითი ღირებულების თვალსაზრისით) საჭირო იქნება 1,55 ც მარცვლეულის ანარჩენი და გავიანგარიშებთ მის ღირებულებას, მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

1,55 ც ანარჩენი (38,0 ლარი/ც = 58,9 ლარი

1,0 ც საკვებნარევი(39,6 ლარი/ც = 39,6 ლარი.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით პირუტყვის საკვებად უმჯობესია გამოვიყენოთ ქერისა და სოიოს კოპტონის ნარევი, რომელიც, პრაქტიკულად, ცილისა და სახამებლის ერთი და იგივე შემცველობის პირობებში, 19,3 ლარით იაფია მარცვლეულის ანარჩენთან შედარებით.

საკვებნარევის კომპონენტების ღირებულების და საბოლოო ანგარიშით, საკვები ბაზის შექმნისა და გამოყენების საკითხი მოითხოვს საკვების დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვის, საკვებნარევის მომზადებისა და პირუტყვისათვის მიწოდების დანახარჯების აღრიცხვა-გაანალიზებას. ანუ, როცა საწარმოში გათვალისწინებულია საკუთარი საკვები ბაზის შექმნა, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა სახის დანახარჯი,

დაწყებული ნიადაგის მომზადებიდან (როცა საკვების იწარმოება სახნავზე), მოსავლის აღებამდე, შრობის, შენახვის, დაფქვის, სხვადასხვა წესით მომსახურების და პირუტყვისათვის მიწოდების ხარჯების ჩათვლით.

საკუთარი საკვები ბაზის შექმნას ესაჭიროება არა მარტო შესაბამისი ფართობები, არამედ შენობა-ნაგებობებიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შრომითი რესურსები. ყველა ამ ხარჯის გაღება არ მოუვევს საწარმოს, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია საკვების შეძენაზე. რა უფრო სასარგებლოა საწარმოსათვის ეკონომიკური თვალსაზრისით, უნდა გადაწყვიტოს ეკონომიკურმა გაანგარიშებებმა, ანუ რა უფრო იაფი უჯდება საწარმოს – საკუთარი საკვები ბაზის შექმნა თუ საკვების ბაზარზე შეძენა. ამ დროს გასათვალისწინებელია კონკრეტული საწარმოს კონკრეტული საწარმოეკონომიკური პირობები. ასე მაგალითად, თუ საწარმოს გააჩნია საწარმოო სიმძლავრეები ადგილზე საკვების დასამზადებლად (მათ შორის კომბინირებული საკვების), მაშინ გაანგარიშებაში გაითვალისწინება მხოლოდ პირდაპირი ცვალებადი დანახარჯები და შრომის ალტერნატიული დანახარჯები. თუ საწარმოს არ გააჩნია შესაბამისი სიმძლავრეები და საჭიროებს ინვესტიციების განხორციელებას საკვები ბაზის შექმნის მიზნით, მაშინ საჭიროა გაანგარიშებებში გათვალისწინებული იყოს როგორც პირდაპირი ცვლადი დანახარჯები და შრომის ალტერნატიული ხარჯი, ასევე პირდაპირი მუდმივი დანახარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობების მშენებლობასა და მათ საამორტიზაციო ანარიცხებთან, აგრეთვე წარმოებაში ჩადებული (დაბმული) კაპიტალის პროცენტებთან.

ყველა საწარმო, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, წყვეტს საკვები ბაზის საკითხს. ეკონომიკურად ძლიერ საწარმოებს აქვს საშუალება მიაღწიოს მუდმივი დანახარჯების რეგრესულ ეფექტს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე და აღგილობრივი წარმოების უფრო მეტ ეფექტიანობას, ნაყიდ საკვებთან შედარებით. გასათვალისწინებელია საკვების მიწოდების, ხარისხის, ფასების სტაბილურობის და სხვა მოსალოდნელი რისკები.

6.7. პირუტყვის მოვლა-შენახვის ეკონომიკური საკითხები

პირუტყვის მოვლა-შენახვის ფორმები სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, პირუტყვის სახის, წარმოების მიმართულებისა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით, არსებითად განსხვავებულია. მასზეა დამოკიდებული პირუტყვის სტრუქტურა, პროდუქტიულობა და რაც უფრო მთავარია, წარმოების დანახარჯები. აღნიშნულის გამო პირუტყვის მოვლა-შენახვის შესაბამისი ფორმის შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეკონომიკურად დასაბუთებული და მიზანშეწონილი პირუტყვის მოვლა-შენახვის ფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და დანახარჯების შემცირებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მთელი ტექნოლოგიური პროცესის სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

– პირუტყვის (ფრინველის) გამრავლება და მოვლა-პატრონობა;

– პირუტყვის გამოკვება და დაწყურება;

– პირუტყვის სადგომიდან ნაკელისა და ქვეშსაფენის გატანა;

– პროდუქციის მიღება (ძროხების წველა, ცხვრების პარსვა, ნამატის მიღება და ა.შ.).

მეცხოველეობაში, ისევე როგორც მატერიალური წარმოების სხვა სფეროებში, ხდება შრომის ჩანაცვლება კაპიტალით, რაც, ძირითადად, სამუშაო ოპერაციების მექანიზაციაში ნახულობს გამოხატულებას. მიუხედავად ამისა, პირუტყვის გამრავლება და მოვლა-პატრონობა ძალიან ნაკლებად ექვემდებარება მექანიზაციას. აქ თითქმის მეტი წილი სამუშაოებისა მოითხოვს მომვლელის უშუალო ჩარევას პერსონალურად თითოეულ სულ პირუტყვზე, იქნება ეს პირუტყვის დაგრილება, აცრა, ვეტერინარული კონტროლი, მშობიარობა თუ სხვა ტექნოლოგიური

პროცესები. პირუტყვის მოვლა-პატრონობის ინდივიდუალური ხასიათი არ იძლევა აქ შრომითი დანახარჯების არსებითი შემცირების საშუალებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ პირუტყვის ჯგუფური მოვლა-პატრონობის ისეთ სამუშაოებზე, რომორიცაა პირუტყვის მწყემსვა (შესაძლებელია ელექტრომწყემსის მოწყობა), პირუტყვის გადარეკვა ტრასებზე და ა.შ.

რაც შეეხება პირუტყვის კვებისა და დაწყურების ორგანიზაციას, არსებობს მრავალი ტექნიკური საშუალება და მოწყობილობა, რომელიც დამოკიდებულია პირუტყვის სახეზე, კვების ტიპზე, მოვლა-შენახვის ფორმაზე (ბაგური კვება, საძოვრული და ა.შ.), ფერმის შენობის კონსტრუქციაზე. ზომებზე და ა.შ. ამ ტექნოლოგიების და მეთოდების გაუმჯობესება, აგრეთვე ეკონომიკური ეფექტიანობა დაყრუნებულია შრომითი დანახარჯების და საშუალო წლიური კაპიტალური ხარჯების განსაზღვრაზე, მათი სხვადასხვა ვარიანტის დამუშავებაზე და საუკეთესო ვარიანტის არჩევაზე. პირუტყვის ერთ სულზე მიღწეული თუნდაც მცირე შრომითი თუ ფულადი დანახარჯი, საბოლოო ანგარიშით, ფერმის მასშტაბით წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ციფრებით გამოიხატება. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ალტერნატიულ დანახარჯებს ანუ დანაკარგებს, რომელსაც ეწევა საწარმო დამატებითი მუშახელის მიზიდვის გამო.

როცა საწარმოში გათვალისწინებულია წარმოების გაფართოება (სულადობის გაზრდა), განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების გაფართოების ეკონომიკურ დასაბუთებას. კერძოდ, გასაანალიზებელია, თუ რამდენადაა შესაძლებელი წარმოების გადიდება მექანიზაციის დანერგვის ხარჯზე. ამასთან, ერთმანეთთან შესადარებელია წლიური ზღვრული ამონაგები წარმოების გადიდებიდან და ზღვრული დანახარჯები, რომლებიც განაპირობებს ამონაგების ზრდას. ზღვრული დანახარჯები შედგება დამატებითი ცვალებადი დანახარჯებისა და იმ საშუალო წლიური კაპიტალური დანახარჯებისაგან, რომელიც განხორციელდა შენობა-ნაგებობებში, ძირითადი ჯოგის სულადობის გაზრდისათვის და ტექნიკური საშუალებების შეძენისათვის. რაც შეეხება ზღვრულ მოგებას ანუ სხვაობას ზღვრულ ამონაგებსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის, ის უნდა იყოს მხოლოდ დადებითი, რადგან სხვა შემთხვევაში წარმოების გაფართოება არ იქნება ეკონომიკურად მომგებიანი.

პირუტყვის მოვლა-პატრონობის მთელ ტექნოლოგიურ პროცესში ნაკელისა და ქვეშსაფენის გატანას შენობიდან და მის უტილიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი ორგანიზაცია დიდადაა დამოკიდებული შენობის კონსტრუქციასა და სიდიდეზე, პირუტყვის შენახვის ფორმაზე (ბაგური, მომთაბარე, დაუბმელი და ა.შ.) და სხვა პირობებზე.

ნაკელის გატანის ტექნოლოგიების და მეთოდების ეკონომიკური შეფასება ემყარება შრომის დანახარჯებისა და ერთ პირუტყვ-ადგილზე გაანგარიშებით კაპიტალის დანახარჯის დაპირისპირებას. ამასთან, შენობიდან ნაკელის გატანის ტექნოლოგია არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად ანუ მისი შენახვისა და მომავალში გამოყენების გარეშე.

ნაკელი, როგორც გარემოს მნიშვნელოვანი დამბინძურებელი მსხვილი მეცხოველეობის ფერმების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ამიტომ, როცა ნაკელის უტილიზაციაზეა მისაღები რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილება, საჭიროა გაითვალისწინებული იყოს არა ნაკელის გამოყენებით მოსალოდნელი მაქსიმალური ეფექტი, არამედ იმ დანახარჯების მინიმიზაცია, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს გარემოსადმი მიყენებული ეკოლოგიური ზარალის კომპენსაციისათვის. ამ მხრივ ბოლო პერიოდში სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს ბიოგაზის დანადგარების მოწყობის პრაქტიკა წერილი და საშუალო ზომის მეცხოველეობის ფერმებში, რომელიც წარმოადგენს არა მარტო წელისა და პაერის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირების საშუალებას, არამედ იაფი ენერგიის (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) მიღების წყაროსაც.

დარგის ზოგადი დახასიათება.

მესაქონლეობა მეცხოველეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომლის მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, ამ დარგში წარმოებული პროდუქციის კვებითი ღირებულება განსაზღვრავს. კერძოდ, კვებითი ღირსების მიხედვით რძეს უკავია პირველი ადგილი მეცხოველეობის დანარჩენ პროდუქტებს შორის. ის შეიცავს 90-მდე დასახელების სხვადასხვა ძვირფას ნივთიერებას, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური სრდა-განვითარებისათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ცხოველების სხვა სახეებიდან გამოირჩევა უფრო მაღალი პროდუქტიულობით. კერძოდ, ერთი ჯიშიანი საფურაჟე ძროხიდან, სათანადო მოვლის პირობებში, შესაძლებელია 6-7 ტონა და უფრო მეტი რაოდენობის რძის მიღება 4 პროცენტიანი საბაზისო ცხიმიანობით.

მესაქონლეობის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ადამიანისათვის საჭირო ხორცისა და ხორც-პროდუქტების ფიზიოლოგიურ ნორმაში (73 კგ) ერთ მესამედზე მეტი საქონლის ხორცს უკავია.

მესაქონლეობა მეცხოველეობის სხვა დარგებისგან მრავალი სპეციფიკური თავისებურებით გამოირჩევა. კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, როგორც უხეში და წვნიანი საკვების დიდი რაოდენობით მომხმარებელი, საჭიროებს საკმაოდ დიდ ფართობს (სახნავს) საკვები კულტურების წარმოებისათვის, ასევე ბუნებრივი საკვები სავარგულების მნიშვნელოვან ოდენობას. ასეთ შემთხვევაში მიიღწევა საკვების დანახარჯის მინიმუმი (ღირებულებაში) წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. გარდა ამისა, ის, პირუტყვის სხვა სახეებთან შედარებით, უფრო ყონდტევადი დარგია, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ, პირუტყვის მოვლა-შენახვის ტექნიკური თავისებურებებით (საკმაოდ მაღალი ღირებულების მქონე შენობა-ნაგებობების საჭიროება), ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ პირუტყვი (მუშა, მერძეული) თავად წარმოადგენს ბიოლოგიურ ძირითად საწარმოო საშუალებას.

მესაქონლეობის დარგი, ფუნქციონალური თვალსაზრისით, ძირითადად მერძეულ მიმართულებად (დედა-პირუტყვის ანუ ძირითადი ჯოგის მოვლა-შენახვა და ნამატის გამოზრდა) და პირუტყვის მოზარდის სასუქ მიმართულებად იყოფა.

6.8.1. მერძეული მიმართულების მესაქონლეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები

მერძეულ მესაქონლეობაში, შრომითი დანახარჯების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან შრომატევად სამუშაო ოპერაციას ძროხების წველა წარმოადგენს.

წველის დრო პირუტყვის ბიოლოგიური თავისებურებითაა განპირობებული და ამდენად, მისი არსებითი შემცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულის გამო განვითარებული მეცხოველეობის მქონე ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მიმართულია ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომლებიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს მწველავების შრომის ნაყოფიერება (ანუ დროის ერთეულში რაც შეიძლება მეტი ძროხის მომსახურება). ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს კორელაციური კავშირი მეწველი პირუტყვის კონცენტრაციასა და წველის ტექნოლოგიებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, წველის ტექნოლოგიის შერჩევა და დანერგვა წარმოებაში დეტალურ ეკონომიკურ ანალიზს მოითხოვს.

ძირითადი მახასიათებლები, რომლითაც უნდა შეფასდეს წველის ამა თუ იმ ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტიანობა, არის ტექნოლოგიის დანერგვის ღირებულება (არსებული ფერმის მოდერნიზაციის, ახალი ფერმის მშენებლობის და სხვა კაპიტალური დანახარჯების გათვალისწინებით) და მერძეული მესაქონლეობიდან მიღებული მარგინალური შემოსავალი. როცა სახეზეა აღნიშნული მაჩვენებლები, შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა წმინდა დისკონტირებული შემოსავალი,

შემოსავლების შიდა ნორმა, გამოსყიდვის ვადა და ა.შ.

ასევე უნდა ითქვას პირუტყვის შენახვის ფორმის შესახებ, რადგან ესა თუ ის ფორმა არა მარტო დაკავშირებულია პირუტყვის პროდუქტიულობის შემცირება-გადიდებასთან, არამედ მოვლა-ჰატრონობის დანახარჯებთანაც. კერძოდ, როცა ფერმაში იზრდება პირუტყვის კონცენტრაცია, ბუნებრივია, იცვლება მიკროკლიმატი და პირუტყვის საერთო მდგომარეობა, რაც, საბოლოო ანგარიშით, პირუტყვის პროდუქტიულობაზე აისახება. ეს არის ის დანაკარგი (ანუ ხელიდან გაშვებული სარგებელი), რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პირუტყვის მოვლა-შენახვის სხვადასხვა ფორმისა და ტექნოლოგიის დანერგვისას. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ის დანახარჯიც, რომელიც საჭიროა გაწეულ იქნეს პროდუქტიულობის გამოთანაბრებისათვის ანუ შენახვის ამა თუ იმ ფორმის ნეგატიური გავლენის საკომპენსაციოდ.

ძირითადად განასხვავებენ პირუტყვის დაბმული და დაუბმელი შენახვის ფორმებს. როცა ხდება თითოეული ამ ფორმის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება, ძირითად მახასიათებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შრომითი დანახარჯი ორივე ფორმის დროს; პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები და პირდაპირი ცვლადი დანახარჯები (ანუ გაითვალოს მარგინალური შემოსავალი), ინვესტიციებზე მოთხოვნილება და საშუალო წლიური მუდმივი კაპიტალური ხარჯები; სხვადასხვა დანახარჯები და პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იქნება პირუტყვის საკვებით მომარაგებასა და ნაკელის უტილიზაციასთან პირუტყვის შენახვის სხვადასხვა ფორმების დროს.

საერთოდ, მოწინავე ქვეყნების მაგალითზე დამტკიცებულია, რომ მეწველი პირუტყვის დაუბმელი შენახვა, კაპიტალის დანახარჯის გათვალისწინებით, ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელია შედარებით მცირე ფერმებში (40-დან 80 ძროხამდე).

ზოგადად, მეცხოველეობის ნებისმიერი დარგის განვითარებას ძირითადად სამი მიმართულება (ფაქტორი) განსაზღვრავს. ესაა პირუტყვის (ფრინველის) ფიზიოლოგიური თავისებურებანი, კვების რაციონი და კვების ინტენსივობა. პირველი მოიცავს ჯიშს, პირველი მაკეობის ასაკს, მაკეობათაშორის პერიოდს, პირუტყვის ექსპლუატაციაში ყოფნის ვადას და საკვების ათვისების უნარს.

პირუტყვის ჯიშობრივი მონაცემები, ძირითადად, განმსაზღვრელია ამა თუ იმ ჯიშის შერჩევის დროს. მასზეა დამოკიდებული ძროხის პროდუქტიულობა და დანახარჯები წარმოებული რძის ერთეულზე (ანუ ოპტიმალური პროდუქტიულობა რძის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების მინიმუმის პირობებში).

მერძეული მესაქონლეობის დარგის თანმდევ პროდუქციას მიღებული ნამატი (ხბო) წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს რამდენიმე დღის ასაკში რეალიზაციისათვის, ადგილზე გამოზრდის (კვლავწარმოების მიზნით) ან სასუქად, შემდეგ რეალიზაციის მიზნით.

ნამატის ღირებულება (როგორც შესყიდვის, ასევე გაყიდვის შემთხვევაში) არსებითად მოქმედებს მერძეული ჯოგის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, რის გამოც ჯიშის შერჩევის დროს თანმდევი პროდუქციის მახასიათებლების გათვალისწინება ისევე აუცილებელია, როგორც პირუტყვის სხვა ჯიშობრივი მონაცემებისა (პროდუქტიულობა, რძის ცხიმიანობა, წონა და ა.შ.). ამ მიმართულებით ჩატარებულმა ეკონომიკურმა ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას: ძირითად და თანმდევ პროდუქციაზე ფასების რა დონის პირობებში იქნება ეკონომიკურად მომგებიანი მეხორცულ-მერძეული მიმართულების ჯიშები მერძეული მიმართულების ჯიშებთან შედარებით და პირიქით.

ძროხებში პირველი მშობიარობის (მაკეობის) ყველაზე გავრცელებული ასაკი, ნორმალური ზოოვეტერინარული პირობების დაცვის შემთხვევაში, 28-36 თვეა. პირველი ხბოს მიღებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მარტო ძროხის პროდუქტიულობა პირველი ლაქტაციის პერიოდში, არამედ უშობლის გამოზრდის დანახარჯები პირველი ხბოს მიღებამდე. დადგენილია, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება მაკეობა და ხბოს მიღება, მით დაბალია უშობლის გამოზრდის დანახარჯები, თუმცა, ამასთან ერთად, დაბალია ასევე პირველი ლაქტაციის პერიოდში პირუტყვის პროდუქტიულობა. ეს დამოკიდებულებები მათემატიკურად (პირველ ლაქტაციაში ფურების პროდუქტიულობასა და პირველი მშობიარობის ასაკს შორის, აგრეთვე პირველ მშობიარობამდე

უშობლის გამოზრდის დანახარჯებსა და პირველი მშობიარობის ასაკს შორის) ბოლომდე მეცნიერულად არაა შესწავლილი, მაგრამ სპეციალისტთა ექსპერტული შეფასებით პირველი დაჩქარებული მშობიარობის გავლენა პირუტყვის პროდუქტიულობაზე თვეში საშუალოდ (60 კგ რძეს შეადგენს.

ძროხების პროდუქტიულობის ცვლილების ფულად ერთეულებში შესაფასებლად გამოიყენება ზღვრული მოგება, რომელიც მიიღება დამატებით წარმოებული კილოგრამი რძისაგან.

მაგალითად, თუ ერთი კილოგრამი რძის სარეალიზაციო ფასი ერთ ლარს შეადგენს, მაშინ პირველი დახბოიანების (მშობიარობის) ასაკის შემცირებით გამოწვეული ზღვრული დანაკარგები თვეში 60 ლარს შეადგენს (60 კგ • 1 ლარი/კგ). ამრიგად, იმისათვის, რომ განისაზღვროს პირველი დახბოიანების ოპტიმალური ასაკი, აღნიშნული დანაკარგი (60 ლარი თვეში) შედარებული უნდა იქნეს იმ დანახარჯების ეკონომიასთან, რომელიც მიიღება უშობლის გამოზრდის პერიოდის შემცირებით. ეს დანახარჯები, ძირითადად, ყალიბდება საკვების დანახარჯებისა და სხვა თანხებისაგან, შრომის ანაზღაურების ხარჯების ჩათვლით.

ჩვენ მაგალითში, ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულად ითვლება დახბოიანების აღრეული ასაკი. ამასთან, რაც უფრო ძვირადღირებულია საკვები, მით უფრო ეფექტურია აღრეული დახბოიანება.

საწარმოს, რომელსაც გააჩნია ძროხების მაღალი პროდუქტიულობისა და საკვების ამოგების (გამოსყიდვის) მაჩვენებლები, აქვს საკვების შეზღუდული რესურსები ან მაღალი ზღვრული დანახარჯები მის წარმოებაზე (ან შეძენაზე), უფრო ჩელსაყრელია დახბოიანების აღრეული ასაკი და პირიქით.

ამავე კონტექსტშია განსახილველი მერძეული პირუტყვის დახბოიანების პერიოდიც. ის დაკავშირებულია პირუტყვის კვებასთან შედარებით ძვირადღირებული დაკონსერვებული (სენაჟი, სილოსი, თივა) და შედარებით იაფი მწვანე საკვებით. აღნიშნულის და საკვების დანახარჯების გათვალისწინებით, დახბოიანება უმჯობესია გაზაფხულზე, თუმცა პროდუქტიულობის გათვალისწინებით უმჯობესად ითვლება საშემოდგომო დახბოიანება (სხვაობა აღნიშნულ პერიოდში ერთ ძროხაზე საშუალოდ წელიწადში 300-350 კგ რძეს შეადგენს). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოდგომაზე დახბოიანებული პირუტყვი ძირითადად ზამთარში იძლევა რძეს ანუ იმ პერიოდში, როცა ბაზარზე რძის ღირებულება გაცილებით მაღალია, ზაფხულთან შედარებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რძის წარმოებაზე და ნამატის გამოზრდაზე გაწეული შრომითი დანახარჯი ზამთრის თვეებზე მოდის, ანუ როცა არ მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები. თუმცა მას აქვს უარყოფითი მხარეებიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ პირუტყვის კვება ძირითადად კონსერვირებული საკვებით ხდება, საჭირო ხდება საკვებ რაციონში კომბინირებული საკვების წილის გაზრდა. აღნიშნული დადებითი და უარყოფითი მხარეები შესაფასებელია ეკონომიკური თვალსაზრისით და მისაღებია შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, თუ საწარმოს გააჩნია ბუნებრივი საკვები სავარგულები ანუ საკმარისი ოდენობით იაფი მწვანე საკვები, ამასთან რძის ფასი ზაფხულ-ზამთრის თვეებში არ ხასიათდება არსებითი ცვლილებებით, მაშინ საგაზაფხულო დახბოიანება ეკონომიკურად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს და პირიქით (თუ საწარმოს არ გააჩნია ბუნებრივი საკვებ-სავარგულები, მაგრამ გააჩნია ბაზა კონსერვირებული საკვების საკმაო ოდენობით დასამზადებლად, მაშინ უფრო გამართლებული იქნება საშემოდგომო დახბოიანება).

მერძეულ მესაქონლეობაში ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს პირუტყვის წველის ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენა და ოპტიმალური მაკეობათაშორისი (ხბოს მოგებათაშორისი) პერიოდის განსაზღვრა. მთლიანობაში საკითხი დაკავშირებულია ძირითადად წველის ხანგრძლივობისა და პირუტყვის „მშრალად“ შენახვის პერიოდის ოპტიმალური ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული ვადების დადგენასთან.

დახბოიანებათაშორისი პერიოდის (ინტერვალის) შემცირება, თავის მხრივ, შეზღუდულია მაკეობის ბიოლოგიური ხანგრძლივობით (რაც საშუალოდ 284-286 დღეს შეადგენს). რაც შეეხება პირუტყვის

„მშრალ“ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდს, ის აუცილებელია პირუტყვისათვის ბიოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ორგანიზმს ესაჭიროება მომზადება შემდეგი ლაქტაციისათვის. რისთვისაც აუცილებელია, სწორად განსაზღვროს დახბობიანების შემდეგ ძროხის დაგრილების ის ოპტიმალური ვადა, რომლის დროსაც მიღებული იქნება მაქსიმალური ეფექტი კონკრეტული საწარმოს პირობების გათვალისწინებით.

თუ პირუტყვის მშრალ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდს უცვლელ სიდიდედ მივიჩნევთ, მაშინ შემდეგ დამოკიდებულებასთან გვექნება საქმე: ა) ძროხის სადღეღამისო პროდუქტიულობას ანუ საშუალო წელადობას და ზღვრულ ამონაგებს ექნება შემცირების ხასიათი წველის ხანგრძლივობის გაგრძელების ყოველ დღეზე გაანგარიშებით; ბ) თანმდევი პროდუქციიდან (ხბო) მისაღები საშუალო ამონაგები მცირდება დახბობიანებათაშორისი პერიოდის გახანგრძლივების ყოველ დღეზე გაანგარიშებით; გ) დახბობიანებათაშორისი პერიოდის გაზრდისას მშრალად ყოფნის პერიოდის ხვედრითი წილი საერთო ინტერვალში მცირდება (ხბოს მიღებათა შორის პერიოდი მოიცავს წველის ხანგრძლივობის პერიოდს მიმატებული პირუტყვის მშრალად ყოფნის პერიოდი).

ამდენად, თუ გაანგარიშების საფუძველად მივიჩნევთ ძროხის წველადობას, მაშინ დახბობიანების ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენის ძირითად კრიტერიუმად გამოდგება მოცემული ლაქტაციის ბოლო დღის ნაწველის და მომავალი პერიოდის საშუალო წლიური დღიური ნაწველის ტოლობა (თუ ბოლო დღის ნაწველი უფრო მეტია, ვიდრე მომავალი პერიოდის ნაწველის საშუალო დღიური ოდენობა, მაშინ მისი წველის გაგრძელება ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია, ანუ ჯერ არ დამდგარა ზღვრული მერძეული პროდუქტიულობა.

იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ ძროხის ბოლო ლაქტაციასთან გვაქვს საქმე, მაშინ მისი ზღვრული მერძეული პროდუქტიულობა უნდა შეუდარდეს იმ ძროხის მაქსიმალურ საშუალო პროდუქტიულობას, რომელიც მის ადგილს დაიკავებს მერძეულ ჯოგში.

სათანადო გაანგარიშებებში, გამართლებული გათვლებით, პირუტყვის მშრალად ყოფნის პერიოდად იღებენ საშუალოდ 50 დღეს. მოწინავე მეცხოველეობის მქონე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ რაც უფრო დიდდება ხბოს მიღებათაშორისი პერიოდი, ზღვრული მოგება თანდათან მცირდება. მაქსიმალური მარგინალური შემოსავალი წლის განმავლობაში ერთ პირუტყე-ადგილზე მიიღწევა მაშინ, როცა ინტერვალი შეადგენს 13 თვეს. ამ ინტერვალს შემდგომი გადიდება იწვევს არა მარტო ზღვრული მოგების შემცირებას მარტო რძეზე, არამედ თანმდევ პროდუქციაზეც (ხბოზე).

ხბოზე დანახარჯების მატებასთან ერთად, ხბოს მიღებათაშორისი ინტერვალის გადიდება სულ უფრო ნაკლებ ეფექტური იქნება, რადგან დროის გარკვეულ მონაკვეთზე (დღე, თვე, წელი) გაანგარიშებით საშუალო ამონაგების თანხას ყოველთვის ექნება შემცირების (კლების) ხასიათი.

6.8.2. მერძეული ჯოგის პირუტყვის კვების ეკონომიკური საკითხები

ისევე, როგორც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, პირუტყვსაც, მისი მერძეული პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად სრულფასოვანი კვება ესაჭიროება. დადგენილია, რომ პირუტყვის მიერ საკვების მიღება (ათვისება) ფიზიოლოგიურად გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და ის არ აღემატება დღეში საშუალოდ ერთ კილოგრამ მშრალ ნივთიერებას. პირუტყვის პროდუქტიულობის ასამაღლებლად საჭიროა მისი კვება ისეთი საკვებით, რომელსაც ახასიათებს საკვებ ნივთიერებათა მაღალი შემცველობა ერთ კილოგრამ მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით. ამ მიმართულებით თუ სხვადასხვა საკვებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ კონცენტრირებული საკვების ენერგეტიკული ღირებულება ბევრად აღემატება უხეში და წვნიანი საკვების ენერგეტიკულ ღირებულებას. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საკვებზე დანახარჯი გაიზრდება პირუტყვის მიერ საკვების ათვისების უნარის შემცირების კვალობაზე. ანუ ძირითად

ჯოგში არსებული პროდუქტიული პირუტყვის მიერ საკვების ათვისების სხვადასხვა უნარს მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის სხვადასხვა დონე შეესაბამება.

სათანადო დაკვირვებები გვიჩვენებს რომ ძროხებს, რომელთაც აქვთ საკვების ათვისების მაღალი უნარი, ესაჭიროება უფრო ნაკლები კონცენტრირებული საკვები დღიური პროდუქტიულობის შედარებით მაღალი დონის პირობებშიც კი, რასაც მიეყვარით საკვებზე დანახარჯის მნიშვნელოვან ეკონომიასთან, განსაკუთრებით ლაქტაციის პირველ სტადიაზე (რაც მიიღწევა რაციონში უფრო იაფი უხეში, მწვანე და წვნიანი საკვების წილის გადიდებით).

პირუტყვის მიერ საკვების ათვისების უნარზე მოქმედებს ასევე საკვების ხარისხი და მისი მიწოდების სიხშირე. რაც უფრო ხარისხიანი და ხელმისაწვდომია პირუტყვისათვის საკვები მთელი დღის განმავლობაში (საკვებურებში საკვების მუდმივად არსებობა), მით მაღალია საკვების ათვისება და კვების ეფექტიანობა.

საკვებზე გაწეულ დანახარჯებს არსებითი ადგილი უკავია რძის წარმოებისათვის საჭირო ცვლად დანახარჯებში და პრაქტიკულად განსაზღვრავს რძის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამა თუ იმ დონეს.

მერძეულ მესაქონლეობაში, როცა იხილება საკვების ეკონომიის საკითხი, საჭიროა ორი მიზნის თავსებადობა. კერძოდ, საჭიროა განისაზღვროს საკვების რაციონის ოპტიმალური სტრუქტურა დანახარჯების მინიმუმის პირობებში და მერძეული სულადობის პოტენციური პროდუქტიულობის ოპტიმალური გამოყენება, რაც, ძირითადად, მიღწეული უნდა იქნეს კვების ოპტიმალური ინტენსივობით. ეს ნიშნავს, რომ საკვებზე ზღვრული დანახარჯების თანდათანობით გადიდების პირობებში (ყოველი დამატებული საკვები ერთეულის ღირებულება) უნდა განისაზღვროს ძროხების ოპტიმალური პროდუქტიულობის დონე.

პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად საკვების ზღვრული დანახარჯების გადიდება ბუნებრივად უკავშირდება კონცენტრირებულ საკვებზე მოთხოვნილების გადიდებას და მისი წილის ზრდას საკვებში, რაც იწვევს რაციონის გაძვირებას. რაც შეეხება ნამატი პროდუქციით საკვების ზღვრულ ამოგებას (გამოსყიდვას), ის პრაქტიკულად უცვლელი რჩება ძროხის პოტენციური პროდუქტიულობის ნორმალურ ზღვრამდე.

კვების რაციონთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე კვების ოპტიმალური ინტენსივობაც, რაც მიიღწევა მაშინ, როცა პროდუქტიულობის ამაღლებაზე მიმართული საკვების ზღვრული დანახარჯი გაუტოლდება ან გადააჭარბებს ნამატი პროდუქციიდან მიღებულ ამონაგებს.

ყველა შემთხვევაში არსებობს მჭიდრო დამოკიდებულება ძროხების კვების ინტენსიურობას, ცალკეული სახის საკვების ღირებულებასა და ძროხების მიერ საკვების ათვისების უნარს შორის, რასაც განაპირობებს როგორც პირუტყვის პოტენციალი, ასევე თვით საკვების ხარისხი. კერძოდ, მერძეული პროდუქტიულობის ზრდის კვალობაზე, რაციონში რაც უფრო მეტ ადგილს იკავებს კონცენტრირებული საკვები, ხოლო სხვა სახის საკვები თანდათან მცირდება, საკვების ზღვრული დანახარჯი პროდუქციის ნამატის ეროეულზე არსებითად იზრდება.

ძროხის ღღიური პროდუქტიულობა ლაქტაციის განმავლობაში (რომელიც საშუალოდ 300 დღემდე გრძელდება) არსებით ცვლილებას განიცდის, რის გამოც რძის წარმოებაზე გაწეული საშუალო წლიური ზღვრული დანახარჯების დასადგენად ლაქტაციის პერიოდს რამდენიმე სტადიად პყოფენ. ყველაზე მეტი პროდუქტიული ლაქტაციის ის პერიოდია, რომელზეც მოდის 45%. მეორეზე, შესაბამისად, 35%, ხოლო დანარჩენი 20% მესამე პერიოდზე. დღიური პროდუქტიულობიდან გამომდინარე, თითოეული სტადიისათვის განისაზღვრება დამატებით მიღებული კილოგრამი რძის ზღვრული დინამიური დანახარჯები და შემდგომ საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით გამოითვლება რძის პროდუქტიულობის გადიდების საშუალო წლიური ზღვრული დანახარჯები პროდუქტიულობის სხვადასხვა დონისათვის.

6.8.3. ძირითადი ჯოგის პირუტყვის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის განსაზღვრა

მერძეული მესაქონლეობის განვითარების გეგმების შედგენისას და დარგის საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის დროს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს ძროხის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის განსაზღვრა წარმოადგენს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ძროხის ექსპლუატაციაში დაყოვნების ოპტიმალური ვადა, საჭიროა შემდეგი ძირითადი მახასიათებლების მოპოვება:

– ძროხის საწყისი ფასი (შეძენის ან ადგილზე გამოზრდის ღირებულება);

– ძროხის ღირებულება გამოწუნებისას (ანუ მისი სალიკვიდაციო ღირებულება ხორცად რეალიზაციის შემთხვევაში);

– ძროხის მერძეული პროდუქტიულობა წლების მიხედვით;

– თანმდევი პროდუქციის ღირებულება და სხვა ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა მარგინალური შემოსავლის (ეფექტის) გასაანგარიშებლად.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ასევე ვიცოდეთ საწარმოში არსებული ძროხა უნდა შეიცვალოს იმავე მახასიათებლების (პროდუქტიულობა, რძის ცხიმიანობა, წონა, საკეების შეთვისების უნარი და ა.შ.) მქონე პირუტყვით, თუ განსხვავებული ნიშან-თვისებათა მატარებელი პირუტყვით, რადგან ასეთ პირობებში ოპტიმალური ვადის განსასაზღვრად განსხვავებული მიდგომაა საჭირო. კერძოდ, თუ პირუტყვი იცვლება არაიდენტური მახასიათებლების მქონე პირუტყვით, მაშინ არსებული ძროხის ახლით შეცვლის ოპტიმალური ვადა დგება მაშინ, როცა ზღვრული წლიური მოგება საწარმოში ძროხის შემდგომი გამოყენებიდან უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მისი შემცვლელი ძროხიდან მოსალოდნელი მაქსიმალური საშუალო წლიური მოგება. აღნიშნულის დასადგენად საჭიროა გავიანგარიშოთ ზღვრული და საშუალო წლიური მოგების მოცულობები ძროხის შეცვლის ყველა შესაძლო პერიოდისათვის. შემდგომ ეტაპზე საჭიროა ერთმანეთს შევადარდეს ექსპლუატაციაში მყოფი ძროხის ზღვრული მოგება (ყოველი დამატებული წლისათვის) და შემცვლელი ძროხის გამოყენებიდან მოსალოდნელი მაქსიმალური საშუალო წლიური მოგება და განისაზღვროს (დაფიქსირდეს) დრო (წელი), რომლიდანაც დაწყებული, არსებული ძროხის კიდევ ერთი ან რამდენიმე წლით დატოვებას მოჰყვება სულ უფრო მცირე მოგება, შემცვლელი ძროხიდან მისაღები საშუალო წლიურ მოგებასთან შედარებით.

რაც შეეხება სიტუაციას, როცა ექსპლუატაციაში არსებული ძროხის შეცვლა ხდება იდენტური პირუტყვის საშუალებით, მაშინ არსებული პირუტყვის პირუტყვის საწარმოში დარჩენის ოპტიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ძროხის გამოყენებიდან ფაქტობრივად მიღებული მაქსიმალური საშუალო წლიური მოგების გათვალისწინებით, ანუ ოპტიმალურად ჩაითვლება ის ვადა, რომლის დროსაც მიღწეული იქნება საშუალო წლიური მოგების მაქსიმუმი ექსპლუატაციაში ყოფნის მთელ პერიოდში (სხვა ვარიანტებთან შედარებით). მანამ, ვიდრე ზღვრული მარგინალური შემოსავლის გადახრა მაქსიმალური საშუალო წლიური მაჩვენებლიდან იქნება დადებითი (ანუ მეტი), არსებული ძროხის იდენტური მონაცემების მქონე ძროხით შეცვლა ეკონომიკურად წამგებიანი იქნება.

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში ხშირად საჭირო ხდება ძროხის სამეურნეო ღირებულების გაანგარიშება დროის გარკვეული პერიოდისათვის. ის შედგება ძროხის ხორცად რეალიზაციის ღირებულებისა და იმ სარგებლისაგან, რომელიც ხელიდან იქნა გაშვებული ძროხის ოპტიმალურ ვადამდე გამოუყენებლობით ან მისი ვადამდე სხვა პირუტყვით შეცვლით. ამდენად, ძროხის სამეურნეო ღირებულების გასაანგარიშებლად ზღვრული მარგინალური შემოსავლების გადახრათა ჯამი მაქსიმალურად შესაძლო საშუალო წლიური მარგინალური შემოსაყალიდან (ოპტიმალურ ვადამდე შეცვლის ღარჩენილ წლებში) უნდა გადაითვალოს წლის ბოლოსათვის ან შეფასების მომენტისათვის რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდით. მიღებულ თანხას, რომელიც წარმოადგენს ხელიდან გაშვებულ სარგებელს (ალტერნატიულ დანახარჯს), უნდა დაემატოს ძროხის

ღირებულება ხორცად მისი რეალიზაციის შემთხვევაში. მიღებული მაჩვენებელი გამოიყენება ძროხის შესაფასებლად, როცა გადაწყვეტილია მისი გაყიდვა სხვა საწარმოზე ან სხვა მიზნით გამოსაყენებლად და ფაქტობრივად გეიჩვენებს ძროხის გაყიდვის მინიმალურ ფასს.

6.8.4. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდისა და სუქების ეკონომიკური საკითხები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდა და სუქება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოო მიმართულებაა, რომელიც ხასიათდება პირუტყვის მოვლა-შენახვისა და საწარმოო რესურსების დანახარჯების სხვადასხვა ფორმით, სუქების ოპტიმალური ვადების განსხვავებულობით.

პირუტყვის სუქება, როგორც წარმოების ორგანიზაციული ფორმა, განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა ბაზაზე ეწყობა (საკუთარი საკვები და საკუთარი მოზარდეული თუ ნაყიდი) და რა მიზანს ისახავს ის (გასუქებული პირუტყვის საბოლოო მასის გამოყენების გათვალისწინებით). ამდენად, პირუტყვის სუქება შეიძლება იყოს შეთანაწყობილი მერძეულ მესაქონლეობასთან და სპეციალიზებული (მხოლოდ სუქება ხორცის წარმოების და რეალიზაციის მიზნით).

პირველ შემთხვევაში, ანუ როცა სუქება შეთანაწყობილია მერძეულ მესაქონლეობასთან, მოზარდის ნამეტი წარმოადგენს თანმდევ პროდუქტს.

საწარმოს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ საკითხს წარმოადგენს მიღებული ნამატის გამოყენების ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება (გამოზარდოს ნამატი ძირითადი ჯოგის პირუტყვის კვლავწარმოებისათვის, გაუკეთოს რეალიზაცია ადრეულ ასაკში თუ აწარმოოს სუქება და რეალიზაცია გვიან ასაკში).

ეკონომიკურ დასაბუთებას თხოულობს ასევე სუქების ხანგრძლივობა და სარეალიზაციო პირუტყვის მასა და კონდიცია. ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუქების პერიოდის ხანგრძლივობა და ცოცხალი წონამატები მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოზვრებისა და დეკეულების შემთხვევაში (მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქება, რაც შეიძლება მაღალი საბოლოო მასის მიღების მიზნით, უფრო შესაძლებელია მოზვრების გამოყენებით, რომელთაც, დეკეულებთან შედარებით, ახასიათებს მნიშვნელოვნად დიდი წონამატი. აღნიშნულის გამო დეკეულები, რომლებიც არ გამოდგება ძირითადი ჯოგის შესავსებად, სუქებაზე, როგორც წესი, დგება ადრეულ ასაკში და იხსნება სუქებიდან შედარებით დაბალი წონის პირობებში).

განასხვავებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიური და ექსტენსიური სუქების ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს შენობა-ნაგებობებით, საკვები ბაზით და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფასთან. თუ საწარმოს არ აქვს აღნიშნული რესურსებით უზრუნველყოფის მაღალი დონე, ისინი აწარმოებენ პირუტყვის ან ერთჯერად (ერთპერიოდულ) სუქებას ან რეალიზაციას უკეთებენ მოზარდ ხბოებს ადრეულ ასაკში.

პირუტყვის საკვები ბაზის შექმნის წყაროებიდან გამომდინარე, სუქება შეიძლება განხორციელდეს საკუთარი საკვები ბაზის ან ნაყიდი საკვების ხარჯზე (ძირითადად კონცენტრირებული საკვების ან კვებისა და გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ანარჩენების ხარჯზე). ამასთან, საკუთარი საკვები ბაზის არსებობის შემთხვევაში პირუტყვის სუქება შეიძლება ორგანიზებული იყოს როგორც ექსტენსიური ფორმით (როცა კონცენტრირებულ საკვებთან ერთად უპირატესად გამოიყენება ბუნებრივი საკვებ-სავარგულები), ასევე ინტენსიური ფორმით (როცა პირუტყვი გადაყვანილია ბაგურ კვებაზე და საკვებში ძირითადი ადგილი უკავია კონცენტრირებულ საკვებს).

საერთოდ, მეცხოველეობის დარგების ეკონომიკური დახასიათების მიზნით, საჭიროა, პირველ რიგში, განისაზღვროს (დადგინდეს) წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) დანახარჯები, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, მარგინალური შემოსავალი და მოგება საკვები კულტურების ჯართობის ერთეულზე, პირუტყვის პირობით

ერთეულზე ან ერთ პირუტყვ-ადგილზე.

გარდა ამ მაჩვენებლებისა, დიდ მნიშვნელობას იძენს საკუთარი წარმოების ფაქტორების გამოსყიდვის მაჩვენებლები, რომელთაც, პირველ რიგში, მიაკუთვნებენ შრომისა და საკვების დანახარჯს. ამ მიზნით, მარჟინალურ შემოსავალს ანგარიშობენ საკუთარი საკვების ერთეულზე და შრომითი დანახარჯების (კაც-დღე, კაც-საათი) ერთეულზე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქების ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად გამოიყენება როგორც ზემოაღნიშნული ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე ნატურალური მაჩვენებლებიც, რომელთა შორის მთავარია, საშუალო სადღეღამისო წონამატი ერთ სულზე, სუქების ხანგრძლივობის ვადა (დღეებში), პირუტყვის საბოლოო საშუალო სარეალიზაციო წონა (კგ) და ხორცის გამოსავალი საკვები კულტურებით დაკაებული ფართობის ერთეულზე (კგ).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიური სუქების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება გასუქებული პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და იმ ფასს შორის სხვაობით, რომელიც შეიძლება მიღებულიყო სუქებაზე დაყენებამდე მოზარდის რეალიზაციით, აგრეთვე საკვების დანახარჯით ერთი კგ ცოცხალი წონამატის მიღებაზე. ცალკეულ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს ცოცხალი შრომის დანახარჯმაც (განსაკუთრებით, თუ საწარმოში შრომითი რესურსი შეზღუდულია).

გასუქებული პირუტყვის რეალიზაციიდან ამონაგები ძლიერ განსხვავდება (მერყეობს) სიმსუქნისა და სხვა ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვით (პირუტყვის სქესი, სუქების ხანგრძლივობა და ა.შ.).

სუქებაზე დაყენებული მოზარები ხასიათდება უფრო მაღალი ცოცხალი წონით, ლეკვებთან შედარებით. მოზარების ინტენსიური სუქება, კვების რაციონიდან გამომდინარე, შეიძლება ორგანიზებული იყოს შემდეგი სქემით. თავდაპირველად საძოვრული კვება, შემდეგ სუქება კონცენტრირებული საკვების საფუძველზე დაბოლოს, გამოკვება მაღალხარისხოვანი წუნიანი საკვებით (სიმინდის კულტურის სილოსით). საძოვრული კვების დროს საღღეღამისო წონამატი დაბალია, რადგან მწვანე საკვები არ გამოირჩევა საკვები ნივთიერებების დიდი კონცენტრაციით და, პირიქით, კომბინირებული საკვების გამოყენებით პირუტყვის კვება, მართალია ხასიათდება დიდი დანახარჯებით, მაგრამ, ამავე დროს, ხასიათდება დიდი წონამატითაც (1,1-1,2 კგ დღე-ღამეში). კვების ეს ფორმა, ბუნებრივია, აძვირებს პროდუქციას, რაც, არც თუ იშვიათად, ხდება წარმოების არაეფექტურობის საფუძველი.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქება მაღალხარისხოვანი სიმინდის სილოსის საფუძველზე. კერძოდ, პირუტყვის სუქებაზე ეიწროდ სპეციალიზებული საწარმოები ჯერ იძენენ მოზარდს (4-6 კვირის ასაკში), გამოზრდიან მათ რძის შემცველებით და კომბინირებული საკვებით 4 თვემდე (150-160 კგ ცოცხალი წონით) და შემდეგ აყენებენ ინტენსიურ სუქებაზე. შემდგომ 11-12 თვის განმავლობაში საღღეღამისო 1,1-1,2 კგ წონამატის პირობებში მიჰყავთ მათი ცოცხალი წონა 510-560 კგ-მდე. საყურადღებოა, რომ მთელი საკვები ნივთიერებების 70-75% დაბალანსებულია სიმინდის სილოსით, რომელიც კვების რაციონის საფუძველს წარმოადგენს, ცილოვან დანამატებთან ერთად.

სიმინდის სილოსით ინტენსიური სუქება, კომბინირებულ საკვებთან შედარებით, გამოირჩევა შედარებით დიდი შრომითი დანახარჯებით ერთ პირუტყვ-ადგილზე გადაანგარიშებით, რაც აიხსნება იმით, რომ სილოსის ჩამორიგება ხელით სრულდება და დიდ შრომით დანახარჯს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საბოლოო ანგარიშით, პირუტყვის სუქება სიმინდის სილოსის საფუძველზე, მაინც მაღალეფექტურია საფურაჟე და სასილოსე სიმინდის კულტურის წარმოებაზე და სილოსის დამზადებაზე გაწეულ შედარებით დაბალი შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების გამო.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსტენსიური სუქების ფორმა გულისხმობს მეხორცული ჯიშის დედა პირუტყვის (ძროხების) შენახვას საძოვრებზე, მათგან ნამატის მიღების მიზნით. ნამატის რეალიზაცია ხდება ძირითადად ადრეულ ასაკში (საძოვრული პერიოდის დამთავრების შემდეგ). ამ ფორმით სუქების ეკონომიკური შეღებების შესაფასებლად,

გარდა სადღეღამისო წონამატისა და საკვები კულტურების ყაროობის ერთეულზე პროდუქციის (ხორცის) გამოსავალიანობის მაჩვენებლისა, გამოიყენება ასევე რამატის მიღებისა და ძროხების გამოყენების ხანგრძლივობის მაჩვენებლებიც. ამ საწარმოო მიმართულების ეკონომიკური ეფექტიანობის გადამწყვეტ პირობად მიჩნეულია წლის განმავლობაში იაფი საკუთარი საკვების არსებობა. აღსანიშნავია, რომ სუქების ეს ყორმა (სხვა მიმართულებებისაგან განსხვავებით) გამოირჩევა საკვების შედარებით დაბალი გამოსყიდვის ღონით, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია იმასთან, რომ საკვების დიდი ნაწილი ხმარდება პირუტყვის საარსებო ღონის (სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნებას და არა პროდუქტიულობის გადიდებას. აღნიშნულის გამო, სუქების ეს სახე უფრო მიზანშეწონილია ეკონომიკური თვალსაზრისით იმ საწარმოებისათვის, რომელთაც აქვთ საკუთარი საკვების მძლავრი ბაზა (ძირითადად, ბუნებრივი სათიბ-საძოვრები) და შეზღუდული შრომითი და მატერიალური რესურსები (პირუტყვისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების სახით).

საერთოდ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქების ეკონომიკურ ეფექტიანობას შემდეგი ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავს: 1) კონკრეტული პირობებისადმი შესაბამისი პირუტყვის ჯიშის შერჩევა; 2) საკვების შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საშუალებების დანახარჯების დონე და სტრუქტურა; 3) წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები. ბოლო ორი – წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა, ხოლო პირველ – ზოოტექნიკური პრობლემაა, რომელიც უშუალოდ მოქმედებს ეკონომიკური ხასიათის მაჩვენებლებზე.

სუქების ეკონომიკურ ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს კვების ოპტიმალური ინტენსივობა და სასუქი პირუტყვის ოპტიმალური საბოლოო ცოცხალი მასა.

პირველი გამოიხატება საკვების დანახარჯით პირუტყვის ერთ სულზე გაანგარიშებით, დღე-ღამის განმავლობაში. რაც შეეხება კვების ოპტიმალური ინტენსივობის კრიტერიუმს, ის მდგომარეობს შემდეგში: კვების ოპტიმალური ინტენსივობა მიღწეულია მაშინ, როცა საკვების ზღვრული დანახარჯები გაუტოლდება ზღვრულ ამონაგებს (ანუ საკვების ღირებულება და მის საფუძველზე შექმნილი წონამატის რეალიზაციიდან მოსალოდნელი ამონაგების ღირებულება ტოლია).

მოწინავე საწარმოთა გამოცდილება მოწმობს, რომ კვების ინტენსიობის გადიდების ქვალობაზე, სხვა თანაბარ პირობებში, იზრდება სადღეღამისო წონამატი და ამით მცირდება პირუტყვის სუქებისათვის გათვალისწინებული პერიოდი (ვადა). გარდა ამისა, საკვებზე დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე (ცოცხალი მასის ერთ კილოგრამზე) კვების ინტენსიობის ზრდის ქვალობაზე თანდათან იზრდება.

გასუქების პროცესის დაჩქარების ეკონომიკური ეფექტი დამოკიდებულია ცოცხალი წონამატის გადიდებიდან მიღებული ამონაგების სიდიდეზე და საწარმოში პირუტყვისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების შეზღუდულობის დონეზე. თუ საწარმოში შენობა-ნაგებობები არასაკმარისია (შეზღუდულია), მაშინ კვების ოპტიმალური ინტენსიურობა მიიღწევა, როცა სუქებისათვის გამოყოფილ პერიოდში მიღწეული იქნება კვების ინტენსიობის ზღვრული დანახარჯების ტოლობა სადღეღამისო წონამატის ფულადი ამონაგებისა და პირუტყვადგილის ეკონომიის ჯამს შორის. როცა საქმე გვაქვს სუქების პროცესის უწყვეტობასთან, პირუტყვის მოცემული საბოლოო მასის პირობებში, პირუტყვადგილის ეკონომიის ღღიური ღირებულება ერთ პირუტყვადგილზე მაქსიმალური საშუალო შემოსავლის ტოლი უნდა იყოს.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქების ეკონომიკური ეფექტიანობის მეორე განმსაზღვრელ ფაქტორს სასუქი პირუტყვის ოპტიმალური საბოლოო ცოცხალი წონა წარმოადგენს. მისი ოდენობა დამოკიდებულია როგორც კვების ტიპზე (ანუ გამოკვება მიმდინარეობს ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე თუ ნაყიდი საკვებით), ისე პირუტყვისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების არსებობაზე.

საძოვრულ პირობებში გამოკვების დროს არსებობს გარკვეული შეზღუდვები ანუ, თუ როგორია საძოვრის ხარისხი (ბალახის სახეობები, საკვების ხარისხი საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით, ბალახის მოსავლიანობა), საძოვრული პერიოდის ხანგრძლივობა, სასუქი

პირუტყვის ასაკი, წონა და ა.შ.

სასუქი პირუტყვის მოზარდზე და გასუქებული პირუტყვის სარეალიზაციო ფასების უცვლელობის პირობებში (სუქების მთელი პერიოდის განმავლობაში), იმ საწარმოებისათვის, რომლებიც პირუტყვის სუქებას ეწევიან ბაგური კვების მეთოდით, სასუქი პირუტყვის საბოლოო წონა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

– ზღვრული დანახარჯების ცვლილება პირუტყვის საბოლოო ცოცხალი მასის გადიდებით (ანუ დამოკიდებულება დანახარჯებსა და წონამატს შორის);

– ზღვრული ამონაგების ცვლილება გასაყიდი (სარეალიზაციო) პირუტყვის მასის გადიდებით;

– საწარმოო ფაქტორების შეზღუდულობა.

სუქების საბოლოო ოპტიმალური მასა მიიღწევა მაშინ, როცა წარმოებაში არსებული ყველაზე შეზღუდული რესურსის ერთეულზე მიღებული იქნება მაქსიმალური მოგება.

თუ საწარმოში ყველაზე შეზღუდული რესურსი მოზარდი სასუქი პირუტყვია, მაშინ ოპტიმალური საბოლოო მასის განსასაზღვრად უნდა მოინახოს ვარიანტი, რომლის დროსაც მიღწეული იქნება მაქსიმალური მოგება ერთ სულ სასუქ პირუტყვზე გაანგარიშებით. ეს პირობა კი დაკმაყოფილებული იქნება მაშინ, როცა ცოცხალი მასის წონამატზე გაწეული ზღვრული დანახარჯები გაუტოლდება იმავე ოდენობის წონამატის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს.

თუ საწარმოში ყველაზე შეზღუდულ ფაქტორად მეცხოველეობის შენობა-ნაგებობები (ანუ პირუტყვ-ადგილები) გვევლინება, მაშინ ოპტიმალური საბოლოო ცოცხალი წონის კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იყოს მაქსიმალური საშუალო მარგინალური შემოსავალი ერთ პირუტყვ-ადგილზე გაანგარიშებით ყველა შესაძლო ვარიანტში, ხოლო თუ საწარმოში საკვები გამოდის ძირითად შემაკავებელ ფაქტორად, მაშინ საჭიროა შერჩეულ იქნეს პირუტყვის ცოცხალი წონის ისეთი საბოლოო მასა, რომლის დროსაც მიღებული იქნება საკვების ერთეულის გამოსყიდვის (ამოგების) მაქსიმალური მაჩვენებელი (ამ შემთხვევაში საკვების გამოსყიდვის მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც მარგინალური შემოსავალი ერთ საკვებ ერთეულზე გაანგარიშებით (მხედველობაშია სახამებლის საკვები ერთეული).

სუქება შეიძლება განხორციელდეს პროდუქტიული მოზარდი პირუტყვის შეძენის ხარჯზეც. ამ შემთხვევაში საწარმოში არსებული პირუტყვის სუქება გრძელდება იმ საბოლოო წონამდე, რომლის დროს ერთ პირუტყვ-ადგილზე და დროის ერთეულზე გაანგარიშებული მარგინალური შემოსავალი ტოლი იქნება გაუმჯობესებული ჯიშის გამოყენებით მიღებული მაქსიმალურად შესაძლო მარგინალური შემოსაელისა ერთ პირუტყვ-ადგილზე გაანგარიშებით.

6.8.5. მერძეული მესაძონლეობის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდის სუძების შიდაამეურნეობრივი კონკურენტუნარიანობის დადგენა

აგრარულ საწარმოთა პრაქტიკაში ჩვეულებრივ დგება საკითხი, განისაზღვროს სხვადასხვა დარგების შიდაამეურნეობრივი კონკურენტუნარიანობა, შედარდეს ისინი ერთმანეთთან და მიღებულ იქნას რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილება ამა თუ იმ დარგის და საწარმოო მიმართულების სასარგებლოდ. ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკული მაგალითი ნაჩვენებია ცხრილში 6.5.

თუ შესადარებელი დარგები ყველა რენტაბელურია, მაშინ რომელიმე მათგანის ჩართვა საწარმოო პროგრამაში დამოკიდებული იქნება წარმოების რესურსების შეზღუდულობაზე. ამ დროს ძირითადი კრიტერიუმი იქნება აგრეგირებული მარგინალური შემოსავალი საწარმოში არსებულ ყველაზე შეზღუდულ რესურსზე. თუ ასეთი საკვები სავარგულია, მაშინ ძირითადი განმსაზღვრელი იქნება – მარგინალური შემოსავალი საკვები სავარგულის ერთეულზე, ხოლო თუ შეზღუდულია შრომითი რესურსი ან მეცხოველეობის შენობა-ნაგებობები – მარგინალური შემოსავალი 1 კაც-დღეზე და ფართობის ერთეულზე.

მერძეული მესაქონლეობისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდის სუქების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა საკვების შეზღუდულობის პირობებში

	მერძეული მესაქონლეობა. ერთი ძროხის პროდუქტიულობა 3450 კგ. საკვები: იონჯა და საკვები ჭარხალი	მოზარდის ინტენსიური სუქება. 350 კგ ცოცხალი წონით, 12 თვეში. საკვები: სიმინდის სილოსი
1	2	3
მარგინალური შემოსავალი ერთ სულზე (ლარი)	2100	750
ერთ სულზე საკვების მოთხოვნილება (საკვებ-ერთეული/სულზე)	1530	1020
შრომითი დანახარჯები (კაც-ღღე/სულზე)	3,3	1,5
საკვები კულტურების მოსავლიანობა (საკვები ერთეული/ჰა)	2980	4460
პირუტყვის პროტენციური რაოდენობა (სული/ჰა)	1,5	3,3
მარგინალური შემოსავალი ერთ ჰა საკვებ სავარგულზე (ლარი)	3150	2475
საკვების წარმოების პირდაპირი ცვლადი დანახარჯები (ლარი/ჰა)	800	1180
შედარებითი მარგინალური შემოსავალი – 1 (ლარი/ჰა)	2350	1295
შრომითი დანახარჯები მეცხოველეობაში (კაც-ღღე/ჰა)	7	5,2
შრომითი დანახარჯები საკვებწარმოებაში (კაც-ღღე/ჰა)	5,2	2,1
სულ შრომითი დანახარჯები (კაც-ღღე/ჰა)	12,2	7,3
შრომის ალტერნატიული დანახარჯები (ლარი/ჰა)	1140	670
შედარებითი მარგინალური შემოსავალი – 2 (ლარი/ჰა)	1210	625
დანახარჯები მეცხოველეობის შენობა-ნაგებობებზე:		
პირუტყვის სულადობის ერთ სულზე (ლარი)	450	220
საკვებ-სავარგული ერთ ჰა-ზე (ლარი)	860	440
შედარებითი მარგინალური შემოსავალი – 3 (ლარი/ჰა)	350	185

მეცხოველეობის და მიწათმოქმედების სასაქონლო დარგების შესადარებლად თავდაპირველად უნდა განისაზღვროს აგრეგირებული შედარებითი მარგინალური შემოსავლები ერთ პექტარ სახნავზე (მარგინალური შემოსავალი 1). თუ მეცხოველეობის დარგები უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება სასაქონლო

კულტურებთან შედარებით ან თუ, სასაქონლო კულტურების წარმოება შეუძლებელია თესლბრუნვების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაშინ საჭიროა ჩატარდეს დამატებითი გათვლები მეცხოველეობის დარგების შესაძლო გაყვართოების ოპტიმალური საზღვრების დასადგენად, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით (შენობა-ნაგებობები, საკვები კულტურების ფართობები, შრომა, საკვები და ა.შ.).

შემდგომ ეტაპზე წარმოებს შედარებითი მარგინალური შემოსავალი 2-ის გამოთვლა, რისთვისაც ანგარიშობენ შრომით დანახარჯებს ერთ ჰექტარზე, ცალკე მეცხოველეობაში და ცალკე საკვებწარმოებაში (შრომის ალტერნატიული დანახარჯების ჩათვლით).

შედარებითი მარგინალური შემოსავალი 3-ის გაანგარიშებაში მონაწილეობს ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხები, შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი და წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის პროცენტი, რომელთა გამოთვლა ხდება დარგების გრძელვადიანი დაგეგმვის ან არსებული შესაძლებლობების ზევით დარგების გაყვართოების დროს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დარგების გაყვართოება ან საწარმოო-დარგობრივ სტრუქტურაში კონკურენტი დარგის (კულტურის) შეტანა მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს სხვა ძირითად კაპიტალში (მანქანა-იარაღები, კომბაინები, შენობები და ა.შ.), მაშინ გაანგარიშებებში შეტანილ უნდა იქნეს აგრეთვე მათი ზღვრული, მუდმივი დანახარჯებიც.

6.9. მეღორეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები

6.9.1. დარგის ზოგადი დახასიათება

ხორცის, როგორც ადამიანის კვების ერთ-ერთი შეუცვლელი ძირითადი პროდუქტის წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი ადგილი მეღორეობის განვითარებას ენიჭება. იგი გამოირჩევა პროდუქციის ზრდის სწრაფი ტემპებით (სწრაფმწიფადობით) და გაწეული დანახარჯების სწრაფი უკუგებით.

მეღორეობის (ისევე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების) განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს საკვები ბაზა. ამიტომ მისი, როგორც დარგის, გააღგილება უპირატესად იმ ადგილებში ხდება, სადაც არის იაფი, კონცენტრირებული საკვების წარმოებისათვის საჭირო პირობები (მათ შორის სიმინდი, ქერი, კარტოფილი, საკვები ძირხვენები და ა.შ.).

სპეციალიზაციის ხასიათის მიხედვით მეღორეობა წარმოდგენილია სარეპროდუქციო (სადაც წარმოებს 2-4 თვემდე ასაკის გოჭების გამოზრდა) და სასუქი მეღორეობის ფერმებით, სადაც მიმდინარეობს სარეპროდუქტორო ფერმებიდან მიღებული გოჭების შემდგომი გამოზრდა და სუქება.

მეღორეობა მეცხოველეობის სხვა დარგებისაგან მრავალი სპეციფიკური ნიშნით განსხვავდება. კერძოდ, ღორებს ახასიათებს წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაგოჭიანება და რამდენიმე გოჭის მიღება ყოველ დაგოჭიანებაზე (ხშირად 12-15 სული). იგი ხასიათდება ასევე ხორცის მაღალი გამოსავალიანობით ღორის ცოცხალი მასის მიმართ. (დაკლული ხორცის გამოსავალი 70-80%-ის ფარგლებში მერყეობს). ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი – დიდი ოდენობით კონცენტრირებული საკვების მოხმარებაა. ღორის ხორცის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურაში საკვებზე მოდის საშუალოდ 60%-მდე (დანახარჯების მეორე მნიშვნელოვანი მუხლი აქ ძირითადად ჯოგის აღწარმოებაზე გაწეული ხარჯებია).

მეღორეობის საწარმოები წარმოების ორგანიზაციული ფორმის მიხედვით ორ მსხვილ ჯგუფად იყოფა – საჯიშე სულადობის და სასაქონლო ხორცის წარმოების საწარმოები. პირველს მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც სპეციალიზებულია ღორის ჯიშების სრულყოფაზე, ჯიშიანი ღორების გამრავლებაზე და ჯიშიანი ღორის მოზარდეულის გამოზრდაზე სასაქონლო მეურნეობისათვის.

სასაქონლო საწარმოებს, თავის მხრივ, მიაკუთვნებენ:

– მეღორეობის რეპროდუქტორებს, რომლებიც აწარმოებენ გოჭების მიღებას და გამოზრდას (20-25 კგ ცოცხალ წონამდე);

– სასუქ საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ რეპროდუქტორებიდან მოზარდის მიღებას და გასუქებას საბოლოო ოპტიმალურ წონამდე;

– საწარმოებს წარმოების დამთავრებული ანუ სრული ციკლით;

– კომბინირებულ საწარმოებს, რომლებშიც შეთავსებულია დედა-ღორების სულადობის კელავწარმოება, გოჭების მიღება და სუქება.

ამ ორგანიზაციულ ფორმებს, თავის მხრივ, ახასიათებს განსხვავებული მოვლა-პატრონობის და შენახვის, კვების წყაროების და ტიპების, სადგომების დასუფთავების (ნაკელის გატანის) სხვადასხვა მეთოდები.

სასაქონლო მიმართულების სარეპროდუქტორო საწარმოში შემოსავლები ყალიბდება ძირითადად გამოზრდილი გოჭების და გამოწუნებული დედა-ღორების რეალიზაციით. დედა-ღორების გამოწუნებას ახდენენ 2,5-3 წლის (5-6 დაგოჭიანების) შემდეგ. გოჭების კვება დაფუძნებულია ძირითადად მაღალყუათიან კონცენტრირებულ საკვებზე, ძუძუზე ასხლეტა ხდება 20-25 კგ წონით 5-6 კვირის ასაკში. ძირითადი ჯოგის რემონტი წარმოებს საკუთარი კვლავწარმოების ხარჯზე. ასეთ პირობებში საწარმოო დანახარჯების სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი კონცენტრირებული საკვების დანახარჯების წილი, რომელიც 52-57%-ს აღწევს. მნიშვნელოვანია ასევე დანახარჯების მეორე კომპონენტის – ძირითადი ჯოგის პირუტყვის აღწარმოება. სხვა დანარჩენი ცვლადი ხარჯების წილი შედარებით უმნიშვნელოა პროდუქციის თვითღირებულებაში, რის გამოც წარმოების პროცესების ოპტიმიზაცია, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს იმ დანახარჯების მიმართ, რომლებსაც თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონა უკავია.

სარეპროდუქტორო საწარმოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალი შრომის დანახარჯები (საწარმოებში, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას, შრომის დანახარჯები ყალიბდება შრომის ანაზღაურების საათური (დროითი) ღონის მიხედვით, სოციალური ანარიცხების ჩათვლით). ყერმერულ ოჯახურ მეურნეობებში შრომის დანახარჯები ყალიბდება შრომის ალტერნატიული დანახარჯებით შესაძლო შემოსავლებით ერთ კაც-საათზე გაანგარიშებით.

გოჭების წარმოება, საერთოდ, ჩათვლილია მაღალეფექტურ მიმართულებად, ერთ დედა-ღორზე წლის განმავლობაში მიღებული მარგინალური შემოსავლის მიხედვით.

დარგის ეკონომიკური ანალიზის გასაკეთებლად, დიდ მნიშვნელობა იძენს შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი (მარგინალური შემოსავალი ერთ კაც-საათზე გაანგარიშებით) და მეცხოველეობის შენობა-ნაგებობების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი (მარგინალური შემოსავალი შენობის ფართობის ერთეულზე ან ერთ პირუტყვ-ადგილზე გაანგარიშებით).

როცა საწარმოს მფლობელობაში აქვს მეღორეობის ფერმა (შენობა), ამ შემთხვევაში მარგინალური შემოსავალი შენობის ფართობის ერთეულზე უდარდება მარგინალურ შემოსავალს ამ შენობის სხვა ალტერნატიული გამოყენებიდან შესაძლო მისაღებ მარგინალურ შემოსავალს. მაგალითად, მოზარდის სუქებაზე მოდერნიზაციის შემთხვევაში, სოკოს წარმოებაზე გადართვის შემთხვევაში და ა.შ.

ღორების სუქება დარგში სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის სამეურნეო-საწარმოო ანალიზის დროს, როგორც ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან, ასევე დანახარჯები და მარგინალური შემოსავალი გაიანგარიშება ან ერთ გასუქებულ ღორზე ან ერთ პირუტყვ-ადგილზე წლის განმავლობაში. აქედან საერთო ამონაგები საქმიანობიდან ყალიბდება მხოლოდ ღორების ხორცად რეალიზაციიდან, რაც შეეხება დანახარჯებს, ის ყორმირდება თავდაპირველად გოჭების შეძენის ხარჯებისაგან, შემდეგ გაინგარიშება საკვებზე დანახარჯი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე.

საერთოდ, ღორების სუქების ეკონომიკურ ეფექტიანობას სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ:

– ღორის ხორცის სარეალიზაციო ფასი;

– მოზარდის (გოჭის) ფასი;

– საკვების ღირებულება.

სამომხმარებლო ბაზარზე ღორის ხორცზე ფასების სეზონური ცვალებადობის შედეგად შესაძლოა მიღებულ იქნეს განსხვავებული ეკონომიკური ეფექტიანობა სხვადასხვა თანაფარდობა სუქების დასაწყისისა და დამთავრების მომენტისათვის. ამიტომ საჭიროა პროდუქციის წარმოება დაიგეგმოს ბაზარზე ფასების სეზონური ცვლილების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საწარმო ხშირად დგება გარკვეული არჩევანის წინაშე. კერძოდ, გააგრძელოს მხოლოდ მოზარდის (გოჭების) რეპროდუქცია თუ გადაერთოს მოზარდის სუქებაზე. რაციონალური გადაწყვეტილების (ეკონომიკურად გამართლებული) მიღების მიზნით საჭიროა ერთმანეთს შედარდეს ორივე მიმართულება, როგორც წარმოების შეზღუდული რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვით (მარგინალური შემოსავალი შენობის ფართის ერთეულზე ან ერთ პირუტყვ-ადგილზე და დახარჯული შრომის ერთეულზე), ასევე მარგინალური შემოსავლის (ან მოგების) წილის მიხედვით ხორცის რეალიზაციიდან მიღებულ საერთო ამონაგებში.

მოწინავე საწარმოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ გოჭების გამოზრდა შრომის დანახარჯების გათვალისწინების გარეშე უფრო ბევრად ეფექტიანია, ვიდრე ღორების სუქება, მაგრამ თუ მათ შევადარებთ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების მიხედვით, მაშინ ცხადია სუქების უდავო უპირატესობა, რასაც გვიჩვენებს მარგინალური შემოსავალი თითოეულ დახარჯულ კაც-საათზე.

გოჭების გაზრდასა და სუქების შედარებით ეკონომიკურ ეფექტიანობას სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებს კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობა, ერთი პირუტყვ-ადგილის ღირებულება ახალი მშენებლობის დროს და სხვ., რომელთა გათვალისწინება აუცილებელია რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

გოჭების გამოზრდას (რეპროდუქცია), სხვა თანაბარ პირობებში, აქვს უპირატესობა (ეკონომიკური თვალსაზრისით) იმ საწარმოში, რომელიც შედარებით კარგადაა უზრუნველყოფილი შრომითი რესურსებით, გააჩნია მისი ალტერნატიული გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა და მოითხოვს შედარებით დაბალ კაპიტალურ ხარჯებს ერთ პირუტყვ-ადგილისათვის, ხოლო იმ საწარმოსთვის, რომელსაც გააჩნია შეზღუდული შრომითი რესურსები, მაგრამ აქვს საშუალება კაპიტალდაბანდებათა სახსრების მოზიდვის, უფრო მომგებიანი იქნება ღორის სუქება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ამონაგების წინასწარგანსაზღვრული თანხა შეიძლება ამოიღონ გოჭების რეპროდუქციით შედარებით ნაკლები კაპიტალის დანახარჯით, მაგრამ გაცილებით მაღალი შრომითი დანახარჯების ხარჯზე.

6.9.2. წარმოების დამთავრებული ციკლის და ვიწროდ სპეციალიზებული წარმოების ეკონომიკური შეფასება

ღორის ხორცის წარმოების დამთავრებული ციკლის დაგეგმვა გულისხმობს ერთ საწარმოში (მეურნეობაში) გოჭების რეპროდუქციასაც და სუქებასაც. წარმოების ასეთ ორგანიზაციულ ფორმას, ვიწროდ სპეციალიზებულ ფორმასთან შედარებით, აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. პირველს მიეკუთვნება სრული და სანდო ინფორმაცია მოზარდის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ, მოვლა-შენახვის წესი და გარემო პირობების უმნიშვნელო ცვლილებები, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სტრესული მოვლენების და წონითი დანაკარგების გამორიცხვა.

ადგილზე გამოზრდილი მოზარდის უპირატესობა იმაშიც გამოიხატება, რომ არაა საჭირო დამატებითი ხარჯები საკარანტინო ღონისძიებების ჩასატარებლად, ამასთან, მცირდება საწარმოო რისკი და ა.შ., რომელთა აღნუსხვა და ფულად ფორმაში რაოდენობრივი გამოსახვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, სუქების ასეთ ორგანიზაციულ ფორმას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოცემული საწარმოს სიმძლავრეების (შენობები, შრომითი რესურსები) პირობებში კომბინირებული დარგების შედარებით მცირე ზომებში გამოიხატება, ანუ საწარმოს

აქვს ნაკლები შანსი მოახდინოს წარმოების რაციონალიზაცია სულადობის გადიდების საშუალებით. წარმოების კონცენტრაციის გადიდება შესაძლებელია არა ციკლის თითოეული შემადგენელი ნაწილის (დედა-ღორების სულადობა, სასუქი კონტინგენტი და ა.შ.), არამედ ყველა რგოლისა ერთობლივად, რაც ბევრ სა-წარმოო-ტექნიკურ და ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარეობს მეორე უარყოფითი მხარე, რაც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის ნაკლებ შესაძლებლობაში გამოიხატება. მას განაპირობებს კაპიტალურ დაბანდებათა ობიექტების გაბნეულობა ტერიტორიაზე, წარმოების მართვის შედარებით გართულება და ა.შ.

წარმოების ორგანიზაციის აღნიშნულ ფორმათა შორის ეკონომიკური განსხვავება მით ნაკლები იქნება, რაც უფრო დიდია საწარმოთა სიმძლავრეები ანუ რაც უფრო დიდია დედა-ღორებისა და სასუქი კონტინგენტის სულადობა, აგრეთვე ნაკლებია სასუქად შესაძენი მოსარდის ზელნადები ხარჯები და მეტია შესაძლებლობა უფრო მაღალპროდუქტიული პირუტყვის შეძენისა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ღორის ხორცის წარმოების დახურული (დამთავრებული) ციკლის დანერგვა უფრო მეტი დადებითი შედეგების მომტანი იქნება მსხვილი საწარმოებისათვის, ვიდრე წვრილი, ფერმერული ტიპის საწარმოებისათვის. ამ უკანასკნელთათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო მომგებიანი იქნება ან გოჭების რეპროდუქციაზე ან სუქებაზე სპეციალიზაცია.

ღორის ხორცის კომბინირებული წარმოების პირობებში მარგინალური შემოსავლის გასაანგარიშებლად საჭიროა საკუთარი რეპროდუქციის გოჭების შეფასება, რისთვისაც გამოიყენება გოჭის შესაძლო რეალიზაციის ფასი სუქებაზე დაყენების წინ (თუ ცელადი პირდაპირი დანახარჯები ხორცის წარმოებაზე მეტი იქნება გოჭების სარეალიზაციო ფასზე (სუქების წინ), მაშინ შეფასება უნდა მოხდეს მათ წარმოებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით).

გოჭების რეალიზაციის ეკონომიკურ ეფექტიანობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, ერთ დედა-ღორზე მიღებული და გამოზრდილი გოჭების რაოდენობა, ერთ მოზარდზე საკვების დანახარჯი, წონამატი და ცოცხალი წონის სარეალიზაციო ფასი, შრომითი დანახარჯი ერთ დედა-ღორზე ან ერთ გამოზრდილ გოჭზე და სხვ.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთი პირველი და არსებითი დედა-ღორზე ერთ დაგოჭიანებაზე მიღებული გოჭების რაოდენობაა (დანაკარგების გამოკლებით). მნიშვნელოვანია ასევე დაგოჭიანებათა რაოდენობის (ერთ დედა-ღორზე გაანგარიშებით) გადიდება ძუძუდან გოჭის ასხლეტის პერიოდის შემცირების ხარჯზე (საწარმოო პირობებში მოწინავე საწარმოები აღწევენ წელიწადში დედა-ღორზე ორჯერ დაგოჭიანებას და თითოეულ ჯერზე 12-მდე გოჭის მიღებას).

ერთ დაგოჭიანებაზე გოჭების გაზრდა მიიღწევა პირუტყვის კვებისა და მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობესებით, სხვადასხვა ზოოტექნიკური და ვეტერინარული ღონისძიებების გატარებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში დგება საკითხი, თუ როგორია, ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ დაგოჭიანებაზე გოჭების რაოდენობის გაზრდის ზღვრული დანახარჯები და ზღვრული მოგება, ან როგორ შევაფასოთ წელიწადში დედა-ღორების დაგოჭიანების გადიდების სხვადასხვა ვარიანტები. ამ მიმართულებით ეკონომიკური ანალიზის ჩატარების დროს საჭიროა დამატებით მიღებული ამონაგები დავუპირისპიროთ იმ ზღვრულ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია დამატებით მიღებულ და გამოზრდილ გოჭზე.

ეკონომიკაში მიღებული პრინციპის თანახმად ზღვრული ამონაგები დამატებით მიღებულ ერთ გოჭზე მისი სარეალიზაციო ფასის ტოლია. ვთქვათ, საწარმოში საშუალოდ ის შეადგენს 100 ლარს 20 კგ-მდე გოჭის გამოზრდის პირობებში. ამასთან, დედა-ღორებისათვის დამატებით მიცემულმა საკვების ღირებულებამ შეადგინა 20 ლარი, ხოლო გოჭებისათვის დამატებულმა საკვების ღირებულებამ – 25 ლარი. სხვადასხვა დანახარჯებმა (მედიკამენტებზე, მოვლაზე და ა.შ.) – 12 ლარი ანუ ზღვრულმა ხარჯებმა შეადგინა 57 ლარი (20+25+12). თუ ზღვრულ ამონაგებს (100 ლარი) გამოვაკლებთ ზღვრულ დანახარჯებს, მივიღებთ ზღვრულ მარგინალურ შემოსავალს, რომელიც ტოლი იქნება 43 ლარის (100-57).

დედა-ღორის პროდუქტიულობის

ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად ხელსაწყოს მარკეტინგული შემოსავალი უნდა შეადარდეს შენობა-ნაგებობების და მოწყობილობის, მოვლის, გათბობის და სხვა დამატებით დანახარჯებთან.

ღორის პროდუქტიულობის მაჩვენებელს (წლის განმავლობაში ერთ დედა-ღორზე მიღებული და შენარჩუნებული გოჭების რაოდენობა) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წლის განმავლობაში დედა-ღორის დაგოჭიანების რაოდენობა.

სპეციალიზებულ მოწინავე საწარმოებში დაგოჭიანების რაოდენობის რეგულირებას ახდენენ გოჭების ძუძუზე კვების პერიოდის გადიდებით ან შემცირებით. ჩვეულებრივ, ძუძუზე კვების პერიოდი 6-7 კვირას გრძელდება, რომელსაც 3-4 კვირამდე ამცირებენ და ამით ქმნიან წლის განმავლობაში დედა-ღორის დაგოჭიანების რაოდენობის მაქსიმუმამდე (24-მდე) გაზრდის შესაძლებლობას. ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ამ დროსაც საჭიროა გათვალისწინებული იყოს აღნიშნული ღონისძიების დადებითი და უარყოფითი მომენტები, რაც დედა-ღორის დაგოჭიანების რიცხვის გაზრდას უკავშირდება.

დადებით მხარედ მიჩნეულია ის, რომ ძუძუზე ვადამდე (6-7 კვირამდე) ასხლეტილი გოჭები გადაჰყავთ სპეციალურ სადგეებში, რომლებიც ანაცვლებენ დედა-ღორის ფუნქციებს. ამით მიიღწევა მეტი კონტროლი გოჭების ზრდაზე და დაცვაზე. გარდა ამისა, ძუძუზე წოვების პერიოდის შემცირების გამო მცირდება დედა-ღორის ძვირადღირებულ ბოქსებში დარჩენის ვადა და მოთხოვნილება კომბინირებულ საკვებზე. ჩვეულებრივი ტექნოლოგიის პირობებში (ორი დაგოჭიანების და ძუძუზე 6-7 კვირის განმავლობაში დარჩენის შემთხვევაში) ძვირადღირებულ ბოქსებში დედა-ღორის საშუალოდ 12-14 კვირის განმავლობაში რჩება, ხოლო ვადამდელი ასხლეტის შემთხვევაში – მხოლოდ 6-8 კვირის განმავლობაში [2•(3•4)].

ამასთან, გასათვალისწინებელია უარყოფითი მხარეებიც, რაც შემდეგში მდგომარეობს. მეცნიერულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ დაგოჭიანებათაშორისი პერიოდის და დედა-ღორის შემდგომი დაგრილების (განაყოფიერების) პერიოდის შემცირება სამ კვირაზე მეტად, ჩვეულებრივად, უარყოფითად მოქმედებს ყოველი მომდევნო დაგოჭიანების დროს მიღებულ გოჭების რაოდენობასა და ხარისხზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ დაჩქარებული მეთოდით გოჭების მიღება და გამოზრდა მოითხოვს მაღალპროდუქტიული და სწრაფმწიფადი ჯიშების ყოლას და მათი მოვლა-პატრონობის განსაკუთრებულ პირობებს, სისუფთავეს, მიკროკლიმატის შექმნას, საკვების განსაკუთრებულად მაღალ ხარისხს, რაც, ბუნებრივია, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულის გამო, ამ მიმართულებით კონკრეტულ საწარმოში რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ერთმანეთს დაუპირისპირდეს ჩვეულებრივი და დაჩქარებული ტექნოლოგიის პირობებში მიღებული საერთო ამონაგები გოჭებიდან და ცვლადი დანახარჯები (საკვები, ელექტროენერგია, წყალი, მედიკამენტები და სხვ.) მათ წარმოებაზე, ანუ გამოითვალოს მარგინალური შემოსავალი საწარმოში არსებულ ყველაზე შეზღუდულ ფაქტორის ერთეულზე და მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გოჭების რეპროდუქციის, როგორც ხორცის წარმოების ორგანიზაციული ფორმის ეკონომიკური ეფექტიანობის დონესა და ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი გამოზრდის ოპტიმალური ხანგრძლივობა და ცოცხალი წონის ოპტიმალური მასა. უფრო მიღებულია გოჭების 20 კგ-მდე გამოზრდა და რეალიზაცია, თუმცა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ის დამოკიდებულია იმ დამატებით ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოზრდის პერიოდის გახანგრძლივებასთან და ფასთა სხვაობაზე დაბალწონიან და შედარებით მაღალწონიან ბურვაკებს შორის. მაგალითად, თუ გოჭის 20-დან 25 კგ-მდე გამოზრდის შემთხვევაში ყოველი ერთი კგ წონამატისათვის დაიხარჯება 2.4 კგ კომბინირებული საკვები ანუ სულ 12 კგ ერთ სულზე, მაშინ ერთ გოჭზე საკვების ზღვრული დანახარჯი ერთ კგ-ზე 0,30 ლარის პირობებში, 3,6 ლარს შეადგენს (12•0,30) ანუ 0,70 ლარი ერთი კილოგრამი ცოცხალი ხორცის წონამატზე.

გამოზრდის პერიოდის გახანგრძლივების შემთხვევაში საჭიროა ასევე გათვალისწინებული იყოს დამატებითი შრომითი დანახარჯები, რომლებიც უნდა

დაემატოს საკვების ზღვრულ დანახარჯებს. თუ საქმე გვაქვს მეცხოველეობის შენობა-ნაგებობების შეზღუდულობასთან და მის სრულ დატვირთვასთან, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ალტერნატიული დანახარჯებიც, რომელიც დაკავშირებულია არსებული შენობა-ნაგებობების გახანგრძლივებულ გამოყენებასთან. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გოჭების ცოცხალი წონის ერთი კილოგრამის წარმოების ზღვრული დანახარჯები უნდა შედარდეს ზღვრულ ამონაგებთან (ანუ დამატებით მიღებულ ამონაგებთან ერთი კგ ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით). თუ აღმოჩნდება, რომ 20 კგ-ზე ზევით დამატებით მიღებული ცოცხალი წონის ერთი კილოგრამის ფასი, ჩვეულებრივი 20 კგ-იანი გოჭის ერთ კგ-ზე გაანგარიშებით, მეტია, მაშინ გამოზრდის პერიოდის გახანგრძლივება ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტურია და პირიქით.

გოჭების გამოზრდის ეკონომიკური ეფექტიანობა დაკავშირებულია დედა-ღორების პროდუქტიულობასთან. ეს უკანასკნელი კი არსებითად იცვლება ასაკის მიხედვით. პირველი ოთხი დაგოჭიანებისას პროდუქტიულობა (გოჭების გამოსავალი) თანდათან იზრდება, შემდგომ პერიოდში კი ის თანდათან ეცემა. ასაკზე მიბმულია გამოწუნებული დედა-ღორიდან მიღებული ამონაგების სიდიდეც. ის იზრდება პირველი ორი წლის განმავლობაში (ცოცხალი წონის ზრდის კვალობაზე), შემდეგ კი სტაბილურდება ერთსა და იმავე ცოცხალი წონის ფარგლებში. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით საჭიროა დადგინდეს დედა-ღორების ექსპლუატაციაში ყოფნის ოპტიმალური პერიოდი, რომლის გასაანგარიშებლად გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე მეთოდი, რაც გამოიყენება მერძეული ჯოგის პირუტყვის შემთხვევაში.

გოჭების გამოზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს გოჭებისა და დედა-ღორების შენახვის პროფილაქტიკურ – ჰიგიენური ღონისძიებების გატარება, რადგან ის საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა სერიოზული დაავადებები და მათგან გამოწვეული დანაკარგები. პროფილაქტიკურ – ჰიგიენური ღონისძიებების უპირატესობებს მიეკუთვნება მედიკამენტებზე, ზოოვეტერინარულ და სხვა სახის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების დონის შემცირება პროდუქტიულობის გადიდების ანგარიშზე (ანუ პროდუქციის წარმოების გადიდებით ერთ საშუალო დედა-ღორზე ან მიღებულ გოჭზე გაანგარიშებით). პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებაზე დანახარჯებისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შესაძლოა თითოეული განხორციელებული ღონისძიების შეფასება და სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

6.9.3. ღორების სუქების ეკონომიკური ეფექტიანობა

ღორების სუქების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, ისევე როგორც გოჭების რეპროდუქციის შემთხვევაში, საკვებზე დანახარჯების შემცირებაა, რადგან მასზე მოდის ცვლადი პირდაპირი დანახარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი. ამიტომ, როცა ღორის სუქების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს სახავენ, პირველ რიგში მხედველობაში იღებენ, თუ როგორია საკვების ფასი, საკვების ერთეულის ამოგება ცოცხალი წონამატით და სუქების საბოლოო ცოცხალი მასა კილოგრამებში.

სუქების ეკონომიკურ ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომითი და პირდაპირი მუდმივი დანახარჯების ეკონომია შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარჯზე. ასევე ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მარკეტინგულის გეგმა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ეფექტური არხების მოძიება (შერჩევა).

ცოცხალი პირუტყვის საბოლოო მასის ზრდასთან ერთად, ერთეული პროდუქციის საწარმოო დანახარჯების სტრუქტურაში მცირდება გოჭების შეძენის დანახარჯების წილი და იზრდება საკვების დანახარჯების წილი. ამასთან ერთად, გარკვეულ ზღვრამდე მაღლდება წარმოებული ხორცის ხარისხი, მაგრამ გარკვეული ზღვრის (100-110 კგ), ზევით იზრდება რა ცხიმის (ქონის) წილი ხორცის საერთო მასაში, ეცემა ღორის ხორცის

ხარისხი და შესაბამისად, მისი სარეალიზაციო ფასიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგება საკითხი ცოცხალი წონის ისეთი ოპტიმალური ზღვრის შესარჩევად, რომელიც ყველაზე უფრო მომგებიანი იქნება საწარმოსათვის. ამ საკითხის იზოლირებული (განყენებული) განხილვისას ცოცხალი წონის საბოლოო ოპტიმალური მასა უნდა შეესაბამებოდეს სუქების იმ ვარიანტს, რომლის დროსაც მიღწეული იქნება მაქსიმალური მოგება საწარმოში არსებულ ყველაზე შეზღუდულ რესურსის ერთეულზე გაანგარიშებით. ამასთან, შესაძლოა კონკრეტული საწარმოს პირობებში შეზღუდული იყოს საბრუნავი კაპიტალი (საკვების შესაძენად), სუქებაზე დასაყენებელი კონტინგენტი და მეცხოველეობის შენობები (საღორეები). თუ დავუშვებთ, რომ განსახილველ პერიოდში პროდუქციაზე ფასები უცვლელია (არ მერყეობს), შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

– საღორეების შეზღუდულობა განაპირობებს სუქების ხანგრძლივობის პერიოდის შემცირებას და საბოლოო ცოცხალი მასის შემცირებას იმ ზომამდე, ვიდრე არ იქნება მიღწეული ერთ პირუტყვადგილზე ან საღორის ფართის ერთეულზე მაქსიმალური საშუალო მოგება;

– სუქებაზე დაყენებული კონტინგენტის შეზღუდულობა განაპირობებს (გამოიწვევს) მოზარდის იმ ზომამდე სუქების აუცილებლობას, ვიდრე ერთ მოზარდზე (გოჭზე) საშუალო წლიური მოგება იქნება დადებითი სიდიდე;

– იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული აღმოჩნდება საბრუნავი კაპიტალი, მაშინ საწარმოსათვის მისაღები აღმოჩნდება სუქების ხანგრძლივობის იმ დრომდე შემცირება, ვიდრე დაბანდებული საბრუნავი კაპიტალის ბოლო ერთეულზე გაანგარიშებული ზღვრული ამონაგები არ გადააჭარბებს ერთ პირუტყვ-ადგილზე გაწეულ დანახარჯებს.

ცხრ. 6.6-ში ნაჩვენებია ოპტიმალური საბოლოო ცოცხალი წონის გათვლის მაგალითი.

ერთი კგ ღორის ცოცხალი წონა 90 კგ და 120 კგ საბოლოო წონის შესაბამისად 0,1 და 0,2 ლარით ნაკლებია ოპტიმალური წონის ღორის ხორცთან შედარებით, რაც მაქსიმალურადაა მიახლოებული ღორის ხორცის რეალური საბაზრო ფასთან ხორცის ცხიმიანობის ნაკლებობისა და მეტობის გათვალისწინებით. მაგალითში ნაჩვენები პირობების მიხედვით, მაქსიმალური ოდენობით მარგინალური შემოსავალი, წელიწად'ში ერთ პირუტყვ-ადგილზე, ერთ კილოგრამ ცოცხალ მასაზე და ერთ დღეზე გაანგარიშებით, მიიღწევა ღორების გასუქებით 110 კგ-მდე. რაც შეეხება 90 კგ-მდე და 110 კგ-ს ზევით ღორის სუქებას და რეალიზაციას, ის ნაკლებ ეფექტურია ეკონომიკური თვალსაზრისით.

ღორის სუქების ეკონომიკურ ეფექტიანობას დიდად განაპირობებს შრომითი დანახარჯები და მუდმივი პირდაპირი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით. ეს დანახარჯები შესაძლოა შემცირედეს, როგორც წარმოების კონცენტრაციის ამაღლებით, ისე წარმოების ორგანიზაციის რაციონალიზაციით. რაც უფრო ხელეწიფებათ მსხვილ და ეკონომიკურად ძლიერ მეცხოველეობის საწარმოებს.

უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ დაწესებული მოთხოვნები თანდათან მკაცრდება. მხედველობაშია გარემოს დაცვითი მოთხოვნები ნაკელისა და წუნწუხის უტილიზაციის და დაბინძურების დონისა და ხარისხის შესამცირებლად, რაც სერიოზულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, პირუტყვის კონცენტრაცია შეიცავს ეპიდემიებისა და დაავადებების გავრცელების სერიოზულ რისკს და საშიშროებას. ის დაკავშირებულია სატრანსპორტო დანახარჯების და კონცენტრაციის თანმდევი სხვა ხარჯების გადიდებასთან (დანახარჯები წარმოების მართვაზე, დაცვაზე, კონტროლზე და ა.შ.).

ცალკე უნდა ითქვას სუქებაზე მოქმედ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, მოსახლეობის სიმჭიდროვე, გადახდისუნარიანობის დონე. სუქების ეფექტიანობაზე არსებითად მოქმედებს შენობა-ნაგებობების მშენებლობის ფასები, აგროწარმოების სპეციალიზაცია და სხვა მაჩვენებლები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია როგორც მეღორეობის ამა თუ იმ საწარმოს მიმართულების განვითარების დაგეგმვის, ასევე შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის დროს.

სუქებაზე დაყენებული გოჭების საბოლოო ცოცხალი მასის ოპტიმალური სიდიდის დადგენა

1	2	3	4	5	6
	90	100	105	110	120
სუქების ხანგრძლივობა 20 კგ მოზარდის (დღე)	110	124	132	140	156
საკვების დანახარჯი ერთ კგ ცოცხალ წონამატზე (კგ)	2,9	3,1	3,2	3,3	3,4
საკვების საერთო დანახარჯი (კგ)	203,0	248,0	272,0	297,0	340,0
საკვების დანახარჯი სულ (ლარი, 1 კგ – 0.3 ლარი)	60,9	74,4	81,6	89,1	102,0
კოლტის განახლების ხარჯები (1 გოჭი 20 კგ) (ლარი)	130	130	130	130	130
სხვა პირდაპირი ცვლადი დანახარჯები (ლარი)	30	31	33	35	36
სულ პირდაპირი ცვლადი დანახარჯები (ლარი)	220,9	235,4	244,6	254,1	268,0
ერთი კგ ხორცის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	2,9	3,0	3,0	3,0	2,8
სულ ამონაგები რეალიზაციიდან (ლარი/სულზე)	261	300	315	330	336
მარგინალური შემოსავალი (ლარი/სულზე)	40,1	64,6	70,4	75,9	68,0
მარგინალური შემოსავალი (ლარი/კგ ცოცხალ წონაზე)	0,41	0,61	0,67	0,69	0,57
მარგინალური შემოსავალი (ლარი/დღე)	0,36	0,52	0,53	0,51	0,44
მარგინალური შემოსავალი (ლარი/პირუტყე-ადგილი წელიწადში)	131.4	189,0	193,4	197,1	160,6

6.10. მეცხვარეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები

6.10.1. დარგის ზოგადი დახასიათება

მეცხოველეობის დარგების პროდუქციის სტრუქტურაში მეცხვარეობას პროდუქციას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი ხასიათდება დარგის პროდუქციის გამოყენების მრავალმიზნობრივობით და დიდი მეურნეობრივი მნიშვნელობით. კერძოდ, მეცხვარეობა, როგორც დარგი, იძლევა მატყლს, ხორცს, რძეს და ქონს, რომელთა შორის, ეკონომიკური შემოსაელიანობის თვალსაზრისით მატყლი გამოირჩევა. ის საფუძველი მრეწველობის მთავარი და აუცილებელი ნედლეულია.

მეცხვარეობა აგრარულ წარმოების ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელიც თავიდანვე განვითარდა ბუნებრივი საკვებ-სავარგულების ჭარბი ოდენობით მქონე რეგიონებში. თავისი სპეციფიკური გადასაადგილებელი და საჭმლის მომნელებელი აპარატის წყალობით, ცხვარს შეუძლია აითვისოს საძოვრები იქ, სადაც სხვა სახის შინაურ პირუტყვს შეღწევა არ შეუძლია. დადგენილია, რომ სულ 600-მდე დასახელების მცენარიდან ცხვარს შეუძლია საკვებად 570-მდე სახეობის გამოყენება, მაშინ როცა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მხოლოდ 60-მდე დასახელების მცენარის გამოყენება შეუძლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცხვარს არ ესაჭიროება განსაკუთრებული შენახვისა და მოვლა-პატრონობის პირობების შექმნა, ის არაა პრეტენზიული საკვებისადმი და, ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, სხვა შინაურ, პროდუქციის მომცემ ცხოველებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები ფულად-მატერიალური დანახარჯები ესაჭიროება პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

ამ თვისებებმა დიდად განაპირობა ცხვრის გავრცელების არეალი და მასშტაბი დედამიწაზე (ცხვრის სულადობისა და მისი პროდუქციის წარმოების მიხედვით დღეისათვის მსოფლიოში ავსტრალია პირველობს).

მეცხვარეობა გამოირჩევა დარგის ძირითადი პროდუქტის – მატყლის მრავალ-

ფუროვნებით, მისი სახეობის, ჯარისკის და სხვა მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს მისი გავრცელების გეოგრაფიულ არეალს. კერძოდ, შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების ზონებში სახორცე-სასაქონლო-უხეშშტაპლიანი მეცხვარეობა ვითარდება, ხოლო შედარებით უფრო თბილ (რბილ) კლიმატურ ზონებში – ნაზმატყლიანი და ნახევრად ნაზმატყლიანი მეცხვარეობა.

სულ გამოყოფენ მეცხვარეობის ექვს ძირითად საწარმოო მიმართულებას: 1) ნაზმატყლიანი; 2) ნაზმატყლიანი და ნახევრად ნაზმატყლიანი; 3) შერეული, ანუ ნაზმატყლიანი, ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაწილობრივ სახორცე; 4) ნახევრად ნაზმატყლიანი და სახორცე; 5) სახორცე და საქონე; 6) საქურქე.

პირუტყვის სხვა სახეებთან შედარებით (განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან), აღსანიშნავია: ცხვრის შედარებით პატარა ზომა (პირობით პირუტყვში გადაანგარიშებისას 10 ცხვარი გატოლებულია ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან); მიდრეკილება მრავალნაყოფიანობისაკენ შედარებით ნაკლებ დროში (3-4 თვეში); დაბალმოსარდეული ბალახის მოძოვების და დიდი რაოდენობით უჯრედოვანას შემცველი უხეშის საკვების გადამუშავების უნარი; შედარებით დიდი მობილურობა, დიდ მანძილზე გადაადგილების, ანუ მომთაბარეობის უნარი (ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებისაკენ და პირიქით).

6.10.2. ცხვრის შენახვის ფორმები და დარბის ეკონომიკური ეფექტიანობა

მეცხვარეობის საწარმოებს განასხვავებენ შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ა)წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით: სპეციალიზებული საწარმოები, სადაც მეცხვარეობა წარმოდგენილია ერთადერთ დარგად და არასპეციალიზებული საწარმოები, სადაც მეცხვარეობა შეთანაწყობილია სხვა დარგებთან;

ბ) ადგილზე დამაგრების მიხედვით: ადგილზე მუდმივად დამაგრებული (ადგილმონაცვლეობის გარეშე) და მომთაბარე მეურნეობები;

გ) ცხვრის შენახვის ფორმის მიხედვით: მთლიანად საძოვრული მეურნეობები (რომლის მეცხვარეობა საძოვრულ კვებაზე ზამთრის ან ზაფხულის საძოვრებზე), საძოვრულ-ბაგური მეურნეობები და ბაგური-საძოვრული მეურნეობები (მეორე ფორმის დროს ჭარბობს საძოვრული, ხოლო მესამე ფორმის დროს – ბაგური შენახვის და კვების პერიოდი).

მეცხვარეობის საწარმოო მიმართულებები ერომანეთისაგან განსხვავდება დღეა პირუტყვის გამოყენების ხანგრძლივობით. დღეს პერიოდით (ბატკნების მიღების დრო), კვების რაციონით და საკვებზე მოთხოვნილებით, სასუქი მოზარდის ცოცხალი წონის საშუალო საღღეღამისო წონამატით, სარეალიზაციო პირუტყვის ცოცხალი წონით და სხვა მახასიათებლებით.

ნებისმიერი საწარმო სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ჩასატარებლად მოკლევადიან პერიოდში, ახდენს პირდაპირი ცვლადი დანახარჯების, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების და მარგინალური შემოსავლის გაანგარიშებას, ხოლო გრძელვადიანი პერიოდისთვის – პროდუქციის სრული თვითღირებულების დადგენის საფუძველზე – მოგების გაანგარიშებასაც.

მეცხვარეობის, როგორც დარგის, შეფარდებით კონკურენტუნარიანობას და ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

– ცხვრის შენახვის სისტემა და შრომის ორგანიზაცია;

– მოზარდეულის გამოზრდა და დეღა პირუტყვის კვება;

– ნაყოფიერების რაოდენობა წლის განმავლობაში.

აქედან პირველი (შენახვის სისტემა) ბევრ ქვეყანაში შეზღუდული კვალიფიცირებული შრომითი რესურსების გამოყენებას უკავშირდება, რომლის დარეგულირებას სხვადასხვა მეთოდებით ახერხებენ (ცხვრის ფარაში სულადობის გადიდებით, ანუ კონცენტრაციის ამაღლებით, მომთაბარე მეცხვარეობის სტაციონარული შენახვის ტიპზე გადაყვანით და ა.შ.). მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების გაფართოების ეკონომიკური ეფექტიანობის

განსაზღვრისათვის აუცილებელია ზღვრული მარგინალური შემოსავლის გაანგარიშება წარმოების სხვადასხვა ფაქტორების (საკვები, სამუშაო ძალა და ა.შ.) მიხედვით

მეცხვარეობის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი – საკვები ბაზაა. საკვების სიიაფე ან სიძვირე განსაზღვრავს ძირითადად დარგის მარგინალურ შემოსავალს და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების სიდიდეს ერთ სულ ცხვარზე გაანგარიშებით. აღნიშნულის გამო, დარგის განვითარება და გაფართოება (ცხვრის სულადობის ზრდა, წარმოების ინტენსიფიკაცია და ა.შ.) დასაბუთებული უნდა იყოს, მარგინალური შემოსავლის გაანგარიშებით საწარმოო ფაქტორებით უზრუნველყოფის (პირველ რიგში საკვებით, მუშახელით, შენობებით) სხვადასხვა დონის პირობებში. ამასთან, გათვლები უნდა გაკეთდეს არა მარტო ფაქტობრივი აღჭურვილობის დონის, არამედ ასევე მათი გარედან მოზიდვის შესაძლებლობათა გათვალისწინებითაც.

როცა ცხვრის სულადობის ზრდა ნაკარაულევია არსებული საწარმოო სიმძლავრეების ფარგლებში, ზღვრული მარგინალური შემოსავალი ერთ ნერბზე იანგარიშება პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებისა და პირდაპირი ცვლადი დანახარჯების სხვაობის მიხედვით, ხოლო როცა სულადობის ზრდა გათვალისწინებულია საწარმოო სიმძლავრეების გაღიდების ხარჯზე, მაშინ გაანგარიშებებში შეტანილი უნდა იქნეს ის ზღვრული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების გაფართოებასთან (დამატებითი საღგომების მშენებლობა, მუშახელის და საკვების მოზიდვა და ა.შ.).

წარმოების გაფართოება სულადობისა და საწარმოო სიმძლავრეების გადიდების ხარჯზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამართლებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზღვრული მარგინალური შემოსავლის მაჩვენებელი დადებითი იქნება.

მეცხვარეობის დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის დედა პირუტყვის კვებასა და ნამრავლის გამოზრდას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ ფაქტორზე დიდადაა დამოკიდებული როგორც ნამრავლის მიღების, ასევე მასზე გაწეული დანახარჯების დონე. (საუკეთესო ვარიანტში მიღებული უნდა იქნეს პროდუქციის მაქსიმუმი დანახარჯების მინიმუმის პირობებში). აღნიშნული ამოცანის შესრულება შესაძლებელია როგორც დედა-პირუტყვის შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების ოპტიმიზაციით, ასევე ნამრავლის (ბატკნების) გამოზრდისა და სუქების დროს არსებული დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებით. პირველი შესაძლებელია საკუთარი წარმოების უფრო იაფი საკვების გამოყენებით. რაც შეეხება მეორეს, ანუ ნამრავლის დანაკარგებს, არსებობს რამდენიმე საშუალება მის შესამცირებლად. ერთერთ ასეთ ღონისძიებად მიჩნეულია ბატკნების ნაადრევი მოცილება დედა-ცხვრებისათვის (რადგან დადგენილია, რომ ბატკნები ადრეულ ასაკში ძირითადად იღუპება დეღის რძისათვის კონკურენტულ ბრძოლაში), განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა ცხვარს ჰყავს ორი ან მეტი ოდენობის ბატკანი. მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ადასტურებს, რომ ახალგაზრდა ბატკნების დანაკარგის მინიმუმი მიიღწევა ორი დღის ასაკის ბატკნების დედისაგან მოცილებით და დედის გარეშე მათი გამოზრდით. ამ გზით შესაძლებელია ბატკნების დანაკარგის შემცირება 20%-დან 5%-მდე (ანუ 15 პროცენტული მუხლით), რაც წლის განმავლობაში, საშუალოდ ერთ დედა-ცხვარზე გაანგარიშებით, 0,15-0,20 ბატკანს შეადგენს.

მოწინავე საწარმოთა პრაქტიკაში მიღებულია ასევე მრავალნაყოფიანი დედა-ცხვრების დამატებით კვება და სხვა ზოოტექნიკური ღონისძიებები.

ყველა შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ღონისძიების ეკონომიკურ შეფასებას ვაწარმოებთ, საჭიროა ერთ დედა-ცხვარზე მიღებული ზღვრული ამონაგების შედარება ზღვრულ დანახარჯებთან. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ძვირადღირებული საკვების (ძირითადად, რძის შემცველისა და კომბინირებული საკვების) დამატებითი დანახარჯები, რომლებიც წარმოიშობა ადრეულ ასაკში ბატკნების დეღისაგან მოცილებისა და ხელოვნურად გამოზრდის გამო.

თუ დავუშვებთ, რომ ზღვრული (დამატებითი) ამონაგები ერთი ზრდასრული ბატკნისაგან შეადგენს 100 ლარს, ხოლო დამატებითი ზღვრული ხარჯები 42 ლარს, მაშინ ზღვრული ამონაგები ერთ

ზრდასრულ ბატკანზე 58 ლარის, ხოლო ერთ დედა-ცხვარზე წელიწადში (0.15-0.20 ბატკნის გაოვალისწინებით) 8.7-11.6 ლარის ტოლი იქნება.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ნახსენები ღონისძიების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაში, საჭიროა მიღებული ზღვრული დამატებითი შემოსავლები დავუპირისპიროთ ზღვრულ დამატებით ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში ნაყოფშობადობის რიცხვის უცვლელობის პირობებში დამატებითი ზღვრული დანახარჯები ნაკლები აღმოჩნდება დამატებით ზღვრულ შემოსავლებზე. მაშინ ბატკნების ადრეული მოცილება დედისაგან ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია და პირიქით.

მეცხვარეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება წლის განმავლობაში ნაყოფშობადობის რაოდენობის რეგულირებას.

ბატკნების ადრეული მოცილება დედისაგან და მათი დედის გარეშე გამოზრდა ადიდებს (ხელს უწყობს) ნაყოფშობადობის რიცხვს წლის განმავლობაში. ორდღიანი ბატკნების მოცილების შემთხვევაში, თეორიულად შესაძლებელია წლის განმავლობაში ორ ნაყოფშობადობა, მაგრამ საწარმოო პრაქტიკაში ეს მაჩვენებელი, უკეთეს შემთხვევაში, 1,5-1,7-ის ფარგლებშია. (მაკეობის პერიოდი გრძელდება 145-150 დღე), ხოლო მშობიარობისა და ბატკნების ნაადრევი მოცილების შემდეგ ახალი მაკეობისათვის მომზადების პერიოდი საშუალოდ 15-20 დღეს შეადგენს).

საწარმოო პრაქტიკაში არსებობს რიგი ბიოლოგიურ-ტექნიკოლოგიური მეთოდები, რომლებიც ასტიმულირებს დაგრილებას და ნაყოფშობადობას წლის განმავლობაში. მაგრამ მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სტაციონარულ პირობებში და სპეციალურად ამ მიზნით გამოყვანილი ჯიშებით.

წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ვარიანტის (ნაყოფშობადობის რიცხვის გაღიდება, ძუძუს წოვების პერიოდის შემცირება, შენახვისა და სუქების ესა თუ ის ფორმა და ა.შ.) შედარება ერთმანეთთან უნდა მოხდეს იმ ზღვრული დანახარჯების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ღონისძიების გატარებასთან.

ამასთან ერთად, საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ რამდენიმე აქსიომატური დებულება. კერძოდ: წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების კვალობაზე (ნაყოფშობადობის რიცხვის გაღიდება და მიღებული ბატკნების რაოდენობრივი ზრდა ერთ დედა-ცხვარზე) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები იზრდება გამოზრდილი ბატკნების რაოდენობის პროპორციულად. ამასთან, საერთო დანახარჯებში იზრდება დედა-ცხვრების შენახვისა და მოვლა-პატრონობის (ძირითადად, კომბინირებულ საკვებზე და სხვადასხვა მედიკამენტებზე) და დამატებით მიღებული ბატკნების გამოზრდის ხარჯები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაყოფშობადობის რიცხვის შემცირებისას (მის ბიოლოგიურ ფარგლებში) იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მშობიარობა დაემთხვეს საწარმოსათვის სასურველ პერიოდს ანუ იაფი საძოვრული საკვებით გამოზრდის პერიოდს, მაშინ როცა ნაყოფშობადობის რიცხვის გადიდებისას ბატკნების მიღება ხდება საწარმოსათვის არასასურველ პერიოდში, გამოზრდა ხდება ძვირადღირებული საკვებით, რაც ბუნებრივია, აძვირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

გრძელვადიანი პერიოდის დაგეგმვის დროს გაანგარიშებებში უნდა აისახოს წარმოების მუდმივი დანახარჯებიც, კერძოდ, ამორტიზაციის ანარიცხების თანხა ძირითადი ფონდების სრულ აღდგენასა და კაპიტალურ რემონტზე, გადასახადები და ა.შ.

მეცხვარეობაში წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი რამდენიმე მიმართულებით უნდა ჩატარდეს. მათ შორის არსებითია მოცემული საგეგმო პარამეტრების (ხორცის, მატყლის და სხვა პროდუქციის წარმოების მოცულობები, ნამატის მიღების, წონამატის და სხვ.) პირობებში მარგინალური შემოსავლის მოცულობის დადგენა საწარმოსათვის ყველაზე შეზღუდული ფაქტორების (საკვები, შენობები, მუშახელი) ერთეულზე.

6.11. მეფრინველეობის განვითარების ეკონომიკური საკითხები

6.11.1. დარგის ზოგადი დახასიათება

მეფრინველეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უძველეს დარგთა რიცხვს განეკუთვნება. მას ადამიანი იყენებს ისეთი ძვირფასი კვების პროდუქტების წარმოებისათვის, როგორიცაა ხორცი და კვერცხი. როგორც ერთი, ისე მეორე შეიცავს ადამიანისათვის შეუცვლელ ორგანულ ნივთიერებებს, როგორიცაა ცილა, ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები და ა.შ. გამოყენებადია აგრეთვე მეფრინველეობის თანმდევი პროდუქცია ფრინველის ბუმბულისა და ნაკელის სახით (შესაბამისად, მსუბუქი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის).

მეცხოველეობის სხვა დარგებისგან განსხვავებით, მეფრინველეობა ერთ-ერთი ქველაზე უფრო სწრაფმწიფადი დარგია. ფრინველი ხასიათდება მაღალი აღწარმოებითი თვისებებით (მაღალი ნაყოფიერებით, გამრავლების თვალსაზრისით), ინტენსიური ზრდით და დანახარჯების სწრაფი უკუგებით.

მნიშვნელოვანია მეფრინველეობის დარგი ასევე შრომითი რესურსების და წარმოების საშუალებების წლის განმავლობაში თანაბარზომიერი დატვირთვის, წარმოებაში ფულადი შემოსავლების ოპერატიული შემოდინების თვალსაზრისით, რაც, საბოლოო ანგარიშით, დარგში შრომის მწარმოებლობისა და რენტაბელობის დონის ამაღლების გარანტიებს ქმნის.

6.11.2. მეფრინველეობის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა

მეფრინველეობის საწარმოები (ფერმები), პროდუქციის წარმოების ხვედრითი წილისა და აღწარმოებითი მიზნების გათვალისწინებით, ოთხ ძირითად მიმართულებად სპეციალიზდება: მეკვერცხული, მეხორცული, მეკვერცხულ-მეხორცული (ანუ შერეული) და ჯიშიანი. აქედან, მეკვერცხული და მეკვერცხულ-მეხორცული მიმართულებები ყალიბდება მხოლოდ ქათმების მოშენების გზით, ხოლო წმინდა მეხორცული მიმართულება როგორც ქათმის, ასევე ფრინველის სხვადასხვა სახეობის მოშენების გზით.

მეფრინველეობის საწარმოებს მრავალი სტატისტიკური ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ. მათ შორის: სასაქონლო და სარეპროდუქტორო, ვიწროდ სპეციალიზებული მეფრინველეობის საწარმოები და მეფრინველეობის ფერმები, რომელთაც ფართო სპეციალიზაცია გააჩნია და ა.შ.

სარეპროდუქტორო საწარმოები, თავის მხრივ, იყოფა სარეპროდუქტორო ქარხნებად, საწარმოო რეპროდუქტორად, საინკუბაციო-მეფრინველეობის საწარმოებად და სადგურებად. (სასაქონლო საწარმოებს მიეკუთვნება ისეთი მეფრინველეობის საწარმოები და ფერმები, რომლებიც აწარმოებს სასაქონლო ხორცსა და კვერცხს).

ეკონომიკური თვალსაზრისით, მეფრინველეობის საწარმოთა დასაყოფად მთავარ ნიშნად იყენებენ ფრინველის შენახვისა და მოვლის მეთოდებს (რომლებიც, თავის მხრივ, გაიზომება ტექნიკური შეარაღების და მეფრინველეობის საწარმოს კონსტრუქციით). ამ ნიშნით გამოყოფენ ფრინველის შენახვის რამდენიმე მეთოდს. კერძოდ, ბატარეულ მეთოდს სხვადასხვა ტიპის და კონსტრუქციის გალიებში, იატაკურსა და ვოლიერულს.

მსოფლიოს რიგ განვითარებულ ქვეყნებში მეფრინველეობა ვითარდება სამრეწველო საწყისებზე (რითაც ის არსებითად განსხვავდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისაგან), თუმცა ბოლო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში ჩამოყალიბდა საწინააღმდეგო ტენდენციები, ანუ გამკაცრდა მოთხოვნები პირუტყვის (ფრინველის) დაცვის მოთხოვნების და დარგის არაინდუსტრიული გზით განვითარების თვალსაზრისით (ფრინველების გალიების გარეშე შენახვის საფუძველზე).

გიგანტი და ვიწროდ სპეციალიზებული მეფრინველეობის ფაბრიკების შექმნის ტენდენცია (დამთავრებული საწარმოო ციკლით, რომელიც მოიცავს როგორც საჯიშე, ასევე სასაქონლო პროდუქციის წარმოებას) დღესაც გამოკვეთილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში, რომელსაც

აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ფრინველის ჯანმრთელობის კონტროლისა და პროდუქტიულობის გაზრდის თვალსაზრისით, მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობაში დღეისათვის მირნულია გალიაში შენახვის წესი მიკროკლიმატის და ვანაოების ხანგრძლივობის ავტომატიზებული რეგულირებით, რაც შეეხება წიწილების გამოზრდასა და სუქებას, მისი ორგანიზება წარმოებს შენობებში იატაკური და ნაწილობრივ თავისუფალი (ღია) შენახვის წესის პირობებში. ფრინველის შენახვის ვოლიერული ფორმა (თავისუფალი) შესაძლებელია ბმილ და რბილ კლიმატურ ზონებში.

მეფრინველეობის საწარმოებს აჯგუფებენ ფრინველის გუნდის განახლების და კვლაცწარმოების მიხედვითაც. სასუქი მიმართულების მეფრინველეობაში გუნდის განახლების ძირითად პარამეტრს, რომელიც არსებითად განსაზღვრავს გუნდის განახლების პერიოდს (ვადას), წარმოადგენს სუქების ხანგრძლივობა და გასუქებული ფრინველის საბოლოო წონა (მასა). რაც შეეხება მეკვერცხული მიმართულების საწარმოს, აქ განახლების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს საბაზრო ქსელში კვერცხის მიწოდების ნაკისრი ვალდებულებები. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, აუცილებელია არსებული საწარმოო სიმძლავრეების (განსაკუთრებით, ცალკე მდგომი საფრინველეების) პერიოდული დასუფთავების, დეზინფექციისა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების გათვალისწინება.

მეფრინველეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური შეფასებისათვის შეიძლება აღებულ იქნეს ფრინველის რომელიმე ჯგუფის (მოქცეულების, სასუქი კონტინგენტის) დამთავრებული საწარმოო პერიოდის მონაცემები შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების სათვლით (რომელიც დაკავშირებულია ძირითადი გუნდის განახლებასთან და გამოწუნებული ფრინველის დაკვლასთან). ბაზისურ პერიოდად შეიძლება ასევე აღებულ იქნეს კალენდარული წელი. უფრო სრულ წარმოდგენას დარგის ეკონომიკურ საქმიანობაზე იძლევა დამთავრებული საწარმოო პერიოდის გაანალიზება, რაც საშუალებას იძლევა უფრო დეტალურად და ზუსტად დადგინდეს ეკონომიკური ურთიერთკავშირები.

მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ნატურალურ მაჩვენებელს ქათმის (ფრინველის) კვერცხმდებლობა წარმოადგენს. მას ანგარიშობენ ერთ კვერცხმდებელზე (მოქცეულზე) ცალობით ან კილოგრამობით, რომელიც მიღებულია დროის გარკვეულ პერიოდში.

ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე მონაცემები პროდუქციის დანახარჯების (ღირებულებით და ნატურალურ მაჩვენებლებში) და სარეალიზაციო ფასის შესახებ, გამოწუნებული ფრინველის ხორცისა და ფრინველის ნაკელის ღირებულება (თუ ეს უკანასკნელი რეალიზდება ან იძლევა მინერალურ სასუქებზე დანახარჯების ეკონომიას).

შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების განმსაზღვრელ ძირითად პოზიციებს ფრინველის საკვებზე და ფრინველის გუნდის განახლებაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ ფრინველის ერთ სულზე საკვების რამდენიმე გრამით გადიდება ან შემცირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დარგის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ძირითადი გუნდის განახლების დანახარჯები იანგარიშება, როგორც სხვაობა ახალგაზრდა წიწილების შეძენის ფასსა და გამოყენების შემდეგ გამოწუნებული ზრდასრული ფრინველის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს შორის.

კვერცხის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული კვერცხის სარეალიზაციო ფასზე, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია კვერცხის ხარისხზე (ზომა, ფერი) და სარეალიზაციო არხებზე. აღნიშნულის გამო, როცა ღება საკითხი კვერცხის წარმოების ეფექტიანობის გზებისა და საშუალებების გამონახვაზე, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია კვერცხმდებლობის გადიდების, პროდუქციის ერთეულზე საკვების ხარჯის შემცირების, დანაკარგების შემცირების და მაქსიმალურად შესაძლო მაღალ ფასებში რეალიზაციის ღონისძიებები.

კვერცხის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმი მოკლევადიან პერიოდში არის მარგინალური შემოსავალი ერთ კვერცხმდებელზე გაანგარიშებით (მხედველობაშია წარმოებაში უკვე არსებული სიმძლავრეების

პირობებში).

დარგის ხანგრძლივადიან პერიოდში დაგეგმვისას და წარმოების ეფექტიანობის სხვა საწარმოებთან შესადარებლად საჭირო ხდება შედარებითი მარგინალური შემოსავლის გაანგარიშება, რომელიც ცვლადი დანახარჯების გარდა ითვალისწინებს პირდაპირ მუდმივ დანახარჯებს ამორტიზაციაზე, სპეცდანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტზე და შესაბამის პროცენტს დაბანდებულ კაპიტალზე.

ფრინველის შენახვის ფორმების ეკონომიური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, გალიური წესით შენახვისას აღინიშნება კვერცხმდებლობის მიხედვით უპირატესობა ერთ კვერცხმდებელზე გაანგარიშებით, რაც აიხსნება იატაკური წესით შენახვასთან შედარებით კვერცხისა და სულადობის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებით (იატაკური წესით შენახვისას ფრინველის სულადობის და კვერცხის დანაკარგები მნიშვნელოვნად მაღალია გალიური წესით შენახვასთან შედარებით). ამასთან, იატაკური წესით ფრინველის შენახვისას აღინიშნება აგრეთვე შედარებით მაღალი შრომითი დანახარჯები ფრინველისა და წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. მაღალია აგრეთვე საკვების დანახარჯი.

ფრინველის შენახვის სხვადასხვა ფორმების ეკონომიკური შეფასებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარკვეული ასაკისა და მიმართულების ფრინველის მოთხოვნილება შენობა-ნაგებობებზე და მათთან დაკავშირებულ დანახარჯებზე (მუდმივი დანახარჯები ძირითადი ფონდების ამორტიზაციაზე, რემონტზე და ძირითად ფონდებში დაბმული კაპიტალის პროცენტზე).

მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის ცალკე საგანს წარმოადგენს სარემონტო მოზარდეულის გამოზრდა. ამ საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია საკვების დანახარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია მეფრინველეობის შენობა-ნაგებობების გამოყენებასთან.

სარემონტო მოზარდის გამოზრდის შედეგად მიღებული ამონაგები ყალიბდება მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსული თანხებით. ეკონომიური ანალიზის ჩატარების და მარგინალური შემოსავლის გაანგარიშებისას (მოკლევადიან პერიოდში არსებული შენობების გამოყენების პირობებში) ამონაგებს უდარებენ პირდაპირი ცვლადი დანახარჯების საერთო თანხას, რომელშიც შედის წიწილების და საკვების შეძენის, წყლის, ელექტროენერგიის, მედიკამენტების, დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები და საბრუნავ საშუალებებში დაბმული კაპიტალის პროცენტი. სარემონტო მოზარდეულის გამოზრდის საერთო ეფექტის დასადგენად საჭიროა ასევე გათვალისწინებულ იქნეს ფრინველის ნაკელის, როგორც მინერალური სასუქის შემცველის ღირებულება.

მეფრინველეობაში საქმიანობის ერთერთ ძირითად მიმართულებას ფრინველის ხორცის წარმოება წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა: ბროილერების გამოზრდა და სუქება; ქათმის, ბატის, იხვის, ინდაურის ხორცის წარმოება. ამ მიმართულების ძირითადი ნატურალური და ეკონომიკური მაჩვენებლებია: საშუალო სადღეღამისო წონამატი (ფრინველის ცოცხალი წონა). ფართობის ერთეულზე ფრინველის სულადობის სიმჭიდროვე და ხორცის გამოსავალი. აქაც, ისევე როგორც მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის საერთო დანახარჯებში, ყველაზე დიდია დანახარჯები საკვებსა და სულადობის განახლებაზე.

ხორცის წარმოების ყველაზე მაღალი ეკონომიური ეფექტიანობა მიიღწევა ინდუსტრიული ტიპის მექანიზებულ და ავტომატიზებულ საფრინველეებში, რომლებიც მუშაობენ სპეციალიზებული ჯიშებისა და პიბრიდების და ნაკადური ტექნოლოგიით ბროილერების გამოზრდაზე. ასეთ საწარმოებში მარგინალური შემოსავალი და მოგება დახარჯული საწარმოო ფაქტორების ერთეულზე ყველაზე მაღალია, სხვა ფორმებთან შედარებით.

მეფრინველეობის სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები საჭიროა მოიძებნოს, როგორც საშემოსავლო ნაწილში (კვერცხმდებლობა, ხორცის გამოსავალი, პროდუქციის სარეალიზაციო ფასები და ა.შ.), ასევე საგასაველო-ხარჯვით ნაწილში (საკვების დანახარჯი, სხვა საოპერაციო ხარჯები და ა.შ.). ამ მიმართულებით აღსანიშნავია აგრეთვე ფრინველის სულადობის განახლების

ხარჯებიც.

მოწინავე მეფრინველეობის საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ კვერცხმდებლობის მაქსიმუმში მიიღწევა წარმოებისა და შრომის თანამედროვე ორგანიზაციის, ჰიგიენისა და ზოოვეტერინარული კონტროლის პირობებში. შენობებში (საფრინველეებში) მიკროკლიმატის, გათბობა-განათების, კვების და მოვლა-შენახვის ოპტიმალური პირობები იძლევა დანაკარგების (როგორც სულადობის, ასევე პროდუქციის) შემცირებისა და კვერცხმდებლობის მაქსიმალურ დონემდე გადიდების საშუალებას.

ისევე, როგორც აგრარულ წარმოების სხვა დარგებში, მეფრინველეობაშიც ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედ ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი, მაქსიმალურად მომგებიანი სარეალიზაციო არხების და პირობების მოძიებაა. წერილი მეფრინველეობის საწარმოებისათვის (გლეხურ-ფერმერული მეურნეობები) პროდუქციის რეალიზაციის ძირითად არხს სამომხმარებლო ბაზარი წარმოადგენს. რაც შეეხება სპეციალიზებულ მსხვილ საწარმოებს, მათ შეუძლიათ, სხვა არხებთან ერთად, ფრინველის პროდუქციით საფირმო ვაჭრობის ორგანიზება (რაც, ბუნებრივია, დამოკიდებული იქნება ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, მათ გაღახლისუნარიანობაზე და სხვა ფაქტორებზე). საფირმო ვაჭრობის ორგანიზაციისას, მართალია წარმოიშობა დამატებითი დანახარჯები პროდუქციის დახარისხებაზე, შეფუთვაზე, ტრანსპორტირებაზე, ვაჭრობაზე და სხვა აუცილებელ ღონისძიებებზე, მაგრამ სამაგიეროდ იზრდება ამონაგებიც პროდუქციის რეალიზაციიდან. ყველა აუცილებელ შემთხვევაში ეკონომიკური ანალიზის დროს გამოთვლილი უნდა იქნეს როგორც შემოსავლები საფირმო ვაჭრობის ორგანიზაციიდან, ასევე მასთან დაკავშირებული დანახარჯები. შედარდეს ერთმანეთს და მიღებულ იქნეს რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილება.

დარგის ეკონომიკური ეფექტიანობაზე არსებითად მოქმედებს ფრინველის გამოყენების ოპტიმალური ვადის განსაზღვრა. აქაც საჭიროა ერთმანეთს დაუპირისპირდეს ის ეკონომიკური უპირატესობა და ეკონომიკური დანაკარგი, რომელიც თან ახლავს ფრინველის საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებას თუ შემცირებას. ეს უპირატესობებია:

– კვერცხმდებელი ქათმის ღირებულების სწრაფი შემცირება დროში ანუ წიწილისა და გამოყენებული ქათმის ფასთა სხვაობა;

– კვერცხმდებელი ქათმის გამოყენების პერიოდის გახანგრძლივებით კვერცხის წარმოების საერთო მოცულობაში მცირდება არასტანდარტული (წვრილი) კვერცხის წილი (რაც დამახასიათებელია ახალგაზრდა კვერცხმდებლებისათვის). წვრილი და უხარისხო კვერცხის რეალიზაცია ხდება შედარებით დაბალ ფასში და ამდენად საწარმოსათვის არამომგებიანია.

ეს უპირატესობები წარმოადგენს გარკვეულ სტიმულს საწარმოებისთვის, რათა გაახანგრძლივონ კვერცხმდებლობის პერიოდი, მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელია ის უარყოფითი მომენტებიც, რომლებიც თან ახლავს კვერცხმდებლების ექსპლუატაციის პერიოდის გახანგრძლივებას. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემდეგი: მეორე პერიოდით კვერცხმდებლების ექსპლუატაციისას, პირველ პერიოდთან შედარებით, იკლებს საშუალო დღიური კვერცხმდებლობა, იზრდება ფრინველის დანაკარგები, იზრდება უხარისხო კვერცხის წილი (არასტანდარტული).

ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოინახოს კვერცხმდებლების გამოყენების ხანგრძლივობის ოპტიმალური ვადა, რაც შესაძლებელია მხოლოდ სწორი ეკონომიკური გათვლების საშუალებით

კვერცხმდებლების დატოვება საწარმოში მეორე პერიოდით ექსპლუატაციისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მისაღები იქნება მაშინ, როცა უფრო სწრაფად მცირდება კვერცხმდებლების ღირებულება მათი გამოყენების პროცესში, აგრეთვე მეტია ფასთა სხვაობა წვრილ და შედარებით მსხვილ კვერცხებზე და რაც უფრო იაფია ფრინველის საკვები (რადგან ამ უკანასკნელის ხარჯი წარმოებული პროდუქციის ერთეულზე კვერცხმდებლების მეორე (გახანგრძლივებულ) პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება).

კვერცხმდებელი ფრინველის გამოყენების გახანგრძლივების ოპტიმალური ვადა დამოკიდებულია ეკონომიკური მიზნების პრიორიტეტებზე, რომელსაც, თავის

მხრივ, განსაზღვრავს წარმოების ამა თუ იმ საწარმოო ფაქტორის შედარებითი შესწორებულობა (პირუტყვში ეს, როგორც წესი, ეხება შენობა-ნაგებობებს, როგორც ყველაზე ძვირადღირებულ და შესწორებულ ფაქტორს).

მეფრინველეობაში ძირითადი გუნდის განახლება და კვლავწარმოება შესაძლებელია ხდებოდეს როგორც იდენტური მონაცემების მქონე ფრინველით, ასევე არაიდენტური (გაუმჯობესებული) მონაცემების მქონე ფრინველით. პირველ შემთხვევაში კვერცხმდებლების წარმოებაში გამოყენების ოპტიმალურ ვადად ჩაითვლება პერიოდი, რომელშიც მიიღწევა საშუალო დღიური თუ საშუალო თვიური მარგინალური შემოსავალი შენობის ფართის ერთეულზე გაანგარიშებით (ფრინველ-ადგილზე გათვლით). გაანგარიშებებში გათვალისწინებული უნდა იყოს კვერცხმდებლების არაპროდუქტიული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება გუნდის განახლება, შენობების დასუფთავება და დეზინფექცია.

მეორე შემთხვევაში, ანუ როცა სულადობა იცვლება უფრო მაღალი პროდუქტიულობის მქონე ფრინველებზე, განახლების (შეცვლის) ოპტიმალური ვადა იქნება დრო, როცა მაქსიმალური მოსალოდნელი საშუალო წლიური (ან სხვა პერიოდით) მარგინალური შემოსავალი ახალი სულადობიდან ტოლი ან მეტი იქნება არსებული სულადობის გამოყენებიდან მიღებულ მარგინალურ შემოსავალზე ერთი დამატებითი დღის განმავლობაში.

არის ცალკეული შემთხვევები, როცა ფრინველის გუნდის განახლება ან საფრინველეების სხვა მიმართულებით გამოყენება არაა გათვალისწინებული (ხდება წარმოების შეწყვეტა-ლიკვიდაცია). ასეთ პირობებში კვერცხმდებლების გამოყენების ოპტიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთ კვერცხმდებელზე მაქსიმალურად შესაძლო მარგინალური შემოსავლის სიდიდით, ანუ კვერცხმდებლების გამოყენება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მისაღები იქნება, მანამ შემდგომ პერიოდში (დღე, თვე, კვარტალი და ა.შ.) მიღებული ამონაგები დაფარავს პირდაპირ ცვლად დანახარჯებს.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ მეცხოველეობის დარგების კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნები, ძირითადი დარგები და მიმართულებები.
2. პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე შეადგინეთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგისა და ცხვრის ფარის წლიური ბრუნვა.
3. პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოთხოვნილება საკვებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის.
4. განმარტეთ, რატომაა გასაანგარიშებელი პირუტყვის კვლავწარმოების ეკონომიკური მიზანშეწონილობა ნაყიდი და საკუთარი რესურსების ხარჯზე. რა შემთხვევებში შეიძლება გვქონდეს საქმე საკუთარი რესურსებით პირუტყვის კვლავწარმოების დროს?
5. რა ძირითადი კრიტერიუმი არსებობს საკუთარი ან ნაყიდი საკვების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის? რა ხასიათის ეკონომიკური საკითხებია მხედველობაში მისაღები პირუტყვის საკვების შეძენის დროს?
6. შეადგინეთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მთელი ტექნოლოგიური სქემა და ახსენით თითოეული შემადგენლის მნიშვნელობა.
7. ჩამოთვალეთ მეცხოველეობის დარგების განვითარების ძირითადი ფაქტორები. განმარტეთ, როდისაა ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული დაბბოიანების ადრეული ასაკი და დაბბოიანებათაშორისი პერიოდის (ინტერვალის) შემცირება.
8. შეადგინეთ კონკრეტული მაგალითი და განსაზღვრეთ მეწველი ფურის ექსპლუატაციაში ყოფნის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ვადა.
9. განასხვავეთ ერთმანეთისაგან მსხვილფეხა პირუტყვის ექსტენსიური და ინტენსიური სუქების ფორმები. როგორ განისაზღვრება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიური სუქების ეკონომიკური ეფექტიანობა? რაზეა დამოკიდებული სასუქი პირუტყვის საბოლოო წონა?

10. კონკრეტული მაგალითის მიხედვით განსაზღვრეთ მერძეული მესაქონლეობის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდთა სუქების კონკურენტუნარიანობა პირუტყვის საკვების შეზღუდულობის პირობებში.
11. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ღორების სუქების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.
12. როგორ მიიღება რაციონალური გადაწყვეტილება მეღორეობაში, როცა არსებობს ორი ალტერნატივა: რეპროდუქცია ანუ გოჭების გამოსრდა და მოზარდთა (გოჭების) სუქება?
13. კონკრეტული მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ სუქებაზე დაყენებული გოჭების საბოლოო ცოცხალი მასის ოპტიმალური სიდიდე.
14. ჩამოთვალეთ მეცხვარეობის საწარმოების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები. მეცხვარეობის შეჯარდებითი კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორები.
15. რა მნიშვნელობა ენიჭება წლის განმავლობაში ნაყოფმობადობის რაოდენობის რეგულირებას მეცხვარეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის?
16. ჩამოთვალეთ მეხორცული და მეკვერცხული მიმართულების მეფრინველეობის ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და განმარტეთ თითოეულის მნიშვნელობა.
17. რა მახვენებელი განსაზღვრავს კვერცხის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას მოკლევადიან პერიოდში?
18. დაახასიათეთ მეცხოველეობის დარგების გაძღოლის ძირითადი ეკონომიკური პრინციპები.

ტესტი

1) მეცხოველეობის დარგების არჩევანს და მათი განვითარების ოპტიმალურ სიდიდეს განსაზღვრავს:

ა) მეცხოველეობის პროდუქციაზე არსებული მოთხოვნა
ბ) თითოეული დარგის ეფექტიანობის მიღწეული დონე
გ) მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია და ბუნებრივ-კლიმატური პირობები
დ) ყველა პასუხი სწორია

2) ჯოგის ბრუნვის უწყისის შედგენა იწყება:

ა) საგეგმო წლის დასაწყისში
ბ) საგეგმო წლის ბოლოს
გ) ძირითად საშუალებათა ინვენტარიზაციის დროს
დ) ყოველი კვარტლის ბოლოს

3) პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშების საფუძველია:

ა) პირუტყვის სახეობა ასაკობრივი სტრუქტურა
ბ) პირუტყვის საერთო სულადობაში დედა-პირუტყვის ხვედრითი წონა
გ) პირუტყვის საერთო სულადობა
დ) პირუტყვის საშუალო წლიური სულადობა

4) მეცხოველეობაში გამოყენებული წარმოების რესურსების ოპტიმიზაციას განსაზღვრავს:

ა) მეცხოველეობის დარგების განვითარების მიმართულებათა სწორი სელექცია.
ბ) მეურნეობაში არსებული საწარმოო რესურსების რაოდენობა.
გ) მარგინალური შემოსავლის ოდენობა მეურნეობაში არსებულ ყველაზე შეზღუდულ საწარმოო ფაქტორზე (შრომა, მიწა, შენობა-ნაგებობები).
დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

5) მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს:

ა) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების მოცულობა მიწის ფართობისა და პირუტყვის სულადობის ერთეულზე.

ბ) მეურნეობის საწარმოო მიმართულება.

გ) მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში წარმოებული მარგინალური შემოსავლების ფარდობითი სიდიდეები.

დ) შეზღუდული საწარმოო ფაქტორების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები.

6) ძირითადი ჯოგის პირუტყვის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის დასადგენად საჭირო არაა ვიცოდეთ:

ა) ძროხის საწყისი ფასი ანუ შეძენის ან ადგილზე გამოზრდის ღირებულება

ბ) ძროხის სალიკვიდაციო ღირებულება გამოწუნებისას სახორცეთ რეალიზაციის შემთხვევაში

გ) ძროხის მერძეული პროდუქტიულობის დინამიკა წლების მიხედვით

დ) ძროხის ასაკი

7) ღორების სუქების ეკონომიკური ეფექტიანობას ადგენენ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) ღორის ხორცის სარეალიზაციო ფასი

ბ) მოზარდის (გოჭის) საწყისი ფასი

გ) შენობა-ნაგებობების ღირებულება

დ) საკვებზე დანახარჯების შემცირება

VII თავი. წარმოების დანახარჯების არსი და სტრუქტურა. პროდუქციის თვითღირებულება აგრარულ სფეროში

7.1. წარმოების დანახარჯების არსი და კლასიფიკაცია

ნებისმიერი პროდუქციის წარმოებაზე, როგორც წესი, ცოცხალი (მიმდინარე) და განივთებული (ადრე შექმნილი) შრომა იხარჯება, რაც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის წარმოების საერთო დანახარჯებს წარმოშობს.

განასხვავებენ პროდუქციის (მომსახურების) ინდივიდუალურ და საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს, პირველს მიაკუთვნებენ კონკრეტული მეურნეობის (საწარმოს) დანახარჯებს კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო მეორეს – იმ დანახარჯებს (რაოდენობრივად), რომლებიც საზოგადოდ საჭიროა ამა თუ იმ პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად შრომის კაპიტალშეირაღების, საწარმოო რესურსებით უზრუნველყოფისა და წარმოებისათვის აუცილებელი სხვა პირობებით, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები წარმოადგენს პროდუქციის ღირებულების საყუძველს, რომელსაც ბაზარი განსაზღვრავს.

კლასიკური გაგებით, ნებისმიერ საწარმოში (მათ შორის აგრარულ საწარმოებშიც) წარმოების ფაქტორებად მიწა, შრომა და კაპიტალი გვეელინება, ამიტომ, როცა დანახარჯების ეკონომიკურ კატეგორიას ვიხილავთ, მხედველობაშია წარმოებაში ამ ფაქტორების გამოყენების ღონე და ხარისხი ანუ ის, თუ რა რაოდენობის შრომა (შრომის ანაზღაურება), მიწა (საარენდო გადასახადი) და კაპიტალი (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი) ღაიხარჯა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე. ასეთი დანახარჯების სახეებს ცხადი დანახარჯები (ანუ პირდაპირი) ეწოდება. ისინი საყუძველად უდება პროდუქციის თვითღირებულებას და საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგის ანუ მოგების მაჩვენებლის გაანგარიშებას.

გარდა ცხადი დანახარჯებისა, მეწარმეს თითქმის ყოველთვის საქმე აქვს არაცხად (არაპირდაპირ, ალტერნატიულ) დანახარჯებთანაც. მათ მიეკუთვნება დახარჯული, მაგრამ აუნაზღაურებელი (გადაუხდელი) შრომითი, ფულადი და მატერიალური რესურსები. ასე მაგალითად, მეწარმე (საწარმო), როცა მის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებს არ აძლევს სხვას სარგებლობისათვის (არენდით), არამედ თვითონ იყენებს მას პროდუქციის წარმოების მიზნით, ეწევა ალტერნატიულ ანუ არაცხად დანახარჯებს, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს შენობა-ნაგებობების გაქირავებიდან მისაღებ (შესაძლო) შემოსავალს მათი გაქირავების შემთხვევაში. ანალოგიურ დანახარჯებს აქვს ადგილი სხვა წარმოების ფაქტორების (შრომა, მიწა) გამოყენების შემთხვევაშიც.

დანახარჯები მათი წარმოშობის, დანიშნულების, პროდუქციის წარმოების მოცულობასთან დამოკიდებულების და სხვა ნიშნების მიხედვით, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რის გამოც, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული დანახარჯების ცნება განსხვავდება საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებული ცნებისაგან, რადგან საწარმოს საქმიანობაში გეხვდება როგორც ცხადი, ასევე არაცხადი დანახარჯები. ეკონომიკური დანახარჯები მოიცავს ჩანაცვლებულ დანახარჯებს ანუ იმ დანახარჯებს, რომელთანაც გვაქვს საქმე ალტერნატიული საქონლის (მომსახურების) წარმოებაზე (შეძენაზე) უარის თქმის გამო. საბუღალტრო დანახარჯების კატეგორიაში კი დანახარჯების ეს ელემენტი საერთოდ არ მონაწილეობს.

დანახარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ცხად და არაცხად დანახარჯებად დაყოფა, თავის მხრივ, იწვევს მოგების სახეთა სიმრავლეს. კერძოდ, განასხვავებენ ერთმანეთისაგან ეკონომიკური, საბუღალტრო და ნორმალური მოგების ცნებებს. აქედან, ეკონომიკური მოგება ატარებს წმინდა ეკონომიკურ შინაარსს და იანგარიშება, როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის (როგორც ცხადი, ასევე არაცხადი დანახარჯები). მოგების ეს სახე პირობითია (ვირტუალური) და გამოიყენება ამა თუ იმ წარმოების ორგანიზებისას, მმართველობითი გადაწყვეტილების

მიღებისას, სხვადასხვა ვარიანტული პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას და ა.შ.

განსხვავებით ეკონომიკურისაგან, საბუღალტრო მოგება არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და მის წარმოებაზე გაწეულ პირდაპირ (ცხად) დანახარჯებს შორის. იგი რეალურად მიღებული შედეგისა და ფაქტობრივად მოხმარებული რესურსების ეფექტიანობის ამსახველი ზუსტი ფინანსური მაჩვენებელია და წარმოადგენს მოგების გადასახადის გადახდისა და სხვა ეკონომიკურ-ფინანსური გაანგარიშებების (დაგროვების, მოხმარების ღონე) საფუძველს.

რაც შეეხება მოგების მესამე სახეს (ნორმალური მოგება), ის ტოლია საბანკო სესხზე არსებული პროცენტისა და ბუნებრივ რესურსებზე (მიწაზე) არსებული არენდის საფასურისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმალური მოგება მოგების ის დონეა, რომლის დროსაც კონკრეტულ წარმოებაში განხორციელებული რესურსის დაბანდება არის უფრო ეფექტიანი, ვიდრე საქმიანობის სხვა სფეროებში (მაგალითად, გაქირავება ან ფულის შენახვა ბანკში და ანაბრის პროცენტის მიღება).

მეწარმემ (მესაკუთრემ) უნდა მიიღოს ნორმალური მოგება, რომ დარჩეს და გააგრძელოს თავისი საქმიანობა მოცემულ საწარმოში, სხვა შემთხვევაში ის იძულებული იქნება ეძიოს მისი რესურსების უფრო ხელსაყრელი გამოყენება ანუ შეუცვალოს მიმართულება საწარმოს ან გადაიტანოს რესურსები სხვა დარგში, უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მეტი მოგების მიღების მიზნით.

7.2. წარმოების დანახარჯების სტრუქტურა

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დანახარჯები იყოფა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდების დანახარჯებად. მოკლევადიან პერიოდში წარმოების მოცულობის შეცვლა, (დანახარჯების გადიდება ან შემცირება) პრაქტიკულად შეუძლებელია საწარმოო ციკლის მოკლე ხანგრძლივობის გამო, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, შესაძლებელია განხორციელდეს არსებული სიმძლავრეების და რესურსების ნებისმიერი ცვლა პროდუქციაზე მოთხოვნისა და ფასების კონიუნქტურის გათვალისწინებით. ამდენად, უნდა განვასხვავოთ დანახარჯები, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების შესაბამისად და დანახარჯები, რომლებიც არ იცვლება წარმოებისა და მოცულობის ზრდის ან შემცირების მიხედვით. პირველს ცვალებადი ((ცვლადი), ხოლო მეორეს – მუდმივი დანახარჯი ეწოდება (თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში არ შეიძლება იყოს მუდმივად უცვლელი და მუდმივად ცვლადი დანახარჯები). პირველს მიეკუთვნება შეშაკოა შრომის ანაზღაურება, მოხმარებული რესურსების ღირებულება, ნათეს-ნარგაობათა დაზღვევა და ა.შ, ხოლო მეორეს – ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხები, კომუნალური გადასახადები, საარენდო ქირა, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები და ა.შ.

ცვლადი დანახარჯები დაკავშირებულია, საბრუნავი კაპიტალის გამოყენებასთან, ხოლო მუდმივი დანახარჯები – ძირითადი კაპიტალის გამოყენებასთან (მიწა, წარმოების ძირითადი საშუალებები).

როცა პროდუქციის წარმოებას არ აქვს ადგილი, ცვლადი დანახარჯები, პრაქტიკულად, ნულის ტოლია, მაგრამ პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად მათი რაოდენობა იზრდება. მუდმივი დანახარჯები კი პირიქით, ანუ როცა პროდუქცია არ იწარმოება, საწარმო მუდმივი დანახარჯების მომსახურებას მაინც ეწევა. პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად მუდმივი დანახარჯების მოცულობა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე თანდათან მცირდება.

ცვლადი და მუდმივი დანახარჯების ერთობლიობას (ჯამს) პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ საერთო დანახარჯებს უწოდებენ. არსებობს საშუალო დანახარჯის ცნებაც, რაშიც მოიაზრება დანახარჯების მოცულობა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. განასხვავებენ ასევე საშუალო მუდმივ დანახარჯებს (რომელიც გამოითვლება მუდმივი დანახარჯების შეფარდებით წარმოებულ პროდუქციასთან) და საშუალო ცვლად დანახარჯებს (იანგარიშება ცვლადი დანახარჯების შეფარდებით წარმოებული პროდუქციის მოცულობასთან).

საშუალო დანახარჯების მაჩვენებლისა და პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასის დაპირისპირებით შეიძლება ვიმსჯელოთ წარმოების რენტაბელობაზე, მოგებაზე და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

დანახარჯების კატეგორია იცნობს ზღვრული დანახარჯების ცნებასაც. ზღვრული დანახარჯის ეკონომიკური შინაარსი კლებადი ნაყოფიერების კანონის მოქმედებას უკავშირდება. კერძოდ, როცა სამეურნეო პრაქტიკაში დგება საკითხი კონკრეტული საწარმოს პროდუქციის წარმოების გაფართოების ან შემცირების შესახებ, საჭიროა გამოითვალოს, ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად მიზანშეწონილია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერ წარმოებაში წარმოების ფაქტორები გამოიყენება ცვლადი და მუდმივი დანახარჯების გარკვეული პროპორციულობის დაცვით. არ შეიძლება ნებისმიერი პროპორციით გადიდდეს ცვლადი ფაქტორის რაოდენობა მუდმივი ფაქტორის ერთეულზე, რამდენადაც ამ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს კლებადი ნაყოფიერების კანონი. ამ კანონის თანახმად, ერთი რომელიმე ცვლადი ფაქტორის (რესურსის) გამოყენების გადიდება, სხვა რესურსების უცვლელობის პირობებში, გარკვეულ ეტაპზე იწყებს უკუგების შემცირებას და, საბოლოო ანგარიშით, საერთოდ შეწყვეტას (ეს კანონი მოქმედებს ყველა ცვლადი ფაქტორის მიმართ მეურნეობრიობის ყველა დარგში). ამ კანონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებში გამოვლინების ყველაზე კარგ მაგალითად მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების ან ქიმიური წარმოშობის მინერალური სასუქების გამოყენება შეიძლება დავასახელოთ.

ზღვრული დანახარჯები განისაზღვრება, როგორც დამატებითი დანახარჯები პროდუქციის დამატებითი ერთეულის საწარმოებლად.

ზღვრული დანახარჯების განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოსთვის, სადაც ცოცხალ (ბიოლოგიურ) ფონდებთან, ქიმიურ პრეპარატებთან და სხვადასხვა ძლიერმოქმედ პესტიციდებთან გვაქვს საქმე. გარდა გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებისა, ზღვრული დანახარჯების დადგენა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ის დანახარჯები, რომელთა რაოდენობის კონტროლი საწარმოზეა მთლიანად დამოკიდებული. როცა დადგენილია ზღვრული დანახარჯი პროდუქციის დამატებით ერთეულზე, საწარმოს შეუძლია ზუსტად გამოითვალოს, თუ რა დაუჯდება წარმოების გაფართოებისას ყოველი დამატებითი ერთეულის წარმოება ან რა ეკონომიას გასწევს წარმოების ერთი ერთეულით შემცირებისას.

ზღვრულ დანახარჯებს ანგარიშობენ ფორმულით, რომლის მრიცხველია მთლიანი დანახარჯების ნამატი, ხოლო მნიშვნელი – პროდუქციის წარმოებაში ამ ნამატით გამოწვეული ცვლილება. კერძოდ,

$$\text{ზ}_{\text{ხ}} = \frac{\Delta \text{ზ}_{\text{მთ}}}{\Delta_{\text{ნ}}},$$

სადაც $\Delta \text{ზ}_{\text{მთ}}$ – მთლიან დანახარჯებში ცვლილებაა, ხოლო $\Delta_{\text{ნ}}$ – პროდუქციის წარმოებაში მომხდარი ცვლილებაა.

როცა წილადის მნიშვნელობა გახდება ნულის ტოლი, ცხადია, რომ მოცემული რესურსის შემდგომი გადიდება წარმოებაში არაეკონომიკურია.

73. აბრარულ პროდუქციის თვითღირებულება, მისი სახეები და განსაზღვრის მეთოდები

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება წარმოების ახალი მიმართულების თუ ტექნოლოგიის შეცვლის თაობაზე, უნდა იყოს მოქნილი და მრავალი ალტერნატიული ვარიანტიდან არჩეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში მოქმედებს ისეთი ეკონომიკურ ფენომენი, როგორიცაა დიფერენციული რენტა. იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა მრავალ თავისებურებასთან ერთად, არსებითად ადიდებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის თვითღირებელებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების გაანგარიშების ეკონომიკურ მნიშვნელობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება, ეკონომიკური თვალ-

საზრისით, ესაა ფულად ფორმაში გამოხატული პროდუქციის წარმოებასა და მის რეალიზაციაზე გაწეული მიმდინარე ხარჯები. ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების გაიგივება წარმოების დანახარჯებთან არ შეიძლება, რადგან თვითღირებულება მოიცავს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ პირდაპირ (ცხად) დანახარჯებს, მაშინ როცა წარმოების დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს არაცხად დანახარჯებსაც.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესში პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ამ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე, რითაც შენარჩუნებული იქნება წარმოების უწყვეტი ციკლი (ანუ კვლაფწარმოება).

პროდუქციის თვითღირებულება (ისევე, როგორც სამუშაოთა ან მომსახურების) წარმოადგენს წარმოების პროცესში მოხმარებული ბუნებრივი რესურსების, ნედლეულისა და მასალების, აგრეთვე დახარჯული ცოცხალი შრომის ღირებულებით შეფასებას. ის ასახავს იმ დანახარჯების სიდიდეს, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოში მარტივი კვლაფწარმოების პროცესს და ამავე დროს გვეუბნება დახარჯული საწარმოო რესურსების აღდგენის ფორმად.

განასხვავებენ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის თვითღირებულებას (რომელიც წარმოადგენს საწარმოში პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯის ჯამს), ერთეული პროდუქციის თვითღირებულებისაგან (იგი იანგარიშება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შეფარდებით მოცემული პროდუქტის მოცულობასთან ნატურალურ ერთეულებში).

პირველისათვის იყენებენ ფორმულას:

$$თ_{ჯა} = ა + დ_ჯ + ა_შ,$$

სადაც $თ_{ჯა}$ – მთლიანი პროდუქციის თვითღირებულებაა, ა – ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხებია, $დ_ჯ$ – მატერიალური დანახარჯები, ხოლო $ა_შ$ – შრომის ანაზღაურებაა.

პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გასაანგარიშებლად ნატურალურ გამოსახულებაში, იყენებენ ფორმულას:

$$თ_{ერ} = Δდ_ხ : Δპრ,$$

სადაც $თ_{ერ}$ – ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაა, $Δდ_ხ$ – წარმოების დანახარჯების ჯამია, ხოლო $Δპრ$ – წარმოებული პროდუქციაა ნატურაში.

დანახარჯების შემადგენლობის მიხედვით პროდუქციის თვითღირებულება იყოფა საწარმოო და კომერციულ თვითღირებულებად. პირველი მოიცავს წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს (საერთო-სამეურნეო და საერთო-საწარმოო დანახარჯების ჩათვლით), ხოლო კომერციული კი წარმოადგენს საწარმოს თვითღირებულებისა და პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ჯამს.

თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდების, მონაცემების წყაროებისა და გამოყენების სფეროს მიხედვით განასხვავებენ პროდუქციის ფაქტობრივ და გეგმურ თვითღირებულებას. როგორც სახელი გვეუბნება, ფაქტობრივი თვითღირებულება გაიანგარიშება წლის ბოლოს და იგი დაფუძნებულია საბუღალტრო ფაქტობრივ ჩანაწერებზე (მონაცემებზე). ის საშუალებას იძლევა შევაფასოთ საწარმოს ცალკეული რგოლების მუშაობა, დაისახოს კონკრეტული გზები თვითღირებულების შესამცირებლად. გეგმურ თვითღირებულებასთან შედარების გზით გამოვლინდეს პროდუქციის გაზრდისა და ღაფინანსების შემცირების რეზერვები.

გეგმური თვითღირებულება გაიანგარიშება საწარმოო - ფაქტორების ხარჯვის ნორმატიულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით და წინა წლების ფაქტობრივი თვითღირებულების მონაცემების გათვალისწინებით. გათვლები ეყრდნობა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და პირუტყვის (ფრინველის) გამოზრდის ტექნოლოგიურ რუკებს. მასში არ აისახება საწარმოს ისეთი არამწარმოებლური ხარჯები, როგორიცაა სხვადასხვა ტექნიკის მოცდენები, პროდუქციის დანაკარგები, დანაკლისები, პირუტყვის იძულებითი დაკვლა და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებიდან მიღებული ზარალი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში შეიძლება გაიანგარიშონ პროდუქციის წინასწარი თვითღირებულება (უყრო

ხშირად მეცხოველეობაში, კვარტლების მიხედვით). ეს საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს გეგმური თვითღირებულების გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომები და დაისახოს კონკრეტული გზები გეგმით დასახული რეალური მიზნის მისაღწევად.

გეგმური და ფაქტობრივი თვითღირებულების გაანგარიშებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დანახარჯების დაჯგუფებას, რომლის მიხედვითაც ყორმირდება პროდუქციის თვითღირებულება. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით საბუღალტრო აღრიცხვაში დანახარჯები შედგება შემდეგი სახის გამსხვილებული ელემენტებისაგან: მატერიალური დანახარჯები, დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე, გადარიცხვები სოციალურ საჭიროებაზე, ძირითადი ფონდების ამორტიზაციის ანარიცხები და სხვადასხვა ხარჯები. ამ დანახარჯების თითოეული ელემენტის პროცენტული შეფარდება მათ საერთო ჯამთან გვაძლევს თვითღირებულის სტრუქტურას. ის, ძირითადად, დამოკიდებულია წარმოების სპეციალიზაციაზე და ორგანიზაციაზე, ტექნიკური შეიარაღების, წარმოების კონცენტრაციის და სხვა მაჩვენებლებზე.

7.4. პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ეკონომიკურ გაანგარიშებებში მიღებულია პროდუქციის თვითღირებულების, კალკულაციის მუხლების მიხედვით განსაზღვრა. კალკულაციის მუხლების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფება ხდება უფრო დიფერენცირებულად, ვიდრე ეს დანახარჯების ეკონომიკური შინაარსით დაჯგუფებისას ხდება. კერძოდ, კალკულაციის მუხლების მიხედვით ცალკე გამოიყოფა ისეთი დანახარჯები, როგორიცაა თესლი და სარგავი მასალა, მინერალური და ორგანული სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, საკვები, საწვავი, ამორტიზაცია, მიმდინარე რემონტი და ა.შ.

გარდა ეკონომიკური შინაარსისა, დანახარჯები იყოფა წარმოების პროცესებში მონაწილეობის, შემადგენლობის და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით. საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოში სახეზე გვაქვს ძირითადი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის წარმოების პროცესთან (საკვები, ძირითადი ფონდების შენახვა, შრომის ანაზღაურება და სხვა პირდაპირი ხასიათის დანახარჯები) და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მართვა-ორგანიზაციასთან (საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯები). აქედან პირველი სახის დანახარჯები (პირდაპირი) მიმართულია ამა თუ იმ კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე და ისინი პირდაპირ აისახება პროდუქციის თვითღირებულებაზე (მინერალურ სასუქებზე გაწეული დანახარჯები, საწვავ-საცხები მასალების, თესლის, სარგავი მასალის ღირებულება და ა.შ.), ხოლო მეორე სახის დანახარჯებს (ანუ ირიბი დანახარჯები), რომლებიც რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებასთანაა დაკავშირებული, პროპორციულად ანაწილებენ სხვადასხვა პროდუქციაზე (შრომის ანაზღაურების, დახარჯული კაც-დღეების ან სხვა ფაქტობრივი მაჩვენებლების პროპორციულად).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, აქ საჭიროა დაიცვან გარკვეული თანმიმდევრობა მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისას, რაც გამოწვეულია იმით, რომ მიწათმოქმედების პროდუქციის საკმაო ნაწილი წარმოადგენს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების საყუძველს (ძირითადად, პირუტყვისა და ფრინველის საკვების სახით). ამიტომ, ჯერ ანგარიშობენ მიწათმოქმედების პროდუქციის თვითღირებულებას, ხოლო შემდეგ მეცხოველეობისას.

მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ძირითადი პროდუქციის წარმოებას თან ახლავს თანმდევი პროდუქციის წარმოებაც (ჩალა, ნამჯა, ნაკელი და ა.შ., რაც ასევე წარმოადგენს თვითღირებულების ობიექტს), რის გამოც აუცილებელი ხდება დანახარჯების გადანაწილება ძირითად და თანმდევ პროდუქციას

შორის. ამას ემატება ისიც, რომ როგორც მიწათმოქმედებაში, ასევე მეცხოველეობაში საქმე გვაქვს დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებთან (საშუალოდგამო ნათესების, მრავალწლიანი ნარგაევების გაშენების, ინკუბაციის და ა.შ., ანუ მომავალი წლის დანახარჯებთან, რომელთა დადგენა წარმოებს მხოლოდ წლის ბოლოს).

მიწათმოქმედებაში თვითღირებულების გაანგარიშების ობიექტებია მარცვლეული და მისი თანმდევი პროდუქცია ჩალისა და ნამჯის სახით, ზეთოვანი კულტურების პროდუქცია, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ღია და დახურული გრუნტის მებოსტნეობის პროდუქციის ყველა სახეობა, საკვები კულტურები, მრავალწლიანი კულტურების (ხილი და კენკრა, ყურძენი, ჩაი, სუბტროპიკული კულტურები და სხვ.) პროდუქცია, აგრეთვე დაუმთავრებელი წარმოების სამუშაოები მომავალი წლის მოსავლისათვის.

მეცხოველეობაში თვითღირებულების გაანგარიშების ექვემდებარება: რძე და მიღებული ნამრავალი, პირუტყვის ცოცხალი წონა და საღღეღამისო წონამატი, თაფლი, აბრეშუმის პარკი და საწარმოში არსებული სხვა სახის პირუტყვისა და ფრინველის პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების პირველ ეტაპზე ახდენენ ძირითადი საშუალებების შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე გაწეული დანახარჯების გადანაწილებას იმ ობიექტებზე, რომლებიც ექვემდებარება დაგეგმვას და აღრიცხვას; შემდეგ ანგარიშობენ დამხმარე დარგების იმ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებას, რომლებიც მომსახურებას უწევენ ძირითად დარგებში პროდუქციის წარმოებას, ანაწილებენ საერთო სამეურნეო ხარჯებს და ადგენენ დანახარჯების ჯამს თითოეული პროდუქციის მიმართ, აზუსტებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ფაქტობრივ მოცულობებს და გამოიანგარიშებენ თითოეული მათგანის საწარმოო თვითღირებულებას (დამხმარე სამრეწველო საწარმოთა არსებობის შემთხვევაში გაიანგარიშება აქ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება).

ბოლოს გაიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და დამხმარე სამრეწველო საწარმოებში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულება, რისთვისაც მათ საწარმოო თვითღირებულებას ემატება პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები.

პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებისას საჭიროა განისაზღვროს პროდუქციის სახე (ძირითადი, შეუღლებული, თანმდევი) და გადანაწილდეს მათზე საწარმოო დანახარჯები. ძირითადია პროდუქცია, რომლის წარმოება (უმთავრესია მოცემულ საწარმოში. მაგალითად, მარცვალი, რძე, ხორცი და ა.შ. შეუღლებულ პროდუქციას უწოდებენ ძირითადი პროდუქციის წარმოებასთან შეუღლებულ პროდუქციას (მაგალითად, რძის წარმოების შემთხვევაში, ძროხიდან მიღებული ნამრავალი), ხოლო პროდუქციას, რომელიც წარმოებულია ძირითად პროდუქციასთან ერთად შეუღლებულს, ანუ თანმდევ პროდუქციას უწოდებენ.

რძის წარმოების შემთხვევაში ასეთ პროდუქციას წარმოადგენს ნაკელი. მარცვლეულის წარმოების შემთხვევაში ჩალა, ნამჯა და ა.შ. მათ შორის საერთო საწარმოო დანახარჯების გადანაწილება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება. უფრო ხშირად კი საერთო ხარჯების განაწილება ხდება სარეალიზაციო ფასებით გაანგარიშებული პროდუქციის ღირებულების პროპორციულად.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციას თვითღირებულების გაანგარიშებას თავისი მეთოდი აქვს. მაგალითად, თავთავიანი მარცვლეული კულტურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები საფუძვლად ედება არა მარტო ძირითადი პროდუქციის – მარცვლის (ხორბალი, ქერი, ჭვავი), არამედ ნამჯისა და მარცვლის ანარჩენების თვითღირებულებასაც. ნამჯის თვითღირებულებას ანგარიშობენ მის აღებაზე, დაწნეხვაზე, ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯებით, ხოლო მარცვლის ანარჩენების თვითღირებულების გამოსათვლელად ჯერ ადგენენ ანარჩენებში მარცვლის ხვედრით წონას და მას ამრავლებენ სრულფასოვანი მარცვლის თვითღირებულებაზე.

რაც შეეხება მარცვლის თვითღირებულებას, მას ანგარიშობენ მის წარმოებაზე გაწეული საწარმოო დანახარჯების (ნამჯის წარმოებაზე გაწეული დანახარჯის გამოკლებით) გაყოფით სულ

მიღებული მარცვლის მოცულობაზე (მარცვალზე გადაანგარიშებული ანარჩენების ჩათვლით).

ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საწარმომ აწარმოა საშემოდგომო ხორბალი სულ 200 ტონის ოდენობით და 220 ტონა ნამჯა. მარცვლის პირველადი დამუშავების შემდეგ მარცვალ-ანარჩენის ოდენობამ სულ 22 ტონა შეადგინა, რომელშიც მარცვლის შემცველობა 40 პროცენტით განისაზღვრა. საშემოდგომო ხორბლის წარმოებაზე გაწეულმა მთლიანმა საწარმოო დანახარჯმა 100 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის ნამჯის აღებაზე, ტრანსპორტირებაზე და შენახვაზე (დასაწყობება) – 6000 ლარი დაიხარჯა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით და აღწერილი მეთოდით წარმოებული მარცვლისა და მისი თანმდევი პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება წარმოებს შემდეგნაირად:

ა) 1 ტონა ნამჯის თვითღირებულება იქნება: 6000 : 220 = 27,3 ლარი/ტონა

ბ) მარცვალ-ანარჩენში მარცვლის რაოდენობის 40%-იანი შემცველობისას:

(22 ტ · 40%) : 100 = 8,8 ტონა

გ) მარცვლის მთლიანი რაოდენობა (მარცვალ-ანარჩენის ჩათვლით) შეადგენს

200+8,8 = 208,8 ტონა

დ) ერთი ტონა მარცვლის თვითღირებულება ტოლია

(100000 – 6000) : 208,8 = 450 ლარი/ტონა

ე) ერთი ტონა მარცვალ-ანარჩენის თვითღირებულება იქნება

(450 · 50%) : 100 = 2,25 ლარი.

ნაკელის დამზადებაზე გაწეული დანახარჯები იანგარიშება შენობიდან მის გატანაზე გაწეული ნორმატიული დანახარჯებით. მექანიზებული საშუალებებით ნაკელის დაგროვებისა და ტრანსპორტირების შემთხვევაში საერთო დანახარჯებს დაემატება აგრეთვე ტექნიკური საშუალებების ამორტიზაცია და პირუტყვის ქვეშსაფენის ღირებულება.

პირუტყვის ერთი ცენტნერი (ცოცხალი წონა) ხორცის თვითღირებულება იანგარიშება ცოცხალი მასის წონამატზე მიკუთვნებული ხარჯების გაყოფით წონამატის საერთო მოცულობაზე. სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ცოცხალი წონის თვითღირებულების გასაანგარიშებლად აჯამებენ პირუტყვის საბალანსო ღირებულებას (წლის დასაწყისში), წლის განმავლობაში სუქებაზე შემოსული პირუტყვის ღირებულებას (დაცემული პირუტყვის ღირებულების გამოკლებით), მიღებული ნამრავლის ღირებულებას და იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია წლის განმავლობაში პირუტყვის სუქებაზე. ამ უკანასკნელს ჰყოფენ წლის ბოლოსათვის სახეზე არსებული პირუტყვის წონაზე.

თავისებური სპეციფიკა ახასიათებს თვითღირებულების გაანგარიშებას მეცხოველეობის სხვა დარგებშიც. მაგალითად, მერძეულ მესაქონლეობაში ერთი ცენტნერი რძისა და ერთი სული ნამრავლის თვითღირებულებას ითვლიან მათ წარმოებაზე გაწეული დანახარჯებიდან ნაკელისა და სხვა თანმდევი პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების გამოკლების შემდეგ. დარჩენილი დანახარჯების 90%-ს აკუთვნებენ რძის წარმოებას 10%-ს კი მიღებულ ნამრავლს.

7.5. პროდუქციის თვითღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია და მის შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები

პროდუქციის თვითღირებულებას, როგორც მნიშვნელოვან ეკონომიკურ კატეგორიას, რამდენიმე ძირითადი ფუნქცია გააჩნია. კერძოდ, ის წარმოადგენს: პროდუქციის წარმოებისა და მის რეალიზაციაზე გაწეული ყველა სახის დანახარჯის აღრიცხვის და კონტროლის საშუალებას; პროდუქციაზე ფასების ფორმირების, წარმოების მოგებისა და რენტაბელობის გაანგარიშების საფუძველს; გვევლინება წარმოებაში ინვესტიციების განხორციელებისა და სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად.

პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ თითოეული სახის დანახარჯის გავლენის ხარისხი საწარმოს საერთო ეკონომიკურ-

ფინანსურ მდგომარეობაზე. თვითღირებულება გვიჩვენებს, თუ რა უჯდება საწარმოს ამა თუ იმ პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოება ანუ რამდენად მიზანშეწონილია ეკონომიკური თვალსაზრისით მისი წარმოება საწარმოს მოცემულ პირობებში (ანუ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის კონკრეტულ პირობებში). ამ ფუნქციის მნიშვნელობა განსაკუთრებით დასაფასებელია წარმოებაში სხვადასხვა მიმართულების და დანიშნულების აგროზოოვეტერინარული, აგრეთვე ეკოლოგიურ-ორგანიზაციული და სხვა ხასიათის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად.

პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების ზუსტ აღრიცხვას და თითოეული მათგანის გავლენის ხარისხის დადგენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაზეა დამოკიდებული საწარმოს წმინდა მოგების მოცულობა ანუ წარმოების გაფართოებული კვლაცწარმოების შესაძლებლობა, მომუშავეთა სტიმულირებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა, და რაც უფრო მთავარია, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე. ამდენად, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ნებისმიერი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოს პირველი რიგის ამოცანაა. თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზი წარმოადგენს.

თვითღირებულების სტრუქტურა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მას განსაზღვრავს დარგის სპეციფიკა ანუ რამდენად შრომატევადი (შრომის ანაზღაურების წილი თვითღირებულებაში), რესურსტევადი (მატერიალური დანახარჯების წილი), კაპიტალტევადი (ამორტიზაციის ანარიცხების წილი) და ენერგოტევადია (საწვავისა და ენერგიის სხვა წყაროების დიდი წილი) ესა თუ ის დარგი, საწარმოს გაადგილების პირობები (დაცილება ცენტრიდან), წარმოების კონცენტრაციის, კოოპერაციის და ინტეგრაციის დონე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების დანერგვის შესაძლებლობები, ბანკის სესხზე არსებული პროცენტული განაკვეთი და ა.შ.

თვითღირებულების სტრუქტურის დახასიათებისა და შეფასებისათვის გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მასში ცოცხალი და განივთებული შრომის, ცელადი და მუდმივი, აგრეთვე პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების თანაფარდობა და ა.შ. მნიშვნელოვანია ასევე დანახარჯები ცალკეული ელემენტებისა და მუხლების წილი და დინამიკა მთლიან დანახარჯებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. პირველი ჯგუფი ფაქტორებისა (მოსავლიანობის და პროდუქტიულობის ამაღლება) მიმართულია საწარმოს შემოსავლიანობის ზრდისაკენ, ხოლო მეორე კი წარმოების დანახარჯების ეკონომიისაკენ. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებები, არც თუ იშვიათად, პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირებასაც ემსახურება. ასე მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ერთი ცენტნერი რძის წარმოებისათვის ერთ ძროხაზე საშუალოდ 1700-1800 კგ რძის მიღების შემთხვევაში, წლის განმავლობაში საშუალოდ 30-35%-ით მეტი საკვები იხარჯება, ვიდრე 2800-3000 კგ წველადობის პირობებში, რაც აიხსნება იმით, რომ მიღებული საკვები იხარჯება, უპირველეს ყოვლისა, პირუტყვის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ კი პროდუქტიულობაზე. პროპორცია პროდუქტიულობის ამაღლების სასარგებლოდ იცვლება პირუტყვის პროდუქტიულობის (წველადობის) ამაღლების კვალობაზე, რაც საკვების დანახარჯების შემცირებას იწვევს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე მიწათმოქმედებაშიც, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებას განაპირობებს მაღალმოსავლიანი კულტურების ჯიშებისა და ჰიბრიდების თესვა, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულება და სხვ., რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს მოსავლიანობის ამაღლებას და სხვა თანაბარ პირობებში წარმოებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირებას.

თვითღირებულების შესამცირებლად მნიშვნელოვანია ასევე მატერიალური საშუალებების ეკონომიური გამოყენება, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არსებული ნორმების დარღვევას და საწარმოსათვის გათვალისწინებული თესლის, სარგავი მასალის თუ სხვა რესურსის ხარჯვის ნორმების შემცირებას. პირიქით, მხედველობაშია არსებული ნორმების ღაცვა. მენხერიანობის აღკვეთა მრავალწლიან ნარგავებში, ბერწიანობის მინიმუმამდე შემცირება მერძეულ ჯოგში და სხვა მსგავსი ღონისძიებების გატარება, რაც, საბოლოოდ, უშუალოდ არამწარმოებლური ხარჯების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას უკავშირდება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ძირითადი საშუალებების (მანქანა-იარაღების, შენობა-ნაგებობების, მრავალწლიანი ნარგავების, მერძეული პირუტყვის და ა.შ.) გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; მათი სტრუქტურის გაუმჯობესება, სიმძლავრეების მაქსიმალური დატვირთვა და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება. ასევე, ძირითადი საწარმოო ფონდების წარმოებაში გამოყენების ოპტიმალური ვადის დადგენა და მათი დროული შეცვლა, რადგან ის დაკავშირებულია როგორც სახსრების ეკონომიასთან, ისე შემოსავლების გადიდებასთანაც (განსაკუთრებით მრავალწლიან ნარგავებსა და პროდუქტიულ პირუტყვში).

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება არსებითად ცვლის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების თანაფარდობას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და წარმოადგენს მნიშვნელოვან რეზერვს თვითღირებულების შესამცირებლად.

პროდუქციის თვითღირებულებაზე მრავალი სხვა ფაქტორიც მოქმედებს (მათ შორის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმა, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხარჯები, ინფლაციის ტემპი, წარმოების ფაქტორების ღირებულება და სხვ.), რის გამოც მის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებები შერჩეული და გატარებული უნდა იყოს კონკრეტული საწარმოს კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. განასხვავეთ ერთმანეთისაგან დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. დაახასიათეთ ეკონომიკური, საბუღალტრო და ნომალური მოგების სახეები.
2. განმარტეთ მთლიანი და საშუალო, ცვალებადი და მუდმივი დანახარჯების არსი. გაიანგარიშეთ ზღვრული დანახარჯები და ზღვრული პროდუქტი.
3. გაიანგარიშეთ საშუალო, მუდმივი და ზღვრული დანახარჯები კონკრეტული მონაცემების მიხედვით.
4. განმარტეთ პროდუქციის თვითღირებულების არსი, მისი სახეები და გაანგარიშების მეთოდი.
5. გაიანგარიშეთ თავთავიანი მარცვლეულის თვითღირებულება კონკრეტული მონაცემების მიხედვით.
6. როგორ იანგარიშება მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება? რა სპეციფიკა ახასიათებს ამ კუთხით მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებს?
7. ჩამოთვალეთ პროდუქციის თვითღირებულების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ძირითადი ფუნქციები.
8. აღწერეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორები.
9. დაახასიათეთ და განმარტეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები.
10. განასხვავეთ ერთმანეთისაგან ინდივიდუალური და საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები. განმარტეთ, რატომ წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები პროდუქციის თვითღირებულების საფუძველს.

ტესტი

1) საქონლის ღირებულება განისაზღვრება:
ა) საქონლის წარმოებაზე გახარჯული წარსული შრომის დანახარჯით
ბ) მოხმარებული საქონლის სასარგებლო ეფექტით (ზღვრული სარგებლიანობის პრინციპით)
გ) საქონლის წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯით
დ) საქონელზე არსებული ფასით.

2) ზღვრული დანახარჯი არის:
ა) სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის
ბ) შეფარდება ცვლადი დანახარჯების ნამატსა და ამ ნამატით მიღებული შედეგს შორის
გ) შეფარდება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულებებს შორის
დ) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ერთობლიობა.

3) ცვლადი დანახარჯი არის:
ა) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული შრომითი დანახარჯი
ბ) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯი
გ) პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ან შემცირებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები
დ) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული მუდმივი ხარჯები

4) მუდმივი დანახარჯები არის:
ა) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ჯამი.
ბ) დანახარჯები, დაკავშირებული პროდუქციის წარმოების გადიდებასთან
გ) დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება წარმოების დონეს
დ) პროდუქციის ერთეულზე გაწეული საშუალო დანახარჯი

5) ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაა, ეს არის:
ა) მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამი
ბ) სხვაობა მთლიან შემოსავალსა და მთლიან დანახარჯებს შორის
გ) წარმოების დანახარჯების ჯამი, გაყოფილი წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე ნატურაში
დ) მატერიალური დანახარჯებისა და შრომის ანაზღაურების მოცულობა პროდუქციის ერთეულზე

6) ეკონომიკური მოგება არის:
ა) საწარმოს საბალანსო მოგება
ბ) საწარმოს წმინდა მოგება
გ) საწარმოს წმინდა პროდუქცია
დ) სხვაობა საწარმოს საერთო შემოსავლებსა და საერთო დანახარჯებს (ალტერნატიული დანახარჯის ჩათვლით) შორის

7) ნორმალური მოგება არის:
ა) მეურნეობის წმინდა შემოსავალი
ბ) ბუღალტრული მოგება
გ) ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან
დ) წარმოებაში ჩადებული საკუთარი კაპიტალიდან მიღებული მოგების მეტობა საბანკო პროცენტთან შედარებით

8) პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედებს:
ა) საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე
ბ) მუშახელის რაოდენობა
გ) წარმოებაში მიწის სავარგულების დამატებითი ჩართვა
დ) რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და შრომითი დანახარჯების ეკონომია

VIII თავი. აბრარული საწარმოს მთლიანი პროდუქცია, სტრუქტურა და კვლავწარმოების ეკონომიკური საკითხები. სასაქონლო პროდუქცია და მისი რეალიზაციის არხები

8.1. მთლიანი პროდუქცია და მისი სტრუქტურა. მთლიანი პროდუქციის კვლავწარმოების სპეციფიკა და მაჩვენებლები აბრარულ საწარმოში

ზოგადად, აგრარული საწარმოს მთლიანი პროდუქცია არის საანგარიშო წელს წარმოებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულება. ის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია, რომლის სიდიდე დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯებზე.

მიწათმოქმედების (მემცენარეობის) პროდუქცია მოიცავს წლის განმავლობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციას (თანმდევი პროდუქციის – ჩალის, ნამჯის და სხვათა ღირებულების ჩათვლით), ახალგაზრდა ბაღ-ვენახების და სხვა მრავალწლიანი ნარგავების მოვლაზე გაწეულ და დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებს (საშემოდგომო ნათესზე გაწეული დანახარჯები, რომელიც შემდეგ წელს იძლევა შედეგს, მომავალი წლისათვის ნიადაგის მომზადების ხარჯები და ა.შ.).

მეცხოველეობის პროდუქცია, შესაბამისად, მოიცავს წლის განმავლობაში წარმოებული რძის, კვერცხის, მატყლის, თაფლის, აბრეშუმის პარკის, პირუტყვის და ფრინველის სხვა პროდუქციას, აგრეთვე წლის განმავლობაში მიღებულ პირუტყვისა და ფრინველის ნამატს (ნამრავლს), მათ წონამატს და თანმდევ პროდუქციას (ნაკელი, ტყავი, ბუმბული და ა.შ.).

საწარმოს მთლიანი პროდუქცია შედგება შუალედური მოხმარებისგან (ანუ წარსული შრომით შექმნილი ღირებულებისგან) და დამატებული ღირებულებისგან (ანუ ახლად შექმნილი ღირებულებისგან).

სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციას აღრიცხავენ როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით მაჩვენებლებში. ნატურალურ მაჩვენებლებში შეიძლება აღირიცხოს მიწათმოქმედების ცალკეული კულტურების (ან კულტურათა ჯგუფის პროდუქცია – მარცვლეული, ბოსტნეული და ა.შ.). ასევეა მეცხოველეობაშიც, სადაც ცალკე ნატურალურ ერთეულებში აღირიცხება წარმოებული რძე, კვერცხი, თაფლი და სხვ. მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების ნატურალურ ერთეულებში გამოსახატავად იყენებენ კილოგრამს, ცენტნერს, ტონას.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ერთობლივი ღირებულების გამოსახატავად ნატურალურ პროდუქციას აფასებენ ღირებულებით გამოხატულებაში, რისთვისაც იყენებენ საბაზრო ფასებს (როცა საჭიროა დადგინდეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ფიზიკური მოცულობის სიდიდე დინამიკაში, ნატურალური პროდუქციის შესაფასებლად იყენებენ შესადარის (უცვლელ) ფასს, რაც საშუალებას იძლევა გამოირიცხოს მთლიანი პროდუქციაზე ფასის ცვალებადობის გავლენა).

მთლიანი პროდუქციის ერთი ნაწილი მოიხმარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კალაწარმოების პროცესში (თესლი და სარგავი მასალა, პირუტყვის საკვები და ა.შ.), ხოლო მეორე ნაწილი სასაქონლო პროდუქციაა, რომელიც სხვადასხვა არხებით უნდა გაიყიდოს, ანუ მიეწოდოს მომხმარებელს.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებით საზომში გაანგარიშება აუცილებელია:

– ეროვნულ მეურნეობაში სოფლის მეურნეობის ადგილის, ანუ მისი ხვედრითი წონის დასადგენად;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად, როგორიცაა: შრომის მწარმოებლურობა, კაპიტალუკუგება, საერთო და წმინდა შემოსავალი და სხვ.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებითი შეფასება ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, რაც მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, გაანგარიშების მეთოდოლოგიაში მდგომარეობს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოქმედ ფასში

შეფასებისას (როგორც მეთოდოლოგია ითვალისწინებს) მისი რეალური ღირებულება გარკვეულწილად მცირდება იმის გამო, რომ პროდუქციის არასასაქონლო ნაწილი თვითღირებულებით შედის მთლიან პროდუქციაში, ანუ ბევრად ნაკლები ღირებულებით, ვიდრე მისი საბაზრო ღირებულებაა. რის გამოც სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი ვერ ასახავს ბოლომდე რეალურ სურათს. გარდა ამისა, ღირებულებით მაჩვენებელში გამოხატული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია სრულად არ ითვალისწინებს მის ხარისხობრივ პარამეტრებს, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს პოულობს საბაზრო ფასში (ცილების, ცხიმების, ვიტამინების და სხვათა შემცველობა).

საწარმოს მთლიანი პროდუქცია, განკარიშებული, როგორც მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯამი, შეიცავს ორმაგ (განმეორებით) დანახარჯებს (მაგალითად, საკვების ღირებულება შედის როგორც მიწათმოქმედების, ასევე მეცხოველეობის პროდუქციაში).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მთლიანი პროდუქციის წარმოება და მისი მოხმარება ატარებს განუწყვეტელ ხასიათს, ანუ ადგილი აქვს პროდუქციის წარმოების და მოხმარების კვლავწარმოების პროცესს. განასხვავებენ კვლავწარმოების რამდენიმე სახეს. მარტივი კვლავწარმოება – როცა წარმოების პარამეტრები უცვლელი რჩება, გაფართოებული კვლავწარმოება – ანუ წარმოების გაზრდა წინა საწარმოო ციკლთან შედარებით და კვლავწარმოება შემცირებული მასშტაბით – როცა წარმოების მოცულობა მცირდება. ამ უკანასკნელის დროს ხდება არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცირება, არამედ პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებაც.

მარტივი კვლავწარმოება პროდუქციის წარმოების განახლებას გულისხმობს წინა ციკლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ პარამეტრებში, რაც, როგორც საწარმოს შიდა, ისე გარე ფაქტორებით არის განპირობებული. მათ შორისაა ეკონომიკური პოლიტიკა (ფულად-საკრედიტო, საბაჟო, ინფლაციის ტემპი და სხვ.).

გაფართოებული კვლავწარმოება ნიშნავს პროდუქციის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდას, რაც, ბუნებრივია, ძირითადად საწარმოო სიმძლავრეების ერთეულზე დამატებითი ინვესტირების ხარჯზე მიიღწევა (პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით და ა.შ.).

პროდუქციის კლავწარმოებას, ზოგადად სოფლის მეურნეობაში, განსხვავებით სხვა დარგებისაგან, ახასიათებს თავისი სპეციფიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქ ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ პროცესებთან, რომელთა მართვა ადამიანს არ შეუძლია. პირუტყვისა და მცენარეთა კვლავწარმოების პირობებს მეტწილად მათი ბიოლოგიური მახასიათებლები განსაზღვრავს. ამასთან ერთად, მიწის (რომელიც სოფლის მეურნეობაში გვეელინება წარმოების ძირითად საშუალებად) კვლავწარმოება, ამ სიტყვის ეკონომიკური გაგებით, არ ხდება. გაფართოებული კვლავწარმოების მთავარ პირობად მხოლოდ მიწის ნაყოფიერების კვლავწარმოება გვეელინება.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშან-თვისება იმაშიც მდგომარეობს, რომ მასში გარემოსდაცვით ღონისძიებებს ისეთი მნიშვნელობა აქვს კვლავწარმოება, როგორც წარმოების ფაქტორებს (აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ დარგის უშუალო კავშირს გარემო პირობებთან).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში გაფართოებული კვლავწარმოებისათვის რამდენიმე სახის ფინანსური წყარო შეიძლება არსებობდეს. კერძოდ, საკუთარი, ნასესხები და სხვადასხვა საშუალებებით მოზიდული სახსრები (კომპენსაციები, დოტაციები და ა.შ.). საკუთარი სახსრები წარმოდგენილია ძირითადად მოგების სახით, ხოლო ნასესხები – ბანკის მოკლე- და გრძელვადიანი სესხებით (ცალკეულ შემთხვევებში ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს სასაქონლო კრედიტიც).

გაფართოებული კვლავწარმოების ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება საწარმოში დაგროვების და გაფართოებული კვლავწარმოების ნორმის მაჩვენებლები. პირველი წარმოადგენს დაგროვების ფონდის პროცენტულ შეფარდებას წმინდა შემოსავლის ან მოგების საერთო მოცულობასთან, ხოლო მეორე – დაგროვების ფონდის პროცენტულ შეფარდებას ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის

ღირებულების საერთო ჯამთან.

გაფართოებული კვლავწარმოების შედეგობრივი მაჩვენებელი გამოიხატება ფორმულით:

$$\text{სპ}_{\text{ნ}} = \frac{\text{სპ}_{\text{ჯ}} - \text{სპ}_{\text{წ}}}{\text{სპ}_{\text{წ}}} \cdot 100,$$

სადაც $\text{სპ}_{\text{ნ}}$ – მთლიანი პროდუქციის ნამეტია %-ში, ხოლო $\text{სპ}_{\text{ჯ}}$ და $\text{სპ}_{\text{წ}}$ – შესაბამისად, წლის ბოლოს და საბაზისო წლის შესაბამის ფასებში გაანგარიშებული მთლიანი პროდუქციის ღირებულებაა. ამაზე მიზნით გამოიყენება აგრეთვე დამუშავებაში მყოფი მიწების, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, პირუტყვის სულადობის ზრდის და სხვა მაჩვენებლები.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობათა ზრდის კვალობაზე აგრარულ საწარმოებში გადამწყვეტ ადგილს იკერს პროდუქციის გაფართოებული კვლავწარმოების ინტენსიური ტიპი, რომელიც დაკავშირებულია წარმოებაში მოწინავე და პროგრესული ტექნოლოგიების, უფრო სრულყოფილი მანქანა-იარაღების, მაღალმოსავლიანი კულტურების და მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამოყენებასთან. ამასთან, არ გამოირიცხება კვლავწარმოების ექსტენსიური ვარიანტიც ანუ, როცა პროდუქციის წარმოების გაღიდება ხდება საწარმოო ფაქტორების რაოდენობრივი ზრდის და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთი რესურსების ზრდას, როგორიცაა მიწის სავარგულები, მუშახელი, ტექნიკური საშუალებები და სხვ.

აგრარული საწარმოს მთლიანი პროდუქცია ნატურალური ფორმით შედგება წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისაგან. პირველს მიეკუთვნება თესლი და სარგავი მასალა, პირუტყვის საკვები, საქვავ-საცხები მასალები, მინერალური სასუქები, აგრეთვე ის ნელფლეული, რომელიც მიეწოდება სამრეწველო საწარმოებს გადასამუშავებლად, ხოლო მეორეს – პროდუქციის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მიეწოდება მომხმარებელს საბრუნველო გადამუშავების გარეშე (კარტოფილი, კვერცხი, სუფრის ყურძენი, ხილი და სხვ.).


როგორც მარტივი, ასევე გაფართოებული კვლავწარმოების ძირითადი აზრი წარმოებაში მოხმარებული წარმოების საშუალებების აღდგენაა, რისთვისაც იქმნება აღდგენის ფონდი. ის წარმოადგენს მთლიანი პროდუქციის იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია წარსული შრომის ხარჯზე და გადატანილია წარმოებულ პროდუქციაზე (ანუ მატერიალური დანახარჯები).

მთლიანი პროდუქციის ღირებულების მეორე ნაწილი – საერთო შემოსავალია (ანუ ცოცხალი შრომით (მიმდინარე შრომით) შექმნილი ღირებულება). საერთო შემოსავლის ხარჯზე იქმნება დაგროვების და მოხმარების ფონდები.

მოხმარების ფონდი აერთიანებს შრომის ანაზღაურების ფონდს და საწარმოს წმინდა შემოსავალს (რომელიც წარმოადგენს დაგროვების ფონდის შექმნისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვების წყაროს).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის განაწილების შედეგად წარმოქმნილ ფონდებს თავისი სპეციფიკური დანიშნულება გააჩნია. ასე მაგალითად, აღდგენის ფონდი გამოიყენება წარმოების პროცესში მოხმარებული შრომის საშუალებების და შრომის საგნების აღსადგენად. ის ტოლი უნდა იყოს ამორტიზაციის ანარიცხებისა და მატერიალური დანახარჯების ჯამისა.

ყოველივე აღნიშნული სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



მოხმარების ფონდი შედგება შრომის ანაზღაურების ფონდისა და წმინდა შემოსავლის იმ ნაწილისაგან, რომელიც მიმართულია მოხმარებაზე. ანუ ის

წარმოადგენს საერთო შემოსავლის ნაწილს, რომელიც ხმარდება ანაზღაურებას და სხვადასხვა ფონდებში გადარიცხვებს. რაც შეეხება დაგროვების ფონდს, იგი არის წმინდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია გაფართოებული კლავწარმოების უზრუნველსაყოფად. ნატურალური ფორმით კლავწარმოების ფონდების დიდი ნაწილი იქმნება საკუთარი წარმოების პროდუქციის ხარჯზე. მათ შორის სათესლე და სარგავი მასალა, პირუტყვის საკვები, გამოწუნებული პირუტყვის შეცვლა და სულადობის გადიდება და ა.შ.

8.2. აბრარული საწარმოს სასაქონლო პროდუქცია, გასაღების ბაზარი და მისი როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. პროდუქციის რეალიზაციის არხები, გზები და მეთოდები

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის, როგორც ღირებულებითი მაჩვენებლის ნაკლს, გარკვეულწილად ფარავს სასაქონლო პროდუქცია, რომელიც წარმოადგენს გასაღების ყველა არხით რეალიზებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობას. სასაქონლო პროდუქციაც ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში აღირიცხება. ნატურალური ფორმით აღირიცხება რეალიზებული რძის, ხორცის, ყურძნის და სხვა პროდუქციის მოცულობა, ხოლო მათი ერთობლიური (ჯამური) აღრიცხვა მხოლოდ ღირებულებითი ფორმითაა შესაძლებელი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს და მისი ცალკეული რგოლების საქონლიანობის დონის დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა სასაქონლო პროდუქციის წარმოება ფართობის ან პირუტყვის სულადობის ერთეულზე. ამავე მიზნით გამოიყენება საქონლიანობის დონის მაჩვენებელიც, რომელიც გამოიანგარიშება, როგორც საწარმოს მიერ რეალიზებული პროდუქციის პროცენტული შეფარდება მთლიან პროდუქციასთან. როცა საჭიროა განისაზღვროს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების საქონლიანობის დონე, გამოიყენება მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის მოცულობები ნატურალურ გამოსახულებაში, ხოლო მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქონლიანობის დონის დასადგენად კი ღირებულებითი მაჩვენებლები.

აგრარული საწარმოს სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მთლიანი პროდუქციის წარმოების გადიდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლების საფუძველზე, შიდა საწარმოო საჭიროებისათვის საწარმოო რესურსების რაციონალურ ფარგლებში გამოყოფა და მისი ზღვრული სარგებლიანობის პრინციპით გამოყენება, პროდუქციის წარმოების დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავების და რეალიზაციის სტადიებზე; წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და საწარმოში მარკეტინგული მომსახურების გაუმჯობესება.

საქონლიანობის დონის ამაღლება პირდაპირ კავშირშია რეალიზებული პროდუქციის ამონაგების მოცულობასთან (ანუ მეურნეობის ფულად შემოსავლებთან), მოხმარებისა და დაგროვების ფონდების შექმნასთან და პროდუქციის გაფართოებული კლავწარმოების შესაძლებლობებთან. ამდენად, წარმოებული პროდუქციის მიმოქცევის სფეროში დროული ჩართვა, რეალიზაცია და ამონაგები თანხების ბრუნვადობის დაჩქარება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთერთ მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო უნებელი და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, არამედ სარეალიზაციოდ მის დროულ მომზადებას, ანუ მომხმარებლამდე მიტანას (საჭირო ფორმით, საჭირო დროსა და საჭირო ადგილას). ეს პროცესი წარმოადგენს პრაქტიკულად ბოლო რგოლს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ერთიან გრძელ ჯაჭვში. მისი წარმატებით განხორციელება არსებითადაა დამოკიდებული კომპეტენტურობასა და ბაზრის კონიუნქტურის ზედმიწევნით ცოდნაზე (სათანადო, სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე).

ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის დონეს და

ხარისხს განსაზღვრავს შემდეგი პირობები:

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის და მისი გადამუშავების პროდუქტების სახმარი თვისებები. ანუ სარგებლიანობა (კერძოდ, პროდუქცია, რომელსაც არ ესაჭიროება დამატებითი გადამუშავება, პირდაპირ შეიძლება მიეცეს მომხმარებელს (კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სხვ.);

– მომხმარებლის გადახდისუნარიანობა და მისი გემოვნება (შეხედულება, საქონლის რა თვისებებს აძლევს უპირატესობას);

– საქონელმწარმოებლის დანახარჯების დონე პროდუქციაზე;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგია და დანახარჯების დონე სამრეწველო გადამუშავების და ვაჭრობის სტადიებზე.

პროდუქციის რეალიზაციის ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი ფიზიკური მდგომარეობაა. კერძოდ, არის პროდუქტები, რომლებსაც არ ესაჭიროება დამატებითი გადამუშავება და ისინი შეიძლება პირდაპირ იქნეს მიწოდებული მომხმარებელზე (კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და ა.შ.), მაგრამ არის პროდუქცია, რომელსაც მხოლოდ გადამუშავების შემდეგ მოიხმარებენ (მარცვლეული, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი და ა.შ.). ამიტომ მათი რეალიზაცია გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ან დამამზადებელ ორგანიზაციებში ხდება. ისინი გამოდიან, როგორც შუამავლები საწარმოებსა და პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებს შორის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ფაქტორებიდან ერთ-ერთი მთავარი მისი ხარისხია. პროდუქციის ხარისხი განისაზღვრება სტიმულატორი რომ გახდეს, უნდა არსებობდეს შესაბამისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება თხოულობს მნიშვნელოვნად მეტ ფულად და მატერიალურ დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, ვიდრე მისი ალტერნატიული წარმოება. ასეთ პროდუქციაზე ფასიც შესაბამისად მაღალია და მისი რეალიზაცია უპირატესად მხოლოდ მაღალი შემოსავლების მქონე მყიდველებისთვისაა შესაძლებელი (სხვა შემთხვევაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება შეიძლება ზარალიანიც კი აღმოჩნდეს).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის სხვა ფაქტორთა შორის გამოსაყოფია პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, წარმოების გაადგილება, ანუ მანძილი მსხვილი ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, კვების ობიექტების სიერცობრივი გაადგილება და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განლაგება დასახლებული ობიექტების სიახლოვეს საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ პროდუქციის პირდაპირი რეალიზაცია და ამით შეამცირონ დანახარჯები, რომლებიც ტრანსპორტირებას, შენახვას და პროდუქციის გაყიდვას უკავშირდება.

თანამედროვე პირობებში სოფლად საქონელმწარმოებელს აქვს შესაძლებლობა განკარგოს თავის პროდუქცია როგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით. საცალო ვაჭრობა საქონელმწარმოებლებისთვის გამოდის როგორც ალტერნატივა დამატებითი მოგების მიღებისთვის. რაც შეეხება საბითუმო ვაჭრობის გზით პროდუქციის რეალიზაციას, ის ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და რეალიზაციის ამ არხის გამოყენება მხოლოდ კეთილსაიმედო პირობებშია შესაძლებელი.

საერთოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის რამდენიმე არხი გამოიყენება, რომელსაც თვით საქონელმწარმოებელი ირჩევს. პროდუქციის რეალიზაციის არხში იგულისხმება ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც გამოდიან როგორც შუამავლები ან მონაწილენი პროდუქციის გასაღების სფეროში. ესაა მთელი სისტემა ეკონომიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, სოციალური და სხვა პროცესებისა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ და ურთიერთს განაპირობებენ პროდუქციის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის გზაზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის არხები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ არხებად. პირდაპირია არხი, როცა პროდუქტი მის საბოლოო მომხმარებლამდე ხედება ყოველგვარი შუამავლის გარეშე (აგრარული ბაზრების,

სავაჭრო წერტების, ფარდულების და საცალო ვაჭრობის სხვა წესების გამოყენებით უშუალოდ საქონელმწარმოებლის მიერ). ხოლო არაპირდაპირი, ანუ რეალიზაციის ირიბი არხების გამოყენება დაკავშირებულია დამოუკიდებელ შუამავლებთან, რომლებიც იძენენ პროდუქციას, აძლევენ მას საბოლოო (საჭირო) სახეს და ყიდიან მოიხმარებელზე.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში პროდუქციის რეალიზაციის ძირითად არხებად სახელმწიფო შესყიდვები და პროდუქციის თავისუფალი რეალიზაცია გვეელინება. რიგ ქვეყნებში პირველი არხი პრევალირებს, ხოგიერთში კი – მეორე. ასე მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში (რომლებიც, კოოპერატიული წარმოების მაღალ დონეზე განვითარების გამო, „კოოპერატიულ ქვეყნების“ სახელსაც ატარებენ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად შემსყიდველებად კოოპერატივები გამოდიან, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში – კერძო შემსყიდველი ფირმები, ესპანეთში ჭარბობს რეალიზაციის საბაზრო სისტემა (ანუ პროდუქცია უშუალოდ ბაზარზე გაიტანება მწარმოებლის მიერ).

იმ ქვეყნებში, სადაც მკაფიოდ გამოხატული სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება, არსებობს ნახევრად სახელმწიფო ან სახელმწიფო შემსყიდველი სტრუქტურები, რომლებიც აწარმოებენ ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვას. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930 წლიდან (ანუ „დიდი დეპრესიის“ პერიოდიდან) არსებობს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია, რომელიც ფერმერებისგან პროდუქციას ყიდულობს სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ფიუჩერსული ბაზარი, ანუ ვაჭრობა ფიუჩერსული კონტრაქტებით.

ფიუჩერსული კონტრაქტი არის საბუთი, რომელშიც დაფიქსირებულია სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის სახე, რაოდენობა, ფასი, მიწოდების ადგილი და დრო. კონტრაქტის ყველა პირობა და პარამეტრი განისაზღვრება ბირჟის მეშვეობით. ასეთი კონტრაქტი იყიდება როგორც ნებისმიერი საქონელი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები და ამ პროდუქტის შემსყიდველები ფიუჩერსულ ბაზარზე კონტრაქტებს ამყარებენ ბროკერების საშუალებით, რომლებიც წარმოადგენენ ბაზარზე გამყიდველებისა და მყიდველების ინტერესებს.

ფიუჩერსული კონტრაქტის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ მასში დაფიქსირებული პროდუქტის ფასი ესაა ღღეანდელი ფასი მომავალში მისაწოდებელ პროდუქციაზე, ანუ საქონელმწარმოებელს შეუძლია ამ კონტრაქტით მიიღოს გარანტია ფასის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკისგან თავის დასაცავად.

ფიუჩერსული ბაზრის მთავარი პროდუქტებია: ხორბალი, სიმინდი, სოია, მცენარეული ზეთი, ღორისა და საქონლის ხორცი.

ფიუჩერსული ბაზრების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს ჰეჯირება.

ჰეჯირება ფასის არახელსაყრელი ცვლილების რისკისგან დაზღვევის ფორმაა ფიუჩერსული კონტრაქტის დახმარებით. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის გამყიდველი (მყიდველი) ხელშეკრულებას აფორმებს მისი გაყიდვის (ყიდვის) შესახებ და ერთდროულად საწინააღმდეგო ხასიათის ფიუჩერსულ გარიგებას ახორციელებს. ე.ი. გამყიდველი დებს ყიდვის, ხოლო მყიდველი – საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებას. ამრიგად, ფასის ნებისმიერ ცვლილებას გამყიდველებისა და მყიდველებისათვის ერთ კონტრაქტზე წაგება მოაქვს და მეორეზე მოგება. ამის გამო ისინი საერთოდ არ განიცდიან ზარალს ფასების გაზრდის ან შემცირებისაგან იმ საქონელზე, რომელიც გაყიდულ და შესყიდულ უნდა იქნეს მომავლის ფასებით.

მაგალითად, ფერმერს, რომელიც აწარმოებს ყველს, გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლის ზაფხულში (ივნისში) გაიტანოს ბაზარზე 1 ტონა ყველი, 1 ცენტნერი 500 დოლარად. მაგრამ იმის გამო, რომ არის გარკვეული რისკი ყველზე ფასის შემცირებისა, ის იყენებს ფიუჩერსული ბაზრის მექანიზმს. კერძოდ, ის წინასწარ ყიდის მომავალი წლის ზაფხულში გასაყიდი ყველის კონტრაქტს. ეს ნიშნავს, რომ ივნისში მან უნდა მიაწოდოს ყველი კონტრაქტის მფლობელს, ან გამოისყიდოს თავისი კონტრაქტი.

თუ აღმოჩნდება, რომ მომავალი წლის ივნისში ერთ ცენტნერ ყველზე ფასი მოსალოდნელი 500 დოლარიდან

480 დოლარამდე შემცირდა, ის გამოისყიდის თავის კონტრაქტს და ყველს გაყიდის თავისი შეხედულებისამებრ სხვა არხით. მართალია, ამ დროს ის ყოველ ცენტნერზე კარგავს 20 დოლარს, მაგრამ იმდენივეს იგებს ფიუჩერსულ ბაზარზე. ასეთი ფორმით ჰეჯირებას სრულყოფილი ჰეჯი ეწოდება.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში პროდუქციის რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არხად აუქციონები გვევლინება. მათი საშუალებით აქ წარმოებს უპირატესად მეცხოველეობის, მებოსტნეობის და სხვა პროდუქტების დიდ პარტიებად რეალიზაცია.

საერთოდ, აუქციონის არსი საქონლის გაყიდვით და მისი ყიდვით დაინტერესებულ პირთა შეჯიბრებაა. პირველებს სურთ, რაც შეიძლება მომგებიანად გაყიდონ საქონელი, მყიდველებს კი – მოიპოვონ (ასევე მომგებიანად) საქონლის შეძენის უფლება.

არსებობს რამდენიმე გამორჩეული ტიპის აუქციონი. რომელთა შორის აღსანიშნავია ინგლისური და ჰოლანდიური აუქციონები.

ინგლისური აუქციონი უფრო გავრცელებული და ცნობილი ფორმაა. განსხვავებით ჰოლანდიურისაგან, აქ საქონლის შესყიდვის უფლების მოპოვებისათვის პოტენციური მყიდველები თვითონ თანდათან უმატებენ ფასს.

ჰოლანდიური აუქციონი საპირისპიროდაა მოწყობილი. აქ აუქციონის წამყვანი ვაჭრობას იწყებს ფასიდან, რომელიც აღემატება გასაყიდი საქონლის ფასს და ღებულობს მყიდველების თანდათან კლებად შეთავაზებებს, ვიდრე წინადადებები საერთოდ არ შეწყდება.

ჰოლანდიური აუქციონი საკმაოდ გავრცელებულია აგრარულ ბაზრებზე, განსაკუთრებით ევროპასა და კანადაში. ინგლისური აუქციონისაგან განსხვავებით, აქ პროცედურა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, თუმცა, როგორც წესი, მთავრდება საქონლის უფრო დაბალი ფასით (ვიდრე ვაჭრობის გახსნისას გამოცხადდა).

ინგლისური და ჰოლანდიური აუქციონების ნაირსახეობაა ორმაგი აუქციონი, ერთდროული კონკურენციის აუქციონი და დახურული აუქციონი.

ორმაგი აუქციონი დამახასიათებელია სასაქონლო ბირჟისათვის, რომელზეც თითოეული მონაწილე გამოდის როგორც აუქციონერი, შესაბამისად, ბაზრის ერთ მხარეზე მიდის ფასის დაკლება, ხოლო ბაზრის მეორე მხარეზე – ფასის მომატება. ასეთ აუქციონებზე ფასები უფრო ეფექტურია ორმხრივად.

ერთდროული კონკურენციის აუქციონს ხშირად იაპონურ აუქციონსაც უწოდებენ, რადგან ის ხშირად გამოიყენება იაპონიაში, განსაკუთრებით თევზის ბაზრებზე. ასეთ აუქციონებზე მყიდველები აწედიან თავიანთ წინადადებებს საქონლის ფასის შესახებ თითქმის ერთდროულად, აუქციონერის სიგნალისთანავე. მაღალი ფასის შემთავაზებელი იძენს შესაბამის ლოტს (საქონლის პარტიას). ამ ტიპის აუქციონის ეფექტიანობას განსაზღვრავს მისი ოპერატიულობა და ამ კუთხით არ ჩამორჩება პოლანდიურ აუქციონს.

დახურული აუქციონის დროს ხდება კონვერტებში დალუქული განაცხადების მიღება საქონლის შეძენაზე. ასეთი ტიპის აუქციონები პრაქტიკულად არ გამოიყენება აგროსასურსათო ვაჭრობაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის არხის არჩევა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთ ხარჯებს ტრანსაქციურ ხარჯებს უწოდებენ. ესაა ხარჯები სათანადო ინფორმაციის მოპოვებაზე (ფასების შესახებ), პარტნიორების შერჩევაზე და კონტრაქტების გაფორმებაზე და ა.შ. მათი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული (პროდუქტის სახე, წარმოების ტექნოლოგია, ბაზრის კონიუნქტურა, პარტნიორთა ქცევა და ა.შ.).

ამდენად, საქონელმწარმოებელს აქვს საკმაოდ ფართო არჩევანი პროდუქციის რეალიზაციისთვის. მასზეა უშუალოდ დამოკიდებული, პროდუქციას გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოს მიაწვდის, თუ გამოიყენებს საბროკერო ფირმების მომსახურებას, პროდუქციას რეალიზაციას გაუკეთებს სავაჭრო სახლების, აუქციონების, აგრარული ბაზრის მეშვეობით, თუ თვითონ გაყიდის გზისპირა ვაჭრობის წესით (ამ წესს ბოლო პერიოდში ყართოდ იყენებენ გზებთან ახლოს განლაგებული ხილის, ვაზის, ციტრუსების პლანტაციებში მომხმარებლების დაშვებით და მათ მიერ საჭირო ოდენობით პროდუქციის გამოტანით).

[illegible] სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის არხის

არჩევანის განმსაზღვრელი პროდუქციის ფასი და საბოლოო მოგების მაჩვენებელია. ამ ორი კომპონენტის როლი კონკურენტულ ეკონომიკაში განუსაზღვრელია.

მოგების სიდიდეზე, გარდა ფასისა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებაზე გაწეული ხარჯები და პროდუქციის მოცულობაც ახდენს. თითოეული ამ სამი ფაქტორიდან რომელიმეს გადიდება ან შემცირება საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დაცემას ან ამაღლებას, კლავწარმოების მასშტაბის შემცირებას ან გადიდებას განაპირობებს.

ბაზარი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების საშუალებით პირდაპირ მოქმედებს წარმოების სტრუქტურაზე, მის მასშტაბზე. ფასების სისტემა, არეგულირებს რა ბაზარს კონკურენციის საფუძველზე, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უწყვეტი ადაპტაციის პროცესს მუდმივად ცვლად საბაზრო გარემოსა და პირობებთან.

8.3. აბრარული საწარმოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და ხარისხი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია დიდადაა დამოკიდებული აგროსასურსათო ბაზრის მდგომარეობაზე, განვითარებასა და გამართულ ფუნქციონირებაზე. აგროსასურსათო პროდუქციის ბაზარი, ესაა საქონელმწარმოებელთა, შუამავალთა და მომხმარებელთა ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება გაცვლის სფეროში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრისათვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური თავისებურებანი. კერძოდ:

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ბაზარზე დამოკიდებულია რეალურად არსებულ ამინდის პირობებზე, რაც საქონელმწარმოებელს ხელუდავს კონტროლი და რეგულირება გაუწიოს პროდუქციის მიწოდების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. საქონელმწარმოებელს არ შეუძლია დროული რეაგირება მოახდინოს ბაზრის შეცვლილ კონიუნქტურაზე (მხედველობაშია ფასების ვარდნა აგროპროდუქციაზე). ყოველივე ეს ზრდის რისკის ფაქტორს, რაც გასათვალისწინებელია საწარმოს მიერ პროდუქციის რეალიზაციის ამა თუ იმ არხის შერჩევის დროს;

– აგროპროდუქციაზე და სურსათზე მოთხოვნა, როგორც წესი, არაელასტიურია, რამდენადაც მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე შედარებით სტაბილურია. ეს თავისებურება საშუალებას აძლევს საქონელმწარმოებელს გააკეთოს გარკვეული არჩევანი. კერძოდ, შეინახოს პროდუქცია არასეზონურ პერიოდში უფრო მაღალ ფასებში რეალიზაციის მიზნით, გადაერთოს სხვა, შედარებით მაღალი მოთხოვნის პროდუქტის წარმოებაზე, ანუ გადაიტანოს თავისი კაპიტალი საქმიანობის სხვა სფეროში და ა.შ.

– რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქცია მალფუჭებადია, რაც აიძულებს საქონელმწარმოებელს დროულად მოახდინოს მისი რეალიზაცია მოსალოდნელი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, ან შექმნას სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობების საჭირო სიმძლავრეები, რაც მნიშვნელოვანი ოდენობის კაპიტალურ დაბანდებებთანაა დაკავშირებული;

– მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი განაპირობებს პროდუქციაზე როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების სტიმულირებას, მაგრამ აგროპროდუქციაზე მოთხოვნის შედარებით დაბალი ელასტიურობის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, როგორც წესი, იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მასზე ერთობლივი მოთხოვნა. ეს ფაქტი ფასების დისპარიტეტის არასასურველი მიმართულებით ზრდასთან ერთად განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგის ერთობლივი ამონაგების შეფარდებით შემცირებას სხვა დარგებთან შედარებით.

ეს და სხვა სპეციფიკური თავისებურებები გასათვალისწინებელია განსაკუთრებით მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სადაც წარმოების კონცენტრაციის დონე საშუალებას იძლევა მარკეტინგული სამსახურის ფორმირებისათვის, რომლის ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, აგროპროდუქციის ბაზრების შესახებ სათანადო ინფორმაციის, სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურის და

პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ანალიზი და განზოგადება უნდა იყოს (პროდუქციის რეალიზაციის ეფექტური არხის მოძიების მიზნით).

მომხმარებელი მოიხმარს იმ პროდუქციას, რომელიც გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით ყველაზე მეტად შეესაბამება მის მოთხოვნილებას და გემოვნებას.

კონკურენტუნარიანი პროდუქცია ხასიათდება უფრო უკეთესი სამომხმარებლო თვისებებით თავის ანალოგთან შედარებით, რის გამოც სარგებლობს მომხმარებელთა მხრიდან შედარებით მაღალი მოთხოვნით. ამრიგად, პროდუქციის კონკურენტუნარიანობა (განსაკუთრებით აგრარული პროდუქციის) შეფარდებითი ცნებაა. ის ყალიბდება კონკრეტულ ბაზარზე, პროდუქციის რეალიზაციის გარკვეულ დროსა და პირობებში.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება კონკურენტ პროდუქტთან შედარების გზით. შედარებისათვის გამოიყენება ორი ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა პროდუქციის ხარისხი და ფასი. ამასთან, პირველი ფაქტორი თანდათან იძენს განმსაზღვრელ როლს, რადგან ის უშუალოდ მიბმულია პროდუქტის სახმარ ღირებულებასთან. ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რაც უფრო მეტი მყიდველი გამოიჩენს პროდუქტის შეძენის სურვილს, მით მაღალია პროდუქტის კონკურენტუნარიანობა და, პირიქით.

კონკურენტუნარიანობის ბუნების (არსის) გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ პროდუქციის ხარისხის ეკონომიკური არსი. პროდუქციის ხარისხი – ესაა თვისებათა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ადამიანის გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მომხმარებელი ხარისხიანად თვლის იმ პროდუქტს, რომელიც უფრო მეტად პასუხობს მის პირად მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე პროდუქციის ხარისხი მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს ამა თუ იმ მიზნით გამოყენებისათვის და მიუღებელი – სხვა რომელიმე მიზნისათვის. ასე მაგალითად, ყურძენში შაქრის შემცველობის გადიდება, ზრდის მის ღირებულებას ღვინის მრეწველობაში, მაგრამ ნაკლებად ვარგისს ხდის დიაბეტით დაავადებულთათვის.

კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება პროდუქტის მხოლოდ იმ თვისებებით, რომლებიც მყიდველისათვის წარმოადგენს არსებით ინტერესს. მაგალითად, ყურძნის ჯიში, გემო, ხოლო ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მტევნის ფორმა, შეფერილობა და ა.შ., არ მიიღება მხედველობაში პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასების დროს.

განვითარებული კონკურენტული ბაზარი მხოლოდ ხარისხოვან პროდუქციაზე აყენებს მოთხოვნას, რის გამოც საქონელმწარმოებლების წინაშე დგას პროდუქციის ხარისხის მართვის, ანუ განსაზღვრული ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის ეკონომიკურად მისაღები ვარიანტის არჩევის პრობლემა.

პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტანდარტიზაციის სისტემა.

სტანდარტიზაცია – ესაა საქმიანობის სფერო, მიმართული იმ ნორმების, წესების და მახასიათებლების დადგენისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლის უფლებას ჯეროვანი (ხარისხოვანი) საქონლის შეძენაზე.

სტანდარტები – ეს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტია, რომლითაც დგინდება ცალკეული პროდუქტის მიმართ წაყენებული ხარისხობრივი მახასიათებლები (პარამეტრები).

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებული სტანდარტები განსაზღვრავს იმ პირობებს და მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქცია ბაზარზე რეალიზაციის დროს.

სტანდარტები შეიძლება იყოს აუცილებელი და სარეკომენდაციო ხასიათის. პირველის შესრულება საყოველთაოდ აუცილებელია, ხოლო მეორე ითვალისწინებს მომაჯალში დასაწესებელ მოთხოვნებს.

განასხვავებენ სახელმწიფო სტანდარტებს (მასობრივ პროდუქციაზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე), დარგობრივ სტანდარტებს (ცალკეული დარგებისათვის), საწარმოთა სტანდარტებს (რომლებსაც ამუშავებენ თვით საწარმოები და ისინი მოქმედებენ მხოლოდ კონკრეტული საწარმოს ფარგლებში) და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის სტანდარტებს (რომლებსაც ამუშავებენ სრულიად ახალი სახეობის პროდუქციაზე).

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული სტანდარტები იყოფა სამ ჯგუფად:

– სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტები, რომლებიც აღგენს მოთხოვნებს პროდუქციის ხარისხის მიმართ;

– სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების (ტექნიკის, კომბინირებული საკვების, სასუქის და ა.შ.) სტანდარტები;

– ტექნიკური სტანდარტები მოსავლის აღებასა და სასაქონლო დამუშავებაზე, ტრანსპორტირებაზე, შენახვაზე და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი ყალიბდება მრავალი ფაქტორის, მათ შორის, პირველ რიგში, წარმოების ფაქტორების (მიწის, მატერიალური, შრომითი) გაელენით. პროდუქციის ხარისხსა და საწარმოო რესურსების ხარისხს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. მიწათმოქმედების პროდუქცია, რომელიც წარმოებულია მაღალნაყოფიერ მიწაზე, როგორც წესი, ხასიათდება უფრო მაღალი ხარისხით, სასარგებლო ნივთიერებათა (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების) უფრო მაღალი შემცველობით, შენახვის მაღალი ხარისხით და ა.შ. მაღალი ხარისხის თესლისგან, სხვა თანაბარ პირობებში, მიიღება არა მხოლოდ უფრო მაღალი მოსავალი, არამედ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციაც. ანალოგიური მსჯელობა შეიძლება სხვა წარმოების რესურსების მიმართაც.

პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პროდუქციის სერტიფიცირება, რაც გულისხმობს ამა თუ იმ პროდუქციის ხარისხობრიული მაჩვენებლების შესაბამისობას ამ პროდუქციაზე სტანდარტით დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებთან.

პროდუქციის სერტიფიცირება შეიძლება ატარებდეს სავალდებულო და ნებაყოფლობით ხასიათს. სავალდებულო სერტიფიცირება ხორციელდება ნორმატიული აქტების საფუძველზე და უზრუნველყოფს დადგენილ სტანდარტებთან პროდუქციის სავალდებულო შესაბამისობას (სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია განეკუთვნება სავალდებულო სერტიფიცირების ობიექტს).

ნებაყოფლობითი სერტიფიცირება ტარდება იმ შემთხვევაში, როცა არსებულ სტანდარტებთან პროდუქციის მკაცრი შესაბამისობა რაიმე ნორმატიული აქტით განსაზღვრული არ არის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, განისაზღვრება მრავალი სხვა ფაქტორითაც. მათ შორისაა შეფუთვა, დიზაინი, რეკლამა, სწორი მარკეტინგული პოლიტიკა და ა.შ. ყველა შემთხვევაში საჭიროა პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე სისტემური მონიტორინგი, რაც იძლევა საშუალებას დაფიქსირდეს არა მარტო კონკურენტუნარიანობის ამაღლების, არამედ მისი შემცირების მომენტიც (რაც, ადრე თუ გვიან, ყველა საქონლის ხვედრია). ამ შემთხვევაში საჭიროა მიიღონ ადეკვატური ზომები მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად. ეს შეიძლება იყოს პროდუქციის წარმოების ტემპების შენელება, სხვა ბაზარზე გადაადგილება, ხარისხის ამაღლების ღონისძიებების გატარება, ფასის დაგდება და ა.შ.

8.4. აგრარული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები

აგრარულ წარმოებაში პრაქტიკულად ყოველთვის არსებობს პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვები, იქნება ეს მიწის დამატებითი რესურსების წარმოებაში ჩაროვა და რაციონალური განაწილება დარგებსა და კულტურებს შორის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების უფრო სრულყოფილი გამოყენება, საჭირო კრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვა თუ სხვა მრავალი ღონისძიება, რომელიც პროდუქციის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდაზე იქნება ორიენტირებული.

თანამედროვე საბაზრო პირობებში ყველაზე მეტი სირთულე, რომელიც საქონელმწარმოებლის წინაშე წარმოიშობა, ეს პროდუქციის გაზრდილი მოცულობის ბაზარზე მომგებიანად რეალიზაციაა. გასაღების ბაზრის წინასწარ მოძიების გარეშე წარმოების გადიდებისკენ მიმართული ყველა ინიციატივა შესაძლოა მცდარი (არამომგებიანი) აღმოჩნდეს.

პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ფერმერებისათვის საბაზრო კონიუნქტურასა და მარკეტინგის რთულ პროცესებში გარკვევა (როგორც აღგილობრივ, ისე

საერთაშორისო ბაზარზე) დღეისათვის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად რჩება. მათ, როგორც წესი, იციან, თუ როგორ აწარმოონ პროდუქცია, მაგრამ ხშირად ბაზარზე მისი ყველაზე სარფიანად განთავსების და წარმოჩენის ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება აკლიათ.

მსოფლიოში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წერილი ფერმერების დონეზე იგრძნობა და ის სულ უფრო და უფრო მწვავდება, რადგან საბაზრო კონკურენცია სულ უფრო გლობალურ ხასიათს იძენს. ამის მაგალითია ის ფაქტი, რომ დღეს იმპორტირებული სასურსათო და სოფლის მეურნეობის პროდუქტები მსოფლიოს ყველაზე შორეულ რეგიონებში, რაიონებში და სოფლებშიაც კი აღწევს. სწორედ ამის გამო მოცემული ხარისხისა და ფასის პროდუქციისათვის გასაღების გარანტირებულ ბაზრებად დღეისათვის ტრადიციული ადგილობრივი მნიშვნელობის ბაზრებიც კი აღარ მოიაზრება.

რით უნდა დაუპირისპირდეს ამ პროცესს ფერმერი (განსაკუთრებით წერილი და საშუალო)? უმეტეს შემთხვევაში ფერმერები პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით ერთიანდებიან, ქმნიან სხვადასხვა მიმართულების კოოპერატივებს, ქირაობენ პროფესიონალ მენეჯერებსა და მარკეტინგის სამსახურის სპეციალისტებს, გადასცემენ მათ პროდუქციას გადასამუშავებლად და დასაფასოებლად, შეფუთვისა და სასაქონლო სახის მისაცემად. ამასთან, როგორც წესი, ინარჩუნებენ პროდუქციაზე საკუთრების და თავისი შეხედულებისამებრ მისი განკარგვის უფლებას.

უკანასკნელ პერიოდში ფერმერები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ხელშეკრულების საფუძველზე პროდუქციის თავისუფალ ბაზარზე რეალიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი მალფუჭადი არ არის, ფერმერები ხშირად ინახავენ მის ნაწილს (ან მთლიანად) არასეზონურ პერიოდში მისი უფრო სარფიანად რეალიზაციის მიზნით.

ფერმერმა პროდუქციის გაზრდილი მოცულობის მისთვის მისაღებ ფასში რეალიზაცია რომ მოახდინოს, ამისათვის უნდა შესრულდეს რამდენიმე ძირითადი პირობა. კერძოდ, უკვე ათვისებულ ბაზარზე (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) უნდა გაიზარდოს მოთხოვნა შესაბამის პროდუქციაზე (ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ თუ გასულ საუკუნეში მოთხოვნა იყო სტიმულატორი მიწოდებისა, ეს პარადიგმა გარკვეულად იცვლება მიმდინარე საუკუნეში – როცა ნოვატორული მიწოდება გარკვეულწილად ასტიმულირებს მოთხოვნის ზრდას); წარმოებული პროდუქციისათვის გამოინახოს ახალი გასაღების ბაზრები. ტრადიციულ (ადგილობრივ) ბაზარზე გაიზარდოს მიღწეული წილი; შეიქმნას თვისობრივად ახალი პროდუქტები და ა.შ. ანუ გაკეთდეს ყველაფერი, რათა გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაგანაც ამ ქვეყანას გააჩნია საზიარო ბაზრები.

ბაზრების გაფართოების შესაძლებლობები პრაქტიკულად ყველა ქვეყანას აქვს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თავისთავად (ხელშეწყობის გარეშე) ვერ განხორციელდება. მისი განხორციელება მოითხოვს შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკის ქონას, საქმის ორგანიზაციას, ინიციატივებს და ა.შ., რაც, როგორც უკვე აღინიშნა, წერილი ფერმერების და მეწარმეთათვის მიუწვდომელია.

ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ბაზრების შენარჩუნებას და გაფართოებას (ბაზრის ტევადობის გადიდების თვალსაზრისით), მით უფრო ახალი ბაზრების ათვისებას, მრავალი დაბრკოლება ელობება. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი უშუალოდ აგროპროდუქციის წარმოებაშია. კერძოდ, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის დამახასიათებელი დაბალი ფონდშეიარაღება (არც თუ იშვიათად მოძველებული და ამორტიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლის ხარისხს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარე ბაზარზე, უცხოურ ანალოგებთან კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით; გადამმუშავებელ (დამფასოებელ) საწარმოებზე მცირე პარტიებად პროდუქციის მიწოდების ფრაგმენტულობა აძვირებს კონსოლიდაციას და ხარისხის კონტროლს; არსებობს გარკვეული შეუთანხმებლობა საქონელმწარმოებელთა და მათი პროდუქციის მსხვილ პარტიებად მომხმარებელთა შორის. კერძოდ, ფერმერებს არ სურთ პროდუქციის გასაღების გარანტიების არქონის შემთხვევაში

პროდუქციის წარმოების გაზრდა, ხოლო მომხმარებელს არ სურს მათი ინვესტირება მანამ, სანამ ჟურმერები ადეკვატური რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას არ აწარმოებენ.

აგრარული წარმოება (რომელშიც განვითარების ადრეულ სტადიებზე მოიაზრებოდა მთელი მარკეტინგული სისტემა თავისი სპეციფიკით) არსებით გაელენას ახდენს ამ სექტორის პროდუქციის მარკეტინგზე. თავის მხრივ აგროპროდუქციის მარკეტინგის დინამიკური პროცესი მნიშვნელოვან გაელენას ახდენს აგროწარმოებაზე (მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხნის წინ რძის შესყიდვა რძის ბალონებით, ხოლო ტრანსპორტირება ნეიულებრივი სატვირთო ტრანსპორტით ხდებოდა ყოველდღიურად, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ბოლო პერიოდში რძის სპეციალური სასიდი მანქანების (ავტოცისტერნები) შექმნით რძის შეგროვება-ტრანსპორტირების პროცესი შედარებით გამარტივდა, გაიაფდა და მან სტიმული მისცა მსხვილი სპეციალიზებული მეურეული მიმართულების სასაქონლო ჟერმების შექმნის საქმეს).

მარკეტინგის მთლიანი ჯაჭვის ბოლო რგოლი მომხმარებელია, რომელიც ასევე მოქმედებს წარმოებაზე. ის კარნახობს მარკეტინგული პროცესის მსელელობას და პირიქით, მარკეტინგული ფირმები ხარჯავენ დიდ სახსრებს, რომ ზემოქმედება მოახდინონ მომხმარებლის ქცევაზე და შეცვალონ ის თავისი ინტერესების სასარგებლოდ.

საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზე ადამიანები მიხვდნენ, რომ ცალკეული მათგანი უკეთ იყო მისადაგებული ამა თუ იმ საქმიანობაზე, ვიდრე სხვები და ამის შესაბამისად სპეციალდებოდნენ სამეურნეო ცხოვრებაში. შრომის ასეთი სპეციალიზაცია ამაღლებდა მათი საქმიანობის ნაყოფიერებას. პროდუქცია იქმნებოდა იმაზე მეტი, ვიდრე ოჯახისათვის, თუ ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებული ადამიანებისათვის იყო საჭირო. შრომისადმი აღნიშნულმა მიდგომამ წარმოშვა ბაზარი, ჯერ ნამეტი პროდუქციის ურთიერთ გაცვლის, ხოლო მოგვიანებით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქციის გაცვლის მიზნით. სწორედ აქედან იღებს სათავეს მარკეტინგი, რომელსაც ამ საქმეზე დასპეციალებული ადამიანები აკეთებდნენ.

დღეისათვის მარკეტინგული სისტემის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე აგრარული წარმოება. ამიტომ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აგროწარმოება და აგრომარკეტინგი უნდა ვითარდებოდეს მჭიდრო ურთიერთკავშირში, დღეს არ არის საკამათო. მეტიც, ისინი ერთგვარი პარტნიორებიც კი არიან თანამედროვე აგრესასურსათო სისტემაში.

სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი გამოირჩევა თავისი სპეციფიკური სირთულეებით, რასაც, უპირველეს ყოვლისა, აგრარული პროდუქციის თეითღირებულებასა და მის სარეალიზაციო ფასს შორის ძალიან უმნიშვნელო სხვაობა და ამ სხვაობის კიდევ უფრო და უფრო მეტად შემცირების ტენდენცია განაპირობებს. მკაცრი კონკურენცია ძალიან აახლოებს დანახარჯებსა და ფასს ერთმანეთთან. ჟერმერი სწორედ მათ შორისაა მოქცეული, რომელთა ორმხრივი ზეწოლა ჟერმერზე თანდათან იზრდება.

აგრომარკეტინგის მეორე არსებითი პრობლემა – ეს არის ჟერმერისა და მისი პროდუქციის მყიდველის უთანასწორო (არათანაბარი) პოზიცია ბაზარზე. კერძოდ, მარკეტინგული ფირმები (მყიდველები) უფრო ძლიერები არიან ყველა თვალსაზრისით, ვიდრე მათი კონტრაგენტები (ჟერმერული მეურნეობები). ისინი ყლობენ საჭირო ინფორმაციას ქვეყნისა თუ რეგიონის მასშტაბით, შეუძლიათ გაერთიანდნენ და კიდევ უფრო დაბლა დასწიონ ფასი და ა.შ. ანუ სახეზეა აგროპროდუქციაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის კლებადი ეფექტიანობა.

შედარებით ადრეულ სტადიაზე ამას ჟერმერები ვერ გრძნობდნენ, რადგან კონკურენცია პოლიპოლიურ ანუ აგრარული პროდუქციის ბაზარზე უზრუნველყოფდა ერთნაირ ფასს ერთსახა პროდუქციაზე, მაგრამ დღეს, როცა სახეზეა პირდაპირი კავშირების სისტემა და ვერტიკალური ინტეგრაცია, ეჭვის ქვეშ დგება აგროპროდუქციაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის ქმედითუნარიანობის საკითხი.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრარული მეურნეობის, როგორც ტრადიციულ საწარმოო ერთეულსა და აგროპროდუქციის მარკეტინგს შორის სულ უფრო მზარდი განსხვავებულობის შესახებ. კერძოდ, სოფლად საქონელმწარმოებლები კელავაც

ინარჩუნებენ პრიორიტეტს საქონელზე, მის წარმოებაზე. მაშინ როცა სურსათის მარკეტინგული ჟურნალები სულ უფრო ორიენტირებული ხდებიან ვაჭრობაზე. ჟურნალისტები სულ უფრო შორდებიან სურსათის მარკეტინგის ისეთ სფეროებს, როგორიცაა სურსათის რეკლამირება, გადამუშავება და ვაჭრობა ანუ მარკეტინგის იმ სფეროებს, რომლებიც ზრდის აგროპროდუქციის ღირებულებას. მათი როლი, ძირითადად, მხოლოდ ნედლეულის მიწოდებით შემოიფარგლება, რაც, საყოველთაო აღიარებით, არაეფექტურია.

რაც ცხადად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჟურნალისტებმა უნდა ისწავლონ უფრო კვალიფიციური და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება თავისი პროდუქციის მარკეტინგის შესახებ, დაეუფლონ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე და საჭირო ფორმაში პროდუქციის მიწოდების ხელოვნებას, რათა ამ გზით უზრუნველყონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ღირებულების გაზრდა და მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება.

მათ უნდა ახსოვდეთ, რომ აგრომარკეტინგი იწყება აგრარულ საწარმოში და თავდება მაშინ, როცა პროდუქტს მისი საბოლოო მომხმარებელი შეიძენს ანუ პროდუქტმა უნდა გაიაროს შესყიდვის, შენახვის (თუ ეს ეკონომიკურად მომგებიანია), ტრანსპორტირების, გადამუშავების, განაწილებისა და რეალიზაციის სტადიები. თითოეულ სტადიაზე პროდუქტი იძენს დამატებულ ღირებულებას, რომელიც მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო კარგადაა შერჩეული პროდუქტის ბაზარზე მიწოდების დრო, ადგილი და ფორმა. აქედან პირველი გულისხმობს პროდუქტის ბაზარზე მიწოდებას მაშინ, როცა მასზე მოთხოვნა შედარებით მაღალია. ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს პროდუქტის დროებითი შენახვა და მიწოდების დაყოვნება, თუ მოსალოდნელია ფასების გადიდება რაიმე ხელშესახები მოტივით (დღესასწაულები, სავაჭრო პოლიტიკის შეცვლა და ა.შ.).

მარკეტინგული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საჭირო ადგილზე მიწოდება. რაც გულისხმობს პროდუქტის რეალიზაციის არხების რაციონალურ არჩევას (ანუ რეალიზაცია უშუალოდ მისდორში, ჟურნალში, წინასწარი კონტრაქტით, ბირჟის საშუალებით და ა.შ.). რეალიზაციის აღნიშნული არხები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თითოეული მათგანი გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და, საბოლოო ანგარიშით, მოგება-ზარალის დონეს განაპირობებს.

რაც შეეხება პროდუქციის საჭირო ფორმით მიწოდებას ბაზარზე, იგი გულისხმობს პროდუქტის დახარისხებას ერთგვაროვანი ფორმისა და სიდიდის მიხედვით, შეფუთვა-ეტიკეტირებას, დიზაინს და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საქონელს ხდის უფრო მიმზიდველს მომხმარებლისათვის.

ბოლო პერიოდში აგრარული პროდუქციის უშუალო მწარმოებელი სულ უფრო და უფრო შორდება მომხმარებელს, რაც გარკვეულწილად ართულებს მათ შორის აუცილებელი ინფორმაციული კავშირის დამყარებას. მხედველობაშია ის ფაქტი, რომ რაც უფრო მეტი რგოლი ჩნდება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, მით უფრო გეიანდება საქონელმწარმოებელთან საჭირო საბაზრო ინფორმაციის მისვლა მის მიერ წარმოებული საქონლის ბედის შესახებ (მხედველობაშია უპირველესად ბაზარზე არსებული მოთხოვნა კონკრეტულ საქონელზე, რომელიც განმსაზღვრელია მიწოდების მოცულობისა).

საქმე იმაშია, რომ ინფორმაციამ აგრარულ პროდუქციაზე მოთხოვნის, ფასის და სხვა მონაცემების შესახებ იგივე გზა უნდა გაიაროს, რასაც პროდუქტი გადის საბოლოო მომხმარებლამდე. აღნიშნულმა ინფორმაციამ უნდა განსაზღვროს საქონელმწარმოებლის სტრატეგია და ტაქტიკა სამომავლო გეგმის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის. საქონელმწარმოებლის არაინფორმირებულობა (ან დაგვიანებული ინფორმაცია) ხშირად საბედისწერო ხდება. ასე მაგალითად, თუ მომხმარებელმა რაიმე ობიექტური მიზეზის გამო (ყურადღი შემოსავლების შემცირება, კვების წესის შეცვლა, ბაზარზე ალტერნატიული და უკეთესი შემცვლელი პროდუქტის გამოჩენა და ა.შ.) შეამცირა საქონლის ხორცის მოხმარება, ეს ინფორმაცია უპირველესად ხორცით საცალო მოვაჭრეებისათვის გახდება ცნობილი ანუ მათ მიიღეს ხორცის უფრო ნაკლები რაოდენობით შესყიდვის სიგნალი, რადგან ხორცზე დაბალი მოთხოვნის გამო იძულებული ხდებიან დააგდონ

(დაბლა დასწიონ) მასზე ფასი. ეს ნიშნავს, რომ მათი მოგება შემცირდება და, ბუნებრივია, შემცირდება მოთხოვნა საბითუმო არხებით ხორცის შემდგომ შეძენაზე. თავის მხრივ, ხორცით ბითუმად მოვაჭრენი ნაკლებ ხორცს შეიძენენ ხორცკომბინატებიდან, რაც გამოიწვევს ხორცზე საბითუმო ფასის დაცემას. ხორცკომბინატები ასევე დააგდებენ პირუტყვის შესყიდვის ფასს (ხორცზე მოთხოვნის შემცირების გამო).

როცა ინფორმაცია მიაღწევს საქონელმწარმოებელთან, ის იძულებული გახდება შეამციროს პირუტყვის გამოზრდისა და სუქების მოცულობა ან, თუ შესაძლებლობა ექნება, გადაერთვება სხვა საქმიანობაზე (მაგალითად, ღორის ან ქათმის ხორცის წარმოებაზე). ნებისმიერ შემთხვევაში წარმოების სპეციალიზაციის შეცვლა (დროებით თუ მუდმივად) დამატებით ხარჯებთან ანუ მოგების შემცირებასთან იქნება დაკავშირებული. რაც დროულია ინფორმაცია, მით უფრო ნაკლებია, სხვა თანაბარ პირობებში, საქონელმწარმოებლის ზარალი და, პირიქით.

აქედან დასკვნა. დროული და უტყუარი ინფორმაცია ნებისმიერი მეწარმისათვის ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ის აგრარულ მეურნეობაში იძენს, სადაც პროდუქციის წარმოება ხასიათდება რიგი სპეციფიკური თავისებურებებით (საწარმოო ციკლის დიდი ხანგრძლივობა, აგროპროდუქციაზე მოთხოვნის სპეციფიკა, აგროპროდუქციის მეტად დაბალი ელასტიკურობა ფასებისა და შემოსავლების მიმართ და სხვ.).

8.5. აგრარული მარკეტინგის ეკონომიკური ეფექტიანობა

აგრომარკეტინგის ეკონომიკური ეფექტიანობა არის ღირებულებაში გამოხატული დანახარჯებისა და მიღებული შედეგის თანაფარდობა. მარკეტინგის დანახარჯი თავის მხრივ არის სხვაობა, რომელიც წარმოიშობა საქონელმწარმოებლისათვის გადახდილ ფასსა და იმ ფასს შორის, რომელსაც იხდის პროდუქტის საბოლოო მომხმარებელი. მარკეტინგის შედეგი მომხმარებლის მიერ საქონლის შეფასებაზეა დამოკიდებული, ხოლო დანახარჯები საქონლის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის მთელ გზაზე დაბანდებული სახსრებია.

ნებისმიერი ტექნიკურ-ტექნოლოგიური თუ ეკონომიკურ-ორგანიზაციული სიახლე, რომელიც მიმართულია პროდუქტის ერთეულზე გაწეული მარკეტინგული დანახარჯების შემცირებაზე, სასურველია მანამ, სანამ ეს სიახლე არ იწვევს მომხმარებლისთვის პროდუქტის სარგებლიანობის შემცირებას. ასევეა მარკეტინგული დანახარჯების მიმართაც. ამ ხარჯებმა არ უნდა გაასწროს მომხმარებლისთვის პროდუქციის სარგებლიანობის მატებას.

პროდუქტის სარგებლიანობა მომხმარებლის სუბიექტური ფსიქოლოგიური შეფასებითი კატეგორიაა და ამდენად მისი რაოდენობრივი გაზომვა პრაქტიკულად შეუძლებელია (არ არსებობს სარგებლიანობის გაზომვის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი და საზომი ერთეული). ამიტომ ანგარიშობენ აგრომარკეტინგის ტექნიკურ და ინფორმაციულ ეფექტიანობას. აქედან პირველი გამოხატავს პროდუქტის ტრანსპორტირებაზე, შენახვაზე, გადამუშავებასა და რეალიზაციაზე გაწეულ ხვედრით დანახარჯებს პროდუქტის ერთეულზე.

რაც შეეხება აგრომარკეტინგის ინფორმაციულ ეფექტიანობას, იგი გვიჩვენებს, რამდენად სწრაფად, ოპერატიულად და ზუსტად რეაგირებს ფასები ბაზარზე წარმოშობილ ცვლილებებზე, აგრეთვე რამდენად სწრაფი უკუკავშირი აქვს მას პროდუქტის მწარმოებელთან. იგი განისაზღვრება საბაზრო ინფრასტრუქტურის, საბაზრო ინფორმაციული სისტემის და საბაზრო კონკურენციის სრულყოფის დონით და ხარისხით.

მსხვილ აგრარულ საწარმოში მარკეტინგული საქმიანობის რაციონალურად წარმართვისათვის (გასაღების ბაზრების შესწავლა, სასაქონლო ასორტიმენტის დაგეგმვა და სარეალიზაციო ფასების დადგენა და სხვ.) სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მარკეტინგული სამსახურების ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხი. მათი შექმნა პირველ ფაქტორზეა დამოკიდებული.

კერძოდ, მარკეტინგული სამსახურის ფორმირებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მხედველობაშია მისაღები

სარეალიზაციო პროდუქტების რაოდენობა და მათი მოცულობა, კონკურენტი საწარმოების რაოდენობა და ტაქტიკა, ბაზრის ტევადობა, რეკლამის ღირებულება, გასაღების ბაზრების გეოგრაფია და ა.შ. მაგალითად, თუ საწარმო პროდუქციის რეალიზაციას ეწევა ერთი კონკრეტული რაიონის ფარგლებში გაადგილებული ხორცის, რძის ან პურის კომბინატებზე, მაშინ რაიმე არსებით მოგებას მარკეტინგული სამსახურის ფორმირებით საწარმო ვერ მიიღებს. მაგრამ თუ იგივე საწარმო პროდუქტის რეალიზაციას ახდენს რაიონის ფარგლებს გარეთ ან აქვს საკუთარი გაღამმუშავებელი სიმძლავრეები, საამქროები და პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, მაშინ მარკეტინგული სამსახურის შექმნა ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანად არის მიჩნეული.

მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა დამოკიდებულია საქონლის ასორტიმენტზე და იმ ამოცანებზე, რომელიც დასახულია საწარმოს წინაშე მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში. ასე მაგალითად, თუ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის მარკეტინგის ამოცანაა გასაღების პრობლემის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაშინ მარკეტოლოგმა უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს რა პროდუქტები (რა რაოდენობის, ხარისხის) არის საჭირო ბაზარზე მისაწოდებლად, მოსახოს კონკრეტული მომხმარებლები და ორგანიზაცია გაუკეთოს მათთან შესაბამის გარიგებებს მეურნეობისათვის მაქსიმალურად მომგებიანი პირობებით.

მარკეტინგული სამსახური შეიძლება იყოს სტრუქტურულად დამოუკიდებელი ორგანიზაციაც, მაგალითად, აქციონერული საზოგადოება, სადაც საკონტროლო პაკეტის მფლობელი საქონელმწარმოებლები იქნებიან.

მარკეტინგული სამსახური შეიძლება ჩამოყალიბდეს რაიონის მასშტაბითაც, რომლის ფუნქცია იქნება სასურსათო ბაზრების შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და განზოგადება, სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურის დადგენა, ფასების მონიტორინგი და ა.შ.

მარკეტინგული საქმიანობა (განსაკუთრებით ბაზრების კვლევა და რეკლამა) მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ დანახარჯების აუცილებლობა და ეკონომიკური მიზანშეწონილობა კონკრეტული გათვლებით დასტურდება. განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების აგრარულ და გაღამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მარკეტინგული საქმიანობის განვითარების შედეგად მიღებული დამატებითი მოგება 10-15-ჯერ აღემატება ამ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების რაოდენობას.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. განმარტეთ აგრარული საწარმოს მთლიანი პროდუქცია და მისი სტრუქტურა. რატომაა აუცილებელი მთლიანი პროდუქციის ღირებულებით საზომში გაანგარიშება?
2. განასხვავეთ ერთმანეთისაგან მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოება. ახსენით აგრარული პროდუქციის კვლავწარმოების თავისებურებანი მატერიალური წარმოების სხვა დარგებისაგან განსხვავებით.
3. კონკრეტული მონაცემების მიხედვით გაიანგარიშეთ აგრარული საწარმოს გაფართოებული კვლავწარმოების შედეგობრივი მაჩვენებელი.
4. განმარტეთ აგრარული პროდუქციის სტრუქტურა ნატურალური ფორმით.
5. ჩამოთვალეთ მთლიანი პროდუქციის განაწილების ძირითადი პრინციპები. განმარტეთ მოხმარებისა და დაგროვების ფონდების ეკონომიკური არსი.
6. დაახასიათეთ აგრარული საწარმოს სასაქონლო პროდუქციის ზრდაზე და რეალიზაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.
7. ჩამოთვალეთ აგრარული პროდუქციის რეალიზაციის ძირითადი არხები. განმარტეთ ფიუჩერსული კონტრაქტების არსი და მნიშვნელობა საქონელმწარმოებლებისათვის.
8. განმარტეთ ჟეჯირების არსი პრაქტიკული მაგალითის მიხედვით.
9. ჩამოთვალეთ აუქციონის სახეები და განასხვავეთ ისინი ერთმანეთისაგან.

10. აღწერეთ აგრარული პროდუქციის ბაზრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები.
11. ჩამოთვალეთ და განმარტეთ აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.
12. ახსენით, რატომაა აგრარული პროდუქციის რეალიზაცია შედარებით გაძნელებული სხვა დარგების პროდუქციისაგან განსხვავებით.
13. ჩამოთვალეთ აგრომარკეტინგის სპეციფიკური თავისებურებები და მისი პრობლემები.
14. ახსენით აგრომარკეტინგის ეკონომიკური ეფექტიანობის არსი. რას ნიშნავს ბაზარზე პროდუქციის მიწოდების დრო, ადგილი და ფორმა?

ტესტი

1) სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოება ნიშნავს:

ა) მიწის საავარგულების დამატებით ჩართვას წარმოებაში
ბ) დამატებითი მუშახელის ჩართვას წარმოებაში
გ) პროდუქციის წარმოების გადიდებას საბაზისო წელთან შედარებით და დაგროვების ნორმის გადიდებას
დ) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების გადიდებას წარმოებული პროდუქციის ერთეულზე

2) საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგების ხარჯზე შეიძლება შეიქმნას:

ა) ამორტიზაციის ფონდი
ბ) თანამშრომელთა ურთიერთდახმარების ფონდი
გ) დაგროვების ფონდი
დ) სოციალური დაზღვევის ფონდი

3) სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ზრდის ძირითადი მიზანია:

ა) მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფა
ბ) ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაცია
გ) გაფართოებული კვლავწარმოება და მოგების შემდგომი გადიდება
დ) არცერთი არაა სწორი

4) ფიუჩერსული კონტრაქტის პირობებს არ განეკუთვნება:

ა) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის სახე და ჯასი
ბ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის რაოდენობა
გ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის ადგილი და დრო
დ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი

5) სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი წარმოადგენს:

ა) შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის მიზანმიმართულ საქმიანობას
ბ) წარმოების მართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე ფორმას
გ) მეწარმეობრივ საქმიანობას, რომელიც მართავს საქონლის მოძრაობას მისი წარმოების, გაცვლის და რეალიზაციის საშუალებით
დ) საქმიანობას საწარმოში დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრისთვის

6) სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს:

ა) მარკეტინგზე გაწეული დანახარჯებისა დ მიღებული შედეგის თანაფარდობა
ბ) საქონელზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასები
გ) სხვაობა, რომელიც წარმოიშობა საქონელმწარმოებლისათვის გადახდილ ფასსა და საბოლოო მომხმარებლის მიერ გადახდილ ფასს შორის.
დ) საქონელზე მოთხოვნის ელასტიკურობის დონე

IX თავი. აბრარული საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური და ზღვრული ანალიზი

9.1. ეკონომიკური ანალიზის არსი, მიზანი და ამოცანები

თანამედროვე პირობებში წარმოების ეფექტიანი მართვა წარმოუდგენელია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის გარეშე. ის გულისხმობს ყველა იმ მაჩვენებლის გაანგარიშებას, რომელიც გვიხასიათებს წარმოების საბოლოო შედეგებს და იძლევა მათი ობიექტური შეფასების საშუალებას.

საწარმოს ეკონომიკური ანალიზი შეიძლება მოიცავდეს სამეურნეო-კომერციული საქმიანობის ნებისმიერ პერიოდს, თუმცა პრაქტიკაში, როგორც წესი, უფრო ხშირად საქმე გვაქვს წლიური შედეგების ანალიზთან. მის სრულყოფილად ჩატარებისთვის მონაცემების საფუძველს ქმნის საწარმოს წლიური ანგარიში, წლიური ბალანსის, მოგება-ზარალის გაანგარიშება და სხვა შესაბამისი ოფიციალური საბუღალტრო ჩანაწერები.

შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ფინანსური, შედეგობრივი და ცალკეული დარგების ანალიზი, მაგრამ ბოლო პერიოდში მაღალმწარმოებლური გამოთვლითი ტექნიკის წყალობით სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს წლის განმავლობაში განხორციელებული მოლიანი საქმიანობის კომპლექსური ანალიზი, რომლის დროსაც ხდება ყველა დარგისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის დეტალური შეფასება.

საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ანალიზი დამყარებულია ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე და შეიძლება იმ ღირებულებითი მაჩვენებლებით, რომლებიც გვიხასიათებს შემოსავლებს შესაბამისი წყაროების, ხოლო დანახარჯებს, მათი შემადგენლობის მიხედვით. ამდენად, იგი იძლევა საერთო შედეგობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებისა და გაანალიზების საშუალებას.

საწარმოს ცალკეული დარგების ანალიზს აქვს უფრო საწარმოო-სამეურნეო მიმართულება და ძირითადად მოიცავს ცალკეული დარგების მხოლოდ პირდაპირ საწარმოო დანახარჯებს და ამონაგებს საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებით. საწარმოს ცალკეული დარგებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ანალიზის შედეგები წარმოადგენს მყარ საფუძველს მათი მომავალი საქმიანობის სწორად დაგეგმისათვის.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ჩასატარებლად გამოიყენება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიდიდეები. პირველს მიეკუთვნება მოგება-ზარალის საერთო შედეგის, ფინანსური რესურსების წლიური ბრუნვის და სხვა მაჩვენებლები. მათი ობიექტური შეფასებისათვის გამოიყენება შეფარდებითი მაჩვენებლები, რომელთა დახმარებით ხდება გადაანგარიშება დანახარჯების, ფაროობის, პირუტყვის და წარმოების სხვა ფაქტორების ერთეულზე. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზი გულისხმობს მიმდინარე პროცესების შესწავლა-გაანალიზებას მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ამ მიზნით გამოიყენება არა ერთმანეთისაგან იზოლირებული მაჩვენებლები, არამედ მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომელიც ახასიათებს გასაანალიზებელი ობიექტის საერთო სამეურნეო საქმიანობას. ამავე მიზნით შეისწავლება ამ მაჩვენებელთა დინამიკა, ცვლილებების (გადახრების) მიზეზები, რისთვისაც გამოიყენება შედეგობრივ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორები და მათ შორის რაოდენობრივი ურთიერთკავშირის გაზომვა (დადგენა).

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ასეთი თანმიმდევრობით ჩატარების გარეშე შეუძლებელია რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება საწარმოს საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. მხოლოდ ასეთ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია განისაზღვროს თითოეული საწარმოო ფაქტორის რაოდენობრივი გავლენა წარმოების საბოლოო შედეგებზე და წარმოების ეფექტიანი განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

ეკონომიკურ ანალიზს გააჩნია თავისი კონკრეტული ამოცანები, რომელთაგან გამოსაყოფია შემდეგი:

– საწარმოო-ფინანსური გეგმის შესრულების დონე საანგარიშო პერიოდში;

– საწარმოს მუშაობაში დადებითი შედეგების და მათი მიღწევის პირობების გამოვლენა;

– წარმოების ყველა სტადიაზე ხელშემშლელი პირობების გამოვლენა და არსებული რეზერვების ამოქმედება;

– საწარმოო-ფინანსური გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემოწმება და დაშვებული შეცდომების შემდგომ პერიოდში გათვალისწინება გამოსწორების თვალსაზრისით.

აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზისათვის გამოყენებულ მეთოდებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედარების მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს გადახრის ნებისმიერი დონე (გეგმურიდან, ნორმატიულიდან). ამ მიმართულებით შეიძლება გამოვყოთ: შიდასამეურნეო და გარესამეურნეო ანუ ჰორიზონტალური და ვერტიკალური შედარებები, საგეგმო-ნორმატიულ მაჩვენებლებთან და გასული პერიოდების ფაქტობრივ მონაცემებთან შედარებები.

შიდასამეურნეო შედარებები საშუალებას იძლევა შევაფასოთ წარმოებაში გამოყენებული სხვადასხვა ფაქტორები (მაგალითად, მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შედარება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ). გარდა ამისა, ასეთი შედარება საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ წლების მიხედვით საწარმოს განვითარების მაჩვენებელთა დინამიკაზე, გავაანალიზოთ საწარმოს ფაქტობრივი მაჩვენებლების გადახრა სხვა, ანალოგიურ პირობებში მომუშავე წარმოებისაგან და ა.შ.

საწარმოს შიდასამეურნეო ანალიზი ტარდება უფრო ხშირად ფაქტობრივი და გეგმური მონაცემების ურთიერთთან დაპირისპირების გზით, დროის ერთსა და იგივე პერიოდში. ანალიზის სხვა მეთოდებიდან გამოსაყოფია: დაჯგუფებები სხვადასხვა სტატისტიკური ნიშნის მიხედვით (ფართობის, კაპიტალშეიარაღების, პროდუქციის გამოსავლიანობის და ა.შ.) და ელიმინირება. დაჯგუფების მეთოდი გამოიყენება საწარმოთა ერთობლიობის (დიდი რიცხოვნობის) შესასწავლად (სპეციალიზაციის ზონის, რაიონის ან რეგიონის მასშტაბით). ამ მეთოდის გამოყენების მთავარი პირობაა საწარმოებისათვის საერთო გამაერთიანებელი (დამახასიათებელი) ნიშნების მოძებნა.

რაც შეეხება ელიმინირებას – იგი ნიშნავს დაკვირვების მაჩვენებელზე ყველა ფაქტორის გავლენის გამორიცხვას ერთი რომელიმე ძირითადი ფაქტორის გარდა. ამასთან, ივარაუდება. რომ ფაქტორები იცვლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ჯერ იცვლება ერთი რომელიმე მათგანი, ხოლო ყველა დანარჩენი უცვლელი რჩება, შემდეგ იცვლება ორი (დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში) და ა.შ. ამ წესით შეიძლება ცალკე განისაზღვროს თითოეული ფაქტორის გავლენა საკვლევ მაჩვენებელზე (ეკონომიკურ ანალიზში ეს მეთოდი ცნობილია ჯაჭვური ჩასმის წესის სახელით).

პირველი ჩასმის პირობაა დადგინდეს მარცვლეულის მოსავალზე ფართობის ცვლილების გავლენა. როგორც 9.1 ცხრილიდან ჩანს, ამ ფაქტორზე მოდის მარცვლის მოსავლის სოლიდური შემცირება (2000 ცენტნერი).

ცხრილი 9.1

მარცვლეულის საერთო მოსავლის ანალიზი ჯაჭვური ჩასმის წესის გამოყენებით

ჩანაცვლების პარამეტრები	ფართობი, ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	საერთო მოსავალი, ც	გადახრა წინა მაჩვენებლიდან, ც (+ –)
	1000	20	20000	–
I ჩასმა: ფართობი ფაქტობრივი, მოსავლიანობა გეგმური	900	20	18000	-2000
II ჩასმა: ყველა მაჩვენებელი ფაქტობრივია	900	25	22500	+2500
ჯამი (გადახრები)	–	–	–	+500

მეორე ნაბიჯი მიზანია მარცვლეულის მოსავალზე მოსავლიანობის ვაკლების დადგენა. ერთი და იგივე პირობებში მოსავლიანობის გადიდებამ გეგმიურთან შედარებით 5 ცენტნერით უზრუნველყო მარცვლის საერთო წარმოების გადიდება 2500 ცენტნერით, რაც საერთო ჯამში საკმარისი აღმოჩნდა პირველი ფაქტორის ზეგავლენით გამოწვეული დანაკლისის დასაფარად და მარცვლეულის მოსავლის 500 ტონით გადიდებისათვის.

როცა საქმე გვაქვს წარმოებაზე სამი ან მეტი ფაქტორის ზემოქმედებასთან, ბუნებრივია, იზრდება ნაბიჯთა რაოდენობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასების ერთიანი აგრეგატული მაჩვენებელი პრაქტიკულად არ არსებობს, რის გამოც ხშირად მიმართავენ შეფარდებითი მაჩვენებლების დაჯამების მეთოდს. ამ მეთოდის არსი შედარებითი მეთოდის პრინციპიდან გამომდინარეობს და გულისხმობს ფაქტობრივი და წინა საბაზისო წლების მონაცემების ბალურ შეფასებას (ცხრ. 9.2). ამ დროს საბაზისო პერიოდის შესაბამისი მაჩვენებელი ფასდება 100 ბალად, ხოლო საანგარიშო წლის ბალები განისაზღვრება შესაბამისი მაჩვენებლის საბაზისო მაჩვენებლებზე გაყოფით. ბოლოს ყველა ბალი ჯამდება და საბაზისო წლის ბალების ჯამს უფარდდება.

აგრარულ საწარმოთა საქმიანობის შეფასების პრაქტიკაში საგეგმო მაჩვენებლების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხშირად საჭირო ხდება იმ ფაქტორების გაკვეთილის გამორიცხვა, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ფაქტობრივი მაჩვენებლის სიდიდე. ამ მიზნით იყენებენ საგეგმო მაჩვენებლების გადაანგარიშების მეთოდს. მას მიმართავენ მაშინ, როდესაც საჭიროა განისაზღვროს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ეკონომია ან გადახარჯვა (ეკონომიკური, ფულადი, მატერიალური და შრომითი).

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გეგმური დანახარჯები გადაიანგარიშება საანგარიშო წლის პროდუქციის მოცულობაზე. ამით მიიღწევა ფაქტობრივი და გეგმური დანახარჯების შესაბამისობა ერთმანეთთან. ამ მეთოდს მიმართავენ შრომის ანაზღაურების ფონდის, თვითღირებულების და სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას.

ასე მაგალითად, თუ საწარმომ საანგარიშო წელს ნაცვლად გეგმური 2000 ტონა ბოსტნეულისა (რაზეც უნდა დაეხარჯა 10000 ლარი) აწარმოა 2200 ტონა, რაზეც დახარჯა 12000 ლარი, ხარჯების ეკონომია-გადახარჯვის დადგენა უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

(1000ლარი:2000 ტ)×2200 ტ = 11000 ლარი.

ცხრილი 9.2

სოფლის-მეურნეობის პროდუქციის წარმოების ანალიზი ბალური შეფასების მეთოდით

	საბაზისო წელი		საანგარიშო წელი	
	აბსოლუტური მაჩვენებელი	შეფასებული ბალებში	აბსოლუტური მაჩვენებელი	შეფასებული ბალებში
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 1 ჰა სახნავზე, ათ. ლარი	5,0	100	5,6	112
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 1 ჰა სახნავზე, ათ. ლარი	4,0	100	4,8	120
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ მუშაკზე, ათ. ლარი	4,5	100	5,0	110
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 100 ლარის ძირითად ფონდებზე	3,0	100	3,3	110
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 100 ლარის საწარმოო დანახარჯებზე	75,0	100	76	101
ბალების ჯამი	–	500	–	553
საშუალო ბალური შეფასება	–	100	–	110,6

მიღებულ შედეგს თუ ბოსტნეულის წარმოებაზე ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ფულადი სახსრები გადახარჯულია 1000 ლარით (12000-11000).

საწარმოთა ეკონომიკური ანალიზისათვის გამოყენებულ მეთოდებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია საბალანსო მეთოდს, რომელიც გამოიყენება წარმოების ფულად-მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფის ანალიზისათვის. ის საშუალებას იძლევა მივიღოთ შესაბამისი ცნობები საწარმოს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის და ფინანსური კაპიტალის სტრუქტურის, ქონების საბალანსო ღირებულების, საწარმოს მოკლე და გრძელვადიანია დავალიანებების შესახებ, შევაფასოთ და განვსაზღვროთ საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და ლიკვიდურობის დონე (სტაბილურობის ქვეშ იგულისხმება წარმოების და საბაზრო რისკების პირობებში საწარმოს დინამიკური განვითარების უნარი). მისი კრიტერიუმებია წლიური მოგებისა და საკუთარი კაპიტალის მოცულობა, მათი ფარდობა საწარმოს მოკლე და გრძელვადიან დავალიანებებთან, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა და სხვ.).

საწარმოს რენტაბელობის დონე ითვლება დამაკმაყოფილებლად, როცა კრედიტორული დავალიანებებისა და ნასესხები საშუალებების ჯამი არ აღემატება საბრუნავი აქტივების ჯამს, ანუ, რაც მეტია საკუთარი კაპიტალის ყოველწლიური მატება და ნაკლებია ნასესხები კაპიტალის წილი, მით კეთილსაიმედო და სტაბილურია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ეკონომიკური ანალიზისათვის, გარდა აღნიშნული მაჩვენებლებისა (მოგება, საკუთარი კაპიტალის ყოველწლიური მატების დონე) გამოიყენება შეფასებითი მაჩვენებლებიც. მათ შორის კაპიტალის რენტაბელობისა და კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებლები.

რენტაბელობის ფინანსურ კოეფიციენტებს მიეკუთვნება:

ა) პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება, როგორც ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას შორის;

ბ) მატერიალური და არამატერიალური საშუალებების (მობილური საშუალებების) ბრუნვადობის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების შეფარდება საშუალო პერიოდული მარაგების და ფულადი აქტივების ჯამთან;

გ) დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების შეფარდება საშუალო პერიოდულ დებიტორულ დავალიანებასთან (ასეთივე მიდგომით გაიანგარიშება ასევე კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი);

დ) ძირითადი კაპიტალისა და სხვა ბრუნვის გარეშე აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი – გამოხატავს ამ საშუალებათა რენტაბელობას და იზომება მოგების მოცულობის შეფარდებით მათ საბალანსო ღირებულებასთან;

ე) საკუთარი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი – იზომება, როგორც საბალანსო მოგების შეფარდება საწარმოს საკუთარი საშუალებების საშუალო მოცულობასთან.

გარდა ამ კოეფიციენტებისა, განასხვავებენ ნასესხები და საკუთარი სახსრების, მზა პროდუქციის და მატერიალური საშუალებების ბრუნვადობის, ძირითადი საწარმოო კაპიტალის უკუგების და სხვა სახის კოეფიციენტებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშით, გვიხასიათებს საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას ანუ მზადყოფნას კვლავწარმოებითი ინვესტიციური, ინოვაციური და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოგებას გამოკლებული მოხმარებისათვის გამიზნული თანხები შეესაბამება საწარმოს დაგროვების მოცულობას ანუ საკუთარი კაპიტალის მატების ჯამს. აღნიშნულ თანხას დამატებული ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხები წარმადგენს წყაროს საკუთარი სახსრების ხარჯზე წარმოებისა და ინვესტიციების დაფინანსებისათვის. აქედან გამომდინარეობს, დასკვნა იმის თაობაზე, რომ რაც მეტია საწარმოს საკუთარი სახსრების ხარჯზე განხორციელებული ინვესტიციების წილი და რაც მაღალია კაპიტალის რენტაბელობის პროცენტი, მით მაღალია საწარმოს ეკონომიკური სტაბილურობის დონე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს

ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ კრიტერიუმს მატერიალური საბრუნავი კაპიტალის (მარაგების) ფორმირებისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების წყაროების მეტობა ან ნაკლებობა (დეფიციტი) წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს ფინანსური მდგრადობის სამ ძირითად ტიპს:

ა) აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, როცა მატერიალური საბრუნავი კაპიტალის ღირებულება ნაკლებია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის აღებული ბანკის კრედიტისა და საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ჯამზე. ხოლო მარაგებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ერთზე მეტია;

ბ) ნორმალური ფინანსური მდგომარეობა, როცა მატერიალური საბრუნავი კაპიტალის ღირებულება ტოლია აღებული კრედიტისა და საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ჯამზე;

გ) არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა, როცა მარაგების ღირებულება მეტია საკუთარი საბრუნავი კაპიტალისა და მოზიდული ბანკის სესხების ჯამზე. ასეთ შემთხვევაში აღგილი აქვს საგადასახადო ბალანსის დარღვევას, კრედიტორული დავალიანების მეტობას ღებიტორულ დავალიანებაზე და სხვ.;

დ) კრიზისული ფინანსური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა მატერიალური მარაგები და დანახარჯები არაა უზრუნველყოფილი მათი ფორმირებისათვის საჭირო შესაბამისი წყაროებით, რაც საწარმოს ფულადი სახსრები და დებიტორული დავალიანებები ვერ უზრუნველყოფს კრედიტორული დავალიანებებისა და ვადაგადაცილებული სესხების დაფარვას.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გასარკვევად ადგენენ საგადასახადო ბალანსს, რომელშიც აისახება ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა. კერძოდ, დავალიანებათა მთლიანი მოცულობა (ბანკის ვადაგადაცილებული სესხები, მომწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანებები, ბიუჯეტის მიმართ შეუსრულებელი დავალებები, შრომის ანაზღაურების დავალიანება და სხვ.); დავალიანებათა წარმოშობის მიზეზები (სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატული მარაგები ან პირიქით, მათი ნაკლებობა, გადატვირთულ საქონელზე ანაზღაურების დაგვიანება, საბრუნავ საშუალებათა კაპიტალურ მშენებლობაში გადაქაჩვა და ა.შ.); ფინანსური დაძაბულობის მოხსნის წყაროები (ბანკის კრედიტების მოზიდვა საბრუნავი საშუალებების შესაძენად, ზენორმატული მარაგების დროული რეალიზაცია, დროებით თავისუფალი საკუთარი სახსრების გამოყენება, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება და ა.შ.).

9.2. ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაცია აბრარულ საწარმოში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაცია დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, მმართველობით სტრუქტურაზე, ქვედანაყოფების სტრუქტურაზე, აღრიცხვისა და დაგეგმვის ფორმებზე.

ანალიზის ძირითადი ეტაპი საჭირო ინფორმაციის მომზადებაა, რომლის საშუალებით შესწავლილი უნდა იქნეს საწარმოს სამეურნეო-საწარმოო საქმიანობა, ობიექტურად უნდა შეფასდეს შედეგები ანუ გამოვლინდეს წარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები. საბოლოო ანგარიშით კი, დაისახოს საწარმოს შემდგომი განვითარების ორიენტირები.

ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც ოფიციალური, ისე სხვადასხვა აღრიცხვის მასალები. პირველს მიეკუთვნება ბუღალტრული ჩანაწერები, სტატისტიკური, ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები, ხოლო მეორეს – საგადასახადო სამსახურების შემოწმების მასალები, პრესის მონაცემები, მოხსენებითი ბარათები, სხვადასხვა კორესპონდენციები საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებთან და ა.შ.

ინფორმაციის შერჩევა და მოპოვება დამოკიდებულია ეკონომიკური ანალიზის მიზანზე, მასშტაბზე (მთელი საწარმო თუ მხოლოდ სტრუქტურული ქვედანაყოფი), მიმართულებაზე (მთელი სამეურნეო საქმიანობა თუ მხოლოდ ცალკეული სფეროები) და ა.შ. მაგალითად, საწარმოს

შიგასამეურნეო რგოლების საქმიანობის ოპერატიული ანალიზისათვის ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ უნდა იქნეს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, ტექნოლოგიური რუკები და სამუშაო გეგმები, ზოოტექნიკური აღრიცხვის ჟურნალი, ოპერატიული აღრიცხვის მასალები და ა.შ.

საწარმოს საქმიანობის პერიოდული ანალიზის ჩატარებისას ინფორმაციის ძირითადი წყარო საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების საანგარიშო მასალებია. ამ დროს გაიანგარიშება ძირითადი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები, მათი ურთიერთკავშირები, თითოეული ფაქტორის გავლენის ხარისხი შედეგიანობაზე. ამასთან, განსაზღვრავენ ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, წარმოების გაფართოებისა და მოგების გადიდების რეზერვებს და სახაზეინ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ფინანსურ ღონისძიებებს საწარმოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი იწყება ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების შესწავლით. ბუნებრივი პირობების ქვეშ მოიაზრება წყლისა და ტემპერატურის რეჟიმები, ადგილმდებარეობის რელიეფი, ექსპოზიცია, ნიადაგის ტიპები, ჰუმუსის შემცველობა, ბუნებრივი საკვებ-საკარგულების ბოტანიკური შემადგენლობა და ა.შ. რაც შეეხება ეკონომიკურ პირობებს, მათ მიაკუთვნებენ საწარმოს ადგილმდებარეობას, სიახლოვეს მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან, ქალაქებთან, გადამამუშავებელ საწარმოებთან, სატრანსპორტო არტერიებთან და სხვა იმ პირობებს, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხარჯებს.

ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ანალიზი საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მიღწეული შედეგები და განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური პერსპექტივები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდის (კონცენტრაციის) ანალიზისას გამოიყენება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, საწარმოო კაპიტალის ღირებულების, პირუტყვის სულადობის, დასაქმებული მუშახელის რაოდენობის და სხვა მაჩვენებლები, რომელთაც ანალიზებენ დინამიკაში და უდარებენ იმავე საწარმოო პირობებისა და მიმართულების მქონე საწარმოებს.

საწარმოს სპეციალიზაციის განსაზღვრის მაჩვენებლებად გამოიყენება როგორც პირდაპირი (ძირითადად სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა), ისე ირიბი (არაპირდაპირი) მაჩვენებლები. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მთლიანი პროდუქციის, შრომითი დანახარჯების, წარმოების ფაქტორების, ნათეს-ნარგაობათა სტრუქტურა და ა.შ.

ამ მაჩვენებლებით ადგენენ, თუ რამდენად შეესაბამება დარგთა და კულტურათა არსებული შეთანაწყობა (სტრუქტურა) ჩამოყალიბებულ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებს, რამდენად შესაბამისობაშია ერთმანეთთან საწარმოში არსებული მთავარი მაპროფილებელი და დამხმარე დარგები, რამდენად უწყობს ხელს მათი მოცულობები (სიდიდეები) წარმოების ფაქტორების ეფექტიან გამოყენებას საწარმოში არსებულ დარგებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის განხორციელებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად წარმოების ინტენსიფიკაციის დონისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენაა. ამ მიზნით გამოიყენება ფართობის ერთეულზე ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულების, პირუტყვის სიმჭიდროვის, შეტანილი სასუქების, შესრულებული სატრაქტორო სამუშაოების მოცულობა და სხვა მაჩვენებლები.

ინტენსიფიკაციის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავენ მთლიანი პროდუქციის გამოსავლიანობით ფართობის ერთეულზე, საშუალო წლიურ მუშაკზე და საწარმოო ფონდების ერთეულზე. აგრეთვე მოგების მოცულობით და წარმოების რენტაბელობის დონით. ამ მიმართულებით სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა წარმოების ინტენსიურობის ზრდის მაჩვენებელი შედარდეს საბოლოო მაჩვენებლების ზრდის ტემპებთან, რაზეც კეთდება შესაბამისი დასკვნები სამომავლოდ (ანუ რაც მეტი იქნება ინტენსიფიკაციის შედეგობრივი მაჩვენებლების ზრდის ტემპი ინტენსიურობის ზრდის ტემპებთან შედარებით, მით ეფექტიანად მიმდინარეობს ინტენსიფიკაციის პროცესი).

წარმოების ინტენსიფიკაციის მაჩვენებელი ასევე უნდა შეედარდეს ანალოგიურ პირობებში მყოფ საწარმოთა მაჩვენებლებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებაში დამატებით დაბანდებულ შრომასა და წარმოების საშუალებებისა და მათ ხარჯზე მიღებული შედეგების ანალიზს.

9.3. ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ორიენტირები აბრარულ საწარმოში

აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება წარმოების ძირითადი საწარმოო კაპიტალით უზრუნველყოფა და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობაა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება კაპიტალუზრუნველყოფისა და კაპიტალშეიარაღების მაჩვენებლები და დგინდება საგეგმო და საბაზო პერიოდებთან მათი დინამიკა (გადახრა). შემდეგ უნდა განისაზღვროს ძირითადი სახის საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ფაქტობრივი მაჩვენებლების ნორმატივებთან შედარების გზით. ამ დროს მნიშვნელოვანია ტრაქტორების, კომბაინების, სატრანსპორტო და სხვა საშუალებების ფაქტობრივი უზრუნველყოფა შედარებულ იქნეს მათზე მოთხოვნილების იმ დონესთან, რომელიც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩასატარებლად.

იმავდროულად საჭიროა გაანალიზდეს და შეფასდეს ის ცვლილებები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მოხდა ძირითადი კაპიტალის სტრუქტურაში (მიჯდომლობაშია აქტიური და პასიური ძირითადი კაპიტალის თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებები).

ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ანალიზის საგანია მათი ფიზიკური მდგომარეობის მაჩვენებელთა შეფასება ანუ მათი საექსპლუატაციო ეარგისიანობის და კვლავწარმოების განსაზღვრა. ამ მიზნით გამოიყენება ძირითადი კაპიტალის ცვეთის, მწყობრიდან გამოსვლის, განახლებისა და მატების კოეფიციენტები (განახლების ტემპების მეტობა მწყობრიდან გამოსვლის ტემპებზე, ძირითადი კაპიტალის გაყართოებული კვლავწარმოების მაჩვენებელია).

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ასევე უმოქმედო მოწყობილობების, მოძველებული კონსტრუქციისა და ზენორმატული ძირითადი კაპიტალის გამოვლენა, რომლის სხვა მიმართულებით გამოყენება კაპიტალუკუგების ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლის (კაპიტალუკუგების) შესაფასებლად მას ადარებენ გასული წლების, აგრეთვე საშუალო რაიონულ ან მოწინავე საწარმოთა მაჩვენებლებს. მასზე მოქმედი ფაქტორების (მთლიანი პროდუქციის მოცულობა და ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება) რაოდენობრივი გავლენის შესაფასებლად გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში არსებული სატრაქტორო პარკის გამოყენების ანალიზისათვის გამოიყენება ერთი ეტალონური ტრაქტორის საშუალო წლიური გამომუშავების, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საშუალო წლიური გამომუშავების მაჩვენებლები, რომლებიც უდარდება ნორმატიულ და სხვა მოწინავე საწარმოთა ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ერთი ეტალონური ტრაქტორის საშუალო წლიური გამომუშავების დასადგენად გამოიყენება ფორმულა:

$$ბ_{ი ე} = Ტ_{ი ე} \cdot ნ_{დღ} \cdot კ_{(ს)} \cdot ხ_{(ს)} \cdot ბ_{ს ა}$$

სადაც $ბ_{ი ე}$ – ერთი ეტალონური ტრაქტორის საშუალო წლიური გამომუშავებაა, $Ტ_{ი ე}$ – ტრაქტორის საშუალო წლიური რაოდენობა, $ნ_{დღ}$ – წლის განმავლობაში ტრაქტორის მიერ ნამუშევარ დღეთა რაოდენობა, $კ_{(ს)}$ – ცვლის კოეფიციენტი, $ს_{(ს)}$ – ცვლის ხანგრძლივობა (საათი), $ბ_{ს ა}$ – ტრაქტორის საშუალო საათური გამომუშავება ეტალონურ პექტრებში.

თითოეული ამ ფაქტორის გავლენა ტრაქტორის წლიური გამომუშავების მოცულობაზე ასევე შეიძლება დადგინდეს

ჯაჭვური წასმის წესით.

ანალოგიური მიდგომით შეიძლება გაანალიზდეს საწარმოში არსებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მუშაობა წლის განმავლობაში, რისთვისაც იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$მ_{ტბ} = ა_{სწ} \cdot ნ_{დღ} \cdot ხ_{სდ} \cdot კ_{სმ} \cdot ს_{მს} \cdot კ_{გ} \cdot ტ_{ს} \cdot კ_{ტ},$$

სადაც $მ_{ტბ}$ – ტვირთბრუნვის მოცულობაა ტკმ-ში, $ა_{სწ}$ – ავტომობილების საშუალო წლიური რაოდენობა, $ნ_{დღ}$ – ერთი ავტომობილის ნამუშევარი დღეები წელიწადში, $ხ_{სდ}$ – სამუშაო დღის ხანგრძლივობა (სთ), $კ_{სმ}$ – სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტი, $ს_{მს}$ – მოძრაობის საშუალო სიჩქარე, კმ/სთ, $კ_{გ}$ – გარბენის გამოყენების კოეფიციენტი, $ტ_{ს}$ – მანქანის საშუალო ტვირთამწეობა, ხოლო $კ_{ტ}$ – მანქანის ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში გამოყენებული წარმოების ფაქტორებიდან ეკონომიკურ ანალიზს ექვემდებარება შრომითი რესურსების გამოყენებაც. ამ მიზნით მუშახელის ფაქტობრივ რაოდენობას უდარებენ გეგმურ ან ნორმატიულ მაჩვენებლებს პროფესიებისა და კატეგორიების მიხედვით.

მუშახელის მოძრაობის დასახასიათებლად იყენებენ კადრების დენადობის კოეფიციენტს (გათავისუფლებული მუშაკების რაოდენობის შეფარდება საშუალო წლიურ რაოდენობასთან), ხოლო შრომითი რესურსის გამოყენების შესაფასებლად – მის სტრუქტურას და გამოყენების დონეს, აგრეთვე შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების დონეთა თანაფარდობას.

შრომითი რესურსის გამოყენების ანალიზისათვის იყენებენ ერთი მუშაკის მიერ წლის განმავლობაში გამომუშავებული დღეების (საათების), აგრეთვე წლიური სამუშაო ფონდის გამოყენების მაჩვენებლებს. ასეთი მიდგომით ანალიზდება მუშაკთა თითოეული კატეგორია და საწარმოს მთლიანი შრომითი რესურსი.

საერთოდ, საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების მიხედვით შრომითი რესურსის გამოყენების ეფექტიანობას გამოხატავს შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი. მას აღარებენ გეგმურ მაჩვენებელს, აგრეთვე წარსული წლებისა და მოწინავე საწარმოთა მონაცემებს, ავლენენ მისი ზრდის რეზერვებს და სახავენ შესაბამის ღონისძიებებს სამუშაო ძალის უკეთ გამოსაყენებლად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საწარმოო პროგრამების შესრულების ანალიზი წარმოადგენს.

მიწათმოქმედების საწარმოო პროგრამის შესრულების ანალიზისათვის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი პროდუქციის წარმოების მაჩვენებელია. იგი გაიანგარიშება, როგორც ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ასევე მთლიანად დარგის მიხედვით. ანალიზისათვის გამოიყენება ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლები. ანალიზს ექვემდებარება მოსავლიანობაზე და საერთო პროდუქციაზე მოქმედი ფაქტორები, მათ შორის ნათეს-ნარგაობათა სტრუქტურა, მოცულობა და მოსავლიანობის დონე. თითოეული ამ ფაქტორის გავლენა პროდუქციის წარმოებაზე დგინდება ჯაჭვური წასმის წესით.

ანალიზის ობიექტია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრუქტურა, სავარგულების გამოყენების მაჩვენებლები. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწის ხარისხს, მეტეოპირობებს და სხვა ფაქტორების რაოდენობრივ გავლენას, ანალიზდება მოსავლიანობის დინამიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მეცხოველეობის საწარმოო პროგრამის შესრულების ანალიზიც მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობის დადგენით იწყება. ანალიზდება მასზე მოქმედი ფაქტორები. კერძოდ, ხარისხიანი საკვებით უზრუნველყოფა, პირუტყვის შენახვისა და მოვლა-პატრონობის პირობები, ჯოგის სტრუქტურა, ჯიშობრივი შემადგენლობა, მექანიზაციის დონე და სხვა ფაქტორები. ყველა ეს ფაქტორი უშუალო გავლენას ახდენს როგორც პირუტყვის სულადობაზე, ისე მათ პროდუქტიულობაზე. თითოეული ფაქტორის გაანალიზება შეიძლება ჯაჭვური წასმის ხერხით ან აბსოლუტური სხვაობის მეთოდით.

ჯოგის კულავწარმოების ანალიზისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა

სისტემა, რომელიც კვლავწარმოების ცალკეულ სტადიებს გვიხასიათებს: დედა-პირუტყვის დაგრილების ხასიათი, ნამატის მიღების და დაცვმის მაჩვენებლები, ძროხების ბერწიანობის დონე, დედა-პირუტყვის გამოწუნების დონე და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე პირუტყვის სულადობის დასახული პროგრამის შესრულებას, რისთვისაც ფაქტობრივი სულადობა უდარდება გეგმურს.

ანალიზის საგანია ასევე პირუტყვის პროდუქტიულობაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კვების რაციონი და პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები.

მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების დარგების საწარმოო პროგრამის შესრულების ეკონომიკური ანალიზი მთავრდება წარმოების შემდგომი გაყვარ-თოებისა და მოგების მოცულობის გადიდების რეზერვების გამოვლენით და ამ დარგების განვითარების პერსპექტივების დასახვით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაანალიზებაა. მას ახორციელებენ დინამიკაში. მიღებულ ფაქტობრივ შედეგებს უდარდებენ გეგმურ მონაცემებს, აგრეთვე მოწინავე საწარმოთა შესაბამის მაჩვენებლებს.

თვითღირებულების ანალიზის მიზნით აწარმოებენ საგეგმო და ფაქტობრივი საბაზისო წლის თვითღირებულების, აგრეთვე პროდუქციის საგეგმო და ფაქტობრივ მოცულობაზე გაწეული დანახარჯების გაანგარიშებას და შედარებას.

ერთ-ერთი ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებელი ამ მიმართულებით მთლიანი პროდუქციის ერთეულზე დანახარჯის გაანგარიშებაა, რაც მიიღება მთლიანი დანახარჯების ჯამის გაყოფით პროდუქციის ღირებულებაზე.

ანალიზის პროცესში კრიტიკულად ფასდება პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების რაოდენობა და სტრუქტურა, პროდუქციის კაპიტალტევადობა და სხვა მაჩვენებლები, მთლიან დანახარჯებში შრომის ანაზღაურებისა და ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის წილების ურთიერთკავშირი (თუ პირველის წილი მცირდება და მეორისა კი, პირიქით, მაღლდება, ეს მეტყველებს ტექნიკური დონისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე).

მთლიან დანახარჯებთან ერთად მნიშვნელოვანია ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების დანახარჯების სტრუქტურის, დონისა და დინამიკის ანალიზი. მეტი დამაჯერებლობისათვის მიღებულ შედეგებს უდარებენ ანალოგიურ საწარმოო პირობებში მყოფი საწარმოების შესაბამის მონაცემებს.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი სახის ფორმულა:

$$პ_ო = (დ_ბ : მ_ა) + დ_ცხ$$

სადაც $პ_ო$ – პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაა, $დ_ბ$ – მუდმივი დანახარჯების ჯამი ერთ პა ფართობზე ან ერთ სულ პირუტყვზე (ლარი), $მ_ა$ – სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა ან პირუტყვის პროდუქტიულობა, ხოლო $დ_ცხ$ – ერთ ცენტნერ პროდუქციაზე ცვალებადი დანახარჯები (ლარი).

ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებით უნდა დადგინდეს ძირითადი ფაქტორების გავლენა ცენტნერი პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების გეგმური თვითღირებულებისაგან გადახრაზე. ამ მიზნით ტარდება ფაქტორული ანალიზი 9.3 ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით.

პირველ ეტაპზე გამოითვლიან პროდუქციის გეგმიურ თვითღირებულებას, რომელიც ჩვენ მაგალითში შეადგენს:

$$პ_ო = \frac{დ_ბა}{მ_ბ} + დ_ცხბ = \frac{90}{23} + 20 = 23,9 \text{ ლარი/ც}$$

ფაქტობრივი თვითღირებულება ტოლია:

$$პ_ოფ = \frac{დ_ბფ}{მ_ფ} + დ_ცხფ = \frac{110}{26} + 24 = 28,6 \text{ ლარი/ც}$$

პირობითი თვითღირებულება I ტოლი იქნება:

$$პ_ო = \frac{დ_ბა}{მ_ფ} + დ_ცხბ = \frac{90}{25} + 20 = 23,5 \text{ ლარი/ც}$$

პროდუქციის დასახელება	მუდმივი დანახარჯები 1 პაზე (1 სულზე), ლარი		მოსაელიანობა (პროდუქტიულობა) ც		ცვლადი დანახარჯები 1 ცენტნერზე, ლარი		თვითღირებულება				გადახრა გეგმიდან			
												მათ შორის		
	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	გეგმიური	პირობითი I	პირობითი II	ფაქტობრივი	გადახრის საერთო ჯამი	მოსაელიანობის გავლენით	მუდმივი დანახარჯების გავლენით	ცვლადი დანახარჯების გავლენით
სამარცვლე სიმინდი	90	110	23	25	20	24	23.9	23.5	24.2	28.6	4.7	-0.4	0.7	4.4
. . . . .														
რძე	900	1000	2200	2000	150	170	50	35	58	60	12	-15	25	2
. . . . .														

პირობითი თვითღირებულება II ტოლი იქნება:

$$პ_{II} = \frac{დ_{ეგ}}{მ_{ფ}} + დ_{ფაქ} = \frac{110}{26} + 20 = 24,2 \text{ ლარი/ც}$$

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამარცვლე სიმინდის ფაქტობრივი თვითღირებულების გეგმიურთან გადახრამ სულ შეადგინა 4,7 ლარი ერთ ცენტნერზე (28,6-23,9). მათ შორის მოსაელიანობის გაუიღების გავლენით 0,4 ლარი (23,9-23,5). მუდმივი დანახარჯების გადიდების ხარჯზე 0,7 ლარი (24,2-23,5) და ცვლადი დანახარჯების გადიდების ხარჯზე 4,4 ლარი (28,6-24,2). ამ შემთხვევაში უფრო სიღრმისეული ანალიზის საგანი ცვლადი დანახარჯები ხდება, რადგან მასზე მოდის მთელი გადახრის 93,6%.

ანალოგიური მიდგომით შეიძლება ჩატარდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის თვითღირებულების ფაქტობრივი ანალიზი და გამოვანილ იქნეს თვითღირებულების შემცირების თუ გადიდების მიზეზები.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ძირითადად, შესაძლებელია წარმოების გადიდების და წარმოების დანახარჯების შემცირების რეზერვების ამოქმედებით, მთლიანი სამეურნეო და მთლიანი წარმოების დანახარჯების ეკონომიით, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში პროგრესული აგროტექნიკური, ზოოტექნიკური და სხვა ეფექტური ღონისძიებების განხორციელებით და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეტი ობიექტურობისთვის, საჭიროა შედარდეს არა მარტო ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები (ნატურალური თუ ღირებულებითი), არამედ შესადარებელ საწარმოთა ძირითადი საშუალებების აღჭურვილობისა (კაპიტალშეიარაღება, კაპიტალუზრუნველყოფა) და წარმოების ინტენსივობის ღონეები.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარებისას საჭიროა საწარმოს წმინდა შემოსავლის მოცულობის გაანგარიშება, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს და შედარდეს ერთმანეთთან სხვადასხვა საწარმოებში წარმოების ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობა, მიუხედავად იმისა, ფინანსირდება წარმოება საკუთარი თუ ნასესხები სახსრების ხარჯზე. პროდუქცია წარმოებულია საკუთარ მიწის სავარგულზე თუ არენდით აღებულ მიწაზე. იგი იანგარიშება ფორმულით:

$$ წშ = შ + ი_{გ} + პ_{კ} $$

სადაც წშ – წმინდა საწარმოო შემოსავალია, შ – მოგების მოცულობა, $ი_{გ}$ – არენდის გადასახადი, $პ_{კ}$ – კრედიტის პროცენტული გადასახადი.

ყურმარმერთათვის, გარდა ამ მაჩვენებლისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საწარმოს მთლიანი შემოსავალი (რომელიც წარმოადგენს საწარმოს წმინდა შემოსავლისა და ოჯახის წევრების შრომის ანაზღაურების ჯამს) და რენტაბელობის კოეფიციენტი, გათვლილი, როგორც მთლიანი შემოსავლის შეფარდება წარმოებაში ჩადებულ საკუთარი

შრომისა და კაპიტალის ალტერნატიული ღირებულების ჯამითან. ამ შემთხვევაში შრომის ალტერნატიული ღირებულება გაიანგარიშება სხვა ალტერნატიულ საქმიანობაში შრომის დაბანდების შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხოლო საკუთარი კაპიტალის ალტერნატიული ღირებულება კი, როგორც სარგებელი, რომელიც მის მფლობელს შეეძლო მიეღო ამ კაპიტალის საქმიანობის სხვა სყეროში დაბანდების გზით.

9.4. აბრარულ საწარმოთა საწარმოო-ეკონომიკური ფუნქციონირების ზღვრული ანალიზი

წარმოების ფაქტორების მოცულობასა და წარმოებულ პროდუქციას შორის რაოდენობრივ დამოკიდებულებას საწარმოო ფუნქცია ეწოდება.

მისი დადგენა აუცილებელია ნებისმიერი წარმოების ფაქტორის (შრომა, მიწა, კაპიტალი) შეძენისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის გაანგარიშებისას, რაც, ძირითადად, ზღვრული ანალიზის გზით ხორციელდება. ზღვრული ანალიზის საგანია როგორც ზღვრული დანახარჯები, ასევე ზღვრული შემოსავალი, მოგება და ა.შ.

ცხრილში 9.4 ნაჩვენებია რაოდენობრივი კავშირი წარმოებული ყველის რაოდენობასა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

ცხრილი 9.4

კავშირურთიერთობა პროდუქციის წარმოებასა და დანახარჯებს შორის

წარმოებული ყველის რაოდენობა, კგ	მთლიანი დანახარჯი, ლარი	მუდმივი დანახარჯი, ლარი	ცვლადი დანახარჯი, ლარი	საშუალო მუდმივი დანახარჯი, ლარი	საშუალო ცვლადი დანახარჯი, ლარი	საშუალო მთლიანი დანახარჯები, ლარი	ზღვრული დანახარჯები, ლარი
0	3.0	3.0	0	–	–	–	–
1	3.3	3.0	0.3	3.0	0.3	3.3	0.3
2	3.8	3.0	0.8	1.5	0.4	1.9	0.5
3	4.5	3.0	1.5	1.0	0.5	1.5	0.7
4	5.4	3.0	2.4	0.75	0.6	1.35	0.9
5	6.5	3.0	3.5	0.6	0.7	1.3	1.1
6	7.8	3.0	4.8	0.5	0.8	1.3	1.3
7	9.3	3.0	6.3	0.43	0.9	1.33	1.5
8	11.0	3.0	8.0	0.38	1.0	1.38	1.7
9	12.9	3.0	9.9	0.33	1.1	1.43	1.9
10	15.0	3.0	12.0	0.3	1.2	1.5	2.1

საშუალო მთლიანი დანახარჯი, მართალია, გვიჩვენებს, თუ რა ჯდება პროდუქციის ერთეულის წარმოება, მაგრამ ის არ პასუხობს კითხვას – როგორ შეიცვლება მთლიანი დანახარჯი, თუ საწარმოში შეიცვლება წარმოების დონე.

სოფლად საქონელმწარმოებელს უნდა აინტერესებდეს არა მარტო ის, თუ რა ჯდება ერთი კილოგრამი ყველი საერთოდ, არამედ ისიც, თუ რა ჯდება ყველის წარმოების გაზრდა ერთი ერთეულით (ერთი კილოგრამით). ამ ორ მაჩვენებელს, მიუხედავად ეროგეარი მსგავსებისა, სრულიად სხვადასხვა ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია.

კერძოდ, როცა მეცხოველეობის ფერმაში იწარმოება 2 კგ ყველი, მისი მთლიანი დანახარჯია 3,8 ლარი, ანუ საშუალო მთლიანი დანახარჯი ერთ კილოგრამზე უდრის 1,9 ლარს. ზღვრული დანახარჯი კი 0,5 ლარს. ამასთან, როცა ყველის წარმოება 2-დან 3 კგ-მდე, ხოლო მთლიანი დანახარჯი 3,8 ლარიდან 4,5 ლარამდე იზრდება (ანუ საშუალო დანახარჯი 1,5 ლარამდე მცირდება, ხოლო ზღვრული დანახარჯი უკვე 0,7 ლარს შეადგენს 4,5-3,8), შესაბამისი კავშირებია მომდევნო კილოგრამების დამატებისას.

ამდენად, თუ პროდუქციის მოცულობას პ-თი აღვნიშნავთ, მთლიან დანახარჯებს – $Д_{მთ}$-ით, საშუალო მთლიან დანახარჯებს – $Д_{სმთ}$, ხოლო ზღვრულ დანახარჯებს $Д_{ზდ}$-ით, მაშინ მათ შორის კავშირი მათემატიკურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

$$Д_{სმთ} = Д_{მთ} : პ_{ნ} ; \quad Д_{ზდ} = \Delta Д_{მთ} : \Delta პ_{ნ}$$

სადაც Δ პნ გვიჩვენებს ცვლილებებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობაში და მასზე გაწეულ დანახარჯებში.

როცა ცნობილია მთლიანი დანახარჯები და მისი დინამიკა, შესაძლებელია

გაიანგარიშოთ როგორც საშუალო მთლიანი დანახარჯი, ასევე ზღვრული დანახარჯები.

9.4 ცხრილიდან ჩანს, რომ როცა ზღვრული დანახარჯი ნაკლებია საშუალო მთლიან დანახარჯზე, მაშინ ეს უკანასკნელი მცირდება, ხოლო როცა ზღვრული დანახარჯი საშუალო მთლიან დანახარჯზე მეტია, მაშინ საშუალო მთლიანი დანახარჯი პირიქით, იზრდება.

ასევე ჩანს, რომ ყველის წარმოების 6-ზე მეტი კილოგრამით გაზრდისას საშუალო მთლიანი დანახარჯი იზრდება, რაც, თავის მხრივ, აისახება ზღვრული შემოსავლების შემცირებაზე.

ამავე კონტექსტში განსახილველია ზღვრული პროდუქტიც (შემოსავალი). ზღვრული პროდუქტი არის პროდუქტის ნამატი, რომელიც მიიღება წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი) წარმოებაში ერთი ერთეულით გაზრდის შედეგად. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ცხრილიდან 9.5.

ცხრილი 9.5

კავშირურთიერთობა დანახარჯებსა და ზღვრულ პროდუქტს შორის

მიწის ფართობი, ჰა	პროდუქციის გამოსავალი, ლარი	მუდმივი დანახარჯი, ლარი	ცვლადი დანახარჯი, ლარი	სულ მუდმივი და ცვლადი დანახარჯები, ლარი	ზღვრული პროდუქტი, ლარი
0	0	300	0	300	500
1	500	300	100	400	400
2	900	300	200	500	300
3	1200	300	300	600	200
4	1400	300	400	700	100
5	1500	300	500	800	0

კერძოდ როცა ფერმერი (რომელსაც გააჩნია 1 ჰა მიწა) წარმოებაში რთავს კიდევ 1 ჰა მიწას, პროდუქციის გამოსავალი იზრდება 500-დან 900 ლარამდე ანუ წარმოებაში დამატებით ჩართული 1 ჰა მიწის ზღვრული პროდუქტი 400 ლარია, როცა ჰექტრების რაოდენობა სამამდე იზრდება, პროდუქციის გამოსავალი 900-დან 1200 ლარამდე იზრდება ანუ მე-3 ჰა-ს ზღვრული პროდუქტი 300 ლარია. ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ წარმოებაში წარმოების ფაქტორის დამატებითი ჩართვის კვალობაზე ადგილი აქვს ზღვრული პროდუქტის თანდათან შემცირებას, ანუ ადგილი აქვს კლებადი ნაყოფიერების კანონის პრაქტიკულ გამოვლინებას.

ზღვრული ანალიზის საგანს წარმოადგენს ასევე ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების ოპტიმალური თანაფარდობა ანუ მოგების მაქსიმიზაციის საკითხი.

9.6 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ როცა მეცხოველეობის ფერმა საერთოდ არ აწარმოებს გასაყიდ რძეს, მისი ზარალი პირობითად 30 ლარს შეადგენს. როცა ფერმა ამუშავებს და ბაზარს პირველ ცენტნერ რძეს მიაწვდის, მისი მოგება 10 ლარი ხდება, ორი ცენტნერის მიწოდების შემთხვევაში 40 ლარი და ა.შ. მიწოდებული რძის გარკვეულ რაოდენობამდე. ამიტომ ფერმერმა ის მომენტი უნდა შეარჩიოს, როცა მიწოდებული რძის რაოდენობას მოგების მაქსიმუმი შეესაბამება. ესაა მე-4 და მე-5 ცენტნერის შემთხვევაში, როცა მოგება თავის მაქსიმუმს – 70 ლარს აღწევს.

ცხრილი 9.6

კავშირურთიერთობა ზღვრულ დანახარჯებსა და მოგებას შორის

1 ცენტ. ფასი 60 ლარი

გასაყიდი რძის რაოდენობა, ცენტნერი	მთლიანი შემოსავალი, ლარი	მთლიანი დანახარჯი, ლარი	მოგება, ლარი	ზღვრული შემოსავალი, ლარი	ზღვრული დანახარჯი, ლარი
0	0	30	-30	60	20
1	60	50	10	60	30
2	120	80	40	60	40
3	180	120	60	60	50
4	240	170	70	60	60
5	300	230	70	60	70
6	360	300	60	60	80
7	420	380	40	60	90
8	480	470	10	60	–

პრაქტიკულად იგივე სურათს ვღებულობთ ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული დანახარჯების დაპირისპირებით. კერძოდ, პირველი ცენტნერი რძის ზღვრული შემოსავალი 60 ლარია, ხოლო ზღვრული დანახარჯი – 20 ლარი ანუ

პირველი ცენტნერი რძე მოგებას ზრდის 40 ლარით (-30-დან 10 ლარამდე). მეორე ცენტნერი რძის ზღვრული შემოსავალი კვლავ 60 ლარია, ზღვრული დანახარჯი კი 30 ლარი ანუ მოგება იზრდება 10-დან 40 ლარამდე და ასე გრძელდება მანამ, სანამ არ დგება მე-4 ცენტნერის რიგი, რომლის დროსაც ზღვრული შემოსავალი და ზღვრული დანახარჯები ტოლია (60 ლარი). აქედან გამომდინარე, მე-5 ცენტნერი რძე მოგებას შეამცირებს 70 ლარიდან 60 ლარამდე. მოგებას ამცირებს ასევე რძის მომდევნო მოცულობებიც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფერმერმა ბაზარზე მისაწოდებელი რძის რაოდენობა მხოლოდ 4 ცენტნერამდე უნდა გაზარდოს.

იგივე დამოკიდებულება მჟღავნდება მუშახელის რაოდენობასა და შექმნილი პროდუქციის მოცულობას შორის.

ცხრილი 9.7

კავშირურთიერთობა შრომის დანახარჯებსა და ზღვრულ მოგებას შორის

პროდუქციის ერთეულის ფასი 10 ლარი

მუშახელის რაოდენობა, კაცი	პროდუქციის მოცულობა, კგ	შრომის ზღვრული პროდუქტი, კგ	შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება, ლარი	ერთი მუშის ხელფასი, ლარი	ზღვრული მოგება, ლარი
0	1	2	3	4	5
1	100	100	1000	500	500
2	180	80	800	500	300
3	240	60	600	500	100
4	280	40	400	500	-100
5	300	20	200	500	-300

როგორც 9.7 ცხრილიდან ჩანს, პირველი მუშა, რომელსაც ფერმერი მოსავლის აღებისათვის ქირაობს, მომგებიანია. მას ფერმერისათვის 500 ლარის მოგება მოაქვს. როცა ფერმერი მუშების რაოდენობას ერთიდან ორამდე გაზრდის (ანუ ერთ დამატებით მუშას კიდევ ჩართავს მოსავლის აღებაში), აღებული მოსავლის რაოდენობა 100 კგ-დან 180 კგ-მდე გაიზრდება ანუ მეორე მუშის მიერ შექმნილი ზღვრული პროდუქტი 80 კგ-ია. ამრიგად, მეორე მუშის ჩართვაც საქმეში მომგებიანია (მას ფერმერისათვის 300 ლარის მოგება მოაქვს. ამ თვალსაზრისით მომგებიანია ასევე მე-3 მუშის ჩართვაც (რომელსაც შეუძლია ფერმერს 100 ლარი მოგება მოუტანოს), მაგრამ მე-4 მუშის ჩართვა მოსავლის აღებაში უკვე აღარ იქნება მომგებიანი, მას პირიქით, შეუძლია 100 ლარით აზარალოს ფერმერი), რის გამოც მოცემულ შემთხვევაში ფერმერმა მოსავლის აღებაში სულ სამი მუშა უნდა დაასაქმოს.

ანალოგიურად განისაზღვრება მოთხოვნა მიწასა და კაპიტალზე ანუ ფერმერი (მეწარმე) მანამდე ზრდის დასაქირავებელი (შესაძენი) მიწისა და კაპიტალის რაოდენობას წარმოებაში, სანამ თითოეული მათგანის ზღვრული პროდუქტის ღირებულება ამ ფაქტორის ფასს არ გაუტოლდება.

ზღვრული ანალიზის ჩატარებისას შეიძლება ვიხელმძღვანელოთ რამდენიმე აქსიომატური დებულებით:

– როცა ზღვრული დანახარჯი ზღვრულ შემოსავალზე ნაკლებია, ფერმერს შეუძლია მოგების გაზრდა მეტი პროდუქციის წარმოების გზით;

– თუ ზღვრული დანახარჯი ზღვრულ შემოსავალზე მეტია, ფერმერს შეუძლია მოგების გაზრდა პროდუქციის წარმოების შემცირების გზით. პროდუქციის წარმოების (მიწოდების) გაზრდა ან შემცირება გრძელდება მანამ, სანამ ზღვრული დანახარჯი და ზღვრული შემოსავალი ტოლი არ იქნება (ანუ ერთმანეთს არ გაუტოლდება);

– ფაქტორის ზღვრული პროდუქტი დამოკიდებულია ამ ფაქტორის წარმოებაში ჩართულ რაოდენობაზე (მოცულობაზე);

– წარმოების ნებისმიერ ფაქტორში გადახდილი ფასი ამ ფაქტორის ზღვრული პროდუქტის ღირებულების ტოლია;

– კლებადი ნაყოფიერების კანონის მოქმედების (ზღვრული პროდუქტის კლებადობა) გამო, საწარმოო ფაქტორს, რომლის მიწოდება შედარებით დიდია, დაბალი ზღვრული პროდუქტი და შესაბამისად დაბალი ფასი აქვს. ხოლო ფაქტორს, რომლის მიწოდება შედარებით შეზღუდულია, მაღალი ზღვრული პროდუქტი და მაღალი ფასი აქვს (წარმოება ერთი მთლიანი პროცესია და ამდენად, ერთი რომელიმე ფაქტორის მიწოდების ან შეზღუდვის ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს ყველა სხვა ფაქტორის ფასის ან უკუგების არსებითი შეცვლა).

9.5. აგროწარმოებაში დამატებითი დაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი

საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას საქონლის წარმოების (მომსახურეობის) მუდმივად განახლებადი პროცესი წარმოადგენს (ფართო გაგებით, წარმოების პროცესი მოიცავს როგორც საკუთრივ წარმოებას, ასევე განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას).

ნებისმიერი საქონელმწარმოებელი, მათ შორის აგრომეწარმეც, ცდილობს აწარმოოს რაც შეიძლება მეტი იაფი და ხარისხიანი პროდუქტი, რათა მიიღოს მაქსიმალური მოგება კონკურენტებთან შედარებით. ამ მიზნის მიღწევის გზაზე მეწარმის წინაშე უამრავი ალტერნატიული აზრი და კითხვა ჩნდება, რომლებიც შეიძლება ძირითადად შემდეგ ჯგუფებად იქნეს გაერთიანებული:

ა) რა სახის და რაოდენობის წარმოების რესურსი (ფაქტორი) იქნეს შეძენილი და გამოყენებული წარმოებაში;

ბ) რა სახის და ოდენობის პროდუქცია (მომსახურება) იქნეს წარმოებული;

გ) რესურსების რა კომბინაცია იქნეს გამოყენებული თითოეული სახის პროდუქციის წარმოებაში.

ყველა ალტერნატივაზე პასუხი, ბუნებრივია, წინასწარ არ იქნება ცნობილი, რადგან პრაქტიკულ საქმიანობაში თითოეულ მეწარმეს მრავალ სპეციფიკურ თავისებურებასთან უხდება შეხება, მაგრამ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად არსებობს მთელი რიგი ეკონომიკური პრინციპებისა (აქსიომატური დებულებებისა), რომელთა ცოდნა აუცილებელია თითოეული საქონელმწარმოებლისათვის. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

აგრომეწარმე წინასწარ დასახული საწარმოო პროგრამის შესაბამისად, როგორც წესი, იყენებს მრავალი დასახელების ძირითად და საბრუნავ კაპიტალს. მათ შორისაა მიწა, სამუშაო ძალა, თესლი და სარგავი მასალა, მინერალური და ორგანული სასუქები, კომბინირებული საკვები, მცენარეთა და პირუტყვის მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებები და ა.შ. ამასთან, მეწარმეს თავისუფლად შეუძლია წარმოების ფაქტორების (რესურსების) ცვლა, რითაც ის ფაქტობრივად ცვლის ფაქტორთა შორის თანაფარდობას, რაც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს (განაპირობებს) პროდუქციის გამოსავლიანობის დონეს პირუტყვისა თუ ფართობის ერთეულზე.

პროდუქციის გამოსავლიანობა, როგორც წესი, შეიძლება გაიზარდოს დანახარჯების ზრდასთან ერთად, მაგრამ ეს ზრდა, უმეტეს შემთხვევაში, არ არის აუცილებლად პირდაპირპროპორციული. წარმოების ფაქტორებსა და წარმოებულ პროდუქციას შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა (ურთიერთკავშირი), რომელიც „ფაქტორი–პროდუქტის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ თანაფარდობა, რომელიც ყალიბდება ერთი რომელიმე ცვლადი ფაქტორის (მაგალითად, აზოტოვანი სასუქის) სხვადასხვა რაოდენობის დამატებით სხვა რომელიმე მუდმივი ფაქტორის (მაგალითად, მიწის) უცვლელ რაოდენობასთან.

საერთოდ, თანაფარდობა „ფაქტორი–პროდუქტი“ წარმოადგენს საწარმოო რესურსის დანახარჯისა და მიღებული პროდუქტის ურთიერთობას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ასევე მზარდი და კლებადი. მათ შორის „ფაქტორი–პროდუქტის“ მუდმივი თანაფარდობა არ არის ტიპური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ის შეიძლება ჩამოყალიბდეს ზოგიერთი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ნედლეულის) სამრეწველო გადამუშავების დროს. მაგალითად, ყურძნისაგან ქიშმიშის, ვაშლისა და ატმისაგან ჩირის, რძისაგან ყველის გამოსავლიანობას შორის და ა.შ.

„ფაქტორი–პროდუქტის“ მზარდი თანაფარდობა შეიძლება ჩამოყალიბდეს დანახარჯების მეტად დაბალი დონის და პროდუქციის გამოსავლიანობის მაღალი დონის პირობებში, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფართობის გასარწყავების, მინერალური სასუქების პირველად გამოყენების შემთხვევაში ან ადრე გაწეული დაბანდებების შედეგად და ა.შ.

აგროწარმოებაში „ფაქტორი–პროდუქტის“ თანაფარდობის ყველაზე ტიპურ ფორმად კლებადი თანაფარდობაა მიჩნეული, საიდანაც სათავეს იღებს კლებადი შემოსავლიანობის (უკუგების) კანონი.

აღნიშნულ კანონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროწარმოების ორგანიზაციაში.

ცხრილ 9.8-ში ნაჩვენებია მოსაცემები სამარცვლე სიმინდის წარმოებაში მინერალური სასუქის დანახარჯსა და სიმინდის მარცვლის გამოსაელიანობის შესახებ. მის პირველ სვეტში ასახული ციფრები წარმოადგენს ფაქტორის (სასუქის) ცვალებად რაოდენობას, რომელიც ფართობის ერთეულზე ყოველ მომდევნო ვარიანტში იზრდება 10 კგ-ით. მინერალური სასუქის თანმიმდევრული გადიდებისას (ერთსა და იმავე ფართობზე) ნამეტი პროდუქტის გამოსავალი (ნატურაში) თანდათან ეცემა და იგი მე-9 ვარიანტში ნულს უტოლდება. ასეთ ვითარებაში, როცა არსებობს პროდუქტის ნამეტი გამოსავალი ფაქტორის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების დროს და შესაბამისი ფასები (როგორც პროდუქტზე, ისე ფაქტორზე), აგრომეწარმისთვის აღვილია დააღგინოს, თუ ფაქტორის რომელი კომბინაცია იძლევა მაქსიმალურ მოგებას.

ცნობილი ეკონომიკური პრინციპის თანახმად, მაქსიმალური მოგება მიიღება პროდუქტის წარმოების ისეთი მოცულობის დროს, როცა ნამეტი პროდუქტის (სიმინდის) ღირებულება მაქსიმალურად ჭარბობს ნამეტი რესურსის (აზოტოვანი სასუქის) ღირებულებას. ხოლო, ეკონომიკურად გამართლებული კომბინაცია იქნება ის ვარიანტი, რომელშიც ფაქტორის მაქსიმალური მოცულობის დროს ნამეტი პროდუქციის ღირებულება ნამეტი დანახარჯის ტოლი აღმოჩნდება.

9.8 ცხრილიდან ჩანს, რომ მაქსიმალური მოგება მიიღება მეორე ვარიანტში, რომელშიც ნამეტი პროდუქტის ღირებულება მაქსიმალურად ჭარბობს ნამეტი რესურსის ღირებულებას, ხოლო ოპტიმალურ ანუ ეკონომიკურად გამართლებულ კომბინაციად – მერვე ვარიანტი, სადაც ნამეტი პროდუქტის ღირებულება და ნამეტი რესურსის ღირებულება ტოლია.

დამატებითი დაბანდების ეფექტიანობის ანალიზი საშუალებას აძლევს აგრომეწარმეს, დაადგინოს ერთი რომელიმე ცვალებადი ფაქტორის მეორე ფაქტორის მუდმივ სიდიდესთან კომბინაციის ყველაზე ხელსაყრელი პროპორცია, რომლის დროსაც ცვლადი ფაქტორის დამატებითი დაბანდება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ დამატებით მიღებული პროდუქტის ღირებულება ფარავს დამატებით დაბანდებული ცვალებადი ფაქტორის უკანასკნელი ერთეულის ღირებულებას. ეს ნიშნავს, რომ აგრომეწარმეს შეუძლია მუდმივი ფაქტორის უცვლელობისას განაგრძოს ცვალებადი რესურსის დამატებითი დაბანდება მანამ, სანამ ნამეტი პროდუქტის ღირებულება ფარავს ნამეტი დაბანდების ღირებულებას.

ცხრილი 9.8

რესურსის გამოყენების ეფექტიანობის ანგარიში

1 ცენტნერი სიმინდის ფასი – 50 ლარი
1 კგ აზოტოვანი სასუქის ფაიზ – 0.5 ლარი

სასუქის შეტანის დოზა, კგ	სიმინდის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე	სულ მოსავალი 1 ჰა-ზე, ლარი	სულ აზოტის ღირებულება, ლარი	სულ დანახარჯები, ლარი	მოსავლიანობის ნამეტი, ცენტნერი	ნამეტი მოსავლის ღირებულება, ლარი	ნამეტი რესურსის (აზოტის) ღირებულება, ლარი
0	15.0	750	0	750	0	0	0
10	16.0	800	5	795	1.0	50	5
20	16.8	840	10	830	0.8	40	5
30	17.4	870	15	855	0.6	30	5
40	18.0	900	20	880	0.6	30	5
50	18.4	920	25	895	0.4	20	5
60	18.7	935	30	905	0.3	5	5
70	18.8	940	35	905	0.1	5	5
80	18.8	945	40	905	0	0	5

დამატებითი დაბანდების ეფექტიანობის ანალიზის დროს ყურმარის წინაშე მრავალი პრობლემა შეიძლება დადგეს. კერძოდ, შეიძლება არ იქნეს გარკვეული, თუ რა უნდა ჩაითვალოს ცვალებად ფაქტორად და რა მუდმივ ფაქტორად. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მიწა, რომელსაც, როგორც წესი, მუდმივ ფაქტორებს მიაკუთვნებენ. ეს პრინციპი აგროსაწარმოთა უმრავლესობის მიმართ სწორია, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ მიწა ყოველთვის როდი წარმოადგენს მუდმივ ფაქტორს. ყოველი ფაქტორი, რომელიც დანახარჯებთანაა დაკავშირებული, შეიძლება იყოს მუდმივი მხოლოდ წარმოების მოკლევადიან პერიოდში. წარმოების გრძელვადიან პერიოდში მიწა, ისევე როგორც სამუშაო ძალა, სასუქი და სხვა საშუალებები ცვალებად ფაქტორებად გვევლინება.

„ფაქტორი–პროდუქტის“ თანაფარდობის ანალიზისას არც თუ იშვიათად აგრომეწარმის წინაშე დგება სხვა პრობლემაც. კერძოდ, მიწათმოქმედების თუ მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში ამა თუ იმ ცვლადი რესურსის დამატებითი დაბანდების გავლენის საწყისი დონე ხშირად არ წარმოადგენს იმ წერტილს, რომელიც პროდუქციის ნულოვან დონეს შეესაბამება. ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით სიმინდის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანა შესაძლებელია სასუქების, შხამქიმიკატების, რწყვისა და სხვა ფაქტორების გამოყენების გარეშეც. ასევეა მეცხოველეობაშიც (რძე ან წონამატი შეიძლება მიიღონ ბუნებრივი საკვები სავარგულების ხარჯზე). ამიტომ წარმოებაში მონაწილე თითოეული ცვალებადი ფაქტორისათვის „ფაქტორი–პროდუქტის“ თანაფარდობის ეფექტი უნდა განისაზღვროს იმ პროდუქტის გაუთვალისწინებლად, რომელიც ამ ფაქტორის მონაწილეობის გარეშეა მიღებული.

„ფაქტორი–პროდუქტის“ თანაფარდობის აღწერილი მაგალითი და გამოსაყენებლად ვარგისია ნებისმიერი რესურსისათვის (მისი კორექტირება შეიძლება, თუ სასუქზე ან სიმინდზე ფასი შემცირდება ან გადიდდება). მაგალითად, პირუტყვის საკვებისა და წველადობის, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაელიანობის ურთიერთკავშირის (თანაფარდობის) დადგენის დროს და ა.შ.

აგრომეწარმეს, როგორც წესი, საქმე აქვს მრავალდარგოვან საწარმოსთან, ამიტომ თითოეული დარგის სიდიდის განსაზღვრისა და შეზღუდული რესურსების კონკურენტ დარგებს შორის განაწილების დროს მან უნდა იხელმძღვანელოს თითოეული დარგიდან (კულტურიდან) შედარებითი შემოსავლიანობის ეკონომიკური პრინციპით. მას შეუძლია ეს პრობლემა (დარგის სიდიდის განსაზღვრა და რესურსების კონკურენტ დარგებს შორის განაწილება) გადაწყვეტილად ჩათვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელ რესურსს კონკურენტი დარგების ქვეშ ისე გაანაწილებს, რომ უკანასკნელი ჰექტრიდან მიღებული სუფთა შემოსავალი თანაბარი იქნება ყოველი ალტერნატიულ (კონკურენტ) დარგში. ასეთ ვითარებაში მისთვის არ არის პრობლემა როგორ გაანაწილოს რესურსის უკანასკნელი ერთეული (ჰექტარი, ტონა და ა.შ.). მან ამ შემთხვევაში უკვე იცის რამდენი რესურსი გამოყოს თითოეული კონკურენტი დარგისათვის და როდის გაღაანაწილოს ის სხვა დარგებში ყოველი ჰექტრიდან მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

თანაფარდობა „ფაქტორი–პროდუქტი“ სწორედ მოსავლიანობის გათანასწორების პროცესს ეკრდნობა. იგი დამოკიდებულია მოგების განმსაზღვრელ სამ ძირითად ელემენტზე: კერძოდ, პროდუქტის მოცულობაზე (ნატურაში) პროდუქტის ერთეულის ფასზე და პროდუქტის ერთეულზე გაწეულ დანახარჯზე.

როცა შეზღუდულ წარმოების რესურსს რამდენიმე მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია (ანუ შეიძლება რესურსი გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კონკურენტი კულტურისათვის) ეკონომიკური პრინციპის თანახმად ის იმგვარად უნდა განაწილდეს, რომ ნამეტი პროდუქტის ღირებულება, რესურსის უკანასკნელი ერთეულის გამოყენებისას, ყველა კულტურისათვის დაახლოებით თანაბარი იყოს.

მაგალითად, ვთქვათ აგრომეწარმეს აქვს 45 ჰა მიწა. აწარმოებს სამი კულტურის მოვლა-მოყვანას, თითოეული კულტურა გაადგილებულია თანაბრად 15-15 ჰექტარზე. მეწარმეს აქვს ახლოვანი სასუქი სულ 10 ტონა. როგორ უნდა გამოიყენოს მან შეზღუდული რესურსები, თუ „ა“ კულტურის ერთი ცენტნერის

სარეალიზაციო ფასი შეადგენს 130 ლარს, „ბ“ კულტურისა 110 ლარს, ხოლო „გ“ კულტურისა 60 ლარს, რაც შეეხება აზოტოვან სასუქს, მისი ყოველი კილოგრამის ფასი 0.5 ლარია.

როგორც 9.9 ცხრილიდან ჩანს, აზოტოვანი სასუქის საწყისი დოზა 65 კგ-ს შეადგენს სამივე კულტურისათვის. ამავე ოღენობით იზრდება ის ყველა მომდევნო ვარიანტში. იმისათვის, რომ შესრულდეს ზემოაღნიშნული პირობა (რესურსის უკანასკნელი ერთეულის გამოყენებისას), უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ნამეტი პროდუქციის ღირებულება, რომელიც მიიღება აზოტოვანი სასუქის ყოველი დამატებული (65 კგ) დოზიდან. შემდეგ უნდა განაწილდეს სასუქი თითოეული კულტურისათვის მაქსიმალური სარგებლიანობის (მოგების) გათვალისწინებით.

სასუქის პირველი და მეორე ტონა უნდა განაწილდეს „ა“ და „ბ“ კულტურებზე, რომლებსაც ყველაზე მეტი ნამეტი პროდუქტის ღირებულება აქვს (შესაბამისად, 390 და 440 ლარი).

მესამე და მეოთხე ტონები უნდა განაწილდეს „ბ“ და „გ“ კულტურებზე (შესაბამისად, 330 და 300 ლარი) და ა.შ., მანამ, ყიდრე რესურსი არ ამოიწურება მთლიანად. კერძოდ, მეხუთე და მეექვსე ტონები „ა“ და „გ“ კულტურებზე (234 და 240 ლარი), მეშვიდე და მერვე ტონები „ა“ და „ბ“ კულტურებზე (195 და 165 ლარი), მეცხრე და მეათე ტონები ასევე „ა“ და „ბ“ კულტურებზე უნდა განაწილდეს, რადგან აქ ნამეტი პროდუქტის ღირებულება „გ“ კულტურასთან შედარებით მაღალია.

რესურსის ასეთი განაწილება აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას რესურსების გამოყენებიდან მაქსიმალური მოგების მიზნით მათი თანაბარზომიერი სარგებლიანობის მიხედვით განაწილების შესახებ.

ჩვენ მაგალითში 10 ტონა სასუქის განაწილების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იქნება: „ა“ კულტურისათვის 4 ტონა, „ბ“ კულტურისათვის 4 ტონა და „გ“ კულტურისათვის 2 ტონა.

აგრომეწარმის წინაშე არც თუ იშვიათად დგება საკითხი წარმოებაში გამოყენებული რესურსის შეცვლის შესახებ. მან უნდა იცოდეს, რომ პროდუქციის წარმოების განსაზღვრული მოცულობის პირობებში წარმოების ერთი რესურსის მეორეთი შეცვლა ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია მხოლოდ მა'მინ, როცა შემცველი ფაქტორის ღირებულება (ფასი) ნაკლებია შესაცვლელი რესურსის ღირებულებაზე.

ცხრილი 9.9

რესურსების განაწილება კონკურენტ კულტურათა შორის

„ა“ კულტურა				„ბ“ კულტურა				„გ“ კულტურა			
აზოტის შეტანა, კგ	მოსავლიანობა, ც/ჰა	ნამეტი მოსავალი, ც	ნამეტი მოსავლის ღირებულება, ლარი	აზოტის შეტანა, კგ	მოსავლიანობა, ც/ჰა	ნამეტი მოსავალი, ც	ნამეტი მოსავლის ღირებულება, ლარი	აზოტის შეტანა, კგ	მოსავლიანობა, ც/ჰა	ნამეტი მოსავალი, ც	ნამეტი მოსავლის ღირებულება, ლარი
0	120	–	–	0	120	–	–	0	150	–	–
65	150	30	390	65	160	40	440	65	210	60	360
130	170	20	260	130	190	60	330	130	260	50	300
195	192	18	234	195	210	20	220	195	300	40	240
260	207	15	195	260	225	15	165	260	330	30	160
325	217	10	130	325	235	10	110	325	345	15	90
390	225	8	104	390	242	7	77	390	352	7	42
455	231	6	78	455	248	6	66	455	358	6	36
520	235	4	52	520	253	5	55	520	360	2	12
585	235	–	–	585	257	4	44	585	361	1	6
650	232	-3	-39	650	257	–	–	650	361	–	–

როცა ჯერმერი აანალიზებს რამდენიმე ფაქტორის გამოყენების ეფექტს, მან უნდა შეარჩიოს ამ ფაქტორების ისეთი კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარ განზრახული მოცულობის პროდუქციის წარმოებას და ამავდროულად მინიმალურ დანახარჯებს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

ცხრილი 9.10

კონცენტრირებული საკვებისა და თივის ურთიერთშენაცვლება (136 კგ წონამატისათვის)

კონცენტრირებული საკვები, კგ	თივა, კგ	ფაქტორთა შეცვლის ზღვრული კოეფიციენტი	კონცენტრირებული საკვები, კგ	თივა, კგ	ფაქტორთა შეცვლის ზღვრული კოეფიციენტი
597	453	–	475	723	15:45=0,33
571	498	26:45=0,58	460	768	15:45=0,33
548	543	23:45=0,51	446	813	14:45=0,31
527	588	21:45=0,47	434	858	12:45=0,27
508	633	19:45=0,42	423	903	11:45=0,24
490	678	18:45=0,40	–	–	–

ცხრილი 9.10 ადასტურებს ნათქვამის კანონზომიერებას. მასში გაანალიზებულია თივისა და კონცენტრირებული საკვების თერთმეტი კომბინაცია 136 კგ ხორცის წონამატის მისაღებად.

136 კგ წონამატის მისაღებად საწყის მომენტში საჭიროა 597 კგ კონცენტრირებული საკვები და 453 კგ თივა. ამასთან, დადგენილია, რომ ნორმატივების თანახმად, თუ კვების რაციონს დავამატებთ 45 კგ თივა, მაშინ კონცენტრირებული საკვების დანახარჯი შემცირდება 26 კგ-ით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეცვლის აღნიშნული კოეფიციენტი არაა მუდმივი. ყოველ მომდევნო 45 კგ თივის დამატება სულ უფრო ნაკლებ კონცენტრირებულ საკვებს ცვლის და ბოლოს თივის გადიდება რაციონში 858 კგ-დან 903 კგ-მდე მხოლოდ 11 კგ კონცენტრირებულ საკვებს ცვლის (434-423) ანუ ძალაში შედის კლებადი უკუგების კანონი.

ყველაზე იაფი კომბინაცია თივისა და კონცენტრირებული საკვებისა (136 კგ წონამატის მისაღებად) შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მარტივად, თუ ვიცით თივისა და კონცენტრირებული საკვების ფასები. დავუშვათ, 1 კგ თივა 10 თეთრი, ხოლო კონცენტრირებული საკვები კი 25 თეთრი ღირს. საწყის პოზიციაში 453 კგ თივისა და 597 კგ კონცენტრირებული საკვების ღირებულება 194 ლარია

((453×0,1)+(597×0,25)=194).

თუ ასე გავაგრძელებთ ანგარიშს, მოვნახავთ ყველაზე იაფ კომბინაციას (ჩვენ მაგალითში ეს იქნება მე-5 ვარიანტი).

როცა საქმე ეხება შედარებით ძვირადღირებულ საწარმოო ფაქტორებს, მაშინ ვიყენებთ რესურსების შეცვლის ზღვრულ კოეფიციენტებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რამდენად შეიძლება შემცირდეს ერთი საწარმოო ფაქტორი მეორე ფაქტორის ერთი ერთეულით გადიდების შემთხვევაში. ამ მიზნით:

1. ვადგენთ ფაქტორის შეცვლის ზღვრულ კოეფიციენტს, რომელიც ტოლია

$$\frac{\text{შესაცვლელი ფაქტორის ერთეული}}{\text{შემცვლელი (ახალი) ფაქტორის ერთეული}}.$$

მე-5 პოზიციაში შეცვლის ზღვრული კოეფიციენტი იქნება (შზკ)=18 : 45=0,40.

2. შემდეგ განვსაზღვრავთ ამ ფაქტორების ფასების შებრუნებულ კოეფიციენტს (ფშკ)

$$\text{ფშკ} = \frac{\text{შემცვლელი ფაქტორის ერთეულის ფასი}}{\text{შესაცვლელი ფაქტორის ერთეულის ფასი}}$$

როცა 1კგ თივის ფასი 0,1 ლარია, ხოლო კონცენტრირებული საკვებისა კი 0,25 ლარი ფშკ = 0,1 : 0,25 = 0,40.

3. როცა გვაქვს ეს მონაცემები, უნდა ვიპოვოთ რაციონის ყველაზე იაფი კომბინაცია ერთი ფაქტორის მეორეთი თანდათანობით შეცვლის გზით. ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე იაფი კომბინაცია რესურსებისა მიიღწევა მაშინ, როცა ფასების შებრუნებული კოეფიციენტი ტოლია შეცვლის ზღვრული კოეფიციენტის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მაგალითში მე-5 ვარიანტში ფასების შებრუნებული კოეფიციენტი (0,40, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შემდგომში თივის ახალი დოზის (45 კგ) დამატებით შეცვლის ზღვრული კოეფიციენტი 0,40-ზე დაბალი აღმოჩნდება (ანუ ნაკლები იქნება რესურ-

სების ფასების შებრუნებულ კოეფიციენტზე. რაც თანახმად კანონისა რესურსების ეფექტური კომბინირების შესახებ, ეკონომიკურად არამომგებიანი იქნება.

მოგების მაქსიმიზაციის (ან დანახარჯების მინიმიზაციის), წარმოების მასშტაბის ოპტიმიზაციის, აგრეთვე წარმოების შემდგომი გაგრძელების თუ შეწყვეტის თაობაზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქონელმწარმოებელმა უნდა გაიანგარიშოს არა მარტო წარმოების მთლიანი შემოსავლები და გასაღები, არამედ მთლიანი საშუალო ხარჯებიც. ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული პროდუქტის სიდიდეებიც. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს შემდეგი პრინციპიდან: წარმოებაში დამატებითი რესურსის ჩართვა ყოველთვის არ ნიშნავს მოგების გაზრდას. მოგების სიდიდე შემოსავლებისა და წარმოების ხარჯების მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით საქონელმწარმოებელს არ შეუძლია ზეგაღლენა მოახდინოს პროდუქტის ფასზე (მით უფრო პოლიპოლიურ ბაზარზე). მიზნის მიღწევა მას შეუძლია მხოლოდ ბაზარზე პროდუქტის მიწოდების რეგულირებით, რისთვისაც მან უნდა განსაზღვროს მიწოდების ზუსტი მოცულობა ანუ დააფიქსიროს მომენტი, როცა მიწოდებული საქონლის უკანასკნელი ერთეულისაგან არსებობს დამატებითი მოგების მიღების საშუალება.

ეკონომიკურად გამართლებული მიწოდების მოცულობის განსაზღვრისათვის საქონელმწარმოებელი იყენებს როგორც მთლიანი შემოსავლებისა და დანახარჯების შედარების, ასევე ზღვრული შემოსავლისა და დანახარჯის შედარების მეთოდს. როცა საქონელმწარმოებლის წინაშე დგება საკითხი აწარმოოს პროდუქცია და ექნება თუ არა მას მოგება, გადაწყვეტილების მიღება თითქოს არ უნდა იყოს რთული, რადგან ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მეწარმემ უნდა აწარმოოს პროდუქცია, თუ კი ღებულობს მოგებას, მაგრამ რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილება ასე მარტივად არ მიიღება.

ეკონომიკური პრინციპი გვკარნახობს, რომ მოკლევადიან პერიოდში მეწარმემ მხოლოდ მაშინ უნდა განაგრძოს პროდუქტის წარმოება, თუ მას შეუძლია მიიღოს მოგება ან სარალი, რომელიც ნაკლებია ან ტოლია მისი მუდმივი დანახარჯებისა (ასეთი მიდგომა ნაკარნახებია იმით, რომ მას აქვს არა მარტო ცვლადი, არამედ მუდმივი დანახარჯებიც. თუ იგი წარმოებას საერთოდ შეწყვეტს, შეუწყდება ცვლადი დანაარჯები, მაგრამ მუდმივი დანახარჯების მთელი ოდენობა საკუთარი ჯიბიდან ექნება დასაფარი).

ეს დამოკიდებულება აქსიომის სახით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: თუ პროდუქტის სარეალიზაციო ფასი საშუალო მთლიან დანახარჯებზე დაბალია, მაგრამ მაღალია საშუალო ცვლად დანახარჯებზე, მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანია წარმოების გაგრძელება.

გრძელვადიან პერიოდში ასეთი საქონელწარმოებლები, როგორც წესი, ტოვებენ დარგს, რაც იწვევს ამ სახის პროდუქტის წარმოების და მიწოდების შემცირებას ანუ საბოლოო ანგარიშით, ფასის ამაღლებას.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე ფასი არ დაიწევს საშუალო მთლიანი დანახარჯების დაფარვას (რასაც საქონელმწარმოებლისთვის მოაქვს ეკონომიკური მოგება), რაც, თავის მხრივ, იქნება ინდიკატორი დარგში ახალი საქონელმწარმოებლების მოზიდვისათვის. იგი კვლავ გამოიწვევს პროდუქტის წარმოების და მიწოდების გაღიდებას და დროთა განმავლობაში ფასების შემცირებას (ანუ ბაზარზე ეს პროცესი მუდამ გრძელდება).

იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტის სარეალიზაციო ფასი ნაკლებია საშუალო დანახარჯებზე და ვერ ფარავს საშუალო ცვალებად დანახარჯებსაც კი, მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით უმჯობესია შეწყდეს მისი წარმოება და ამით მეწარმეს დარჩება მხოლოდ მუდმივი დანახარჯების ტოლი სიდიდის სარალი.

პრაქტიკულად იგივე მტკიცდება „ფაქტორი–პროდუქტის“ ურთიერთდამოკიდებულების ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც. კერძოდ:

1. პროდუქციის წარმოების გაზრდა ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია მანამ, ვიდრე წარმოებული პროდუქტის სარეალიზაციო ფასი

აღემატება მისი წარმოების ზღვრულ დანახარჯებს.

2. პროდუქტის წარმოების ოპტიმალური მოცულობა მიღწეულია მაშინ, როცა პროდუქციის წარმოების ზღვრული დანახარჯი გაუტოლდება პროდუქტის სარეალიზაციო ფასს.

3. მაქსიმალური მოგება მიიღება პროდუქტის წარმოების ისეთი მოცულობის დროს, როცა პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი მაქსიმალურად ჭარბობს ამ პროდუქტის წარმოებისათვის გაწეულ დანახარჯს.

4. როცა შეზღუდული წარმოების რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კონკურენტი კულტურის ან დარგისათვის, ის იმგვარად უნდა განაწილდეს მათ შორის, რომ რესურსის უკანასკნელი ერთეულის გამოყენებით მიღებული ნამეტი პროდუქტის ღირებულება ყველა მიმართულებით (კულტურის, დარგის) თანაბარი იყოს.

5. ყველაზე იაფი კომბინაცია წარმოების რესურსებისა მიიღწევა მაშინ, როცა მათი ფასების შებრუნებული კოეფიციენტი გაუტოლდება მათი შეცელის ზღვრულ კოეფიციენტს.

ასეთი ეკონომიკური აქსიომები გამოსადეგია ნებისმიერი საქონელმწარმოებლისთვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ამდენად მათი ცოდნა სავალდებულოა რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ნებისმიერი საქონელმწარმოებელი (ფერმერი, კოოპერატივი, აგროსაწარმო, ფირმა) არა მარტო მწარმოებელია, არამედ წარმოების ფაქტორების ძირითადი მომხმარებელიცაა. რა ეკონომიკური აქსიომებით უნდა იხელმძღვანელონ მათ, როგორც მომხმარებლებმა?

როცა საქონელმწარმოებელი ყიდის თავის პროდუქციას, ის წარმოების დონეს ზრდის იმ ზღვრამდე, რომლის დროსაც საქონლის სარეალიზაციო ფასი ამ საქონლის წარმოების ზღვრული დანახარჯის ტოლია. როცა საქონელმწარმოებელი ბაზარზე გამოდის, როგორც წარმოების რესურსების მყიდველი, მან უნდა შეარჩიოს რესურსის ის რაოდენობა, რომლის დროსაც რესურსზე დანახარჯი (რესურსის ფასი) ზღვრული პროდუქტის ღირებულების ტოლი იქნება. საქონელმწარმოებლის ეს ორივე გადაწყვეტილება ერთი მედლის ორი მხარეა, რაც დასტურდება არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ მათემატიკურადაც. კერძოდ, როგორც ცნობილია, საქონლის ფასი (P) გამრაელებული ზღვრულ პროდუქტზე (mpl) უდრის ხელფასს (W). თუ ამ ტოლობის ორივე მხარეს გავამრაელებთ ზღვრულ პროდუქტზე (mpl), მივიღებთ, რომ P=W:mpl.

ცნობილია, რომ W:mpl=MC (ზღვრ. დანახარჯი). გამოდის, რომ P=mc=PM, ე.ი. პროდუქტის ფასი ამ პროდუქტის ერთეულის წარმოების ზღვრული დანახარჯის ტოლია.

აქედან გამომდინარე, საქონელმწარმოებელი მუშების (ან ნებისმიერი სხვა რესურსის) დაქირავების შემთხვევაში ქირაობს მუშათა იმ რაოდენობას, რომლის დროსაც ზღვრული პროდუქტის ღირებულება ხელფასის ტოლია და აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რომლის დროსაც ერთეული პროდუქტის სარეალიზაციო ფასი ზღვრული დანახარჯის ტოლი იქნება.

9.6. შეშარდებითი უპირატესობის გამოყენების პრინციპი აგროწარმოებაში

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა ადამ სმითმა[*] ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ გადმოსცა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აღმოჩენა. კერძოდ, მისი აზრით, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საქონელმწარმოებლები (საოჯახო მეურნეობები, ფერმები) ისე იქცევიან, თითქოს მათ საქმიანობას მიზანმიმართულად წარმართავს „უხილავი ხელი“ (უცნობი დირიჟორი) და თითოეული მათგანი სასურველ შედეგამდე მიჰყავს.

მისი აზრით: „ყველა გონიერი ოჯახის უფროსის პრინციპია – არასოდეს ეცადოს ოჯახში იმის გაკეთებას, რისი ყიდვაც მას უფრო იაფი დაუჯდება. თერძი არ ცდილობს წაღების შეკერვას, ის მეწაღესთან მიდის და მისგან შეიძენს წაღებს. თვითონ მეწაღეც ასე იქცევა და

ქვეყნის გონიერი ადამიანი. თითოეული აღნობიერებს, რომ უმჯობესია ისე გამოიყენოს თავისი ხელობა, რომ გარკვეული უპირატესობა ჰქონდეს მეზობელთან შედარებით. იყიდოს საკუთარი ნაწარმის ნაწილით ის, რისი ყიდვაც მას ესაჭიროება". (ქართული შესატყვისი – პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პური მიეცი).

ეს არის მართლაც ისტორიული ნაშრომი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, სპეციალიზაციის და პროდუქტთა გაცვლის (ვაჭრობის) სარგებლიანობის შესახებ, რომელსაც თავისი აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს.

ა. სმითის ხსენებული წიგნის გამოცემიდან 41 წლის შემდეგ დევიდ რიკარდომ (რომელიც ასევე ითვლება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგად) თავის ცნობილ წიგნში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" ჩამოაყალიბა შეფარდებითი უპირატესობის თეორია, რომელიც განვლილი პერიოდის (ორ საუკუნეზე მეტი) მიუხედავად დღესაც აქტუალურია.

ა. სმითისა და დ. რიკარდოს დასკვნები საქონლის ურთიერთგაცვლის და საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობების ორმხრივი სარგებლიანობის შესახებ განვლილმა პერიოდმა მთლიანად დაადასტურა. მათი თეორიის ძირითადი ამოსავალი დებულებაა: შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით თითოეული საქონელი (პროდუქტი, მომსახურება) უნდა აწარმოოს ქვეყანამ, რომელსაც ამ საქონლის წარმოებაზე ნაკლები ალტერნატიული დანახარჯი აქვს სხვასთან შედარებით. (ეს პრინციპი ვრცელდება ასევე ცალკეულ ინდივიდებზე და საწარმოებზე).

ტერმინი „შეფარდებითი უპირატესობა" გამოიყენება მაშინ, როცა უნდათ დახასიათონ ან შეადარონ ორი სხვადასხვა საქონელმწარმოებლის ალტერნატიული დანახარჯი ერთსა და იმავე პროდუქტზე. თუ რომელიმე მათგანს აქვს ამ პროდუქტის ნაკლები ალტერნატიული დანახარჯი ე.ი. მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ პროდუქტის წარმოებაში მეორესთან შედარებით. განვიხილოთ შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი კერძო მაგალითზე.

დავუშვათ, ორ ფერმერულ მეურნეობას აქვს პოტენციური შესაძლებლობა აწარმოოს როგორც ხორბალი, ასევე სამარცვლე სიმინდი. წარმოების რესურსების სრული ათვისებისას პირველს შეუძლია 25 ტონა ხორბლის წარმოება 25 ტონა სიმინდის დათმობის ხარჯზე ანუ ამ შემთხვევაში 1 ტონა ხორბალი 1 ტონა სიმინდის ტოლფასია. მეორე ფერმერს შეუძლია 10 ტონა ხორბლის წარმოება 20 ტონა სიმინდის დათმობის ხარჯზე ანუ ამ შემთხვევაში 1 ტონა ხორბალი 2 ტონა სიმინდის ტოლფასია. დავუშვათ ისიც, რომ ავტარკიული (კარისაკეტილი) მეურნეობის პირობებში ორივე მეურნეობა იკმაყოფილებს მოთხოვნას აღნიშნულ პროდუქტებზე და მათ ურთიერთგაცვლას (ვაჭრობას) არ ახდენენ. თუმცა თუ ურთიერთში თავიანთი შრომის პროდუქტებს გაცვლიდნენ, სარგებლობას ნახავდა თითოეული მათგანი და საერთოდ, საზოგადოებაც.

ასეთი დასკვნა ეყრდნობა საყოველთაოდ ცნობილ შეფარდებითი უპირატესობის პრინციპს. კერძოდ, ჩვენ მაგალითში პირველი საწარმო 1 ტ ხორბლის წარმოებისათვის უარს ამბობს 1 ტ სიმინდის წარმოებაზე, მეორე კი 1 ტ ხორბლის წარმოებისათვის შესაბამისად 2 ტ სიმინდზე. ხსენებული პრინციპის თანახმად პირველმა ფერმერულმა საწარმომ ხორბალი უნდა აწარმოოს (რადგან მისი ალტერნატიული დანახარჯი 1 ტ სიმინდია), ხოლო მეორემ კი სიმინდი, რომლის ალტერნატიული დანახარჯი მხოლოდ 0,5 ტონა ხორბალს შეადგენს.

მეორე საწარმოსათვის ურთიერთვაჭრობის პირობებში ხორბლის წარმოება წამგებიანი იქნებოდა, ისევე როგორც პირველისათვის სიმინდის წარმოება. სამაგიეროდ მეორე საწარმოსათვის მომგებიანია სიმინდის, ხოლო პირველისათვის – ხორბლის წარმოება. აღნიშნულის ეკონომიკურ საფუძველს იძლევა ის, რომ როცა პირველი საწარმო სპეციალიზებულია ხორბლის წარმოებაზე. ის თითოეული ტონა ხორბლისათვის თმობს 1 ტ სიმინდს, ხოლო მეორე საწარმო სპეციალიზებულია სიმინდის წარმოებაზე და ის თითოეული ტონა სიმინდის წარმოებისათვის 0,5 ტ ხორბალს თმობს ანუ მას სიმინდის წარმოება 2-ჯერ ნაკლები უჯდება, ვიდრე პირველს, რომელსაც იგივესათვის 1 ტ ხორბალზე უარის თქმა სჭირდება.

ცხრილი 9.11

წარმოების სპეციალიზაცია და ურთიერთვაჭრობის სარგებლიანობა

	წარმოების მოცულობა კარჩაკეტილობის პირობებში, ტონა	წარმოების მოცულობა ქარგახსნილობის პირობებში, ტონა	ურთიერთგაცვლა, გაყიდვები (+); შეძენები (–)	წარმოების მოცულობა ურთიერთვაჭრობის პირობებში, ტონა	მოგება სპეციალიზაციის და ურთიერთვაჭრობის შედეგად, ტონა
I ქვეყანა	ხორბალი 13	ხორბალი 25	ხორბალი +10	ხორბალი 15	ხორბალი 2
	სიმინდი 12	სიმინდი 0	სიმინდი –15	სიმინდი 15	სიმინდი 3
II ქვეყანა	ხორბალი 8	ხორბალი 0	ხორბალი –10	ხორბალი 10	ხორბალი 2
	სიმინდი 4	სიმინდი 20	სიმინდი +15	სიმინდი 5	სიმინდი 1

9.11 ცხრილი აჩვენებს, რომ წარმოების ასეთი სპეციალიზაციისას ქვეყანა პირველი საწარმოდან მიიღებს 25 ტ ხორბალს ანუ 12 ტონით მეტს ჩაკეტილ საწარმოსთან შედარებით, ხოლო მეორისაგან 20 ტ სიმინდს ანუ 16 ტონით მეტს.

ქვეყნებს შორის პროდუქტის ურთიერთგაცვლის (ვაჭრობის) სარგებლიანობას საყურადღებო ხედავს იგივე პრინციპი. კერძოდ, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ქვეყანაში საქონლის ფასებს სხვადასხვა ვალუტაში გამოხატავენ (ლარი, დოლარი, ევრო და ა.შ.), ამიტომ სხვადასხვა საქონლის ფასების შესადარებლად ფარდობით ფასებს იყენებენ, რომლითაც ერთი საქონლის ფასი გამოხატულია მეორე საქონლის ნატურალურ ერთეულებში. ასეთი ფასები საქონლის წარმოების ალტერნატიულ დანახარჯებს გვიხასიათებს და შეფარდებით უპირატესობას და ურთიერთვაჭრობის სარგებლიანობას გვიჩვენებს.

ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში 1 ტ ხორბალი 1000 რუბლი, ხოლო 1 ტ ხილი 200 რუბლი ღირს. საქართველოში შესაბამისად 1000 ლარი და 100 ლარი. იმის გასაგებად, თუ სად უფრო იაფი ჯდება ხორბლის ან ხილის წარმოება, საჭიროა ჯერ ხორბლის ფასი ხილის ერთეულებში გამოვსახოთ. მივიღებთ ფარდობით ფასს, რომელიც გვიჩვენებს ხორბლის იმ რაოდენობას, რომელიც უნდა დათმობილ იქნეს ერთი ტონა ხილის სანაცვლოდ (ერთსა და იმავე ფართობზე ორივეს წარმოება შეუძლებელია).

რუსეთში 1 ტ ხორბლის ფასი 5 ტ ხილის ტოლფასია (1000:200) ანუ, რომ ვიყიდოთ ერთი ტონა ხორბალი, საჭიროა 5 ტონა ხილის გაყიდვა (თუ წარმოებიდან გამოვალთ – ერთი ტონა ხორბლის წარმოებისათვის უნდა დავთმოთ 5 ტ ხილის წარმოება). საქართველოში შესაბამისად ერთი ტონა ხორბლის ფასი 10 ტ ხილის ტოლფასია ანუ 1 ტ ხორბლისათვის უნდა დავთმოთ 10 ტ ხილი. გამოდის, რომ ხილის ტონებში გამოხატული 1 ტ ხორბლის ფასი (ალტერნატიული დანახარჯი) რუსეთში ნაკლებია (5 ტ), ვიდრე საქართველოში (10 ტ), რაც გვეუბნება, რომ რუსეთს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ხორბლის წარმოებაში.

ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ხილის ფასების შედარებაც. კერძოდ, რუსეთში 1 ტ ხილი 1/5 ტ ხორბლის ტოლფასია (200:1000) ანუ 1 ტ ხილის საწარმოებლად უნდა დავთმოთ 200 კგ ხორბალი. საქართველოში კი 1 ტ ხილი 1/10 ტ ხორბლის ტოლფასია ანუ ერთი ტონა ხილისათვის უნდა დავთმოთ მხოლოდ 100 კგ ხორბალი (ორჯერ ნაკლები, ვიდრე რუსეთში). გამოდის, რომ ხილის ფასი (ხორბლის ტონებში) საქართველოში ნაკლებია, ვიდრე რუსეთში, რაც გვეუბნება, რომ საქართველოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა (რუსეთთან შედარებით) ხილის წარმოებაში.

თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ხორბლის ერთეულებში გამოხატული ხილის ფასი ხილის ერთეულებში გამოხატული ხორბლის ფასის შებრუნებული სიდიდეა (ხორბლის ფასი ხილის ერთეულებში რუსეთში უდრის 5-ს, ხოლო საქართველოში 10-ს, ხოლო ხილის ფასი ხორბლის ერთეულებში

შესაბამისად 1/5-ს და 1/10-ს. გამოდის, რომ თუ ხორბლის ფასი ნაკლებია ერთ ქვეყანაში ხილთან შედარებით, მეორე ქვეყანაში ხილის ფასი იქნება ნაკლები ხორბალთან შედარებით (თუ, რა თქმა უნდა, ფასები ზუსტად ერთნაირი არ არის). ამიტომ გამოდის, რომ ერთ ქვეყანას ექნება შეფარდებითი უპირატესობა ერთი საქონლის წარმოებაში, ხოლო მეორეს კი მეორე საქონლის წარმოებაში.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი საშუალებას აძლევს საქონელმწარმოებლებს წარმოების სპეციალიზაციისგან და წარმოებული პროდუქტების გაცვლისგან მიიღონ ეკონომიკური სარგებელი იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე პროდუქტების წარმოების დროს თითოეული მათგანი სარგებლობს შეფარდებითი უპირატესობით ერთი რომელიმე პროდუქტის წარმოებაში.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი ცალკეული მეწარმის (საწარმოს) გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს ფასების მექანიზმის საშუალებით, რომელიც საბაზრო პირობებში მოქმედებს არა მარტო საწარმოში, არამედ მის გარეთაც. რის გამოც მეწარმის გადაწყვეტილებებზე განსაზღვრულ გავლენას, ფასწარმომქმნელი ფაქტორები და კანონზომიერებები ახდენს, ბაზარზე არსებულ მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე. პროდუქტების გაცვლითი ურთიერთობა გამოიხატება ფულად ერთეულებში და არა ნატურალურ ერთეულებში.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის მოქმედება ვლინდება როგორც ნატურალურ, ასევე ფულად თანაფარდობაში, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროდუქტზე საბაზრო ფასის დადგენაში. ეს პრინციპი დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა დარგებისა და პროდუქტების შეფარდებით პოტენციურ შემოსავლიანობაზე. ამ ფაქტორის გათვალისწინება მეწარმისთვის აუცილებელი ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სხვადასხვა პროდუქტის თანაფარდობას განიხილავს და გადასაწყვეტი აქვს, თუ რა კულტურები შეარჩიოს და რა რაოდენობით აწარმოოს თითოეული მათგანი.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. განმარტეთ ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა და მისი კონკრეტული ამოცანები აგრარული საწარმოში.
2. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდები. რაში მდგომარეობს ელიმინირების მეთოდი?
3. განმარტეთ აგრარული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ტიპები. რას ნიშნავს ნორმალური ფინანსური მდგრადობა და არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა?
4. კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ჩაატარეთ მთლიანი მოსავლის ანალიზი ჯაჭვური ჩასმის მეთოდით.
5. რა ეკონომიკური მაჩვენებლები გამოიყენება აგრარული საწარმოში კონცენტრაციის დონის ანალიზისას?
6. ჩამოთვალეთ და განმარტეთ აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიმართულებები.
7. რაზეა დამოკიდებული აგრარული საწარმოში ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაცია და რა ინფორმაციული წყაროები გამოიყენება მის სრულყოფილად ჩასატარებლად?
8. შეადგინეთ ამოცანა და ჩაატარეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.
9. ახსენით წარმოების ფაქტორების მოცულობასა და წარმოებულ პროდუქციას შორის ურთიერთდამოკიდებულების ეკონომიკური არსი, რატომაა აუცილებელი საწარმოო ფუნქციის დადგენა წარმოებაში, გამოსაყენებელი წარმოების ფაქტორების შეძენისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის გაანგარიშებისას?

10. ახსენით ზღვრული დანახარჯების, ზღვრული პროდუქტისა და ზღვრული მოგების არსი და მნიშვნელობა აგროწარმოებაში.
11. განმარტეთ კლებადი ნაყოფიერების კანონის ეკონომიკური არსი.
12. როდის მიიღება მაქსიმალური მოგება აგრარულ წარმოებაში? როდის შეიძლება იყოს ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი წარმოების შეწყვეტა?
13. რა პრინციპით უნდა განაწილდეს შეზღუდული რესურსი (მაგ. სასუქი) რამდენიმე კონკურენტ კულტურას შორის?
14. განმარტეთ წარმოების ფაქტორთა შეცვლის ზღვრული კოეფიციენტის და ფაქტორთა ფასების შებრუნებული კოეფიციენტის ეკონომიკური არსი.
15. ახსენით, როდის მიიღწევა წარმოების ფაქტორების გამოყენების ყველაზე იაფი კომბინაცია და რატომ?
16. რაში გამოიხატება შეფარდებითი უპირატესობის კანონის მოქმედება აგრარულ წარმოებაში? რა გაელენა შეიძლება მოახდინოს შეფარდებითი უპირატესობის პრინციპების ცოდნამ ფერმერის გადაწყვეტილებაზე?

ტესტი

1) აგრარული საწარმოს ეკონომიკური ანალიზის ამოცანას არ შეადგენს:

ა) საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება საანგარიშო პერიოდში
ბ) საწარმოს მუშაობაში დადებითი შედეგების და მათი მიღწევის პირობების გამოვლენა
გ) წარმოების ყველა სტადიაზე ხელშემშლელი პირობების გამოვლენა
დ) საწარმოს ეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება და კონტროლი

2) აგრარული საწარმოს ეკონომიკური ანალიზისათვის არ გამოიყენება:

ა) შედარების მეთოდი
ბ) საბალანსო მეთოდი
გ) ჯაჭვური ჩასმის მეთოდი
დ) ექსპერიმენტული მეთოდი

3) აგრარულ საწარმოში ეკონომიკური ანალიზის ობიექტებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტრუქტურა და გამოყენების მაჩვენებლები
ბ) მეცხოველეობის საწარმოო პროგრამა
გ) მიწათმოქმედების საწარმოო პროგრამა
დ) ყველა პასუხი სწორია

4) წარმოების ნებისმიერ ფაქტორში გადახდილი ფასი ტოლია:

ა) ფაქტორის საბაზრო ფასის
ბ) ფაქტორის ზღვრული დანახარჯის
გ) ფაქტორის ზღვრული პროდუქტის ღირებულების
დ) ფაქტორის ალტერნატული ხარჯების

5) მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებელია წარმოების ისეთი მოცულობის დროს, როცა:

ა) ნამეტი პროდუქტის ღირებულება ტოლია ნამეტი რესურსის ღირებულების
ბ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება მეტია ნამეტი რესურსის ღირებულებაზე
გ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება ნაკლებია ნამეტი რესურსის ღირებულებაზე
დ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება მაქსიმალურად ჭარბობს ნამეტი რესურსის ღირებულებას

6) წარმოების ფაქტორების ყველაზე იაფი კომბინაცია მიიღწევა მაშინ, როცა:

ა) ფასების შებრუნებული კოეფიციენტი ნაკლებია შეცვლის ზღვრულ კოეფიციენტზე
ბ) ფასების შებრუნებული კოეფიციენტი მეტია შეცვლის ზღვრულ კოეფიციენტზე
გ) ფასების შებრუნებული კოეფიციენტი ტოლია შეცვლის ზღვრული კოეფიციენტის
დ) ფასების შებრუნებული კოეფიციენტი მინიმალურას ნაკლებია შეცვლის ზღვრულ კოეფიციენტზე

7) სხვადასხვა საქონლის ფასების შესადარებლად იყენებენ:

ა) საბაზრო ფასებს
ბ) შესადარის ფასებს
გ) ფარდობით ფასებს
დ) შესყიდვის ფასებს

X თავი. აბრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა

10.1. ეკონომიკური ეფექტიანობის არსი, სახეები და ძირითადი მახასიათებლები

წარმოების ეფექტიანობა რთული ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გვიჩვენებს წარმოების ფაქტორების გამოყენებიდან მიღებულ საბოლოო შედეგს. ის გვიხასიათებს წარმოების მიზნებისა და ამოცანების დინამიკას და განსაზღვრავს წარმოების გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობებს. მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, სირთულეს განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში ერთი რომელიმე ძირითადი კრიტერიუმის შერჩევა და მის საფუძველზე წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სრული წარმოდგენის შექმნა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის რამდენიმე სახეს განასხვავებენ. მათ შორის: საწარმოო-ეკონომიკური ეფექტიანობა, საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობა, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და სხვ.

– საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობა გვიხასიათებს წარმოების ფაქტორების გამოყენების დონეს წარმოების პროცესში. მისი ძირითადი მახასიათებლებია მიწათუკუგება, კაპიტალუკუგება, მასალატევადობა და სხვ.;

– სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა ასახავს ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ხარისხს და გვიხასიათებს წარმოების განვითარების, როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ ასპექტებს. მისი ძირითადი მახასიათებლებია: მოგების ნორმა, მოხმარების ფონდი ერთ მუშაკზე, წარმოების რენტაბელობის დონე და სხვ. ამ შემთხვევაში სოციალური ეფექტიანობა მჟღავნდება სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნაში (შრომის ანაზღაურების დონის ამაღლების, შრომისა და დასვენების პირობების, სოციალურ-კულტურული მომსახურების დონის და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით);

– ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა გვიხასიათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესის გარემო ბუნებაზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგებს. მასში შრომით და მატერიალურ დანახარჯებთან ერთად (რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციასთან ან პროფილაქტიკასთან) აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტიანობას, ის განისაზღვრება მიღებული შედეგის შეფარდებით, როგორც გამოყენებულ რესურსებთან, ისე დანახარჯებთან, რაც აუცილებელია იმის გამო, რომ მიღებული შედეგი განპირობებულია როგორც დანახარჯებით, ასევე წარმოებაში ჩართული მთელი რესურსების საერთო მასით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას განასხვავებენ „ეკონომიკური ეფექტის“ და ეკონომიკური ეფექტიანობის“ ცნებებს. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ეფექტი გამოხატავს მიღებული შედეგის აბსოლუტურ მნიშვნელობას მასზე გაწეული დანახარჯების მიუხედავად. ასე მაგალითად, მიწათმოქმედებაში გამოყენებული აზოტოვანი სასუქის ეფექტი, როგორც წესი, მოსავლიანობის მატებით უნდა გამოიხატოს, მაგრამ მიღებული შედეგი (მოსავლის ნამატი) არ იძლევა საშუალებას შეაფასოთ სასუქის გამოყენების სარგებლიანობა, ვიდრე ის სასუქზე გაწეულ დანახარჯებს არ შეუფარდდება.

კერძოდ, თუ მოსავლის ნამატი ერთ საწარმოში ჰექტარზე 5 ცენტნერია, სასუქზე გაწეული ხარჯი (ტრანსპორტირების, შენახვის, შეტანის და ა.შ.) კი 120 ლარი, ხოლო მეორე საწარმოში, შესაბამისად, 4 ცენტნერი და 80 ლარი, მაშინ

ერთ ცენტნერ პროდუქციაზე 50 ლარის ამოგების პირობებში სასუქის გამოყენება უფრო ეფექტიანია მეორე საწარმოში, რადგან მიღებული შედეგისა და მასზე გაწეული ხარჯების ფარდობა აქ უფრო მაღალია (ანუ ერთ ლარზე გაანგარიშებით მიღებულია მეტი პროდუქცია ფულად გამოსახულებაში).

ამდენად, მარტო ეკონომიკური ეფექტით ვერ ვიმსჯელებთ ამა თუ იმ ცალკე აღებული ღონისძიების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულზე პასუხს მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა იძლევა, რის გამოც საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას უფრო მეტ მნიშვნელობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს საწარმოს წინაშე მდგარი ორი ძირითადი ამოცანა. პირდაპირი ანუ მაქსიმალური ეფექტის მიღწევა დანახარჯების მოცემული ღონის პირობებში და არაპირდაპირი ანუ დასახული ეფექტის მიღწევა მინიმალური დანახარჯების პირობებში. ნებისმიერ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში პერიოდულად უწევს როგორც ერთი, ისე მეორე ამოცანის გადაწყვეტა.

სოფლის მეურნეობაში განასხვავებენ ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგ სახეებს:

– სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი დარგის ეკონომიკური ეფექტიანობა;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგებისა და ქვედარგების (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეენახეობა, მელორეობა და ა.შ.) ეკონომიკური ეფექტიანობა;

– ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა (გამოიყენება როგორც საწარმოს დონეზე, ასევე მაკროდონეებზეც);

– სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა;

– სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირების (საქმიანობის) ეკონომიკური ეფექტიანობა;

– ცალკეული სახის საწარმოო-ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა.

ჩამოთვლილი სახეებიდან ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობისა და იმ ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა, რომლებიც საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტ გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ეკონომიკური ეფექტიანობის ყველა აღნიშნული სახე ურთიერთდაკავშირებულია. სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის ეფექტიანობა დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების რაციონალურ გამოყენებაზე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებენ მთლიანი პროდუქციის, წმინდა პროდუქციის და წმინდა შემოსავლის ოდენობას მოხმარებული რესურსების ერთეულზე (იგულისხმება მიწა, შრომა და კაპიტალი).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი ძირითადი კრიტერიუმისა და მაჩვენებლების მიხედვით (კრიტერიუმი – ესაა ძირითადი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა წარმოების ეფექტიანობაზე ან არაეფექტიანობაზე). ზოგადად კრიტერიუმი – ესაა საზოგადოებრივი შრომის დანახარჯის მინიმუმის პირობებში მიღებული ეფექტის მაქსიმუმი (ან საზოგადოებრივი შრომის დანახარჯის მინიმუმი ეფექტის ერთეულზე).

ცალკეული სამეურნეო ობიექტის (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, ფერმერული მეურნეობებისათვის და ა.შ.) სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი მოგების მაქსიმუმია, რადგან ის ასახავს (შეესაბამება) საბაზრო პირობებში ნებისმიერი წარმოების ფუნქციონირების ძირითად მიზანს.

10.2. აგრარულ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდური საფუძვლები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე (განსაკუთრებით არამდგრადი მიწათმოქმედების ზონებში). ამიტომ ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის, წარმოადგენს წარმოების ფაქტობრივი მაჩვენებლების ანალიზი უკანასკნელი 3-5 წლის განმავლობაში. ასეთი მიდგომა გარკვეულწილად ათანაბრებს ამინდის პირობების, მეწლეობის და სხვა პირობების გაელენას, დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ტენდენციებზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელთა გათვლა შეიძლება მიღებული შედეგის დანახარჯებზე გაყოფით ან მიღებულ შედეგსა და მისი მიღებისათვის გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობის დადგენით. ეფექტიანობის მაჩვენებელთა სიმრავლე განპირობებულია შედეგის (ეფექტის) გაზომვის სხვადასხვა ხერხებით და საწარმოო რესურსების მრავალფეროვნებით, რომლებიც განსხვავებული თვისებების გამო უმრავლეს შემთხვევაში არაშესადარისნი არიან.

ზოგადად წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებს ორ ჯგუფად ყოფენ. პირველს მიეკუთვნება მაჩვენებლები, რომლებიც გვიხასიათებს გამოყენებული რესურსების ეფექტიანობას, ხოლო მეორე ჯგუფის მაჩვენებლები კი წარმოების მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობას. პირველ ჯგუფში ერთიანდება შრომის მწარმოებლურობის, კაპიტალუკუგების, რესურსუკუგების და სხვა მაჩვენებლები, ხოლო მეორე ჯგუფში, პროდუქციის შრომატევადობისა და მასალატევადობის მაჩვენებლები, პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელობის დონე და სხვ. არც თუ იშვიათად აღნიშნული ჯგუფების მაჩვენებლები გამოიყენება კომპლექსურად განსაკუთრებით საწარმოს, როგორც ერთიანი სამეურნეო სუბიექტის, ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის.

გარდა ამ კლასიფიკაციისა, წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელ მაჩვენებლებს ყოფენ კერძო და განმაზოგადებელ მაჩვენებლებად. პირველი გვიხასიათებს ცალკეული სახის დანახარჯის ან რესურსის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას (მაგ., კაპიტალუკუგება), ხოლო განმაზოგადებელი მაჩვენებლები მთელი წარმოების დანახარჯის ან მთელი რესურსული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას (მაგ., რესურსუკუგება, რენტაბელობის დონე და სხვ.).

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მთელი საწარმოო რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დასახასიათებლად იყენებენ რესურსუკუგების და მის შებრუნებულ რესურსტევადობის მაჩვენებელს. მათ ანგარიშობენ შესაბამისი ფორმულებით:

$$რ_{უ} = პ_ნ : რ_ზ \quad და \quad რ_გ = რ_ზ : პ_ნ$$

სადაც $რ_{უ}$ და $რ_გ$ – შესაბამისად რესურსუკუგების და რესურსტევადობის მაჩვენებლებია, $პ_ნ$ – მთლიანი პროდუქციის ღირებულება, ხოლო $რ_ზ$ – რესურსული პოტენციალი. (საწარმოს რესურსული პოტენციალი – ესაა შრომითი, მატერიალური და ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა, თითოეული მათგანის სტრუქტურის, ხარისხისა და რაოდენობის გათვალისწინებით. საწარმოო პოტენციალი კი – საწარმოს უნარი და შესაძლებლობაა აწარმოოს პროდუქცია ობიექტურად არსებული შრომითი, მატერიალური და ბუნებრივი რესურსების პირობებში. სხვა სიტყვებით, ესაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ის პოტენციური მოცულობა, რომელიც საწარმოს შეუძლია აწარმოოს მის განკარგულებაში არსებული საწარმოო ფაქტორების პირობებში.

საწარმოო პოტენციალის რესურსებთან შეფარდება გვიხასიათებს პროდუქციის წარმოებაზე ობიექტურად არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას, ხოლო წარმოებული პროდუქციის მოცულობის შეფარდება რესურსულ პოტენციალთან კი – როგორც

ობიექტური, ასევე სუბიექტური (მმართველობითი) ფაქტორების გავლენას წარმოების საერთო ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემოსავლის მაჩვენებელს. ესაა სხვაობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეული მთლიან დანახარჯებს შორის.

განასხვავებენ მის ორ სახეს: წარმოებული წმინდა შემოსავალი და რეალიზებული წმინდა შემოსავალი. პირველი გაიანგარიშება წარმოებული მთლიანი პროდუქციის და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობით, ხოლო მეორე – მხოლოდ რეალიზებული პროდუქციის და დანახარჯების სხვაობით. ეს უკანასკნელი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელია. ის ითვლება მიღებული ეფექტის აბსოლუტურ მაჩვენებლად, თუმცა, იმის გამო, რომ მის გათვლაში მონაწილეობს როგორც დანახარჯები, ასევე ეფექტიც (რეალიზებული პროდუქციის ამონაგების სახით), მას მიიჩნევენ აგრეთვე წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლადაც.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისოვის უფრო მეტ ყურადღებას, მოგებისაგან წარმოებული მაჩვენებლები – მათ შორის წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელი იმსახურებს.

რენტაბელობის რამდენიმე სახე არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე ხშირად პროდუქციის რენტაბელობის და ძირითადი და ნორმირებული საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლებს იყენებენ. ჩამოთვლილი რენტაბელობის მაჩვენებლების გაანგარიშებისას წილადის მრიცხველში მოგების მოცულობაა (სარალიან საწარმოებში მის მაგივრად შეჰყავთ სხვაობა გეგმიურ და ფაქტობრივ დანახარჯებს შორის), ხოლო წილადის მნიშვნელში კი ყველა ის ფაქტორი, რომლის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ღონის დადგენაც გვაინტერესებს. ასე მაგალითად, პროდუქციის რენტაბელობის დასადგენად ვიყენებთ ფორმულას

$$რ_ა = (მ : პ_ა) \times 100$$

სადაც მ – მოგების აბსოლუტური მოცულობაა, ხოლო პ$_ა$ – პროდუქციის სრული თვითღირებულება.

თუ პროდუქციის რენტაბელობის დონე 50%-ია, ე.ი. ყოველ 100 ლარ დანახარჯზე საწარმო 50 ლარის მოგებას ნახულობს.

საწარმოს რენტაბელობას გვიხასიათებს ასევე მოგების ნორმაც, რომელიც გულისხმობს მოგების პროცენტულ შეფარდებას ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულების ჯამთან:

$$მ_ნ = \frac{მ_ა}{ფ_ძ + ფ_ბ} \times 100$$

სადაც მ$_ნ$ – მოგების ნორმაა, ფ$_ძ$ – ძირითადი კაპიტალის, ხოლო ფ$_ბ$ – საბრუნავი კაპიტალის ღირებულებაა.

თუ მოგების ნორმა ტოლია 40%-ის, ეს ნიშნავს, რომ საწარმო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ღირებულების ყოველ 100 ლარზე ღებულობს 40 ლარის მოგებას.

ზარალიან საწარმოებში პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლის გაანგარიშების ნაცვლად ანგარიშობენ (გამოითვლიან) დანახარჯების გამოსყიდვის დონეს ფორმულით

$$დ_ად = (პრ_ა : პ_ა) \times 100$$

სადაც დ$_ად$ – დანახარჯების გამოსყიდვის დონეა, პრ$_ა$ – ფულადი ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან, ხოლო პ$_ა$ – პროდუქციის სრული თვითღირებულება.

ეს შეფარდება გვიჩვენებს ფულადი ამონაგების რაოდენობას დანახარჯების ერთეულზე. ცხადია, რომ წარმოება რენტაბელური გახდება მხოლოდ მაშინ, როცა მისი სიდიდე 100%-ს გადააჭარბებს.

სამეურნეო პრაქტიკაში (განსაკუთრებით შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებში) საკუთარი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებლად ხშირად გამოიყენება მოგების ნორმა, რომელიც გაიანგარიშება წმინდა მოგების შეფარდებით კაპიტალთან. რენტაბელობის ჩვეულებრივი მაჩვენებლისაგან ის იმით განსხვავდება, რომ ამ დროს მოგება უფარდდება არა ქონების ღირებულებას ანუ აქტივებს, არამედ ამ ქონების შეძენის წყაროებს ანუ პასივებს.

ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში მოგების ნორმა და რენტაბელობა შეიძლება ტოლი იყოს, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლოა განსხვავებული იყოს.

10.3. აბრარულ საწარმოში აგროტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა

ნებისმიერი სამეწარმეო სუბიექტის მეურნეობრობის საბოლოო მიზანი სულ უფრო მზარდი ოდენობის მოგების მიღებაა. ამ მიზნით საწარმოში სისტემატურად მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა ახალი, უფრო მაღალმწარმოებლური ტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვის, მაღალპროდუქტიული პირუტყვის შემოყვანის და სხვადასხვა პროგრესული ღონისძიებების შემუშავებისა და დანერგვისათვის. ყველა ეს ღონისძიება, საბოლოო ანგარიშით, მიმართულია მოგების გადიდებისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო მაჩვენებლებს არ შეუძლია უპასუხოს კითხვაზე, კერძოდ, რომელი აგროტექნიკური თუ ზოოტექნიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური თუ ორგანიზაციული ღონისძიების გატარებითაა მიღწეული შედეგი. ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო დეტალური ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და შეფასება, რომლებიც სწორად დაგვიხასიათებს ამა თუ იმ კონკრეტული ღონისძიების ეკონომიკურ სარგებლიანობას (შესაძლოა, ზარალიანობასაც).

მიწათმოქმედებაში ამ კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებები, როგორიცაა ნათესი ფართობის სტრუქტურის სრულყოფა, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება, ინტენსიური რესურსდამზოგი ტექნოლოგიებისა და ახალი ჯიშების დანერგვა წარმოებაში და ა.შ. ამ ღონისძიებებმა, უპირველეს ყოვლისა, ასახვა უნდა ჰპოვოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებაში და მიწათმოქმედების საერთო პროდუქციის წარმოების გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში.

ახალი ჯიშის სათესლე და სარგავი მასალის დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, საჭიროა დადგინდეს მოსავლის ნამატი მანამდე არსებულ ჯიშთან (სახესთან) შედარებით. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებიც (შრომატევადობა, პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელობის დონე და სხვა მაჩვენებლები, რადგან ახალი მაღალმოსავლიანი და დაავადებათა გამძლე ჯიშის შეძენის ხარჯები გაცილებით მაღალი იქნება და მოსავლიანობის არაადეკვატური ზრდის პირობებში შეიძლება გამოიწვიოს შედეგობრივი მაჩვენებლების გაუარესება).

შედარებით რთულია რესურსდამზოგი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. პირველ ეტაპზე ამ შემთხვევაშიც საჭიროა შედარება საწარმოში მანამდე არსებულთან. ძირითად მახასიათებლებად ამ დროს იყენებენ მოსავლიანობას, პროდუქციის ხარისხს, შრომის დანახარჯებს ფართობის და პროდუქციის ერთეულზე, საერთო პროდუქციის ნამატს ფართობის ერთეულზე, საწარმოო დანახარჯების მოცულობას ერთ ჰა-ზე, მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლებს.

პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკურ ეფექტს, როგორც წესი, სამი ძირითადი მაჩვენებლით განსაზღვრავენ. ესენია: მოსავლიანობის ნამატი (ძველთან შედარებით), პროდუქციის ხარისხი (მისი გავლენა სარეალიზაციო ფასზე) და პროდუქციის ერთეულის ღირებულება. მას გამოსახავენ შემდეგი ფორმულით:

$$Э_{ა} = (Ц_{ა} - С_{ა}) \cdot В_{ა} - (Ц_{ზ} - С_{ზ}) \cdot В_{ა}$$

სადაც $Э_{ა}$ – პროგრესული ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტია, $Ц_{ა}$ და $Ц_{ზ}$ – პროდუქციის სარეალიზაციო ფასებია ახალი და ბაზისური ვარიანტების პირობებში, $С_{ა}$ და $С_{ზ}$ – პროდუქციის თვითღირებულების ახალი და ბაზისური

ვარიანტები, $მ_ა$ და $მ_ბ$ – კულტურის მოსავლიანობა ახალი და საბაზისო ვარიანტების პირობებში.

პროგრესული ტექნოლოგიის ეფექტი მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვითაც შეიძლება გაითვალოს. მაგალითად, მოსავლიანობის ამაღლების ხარჯზე მიღებული ეფექტი შეიძლება გაიანგარიშოთ ფორმულით

$$ე_მ = (ფ_ბ - ო_ბ)\cdot(მ_ა - მ_ბ),$$

პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხარჯზე მიღებული ეფექტი

$$ე_ხ = (ფ_ა - ფ_ბ)\cdot მ_ა,$$

ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ეფექტი

$$ე_თ = (ფ_ბ - ფ_ა)\cdot მ_ა.$$

შრომის მწარმოებლურობის ზრდას ანგარიშობენ ფორმულით

$$შრ_ბ = \frac{პტ_ა - პტ_ბ}{პტ_ბ}\times 100,$$

სადაც $პტ_ა$ და $პტ_ბ$ – პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებია ერთ კაც-საათზე ახალი და ბაზისური ტექნოლოგიების პირობებში.

პროგრესული ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა ყოველთვის დამატებით დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამადენად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად მნიშვნელოვანია დამატებით განხორციელებული დანახარჯების გამოსყიდვის მაჩვენებლის გაანგარიშება. ის იანგარიშება ფორმულით:

$$ბ_{დხ} = \frac{სპ_ა - სპ_ბ}{სდ_ა - სდ_ბ}\times 100,$$

სადაც $სპ_ა$ და $სპ_ბ$ – მთლიანი პროდუქციის ღირებულებაა ახალი და ბაზისური ვარიანტების დროს, ხოლო $სდ_ა$ და $სდ_ბ$ – საწარმოო დანახარჯები ახალი და ბაზისური ტექნოლოგიების პირობებში.

10.4. მინერალური სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიება, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის, მინერალური და ორგანული სასუქების, აგრეთვე მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებაა. ამ ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისათვის უპირველესად ადგენენ,

– მოსავლის ნამატს ფართობისა და სასუქის კვებითი ღირებულების ერთეულზე ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში;

– პროდუქციის ხარისხის ცვლილებას ქიმიური საშუალებების გამოყენებისაგან (სარეალიზაციო ფასების მატების თუ კლების გათვალისწინებით);

– დამატებითი ხარჯების გამოსყიდვის მაჩვენებელს (ნამატი პროდუქციის ღირებულების შეფარდებით დამატებით ხარჯებთან, რომელიც დაკავშირებულია ქიმიური საშუალებების შეძენასთან, შენახვასთან, მინდორში გატანასთან და დამატებითი მოსავლის აღება-დაბინავებასთან);

– წმინდა შემოსავლის ნამატს, როგორც სხვაობას დამატებით მიღებული მოსავლის ღირებულებასა და ქიმიური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს შორის;

– ქიმიური საშუალებების გამოყენების რენტაბელობის დონეს, რომელსაც ანგარიშობენ ფორმულით:

$$რ_ქ = \frac{წმ_ჯ}{ჯ_ჯ}\times 100,$$

სადაც $რ_ქ$ – ქიმიზაციის რენტაბელობაა, $წმ_ჯ$ – დამატებითი წმინდა შემოსავალი, ხოლო $ჯ_ჯ$ – დამატებითი ხარჯები.

ქიმიზაციის რენტაბელობის მაჩვენებელი იძლევა შედარებით ყველაზე უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მიწათმოქმედებაში ქიმიური საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.

მცენარეთა უზრუნველყოფა საჭირო ქიმიური ელემენტებით განისაზღვრება

კონკრეტული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით, სასუქის ქიმიური შემადგენლობით, შეტანის ნორმებით და დროის მიხედვით. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია გარემო პირობების დაცვის და წარმოებული პროდუქციის უვნებლობის ინტერესები. ნებისმიერ შემთხვევაში მინერალური სასუქის შეძენა, ტრანსპორტირება, შენახვა და მინდორსა და ბაღ-ენახებში შეტანის ორგანიზაცია მიმართული უნდა იყოს დანახარჯების მინიმიზაციაზე, რაც ორი ძირითადი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს:

ა) მცენარეთა კვების ოპტიმალური დოზის შერჩევა ანუ სასუქების ნორმის ოპტიმიზაცია კონკრეტული პირობების (ნიადაგური, კლიმატური, აგროტექნიკური და ა.შ.) და სასუქზე მცენარის მოთხოვნილების გათვალისწინებით;

ბ) განაყოფიერებისათვის საჭირო დანახარჯების მინიმიზაცია ანუ სასუქების გამოყენების ოპტიმიზაცია სასუქებზე დანახარჯების და მიღებული შედეგების თანაფარდობის, აგრეთვე კულტურებსა და დარგებს შორის კონკურენციის გათვალისწინებით.

ორივე მიმართულებით მმართველობითი გადაწყვეტილებების საგანი უნდა იყოს სასუქის ოპტიმალური დოზის შერჩევა, შეზღუდული რაოდენობის სასუქების განაწილება კონკურენტულ კულტურებს შორის, სასუქის სახეების შერჩევა, შეტანის ოპტიმალური ვადის შერჩევა და შეტანის მეთოდის დადგენა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დამოკიდებულება სასუქის გამოყენების დოზებთან განისაზღვრება კლებადი ნაყოფიერების კანონით. კერძოდ, ზღვრული შემოსავლიანობის პრინციპის შესაბამისად, სასუქის ოპტიმალური დოზა განისაზღვრება სასუქის ერთეულის ფასით და მისი გამოყენებით მიღებული მოსავლის ნამატის ფულადი გამოხატულებით. ოპტიმალურია დოზა მაშინ, როცა მოსავლის ნამატის ფულადი ღირებულება გაუტოლდება დამატებით გამოყენებული სასუქის ერთეულის ფასს.

დაცული ტერიტორიების ზონაში სასუქების ოპტიმალური დოზის გაანგარიშებისას, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, მხედველობაში მიიღება ეკოლოგიური ხასიათის შეზღუდვები (განსაკუთრებით წყალსაცავებთან სიახლოვეს).

მინერალური სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს კონკურენტ დარგებსა და კულტურებს შორის სასუქების შეზღუდული მოცულობის (რესურსის) ოპტიმალური განაწილება. ოპტიმალურობის კრიტერიუმს ამ პროცესში წარმოადგენს ყოველ განოყიერებულ ჰექტარზე მაქსიმალური მოსავლიანობის მიღწევა ანუ სასუქების ისეთი განაწილება კონკურენტ კულტურებს შორის, როცა კულტურის ქვეშ შეტანილი სასუქის თითოეული უკანასკნელი ერთეული მოიტანს ამონაგების ერთნაირ ნამატს ყველა კულტურიდან.

ზღვრული შემოსავლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასუქის გამოყენების ოპტიმალური დონე მიღწეულ იქნება მაშინ, როცა ფულად გამოსახულებაში მოსავლის ნამატი თითოეული უკანასკნელი დაბანდებული ლარიდან (დაბანდების ყველა შესაძლო ვარიანტში) იქნება თანაბარი ან ერთ ლარზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე მოქმედებს არა მარტო სასუქის განსაზღვრული რაოდენობა, არამედ სასუქის მცენარემდე მიტანის დროულობაც. რაც უფრო მაღალია მიწათმოქმედების ინტენსივობის დონე, მით მაღალია სასუქის შეტანის ოპტიმალური ვადების განსაზღვრის მნიშვნელობა. ეს ვადა, ძირითადად, დამოკიდებულია მცენარის ზრდა-განვითარების სტადიაზე, სასუქის სახეზე, კონკრეტულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებზე.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ მცენარის ზრდა-განვითარებისათვის უმჯობესია სასუქის არა მთელი დოზის ერთბაშად შეტანა, არამედ ნაწილ-ნაწილ, მცირე დოზებით გამოსაკვებად (განსაკუთრებით მარცვლოვნებისათვის), თუმცა ასეთი წესით სასუქის შეტანას თან ახლავს გაზრდილი შრომითი, მატერიალური და ფულადი დანახარჯები.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასაანალიზებელია, რა წესით და რა დოზით მიიღება მაქსიმალური მოგება სასუქების გამოყენებიდან. მარცვლოვანი კულტურების ქვეშ აზოტოვანი სასუქის ნაწილ-ნაწილ შეტანას მნიშვნელობა აქვს ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან ამ დროს გრუნტის წყლებში აზოტის გამორეცხვის პროცესი მინიმუმამდეა შემცირებული. რაც შეეხება სხვა სახის მინერალური სასუქების

(კალიუმიანი, ფოსფოროვანი) დანაწილებულ შეტანას სხვა კულტურების ქვეშ ის არ იძლევა არსებით ეფექტს, პირიქით, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა შეიძლება გარკვეული მარაგითაც (რეზერვით), რაც უზრუნველყოფს სასუქის შეტანასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირებას. (საბითუმო ფასებით შედარებით დიდი რაოდენობის სასუქის შეძენით, საწავა-საცხები მასალების ხარჯების შემცირებით და შრომითი და ტექნიკური რესურსების გამოყენების ალტერნატიული ჩანაცვლებული ხარჯების შემცირებით).

ზენორმატული დოზით კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა იწვევს „დაბმულ კაპიტალზე" დანახარჯების ზრდას, რადგან სასუქების შეძენაზე გაწეული ფულადი სახსრები დაბმული რჩება წარმოებაში უფრო დიდი ხნის განმავლობაში. გასათვალისწინებელია ასევე სწორი არჩევანი მარტივი და კომპლექსური სასუქების გამოყენებას შორის. ასეთ დროს გადამწყვეტია ფასი მოქმედი ნივთიერების ერთეულზე და დამატებითი ხარჯები სასუქის შეტანაზე. როგორც წესი, მარტივი სასუქები (აზოტოვანი, კალიუმიანი და ა.შ.) უფრო იაფია, კომპლექსურ სასუქებთან შედარებით (რომელიც შეიცავს 2 ან მეტ საკვებ ელემენტს), მაგრამ ეს უკანასკნელი ხასიათდება საკვები ელემენტების დიდი კონცენტრაციით, რაც ამცირებს მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და შეტანის ხარჯებს, მარტივ სასუქებთან შედარებით. ეს უპირატესობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს შრომითი, სატრანსპორტო და სხვა რესურსების შეზღუდულობის პირობებში (მათ შორის სასუქების შენახვის სიმძლავრეებით). ასეთ დროს, ადგილი აქვს რესურსების ალტერნატიული გამოყენების, ჩანაცვლებული დანახარჯების ან შენახვის სიმძლავრეების გაფართოებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების წარმოშობას.

სასუქების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასუქების შეძენის ოპტიმალური დრო. ასე მაგალითად, თუ სასუქი ნაყიდია ნახევარი წლით ადრე, როცა მისი ფასი 8%-ით ნაკლებია, ვიდრე მისი მინდორ-ბაღებში შეტანის წინ და ამ პერიოდში კაპიტალზე საბანკო პროცენტი 8%-ის ფარგლებშია, მაშინ სასუქებში შებოჭილი (გადახდილი) თანხა გამოიწვევს წინასწარ ყიდვით გამოწვეული ნახევრის ტოლ ჩანაცვლებულ ხარჯებს. თუ ამას დავუმატებთ სასუქების დატვირთვა-გადმოტვირთვის, აგრეთვე შენახვისათვის საჭირო დამატებით ხარჯებს, მაშინ წინასწარი შეძენით გამოწვეული ეკონომია კიდევ უფრო არსებითად შემცირდება და შესაძლოა ეს ღონისძიება (სასუქების წინასწარი შეძენა), საბოლოო ანგარიშით, ზარალიანიც აღმოჩნდეს.

ამდენად, სასუქების წინასწარი შეძენა ეკონომიკურად სარგებლიანი იქნება მხოლოდ მისი შენახვისათვის საჭირო სიმძლავრეებისა და საკუთარი ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში ანუ იმ პირობებში, როცა სასუქის ყიდვით მიღებული ფულადი ეკონომია მეტი იქნება მისი შენახვისა და შეტანის დამატებით ხარჯებზე.

მინერალური სასუქების სახეებისა და ფორმებიდან გამომდინარე, გამოყოფენ კრისტალურ, თხევად და აიროვან სასუქებს, რომელთა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ შეტანის ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თხევადი და აირმაგვარი სასუქების შეტანა მაღალი დონით მექანიზებულია, მაშინ როცა კრისტალური ფორმის მქონე ტომრებში დაფასოებული სასუქების შეტანა მოითხოვს შედარებით დიდ შრომით დანახარჯს და შეტანის პროცესი ნაკლებად მექანიზებულია (ხშირად სრულდება ხელით).

10.5. მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული საშუალებების გათვალისწინებით განასხვავებენ ბიოლოგიურ, აგროტექნიკურ და ქიმიური ბრძოლის მეთოდებს. თუმცა თანამედროვე მიწათმოქმედების ინტენსივობის გათვალისწინებით, ბრძოლის ყველა მეთოდი კომპლექსში ანუ მცენარის დაცვის

ინტეგრირებულ სისტემაში უნდა იქნეს განხილული. ასეთი სისტემის ქვეშ გულისხმობენ ეკონომიკურ-ეკოლოგიურად დასაბუთებულ და ერთმანეთთან შეთანხმებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ (მათ დასათრგუნად მავნეობის ზღვარს ქვემოთ).

მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიებებს ჰიგიენური ღონისძიებების გატარება მიეკუთვნება, თუმცა ამ ღონისძიებათა ეკონომიკური ანალიზი დანახარჯების და შედეგების გამოთვლის სირთულის გამო ჭრიად გაძნელებულია (მათი განხილვა იზოლირებულად სხვა ღონისძიებებისაგან სრულად ვერ ხერხდება და ეფექტის მიკუთვნება რომელიმე ღონისძიებაზე უფრო პირობით ხასიათს ატარებს).

მეორე რიგის ღონისძიებებს პროფილაქტიკური და თერაპიული ღონისძიებების გატარება მიეკუთვნება, რომელთა ეფექტიანობის გამოთვლა სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ღონისძიებათა მოქმედების ხანგრძლივობა არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე საწარმოო პერიოდით, რის გამოც ისინი დინამიკაში უნდა იქნეს გაანალიზებული.

ჰიგიენური ღონისძიებებიდან გამოსაყოფია დარაიონებული სათესლე და სარგავი მასალის გამოყენება, თესლბრუნვების გამოყენება, აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოების სრული კომპლექსის დროული შესრულება და ა.შ. ამ ღონისძიებათა ეფექტიანობის ეკონომიკური ანალიზი უნდა ემყარებოდეს მოსავლის დანაკარგებისაგან ხელიდან გაშვებული სარგებლისა (მოგების) და იმ დანახარჯების შეფარდებას, რომელიც საჭირო იყო აგროტექნიკური სამუშაოების დროული და ხარისხოვანი შესრულებისათვის, თესლბრუნვის დანერგვისა და თუ სხვა ღონისძიებების გატარებისათვის.

მცენარეთა დაცვის მეთოდები იყოფა მექანიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მეთოდებად. ყველა შემთხვევაში საჭიროა შერჩეულ იქნეს: ოპტიმალური დოზა ან ღამუშავების ინტენსივობა, ბრძოლის საშუალება და ტექნოლოგია, ღონისძიების შესრულების ოპტიმალური მეთოდები.

როგორც წესი, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეკონომიკური ანალიზი დაფუძნებულია ამ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული ფულად-მატერიალური დანახარჯებისა და იმ შედეგის თანაფარდობაზე, რომელიც მიღწეულია მცენარეთა დაცვის ამა თუ იმ ღონისძიების გატარების შედეგად. დანახარჯები შედგება მცენარეთა დაცვის საშუალების შეძენის ღირებულებისაგან და გამოყენების დანახარჯებისაგან (შესხურება, შეფრქვევა, შეწამვლა და ა.შ.). რაც შეეხება მიღებულ შედეგს, ის განისაზღვრება ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით:

ა) ძირითადი ეფექტი განისაზღვრება მოსავლის იმ ნამატით, რომელიც შენარჩუნებულ იქნა გატარებული ღონისძიების შედეგად. ამასთან, გასათვალისწინებელია თანმდევი ეფექტებიც (პროდუქციის ხარისხი, შრომის პირობების შემსუბუქება და სხვ.);

ბ) როცა მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ძველი მეთოდი იცვლება ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდით, გასათვალისწინებელია დამატებით მიღებული ეფექტი (მოსავლიანობის მატება, პროდუქციის უფრო მეტი უსაფრთხოება მისი უვნებლობის თვალსაზრისით და ა.შ.). თუმცა ზოგიერთი მათგანის რაოდენობრივი აღრიცხვა არც თუ იშვიათად შეუძლებელია (მაგალითად, მოსავლიანობა, რომელიც მრავალ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული).

მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ეკონომიკურმა ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

ა) არის თუ არა მცენარეთა დაცვის ესა თუ ის ღონისძიება საერთოდ ეფექტიანი;

ბ) რამდენი დამუშავების შედეგად მიიღწევა მაქსიმალური მოგება;

გ) რა პერიოდულობით უნდა გატარდეს ღონისძიება მაქსიმალური ეფექტის მისაღებად;

დ) რომელი მეთოდი, რომელი პრეპარატი ან საშუალება არის ყველაზე ეფექტიანი წარმოებაში დანერგილებიდან;

ე) რომელი მეთოდებისა და პრეპარატების კომბინაცია იძლევა ყველაზე უკეთეს ეფექტს.

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა დაავადების გავრცელების კრიტიკული ზღვრის განსაზღვრა. პრაქტიკულად ესაა ზღვარი, როცა მცენარის მავნებლის, დაავადების

თუ სარეველების გავრცელების გამო იწყება მოსავლის დანაკარგი, რომლის შემდეგ დაცვის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენება ეკონომიკურად გამართლებულად ითვლება, რადგან სხვა შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება მეტი აღმოჩნდება მცენარის დაცვის ღონისძიებაზე გაწეულ დანახარჯებზე. ეს მაჩვენებელი იძლევა საშუალებას დავასაბუთოთ მცენარეთა დაცვის ამა თუ იმ ღონისძიების გატარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა. თუ დაავადების გავრცელების ფაქტობრივი ზღვარი აღემატება საანგარიშო მაჩვენებელს, მაშინ მცენარეთა დაცვის ღონისძიების განმეორებით ჩატარება ეკონომიკურად მიზანშეწონილად ითვლება (ამასთან, არა მარტო ერთი საწარმოო პერიოდის, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში).

მცენარეთა მავნებელ-დაავადებათაგან დაცვის მეთოდები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც გამოყენების სპეციფიკით, ასევე დანახარჯებისა და მიღებული შედეგებით. მექანიკური მეთოდი ყველაზე ხანდაზმული მეთოდია და მას, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, სარეველების წინააღმდეგ იყენებდნენ. თუმცა განვითარებული მიწათმოქმედების პირობებში მის ადგილს სულ უფრო და უფრო ქიმიური მეთოდები იკავებს.

ბიოლოგიური მეთოდი უფრო მავნებელი მწერების წინააღმდეგ გამოიყენება და მისი არეალი ამ მხრივ ძალიან შეზღუდულია, თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ეს მეთოდი ძალიან პერსპექტიულია. ნებისმიერ შემთხვევაში ბრძოლის მეთოდისა და საშუალების შერჩევისას გასათვალისწინებელია:

ა) განსხვავება დანახარჯებში, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ მეთოდის თუ საშუალების გამოყენებასთან;

ბ) ბრძოლის მეთოდის თუ საშუალების გამოყენებიდან მიღებული შედეგი ანუ განსხვავება თითოეული მეთოდის თუ საშუალების გამოყენებით მიღებულ მოსავლებს (მოსავლიანობას) შორის. რამდენადაც იოლია პირველი ფაქტორის რაოდენობრივი აღრიცხვა, იმდენად რთულია მიღებული შედეგის ობიექტურობის დადგენა. ყველაზე მარტივი მეთოდი ამ მიმართულებით საცდელი ნაკვეთის შერჩევაა, რომელზეც შეიძლება დადგინდეს მავნებელ-დაავადებათა გავრცელების სიმჭიდროვე (ინტენსიურობა) და დაკარგული მოსავლის ოდენობა ფართობის ერთეულზე (ანუ დადგინდეს ხაზოვანი დამოკიდებულება მავნებელ-დაავადებათა თუ სარეველების გავრცელების პროგრესსა და მოსავლის დანაკარგს შორის).

ასეთივე ანუ საცდელი ნაკვეთის შერჩევით და მასზე დაკვირვების წესით შეიძლება გამოითვალოს სხვა დამოკიდებულებებიც, მაგალითად. შრომით, ტექნიკურ და სხვა რესურსებზე მოთხოვნები დაავადებათა გავრცელების ინტენსივობასთან კავშირში, დაავადებების გავრცელების სხვადასხვა ფაზებში და სხვ.

10.6. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვის და ფართობიდან ზედმეტი წყლის მოცილების (დაშრობის) ეკონომიკური ეფექტიანობა

წყალი ცოცხალი ორგანიზმების არსებობის და ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი და შეუცვლელი რესურსია. ამიტომ მიწათმოქმედებაში მის გამოყენებას უძველესი ისტორია აქვს. მსოფლიო სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო საავარგულების მორწყვის მრავალი მეთოდი და ტექნოლოგია არსებობს, რომლებიც პირობითად შეიძლება ორ მსხვილ ჯგუფად გავყოთ: მორწყვა თვითდინებით და მორწყვა ტექნიკური საშუალებების და ნაგებობების გამოყენებით. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელია დანახარჯებისა და ეკონომიკური ეფექტის სხვადასხვა დონე.

დღეისათვის მორწყვის მეტ-ნაკლებად გავრცელებულ ფორმად დაწვიმების მექანიკური საშუალებებით მორწყვაა აღიარებული. საერთოდ, დანახარჯები მორწყვაზე შედგება, წყლის როგორც ბუნებრივი რესურსის ღირებულებისაგან, ასევე მოსარწყავ ფართობზე წყლის მიწოდებისა და განაწილების დანახარჯებისაგან. ამდენად, სხვადასხვა მეთოდებით და საშუალებებით მორწყვის განხორციელებისას (დაწვიმებით, თვითდინებით, მდინარეებიდან ამოქაჩული წყლით, ადგილზე არსებული საკუთარი რესურსით და ა.შ.) ფულად-მატერიალური დანახარჯების არსებით განსხვავებას აქვს ადგილი. ასე

მაგალითად, ცნობილია, რომ ფართობზე დამატებით 300 მმ დამატებითი ნალექის მიღებას ესაჭიროება დაახლოებით 3000 კუბ. მეტრი წყალი. აქედან გამომდინარე, წყლით სარგებლობის გადასახადის არსებობისა და მისი ფართობზე მიყვანის დანახარჯების გათვალისწინებით (წყლის ტრანსპორტირების მანძილი, გადასახადის ოდენობა და ა.შ.) სრულიად განსხვავებულ შედეგებთან გვექნება საქმე.

თვითდინებით მორწყვის განხორციელების ხარჯები ძირითადად ფართობის მოსწორებისა და სარწყავი ღარების მოწყობისაგან, აგრეთვე მრწყველთა შრომის ანაზღაურებისა და საჭირო ინვენტარის ღირებულებისაგან შედგება. დაწვიმების მეთოდის გამოყენებასთან შედარებით თვითდინების მორწყვა გამოირჩევა დიდი ოდენობით წყლის დანახარჯით, სამუშაო ძალის დიდი სიმრავლით და მოსავლიანობის შედარებით ნაკლები მატებით. მორწყვის ეს მეთოდი მით უფრო ნაკლებ ეფექტიანია, რაც უფრო ძვირია წყლის ფასი, შეზღუდულია შრომითი რესურსი და უსწორმასწოროა ადგილმდებარეობა. სხვა თანაბარ პირობებშიც კი დაწვიმებით მორწყვის უპირატესობა ისიცაა, რომ ის არ საჭიროებს სარწყავი ფართობის მოსწორებას და დაკვალვას.

დაწვიმებით მორწყვის დანახარჯები შედგება დასაწვიმებელი მექანიკური საშუალებების შეძენისა და გამოყენებისაგან (როგორც ძირითადი ფონდი, ერიცხება ამორტიზაცია, საჭიროებს რემონტს და პროცენტი დაბანდებულ კაპიტალზე). აგრეთვე შრომის ანაზღაურებისა და შრომითი რესურსის შესაძლო ალტერნატიული გამოყენების ხარჯებისაგან.

როცა ერთმანეთს ადარებენ დაწვიმებით მორწყვის სხვადასხვა ტექნოლოგიასა და სისტემას, საჭიროა დანახარჯები დაიყვანონ დასაწვიმებელი აპარატის ტექნიკურად შესაძლო რესურსიდან გამომდინარე, ყოველ კუბ. მეტრ წყალზე. რამდენადაც დასაწვიმებელი საშუალებების ღირებულება, აგრეთვე მომსახურე შრომითი რესურსის რაოდენობა სხვადასხვა ტექნოლოგიის დროს განსხვავებულია, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი არჩევანის გასაკეთებლად ითვალისწინებენ არა მარტო კაპიტალისა და შრომითი რესურსის, არამედ ფართობზე გასანაწილებელი წყლის მოცულობას, მორწყვის ჯერადობას, ფართობამდე მოყვანილი წყლის ღირებულებას და ა.შ. და სათანადო გაანგარიშების საფუძველზე არჩევენ ყველაზე მისაღებ ვარიანტს. ასე მაგალითად, დავუშვათ, რომ ერთ ჰა სიმინდის ფართობზე გასანაწილებელია ერთ ჯერზე 120 კუბ. მეტრი წყალი. პირველი ვარიანტით დანახარჯი შეადგენს 280-ს, ხოლო მეორე ვარიანტით – 240 ლარს. ასეთ დროს, ბუნებრივია, არჩეული იქნება მეორე ვარიანტი, რომლითაც ერთი კუბური მეტრი წყლის მიწოდება უფრო ნაკლები (240÷120):120 ჯდება, პირველ ვარიანტთან შედარებით

(280÷120):120.

ყველა შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კულტურის მორწყვის ეკონომიკურ ეფექტს, მაშინ აქვს აღგილი, როცა მორწყვისაგან მიღებული მოსავლის ნამატის ღირებულება მეტია ამ ნამატის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე. მოსავლის ნამატი, რომელიც საჭიროა მორწყვის ხარჯების დასაფარად, უდრის მორწყვის ხარჯებს, გამრავლებულს 100-ზე და შეყარდებულს ერთი ცენტნერი პროდუქციის ამონაგებთან. მაგალითად, თუ სამარცვლე სიმინდის ერთი ჰა-ს მორწყვის ხარჯები უდრის 120 ლარს, მაშინ იმავე ჰექტარზე მოსავლის ნამატი, როგორც მინიმუმ 400 კგ-ს უნდა შეადგენდეს (ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლის სარეალიზაციო ფასი პირობითად აღებულია 30 ლარი). ანუ (120·100):30=400 კგ. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება მორწყვის დანახარჯების დაფარვას.

მოსავლის ნამატი წარმოადგენს მორწყვის ეკონომიკური ეფექტის ძირითად შემადგენელ ნაწილს. თუმცა მორწყვასთან დაკავშირებული სხვა ირიბი ეფექტის რაოდენობრივი აღრიცხვა და ფულად გამოსახულებაში მოცემა (როგორიცაა, მაგალითად, წარმოების ინტენსიურობის საერთო დონისა და სტაბილურობის განმტკიცება, წარმოებაში უფრო მაღალმოსავლიანი კულტურების ჩართვა, რომელთა მოვლა-მოყვანა გასარწყავებამდე შეუძლებელი იყო და ა.შ.) პრაქტიკულად შეუძლებელია.

მორწყვის შედეგად მიღებული სრული მეურნეობრივი ეკონომიკური ეფექტის დასადგენად მორწყვის სხვადასხვა დონეების, ტექნოლოგიების, საშუალებების, წყლის მიწოდებისა და განაწილების და სხვა პირობების გათვალისწინებით გამოიყენება საწარმოს საწარმოო დარგობრივი

სტრუქტურის ოპტიმიზაცია ეკონომიკური მოდელირების საფუძველზე. ასეთი კომპლექსური განხილვა განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში წყლის რესურსის შეზღუდულ მოცულობასთან გვაქვს საქმე. ეს მდგომარეობა აიძულებს მეურნეობას (მეწარმეს) მოახდინოს შეზღუდული წყლის რესურსის ოპტიმალური განაწილება ზღვრული სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სხვადასხვა კონკურენტ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და დარგებს შორის.

მოცემულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში გაადგილებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის ეფექტიანობას ორი ფაქტორი განსაზღვრავს. კერძოდ, თითოეული კულტურის წყლისადმი მოთხოვნილება და ცალკეული კულტურების მორწყვის შეფარდებითი ეფექტიანობა. დამატებითი წყლისადმი კულტურის მოთხოვნილება ცვალებადია და იგი დამოკიდებულია წლის განმავლობაში ბუნებრივი ნალექების განაწილებაზე. თუ ბუნებრივი ნალექების რაოდენობა და ცალკეული კულტურის მოთხოვნილება წყალზე დროში არ ემთხვევა ერთმანეთს (რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას), მაშინ უნდა გაითვალოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წყალზე მოთხოვნილების საწარმოო-ტექნიკური კოეფიციენტები ვეგეტაციის ცალკეული პერიოდებისათვის.

რაც შეეხება ცალკეული კულტურების მორწყვის შეფარდებით ეფექტიანობას, მის გასაანგარიშებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ორი ძირითადი ფაქტორი:

ა) მცენარის (კულტურის) ზრდა-განვითარების ცალკეულ პერიოდებში მოსავლის დანაკარგების დამოკიდებულება წყლის დეფიციტზე;

ბ) მოსარწყავ ფართობამდე წყლის მიყვანისა და განაწილების დანახარჯები, საწარმოში არსებული შრომითი და ფინანსური რესურსების ჩანაცვლებული (ალტერნატიული) დანახარჯების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკაში ხშირად დგება საკითხი მორწყვის არა ცალკეული კულტურის, არამედ მთელი საწარმოს ან ისეთი მსხვილი ობიექტის პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის საკითხი, რომელიც რამდენიმე მიმართულების საწარმოს ემსახურება (ელექტროენერგიის გამომუშავება, სატბორე მეურნეობა, სასმელი წყლით მომარაგება, მორწყვა სხვადასხვა კულტურის, სათიბ-საძოვრების გაწყლოვანება და ა.შ.).

ასეთ შემთხვევაში დამატებით მნიშვნელობას იძენს სარწყავი წყლის მომხმარებელ საწარმოებში იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წილების განსაზღვრა ნათეს-ნარგაობათა საერთო სტრუქტურაში, რომლებიც მორწყვის უფრო მაღალი შეფარდებითი ეფექტიანობით ხასიათდება, ვიდრე სხვა კულტურები. ამასთან ერთად, მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის იმ მაჩვენებლებით, რომლებიც დაფუძნებულია მომავალ პერიოდებში დანახარჯების და შემოსავლების მიმდინარე მომენტისათვის შეფასებაზე და დაპირისპირებაზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაშრობის ეკონომიკური ეფექტიანობა. მიწების დაშრობის სამუშაოების განხორციელების ძირითადი მიზანი ფართობზე დროებით თუ მუდმივად არსებული ჭარბი წყლების მოცილება და დაბალი ნაყოფიერების სავარგულების მაღალი ღირებულების მქონე სავარგულების კატეგორიაში გადაყვანაა. ჭარბი წყლების მოცილება უზრუნველყოფს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მოსავლიანობის გადიდებას და წარმოების ფაქტორების მაღალეფექტურ გამოყენებას.

მიწების დაშრობა ანუ ირიგაცია ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, ტექნოლოგიებით და მოწყობილობებით, რომელთაც მიეკუთვნება წყალშემკრებები, სადრენაჟო სისტემები, წყალგაყვანილობის ღია არხები, წყლის ამოსაქაჩი ტუმბოები და ა.შ. ამ სახის მელიორაციული სამუშაოების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, როომ არც თუ იშვიათად ის მოიცავს არა ერთი რომელიმე საწარმოს, არამედ საწარმოთა ჯგუფის მიწებს, რის გამოც დაშრობის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენის საკითხი წყდება როგორც ერთი, ცალკე აღებული საწარმოს, ასევე მთელი დამშრობი სისტემის ფარგლებში.

დაშრობის ეკონომიკური ეფექტიანობის გასაანგარიშებლად, უპირველეს

ყოელისა, დასადგენია დანახარჯები, რომელიც გაწეულია კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობაზე, წყალგაყვანილობის (არხების) მოწყობაზე და ა.შ. ამათან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ განუსაზღვრელი დროით გამოსაყენებელი ნაგებობები (წყლის მოსაცილებელი არხები და წყალშემკრებები) ამორტიზაციას არ ექვემდებარება, მაგრამ სამაგიეროდ დანახარჯების მუხლს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მიწის ღირებულება, რომელიც გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (ხელიდან გაშვებული სარგებელი დაბანდებულ კაპიტალზე). აგრეთვე ნაგებობების მოვლა-შენახვის ხარჯები, მიმდინარე რემონტის ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაგებობების განსაზღვრული დროით ექსპლუატაციას, მაშინ ზემოაღნიშნულ ხარჯებს ასევე დაემატება ამორტიზაციის ანარიცხები).

არის შემთხვევები, როცა დაშრობითი სამუშაოები ხორციელდება წყლის ტუმბოებით და წყლის ამოსახაპებით. ამ დროს დანახარჯებში გაითვალისწინება ამ მოწყობილობებზე და მექანიზმებზე გახარჯული საწვავ-საცხები მასალები და მათი ექსპლუატაციის ხარჯები რემონტის ჩათვლით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაშრობის ხარჯების დაფარვისათვის (გამოსყიდვის) მოსავლის აუცილებელი ნამატის დასადგენად ჯერ გამოითვლება დამშრობი სისტემის შენახვის საშუალო წლიური დანახარჯები ერთ ჰა-ზე. დავუშვათ, რომ სისტემის ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანარიცხებმა, სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებმა და დაბანდებულ საკუთარ სახსრებზე ხელიდან გაშვებულმა სარგებელმა (იგივე თანხის ალტერნატიული გამოყენებიდან) საერთო ჯამში ერთ ჰა-ზე გაანგარიშებით 210 ლარი შეადგინა, ხოლო ერთი ცენტნერი სიმინდის მარცელის ფასი 46 ლარია. ამ შემთხვევაში დაშრობაზე გაწეული ხარჯების ამოღების უზრუნველსაყოფად ერთ ჰა-ზე საჭიროა მიღებულ იქნეს მოსავლის ნამეტი 4.6 ცენტნერის რაოდენობით (210:46).

თუ დავუშვებთ, რომ დაშრობასთან ერთად მოსავლიანობის გაზრდაში მონაწილეობს სხვა ფაქტორები (სასუქი, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები, გაუმჯობესებული აგროტექნიკა და ა.შ.), რომელთა წილი საერთო ეფექტიანობის 1/4-ს შეადგენს, მაშინ მოსავლიანობის მატებამ დაშრობილ ჰექტარზე მინიმუმ 6 ცენტნერს უნდა მიაღწიოს 210:(46–46/4)=6.

როგორც წესი, დაშრობის საერთო ეფექტიანობა მნიშვნელოვნად აღემატება მოსავლის ნამეტისაგან მიღებულ ეფექტს ინტენსივობის უცვლელობის პირობებში. ის საშუალებას იძლევა წარმოების გაფართოებისთვის და გამოყენებული წარმოების ფაქტორების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისთვის. დაშრობილ ფართობზე შესაძლებელი ხდება ტექნიკის უფრო ფართო მასშტაბით გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარება. ყველა აღნიშნული დადებითი მომენტები, საბოლოო ანგარიშით, სტაბილური მოსავლის მიღების გარანტი ხდება.

ამასთან, გასათვალისწინებელია სოციალური ეფექტიანობაც. მხედველობაშია ის ფაქტი, რომ მუდმივი დაჭაობების ადგილებში მუდამ არსებობს საშიშროება მალარიის გადამტანი კოლოების გავრცელების, რაც თავისთავად ისპობა ასეთი ადგილების რაციონალური დაშრობით და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ათვისებით. ყველა ჩამოთვლილი ეფექტის განსაზღვრა და დაშრობიდან მისაღები (მიღებული) საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა შესაძლებელია, ძირითადად, მთელი საწარმოო დანახარჯების სტრუქტურის ეკონომიკური მათემატიკური მოდელის დახმარებით.

10.7. ცალკეული ზოოვეტერინარული ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა აბრარულ საწარმოში

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი ზოოვეტერინარული ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების გარეშე.

ზოოტექნიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება პირუტყვის კვების, მოვლა-პატრონობის და ჯოგის კვლავწარმოების სრულყოფა. ამ ღონისძიებათა ეკონომიკურმა

ეფექტიანობამ ასახვა უნდა პპოვოს ისეთ საწარმოო-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, როგორიცაა მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება სავარგული ფართობის ერთეულზე, საწარმოო ფონდებისა და შრომითი დანახარჯების ერთეულზე, წარმოების რენტაბელობაში და ა.შ.

ზოოტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტის დასადგენად, როგორც წესი, საჭიროა თითოეულ ღონისძიებაზე გაწეული დანახარჯების დაპირისპირება ამ დანახარჯებით მიღწეულ შედეგთან.

პირუტყვის კვებაზე გაწეულ დანახარჯებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს შორის. პირუტყვის რაციონალურ კვებას, ანუ საკვების სახეს, კვების ჯერადობას, ინტენსივობას, რაციონს და ა.შ. მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ორი ურთიერთდაკავშირებული მიზნის შეხამება:

1) საკვების რაციონის ოპტიმალური სტრუქტურა დანახარჯების მინიმალურობის გათვალისწინებით და

2) პროდუქტიული პირუტყვის პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება ანუ კვების ინტენსივობის ოპტიმიზაცია. (ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ამოცანის პირობა შეესაბამება საკვებზე ზღვრული დანახარჯების თანდათანობით გადიდების პირობებში ოპტიმალური დონის განსაზღვრის ცნობილ მოდელს).

კვების ტიპისა და რაციონის ეკონომიკური შეფასებისათვის გასათვალისწინებელია ასევე საკვებწარმოების სტრუქტურა, საკვების ხარისხი და მისი თვითღირებულება. მერძეული ჯოგის პირუტყვისათვის ითვალისწინებენ სხვადასხვა ვარიანტებს (დანახარჯების და შედეგების გათვალისწინებით) და მათგან არჩევენ საუკეთესოს ლაქტაციის სხვადასხვა პერიოდისათვის და შენახვის სხვადასხვა წესის პირობებში (ბაგური, მომთაბარე და ა.შ.), პროდუქციის ერთეულზე საკვების დანახარჯის (მათ შორის კონცენტრირებული), რაციონის თვითღირებულების, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

პირუტყვის მოვლა-პატრონობის ფორმებიც ასევე მკვეთრად განსხვავებულია და ის ძირითადად დამოკიდებულია პირუტყვის სახეობასა და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. პირუტყვის შენახვის ფორმაზეა დამოკიდებული პირუტყვის პროდუქტიულობაც და წარმოების დანახარჯებიც. ამადენად, პირუტყვის მოვლა-შენახვის რაციონალური და მოცემული ადგილისათვის ოპტიმალური ფორმის შერჩევის ეკონომიკური მიზანია შენახვის ისეთი ფორმის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას მაქსიმალური ოდენობით, წარმოების დანახარჯებისა და გარემო ბუნებაზე ეკოლოგიური ზეწოლის მინიმუმის პირობებში. ყველა შემთხვევაში ზღვრული მოგების (სხვაობა ზღვრულ ამონაგებსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის) მნიშვნელობა დადებითი სიდიდე უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება წარმოება და კვლავწარმოება ეკონომიკურად გამართლებული.

მსხვილფეხა რქოსან მესაქონლეობაში ცნობილია პირუტყვის შენახვის რამდენიმე ფორმა (ბაგური, მომთაბარე, დაბმული, დაუბმელი და ა.შ.) და პირუტყვის მოვლა-შენახვის (წველა, ნაკელის გატანა, საკვების მიწოდება და ა.შ.) სხვადასხვა ტექნოლოგიები. განმსაზღვრელ კრიტერიუმად გვეელინება თანაფარდობა შრომის დანახარჯებსა და ერთ პირუტყვ-ადგილზე (ან ფართობის ერთეულზე) პროდუქციის გამოსავალს შორის.

პირუტყვის ნებისმიერი ტექნოლოგიით მოვლა-პატრონობას განსხვავებული შრომითი და საწარმოო დანახარჯები ახასიათებს. გარდა ამისა, სხვა თანაბარ პირობებში განსხვავებულია პირუტყვის პროდუქტიულობაც, რადგან პირუტყვის სხვადასხვა ფორმით და ტექნოლოგიით შენახვისას მეცხოველეობის შენობაში მიკროკლიმატი არსებით ცვლილებას განიცდის, რაც პირუტყვის საერთო მდგომარეობაზე, საბოლოო ანგარიშით კი, პროდუქტიულობაზე ახდენს შესაბამის გავლენას. ამიტომ პირუტყვის შენახვის ფორმისა და ტექნოლოგიის არჩევისას მხედველობაშია მისაღები აგრეთვე პროდუქტიულობის შემცირებით გამოწვეული ეკონომიკური სარგებელი (ხელიდან გაშვებული) ანუ ის დანახარჯები, რაც აუცილებელია შენახვის ამა თუ იმ ფორმის პროდუქტიულობაზე ნეგატიური გავლენის

საკომპენსაციოდ.

პირუტყვის მოვლა-შენახვის სხვადასხვა მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობა, საბოლოო ანგარიშით, უნდა შეფასდეს პირუტყვის პროდუქტიულობით ერთ პირობით სულზე შრომითი დანახარჯის, წარმოებული პროდუქციის ერთეულზე საკვების დანახარჯის, ერთ პირუტყვ-ადგილზე კაპიტალური დაბანდების, პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების რენტაბელობის მიხედვით.

მერძეულ მესაქონლეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირუტყვის სათანადო ჯიშის შერჩევის საკითხს, რასთანაც დაკავშირებულია ისეთი ზოოლოგიური თავისებურებები, როგორიცაა საკვების შეთვისების უნარი, პირველი მაკეობის ასაკი, მაკეობათაშორისი ასაკი, ლაქტაციის პერიოდი და სხვ.

ნებისმიერ შემთხვევაში ჯიშის შერჩევისას ძირითად კრიტერიუმად გვევლინება პირუტყვის პროდუქტიულობა პროდუქციის წარმოებაზე მინიმალური დანახარჯების პირობებში.

პირუტყვის ჯიშის ეკონომიკური შეფასებისათვის გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ჯიშის პროდუქტიულობა, პროდუქციის გამოსავალი ერთ სტრუქტურულ ერთეულზე, ერთ ჰა საკარგულზე, საწარმოო ფონდების და მოხმარებული საკვების ერთეულზე, პროდუქციის თვითღირებულება და რენტაბელობის დონე.

ზოოვეტერინარული ღონისძიებები მიმართულია პირუტყვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისაკენ. მათ შორისაა: დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური, ვეტერინარულ-სანიტარული და სხვა სახის საერთო და სპეციალური ღონისძიებები. თითოეული ზოოვეტერინარული ღონისძიების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება განხორციელებული ზოოვეტერინარული ღონისძიების, დანახარჯებისა და ამ ღონისძიების გატარების შედეგად თავიდან აცილებული ზარალის თანაფარდობით.

იმისათვის, რომ შეფასდეს ამა თუ იმ ვეტერინარული ღონისძიების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, უპირველეს ყოვლისა, დასადგენია:

– დაავადებებისაგან მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი, რაც წარმოადგენს დაავადებული პირუტყვის სულადობის შეფარდებას საერთო სულადობასთან. არგარიშობენ პირუტყვის დაცემის კოეფიციენტსაც (დაცემული პირუტყვის რაოდენობის შეფარდება დაავადებული პირუტყვის საერთო რაოდენობასთან);

– ვეტერინარული ღონისძიების გატარებამდე პირუტყვის დაავადებით გამოწვეული საერთო ეკონომიკური ზარალი (ანუ პირუტყვის დაცემის ან იძულებით დაკლიდან მიღებული ზარალის ოდენობა, პროდუქციის დანაკარგი ავადმყოფობის გამო);

– ვეტერინარული ღონისძიების გატარებლობის შემთხვევაში საწარმოსთვის მოსალოდნელი საერთო ზარალი;

– პირუტყვის მკურნალობისათვის საჭირო ფულადი დანახარჯები.

აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია თითოეული შესაბამისი ღონისძიების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. ასე მაგალითად, ძროხებში გავრცელებული მასტიტის შედეგად დაავადებისაგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი რძის წარმოების შემცირებით შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$ზ_{ჯმ} = Ფ_{სტ} \cdot კ_{ჯმ} \cdot შ,$$

სადაც $ზ_{ჯმ}$ – რძის(პროდუქციის) წარმოების შემცირებით მიღებული ზარალის მაჩვენებელია ლარებში; $Ფ_{სტ}$ – საშუალო წლიური წველადობა ერთ ძროხაზე (ცენტნერი); $კ_{ჯმ}$ – წველადობის შემცირების კოეფიციენტი დაავადებულ ძროხებში (საშუალოდ 0,15); შ – ერთი ცენტნერი რძის სარეალიზაციო ფასი (ლარებში).

იმ მიზნით, რომ გამოვთვალოთ ვეტერინარული ღონისძიების გაუტარებლობის გამო მიღებული ზარალი, საჭიროა დავადგინოთ, რამდენად მცირდება პროდუქციის დანაკარგი დაავადების სიმწვავის (დონის) შემცირებით სამკურნალო ღონისძიების გატარებით ანუ თავიდან აცილებული ზარალის ოდენობა ღონისძიების გატარების შემთხვევაში, რისთვისაც იყენებენ ფორმულას:

$$ზ = ზ_{ჯმ} \cdot კ_{ეკ},$$

სადაც ზ – არის თავიდან აცილებული ზარალი პროდუქციის მოსალოდნელი დანაკარგისგან, $ზ_{ჯმ}$ – პროდუქციის (რძის) წარმოებით მიღებული ზარალი ლარებში, ხოლო $კ_{ეკ}$ – გამოჯანმრთელე-

ბული პირუტყვის კოეფიციენტი.

პირუტყვის მკურნალობის ხარჯები შედგება სამკურნალო პრეპარატების ხარჯებისაგან და მკურნალობაზე დასაქმებული მუშაკების შრომის ანაზღაურებისაგან. ამდენად, პირუტყვის მკურნალობის ეკონომიკური ეფექტი შეიძლება გამოითვალოს მიღებული შედეგისა და მკურნალობის დანახარჯების შეფარდებით (ანუ თავიდან აცილებული ზარალისა და მკურნალობის დანახარჯების შეფარდებით).

მესაქონლეობის პრაქტიკაში ძროხების ბერწიანობა არც თუ იშვიათი მოვლენაა, რის გამოც ამ დარგს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი ადგება. ბერწიანობის კოეფიციენტის გამოსათვლელად ბერწად დარჩენილი ძროხების რაოდენობას აფარდებენ საერთო რაოდენობასთან. რაც მაღალია კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით მეტია საწარმოში მოსალოდნელი ზარალი და პირიქით.

ბერწიანობის უარყოფითი შედეგი ვლინდება:

– ნამატის შემცირებაში, რაც, თავის მხრივ, იწვევს პრობლემებს პირუტყვის სულადობისა და ხორცის გამოსავლიანობის ზრდაში;

– პირუტყვის პროდუქტიულობისა და პროდუქციის წარმოების შემცირებაში (საშუალოდ ბერწი ძროხის წველადობა, სრულფასოვან ძროხასთან შედარებით, 38-42%-ით ნაკლებია);

– მერძეული ჯოგიდან პირუტყვის ნაადრევ გამოწუნებაში.

ყველა ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობაზე.

ბერწიანობის საერთო ეკონომიკური ზარალის გაანგარიშება რამდენიმე ეტაპად ხდება. კერძოდ, ჯერ გაიანგარიშება ზარალი რძის წარმოების შემცირებით, რისთვისაც იყენებენ ფორმულას:

$$ზ_{ვ} = ვ_{ე} \cdot კ_{ბვ} \cdot ფ,$$

სადაც $ზ_{ვ}$ – წველადობის შემცირებით გამოწვეული ზარალის საერთო თანხაა, $ვ_{ე}$ – ერთი ძროხის საშუალო წლიური ნაწველი (ცენტნერი), $კ_{ბვ}$ – ბერწი ძროხების წველადობის შემცირების კოეფიციენტი (38-42%), ხოლო $ფ$ – რძის საშუალო სარეალიზაციო ფასია ლარებში.

მეორე ეტაპზე ხდება ბერწიანობის მეორე უარყოფითი შედეგის ანუ ნამატის მიუღებლობით გამოწვეული ზარალის გამოთვლა შემდეგი ფორმულით:

$$ზ_{ნმ} = ნ_{ხწ} \cdot ფ,$$

სადაც $ზ_{ნმ}$ – ნამატის მიუღებლობით გამოწვეული ზარალის საერთო თანხაა, $ნ_{ხწ}$ – ერთი ნამატის საშუალო ცოცხალი წონა საწარმოში წლის ბოლოსათვის, კგ-ში, ხოლო $ფ$ – ერთი კგ ცოცხალი წონის სარეალიზაციო ფასი.

პირდაპირ დანაკარგებთან ერთად, ბოლო ეტაპზე გამოითვლება არაპირდაპირი დანაკარგებიც, რომლებიც დაკავშირებულია ბერწი პირუტყვის მოვლა-შენახვის ხარჯებთან, შემდეგი ფორმულით:

$$ზ_{მშ} = ჯ_{ხმ} - ჯ_{ხმა},$$

სადაც $ზ_{მშ}$ – ბერწი პირუტყვის მოვლა-შენახვის არაპირდაპირი ზარალის თანხაა, $ჯ_{ხმ}$ – ფულად-მატერიალური დანახარჯია ერთ სრულფასოვან ძროხაზე (ლარი), $ჯ_{ხმა}$ – ბერწი პირუტყვიდან მიღებული რძის საშუალო თვითღირებულებაა, რომელიც გაიანგარიშება მერძეული ჯოგში წარმოებული რძის საშუალო თვითღირებულების გამრავლებით ბერწი ძროხების საშუალო წველადობაზე. როცა ცნობილია ბერწიანობიდან მიღებული პირდაპირი და ირიბი ზარალის ოდენობები, საერთო ზარალი ძროხების ბერწიანობიდან გამოითვლება მათი დაჯამების გზით.

10.8. აბრარული პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები

ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენება ისეთი საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, პროდუქციის შრომატევადობა, თვითღირებულება, რეალიზაციიდან მიღებული მოგება, პროდუქციის რენტაბელობა, შრომის

მწარმოებლურობა. კონკრეტული პროდუქციის (მაგალითად, მარცვლის, ყურძნის, რძის, ხორცის და ა.შ.) წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების დამატებით მაჩვენებლებად გამოიყენება ასევე მინერალური და ორგანული სასუქის ან საკვების დანახარჯი ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე, საქონლიანობის დონე, წველადობა ერთ ძროხაზე, მატყლის ნაპარსი ერთ ცხვარზე, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების (სხვადასხვა მარცვლეულის, ყურძნის და ა.შ.) მოსავლიანობა და სხვა სპეციალური მაჩვენებლები.

მათგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ფართობისა და პირუტყვის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის და პროდუქციის ერთეულზე ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯებს განეკუთვნება, რადგან სხვა მაჩვენებლების რაოდენობრივი მნიშვნელობა ძირითადად ამ ორი მაჩვენებლით არის განპირობებული. ყველა შემთხვევაში ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა წარმოებიდან მიღებული ეფექტისა და მასზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობით უნდა შეფასდეს. ამასთან, ზემოაღნიშნული მაჩვენებლები განხილული და შეფასებული უნდა იქნეს დინამიკაში, წარმოებაზე მოქმედი ყველა ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობის პრაქტიკის განზოგადება აჩვენებს, რომ წარმოების შედეგებზე გავლენას ახდენს არა იმდენად საკუთრების ფორმა, რამდენადაც მიწაზე მეურნეობრიობის ფორმა (ასე მაგალითად, წარმოების რენტაბელობა უფრო მაღალია მსხვილ საწარმოებში, ვიდრე მცირე საწარმოებში). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათზე თანაბარ ნეგატიურ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფასების დისპარიტეტი, საქონლის რეალიზაციის ეფექტური არხების უქონლობა, კრედიტებზე ხელმიუწვდომლობა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალწყობიანობა გულისხმობს სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფუნქციონირებას იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდეს საშუალება მათ განკარგულებაში არსებული რესურსული პოტენციალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენებისათვის. ამ უკანასკნელზე კი შიდა და გარე ფაქტორების მთელი წყება მოქმედებს. შიდა ფაქტორების მართვა თვით საწარმოს პრეროგატივაა და იმაზე, თუ როგორ წარმართავს საქმიანობას (წარმოება და რეალიზაცია) დიდადაა დამოკიდებული როგორც ნატურალური მაჩვენებლების (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა, დანახარჯები წარმოებაზე და ა.შ.), ასევე შედეგობრივი მაჩვენებლების (მოგება, რენტაბელობის დონე და სხვ.) დონე და ხარისხი.

რაც შეეხება გარე ფაქტორებს, მათი მართვა საწარმოს არ შეუძლია და ის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით, პრაქტიკულად თანაბარი ზომით აისახება ნებისმიერი საკუთრების და ორგანიზაციული ფორმის საწარმოს საქმიანობაზე (დოტაციები და კომპენსაციები, გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი და საგადასახადო განაკვეთების სიდიდე, ინფლაციური პროცესების ტემპი, საბაზრო მოთხოვნა სოფლის საწარმოს პროდუქციაზე, აგრარულ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების ხასიათი და ა.შ.). ამ ჯგუფის ფაქტორების გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე არც თუ იშვიათად გადამწყვეტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში არ მოქმედებს საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების რაიმე სახელმწიფო ეკონომიკური მექანიზმი.

ნებისმიერი ფორმის საწარმოში წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოების ინტენსიფიკაციას ენიჭება, რადგან მხოლოდ ინტენსიური და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და სხვა პროგრესულ აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებას მოაქვს ძირითადად ხელშესახები ეკონომიკური ეფექტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დღეისათვის წარმოებული აგროპროდუქციის ხარისხია მიჩნეული, რაც გამოიხატება

მარცვალში წებოვნებას, შაქრის ჭარხალში შაქრის, რძეში ცხიმის და ა.შ. შემცველობით. აღსანიშნავია, რომ მარცვლეულის ან სხვა პროდუქციაში სასარგებლო ნივთიერებათა პროცენტული გადიდება ბაზისურ დონეზე ზევით მათი ნატურაში წარმოების გადიდების ტოლფასია (მაგალითად, რძეში საბაზისო ცხიმიანობის – 3.5% – ზევით ცხიმშემცველობის გადიდება ერთი პროცენტით ცენტნერი რძის წარმოების გადიდების ტოლფასია, რადგან, საბოლოო ჯამში, რძის წარმოების მოცულობა საბაზისო ცხიმიანობაზე დაყვანით იანგარიშება). ამ კუთხით კონკრეტული საწარმოებში განხილული და ეკონომიკური თვალსაზრისით შეფასებულ უნდა იქნეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები. ე.წ. ალტერნატიული სოფლის მეურნეობა (ანუ აგრარული წარმოება ქიმიკატების შეზღუდვის ან საერთოდ შეწყვეტის პირობებში) თანდათან უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს მსოფლიო სოფლის მეურნეობაში. მცირე მასშტაბით არის წარმოდგენილი ის დღევანდელ საქართველოშიც, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ასეთი პროდუქციის წარმოების ბუნებრივი პირობები პრაქტიკულად საქართველოს მთელ მთიანეთს და მთისწინებს გააჩნია, მისი წარმოების მასშტაბი თანდათან უნდა გაფართოვდეს, რაც არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეკოლოგიური თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული წარმოების ფაქტორების მკაცრი შეზღუდულობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეფექტიანობის ამაღლებისათვის საწარმოს დარგობრივ-საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაციას ენიჭება. ეს ღონისძიება არა მარტო მნიშვნელოვანია რესურსების მაღალეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ მისი განხორციელება საწარმოში არ საჭიროებს დამატებით ინვესტიციებს. განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების პრაქტიკა ასვენებს, რომ გამოყენებული საწარმოო რესურსების მიმართ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კონკურენტუნარიანობის დადგენა და მის საფუძველზე საწარმოო დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციით სოფლის მეურნეობაში აგროპროდუქციის წარმოების გადიდება შესაძლებელია 20-25%-ით, ხოლო წარმოების რენტაბელობის ამაღლება 1,3-1,8-ჯერ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად თანამედროვე პირობებში სოფლად საქონელმწარმოებელთა კოოპერირება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირებაა აღიარებული, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მსხვილ საწარმოებთან კონკურენცია, კონცენტრაციის სიკეთით სარგებლობა, ადგილობრივი სანედლეულო ბაზის, მუშახელისა და სხვა ფაქტორების უფრო რაციონალური გამოყენება და ა.შ. (ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მონოპოლიზმი პროდუქციის გადამუშავების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების და აგროწარმოებისათვის აუცილებელ სხვა სფეროებში).

კოოპერირების სხვადასხვა ფორმების და ინტეგრირებული სტრუქტურების ჩამოყალიბება პროდუქციის წარმოების გადიდების და ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია.

წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ეფექტიანი გზებისა და საშუალებების გამონახვისთვის საჭიროა ადგილებზე მარკეტინგული საქმიანობის და ფერმერთა საკონსულტაციო-ინფორმაციული მომსახურების გაუმჯობესება, რომლის გარეშე აგრარულ ბაზარზე საკუთარი ნიშის დაკავება ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და მასშტაბის საწარმოსთვის გაძნელებულია.

აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებები მარტო ამით არ ამოიწურება. თითოეული მათგანი, იქნება ეს ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკურ-ორგანიზაციული თუ სხვა ხასიათის, შერჩეული და ამოქმედებული უნდა იყოს ადგილზე არსებული კონკრეტული საწარმოო-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

10.9. კაპიტალურ დაბანდებათა (ინვესტიციების) გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა აბრარულ წარმოებაში

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითადი მიზანია მათი ცალკეული მიმართულებების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ახალი მშენებლობის ან მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოების უკეთესი ვარიანტის შერჩევა.

კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალი მაჩვენებლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მათი ამოგების, ანუ დაფარვის ვადები იმსახურებს. იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$ტ_{ვ} = ტ : \sum მ,$$

სადაც $ტ_{ვ}$ – კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვის (ამოგების) ვადაა (წლებში); $ტ$ – კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა; $\sum მ$ – მოგების მოცულობის ნაზარდი ჯამი კაპიტალური დაბანდებების განხორციელების პერიოდიდან.

კაპიტალური დაბანდების ის ვარიანტი, რომლის ამოგების ვადა უფრო ნაკლებია, სხვა თანაბარ პირობებში უფრო ეფექტურ ვარიანტად ითვლება.

აგრარულ საწარმოში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის დასადგენად იყენებენ წმინდა შემოსავლის ნამატის ფარდობას ამ ნამატის გამომწვევ კაპიტალურ დაბანდებებთან, რისთვისაც იყენებენ ფორმულას:

$$ტ_{ეფ} = \Delta წშ : \Delta ტ,$$

სადაც $ტ_{ეფ}$ – კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის მაჩვენებელია; $\Delta წშ$ – წმინდა შემოსავლის ნამატი; $\Delta ტ$ – კაპიტალურ დაბანდებათა ნამატი.

ცალკეული საწარმოს, გაერთიანების, სტრუქტურული ერთეულის მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის დასადგენად იყენებენ აგრეთვე მოგების ნამატის ფარდობას კაპიტალურ დაბანდებათა ნამატთან.

არის შემთხვევები, როცა საჭიროა აგრარულ საწარმოში გამოთვლილ იქნეს კაპიტალურ დაბანდებათა შეფარდებითი ეფექტიანობის მაჩვენებელი (ახალი სახის ტექნიკის ან ტექნოლოგიის დანერგვისას, ახალი ობიექტის მშენებლობის ან რეკონსტრუქციისას და ა.შ.). ასეთ მაჩვენებლად მიჩნეულია საწარმოო დანახარჯების და კაპიტალური დაბანდებების ჯამის მინიმუმი თითოეული შესარჩევი ვარიანტის მიხედვით. ცხადია, უკეთეს ვარიანტად ჩაითვლება ის, რომელსაც დანახარჯების მინიმუმი გააჩნია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კაპიტალური დაბანდებები განსაზღვრავს წარმოების სტრუქტურას და მოცულობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამიტომ კანონზომიერია, რომ ვიდრე კაპიტალურ დაბანდებათა ფაქტობრივ განხორციელებას შევუდგებით, საჭიროა წინასწარ მათი მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება და კაპიტალურ დაბანდებათა სხვა ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარება. ცხადია, რომ ნებისმიერი მნიშვნელობის საინვესტიციო პროექტის შეფასება (ეფექტიანობის თვალსაზრისით) შეიძლება გახდეს კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ინვესტიციების სწორმა ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულებები წარმოების ცალკეული მნიშვნელოვანი ობიექტებისა და უბნების მიხედვით. ამ მიზნით ინვესტიციური ანალიზი ტარდება შემდეგი სქემით:

– განისაზღვრება საერთო საინვესტიციო თანხა და შეირჩევა წარმოებისთვის საჭირო სხვადასხვა საშუალებებიდან (ავტომანქანა, ტრაქტორი, მეცხოველეობის კომპლექსი და ა.შ.) ყველაზე აუცილებელი მიმდინარე პერიოდისათვის;

– დადგინდება საწყისი გადასახდელების თანხა და საწარმოს გადახდისუნარიანობა ამ მიმართულებით;

– განისაზღვრება კაპიტალური დაბანდებების განხორციელების შედეგად მისაღები შემოსავლები წლების მიხედვით;

– შეირჩევა ბანკის სესხზე პროცენტის მისაღები განაკვეთი.

როგორც წესი, საქონელმწარმოებელი კაპიტალურ დაბანდებას ახორციელებს მოსალოდნელი დანახარჯებისა და მოსალოდნელი შემოსავლების ურთიერთშედარების შემდეგ. (მოსალოდნელი ხარჯები, ძირითადად, შედგება ობიექტის შეძენასთან (აშენებასთან) დაკავშირებული ხარჯისგან, ობიექტის მოვლისა და საექსპლუატაციო ხარჯისგან, ხოლო მოსა-

ლოდნელი შემოსავლები ყალიბდება ამავე ობიექტისაგან ექსპლუატაციის მთელი ხნის განმავლობაში მისაღები პერიოდული შემოსავლებისაგან, სალიკვიდაციო ღირებულების ჩათვლით. ამასთან, მოსალოდნელი შემოსავლები, როგორც წესი, ჯამდება კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის მრავალი წლის მანძილზე მისაღები ფულადი სახსრებისაგან, მაშინ, როცა კაპიტალური დაბანდება ხორციელდება პრაქტიკულად ერთდროულად).

თუ კაპიტალური დაბანდების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი წმინდა შემოსავლის ჯამი მეტია ინვესტიციების საერთო ჯამზე, მაშინ საინვესტიციო პროექტი ითვლება მისაღებად, ანუ ოპტიმალურად და პირიქით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომა გვიხასიათებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს, დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რაც არასწორია. კერძოდ, ამ დროს არ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ობიექტზე დღეისათვის ინვესტირებულ და ამ ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად მოსავალში მისაღებ თანხებს გააჩნია სრულიად სხვადასხვა წმინდა მიმდინარე ღირებულება დაბანდების მომენტისათვის, რასაც მრავალი მიზეზი აქვს. კერძოდ:

1. ფულადი კაპიტალი მაშინაც კი, როცა არაა ინვესტირებული, იძლევა შემოსავალს, თუ ის დადებული იქნება ანაბარზე (ანაბრის პროცენტის შესაბამისად). ამიტომ ეს ფაქტი გასათვალისწინებელია ინვესტირებისას;

2. დროთა განმავლობაში ფული, ინფლაციის გამო, უფასურდება. აღნიშნულის გამო ერთი და იმავე ფულის ოდენობით მომავალში შეიძლება შეძენილ იქნეს უფრო ნაკლები საქონელი (მომსახურება), ვიდრე დღეს.

3. შესაძლებელია, რომ ინვესტიციებმა არ მოიტანოს მოსალოდნელი ეფექტი, ან საერთოდ ვერ გამოისყიდოს თავი, ანუ არის რისკი, რომლის დაზღვევაა საჭირო, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული და ა.შ.

კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის უფრო ზუსტი შეფასებისათვის საჭირო ხდება ყველა ფულადი ნაკადი (როგორც დაბანდება, ასევე შემოსავლები), რომელიც დაკავშირებულია კაპიტალურ დაბანდებასთან მისი ექსპლუატაციის მთელ პერიოდში, მოყვანილ იქნას შესაბამისობაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა კაპიტალურ დაბანდებასთან დაკავშირებული ყველა შემოსავალ-გასავლის დისკონტირება კაპიტალური დაბანდების საწყისი მომენტისათვის, რითაც ისინი მოდიან ურთიერთშესაბამისობაში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოითვალოს სხვაობა დისკონტირებულ შემოსავლებსა და გასავლებს შორის კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში. (დისკონტირება წარმოებს ფულად კაპიტალზე არსებული პროცენტის გამოყენებით, რომელიც ტოლია ბანკში ანაბარზე დასარიცხი პროცენტის ან ბანკის კრედიტზე არსებული პროცენტისა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუ სახეზე არსებულ ფულად კაპიტალს (წელი = 0) აღვნიშნავთ $Ш_0$-ით, მომავალში მისაღებ ფულად კაპიტალს – $Ш_ф$-თი, ბანკის სესხზე პროცენტის სიდიდეს პ-თი, ხოლო პროცენტულ კოეფიციენტს (კ:100)+1 – კ-თი, მივიღებთ ფულად კაპიტალზე რთული პროცენტის დარიცხვის კოეფიციენტს – $კ^ф$, დისკონტირების კოეფიციენტს $\frac{1}{კ^ф}$ და სხვა შესაძლო ამოცანათა გადაწყვეტის ვარიანტებს ფორმულების სახით, მათ შორის ანუიტეტის, ავანსური რენტის და ა.შ.

მომავალი შემოსავლების შეფასებას (გაანგარიშებას) მიმდინარე მომენტისათვის დისკონტირება ეწოდება, ხოლო თანხას („ცოცხალ" ფულს), რომელიც მიმდინარე მომენტში, ანუ საწყის ეტაპზე უნდა დაიხარჯოს კაპიტალური დაბანდების ობიექტისათვის – მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება. თუ ვიცით მომავალში (რამდენიმე წლის შემდეგ) მისაღები შემოსავლების ოდენობა და სესხზე ბანკის პროცენტი (განაკვეთი), მათ დისკონტირებულ ღირებულებას განვსაზღვრავთ ფორმულით:

$$Ш_0 = Ш_ф \times \left(1/კ^ф\right).$$

შეფარდებას $\frac{1}{(1+კ)^ф}$ ან $(1+კ)^{-ф}$, რომლის დახმარებითაც შესაბამისობაში მოდის მიმდინარე და მომავალი ღირებულებები, დისკონტირების კოეფიციენტს

უწოდებენ.

წმინდა დისკონტირებული შემოსავალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ინტეგრირებულ შემოსავლებსა და ინტეგრირებულ გასავლებს შორის. ცხადია, რომ როცა შედეგი დადებითია, საინვესტიციო პროექტი ეფექტურია. რაც მაღალია წმინდა დისკონტირებული შემოსავალი, მით ეფექტურია ინვესტიცია. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების სხვადასხვა ვარიანტების შედარებისას უფრო მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით გამოირჩევა ის ვარიანტი, რომელსაც აქვს უფრო მაღალი წმინდა დისკონტირებული ღირებულება. მას ანგარიშობენ ფორმულით:

$$\text{წდშ} = \sum_{t}^{n} (ა_t - დ_t) \frac{1}{ქ^t},$$

სადაც წდშ – წმინდა დისკონტირებული შემოსავალია; $\sum_{t}^{n}$ – ჯამის აღმნიშვნელი ნიშანი დროის (პერიოდის) განსაზღვრულ მონაკვეთში; $ა_t$ – საინვესტიციო პროექტის განხორციელებიდან მიღებული ამონაგები განსაზღვრულ დროში (წელიწად'ში); $დ_t$ – საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე გაწეული დანახარჯები განსაზღვრულ დროში (პერიოდში); $ქ^t$ – პროცენტული კოეფიციენტი (დისკონტის კოეფიციენტი).

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება პროექტის შინაგანი რენტაბელობის ნორმა. ეს მაჩვენებელი გამოხატავს პროცენტულ კოეფიციენტს, რომლის დროსაც წმინდა დისკონტირებული შემოსავალი ნულის ტოლია (ანუ გარანტირებულია ინვესტიციების გამოსყიდვა მინიმუმის დონეზე). საინვესტიციო პროექტი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად მისაღებად, თუ შინაგანი რენტაბელობის დონე ტოლი ან მეტია ინვესტორის მიერ მოთხოვნილ ნორმაზე. სხვა შემთხვევაში ასეთი პროექტი ეკონომიკურად არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადად ინვესტიციების რენტაბელობა განისაზღვრება ინტეგრირებული დისკონტირებული შემოსავლების შეფარდებით ინტეგრირებულ დისკონტირებულ ხარჯებთან:

$$რ_ი = \sum შ_ჯ : \sum დ_ჯ,$$

სადაც $რ_ი$ – ინვესტიციების რენტაბელობის მაჩვენებელია; $\sum შ_ჯ$ – დისკონტირებული შემოსავლების ჯამი; $\sum დ_ჯ$ – დისკონტირებული დანახარჯების ჯამი.

ცხადია, რომ როცა $რ_ი > 1$, ინვესტიციები ითვლება ეფექტურად, ხოლო როცა $რ_ი < 1$, პირიქით – ინვესტირება არაეფექტურია. ამ მაჩვენებელს იყენებენ ერთნაირი წმინდა დისკონტირებული შემოსავლის მქონე ალტერნატიული პროექტებიდან ყველაზე საუკეთესო პროექტის ასარჩევად.

წმინდა დისკონტირებული შემოსავლის გაანგარიშების მოდიფიკაციაა ანუიტეტის გაანგარიშების მეთოდი. (თუ კაპიტალური დაბანდების ობიექტზე გაწეული ხარჯებისა და მისი ექსპლუატაციიდან მისაღები შემოსავლების ჯამი მერყეობს პერიოდების მიხედვით, მაშინ ჯერ იანგარიშება მათი დისკონტირებული ღირებულებები კაპიტალური დაბანდების საწყისი მომენტისათვის, შემდეგ კი გაიანგარიშება მათი ანუიტეტები).

ანუიტეტის გამოთვლა საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ საშუალო წლიური ამონაგები და საშუალო წლიური დანახარჯები კაპიტალური დაბანდების ობიექტის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში. ანუიტეტი გამოითვლება ფორმულით:

$$ა = შ_ი \frac{(ქ-1) \cdot ქ^t}{ქ^t - 1}.$$

დროის ფაქტორის (ანუ დისკონტირების) გათვალისწინებით აგრარულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა ნაჩვენებია 10.1 ცხრილში, რომელშიც ერთმანეთთანაა შედარებული ორი სხვადასხვა პროექტი. პირველი პროექტის დანახარჯი 51000 ლარია, ხოლო მეორესი – 56000 ლარი. ამასთან, პირველი პროექტის ინვესტირება ერთი წლის განმავლობაში გრძელდება, მეორესი კი სამი წლის მანძილზე. შესაბამისად, პირველი პროექტიდან შემოსავალი პირველსავე წლიდან იწყება, ხოლო მეორედან კი – მე-3 წლიდან. წინასწარ ცნობილია, რომ გრძელვადიან კრედიტზე ბანკის სარგებელი 10%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით წმინდა დისკონტირებული შემოსავლის გაანგარიშება შემდეგ სახეს

მიიღებს (ცხრ. 10.1).

ცხრილი 10.1

აგრარულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა

დანახარჯები							
პირველი პროექტი				მეორე პროექტი			
ინვესტიციების ვადა, წელი	დისკონტირების ღირებულება	დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებულება	ინვესტიციების ვადა, წელი	დისკონტირების ღირებულება	დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებულება
1	51000	1,0	51000	1	41000	1,0	41000
–	–	–	–	2	10000	0,909	9091
–	–	–	–	3	5000	0,826	4132
სულ	51000	–	51000	სულ	56000	–	54223
შემოსავლები							
1-ლი წელი	20000	0,909	18182	მე-3 წელი	12000	0,751	9016
მე-2 წელი	29000	0,826	23967	მე-4 წელი	18000	0,683	12294
მე-3 წელი	23000	0,751	17280	მე-5 წელი	21000	0,621	13039
				მე-6 წელი	24000	0,564	13547
				მე-7 წელი	14000	0,513	7185
				მე-8 წელი	9000	0,467	4199
სულ	72000	–	59429	სულ	98000	–	59280
წმინდა დისკონტირებული ღირებულება			8429	წმინდა დისკონტირებული ღირებულება			5056

ცხრილიდან ჩანს, რომ მეორე პროექტიდან 6 წლის განმავლობაში შემოსავლები 26,0 ათ. ლარით აღემატება პირველი პროექტით 3 წლის განმავლობაში მისაღებ შემოსავლებს. მიუხედავად ამისა, პირველი პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება 3373 ლარით აღემატება მეორე პროექტით გათვალისწინებულ წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას.

ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლებიდან შესაძლებელია როგორც რენტაბელობის დონის, ასევე ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის გაანგარიშება. კერძოდ, პირველი პროექტის რენტაბელობა ტოლია 16,5%-ის (8429 : 51000)•100, ხოლო მეორე პროექტის კი 9,3% (5056:54223)•100. რაც შეეხება ინვესტიციების გამოსყიდვის ვადას, ის პირველი პროექტისათვის შეადგენს 3 წელს (18182+23967+17280), ხოლო მეორე პროექტისათვის კი 5 წელს (9016+12294+13039+13547+7185); (რადგან ორივე პროექტისათვის მომავალი წლების შემოსავლები არათანაბრადაა დროში განაწილებული, ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა გაანგარიშებულია დაგროვებული (აკუმულირებული) მოგების მეთოდით ანუ იმ წლების პირდაპირი დათვლით, რომლის განმავლობაში მიღებული მოგების მოცულობა გადააჭარბებს გაწეულ კაპიტალურ დაბანდებებს).

გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ როგორც წმინდა დისკონტირებული ღირებულების (შემოსავლების), ასევე პროექტის რენტაბელობის დონისა და გაწეული ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის მიხედვით პირველი პროექტი უმჯობესია მეორეზე.

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები. სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. პირველში ის ფაქტორები შედის, რომელთა გამოყენების და მართვის მექანიზმი ყველა ცალკე აღებულ საწარმოსა და ორგანიზაციაშია (ინვესტიციების სტრუქტურა, მიმართულება, პრიორიტეტულობა, კომპლექსურობა და ა.შ.), ხოლო მეორეში ის ფაქტორები ერთიანდება, რომლებიც საწარმოთა ნება-სურვილის გარეშე მოქმედებს. ფაქტორთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება სესხზე სარგებლის პროცენტი, ინფლაცია-დეფლაციის არასასურვე-

ლი დონე, ქვეყნის აგრარული პოლიტიკა საქონელმწარმოებლებთან მიმართებაში და სხვა ის პროცესები, რომელთა რეგულირება მხოლოდ ხელისუფლების მხრიდანაა შესაძლებელი.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს რიგი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს უწყობს ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას სოფლის მეურნეობაში. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მიჩნეულია საგადასახადო შეღავათი მოგების გადასახადზე. ის ვრცელდება მოგების იმ ნაწილზე, რომელიც ჩადებულია წარმოებრივი თუ არაწარმოებრივი დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებაში (ამორტიზაციის ანარიცხების სრული ათვისების პირობებში). ამ დროს მოგების გადასახადის ქვედა ზღვარი არ უნდა შემცირდეს 50 პროცენტზე მეტად.

ცალკეულ ქვეყანაში მიმართავენ საქონელმწარმოებელთა შეღავათიან საკრედიტო პოლიტიკას, მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების (მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები, მიწის ქიმიური მელიორაცია და ა.შ.) ბიუჯეტიდან დაფინანსების პრაქტიკას და სხვა ღონისძიებების გატარებას ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის და აგრარული პოლიტიკის გათვალისწინებით.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია როგორც წმინდა პროდუქციის და მოგების მოცულობის გადიდებით, ასევე ახალი ობიექტების მშენებლობაზე ან შეძენაზე ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვით. არცთუ იშვიათად, კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს საწარმოო-ორგანიზაციული და ეკონომიკური ფაქტორები. მაგალითად, ცნობილია, რომ მეცხოველეობაში განხორციელებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს დისპროპორცია პირუტყვის სულადობასა და საკვებ ბაზას შორის.

ხშირად მექანიზაციის საშუალებების შესაძენად იხარჯება მნიშვნელოვანი სახსრები, მაგრამ სამუშაოთა უმეტესობა მაინც ხელით სრულდება იმის გამო, რომ ტექნიკის შეძენის დროს არ იყო გათვალისწინებული ბუნებრივი პირობები (მათ შორის ნიადაგური), ფართობების განლაგება, წარმოების ტექნოლოგია და სხვ.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა ეცემა წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დაბალი დონის პირობებში – ანუ იმ დროს, როცა, მცირემიწიანობის თუ მრავალდარგიანობის გამო, არ არსებობს პროგრესული ტექნოლოგიების და მექანიზაციის საშუალებათა დანერგვის პირობები და პირიქით, კაპიტალური დაბანდებები გაცილებით დიდი ეფექტის მომტანი იქნება იმ საწარმოებში, სადაც შესაძლებელია დაინერგოს თესლბრუნვები და ინდუსტრიული ტექნოლოგიები, კომპლექსური მექანიზაცია და წარმოების აუტომატიზაცია, სადაც უკვე არსებობს წარმოებრივი და არაწარმოებრივი ინფრასტრუქტურის საბაზო ელემენტები (შიგასამეურნეო გზები, აგროსერვისის სამსახურები და ა.შ.).

ქვეყანაში კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელებას და ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას შესაბამისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა ესაჭიროება. ინვესტიციური საქმიანობა განსაკუთრებით ეცემა მაშინ, როცა ქვეყანაში არაა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა (რადგან ამ პირობებში გრძელვადიანი დაბანდებები დიდ რისკთანაა დაკავშირებული), როცა არსებობს საკრედიტო რესურსების დეფიციტი და სიძვირე, რაც, ბუნებრივია, ამცირებს კრედიტზე ხელმისაწვდომობას, როცა არ არსებობს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ანუ ადგილი აქვს ეროვნული ვალუტის ინფლაციას, კორუფციას და სხვა არაკეთილსაიმედო პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად თანამედროვე მსოფლიოში მიჩნეულია სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა უშუალოდ მათი წარმოების ზონებში. ამით მიიღწევა არა მარტო პროდუქციის დანაკარგების, არამედ ტრანსპორტირების ხარჯების არსებითი შემცირება, რაც, საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას უკავშირდება.

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიიღწევა:

– პრაქტიკაში უკვე აპრობირებული და ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი ტიპური პროექტების გამოყენებით, რაც, გარდა იმისა, რომ ამცირებს დანახარჯებს და დროს ობიექტის დაპროექტებაზე, ამავე დროს გამორიცხავს არაეფექტური პროექტის შესაძლო არჩევის რისკს;

– ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გადაცემის ვადების მაქსიმალური დაახლოებით, ანუ ფულადი დაბანდებისა და ეკონომიკური ეფექტის მიღებას შორის ვადების მინიმიზაციით;

– შესაძლებლობის მიხედვით, პირველ რიგში, ინვესტიციების წარმართვით მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე, რადგან, როგორც პრაქტიკა ამტკიცებს, მასზე გაწეული ინვესტიციების გამოსყიდვის დრო 2-2,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ახალ მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების;

– თუ დაცული იქნება ინვესტიციების თანაფარდობა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების მთელი ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით (მაგალითად, მეცხოველეობის შენობა-ნაგებობების გაფართოებაში განხორციელებული კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური ეფექტიანობა არ იქნება სათანადო დონეზე, თუ იმავდროულად და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, არ განხორციელდა ინვესტიციები საკვები ბაზის და ძირითადი ჯოგის ფორმირებაში);

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების (მათ შორის სელექციის) გამოყენება. მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხეხილოვანი ნარგავების გაშენება კლონურ საძირეებზე საშუალებას იძლევა გაშენებიდან მე-4 წელს მიიღონ ხილის მოსავალი, მაშინ, როცა თესლოვან საძირეებზე გაშენებული ბაღი მხოლოდ მე-8 წელს იძლევა მოსავალს. პირველ შემთხვევაში ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი 5-6 წელს, მეორე შემთხვევაში კი 9-10 წელს შეადგენს.

ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაშია მისაღები პროექტის სიიაფე, ინფლაციის მოსალოდნელი რისკი, დაბანდებათა დროული გამოსყიდვა, სტაბილური შემოსავლები და მაღალი რენტაბელობა (შემოსავლების დისკონტირების შემდეგ).

10.10. აგრარული პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა

ა) აგროპროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ადგილზე შენახვისა და გადამუშავების ეკონომიკური არსი

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის უმეტესი ნაწილი საბოლოო მომხმარებელთან მიტანამდე საჭიროებს სამრეწველო გადამუშავებას. მათ შორისაა, როგორც ტექნიკური (ჩაის ფოთოლი, თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურები და ა.შ.), ისე სასურსათო პროდუქცია (ყურძენი, რძე, ცოცხალი პირუტყვი და სხვ.).

ამასთან, რაც უფრო მაქსიმალურადაა მიახლოებული პროდუქტი მომხმარებლის ინტერესთან და გემოვნებასთან, მით მაღალია მისი სამომხმარებლო ღირებულება (ფასი) და, პირიქით. ასე მაგალითად, კარტოფილისა და ბოსტნეულის, აგრეთვე ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მოხმარება გადამუშავების გარეშეც შესაძლებელია, მაგრამ იგივე პროდუქტები გადამუშავებული სახით (მაგალითად, შემწვარი კარტოფილი, ხილის ჯემი, კომპოტი და ა.შ.) უფრო მოსახერხებელი და მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში პრაქტიკულად ყოველნაირი დასახელების სურსათი ნახევარფაბრიკატების სახით მიეწოდება მომხმარებელს (რომელსაც გავლილი აქვს პირველადი დამუშავება და ცოტა დროს საჭიროებს სუფრაზე მისატანად). ანალოგიური დამოკიდებულებაა ხილის მიმართაც, რომლის მოხმარების მეტი წილი წვენებზე, ჯემებზე და სხვა გადამუშავებულ პროდუქტებზე მოდის.

დადასტურებულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის

წარმოება დაბალრენტაბელურია მათი გადამუშავებიდან მიღებულ პროდუქტებთან შედარებით. ეს განსხვავება არ არის წარმოების სტადიებად დაყოფის შედეგი. იგი უფრო ხშირად ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის – ფასწარმოქმნის არასრულყოფილი მოქმედების შედეგია. (აღნიშნულ მდგომარეობას ადგილი აქვს საქართველოს აგრარულ ეკონომიკაშიც, რაც თავის რეალურ გამოხატულებას კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მხრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე მონოპოლურად დაბალი შესყიდვის ფასების „დაწესებაში“ ნახულობს).

ამიტომ, აგრარული წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, სოფლად საქონელმწარმოებელი ყოველთვის ცდილობდა მთელი თავისი შრომის სრული შედეგი არა მხოლოდ წარმოებული ნედლეულის რეალიზაციით, არამედ ნედლეულის გადამუშავების და მზა პროდუქტის (საქონლის) რეალიზაციის ხარჯზე მიეღო. ამ მიზნით ის დიდხანს ცდილობდა მოეძებნა წარმოების კოოპერირების, ინტეგრირების ან კომბინირების ის ვარიანტი, რომელიც მას მეტ სარგებელს მისცემდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავება, როგორც აგრარული წარმოების გაგრძელების პროცესი, შეიძლება განვიხილოთ ორი განსხვავებული პოზიციიდან:

1) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავება ხდება კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის იმ სპეციალიზებულ საწარმოებში, რომლებიც აგრარული პროდუქციის მწარმოებლებთან დაკავშირებულია მხოლოდ საქმიანი (შეიძლება სახელშეკრულებო) ურთიერთობებით. რაც ნიშნავს, რომ ნედლეულიდან გამომუშავებული მზა პროდუქციის მესაკუთრე კვლავ ნედლეულის მწარმოებელი რჩება (რომლის განკარგვა მას შეუძლია თავის შეხედულებისამებრ, გადამმუშავებელი საწარმოსათვის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების შემდეგ).

2) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავება ხდება თვით აგროსაწარმოს მიერ შექმნილ საწარმოო სიმძლავრეებზე ანუ ამ შემთხვევაში აგრარული საწარმო ფუნქციონირებს, როგორც აგროკომბინატი. ეკონომიკურად განვითარებულ აგროკომბინატში შესაძლებელია ასევე იყოს ორგანიზებული მზა პროდუქციის საბოლოო მომხმარებელზე ორიენტაციაც აგროკომბინატის საფირმო მაღაზიის საშუალებით. ასეთი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მაღალი ეფექტიანობა დამტკიცებულია განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ერთიან სისტემაში მოქცევა უზრუნველყოფს მომხმარებლებზე მზა პროდუქციის საჭირო დროს, საჭირო ადგილზე და საჭირო ფორმით მიწოდებას, რაც საწარმოსათვის დამატებით შემოსავლებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ადგილზე ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკურ ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავების ანარჩენები წარმოადგენს ძვირფას საკვებს (ჟომი, შრატი, ბარდა, ძვლის ფქვილი და სხვ.) პირუტყვის სხვადასხვა სახისათვის.

ბ) აბრარული პროდუქციის ადგილზე შენახვის ეკონომიკური ეფექტიანობა

აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება დამოკიდებულია არა მარტო ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებაზე, არამედ მიღებული მოსავლის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებაზეც, რასაც ადგილი აქვს მისი მინდვრიდან საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის გზაზე. მხედველობაშია მნიშვნელოვანი ოდენობით დანაკარგები, განსაკუთრებით მოსავლის აღებისა და ტრანსპორტირების დროს, რაც არც თუ იშვიათად, 20-25%-ს აჭარბებს. ანგარიშგასაწევია ასევე შორმანძილეზე მალფუჭადი პროდუქციის გადაზიდვისას ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზარალიც.

ამდენად, აგრარული პროდუქციის დანაკარგების შემცირების შესაბამისად, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი მოსავლის დროული აღება და გარკვეულ ტექნოლოგიურ პირობებში ადგილზე შენახვაა, შემდგომში მისი უფრო მომგებიანად რეალიზაციის მიზნით.

ადგილზე ხანგრძლივი ვადით შენახვას შეიძლება დაექვემდებაროს ყურძენი (სუფრის), ხილი (სხვადასხვა ჯიშის), ციტრუსი და მიწათმოქმედების სხვა პროდუქცია.

ბ) აბრარული პროდუქციისა და ნედლეულის ადგილზე გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების აგრარული საწარმოების ფუნქციონირების პრაქტიკა ადასტურებს, რომ წარმოებული პროდუქციის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას რიგ შემთხვევაში პროდუქციის ადგილზე სამრეწველო გადამუშავება წარმოადგენს.

სამრეწველო გადამუშავებას შეიძლება დაექვემდებაროს როგორც მრავალწლიანი, ასევე ერთწლიანი კულტურების პროდუქცია. მათგან უფრო გავრცელებულია ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ტომატ-პასტების, სანელებლების, ჯემების, ხმელი ჩირის (მათ შორის ქლიავის, გარგარის, ვაშლის და ა.შ.), მცენარეული ზეთის და სხვა პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობის საწარმოებში გადამუშავებას შეიძლება დაექვემდებაროს ხორცის, რძიდან ყველის, კარაქის, მაწონის და რძის სხვა პროდუქტების წარმოება.

რაც უფრო ღრმად და კომპლექსურად ხდება აგრარული პროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავება, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა.

როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ადგილზე გადამუშავების საკითხს ვიხილავთ, მხედველობაში გვაქვს შედარებით მცირე საწარმოო სიმძლავრეების მოწყობა (საამქროების სახით), რომელთა ორგანიზება მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებთან არ იქნება დაკავშირებული. ასეთი სიმძლავრეების ადგილზე შექმნა გამართლებულია იმითაც, რომ საშუალებას იძლევა საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებიდან გამომდინარე, დროულად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება (შესაბამისი ზომები) ფასების მერყეობით გამოწვეული ზარალის თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად (კერძოდ, ფასების ვარდნის შემთხვევაში გაზარდოს ადგილზე შენახვის ან გადამუშავების მოცულობა და, პირიქით).

აგრარული პროდუქციისა და ნედლეულის ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება ადგილზე იქნეს გადამუშავებული, შესაძლებელია გაიზარდოს სხვა კულტურების ხარჯზეც, მაგრამ რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილება მათი გადამუშავებული სახით რეალიზაციისათვის მიღებულ უნდა იქნეს სწორი ეკონომიკური გათვლების და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინების საფუძველზე. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციის დონე, გასაღების ბაზრების სიახლოვე, ალტერნატიული გასაღების ბაზრების არსებობა, პროდუქციაზე მოთხოვნის სეზონური ცვალებადობის ამპლიტუდა და სხვა არსებითი ფაქტორები.

აგრარული საწარმოს ერთიან ბალანსზე არსებული დამხმარე სამრეწველო საწარმოთა (პროდუქციის გადამუშავების, შენახვის) ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა ძირითადი წარმოებისაგან გამოცალკევებით, როგორც წესი, არ ხდება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გადამუშავებაში (შენახვაში) მონაწილეობს საკუთარი წარმოების ნედლეული (უმეტეს შემთხვევაში გარედან დამატებითი მუშახელის დაქირავების გარეშე), ტექნოლოგიური პირობების დაცვის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი უნდა იყოს სამომხმარებლო ბაზარზე. ნებისმიერ შემთხვევაში სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გაწეული დანახარჯებისა და მიღებული შედეგების სწორი აღრიცხვა და სისტემური კონტროლი.

მოწინავე აგრარულ საწარმოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადგილზე პროდუქცი-

ის გადამუშავება, შენახვა შემდგომში უფრო მაღალ ფასებში რეალიზაციის მიზნით, უფრო ეფექტიანია, როცა პროდუქციის შენახვა-გადამუშავება, თავის მხრივ, შეთავსებულია მზა პროდუქციის საკუთარი საფირმო ქსელის საშუალებით რეალიზაციასთან. ასეთ კომბინირებულ საწარმოებში, როგორც წესი, მაღალია ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოებისა და მოგების მიღების მაჩვენებლები.

განვიხილოთ ადგილზე პროდუქციის შენახვა-გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა ხილის ხანგრძლივვადიანი შენახვის მაგალითზე (საყურადღებოა, რომ საქმიანობის ეს სახე ბოლო პერიოდში სულ უფრო ცხადად ყალიბდება მეწარმეობის დამოუკიდებელ სფეროდ).

ადგილზე პროდუქციის შენახვის ეკონომიკურ ეფექტიანობას ზომავენ მრავალი ეკონომიკურ-ტექნიკური მაჩვენებლით. მათ შორის ისეთით, როგორიცაა შენახვის სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი, დანაკარგების მოცულობა, შენახვის დრო, შრომისა და მატერიალურ-ფულადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის შენახვაზე, შენახვის რენტაბელობის დონე და ა.შ.

რაც შეეხება გადამუშავების ეკონომიკურ ეფექტიანობას, მას ასევე განსაზღვრავენ მრავალი მაჩვენებლით, მათ შორის ისეთით, როგორიცაა პროდუქციის ერთეულის მისაღებად ნედლეულის დანახარჯი, სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტი, პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება და სხვ.

ხილსაცავებში პროდუქციის შენახვიდან მოგება განისაზღვრება ფორმულით:

$$მ_{შენახ.} = Ც_2პ_2 - (Ც_1პ_1 + მშ_ჯ),$$

სადაც $მ_{შენახ.}$ შენახვიდან მიღებული მოგებაა; $Ც_1$ და $Ც_2$ – შენახული პროდუქციის ფასები საცავში შენახვის და რეალიზაციის პერიოდში; $პ_1$ და $პ_2$ – შენახული და რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა; $მშ_ჯ$ – მატერიალურ-ფულადი დანახარჯი პროდუქციის შენახვაზე.

მაგალითად, დავუშვათ, რომ $Ც_2$=2 ლარს, $Ც_1$ – 1 ლარს, $პ_2$ – 500 კგ-ს, $პ_1$ – 510 კგ-ს, ხოლო $მშ_ჯ$ – 100 ლარს, მაშინ მოგება პროდუქციის შენახვიდან იქნება:

$$მ_{შენახ.} = Ც_2პ_2 - (Ც_1პ_1 + მშ_ჯ) = (2(500) - [(1(510) + 100)] = 1000 - 510 - 100 = 390 \text{ ლარი.}$$

შენახვის რენტაბელობის დონე შეიძლება გაანგარიშებული იქნას ფორმულით:

$$რ_ჯ = \frac{მ_{შენახ.}}{Ც_1პ_1 + მშ} \cdot 100 = \frac{390}{510 + 100} \cdot 100 = 64.7\% .$$

ხილის საცავების სიმძლავრეების (ტევადობის) გამოყენების კოეფიციენტი გაანისაზღვრება როგორც ფაქტობრივად შენახული პროდუქციის შეფარდება შესაძლებელ მოცულობასთან, პროცენტებში, ხოლო შენახვის შესაძლო მოცულობას (ტონა/ დღეებში) ანგარიშობენ საცავის საპროექტო სიმძლავრის გამრავლებით დღეების იმ რაოდენობაზე, რომლის განმავლობაშიც საცავში შეიძლება ამა თუ იმ პროდუქციის (ხილი, ციტრუსი და ა.შ.) შენახვა.

ხილ-კენკროვანი და სხვა მრავალწლიანი ნარგაობის პროდუქციის გრძელვადიანი შენახვის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს შენახვის პროგრესული ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება. კერძოდ, შესანახი პროდუქციის ზედაპირული დამუშავება ანტიოქსიდანტებით, ხილ-კენკრის შენახვა რეგულირებადი აირის გარემოში (ჟანგბადის შემცირებით და ნახშირორჟანგის გადიდებით) და სხვ. ამავე მიმართულებით დიდ მნიშვნელობას იძენს გრძელვადიანი შენახვისათვის გამიზნული ხილის, ყურძნის და სხვა პროდუქციის წარმოების მიზნობრივი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მდგომარეობს ზოგიერთი სპეციალური აგროტექნიკური ღონისძიების გატარებაში, კერძოდ, ზომიერი გასხვლა (ხეხილში), მცენარის დაბალანსებული კვება აზოტოვანი სასუქის შემცირებული დოზებით, მავნებელ-დაავადებებისგან უკეთესი დაცვა, რიგთაშორისებში სიდერატების თესვა და ა.შ.

აგრარული პროდუქციის მოხმარების ვადის გახანგრძლივება არასეზონურ პერიოდში შესაძლებელია ასევე მათი ჯემად, მურაბად, მარმელადად და სხვა სახის პროდუქტებად გადამუშავებითაც. იმის მიხედვით, თუ როგორი მეთოდია გამოყენებული ხილ-კენკროვანი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებისთვის და როგორი პროცესებით ხდება ზემოქმედება

ნელლეულზე. გადამუშავების შემდეგ სახეებს განასხვავებენ: ქიმიური – როცა კონსერვირებას აწარმოებენ ანტისეპტიკური ნივთიერებებით; ფიზიკური – როცა ნელლეულის დამუშავება ხდება თერმოსტერილიზაციით, სწრაფი გაყინვით, შრობით (ჩირი) და სხვა მეთოდებით.

ადგილზე პროდუქციის გადამუშავება საშუალებას იძლევა სრულად და რაციონალურად იქნეს გამოყენებული მთელი მოსავალი, მათ შორის არასტანდარტული, რომელიც ხშირად მთელი მოსავლის 25-30%-ს შეადგენს. საწარმოებში, სადაც არ არსებობს პროდუქციის გადამუშავების სიმძლავრეები, არასტანდარტულ პროდუქციას ან საერთოდ არ იღებენ, ან თუ იღებენ, იყენებენ პირუტყვის საკვებად, რის გამოც დიდად ზარალდებიან.

აგრარული პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში მოქცევა, შეიძლება ითქვას, მათი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. მისი განხორციელება შესაძლებელია აგროფირმის, აგროკომბინატის, აგროგაერთიანების და სხვა ორგანიზაციული ფორმის საწარმოთა ჩარჩოებში.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის სახეები და განმარტეთ თითოეული მათგანის არსი.
2. განასხვავეთ ერთმანეთისაგან „ეკონომიკური ეფექტიანობა“ და „ეკონომიკური ეფექტი“.
3. ჩამოთვალეთ აგრარული წარმოების, როგორც დარგის, შიდადარგობრივი ეფექტიანობის სახეები და განმარტეთ თითოეული მათგანი.
4. დაახასიათეთ აგრარული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა ჯგუფები. განმარტეთ კერძო და განმაზოგადებელ მაჩვენებელთა ეკონომიკური არსი.
5. პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე გაიანგარიშეთ რესურსტევადობის, წარმოებული პროდუქციის რენტაბელობის და აგრარული საწარმოს მოგების ნორმის მაჩვენებლები.
6. პრაქტიკული მაგალითის მიხედვით გაიანგარიშეთ აგრარულ საწარმოში პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ეფექტი და დამატებითი ხარჯების გამოსყიდვის მაჩვენებელი.
7. გაიანგარიშეთ მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების გამოყენების რენტაბელობის დონე.
8. ჩამოთვალეთ მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები და ახსენით მათი ეკონომიკური არსი.
9. გაიანგარიშეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურთა მორწყვის და ფართობიდან ზედმეტი წყლის მოცილების (დაშრობის) ეკონომიკური ეფექტიანობა.
10. ჩამოთვალეთ ძირითადი ზოოტექნიკური ღონისძიებები და გაიანგარიშეთ მათი ეკონომიკური ეფექტიანობა.
11. ჩამოთვალეთ, რა ეკონომიკური მონაცემებია საჭირო ზოოვეტერინარული ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად.
12. დაახასიათეთ აგრარული პროდუქციის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები.
13. კონკრეტული მაგალითის მიხედვით გაიანგარიშეთ კაპიტალური დაბანდების ამოგების ვადა. ახსენით დისკონტირებისა და კომპოდირების არსი და მნიშვნელობა.
14. გაიანგარიშეთ აგრარული პროდუქციის ადგილზე ხანგრძლივვადიანი შენახვის ეკონომიკური ეფექტიანობა მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლებით.
15. ახსენით აგრარული პროდუქციის ადგილზე ხანგრძლივვადიანი შენახვის პირობები და მისი მნიშვნელობა.

ტესტი

1) აგრარული საწარმოში განასხვავებენ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგ სახეებს:

ა) ცალკეული დარგების და ქვედარგების ეკონომიკური ეფექტიანობა
ბ) ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობა
გ) ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა
დ) თვითმმართველობისა და კონტროლის ეკონომიკური ეფექტიანობა

2) აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია:

ა) აგრარული პროდუქციის წარმოების გადიდება
ბ) დანახარჯების მინიმიზაცია
გ) მოგების მაქსიმიზაცია
დ) გარემოზე ზეწოლის მინიმიზაცია

3) აგრარულ საწარმოს წმინდა შემოსავალი არის:

ა) წარმოებული პროდუქციის ღირებულების და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობა
ბ) რეალიზებული პროდუქციის ღირებულების და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობა
გ) სხვაობა წარმოებული პროდუქციის და რეალიზებული პროდუქციის ღირებულებათ შორის
დ) სხვაობა რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და ცვლად დანახარჯებს შორის

4) ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში არის:

ა) სხვადასხვა დარგებში ფულადი სახსრების გრძელვადიანი დაბანდება
ბ) ბანკის კრედიტი ბინათმშენებლობისთვის
გ) გასაღების ბაზრებისათვის გახარჯული თანხა
დ) წერილი ინვენტარის შესაძენად გაწეული ხარჯები

5) ინვესტიციების წყაროებია:

ა) საწარმოს საერთო შემოსავალი
ბ) საწარმოს საერთო პროდუქცია
გ) ეკონომიკური მოგება
დ) ბუღალტრული მოგება

6) შემოსავლების და დანახარჯების დისკონტირება არის:

ა) ბანკის კრედიტზე მარტივი პროცენტის დარიცხვა
ბ) ფულადი ნაკადების შესაბამისობაში მოყვანა მიმდინარე ღირებულებასთან
გ) კაპიტალურ დაბანდებათა ამოგების ვადის დადგენა
დ) ავანსური რენტის გაანგარიშება

7) დისკონტირებული ღირებულება არის:

ა) ძირითადი კაპიტალის საბალანსო ღირებულება
ბ) ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება
გ) მომავალი შემოსავლების ღირებულება მიმდინარე მომენტისათვის
დ) დღევანდელი ცოცხალი ფულის ღირებულება მომავალში

8) სასოფლო-სამეურნეო ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებაში
ბ) წარმოების საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში
გ) შრომის ფონდშეიარაღების ზრდაში
დ) წარმოების კონცენტრაციის დონის ზრდასა და მოგების გადიდებაში

XI თავი. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა აბრარულ წარმოებაში

11.1. გარემოსდაცვითი მოთხოვნების არსი და მათი განხორციელების ძირითადი მიმართულებები

გარემომცველი ბუნება ადამიანის სიცოცხლისა და საზოგადოებრივი წარმოების უპირველესი წყაროა. იგი ადამიანის არსებობის ერთადერთი მუდმივი და აუცილებელი პირობაა. ამდენად, ბუნებრივი რესურსების დაცვა და მათი მოვლა-პატრონობა სცილდება ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის თუ კონტინენტის ფარგლებს და ის საყოველთაო გლობალურ პრობლემად გვევლინება. იგი თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით კაცობრიობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.

საყურადღებოა ისიც, რომ ადამიანის არსებობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალიდან (ჰაერი, წყალი, სითბო, სინათლე, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა და ა.შ.), ვერც ერთი ცალკე აღებული ვერ უზრუნველყოფს ადამიანის არსებობას პლანეტაზე. საჭიროა ბუნებრივი რესურსების ეროვნებლიობა, რაც ბუნებრივი რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას კომპლექსურ ხასიათს სძენს.

ადამიანი უკვე მრავალი საუკუნეა ზემოქმედებს ბუნებაზე და სახეს უცვლის მას. ამასთან, თუ დიდი ხნის განმავლობაში ეს ზემოქმედება ლოკალურ და არაინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ბოლო საუკუნეებში ეს დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა. მოსახლეობის ზრდასთან და ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილების მატებასთან ერთად გარემოზე ადამიანის ზემოქმედებამ სწრაფი ტემპით იწყო მატება. მაქსიმალური მოგების მიღების სურვილმა გამოიწვია ბუნებრივი რესურსების მტაცებლური გამოყენება, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს ანთროპოგენური დაბინძურება. აღნიშნულ მდგომარეობას მრეწველობის სხვადასხვა დარგებთან (განსაკუთრებით ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოები) ერთად ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ინტენსიური ტემპებით განვითარებამაც, რომელიც, როგორც ცნობილია, გარემოს ერთ-ერთი მთავარი დამბინძურებელია.

ადამიანის აგროეკონომიკური საქმიანობა პლანეტაზე დაახლოებით 12 ათას წელს ითვლის. ამ პერიოდში მან „მოასწრო“ ბუნებისათვის საგრძნობი ზარალის მიყენება, რადგან პრინციპი, გარემოდან შესაძლო მაქსიმუმის ამოღებისა თავიდანვე მისი ძირითადი „სტრატეგია“ გახდა.

მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ადამიანმა მაინც ვერ შეძლო ყვართობის ერთეულზე იმაზე მეტი პროდუქციის წარმოება, ვიდრე ამას თვით ბუნება აკეთებს (ველურ ლანდშაფტებში საშუალოდ 45 ათ. კ/კალორია იწარმოება ერთ კვადრატულ მეტრზე), კულტურულში კი უკეთეს შემთხვევაში (იონჯა) მხოლოდ 25 ათ. კ/კალორია). ბოლო საუკუნის მანძილზე ადამიანმა შეძლო წარმოებაში ჩაერთო ხელოვნური მექანიზმები, რომელთა ძირითადი მამოძრავებელი ამოწურვადი ბუნებრივი რესურსებია.

დღეს უკვე სოფლის მეურნეობას, როგორც მატერიალური წარმოების დარგს, ამ ხელოვნური მექანიზმების გარეშე მის წინაშე მდგარი ამოცანის შესრულება პრაქტიკულად არ შეუძლია. ამჟამად მისთვის საჭირო ენერგიას ის იღებს არა მზიდან (როგორც ეს იყო საწყის ეტაპზე), არამედ საუკუნეების განმავლობაში მიწის წიაღში დაგროვილი სათბობი საშუალებებიდან. ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც ადამიანის საქმიანობის ყველა სახესთან შედარებით ბუნებასთან ყველაზე ახლოს სოფლის მეურნეობაა, რომელსაც განვითარებისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე არ ესაჭიროებოდა ხელოვნური ქიმიური საშუალებები და მექანიკური ძრავები. ერთსაც და მეორესაც ბუნებრივი კვლავწარმოების საშუალებით იღებდა (აზოტს მცენარეული და ცხოველური ნაშთების გადამუშავებით და ჰაერიდან, ხოლო ცოცხალ გამწევ ძალას მეცხოველეობიდან).

დღეს სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის, სელექციის და სხვა მიმართულებათა განვითარების გარეშე. თანაც

ისინი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ რომელიმე რგოლის ამოგდება ერთიანი ჯაჭვიდან პრაქტიკულად შეუძლებელია. ცხადია, რომ რაც უკეთესი პირობები შეექმნება კულტივირებულ ცოცხალ ორგანიზმებს, მით მეტი ორგანული მასის წარმოებაა მათგან შესაძლებელი ანუ რაც მეტია დანახარჯები, მეტია მოსავალიც, რაც იდეალში თითქოს სწორიცაა, მაგრამ პრაქტიკაში საქმე გვაქვს მიწის კლებადი ნაყოფიერების კანონთან, რომლის თანახმად განვითარების გარკვეულ ეტაპზე შრომისა და კაპიტალის დამატებითი ხარჯება აღარ იძლევა სასურველ შედეგს ანუ პროდუქციის მატებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსასრულოდ დიდი დანახარჯები იძლევა უსასრულოდ მცირე შემოსავალს ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აქვს თავისი ეფექტიანობის ზღვარი.

ამ მხრივ, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს აქვთ თავიანთი პრობლემები. საქართველოში ბოლო ხანებში მკვეთრად გამოისახა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დეგრადაციის ტენდენცია. რთული ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და მისი კულტტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. შედეგად სახეზეა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ნიადაგის დაჭაობება, დამარილიანება, ნიადაგში ჰუმუსისა და ბუნებრივი ნაყოფიერების შემცირება.

ადგილი აქვს ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ინტენსიურ დაბინძურებას სასუქებით და სხვადასხვა პესტიციდებით, მეცხოველეობის ნარჩენებით (ნაკელი), გამონაბოლქვი აირებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის ქიმიურ შემადგენლობაზე, წყლის ხარისხზე და საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

ყოველივე ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად აქტუალურია გარემომცველი ბუნების დაცვა თანამედროვე ეტაპზე და რამდენად დიდია სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლის როლი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელმაც დაარეგულირა სამართლებრივი ურთიერთობები ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში, განსაზღვრა გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და სამეურნეო სუბიექტების უფლება-მოვალეობანი ამ სფეროში. კანონის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმიზაცია, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გონივრული მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დონეზე ჩატარებულ გარემოსდაცვითი ღონისძიებებს აქვს როგორც ერთჯერადი, ისე სისტემური და კომპლექსური ხასიათი. გარემოსდაცვითი საქმიანობა აქ ძირითადად შემოიფარგლება მიწების დაცვით ეროზიისაგან, გამოფიტვისაგან, დამარილიანებისაგან და დაჭაობებისაგან, აგრეთვე გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან (იგულისხმება ატმოსფერული ჰაერი, ასევე წყალი და ნიადაგი).

მიწების დაცვა ეროზიისაგან, ესაა ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაცვისაკენ (წყლისაგან, ქარისაგან და ადამიანის ზემოქმედებისაგან). ეროზიის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არარაციონალური სამეურნეო საქმიანობაა (ეროზია არარაციონალური მიწათმოქმედების თანმდევი სენია), რომელიც გამოიხატება აგროტექნიკური ღონისძიებების არასწორ განხორციელებაში (ნიადაგის დამუშავება დაქანების მიმართულებით), საგზაო მეურნეობის არასწორ მოწყობაში, სათიბ-საძოვრების უსისტემო გამოყენებაში (პირუტყვის ძოვება ნორმების დაცვის გარეშე) და ა.შ.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

– ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, ჰიდროტექნიკური და სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები. აქედან პირველი ჯგუფის ღონისძიებები, ესაა პრაქტიკულად ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია, კულტურათა სწორი და რაციონალური გაადგილება. მიზანმიმართული ღონისძიებების გატარების მიზნით საწარმოები ადგენენ ეროზიული მიწების რუკებს, რომელზეც დაიტანება სხვადასხვა ხარისხით ეროზირებული მიწები

და იმისდა მიხედვით, თუ რისგანაა გამოწვეული ეროზიული პროცესი (წყალი, ქარი, აგროტექნიკა) ატარებენ დიფერენცირებულად შესაბამის ღონისძიებებს (თესლბრუნვა, მრავალწლიანი ბალახების თესვა, ნიადაგის ღრმად დამუშავება და ა.შ.).

როცა ორგანიზაციულ-ტექნიკური და აგროტექნიკური ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ეროზიული პროცესების შეჩერებას, მიმართავენ ჰიდროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებას, რაც გულისხმობს წყალშემაკავებელი კედლების მოწყობას (ქვისაგან, ხეებისაგან, ბეტონისაგან). აწარმოებენ ასევე გატყიანებას (გაბუჭნარებას), რაც არა მარტო უზრუნველყოფს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების შეჩერებას, არამედ ხელს უწყობს წყლის რეჟიმის (რესურსის შენარჩუნების თვალსაზრისით) და მიკროკლიმატის გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ მოსავლიანობის მატებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები არც თუ იშვიათად კომპლექსში გამოიყენება, იმის გათვალისწინებით, თუ რა კონკრეტულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია აგროტექნიკური და ჰიდროტექნიკური ღონისძიებების გამოყენება ერთობლივად, თუ ფართობის დახრილობის მაჩვენებელი იძლევა ამის შესაძლებლობას. შედარებით დიდი დაქანების მქონე ფართობებზე კი უფრო სტაბილურ-მელიორაციული ღონისძიებებია მიღებული.

ნიადაგის გამოფიტვა ელინდება მისი ბუნებრივი ნაყოფიერების ანუ მცენარისათვის საჭირო ვარგისი საკვები ნივთიერებების შემცირებაში. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ მიწებისათვის, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მონაცვლეობა არ მიმდინარეობს, ამასთან, არ ხდება მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება. დამტკიცებულია, რომ ხანგრძლივი პერიოდის (8-9 წელი) განმავლობაში სასუქის გამოყენების გარეშე მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება ამცირებს ნიადაგში ჰუმუსის შემცველობას 7-10%-ით (სათოხნ კულტურებში – სიმინდი, კარტოფილი, სოია 20-25%-ით და ა.შ.).

ნიადაგის გამოფიტვის საწინააღმდეგო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია სწორი თესლბრუნვის დანერგვა, მრავალწლიანი ბალახების (განსაკუთრებით პარკოსნები) თესვა, რომლებიც წარმოადგენს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების კარგ შემავსებლებს. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანია ორგანული სასუქებით, განსაკუთრებით ნაკელით, ნიადაგის განოყიერება. დამტკიცებულია, რომ ერთი ტონა ნაკელის შეტანა ამაღლებს ჰუმუსის შემცველობას ანუ კომპენსაციას უკეთებს 0,2 ტონა ჰუმუსის დანაკარგს. ნიადაგში ჰუმუსის ბალანსის შესანარჩუნებლად სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის შემთხვევაში საჭიროა ყოველ ჰექტარზე 8-10 ტონა ნაკელის შეტანა. ორგანულ სასუქთან ერთად, ჰუმუსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს აგრეთვე აზოტოვანი და კალიუმიანი სასუქების ფონზე ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქების შეტანა. ამ ტიპის სასუქები ხელს უწყობს პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის ზრდას, ღეროსა და ფესვთა სისტემის განვითარებას, რაც ნიადაგში რჩება მოსავლის აღების შემდეგ, ამდიდრებს მას ორგანული მასით და იცავს გამოფიტვისაგან.

გარემოს დაცვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მიწების დაცვა დამარილიანებისა და დაჭაობებისაგან. პირველი დაკავშირებულია ნიადაგში ხსნადი მარილების დაბალი კონცენტრაციით დაგროვებასთან, რაც მიუღებელია მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც არასწორი აგროტექნიკით (მიწის ზედაპირზე ღრმა ფენებიდან მარილიანი მიწის ფენების ამოტრიალებით), ისე არასწორი რწყვის რეჟიმით და ხსნადი მარილების შემცველი სარწყავი წყლით. შესაძლოა დამარილიანება გამოწვეული იყოს გრუნტის წყლების მიწის ზედაპირთან სიახლოვით, რომლის აორთქლების შედეგად მიწის ზედა ფენა მარილით იფარება.

დამარილიანების გამომწვევი მიზეზების დადგენის შემდეგ შესაძლებელია როგორც პროფილაქტიკური, ისე დამარილიანების აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელება. ერთ-ერთი რადიკალური ამ მიმართულებით წვეთოვანი მორწყვის მეთოდის გამოყენებაა. მართალია, ეს მეთოდი ძვირადღირებულია, მაგრამ წყლის ფაქტობრივი ხარჯის საგრძნობი ეკონომიისა და რწყვის ჩატარებაზე გაწეული

შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების დიდი ოდენობით დაზოგვის გამო, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტით ხასიათდება, განსაკუთრებით წყლისა და მუშახელის შეზღუდულობის პირობებში.

ასევე უნდა ითქვას გარემოს (წყალი, მიწა, ჰაერი) დაბინძურების წყაროების შესახებ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ასეთია როგორც მიწათმოქმედების (რომელიც დამყარებულია ქიმიური საშუალებების გამოყენებაზე), ასევე მეცხოველეობის დარგები. ეს უკანასკნელი პრობლემას ქმნის როგორც ცხოველმოქმედების ნაშთებით (ნაკელით), ისე სასილოსე ნაგებობებში, ჩარჩენილი საკვები ანარჩენებით. როგორც ნაკელი, ასევე სილოსის მასა შეიცავს აზოტის, გოგირდის, ფოსფორის და სხვა ელემენტების ნაერთებს, რომლებსაც მაღალი ტოქსიკურობა ახასიათებს (შენახვისა და გამოყენების დროს ისინი სხვადასხვა გზებით ხვდება წყალში და გადაიტანება დიდ მანძილებზე).

მეცხოველეობის ანარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების ხარისხის შესამცირებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ტიპის ნაკელსაცავების და სასილოსე ორმოების მშენებლობას, მათ დაცილებას წყლის წყაროებიდან, რძის წარმოების საამქროებიდან და კვების სხვა ობიექტებიდან.

ნიადაგი ბინძურდება თვით ნაკელის შეტანის გზით, რამდენადაც ის შეიცავს მეცხოველეობაში გამოყენებული სხვადასხვა ქიმიური საშუალებების ნარჩენებსაც, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მიწის ნაყოფიერებაზე. ნიადაგში სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველქმედებაზე და საბოლოო ანგარიშით, მოსავლიანობაზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მინერალური სასუქების გამოყენებაზე. სასუქების ნაწილი არ შეითვისება მცენარის მიერ, გამოირეცხება წვიმის და რწყვის შედეგად და ხვდება წყალსაცავებში. ეს კი იწვევს წყლის ხარისხის გაუარესებას, მწვანე-ლურჯი წყალმცენარეების გაძლიერებულ განვითარებას, თევზისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების კვდომას.

გარემო პირობებზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები. ისინი გროვდება ნიადაგში და იწვევს სასარგებლო მიკროორგანიზმების დაღუპვას, ხვდება წყალსაცავებში და იწვევს სხვადასხვა უარყოფით შედეგებს.

პესტიციდებისა და სასუქების გარემოზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ბიოლოგიზაციას“ ანუ დაავადებათა და მავნებელთა გამძლე ახალი, პროგრესული ჯიშების დანერგვას, ბუნებრივი აზოტის ფიქსატორი პარკოსანი კულტურების თესვას, მცენარეთა დაავადებებისა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების დანერგვას და სხვ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ფართო მასშტაბით ინერგება ალტერნატიული (ბიოლოგიური) სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც ითვალისწინებს ქიმიური საშუალებების მინიმალურ გამოყენებას ან საერთოდ აკრძალვას, როგორც მიწათმოქმედებაში, ასევე მეცხოველეობაში.

გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები და საამქროები (რომლებიც ხშირად არ არის მიერთებული კანალიზაციის ქსელზე ან მუშაობენ გამწმენდი ნაგებობების გარეშე).

საწვავ-საცხები მასალების არასწორი ტრანსპორტირება და შენახვის არასათანადო პირობები, აგრეთვე მათი წვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებში (განსაკუთრებით მათი ტექნიკურად გაუმართაობის პირობებში) არც თუ იშვიათად გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ პრობლემის მოგვარებას. კერძოდ, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე და მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ ევროპის ქვეყნებში პრაქტიკაში უკვე ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიერ გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან აცილების სხვადასხვა მიმართულებები. აქ თვლიან, რომ ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად ეკოლოგიური მიზნის მისაღწევად აზოტოვან სასუქებზე ფასების გადიდებაა, თუმცა ასეთი ღონისძიების პრაქტიკაში განხორციელება აწყდება გარკვეულ სიძნელეებს (აზოტოვანი

სასუქების ჩანაცვლება თავისუფლად შეიძლება ნაკელით, რომელიც ასევე შეიცავს დიდი ოდენობით აზოტს და არის გრუნტის წყლების დამბინძურებელი).

არის მოსაზრება აზოტოვანი სასუქების ადმინისტრაციული წესით აკრძალვის შესახებ, მაგრამ ეს ღონისძიებაც ძნელად კოტროლირებადი და ნაკლებ ეფექტურია, მით უმეტეს, რომ აზოტოვანი სასუქების ნიადაგში შეუტანლობა იწვევს მარგინალური შემოსავლების მნიშვნელოვანი ოდენობით შემცირებას. რის გამოც, ერთ-ერთ, შედარებით ცივილურ მეთოდად დღეისათვის გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის საკომპენსაციო თანხის გადახდაა აღიარებული.

11.2. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება

თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმად აღიარებულია ეკონომიკური ეფექტის მაქსიმუმი (მოგების ან წმინდა შემოსავლის ოდენობა) გარემოსდაცვითი მოთხოვნების პირობებში. აღნიშნული კრიტერიუმის რაოდენობრივ-ხარისხობრივი დახასიათებისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც მთავარი ადგილი გარემოზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზემოქმედების (მიყენებული ზარალი და მიღებული ეფექტი), აგრეთვე მიმდინარე დანახარჯების და კაპიტალური დაბანდებების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებს ეკუთვნის.

კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ბუნებაზე ეკოლოგიური ზემოქმედება შეიძლება აღმოჩნდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. თუ ცვლილების აბსოლუტური სიდიდე უარყოფითია, საქმე გვაქვს გარემოზე მიყენებულ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ზარალთან, ხოლო თუ სიდიდე დადებითია, მაშინ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ეფექტთან.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი, ესაა ღირებულებით გამოსახულებაში გამოხატული სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის მიყენებული ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ზარალი, რომელიც განპირობებულია გარემო პირობების ხარისხობრივი გაუარესებით ან ამ ზარალის საკომპენსაციო დამატებითი დანახარჯებით.

ზარალის წარმოშობის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს ნიადაგის, წყლის ან ჰაერის დაბინძურება, რის შედეგადაც მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, უარესდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი და შესაბამისად ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან.

გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ითვლიან გარემო პირობების გაუარესების ნატურალურ მაჩვენებლებს ანუ თუ რა გავლენა მოახდინა საწარმოს მუშაობამ ფაქტობრივად არსებულ ეკოლოგიურ პარამეტრებზე. ასე მაგალითად, გარემოს (ჰაერი წყალი, ნიადაგი) დაბინძურებისას აზუსტებენ არსებული მომწამლავი ნივთიერებების შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta მნ_{ც} = \sum კ_i (მნ_{ა} - მნ_{ა'})$$

სადაც $მნ_{ც}$ – მავნე ნივთიერებათა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებია, $\sum კ_i$ – ნივთიერების მავნეობის კოეფიციენტი (ანუ ზღვრულად დასაშვები კოეფიციენტი), $მნ_{ა}$ და $მნ_{ა'}$ – წყალსა და ნიადაგში არსებული მავნე ნივთიერებების შემცველობის ბაზური და ახალი მოცულობები.

მიწების გამოფიტვის შემთხვევაში გაიანგარიშება ჰუმუსის და საკვები ელემენტების რაოდენობაში მომხდარი ცვლილებები ფორმულით:

$$\Delta ჰ_{ც} = ჰ_{ა} - ჰ_{ა'}$$

სადაც $ჰ_{ა}$ და $ჰ_{ა'}$ – ნიადაგში ჰუმუსის ბაზური და ახალი რაოდენობაა.

ხოლო საკვები ელემენტებისათვის:

$$\Delta ს_{ელ} = ს_{ელ ა} - ს_{ელ ა'}$$

სადაც $ს_{ელ ა}$ და $ს_{ელ ა'}$ – ნიადაგში საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) ბაზური და ახალი რაოდენობებია.

როცა დადგენილია არსებულ ეკოლოგიურ პარამეტრებში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები, შესაძლებელია ამ ცვლილებათა ფულადი შეფასებაც, რაც კეთდება შემდეგი ფორმულით:

$$z_{გ} = \sum X_i \cdot Ш_i ,$$

სადაც $Ზ_{გ}$ – გარემოზე ზემოქმედების ფულადი შეფასების მაჩვენებელია, $\sum X_i$ – i-რი ფაქტორის (დაბინძურება, გამოფიტვა და ა.შ.) ცვლილებაა ნატურაში, ხოლო $Ш_i$ – ცვლილების ნატურალური ერთეულის ფულადი ღირებულება.

გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებისთვის ითვლიან როგორც პირდაპირ (გარემოზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ხარჯები), ისე ირიბ დანაკარგებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსაელიანობის შემცირების გამო. დავუშვათ, საწარმოში არსებულ 100 ჰა სარწყავზე დაშენებულია ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება. კერძოდ, ერთ ჰა-ზე აზოტის დანაკარგი შეადგენს 150 კგ, ფოსფორისა – 110 კგ, კალიუმისა – 140 კგ, ხოლო ჰუმუსისა – 4 ტონას.

თუ დავუშვებთ, რომ საშუალოდ ერთი ტონა ჰუმუსის კომპენსირებისათვის საჭიროა საშუალოდ 5 ტონა ნაკელი, მაშინ ჰუმუსის კომპენსირებისათვის საჭირო ნაკელის საერთო რაოდენობა განისაზღვრება 2000 ტონით (4•5•100). რაც შეეხება საკვებ ელემენტებს, რომლებიც 2000 ტონა ნაკელის შეტანით ნიადაგში აღმოჩნდება (როცა ერთი ტონა ნაკელი შეიცავს 6 კგ აზოტს, 3 კგ ფოსფორს და 5 კგ კალიუმს) მოქმედ ნივთიერებაში შეადგენს: აზოტი – 12 ტონა (2000•6), ფოსფორი – 6,0 ტონა (2000•3), ხოლო კალიუმი – 10 ტონა (2000•5).

ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად შესატანი მინერალური სასუქების რაოდენობას გამოითვლიან ფორმულით:

$$Მს_{ჯ} = Δს_{ჯნ} \cdot Ш - ს_{ჯნნ} ,$$

სადაც $Მს_{ჯ}$ – კომპენსირებისათვის საჭირო მინერალური სასუქების რაოდენობაა, $Δს_{ჯნ}$ – საკვები ელემენტების ახალი და ბაზისური მაჩვენებლების სხვაობა, $Ш$ – ნაყოფიერებადაქვეითებული ფართობი, ხოლო $ს_{ჯნნ}$ – ნაკელთან ერთად შეტანილი საკვები ელემენტების მოცულობა.

შესაბამისი მაჩვენებლების ფორმულაში ჩასმით მიეიღებთ აზოტის საკომპენსაციო რაოდენობას: (150•100-12000) 3 ტონას, ფოსფორისათვის შესაბამისად (110•100-6000) 5 ტონას, ხოლო კალიუმისათვის (140•100-10000) 4 ტონას. აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია პირდაპირი დანაკარგის გაანგარიშება, თუ ჩავთვლით, რომ ერთი ცენტნერი სასუქის შეტანის ხარჯი საშუალოდ 20, ხოლო ერთი ტონა ნაკელისა 30 ლარია.

როგორც 11.1 ცხრილიდან ჩანს, მიწის დაქვეითებული ნაყოფიერების აღსადგენად სულ საჭირო იქნება 62.2 ათ. ლარი, რაც პირდაპირ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ზარალს გამოხატავს.

გარდა პირდაპირი ზარალისა, გამოითვლიან ასევე არაპირდაპირ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ზარალსაც, რომელიც წარმოადგენს მიწათმოქმედების პროდუქციის დანაკლისის ღირებულებას მოსავლის შემცირების გამო.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტი წარმოადგენს გარემოსდაცვითი ღონისძიების რეალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქციის ღირებულების ნამატს. მისი გაანგარიშების საფუძველია ეკოლოგიურ პარამეტრებში მომხდარი ცვლილებები ანუ ნიადაგების, წყლების, ჰაერის დაბინძურების შემცირება წინა წლებთან შედარებით, მიწის ნაყოფიერების ამაღლება, მოსავლის ზრდა, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების გადიდება და სხვ. ამ მიზნით გამოიყენება როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალური დანახარჯები.

ცხრილი 11.1

საკვები ელემენტები, ტონა	დანაკარგი ერთ ჰა-ზე, კგ	ნაყოფიერებად აქვეითებული ფართობი, ჰა	დაკარგული ნაყოფიერების აღსადგენად საჭირო სასუქები, ც	ერთი ცენტნერი სასუქის შეტანის ხარჯი, ლარი	სულ დანახარჯი ნაყოფიერების აღსადგენად, ლარი
აზოტი	150	100	30	25	750
ფოსფორი	110	100	50	20	1000
კალიუმი	140	100	30	15	450
ჰუმუსი	4	100	2000	30	60000
სულ		100	2110		62200

გარემოსდაცვითი ღონისძიებისათვის ვანკუთვნილი თანხების ნაწილი გამოიყენება ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური ღონისძიებების, მათ შორის მრავალწლიანი ბალახების თესვაზე, სასუქების შეტანაზე და ა.შ., აგრეთვე გარემოსდამცავი დანიშნულების ძირითადი საშუალებების მომსახურებაზე, მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე და სხვა მიმართულებით, რომელიც აღირიცხება, როგორც მიმდინარე დანახარჯები; ამათან ერთად, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება დაკავშირებულია ისეთ ხარჯებთან, რომლებიც მიმართულია გარემოსდაცვითი ნაგებობების, მოწყობილობის და სხვა ძირითადი საშუალებების შექმნაზე, არსებულის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე, მიწების ძირეულ გაუმჯობესებაზე, ფერდობების გატყიანებაზე (გამდელოება-გაკორდება) და სხვა ხარჯებთან, რომლებიც კაპიტალური ხარჯების კატეგორიას განეკუთვნება. გარემოსდაცვით ღონისძიებებზე მიმართულ, როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალური ხარჯების ეფექტიანობას სხვადასხვა მეთოდით ადგენენ.

მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობის დასადგენად გამოიყენება წმინდა შემოსავლის ან რენტაბელობის მაჩვენებლები, რომლებიც გათვლილია გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგის (ზარალის ან ეფექტის) გათვალისწინებით. ამისათვის იყენებენ ფორმულებს:

$$Ш_{წ} = Ш_{წ} + Э_{ზ},$$

სადაც $Ш_{წ}$ – წმინდა შემოსავალია, ხოლო $Э_{ზ}$ – გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგი რაოდენობრივ გამოხატულებაში.

რენტაბელობისთვის იყენებენ ფორმულას:

$$რ_{ე} = (Ш_{წ} + Э_{ზ}) : Д_{წ} \times 100,$$

სადაც $რ_{ე}$ – რენტაბელობის მაჩვენებელია ეკოლოგიური ზემოქმედების გათვალისწინებით, ხოლო $Д_{წ}$ – წარმოების მთლიანი დანახარჯები.

რაც შეეხება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე მიმართულ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას, მისი შეფასება შეიძლება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ეფექტიანობის მაჩვენებლთა გათვლით (დროის ფაქტორის კორექტირებით დისკონტირების მეთოდის გამოყენებით).

11.3. გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება და ამ საქმიანობის ორგანიზაცია აბრარულ საწარმოში

გარემოს დაბინძურების სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბი ობიექტურად აყენებს საკითხს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ისეთ ფორმაზე გადასვლის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკოლოგიური მოთხოვნების უპირობო შესრულებაზე.

ეს მიდგომა გულისხმობს საწარმოში არსებული ბუნებრივი რესურსების მკაცრ აღრიცხვას და მის რაციონალურ გამოყენებაზე ქმედითი კონტროლის დაწესებას. ანუ კანონმდებლობით დაწესებული სამართლებრივი ნორმების, ნორმატიების, წარმოების ტექნოლოგიურ და სხვა პირობების დაცვას ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამავე რანგშია აყვანილი ბუნებათსარგებლობისა და გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზარალის საკომპენსაციო გადასახდელების გადახდის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების პრიორიტეტული ფინანსირების და სხვა აქტუალური საკითხები.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება საწარმოს განვითარების გეგმის ისეთივე ნაწილია, როგორც ინფრასტრუქტურის, პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის და სხვა მიმართულებები. ამასთან, გარემოსდაცვით ღონისძიებებს ისევე ესაჭიროება კვლავწარმოება, როგორც წარმოების ფაქტორებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უშუალო კავშირს და დამოკიდებულებას გარემო პირობებთან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვა მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, მის განკარგულებაში არსებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მაჩვენებლებს. უმჯობესია მათი აღრიცხვა მოხდეს დიფერენცირებულად,

რესურსის (იგულისხმება მიწა) დაზიანების ხარისხის, გამომწვევი მიზეზის (ქარი, წყალი) და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ამასთან ერთად, საჭიროა აღირიცხოს (შეძლებისდაგვარად) ეკოლოგიური პარამეტრებიც (წყლის, ჰაერის, ნიადაგების) დაბინძურების ხარისხი და წყაროები.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკმაოდ დიდი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების შემადგენელი ნაწილია, მაგალითად, სანაწვერალო კულტურების თესვა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, ხვნის სამუშაოების შერჩევა ფართობის დაქანების, ექსპოზიციის და სხვა ნიშნის მიხედვით და ა.შ.). ამასთან, არის გარემოსდაცვითი ღონისძიებების ნაწილი (ყურძნობების გატყიანება, წყლის შემაკავებელი ან წყლის მოსაცილებელი პრიმიტიული და კაპიტალური ნაგებობების მოწყობა და ა.შ.), რომლებიც გეგმაში უნდა აისახოს სამუშაოთა მოცულობის, განხორციელების ეტაპების, ტერიტორიების, ხარჯების და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების საფუძველს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები წარმოადგენს. ესაა ზოგადად კანონები გარემოს დაცვის, წყლის და ტყის შესახებ, პესტიციდების და სხვა ქიმიურ საშუალებათა შენახვისა და გამოყენების შესახებ, მეცხოველეობის შენობა-ნაგებობების გაადგილების, სანაკლეების მოწყობის შესახებ და ა.შ.

აღნიშნული ნორმატიული აქტები ავალდებულებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას) გაატარონ ღონისძიებათა კომპლექსი მიწის, ტყის, წყლის რესურსების, აგრეთვე მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების დასაცავად სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ბუნებაზე უარყოფითად მოქმედი სხვა საშუალებებისაგან. ამ მოთხოვნათა უგულებელყოფა მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია როგორც ეკონომიკური, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. პირველი გულისხმობს გარემოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ხოლო მეორე კი სხვადასხვა ჯარიმებთან ერთად თავისუფლების აღკვეთასაც.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს ეკოლოგიური სტანდარტების სისტემა წარმოადგენს. ესაა ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის ანუ ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის. მათ მიეკუთვნება გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლების და მასზე ზემოქმედების სტანდარტები, ტექნოლოგიური სტანდარტები, ეკოლოგიური სერთიფიკატები, ნებართვები, ლიცენზიები და სხვ.

გარემოს ხარისხის სტანდარტები გვიხასიათებს გარემო პირობების ან ბუნებრივი რესურსის გამოყენების შესაძლებელ ინტენსივობას ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ესაა წყალში, ნიადაგსა და ჰაერში სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმები (ანუ ის დონე), რომლის შენარჩუნება საყრთხეს არ უქმნის არც ადამიანის ჯანმრთელობას და არც გარემომცველ ბუნებას).

გარემოზე ზემომოქმედების სტანდარტი, ესაა წყალში, ნიადაგში თუ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების (გამოყოფის) ნორმატივები, რომელიც წესდება ინდივიდუალური მიდგომით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ მან არ გადააჭარბოს მოცემული რეგიონისათვის დაშვებულ ზღვრულ ნორმას. ამ მიზნით ნებისმიერი პროექტი (საამშენებლო, ტექნოლოგიური და ა.შ.) საჭიროებს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას და მხოლოდ დადებითი ეკოლოგიური დასკვნის მიღების შემთხვევაში ექვემდებარება რეალიზებას. ანალოგიური წესია დანერგილი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიმიტების დაწესებისას (მათ აწესებენ განსაზღვრულ დროს ბუნებიდან ამოსაღები თითოეული სახის რესურსის მიხედვით).

გარემოსდაცვითი პრაქტიკა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იცნობს ეკოლოგიური პასპორტის შემუშავების წესსაც. ასეთი სახის პასპორტი შეიცავს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებას, მონაცემებს მისი გაადგილებისა და საწარმოო სტრუქტურის შესახებ, გამოყენებული რესურსის რაოდენობრივ-

ხარისხობრივ მახასიათებლებს, წარმოების ნარჩენების და მავნე ნივთიერებების რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რიგი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს დამბინძურებელთა და კანონის დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების გამოყენებასაც. ესაა პირდაპირ სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტა ან შეზღუდვა, ლიცენზიის ჩამორთმევა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სასჯელი.

ქვეყნების უმრავლესობაში (მათ შორის საქართველოშიც) ბუნებათსარგებლობა ფასიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მომჩემარებელი იხდის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. მათ შორის მიწის, წყლის, ტყის და სხვა რესურსებით სარგებლობისათვის. (ეს დანახარჯები, როგორც წესი, აისახება წარმოების საერთო დანახარჯებში, პროდუქციის თვითღირებულების, მომსახურების ტარიფის, მოსაკრებლის თუ სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას). ასე მაგალითად, მიწაზე მოქმედებს მიწის ქონების გადასახადი და მიწის საიჯარო გადასახადი. პირველი წარმოადგენს საკუთრებაში არსებული მიწის გადასახადს, ხოლო მეორე – მიწით სარგებლობისათვის დაწესებულ ქირას. აქედან, თუ პირველს განსაზღვრავს კანონი, მეორე რეგულირდება საიჯარო ხელშეკრულებით (მოიჯარეს (დამქირავებელი) და მეიჯარეს (გამქირავებელი) შორის).

წყლით სარგებლობისათვის ლიცენზირებული მომხმარებელი იხდის წყლის გადასახადს მათთვის დაწესებული წყლის აღების ლიმიტის ფარგლებში (ან ლიმიტის ზევით).

ჩვენ ქვეყანაში მოქმედი ტყის კოდექსის მიხედვით, ტყის რესურსებით სარგებლობისათვის დაწესებულია გადასახადი, რომელსაც ასევე იხდიან ამ რესურსების მომჩემარებელი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელიც დიფერენცირებულია ხის ჯიშის (მუხა, წაბლი, ნაძვი და ა.შ.), მერქნის სახეობის (საქმიანი მერქანი, საშეშე მერქანი), გამოსაზიდი მანძილი ტყიდან, სიდიდე, ხეთადგომის სიხშირე და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მოქმედებს ასევე საიჯარო ქირაც, რომლის პირობები რეგულირდება საიჯარო ხელშეკრულებით.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადები ადგილობრივი ბიუჯეტების შესავსებად გამოიყენება, საიდანაც ის კვლავ ბუნებრივი რესურსების მოვლა-პატრონობის და კვლავწარმოებისათვის უნდა გამოიყენებოდეს. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტებისა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზე და მათ კვლავწარმოებაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სხვა დონის ბიუჯეტური სახსრები, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრები, კრედიტები, არასაბიუჯეტო ეკოლოგიური ფონდების სახსრები და სხვა წყაროები.

მთავარი გარემოსდაცვით საქმიანობაში სახსრების გამონახვასთან ერთად იმ საწარმოო აგროტექნიკური და ტექნოლოგიური ნორმებისა და პირობების დაცვაა, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოზე ეკოლოგიური ზეწოლის და ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის მინიმუმამდე შემცირებას. ამ მიზნით საჭიროა საწარმოში დამუშავდეს და დაინერგოს პროგრესული, ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები, მიწის დაბინძურებისა და დეგრადაციისაგან დაცვის ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, სისტემატური კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს აგროქიმიკატების შენახვა და მისნობრივი გამოყენება.

საწარმოს საინჟინრო სამსახური სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს მანქანა-იარაღების სარემონტო ბაზის მუშაობას, საწვავ-საცხები მასალების გამოყენებას, ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას, რათა მინიმუმამდე იქნეს შემცირებული გამონაბოლქვი მავნე აირების რაოდენობა. ამავე მიმართულებით ზოოსამსახურის მოვალეობაა არ დაუშვას მეცხოველეობაში გამოყენებული შხამ-მასალებით ნიადაგის დაბინძურება, პირუტყვის არარაციონალური ძოვება სათიბ-საძოვრებზე და ამ მიზეზით მიწების დეგრადაცია. ის ორგანიზებას უნდა უწევდეს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ საჭირო ზოოვეტერინარული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების კოორდინაცია უნდა განახორციელოს საწარმოს ეკონომიკურმა სამსახურმა. ამ მიზნით ის აწარმოებს საჭირო ღონისძიებათა დაფინანსებისათვის სახსრების

მოძიებას და ახორციელებს სათანადო კონტროლს მათ მიზნობრივ ხარჯვაზე. მისი მიზანი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაღალეფექტურად წარმართვა უნდა იყოს, რაც, თავის მხრივ, გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებაში უნდა გამოიხატოს. გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხოლოდ თავისდროულ და ხარისხიან განხორციელებას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარება და იმავდროულად გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღება.

114. შეზღუდული ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრინციპები

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის ყველაზე მეტად სოფლის, ტყისა და თევზის მეურნეობის, მოპოვებითი მრეწველობის დარგების, ჯანდაცვისა და ტურიზმის ინტერესები კვეთს ერთმანეთს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სულ უფრო მზარდი ინტენსიფიკაცია, აგრეთვე სოფლად სამრეწველო ობიექტებისათვის, საცხოვრებელი, საავტომობილო გზებისა და სხვა დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფა, სულ უფრო ამცირებს რეკრეაციული და ტურისტული მიზნებისათვის მათ გამოყენებას.

ბუნებრივი რესურსები მარაგების მდგრადობისა და სხვა თვისებების მიხედვით იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: ამოუწურავ, ამოწურვად-აღდგენით და აღუდგენელ რესურსებად. პირველს მიეკუთვნება მზისეული, გრავიტაციული, ქარისმიერი და სხვა (ცალკეული მკვლევარი ამ რესურსებს მიაკუთვნებს კლიმატურ და ჰიდრორესურსებსაც, რასაც ყველა მეცნიერი არ იზიარებს. წყლისა და ჰაერის ოდენობა ფიზიკურად თითქოს არ იცვლება, მაგრამ ანთროპოგენური გაჭლენა იწვევს მათ დაბინძურებას, რაც მათი მარაგის შემცირების ტოლფასია. ამავე მიზეზით უნდა ჩავთვალოთ, რომ არც მზის ენერგიის მიღებაა უცვლელი).

ბუნებრივი რესურსების მეორე ჯგუფს (ამოწურვად-აღდგენითი) მიაკუთვნებენ ნიადაგებს და ბიოგენური წარმოშობის (მცენარეული და ცხოველური) რესურსებს. არასწორი ექსპლუატაციის პირობებში ნიადაგები თანდათან იფიტება, კარგავს ნაყოფიერებას ქარისმიერი თუ წყლისმიერი ეროზიის შედეგად, მაგრამ რაციონალური აგროტექნიკის პირობებში ნიადაგის ნაყოფიერება შეიძლება აღდგენილ იქნეს და უფრო მაღალი ეფექტით იქნეს გამოყენებული. იგივე ითქმის ბიოგენური წარმოშობის ორგანიზმების მიმართაც. კერძოდ, არასწორი ექსპლუატაციის, ნადირობის და რეწვის შედეგად ხდება ამ რესურსების გაღარიბება (დაკნინება), მაგრამ ხერხდება მათი აღდგენაც ადამიანის მიზნობრივი ჩარევით.

რესურსების მესამე ჯგუფს (აღუდგენელი) მიეკუთვნება წიაღისეული (როგორც მადნეული, ისე არამადნეული) სიმდიდრეები, მინერალური სათბობი, რადიაქტიური ნივთიერებებიდან მიღებული ატომური ენერგია და სხვ. ანუ ისეთი რესურსები, რომლებიც მოხმარების პროცესში მთლიანად იხარჯება და მათი ბუნებრივი აღდგენა შეუძლებელია.

ბუნებრივი რესურსების მეტ ნაწილს, როგორც ვხედავთ, ამოწურვადი რესურსები შეადგენს, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათ მიმართ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანს შეუძლია მათი მართვა (განსხვავებით ამოუწურვადისა) და რაციონალური გამოყენება საერთო მიზნების რეალიზაციისათვის.

ნებისმიერი ბუნებრივი რესურსის გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ამ რესურსის წარმოშობის ხასიათი ანუ მიეკუთვნება ის აღდგენად თუ არააღდგენად რესურსს. არის ის შეუზღუდავი, ნაკლებ შეზღუდული, თუ იშვიათი, არის რესურსი კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებაში (ამ უკანასკნელ შემთხვევაში განსაკუთრებით იგრძნობა რესურსის არარაციონალური, არც თუ იშვიათად მტაცებლური გამოყენება).

აღდგენით ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება მცენარეები და ცხოველები, რომლებიც ხასიათდება თვითრეგულირების (თვითგადარჩენის) უნარით. მათ შეუძლია ბუნებრივ თანასწორობაში ყოფნა გარე ფაქტორების დახმარების გარეშე.

ამ თანასწორობიდან მათი გამოყვანა მხოლოდ ანთროპოგენურ (ადამიანის მიერ) ზემოქმედებას შეუძლია ბუნებიდან ზედმეტი რესურსის ამოღების გზით (მტაცებლური ნადირობა, თევზაობა, ტყის რესურსების მოპოვება და ა.შ.). ზომიერი ბუნებათსარგებლობის პრინციპით შესაძლებელია აღდგენითი ბუნებრივი რესურსების სტაბილური და ბუნებრივი რეგენერაცია და მდგრადი განვითარება.

როცა აღდგენითი ბუნებრივი რესურსების ოპტიმიზაციის საკითხებზე ვმსჯელობთ, უნდა განვასხვავოთ ამ რესურსების მოკლე და გრძელვადიანი სარგებლობა და ის მოტივაცია, რომელიც გააჩნია რესურსების მფლობელს. მოკლევადიან პერიოდში რესურსის მფლობელის მისწრაფებაა გამოიყენოს ის იმგვარად, რომ მოპოებული (ამოღებული ბუნებიდან) რესურსის ოდენობა შეესაბამებოდეს იმ ოპტიმუმს, რომელიც განსაზღვრულია მაქსიმალური მოგების კრიტერიუმით. ამასთან ერთად, რესურსის მოვლა-პატრონობის ხღვრული დანახარჯი უნდა შეესაბამებოდეს მისგან მიღებულ ზღერულ შემოსავალს (ანუ ზღვრული დანახარჯი უნდა იყოს ტოლი ან ნაკლები ზღერულ შემოსავალზე).

გრძელვადიანი ბუნებათსარგებლობის დროს, როგორც წესი, რესურსის ყოველწლიური გამოყენების მოცულობა მერყეობს (იზრდება ან მცირდება). ასეთ პირობებში ოპტიმალურად ითვლება დროის მოცემულ მონაკვეთში რესურსის წმინდა მიმდინარე ღირებულება, რომელიც განსაზღვრავს რესურსის ყოველწლიური გამოყენების ოპტიმალურ დონეს. ამ მიზნით საჭიროა ყოველწლიურად მიღებული შემოსავლების დისკონტირება საბაზრო პროცენტის (სესხზე) გათვალისწინებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება შემდეგ ძირითად კანონზომიერებასთან გვქონდეს საქმე:

ა) რაც მაღალია საბანკო პროცენტის მნიშვნელობა (რომლითაც დისკონტირდება მომავალი წლების შემოსავალები), მით უფრო დაბალი იქნება რესურსის მომავალში გამოყენების ღირებულება (მიმდინარე ღირებულებაში გადათვლით). ამ შემთხვევაში უფრო სარგებლიანია რესურსის მაქსიმალური გამოყენება მიმდინარე პერიოდში;

ბ) რაც მეტია რესურსის მოხმარება მიმდინარე მომენტისათვის, მით ნაკლებია რესურსის მოცულობის აღდგენის წონასწორული დონე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სხვა კანონზომიერებაც. კერძოდ, კაპიტალის აკუმულაციის თეორიიდან ცნობილია, რომ რაც მეტია რესურსის მიმდინარე ეტაპზე გამოყენების უპირატესობა და მოსახლეობის რაოდენობის მატება, მით მეტია სესხის საბანკო პროცენტი, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მივყევართ მიმდინარე მომენტში აღდგენითი რესურსების გამოყენების უფრო მაღალ ინტენსივობასთან ანუ რესურსის მოცულობის გამალებულ შემცირებასთან და რესურსის სრული გაქრობის საშიშროებასთან.

შეუზღუდავია ბუნებრივი რესურსები, თუ მისი ბუნებიდან ამოღების მიუხედავად მისი მარაგები არ იწურება დროის თვალსაწიერ პერიოდში.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში მიწა გამოდის, როგორც განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსი, რომლის დამუშავების ინტენსიობის გაზრდასთან ერთად მოქმედებას იწყებს ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი ანუ ფართობის ერთეულიდან მიღებული მოსავალი კლებულობს ამავე ფართობზე დაბანდებული შრომისა და კაპიტალის დაბანდების ზრდის კვალობაზე.

მიწა, ისევე როგორც სხვა ბუნებრივი რესურსი, ასევე ემორჩილება ბუნებათსარგებლობის ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს. კერძოდ, მოკლევადიან პერიოდში მიწის მფლობელი კაპიტალის დაბანდების რაციონალური პრინციპებიდან გამომდინარე, დაინტერესებული უნდა იყოს მის ისეთ გამოყენებაში, როცა მიწის ნაყოფიერება იქნება მდგრადი ოპტიმუმის დონეზე და უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოგებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამ მიმართულებით წარმოებული გათვლები (დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით) აჩვენებს ამ რესურსის მიმდინარე მომენტში გამოყენების უფრო დიდ მიმზიდველობას, მომავალში გამოყენებასთან შედარებით, რასაც შესაძლოა მომავალში გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

ეკონომიკური მიზნების ცალმხრივად გამოყენებას, საბოლოო ანგარიშით, მივყევართ – ნიადაგიდან ნიტრატების გამორეცხვასთან, ნიადაგის ეროზიასთან, ბიომრავალფეროვნების შემცირებასთან. ატმოსფეროს დაბინძურებასთან სხვა-

დასხვა მავნე აირებით, ბუნებისა და საზოგადოების მდგრადი განვითარების შეუსაბამობასთან და სხვა.

ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების ურთიერთდაკავშირება გვეელინება წარმოების თეორიის ერთ-ერთ პრინციპულ დებულებად. მდგომარეობას ამწვავებს ის, რომ ეკოლოგიურ-ეთიკური მიზნების რაოდენობრივი გამოხატვა გარემომცველი ბუნებისა და მისი რესურსების გამოყენების საზოგადოებრივად საარგებლო ოპტიმუმის დადგენის თვალსაზრისით პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი მხრივ, საჭიროა საზოგადოების ეკოლოგიურ-ეთიკური მოთხოვნების, ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი რესურსების შეზღუდული ოდენობის გამოყენებისაგან მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია ასევე ბუნებრივი რესურსების მომავალი თაობებისათვის დაზოგვა (მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე). ცოცხალი ორგანიზმების ანუ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარების ეკონომიკური ოპტიმუმი ღღეისათვის მსოფლიოს მრავალ რეგიონში გაცილებით მაღალია საზოგადოებრივად სასარგებლო ოპტიმუმზე, რის გამოც მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებიდან მეტად მაღალია.

ცალკეული ქვეყნების აგრარული პოლიტიკა სულ უფრო მიზანმიმართული ხდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე. მოგების მაქსიმიზაციისა და დანახარჯების მინიმიზაციის ეკონომიკური კრიტერიუმები ამ ქვეყნებში ჩაყენებულია ეკოლოგიურად დასაბუთებული შეზღუდულობის ჩარჩოებში (ნორმატივების დადგენა ნიტრატებით ჩამავალი წყლების დაბინძურებაზე, ნიადაგის ეროზიის მაჩვენებლის დადგენა და ა.შ.).

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. ახსენით „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის არსი და მნიშვნელობა ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში.
2. განმარტეთ ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის არსი. რას ნიშნავს ეკოლოგიური „ზეწოლა“?
3. როგორ გაიანგარიშება ნიადაგში პუმუსისა და საკვები ელემენტების რაოდენობაში მომხდარი ცვლილებები?
4. ჩამოთვალეთ ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა დადგენა აუცილებელია გარემოზე ეკოლოგიური ზეწოლის შესაფასებლად.
5. გაიანგარიშეთ ნიადაგიდან გამოტანილი საკვები ელემენტების საკომპენსაციოდ შესატანი ორგანული სასუქის ეკვივალენტური რაოდენობა.
6. განმარტეთ ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტის ეკონომიკური არსი და მისი გაანგარიშებისათვის საჭირო მაჩვენებლები.
7. ახსენით, რატომ გახდა ბოლო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების „ბიოლოგიზაცია“ ობიექტურად აუცილებელი.
8. ჩამოთვალეთ გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ახსენით მათი ეკონომიკური არსი.
9. რა არის „გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები“, „საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი“? რატომაა აუცილებელი მათი წარმოებაში დანერგვა?
10. ჩამოთვალეთ ბუნებრივი რესურსების ჯგუფები და დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
11. როგორია ბუნებრივი რესურსების გაყიდვის ან სარგებლობის ოპტიმალური დონე გრძელვადიანი ბუნებათსარგებლობის პირობებში.
12. განმარტეთ „მდგრადი განვითარება“ და ახსენით გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები.

ტესტი

1) აგრარული საწარმოს ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი არის:

ა) საწარმოსათვის მიყენებული ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ზარალი, რომელიც განპირობებულია გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ხარჯებით
ბ) საწარმოს მიერ გარემოსათვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციო დანახარჯები
გ) წყლისა და ნიადაგის დაბინძურებისათვის გადასახდელი საჯარიმო თანხები
დ) ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად გაწეული ხარჯები

2) გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია:

ა) გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება
ბ) გარემოსდაცვით ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მაქსიმიზაცია
გ) ეკონომიკური ეფექტის მაქსიმუმი გარემოსდაცვითი მოთხოვნების პირობებში
დ) ეკოლოგიური ზარალის მინიმუმი

3) აგრარულ საწარმოში გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვა მოიცავს:

ა) საწარმოში არსებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივ აღრიცხვას
ბ) საწარმოში არსებული ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური პარამეტრების აღრიცხვას
გ) გარემოსდაცვით ღონისძიებების დაგეგმვას
დ) ყველა პასუხი სწორია

4) ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა:

ა) რესურსის კატეგორიის დადგენა
ბ) რესურსის შეზღუდულობის ხარისხის დადგენა
გ) რესურსით სარგებლობიდან მიღებული შედეგი მოკლევადიან პერიოდში
დ) რესურსით სარგებლობიდან მიღებული შედეგი გრძელვადიან პერიოდში

5) გარემოზე ზემოქმედების სტანდარტი არის:

ა) წყალში და ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების ნორმატივი
ბ) ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმატივი
გ) გარემოზე მიყენებული ზარალის ნორმატივი
დ) ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ნორმატივი

XII თავი. აგრარული საწარმოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები

12.1. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობათა არსი და ფორმები

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმაა. გარდა ამისა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს: სავალუტო-საფინანსო ურთიერთობებს, კაპიტალის გატანას, მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას და სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციას. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელისუფლებო ორგანოთა, ასევე ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციებისა და კერძო სტრუქტურების დონეზე.

ცნობილია საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორი ძირითადი ფორმა: საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობა და ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. საერთაშორისო პრაქტიკაში საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა შემდეგი ძირითადი სახეები ჩამოყალიბდა: ექსპორტული, იმპორტული, რეექსპორტული, რეიმპორტული და შემხვედრი.

საექსპორტო ოპერაცია ითვალისწინებს უცხოელი პარტნიორისათვის (კონტრაგენტისათვის) საქონლის ან მომსახურების მიყიდვას მისი უცხოეთში გატანის ორგანიზაციით. საიმპორტო ოპერაცია – პირიქით, გულისხმობს საქონლის (მომსახურების) უცხოეთში შესყიდვას და შემოტანას.

რეექსპორტის დროს წარმოებს ადრე იმპორტირებული, მაგრამ გადამუშავებას დაუქვემდებარებელი საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვა და გატანა, ხოლო რეიმპორტის დროს – ადრე ექსპორტირებული, მაგრამ დამუშავებას დაუქვემდებარებელი საქონლის შესყიდვა და შემოტანა ქვეყანაში.

შემხვედრი ვაჭრობა გულისხმობს ექსპორტიორის ვალდებულებას შეისყიდოს იმპორტიორისაგან საქონელი ექსპორტის მთელი ღირებულების ან მისი ნაწილის ანგარიშში. ასეთი ოპერაციები სამ ჯგუფად იყოფა. კერძოდ, შემხვედრი ვაჭრობა არასავალუტო საფუძველზე, საქონელგაცვლის ოპერაცია კომერციულ საფუძველზე და საკომპენსაციო ოპერაცია (გარიგება) საწარმოო ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე. აქედან პირველი გულისხმობს განაღდებას პროდუქციით (საქონლით), როცა ერთი სახის საქონლის ყიდვა დაკავშირებულია მეორე საქონლის გაყიდვასთან. კომერციულ საფუძველზე აგებული საქონელგაცვლა გულისხმობს საქონლის შემხვედრი მიწოდებას წინასწარ დადგენილ ვადებში, ხოლო საკომპენსაციო გარიგება გულისხმობს, რომ ნაყიდი მოწყობილობის და ნედლეულის ანაზღაურება მოხდება შესყიდული მოწყობილობისა და ნედლეულის საფუძველზე წარმოებული საქონლით.

ერთობლივი საწარმო – ეს არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც იქმნება, იმართება და კონტროლდება რამდენიმე პარტნიორის მიერ, მათ მიერ საწესდებო კაპიტალში ჩადებული წილების მიხედვით. ასეთი საწარმოების შექმნა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საქმიანობის რეჟიმი განისაზღვრება ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე.

საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი სიტუაციის, სავაჭრო ტრადიციების, წარმოების მოცულობისა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით, საწარმოს საგარეო ბაზარზე გასვლა შეუძლია პირდაპირ (უშუალოდ) ან შესაბამისი შუამავლების მომსახურების გამოყენებით. პირდაპირი კავშირების დროს ექსპორტიორი და იმპორტიორი დამოუკიდებლად ნახულობენ ერთმანეთს სხვადასხვა საშუალებით (პრესით, ინტერნეტით, გამოფენებზე მონაწილეობით და ა.შ.).

პირდაპირი კავშირურთიერთობა შეიძლება დამყარდეს საზღვარგარეთ საკუთარი გასაღების ქსელის შექმნით, რაც ექსპორტიორისაგან მოითხოვს ბაზრის კარგ ცოდნას, ადგილზე წარმომადგენელთა მუდმივი შტატის შენახვას, საკუთარი საბითუმო ბაზების, საწყობების და სხვათა ორგანიზებას, რაც, ბუნებრივია, დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან. ამიტომ ეს გზა მისაღებია მაშინ, თუ საიმპორტო პროდუქციას აქვს რეგულარული ხასიათი და მნიშვნელოვანი მოცულობა.

საგარეო ბაზარზე გასვლის მნიშვნელოვანი გზაა იმპორტიორის ქვეყანაში მთელი წარმოების (ან ნაწილის)

ორგანიზება. ეს გზა მისაღებია მაშინ, როცა გასაღების ბაზარი ექსპორტიორისათვის მეტად პერსპექტიულია და ადგილზე პროდუქციის წარმოებას შეუძლია საგრძნობი ეკონომიკური უპირატესობის მოტანა (ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს სატრანსპორტო და საბაჟო გადასახადების ეკონომიით, უფრო იაფი ადგილობრივი ნედლეულის, მუშა ძალის და სხვა ფაქტორების გამოყენებით).

საგარეო ბაზრებზე გასასვლელად, რაც დაკავშირებულია შემოსავლების შემცირებასთან და იმპორტული საქონლის გაძვირებასთან, სავაჭრო შუამავალთა გამოყენება უფრო მიზანშეწონილია ახალ ან ნაკლებად ცნობილ ბაზარზე გასვლის დროს, რადგან შუამავლები, როგორც წესი, უკეთ იცნობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და ბუნებრივია, უკეთ შეუძლიათ საქონლის რეალიზაცია. საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში სავაჭრო შუამავალთა გამოყენება ხდება საშუამავლო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, რომლის თანახმად შუამავალი ახორციელებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს.

უცხოურ ბაზარზე გასვლისას ექსპორტიორს უფლება აქვს ისარგებლოს თავისი ქვეყნის საგარეო სავაჭრო ორგანიზაციის მომსახურებით, რისთვისაც მათ შორის ფორმდება კომისიის, მიწოდებისა და მინდობილობის ხელშეკრულებები. კომისიის ხელშეკრულებით განისაზღვრება საქონლის ნომენკლატურა, რაოდენობა, ხარისხი, მიწოდების ვადა, ფასი და შუამავლობისათვის საკომისიო გადასახადი.

მიწოდების ხელშეკრულება ითვალისწინებს საგარეო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან საქონლის შესყიდვას და საკუთარი ხარჯებით რეალიზებას. ასეთი მომსახურების ანაზღაურება ხდება წინასწარ შეთანხმებული ანარიცხის საფუძველზე.

მინდობილობის ხელშეკრულების პირობებით საექსპორტო საქონლის მიმწოდებლები და საიმპორტო საქონლის შემკვეთნი საგარეო სავაჭრო ორგანიზაციას აძლევენ მათი სახელით და ხარჯებით კონტრაქტების გაფორმების უფლებას, რისთვისაც შუამავალს ეძლევა გარკვეული ანაზღაურება.

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩამოყალიბდა შემდეგი სახის შუამავლები: უბრალო შუამავლები (ბროკერები), სავაჭრო აგენტები, კომისიონერები, კონსიგნატორები, რწმუნებულები. უცხოურ ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლისას ექსპორტიორსა და უცხოელ შუამავალს შორის ყორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. კერძოდ, ხელშეკრულება უბრალო ბროკერებთან, კონსიგნაციის ხელშეკრულებები, სააგენტო ხელშეკრულებები და ა.შ. თითოეული ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პარტნიორების მოძებნას, კონტრაქტების გაფორმებას, ვალდებულებებს, საზღაურის დონეს და სხვა იმ პირობებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც ექსპორტიორის, ასევე სავაჭრო შუამავლის მიერ.

12.2. საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები და მისი გაფორმების წესები

საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი (ხელშეკრულება) საერთაშორისო სავაჭრო გარიგების მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტში გამოყენებულ რიგ სავაჭრო ტერმინებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი გაგება აქვს. ამიტომ გაუგებრობათა გამორიცხვის მიზნით ხორციელდება საექსპორტო-საიმპორტო გარიგებათა პირობების სტანდარტიზაცია. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი რეგულირებისათვის მიღებულია არაერთი კანონი („ერთგვაროვანი კანონი საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ", რომელიც მიღებულია ჰააგის კონფერენციაზე 1964 წელს) და კონვენცია (გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ძალაშია 1988 წლიდან), რომელთა მიზანია კონტრაქტების დადებისა და მათი შესრულების პირობების გამარტივება მხარეთა უფლება-მოვალეობათა მკაფიოდ განსაზღვრის საფუძველზე.

ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის გაფორმება შეიძლება როგორც მყიდველისა და

გამყიდველის უშუალო ფიზიკური მონაწილეობით, აგრეთვე მყიდველის მიერ გამყიდველისათვის „ოფერტის“ (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეთავაზებას) გაგზავნით და მყიდველის მიერ გამყიდველის წინადადების აქცეპტით (თანხმობის მიღებით). კონტრაქტის გაფორმებას წინ უნდა უსწრებდეს რიგი სამუშაოებისა, რაც მოიცავს ბაზრის კომპლექსურ გამოკვლევას (მოთხოვნა საქონელზე, ფასი, კონკურენციის სიმძაფრე და ა.შ.).

პარტნიორის შესარჩევად ექსპორტიორი პოტენციურ მყიდველებს უგზავნის საინიციატივო წინადადებას საქონლის ტექნიკური მონაცემების, ფასის, მიწოდების ვადების და ამ შეთავაზების მოქმედების პერიოდის მითითებით. სასურველი პარტნიორის შერჩევის შემდეგ გამართულ მოლაპარაკებათა პროცესში მხარეები ათანხმებენ კონტრაქტის კომერციულ პირობებს. პრინციპში, ასევე იქცევიან იმპორტიორებიც, რომლებიც ბაზრის შესწავლის საფუძველზე ეძებენ პოტენციურ მომწოდებლებს, რისთვისაც ისინი საქონლის გამყიდველებს შეკითხვის წესით უგზავნიან თავის მოთხოვნებს, სწავლობენ შემოთავაზებებს და შერჩეულ ვარიანტზე აწარმოებენ მოლაპარაკებას შესაბამისი კონტრაქტის პროექტების მოსამზადებლად. აღნიშნული პროექტების შედგენაში მონაწილეობენ საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შესაბამისი სტრუქტურები – იურიდიული, სავალუტო და სხვ.

„ოფერტი“ წინადადებაა ყველა არსებითი პირობის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესახებ. მეტწილად შეკითხვა განიხილება, როგორც მიწვევა ხელშეკრულების გასაფორმებლად, მაგრამ თუ ის შეიცავს ოფერტის ყველა ძირითად ელემენტს, მაშინ იგი სრულყოფილ ოფერტად არის მიჩნეული იურიდიულ პრაქტიკაში. ოფერტის ძირითადი ელემენტია შესაკვეთი საქონლის დასახელება და მისი სრული დახასიათება; შესყიდვის ფასი და გადახდის პირობები; მიწოდების პირობები (მათ შორის შეფუთვა, შეტყობინება, დაზღვევა, გადაზიდვა).

ოფერტის ორი სახეა მიღებული – თავისუფალი და მყარი. პირველი გულისხმობს ერთი და იგივე საქონლის რამდენიმე მყიდველისათვის შეთავაზებას. ამ დროს გამყიდველი არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით და მას შეუძლია საქონელი მიჰყიდოს სხვა პირს. განსხვავებით პირველისაგან, მყარი ოფერტის დროს ოფერენტი გარკვეული ვადის განმავლობაში თავს შებოჭილ პირად მიიჩნევს, რადგან ოფერტის მოქმედების პერიოდში მას საქონლის სხვა პირისათვის შეთავაზება არ შეუძლია. ამასთან, მყარი ოფერტი მხოლოდ ერთ მყიდველს ეგზავნება.

ოფერტი მოითხოვს აქცეპტაციას. აქცეპტი, ეს არის თანხმობა ხელშეკრულების დადების თაობაზე. იგი უნდა იყოს უპირობო და შესწორებების გარეშე, სხვა შემთხვევაში ის განიხილება, როგორც ოფერტის უარყოფა.

კონტრაქტი, როგორც წესი, ფორმდება წერილობითი სანით. პროექტის ყოველი გვერდი პარაფირებული უნდა იყოს მხარეთა მიერ. პარაფირებულ კონტრაქტებს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები. თუ კონტრაქტის გაფორმება ხდება სუბიექტთა დაუსწრებლად, მაშინ ერთ-ერთი მხარე კისრულობს გარიგების შეთანხმებული პირობების ფორმულირებას, ხელს აწერს კონტრაქტის ორ ეგზემპლარს და ხელმოსაწერად უგზავნის მეორე მხარეს, რომელიც ხელს აწერს ორივე ეგზემპლარზე და მათგან ერთს უგზავნის პარტნიორს.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ კონტრაქტში ნაჩვენები ყველა პირობის შესრულება სავალდებულოა მხარეთათვის. კონტრაქტის ძირითადი მუხლები და მათი შინაარსი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1) კონტრაქტის მონაწილე მხარეების დასახელება (მყიდველი და გამყიდველი ორგანიზაციები);

2) კონტრაქტის საგანი. მასში მოცემულია საქონლის მოკლე დახასიათება და მისი ხარისხობრივი მახასიათებლები;

3) მიწოდების საბაზისო პირობები. აღნიშნულ პირობებზეა დამოკიდებული მყიდველისა და გამყიდველის დანახარჯები და ვალდებულებები საქონლის მოძრაობის პროცესში, ასევე საქონელზე პასუხისმგებლობის გადაცემის ანუ რისკის მხარეებს შორის განაწილების (მიკუთვნების) საკითხი;

4) მიწოდების ვადები. კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს საქონლის მიწოდების ვადები, პერიოდულობა და სხვა ისეთი სპეციფიკური პირობები, რომლებიც

განსაზღვრავს მიწოდების ვადას. კონტრაქტში შეიძლება აისახოს გამყიდველის უფლება ვადაზე ადრე მიწოდების თაობაზე ან ვადაზე ადრე მიწოდებისათვის მყიდველისაგან ნებართვის მიღების წესი. ასე მაგალითად, შეიძლება მიეთითოს „არაუგვიანეს ... თვის .. რიცხვისა“, „დაუშვებელია ვადაზე ადრე მიწოდება“ და ა.შ.;

5) საქონლის რაოდენობა (მოცულობა). მისი აღნიშვნა კონტრაქტში წარმოებს ნატურალურ მაჩვენებლებში (ტონა, მეტრი, კომპლექტი და ა.შ.);

6) კონტრაქტის ფასი და საერთო თანხა. კონტრაქტში აუცილებელია დაფიქსირდეს საქონლის ერთეულის ფასი და მთელი საქონლის ღირებულება. ამ მიზნით გამოიყენება საშუალო მსოფლიო ფასები, რომელთა გაანგარიშება ხდება კონკურენტული მასალების საფუძველზე. მათ მიაკუთვნებენ კომერციული დოკუმენტების ორიგინალებს და ასლებს, რომლებშიც მოცემულია ანალოგიური მასალების ან ფასების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები. კონტრაქტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სახელშეკრულებო ფასი, რომლის დადგენა წარმოებს საგარეო ბაზრის კონკურენტული მასალებისა და შიგა ბაზრის ფასების საფუძველზე;

7) გადახდის პირობები. ნებისმიერ კონტრაქტში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ურთიერთანგარიშსწორების კონკრეტული წესი. უცხოელ პარტნიორებთან ანგარიშსწორებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და ფორმები. ვალუტის კურსების ცვლილებით მოსალოდნელი დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით გრძელვადიან კონტრაქტში აუცილებელია სავალუტო შესწორების შეტანა. ამ მიზნით საქონლის ფასისა და გადახდის ვალუტების კურსები უნდა განისაზღვროს რომელიმე მყარი ვალუტის საფუძველზე;

8) შეფუთვა და მარკირება. შეფუთვის სახე კონტრაქტში უნდა განისაზღვროს საბაზისო პირობებით. მასში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს საქონლის შეფუთვისადმი წაყენებული მოთხოვნები. ტვირთების მარკირება ხდება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმებისა და მყიდველთა სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად. ეს პუნქტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ არც თუ იშვიათად შეფუთვა და მარკირება გარკვეულწილად რეკლამის ფუნქციასაც ასრულებს;

9) გამყიდველთა გარანტიები. კონტრაქტების უმრავლესობა შეიცავს ხარისხის კომერციულ გარანტიებს. მასში იგულისხმება გამყიდველთა ვალდებულება დადგენილი ვადის განმავლობაში განსაზღვრული ხარისხის (თვისებების) მქონე საქონლის მიწოდების შესახებ. საგარანტიო ვადის განმავლობაში წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მყიდველი იტოვებს პრეტენზიის უფლებას, რომელთა გადაწყვეტა წარმოებს მიმოწერის ან მოლაპარაკების გზით (პრეტენზიების დაკმაყოფილების ურთიერთმისაღები ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით).

ზოგიერთ შემთხვევაში კონტრაქტში შეიძლება გათვალისწინებული იყოს საქონლის ხარისხის შემოწმება. ხარისხის შემოწმება შერჩევითი ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, საგარანტიო ვადებში აღმოჩენილ წუნზე მყიდველს აქვს პრეტენზიის გამოთქმის უფლება (იგი კარგავს მხოლოდ ხარისხზე პრეტენზიის წაყენების უფლებას);

10) დაზღვევა. დაზღვევის მიზანია სატრანსპორტო და სხვა სახის რისკების თავიდან აცილება. იგი ნებაყოფლობითი აქტია. ტვირთების დაზღვევა ჩვეულებრივ ხდება საქონლის მიმღებთა (მყიდველთა) სასარგებლოდ, ტვირთის საერთო ღირებულების 110%-ის ოდენობით.

კონტრაქტში შეიძლება დაზღვევის სახის მითითება ან იმ რისკების მითითება, რომელთაგანაც აუცილებელია საქონლის დაზღვევა. თუ კონტრაქტში ასეთი ჩამონათვალი არ არის, მაშინ დაზღვევა ხორციელდება ექსპორტიორის მიერ „ყველა რისკზე პასუხისმგებლობის“ პირობით, რომელიც არ ითვალისწინებს განზრახ ქმედებებს, გაუფრთხილებლობით, საომარი მოქმედებებით და საქონლის თვისებებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურებას;

11) დაუძლეველი გარემოებანი. ნებისმიერი კონტრაქტის შესრულებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და თავიდან აცილება შეუძლებელია. ასეთ გარემოებებს ფორს-მაჟორული ეწოდება, რომელთაც მიეკუთვნება წყალდიდობები, ქარიშხლები, ეპიდემიები, გაფიცვები და რომლებიც ხელს უშლის ვალდებულებათა შესრულებას. უთანხმოების თავიდან აცილების მიზნით

კონტრაქტებში მიზანშეწონილად ითვლება იმ გარემოებათა ჩამოთვლა, რომლებსაც მხარეები ფორს-მაჟორულად მიიჩნევენ. ხშირად კონტრაქტში გათვალისწინებულია შესწორებები ფორს-მაჟორული მოვლენებისა და მათი შედეგების გათვალისწინებით. ამ მიზეზით შეიძლება კონტრაქტის ვადის გაგრძელებაც და კონტრაქტის ავტომატური შეწყვეტაც.

საერთაშორისო ვაჭრობაში ამჟამად ფართოდ გამოიყენება ფორს-მაჟორული შესწორებების ორსაფეხურიანი სტადია. პირველზე – კონტრაქტის შესრულების ვადა გრძელდება გარკვეული პერიოდით (მაგალითად, ორი კვირით). თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ფორს-მაჟორული სიტუაცია კვლავაც გრძელდება, მაშინ მეორე სტადიაზე თითოეულ მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს კონტრაქტი;

12) სანქციები. არც თუ იშვიათად კონტრაქტებში ითვალისწინებენ მხარეთა მატერიალურ პასუხისმგებლობას ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე ან არასათანადო დონით შესრულებაზე. მატერიალურ პასუხისმგებლობაში შედის ჯარიმების გადახდა, ზარალის ანაზღაურება და სხვა საჯარიმო სანქციები. ჩვეულებრივ გამოიყენება გამყიდველთა მიმართ მიწოდების ვადების დარღვევის, არაკომპლექტური მიწოდების, დაბალი ხარისხის საქონლის მიწოდების და სხვა დარღვევათა გამო. მყიდველები, როგორც წესი, ჯარიმდებიან საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

ცალკეულ კონტრაქტებში მხარეები აღგენენ საქონლის მიწოდების ზღვრულ ვადას, რომლის გადაცილების შემთხვევაში მყიდველს ეძლევა უფლება უარი თქვას კონტრაქტის შესრულებაზე. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;

13) დავის საარბიტრაჟო და სასამართლო გარჩევა. კონტრაგენტები (მყიდველი-გამყიდველი), როგორც წესი, ცდილობენ წარმოქმნილი უთანხმოების ურთიერთმოლაპარაკების გზით მოგვარებას, რაც ყოველთვის არ ხერხდება. ამ დროს საქმის გარჩევა წარმოებს არბიტრაჟში ან სასამართლოში. ამ მიზნით კონტრაქტებში გათვალისწინებულია წარმოქმნილი უთანხმოების საარბიტრაჟო და სასამართლო გარჩევის წესი. მათგან არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა, საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ცნობილია სხვა ბევრი პირობაც, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია კონტრაქტის დადების, მასში ცვლილებების შეტანისა და მისი შეწყვეტის წესი, გადატვირთვის ინსტრუქციები და შეტყობინება საქონლის მიწოდების შესახებ, პრეტენზიების წარდგენის და განხილვის წესი და ვადები. მხარეთა ვალდებულებები შესატანი და გასატანი ლიცენზიების მიღებაზე, ბაჟის და მოსაკრებლების გადახდაზე და სხვ., რომელთა ასახვა ხდება კონკრეტულ კონტრაქტში მისი ფორმის, შინაარსის, დანიშნულების და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ტიპური კონტრაქტები, რომლებიც შემუშავებულია დადგენილი წესების საფუძველზე და მოიცავს განსაზღვრული საქონლის თაობაზე ფორმულირებების სამაგალითო ნიმუშებს. ასეთ კონტრაქტებს არ აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონტრაქტის გაფორმებისას მეწარმეთათვის დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით. პარტნიორებს რჩებათ მარტო ტიპურ კონტრაქტში შეიტანონ მხოლოდ კონტრაქტის საგანი, მისი ფასი, რაოდენობა, ხარისხი და მიწოდების ვადები (დანარჩენი წინასწარ არის შეტანილი ტიპურ კონტრაქტში).

12.3. შემხვედრი ვაჭრობის კონტრაქტები

შემხვედრი ვაჭრობის დროს საქონლის ორ ნაკადთან გვაქვს საქმე, რომელთაგან ერთი მოედინება ექსპორტიორის, ხოლო მეორე – იმპორტიორის ქვეყნიდან. შემხვედრი ვაჭრობის უმარტივეს ფორმებს მიეკუთვნება საქონლის გაცვლა-გამოცვლა (ბარტერი) და ურთიერთმიწოდებები.

შემხვედრ ვაჭრობას მიმართავენ თავისუფალი ვალუტის უკმარისობის ან იმპორტის ასანაზღაურებლად კრედიტის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში (ასეთ

მდგომარეობაში განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაა, რომელთაც არ გააჩნიათ საქონლის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა). შემხვედრი ვაჭრობის მოცულობა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ითვალისწინებს დახურულ, ურთიერთდაბალანსებულ გარიგებებს (ანუ არაგამჭვირვალეა), ის ეწინააღმდეგება ვმრ-სა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ღია ვაჭრობის წესებს (რაც ფულადი სახსრების გამოყენებასა და კონკურენციაზეა დაფუძნებული).

შემხვედრი საგარეო ვაჭრობის ოპერაციის დროს კონტრაგენტების ძირითადი და შემხვედრი ვალდებულებების დაფიქსირება წარმოებს ერთ დოკუმენტში, რომელიც ფორმდება შეთანხმების ან კონტრაქტის ფორმით. ერთი მხარის მიერ მეორესათვის ბარტერით მიწოდებულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდება კონტრაგენტთა მიერ შეთანხმებულ მომენტში.

შემხვედრი ვაჭრობა, ჩვეულებრივი გარიგებებისაგან განსხვავებით, დამატებით რისკებთანაა დაკავშირებული, რადგან საქონლით გაჯერებულ ბაზარზე შემხვედრი ვაჭრობის გზით მიღებული საქონლის გაყიდვა საკმაოდ რთული საქმეა. ასევე სიძნელეებია შემხვედრი ვაჭრობით მიღებული საქონლის ფულად გადაქცევის პროცესთან დაკავშირებით (სავალუტო შეზღუდვების ან სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სავაჭრო ბარიერების არსებობის გამო) და სხვ.

შემხვედრი ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ურთიერთშესყიდვები. ამ დროს გამყიდველი (ექსპორტიორი) უცხოელ მყიდველთან აფორმებს კონტრაქტს. ამასთან, თვით გამყიდველი ან სხვა პირი იღებს ვალდებულებას მყიდველის ქვეყანაში წარმოებული ზოგიერთი საქონლის გარკვეული რაოდენობით შესყიდვის შესახებ. აღნიშნულის შესაბამისად, ურთიერთშესყიდვების დროს საჭიროა ყიდვა-გაყიდვის ორი კონტრაქტის გაფორმება. ერთი მათგანი ეხება ექსპორტს, მეორე კი შემხვედრ შესყიდვებს. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ეს კონტრაქტები შეიძლება ერთნაირი ღირებულებისა იყოს ან შემხვედრმა შესყიდვამ შეიძლება ექსპორტის მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეადგინოს. ასეთ შემთხვევაში უცხოელმა მყიდველმა სხვაობა ნაღდი ფულით ან დამატებითი საქონლის მიწოდებით უნდა დაფაროს.

შემხვედრი ვაჭრობის ერთ-ერთი სახეა ბარტერი ანუ საქონელგაცვლა (საქონლის საქონელზე ან მომსახურებაზე გაცვლა). ზოგიერთ შემთხვევაში ბარტერულ შეთანხმებას საკომპენსაციო ხელშეკრულების სახელითაც მოიხსენიებენ. ამის მიზეზია ერთი მხარის მიერ საქონლის მიწოდება მეორისაგან მიღებული საქონლის საკომპენსაციოდ.

ბარტერი ორი სახისაა – ნამდვილი და შეფასებითი. პირველის დროს საქონლის ღირებულება როლს არ თამაშობს. ასე მაგალითად, მანქანა შეიძლება გაიცვალოს როიალზე, ტელევიზორი – მოტოციკლზე და ა.შ.

შეფასებითი ბარტერი ითვალისწინებს საქონლის ღირებულების განსაზღვრას გაცვლის ეკვივალენტური უსრუნველყოფის, აგრეთვე დაზღვევისა და ჯარიმების თანხის განსაზღვრის მიზნით. კომერციულ გარიგებებში გამოიყენება ბარტერი შეფასებით ანუ ბარტერული კონტრაქტები, რომელიც ითვალისწინებს უვალუტო, მაგრამ საქონლის შეფასებულ გაცვლას.

ბარტერული კონტრაქტების შესრულებისას შეიძლება ორი სახის პრობლემა წარმოიშვას. პირველი დაკავშირებულია მიღებული საქონლის რეალიზაციის სირთულეებთან, რაც პრაქტიკულად შემხვედრი ყიდვა-გაყიდვის ანალოგიურია. რაც შეეხება მეორე პრობლემას, ის წარმოიშობა გადასახდელების სალდოს დარეგულირების დროს. სალდოს წარმოქმნას ადგილი აქვს ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი დაბალანსება.

ამ მიზნით საერთაშორისო პრაქტიკაში მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად იხსნება ანგარიში ურთიერთანგარიშსწორებისათვის. ბარტერული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაცვლელი საქონლის ღირებულება აისახება ამ ანგარიშზე და გარიგების დამთავრებისას მოვალე მხარე სალდოს აანაზღაურებს ნაღდი ფულით ან საქონლის მიწოდებით.

12.4. საბარეო სავაჭრო ოპერაციათა საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმები და მეთოდები

მსოფლიო პრაქტიკაში დღეისათვის ჩამოყალიბებულია საგარეო სავაჭრო ოპერაციათა ანგარიშსწორების განსაზღვრული ფორმები, აგრეთვე საქონელგამცილებელი და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმების, გადაცემისა და ანაზღაურების მეთოდები. ანგარიშსწორების ოპერაციები ექსპორტიორების, იმპორტიორებისა და ბანკების მონაწილეობით ხორციელდება.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითადი სუბიექტი და შუამავალი ბანკია, რომლის უშუალო მონაწილეობითაც წარმოებს კლიენტების ფულადი სახსრების საერთაშორისო გადარიცხვები. ანგარიშსწორების სამართლებრივ საფუძველად გვეელინება როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო კონვენციები და სხვადასხვა ხელშეკრულებები (სავაჭრო, საკრედიტო და ა.შ.), ასევე ეროვნული კანონმდებლობანი, განმტკიცებული შესაბამისი კონვენციებით.

საგარეო სავაჭრო ოპერაციათა საერთაშორისო ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც კრედიტით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს მყიდველის მიერ საქონლის (ან საქონლის განკარგვისათვის საჭირო დოკუმენტების) საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ მისი ღირებულების ნაღდი ფულით გადახდას.

ანგარიშსწორების ეს ფორმა განსაკუთრებით მისაღებია ექსპორტიორისათვის, ვინაიდან იძლევა მიღებული ვალუტის ბრუნვაში სწრაფად ჩართვის კარგ შესაძლებლობას. იმპორტიორისათვის კი უფრო მისაღებია კრედიტის ფორმით ანგარიშსწორება ანუ კომერციული კრედიტის გამოყენება, რადგან გადახდის ეს ფორმა ითვალისწინებს გადასახდელის განვადებას. აღნიშნულის გამო კონტრაქტში წინასწარ არის დაფიქსირებული გადახდის (ანგარიშსწორების) რომელი ფორმა იქნება გამოყენებული.

საერთაშორისო ვაჭრობაში განასხვავებენ ფულის გადახდისა და ანგარიშსწორების ფორმებს. ფულის გადახდის ფორმა შეთანხმებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის, რაც შეეხება ანგარიშსწორების წესს, ის მხოლოდ ფულის გადახდის განხორციელების მექანიზმია. ანგარიშსწორების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ფულადი გზავნილები, ჩეკები, თამასუქები, სატელეგრაფო-სატელექსო გადასახდელის დავალება და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობაში ძირითადად გამოიყენება ინკასო და აკრედიტივები, რადგან ეს მეთოდები უფრო კარგად იცავს მყიდველ-გამყიდველის ინტერესებს. ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშსწორება წარმოებს ბანკების გვერდის ავლით. მყიდველს ნაყიდ საქონელზე ფულის გაგზავნა შეუძლია ღია ანგარიშით ან გამყიდველი მყიდველს უგზავნის დოკუმენტურ თამასუქს (ტრატას), რომელსაც თან ახლავს კონოსამენტი[1] (თამასუქები ხშირად გამოიყენება ინკასოიანი და აკრედიტივებით ანგარიშსწორების დროსაც, რაც ნიშნავს, რომ ადგილი აქვს მათ ურთიერთშეხამებას).

ანგარიშსწორების ინკასური ფორმა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ექსპორტიორის დავალება თავის მომსახურე ბანკისადმი, მიიღოს იმპორტიორისაგან (უშუალოდ ან სხვა ბანკის მეშვეობით) თამასუქი ან სხვა ანაზღაურებას დაქვემდებარებული დოკუმენტები, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის სანაცვლოდ. ანგარიშსწორება წარმოებს ასეთი სქემით: ექსპორტიორი კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში აწარმოებს ტვირთების გაგზავნას, ამზადებს დოკუმენტების პაკეტს და გადასცემს მათ საინკასო დავალებასთან ერთად თავის მომსახურე ბანკს, რომელიც თავის მხრივ დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმების შემდეგ დავალებასთან ერთად აგზავნის იმპორტიორის მომსახურე ბანკში. ეს უკანასკნელი გადასცემს მათ იმპორტიორს და მისგან მიღებულ თანხას შემდეგ აგზავნის გამყიდველის მომსახურე ბანკში (რომელიც ჩარიცხავს მას ექსპორტიორის ანგარიშზე).

ინკასოთი ანგარიშსწორება მარტივია. ამასთან, ის ხელსაყრელია გამყიდველისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქონლის გადაცემა მყიდველზე ხდება მხოლოდ მისი ღირებულების გადახდის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ანგარიშსწორების ამ ფორმისათვის მაინც დამახასიათებელია გარკვეული ნაკლოვანებები,

რომელთაგან მთავარი საქონლის გაგზავნის, ბანკისათვის დოკუმენტების გადაცემასა და ფულის გადახდას შორის არსებული დროის წყვეტილობაა. ამის გამო ექსპორტიორი ექვემდებარება სხვადასხვა რისკს.

ექსპორტიორისათვის ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებული ფორმაა აკრედიტივი, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ფულის გადახდის საიმედოობას და მის სწრაფ მიღებას. ამასთან, ის ექსპორტიორს იცავს სავალუტო და პოლიტიკური რისკებისაგან. იმპორტიორისათვის პირიქით, ანგარიშსწორების ეს ფორმა არაა ხელსაყრელი, ვინაიდან ამ შემთხვევაში აკრედიტივზე არსებული თანხები ფულადი სახსრების ბრუნვას უშლის ხელს.

აკრედიტივის გახსნის ხარჯები, ჩვეულებრივ, იმპორტიორს ეკისრება. აკრედიტივი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას მყიდველის თხოვნით და დავალებით ექსპორტიორის მიერ გაგზავნილ საქონელზე ფულის გადახდის შესახებ, რომელიც ხორციელდება კონტრაქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სანაცვლოდ.

ანგარიშსწორების ამ ფორმას ხშირად დოკუმენტურ აკრედიტივსაც უწოდებენ. ის შემდეგი სქემით ხორციელდება:

1) ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ფორმდება ხელშეკრულება საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს აკრედიტივით ანგარიშსწორების ფორმას;

2) მყიდველი თავისი ქვეყნის ბანკისგან მოითხოვს ექსპორტიორისათვის აკრედიტივის წარდგენას (აკრედიტივის გამცემ ბანკს ემიტენტი ბანკი ეწოდება). მყიდველი გამოდის ბრძანების გამცემის, ხოლო ექსპორტიორი – ბენეფიციარის როლში (ვინაიდან ეს ოპერაცია მისთვის არის სასარგებლო);

3) ბანკი იძლევა თანხმობას აკრედიტივის წარდგენაზე თავისი კლიენტის (ანუ მყიდველის) სასარგებლოდ;

4) ემიტენტი ბანკი გაგზავნის მყიდველის ბანკს (რომელსაც ავიზოს მიმცემ ბანკს უწოდებენ) სთხოვს აცნობოს ექსპორტიორს, (ანუ მისცეს ავიზო) აკრედიტივის შესახებ, ხოლო ავიზო-ბანკი თანხმდება აკრედიტივის დამუშავებას, მაგრამ არ კისრულობს ექსპორტიორისათვის ფულის გადახდის გარანტიას;

5) საქონლის გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორი ბანკში წარადგენს აკრედიტივში მითითებულ დოკუმენტებს განცხადებასთან ერთად, რომელშიც მითითებულია დოკუმენტების ჩამონათვალი;

6) მაკონტროლებელი ბანკი (შეიძლება იყოს ავიზო-ბანკი) ამოწმებს დოკუმენტების სისწორეს და თუ დოკუმენტები სრულ წესრიგშია, ექსპორტიორი იძლევა განკარგულებას მისთვის ფულის დაუყოვნებლივ გაცემის შესახებ.

დოკუმენტური აკრედიტივი შეიძლება იყოს გამოსაწვევი და გამოუწვევი. პირველის გამოყენების შემთხვევაში იმპორტიორს შეუძლია მისი ანულირება ან მასში შესწორების შეტანა ექსპორტიორთან წინასწარ შეთანხმების გარეშე. (შესწორება შეიძლება საქონლის გაგზავნის შემდეგაც, რის გამოც გამოსაწვევი აკრედიტივი ექსპორტიორისათვის ნაკლებ სასურველია). აღნიშნულის გამო იგი იშვიათად გამოიყენება. მისი გამოყენება მიზანშეწონილია უფრო მაშინ, როცა ექსპორტიორი საქონელს აგზავნის რამდენიმე პარტიად, ანგარიშსწორება ხდება ყოველი პარტიის მიხედვით და აკრედიტივი ფარავს კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის მთლიან მოცულობას. ასეთ შემთხვევაში თუ მყიდველს არ მოეწონება საქონელი რომელიმე პარტიის მიღებისას მას შეუძლია აკრედიტივის ანულირება შემდეგი პარტიისათვის.

გამოუწვევი აკრედიტივის ვადაზე ადრე ანულირება ექსპორტიორთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია. აღნიშნულის გამო იგი ექსპორტიორს აძლევს მეტ გარანტიას და ამიტომაც უფრო ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში.

აკრედიტივი შეიძლება იყოს დადასტურებული და დაუდასტურებელი. პირველი, განსხვავებით მეორისაგან, მოითხოვს ორი ბანკის გარანტიას.

ანგარიშსწორების თამასუქური ფორმა დაფუძნებულია უბრალო და გადასაგზავნი თამასუქების გამოყენებაზე. უბრალო თამასუქი – ეს თამასუქის გამცემის მოწმობაა, რომელიც შეიცავს თამასუქის გაცემის წერილობით ვალდებულებას გადაუხადოს თამასუქის წარმომდგენს (ან პირს, რომელიც აღნიშნულია მასში) თანხა განსაზღვრულ ვადაში ან მოთხოვნის მიხედვით.

გადასაგზავნი თამასუქი – ეს არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს თამასუქის გამცემის წერილობით მითითებას პირზე (ვისზედაც მიმართულია) გადაუხადოს

განსაზღვრული თანხა თამასუქის წარმომდგენს (ან პირს, მითითებულს თამასუქში) დადგენილი ვადის შემდეგ ან მოთხოვნის მიხედვით.

ერთი ქვეყნის ბანკიდან მეორე ქვეყნის ბანკში ფულის გაგზავნა შეიძლება როგორც საფოსტო, ასევე სატელეგრაფო გზავნილების სახით. პირველ შემთხვევაში გამოიყენება ავიაფოსტა, ხოლო მეორე შემთხვევაში სატელეგრაფო გზავნილები (სატელეგრაფო საგადასამხდელო დავალებების დროს ინსტრუქციები იგზავნება ტელეგრაფით ან ტელექსით).

12.5. საბაჟო ვაჭრობის რეჟიმები

საგარეო ვაჭრობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საბაჟო რეჟიმს ენიჭება. ქვეყნიდან ყველა სახის საქონლის გატანა ან შემოტანა ექსპორტის ან იმპორტის ოპერაციას არ განეკუთვნება, რადგან საქონლის გადატანა ქვეყნის ტერიტორიაზე შეიძლება ხორციელდებოდეს ტრანზიტის სახით, ან შემოტანილ იქნეს გადამუშავების და შემდგომ ისევ სხვა ქვეყანაში გატანის მიზნით (საიდანაც ის შემოიტანეს და ა.შ.). აღნიშნულის გამო დიფერენციული მიდგომის განსახორციელებლად ქვეყანაში მუშავდება სპეციალური საბაჟო რეჟიმი, რომელიც შეჯერებულია საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკასთან. საერთაშორისო პრაქტიკით უფრო მეტად გავრცელებულია შემდეგი სახის საბაჟო რეჟიმები:

– საქონლის თავისუფალი მიმოქცევისათვის გატანა. იგი გულისხმობს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანას მისი უკან გატანის ვალდებულების გარეშე. ასეთი რეჟიმი გამოიყენება საქონლის იმპორტის დროს იმ მიზნით, რომ განახორციელდეს საქონლის გატარება და საბაჟომ იმპორტიორისაგან მიიღოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი გადასახადების შესახებ. რიგ შემთხვევებში საქონლის შემოტანაზე აუცილებელია სპეციალური ნებართვაც. ანალოგიური პროცედურები სრულდება საქონლის ექსპორტის პირობებში;

– ტრანზიტი. იგი ითვალისწინებს ქვეყნის ორ საბაჟო პუნქტს შორის საქონლის გადაადგილებას საბაჟო გადასახადებისა და სატარიფო რეგულირების ღონისძიებათა გარეშე. ტრანზიტის დროს საქონელი არ უნდა შეიცვალოს და არ უნდა იქნეს გამოყენებული დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით. საქონელი შესაბამის საბაჟო ზონამდე უნდა გადატანილი იქნეს წინასწარ დათქმულ დროში. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის გადამტანი იხდის ყველა სახის საბაჟო გადასახადს, რომელიც დადგენილია საქონლის თავისუფალი მიმოქცევისათვის გატანის დროს;

– რეიმპორტი. ეს არის საქონლის შემოტანა, რომელიც ადრე გატანილი იყო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან. იგი უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ვადებში. ამ დროს საქონლის შემოტანა ხდება საბაჟო გადასახადების და სატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე. ანალოგიური პროცედურები ტარდება რეექსპორტის პირობებშიც. რეექსპორტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უცხოური საქონლის მიმართ. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს აუცილებელია გაკეთდეს განაცხადი, რომ საქონელი განკუთვნილია რეექსპორტისათვის. ამ დროს საქონელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების დროს უნდა დარჩეს უცელელი ანუ არ შეიძლება მისი გამოყენება რაიმე შემოსავლების მიღების მიზნით;

– თავისუფალი საბაჟო ზონის რეჟიმი. იგი გამოიყენება მხოლოდ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც დადგენილია ხელისუფლების მიერ და სადაც შეიძლება შემოტანილ იქნეს საქონელი საბაჟო გადასახადებისა და სატარიფო რეგულირების გარეშე. ასეთი ზონიდან საქონლის გატანის დროს საბაჟო გადასახადები და სატარიფო ღონისძიებები გავრცელდება იმის მიხედვით, თუ როგორი წარმოშობისაა საქონელი (ეროვნული, უცხოური). თავისუფალ ზონაში შეტანილი საქონელი შეიძლება გადამუშავდეს და საბაჟო გადასახადის გარეშე შესრულდეს სხვადასხვა კომერციული გარიგებები (საცალო წესით გაყიდვის გარდა);

– საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმი. იგი გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის შეტანას

გადასამუშავებლად და შემდგომი ექსპორტისათვის. გადასამუშავებელი საქონლის შემოტანაზე აუცილებელია საბაჟო ორგანოების ნებართვა.

სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებულია საბაჟო რეჟიმის სხვა ფორმებიც, რომლებიც აწესრიგებს საბაჟო მომსახურების პროცედურებს და საგადასახადო სისტემას.

იმპორტული და ექსპორტული საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟოს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება საქონლის შემოტანისა და მისთვის განკუთვნილი ადგილის მიხედვით განთავსების შესახებ შემდეგ დოკუმენტებთან ერთად: სატვირთო საბაჟო დეკლარაცია; ლიცენზია იმ საქონელზე, რომელიც ექვემდებარება ლიცენზირებას; ნებართვა იმ საქონელზე, რომელზეც კონტროლს ახორციელებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები; საგადასახადო დოკუმენტები საბაჟო გადასახადების შესახებ ან დოკუმენტები, რომლებიც იძლევა მათი გადახდის გარანტიებს.

საქონლის ექსპორტის დროს საბაჟო ორგანოებს უნდა წარედგინოს აგრეთვე გარიგების პასპორტის ქსეროასლი, რომელიც ექსპორტიორმა გააფორმა ბანკში სავალუტო ამონაგების მითითებით. სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს სხვა მოთხოვნებიც. კერძოდ, უსაფრთხოების პირობები, საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.

კითხვები და ამოცანები შეძენილი ცოდნის თვითშემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა ძირითადი სახეები და განმარტეთ თითოეული მათგანი.
2. აღწერეთ საგარეო ბაზარზე გასვლის მეთოდები. ჩამოთვალეთ შუამავლების ტიპები და განმარტეთ თითოეული მათგანი.
3. განმარტეთ საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის არსი, დანიშნულება. რა არის ოფერტი?
4. ჩამოთვალეთ კონტრაქტის ძირითადი მუხლები და განმარტეთ თითოეული მათგანი.
5. აღწერეთ შემჩევედრი ვაჭრობის კონტრაქტის არსი და დანიშნულება.
6. განმარტეთ ბარტერის არსი, წარმოშობის მიზეზი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.
7. ჩამოთვალეთ საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული ანგარიშსწორების ძირითადი ფორმები და მეთოდები. განმარტეთ, რა არის ინკასო და აკრედიტივი.
8. ჩამოთვალეთ საგარეო ვაჭრობის რეჟიმების სახეები. განასხვავეთ ისინი ერთმანეთისაგან.
9. ჩამოთვალეთ საიმპორტო და საესპორტო საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის წარსადგენი საბუთები (დოკუმენტები).
10. ჩამოთვალეთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ძირითადი პრინციპები და განმარტეთ ისინი.
11. ჩამოთვალეთ საქართველოში მოქმედი საგარეო ვაჭრობის რეჟიმები და მოქმედი ტარიფები.

ტესტი

1) შემხვედრი ვაჭრობის ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს:

ა) არასავალუტო საფუძველზე
ბ) საქონელგაცვლის ოპერაცია კომერციულ საფუძველზე
გ) საკომპენსაციო ოპერაცია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე
დ) ყველა პასუხი სწორია

2) „ოფერტი“ ნიშნავს:

ა) მიწვევას ურთიერთთანამშრომლობისათვის
ბ) მიწვევას ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად
გ) მიწვევას (შეთავაზებას) ხელშეკრულების გასაფორმებლად
დ) საქონლისა და მომსახურების ურთიერთშეთავაზებას

3) ოფერტის ძირითად ელემენტებს არ განეკუთვნება:

ა) შესაკვეთი საქონლის დასახელება და დახასიათება
ბ) შესყიდვისა და გადახდის პირობები
გ) მიწოდების პირობები
დ) სამომავლო ხელშეკრულების პირობები

4) საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულ რეჟიმებს არ მიეკუთვნება:

ა) საქონლის თავისუფალი მიმოქცევისათვის გატანა
ბ) რეიმპორტი და ტრანზიტი
გ) თავისუფალი საბაჟო ზონის რეჟიმი
დ) ოჯშორული ზონის რეჟიმი

5) საიმპორტო საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟოს წარედგინება:

ა) შეტყობინება საქონლის შემოტანის და მისი განთავსების ადგილის შესახებ
ბ) სატვირთო საბაჟო დეკლარაცია
გ) ლიცენზია იმ საქონელზე, რომელიც ექვემდებარება ლიცენზირებას
დ) საგადასახადო დოკუმენტები საბაჟო გადასახადების შესახებ
ე) ყველა პასუხი სწორია

დამატებით გამოსაყენებელი ლიტერატურა

1. **ლუკასი რ.** – საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1997.
2. **ჰეჯესი ტ.** – ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია. თბ., „ფარნავაზი", 1997.
3. **გოგოხია რ. კილასონია გ.** – ფერმერული მეურნეობის პორიზონტები, თბ., 2001.
4. **Чаянов А.В.** – Основные идеи и формы организации сельскохозяйственной кооперации. М. Книгосоюз, 1927.
5. **Nakajama Ch.** – Subjective Equilibrium Theory of the Farm Household. Amsterdam-Ozford-New York-Tokyo: Elsvier, 1986.
6. **სამუელსონი პ. ნორდჰაუსი გ.** – ეკონომიკა. მეხუტმეტე გამოცემა. კ. ღურწკაიას რედაქციით. ტ. 1, ტ 2. თბ., 2000.
7. **Cail L. Cramer, Claruece W. Jeison, Douglas D. Southqute, ir.** – Agricultural Economics an Agribusiness, 8th edition, 2001.
8. **ქეშელაშვილი ო.** – ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი. „არეალი", 2005.
9. **მენჭიუ გ.** – ეკონომიკის პრინციპები. „დიოგენე", თბ., 2008.
10. Трейси М. – Сельское хозяйство и продовольствие в экономике развития стран: Введение в теорию, практику и политику. Пер. с англ. СПб.: Экономическая школа, 1995.
11. Цедднес Ю., Раиш Э., Угаров А. – Экономика сельскохозяйственных предприятий. М.: изд. МСХА, 2000.
12. Экономика сельскохозяйственного предприятия. Под ред. И.А. Минакова. М.: Колос, 2004.
13. **თურმანიძე ს. და სხვ.** – ბიზნეს-მენეჯმენტი. „თობალისი," თბ., 2008.
14. Gittinger P. – Economic Analysis of Agricultural Projects. Second edition, Revised and expanded, 1997.
15. Ellis F. – Agricultural policies in developing countries. CUP, Cambridge, 1992.
16. Петюх В.Н. – Рыночная экономика (настольная книга делового человека), Киев, "Урожай", 2005 г.
17. Баккет М. – Фермерское производство: Организация, управление, анализ. М.: "Агропромиздат", 1999.
18. Goodwin F.W. – Agricultural Price Analysis and Forecasting. John Wiley and Sons, New York, 1994.
19. Tracy M. – Agricultural Policy in the European Union and other Market Economies. Brussels: EU, 1996.
20. Касл Э. и др. – Эффективное фермерское хозяйствование. Пер. с англ. Предисловие А.А. Бслозерцева. М.: "Агропромиздат", 1991.
21. Ричард Л., Колз и Джозеф Н. Ул – Маркетинг сельскохозяйственной продукции. 8-е изд. Пер. с англ. М., 2000.
22. **ლემონჯავა პ.** – გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2008.
23. R. Key, W. Edwards-- Farm Management, McGRAW- HILL, 1999;
24. აგრარული წარმოების ეკონომიკა. სალექციო კურსი. ფ. ვაინშტეფანის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა „აგრარული მენეჯმენტი", (www.Seard.ge).
25. **კოლუაშვილი პ.** –საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. „ინოვაცია," 2009.
26. **კოლუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ.** – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თსუ, II გამოცემა, თბ., 2010.